ლრეული ბეთლეჰემელი

ღვთისმეტყველი ვერსია

ფრაგმენტები
პოლიტიკური ცხოვრებიდან

დიალოგები

განსჯანი

„ეროვნული მწერლობა"
თბილისი
2009

ვუძღვნი ჩემს საყვარელ და
ერთგულ მეუღლეს მარიამს

ირაკლი ბათიაშვილის ეს მრავალფეროვანი კრებული უმთავრესად მოიცავს სამ ჟანრს — პუბლიცისტურ სტატიებს, დიალოგებსა და ფილოსოფიურ ნარკვევებს — და წარმოგვიდგება თანამედროვე საქართველოს ბედისწერის თავისებურ ანარეკლად.

პიროვნება, სამშობლო, კაცობრიობა — ამ მერიდიანებზეა განფენილი „დანაღმული ველის" მძაფრი დრამატიზმით დამუხტული ძიება უკეთესი მომავლისათვის.

ეს ძიება, ეს ანალიტიკური განსჯა არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო სწორხაზობრივი. მთავარია, რომ ირაკლი ბათიაშვილი, როგორც პოლიტიკოსი და უმწვავეს საზოგადოებრივ მოვლენათა შუაგულში მოქცეული ადამიანი, და ირაკლი ბათიაშვილი, როგორც სამყაროს ფილოსოფიურად მჭვრეტელი, ერთი მთლიანობაა, ვინც არ უშინდება მკაცრად და მიუკერძოებლად გახედოს თავის მიერ გამოვლილ გზას და არაერთი რამ გადაფასოს თუ ცოტა სხვა კუთხით შეხედოს. და კვლავაც მედგრად დაიცვას ის, რაც სიმართლედ და უკეთეს გზასავალად უწამებია თავისი ქვეყნისათვის.

პუბლიცისტის მგზნებარება და ფილოსოფოსის მედიტაციები, დაყრდნობილი ძველი თუ ახალი ჟამის დიდ მოაზროვნეთა სულიერ მონაპოვარზე, ძალდაუტანებლად ავსებს ერთმანეთს და ხელშესახებად გამოჰკვეთს ირაკლი ბათიაშვილის არაორდინარულ პიროვნებას უაღრესად მღელვარე დროების ფონზე.

ეს წიგნი თავისებურ მეგზურად გამოადგება ყველას, ვინც მოინდომებს ათასნლეულთა გასაყარის საქართველოს აბურდულ სინამდვილეში გარკვევას და ისტორიულ სურათთა და პერსონაჟთა პორტრეტების აღდგენას. და კიდევ მათ, ვისაც აფორიაქებს კითხვა — საით მიდის ჩვენი სახელმწიფო?..

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

დიზაინერი
კარლო ფაჩულია

ISBN 978-9941-0-1278-5

ფიქრები ასი ათას მოწამეზე

მარტოობის მეცხრე თვეა 7-ე საპყრობილეში... აქ აღმოვჩნდი უფლისა და საკუთარი თავის პირისპირ გამოკეტილი. როგორც ჩანს, აქ შედგა ჩემი ცხოვრების მთავარი შეხვედრა! ალბათ, სხვაგვარად შეუძლებელი იყო... ჩემი დროის დიდი ნაწილი მიაქვს ლოცვას, ფიქრს, წარსულის ანალიზს; თუმცა, ცხადია, წიგნები, პრესა, ფიზიკური ვარჯიში და გარეთ ერთსაათიანი გასეირნება ასევე მივსებს ყოველდღიურ გრაფიკს. როდესაც მუზა მესტუმრება, ვიწყებ ხოლმე რაღაცეების წერასაც. დიახ, მრავალფეროვნებით ნამდვილად ვერ დავიკვეხნი: ჩემი კონტაქტები შემოიფარგლება ადვოკატებთან პერიოდული შეხვედრებით, ზოგჯერ პატიმრებთან შეხმიანებით და ხანმოკლე საუბრებით, იშვიათად ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთი-ორი ფრაზის გაცვლით... შემდეგ ისევ მუდმივად სიმარტოვე, სიჩუმე... თვეში ორჯერ პაემანი ძვირფას მეუღლესთან — აი, უდიდესი მასულდგმულებელი ფაქტორი ჩემთვის! ეს ერთსაათიანი პაემანი თავისი ძალმოსილებით, ალბათ ერთადყოფნის წლებს უდრის.

ველოდები პროცესს. ვფიქრობ, რომ საკმაოდ მომზადებული ვართ მეც და ჩემი ადვოკატებიც. ბრალდების მხარე, რა თქმა უნდა, უმძიმეს მდგომარეობაშია: სრული აბსურდის მტკიცება მოუწევთ... ვნახოთ, რა და როგორ იქნება! სტრასბურგში გაგზავნილი ჩემი სარჩელი, ვგონებ ძალზედ მყარ საფუძველზეა და თუ საჭირო შეიქმნა, ალბათ, დაჩქარებულად განიხილება.

ამასწინ ღამის ლოცვამ სპონტანურად გააღვიძა ჩემში რემინისცენციები ასი ათასი მოწამის ირგვლივ: მომეძალა და მომეძალა თავისით ფიქრები. არ ვიცი, რატომ... მეორე დღეს ჩემს ცოლს ვთხოვე, ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები" შემოეგზავნა, რათა ისტორიის ეს საოცარი ეპიზოდი კიდევ ერთხელ გადამეკითხა. მოდი, რაღაცეები ერთად გავიხსენოთ!

1225 წლის დეკემბერში ჯალალ-ად-დინი თავრიზიდან ტფილისისკენ დაიძრა. გზად მან ტყვეობაში მყოფი შალვა ახალციხელის

სიკვდილით დასჯა ჰბრძანა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გმირობით ნამდვილად მოხიბლული იყო. მოწამეობრივად აღესრულა ეს დიდი ქართველი! მიუახლოვდა რა ტფილისს ჯალალმა მოლაპარაკება გამართა ათაბაგ და ამირსპასალართან ავაგ მხარგრძელთან: შესთავაზა მოკავშირეობა მონღოლთა წინააღმდეგ და ამის განსამტკიცებლად რუსუდან მეფეზე დაქორწინება: მე მეფე ვიქნები და ის დედოფალიო... უარის შემთხვევაში ქვეყნის სრული მოოხრებით იმუქრებოდა. რუსუდანი და მთელი მისი სატახტო-სადარბაზო განცვიფრებულნი დარჩნენ ხვარაზმ-შაჰის შვილის გაუგონარი თავხედობით — ასეთ „შეთანხმებაზე" ფიქრიც კი ზედმეტი იყო!

1226 წლის სუსხიან ზამთარში ჯალალ-ად-დინმა საქართველოს დედაქალაქს შეუტია და ტფილისელი მუსულმანების მუხანათური დახმარებით ქალაქში შემოიჭრა. დაიწყო საზარელი ხოცვა-ჟლეტვა: ხვარაზმელები არ ინდობდნენ არცერთ ქრისტიანს — კაცს, ქალს, მოხუცს, ბავშვს... ჯალალ-ად-დინმა სიონის ჯვარი ჩამოაგდო, გუმბათი მოანგრია და იქ სავარძელი დაიდგა, საიდანაც კმაყოფილი დაჰყურებდა აოხრებულ ქალაქს. მისსივე ბრძანებით ტაძრიდან მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატები გამოიტანეს და ხიდზე დადეს. ათეული ათასობით ქრისტიან ტფილისელს ზედ გავლას და სარწმუნოებაზე უარისთქმას აიძულებდნენ. ისინი კი სიკვდილს არჩევდნენ: მტკვარი მათი წარკვეთილი თავებით და სხეულებით აივსო, მათი სისხლით წითლად შეიღება... მხოლოდ მცირედნი ვერ უძლებდნენ ამ დიდ განსაცდელს...

დიახ, ასე იყო... ასი ათასი მოწამე, ასი ათასი მოწამის ქვეყანა! ეს ყოველივე იყო და რა გვაქვს ახლა? მივყვები ჩემი ცნობიერების აწყვეტილ ნაკადს: ერთბაშად აზრების, განცდების, ასოციაციების მთელი კასკადი წამოიშალა ამ გრანდიოზული ისტორიული ფაქტის გახსენებით. მოდით, ირგვლივ მიმოვიხედოთ: ვინ ვართ დღეს ჩვენ? შესწევს კი უნარი ამ ხალხს კვლავაც დიდ ისტორიულ გამოცდასთან შეჭიდებისა? ბანალური, გულუბრყვილო კითხვებია! მათზე პასუხის გასაცემად რაღაც სერიოზული ანალიზის მცდელობაც კი ბანალურია. ამას არც ვაპირებ... უბრალოდ, კითხვები სპონტანურად ჩნდებიან, ელავენ ჩემ გონებაში და მე მათ გადმოვცემ. ხომ მაქვს ამის უფლება? აი, ეს ადამიანები: კონფორმისტები, დათრგუნულები, რწმენადაცლილები, დაშინებულები... სოლიდარობის სულისკვეთების გარეშე, ცეცხლის გარეშე... მომხვეჭელები, დემაგოგები, თაღლითები... ძალაუფლების მანიაკები, კარიერისტები, უპრინციპოები...

ბრიყვები, დაბნეულები... რას შევძლებდით ჩვენ ამ ზღვრულ სიტუაციაში? და ჩემთვის რატომღაც ცხადზე უცხადესი ხდება ერთი რამ: საქმე-საქმეზე რომ მიდგება, სწორედ ეს ხალხი კვლავაც გამოავლენს გამაოგნებელ თავდადებას; სწორედ ეს ხალხი იყო ცხრა საუკუნის წინ, ვინც სიკვდილი არჩია მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატზე გავლას; სწორედ ამ შეშინებულების, ეგოისტების, თაღლითების, ბრიყვების, დაბნეულების ათასები და ათი ათასები დადგება რა რადიკალური არჩევანის წინაშე, დადგება რა მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატის წინაშე, თითქმის უყოყმანოდ მიიღებს სიკვდილს; თითქმის მყისიერებაში გარდაისახება გმირად, მოწამედ და თავის სისხლს კვლავაც მტკვარს მიაბარებს... დიახ, აი, ამას ნათლად ვხედავ და ამაში დარწმუნებული ვარ! ასი ათასი მოწამის ერი ვართ: უზარმაზარი სულიერი ოკეანე ვართ! ოკეანეს კი ძალუძს თავისი თავი გაწმინდოს იმ ჭუჭყისა და სიბინძურისაგან, რაც მასში დროთა განმავლობაში უხვად გროვდება...

მე-7 საპყრობილე
06.04.2007
გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“
4-11 სექტემბერი, 2008 წ.

გასავლელი გზა

ერი არის დიდი ერთობა, რომელსაც აყალიბებს
წარსულში გაღებული მსხვერპლის და იმ მსხვერპლის
განცდა, რომლის გასაღებადაც მომავალში მზად ვართ.

ერნსტ რენანი

არსებობენ ე.წ. ცოცხალი და არა უბრალოდ თეორიული საკითხები, რომლებიც „გვისიგნალებენ" რა, დაჟინებით მოითხოვენ გადაწყვეტას ჩვენგან. სხვანაირად მათ ყოველდღიურად ჩვენთვის ახლობელ და გადაუდებელ საკითხებს ვუწოდებდით, საკითხებს, რომლებიც მომდინარეობენ ცხოვრებისეული სამყაროს ჭრელ-ჭრელი მოვლენებიდან: უგზოუკვლოდ დაკარგული მეგობარი, სახლის მორღვეული კედელი, ნგრევის პირამდე მისული მონასტერი, უეცარი სტუმარი... — ყოველივე ეს ჩემი უშუალო, დიდი თუ პატარა თავსატეხია; მათზე მე „კანით" ვრეაგირებ და მათი მოგვარება აუცილებელ, გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია. მეორე მხრივ, არსებობენ საკითხები, რომლებიც ჯერჯერობით ან შეიძლება სამუდამოდ ჩემთვის მეტად შორეულად ჟღერენ. თავს თუ არ მოვიტყუებ, მათ ვერაფრით ვერ აღვიქვამ ჩემი უსაკუთრივესი გულისყურის საგნად. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდღა გულგრილი ვიყო მათ მიმართ, პირიქით შეიძლება მნიშვნელოვანი ინტერესი გამაჩნდეს, შეიძლება გულწრფელი სოლიდარობითაც მივესალმებოდე მათ სასურველ გადაჭრას და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ერთი რამ კი უეჭველია: ჩემი რეაქცია ამ საკითხებისადმი, ე.წ. შორეული საკითხებისადმი არ სცილდება თავისაუტკივარი ინტერესისა და მხარდაჭერის საზღვრებს და არაფრით არ ჩამოჰგავს იმ საგულდაგულო შფოთვას, რითაც ზოგიერთ ცხოვრებისეულ ხდომილებას ვეკიდები ხოლმე. აქ აღნიშნული ვითარება სრულიად ბუნებრივი და ნორმალურია: ადამი-

ანი ყოველთვის რაღაცას მიიღებს, როგორც თავისთვის „ახლობელს“, ხოლო რაღაცას კი — როგორც „შორეულს“, ასე იყო, ასე იქნება და ვიმეორებ, ეს ნორმალურიცაა, მაგრამ პათოლოგიურ მდგომარეობას სწორედ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც უეჭველად და არსებითად მისთვის „ახლობელს“ იგი „შორეულად“ განიცდის. და ამგვარი პათოლოგიის ერთ-ერთ კერძო, ოღონდ მეტად მნიშვნელოვან და სავალალო შემთხვევად მესახება ინდივიდის მიყრუებული რეაქცია მისი ნაციის პოლიტიკური ბედის საკითხზე. როგორც ხედავთ, მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია ნაციის სწორედ რომ პოლიტიკური ბედის და არა ზოგადად ბედის შესახებ, თუმცა შეგვეძლო იგივე გვეთქვა ამ უკანასკნელთან დაკავშირებითაც. ასეთი დაკონკრეტება კი განპირობებულია ჩვენი თემის კონკრეტული მარშრუტითა და ამოცანებით. „ზოგადად — ბედში“, ცხადია, რომ იგულისხმება ნაციის ცხოველქმედების მრავალი და მრავალი კიდევ სხვა განზომილება, ვიდრე მხოლოდღა პოლიტიკური და სახელმწიფო, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, იდეოლოგიური და ა.შ. ჩვენ კი ამჟამად გვსურს ვილაპარაკოთ მარტოოდენ ერთი რაკურსით.

უპირველეს ყოვლისა, მივუთითებთ შემდეგს: ნაციის პოლიტიკურ სახეს არსებითად განსაზღვრავს რამდენიმე გადამწყვეტი პუნქტი და მათ შორის ორი რამ — ერთი მხრივ, მისი სუვერენობის (დამოუკიდებლობის) და მეორე მხრივ, მისი ერთიანობის მდგომარეობა (მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ამ უკანასკნელთ. მოვიხმართ სპეციფიკურად პოლიტიკური მნიშვნელობით). კითხვა — რა ბედშია, როგორ მდგომარეობაშია ესა თუ ის ნაცია — აუცილებლად მოითხოვს პასუხს კითხვაზე — რა ბედშია, როგორ მდგომარეობაშია მისი სუვერენობა და მისი ერთიანობა. ბუნებრივია, რომ უსუსური და ხეიბარი ორგანიზმის სიცოცხლეს არ შეიძლება ეწოდოს სრულფასოვანი. მაგრამ უსუსურობა სწორედ არათვითმყოფადობას გულისხმობს, ხოლო ხეიბრობა — ერთიანობის მოშლას. პირველი ხომ იმ შემთხვევაში ჰქვია ორგანიზმს, თუ კი არ ძალუძს თავად „ზიდოს“, თავად შეინახოს საკუთარი თავი და ე.ი. თუ კი იგი მოკლებულია თვითმყოფადობის მისთვის აუცილებელ ხარისხს. მეორე მხრივ, ხეიბარი ჰქვია, როდესაც ადგილი აქვს დეფექტს მის მთლიანობაში, მის ერთიანობაში და სახელმწიფო, როდესაც სახეზეა გარკვეული წუნი ორგანიზმის განსხვავებულ ნაწილთა ერთობლივ ფუნქციონირებაში, ვთქვათ, ამა თუ იმ ნაწილის მოშლა-

ამოვარდნა ან ნაწილთა შორის კავშირების დარღვევა და ა.შ. ორგანიზმის ე.წ. ჯანმრთელობა არის სწორედ, რომ მის ჯანთა მრთელობა, ე.ი. მთლიანობა. მაშასადამე, იმას ვამბობთ, რომ არა-თვითმყოფადი და ამდენად ხეიბარი ორგანიზმის სიცოცხლე ვერ იმსახურებს სრულფასოვანის სახელს. და იგივე ითქმის ნაციაზეც. განა შეიძლება, რომ ნაცია, როგორც სუვერენობა-დაკარგული და შინაგანად გათიშული, ნორმალურად ფუნქციონირებდეს თავისი ცხოველქმედების თუნდაც რომელიმე სფეროში — ან ზნეობრივში, ან კულტურულში ან ეკონომიკურში და ა.შ. გავიხსენოთ ის უაღრესი დაქვეითების პროცესი, რომელიც დაიწყო XV საუკუნის საქართველოში მოსალოდნელი აღორძინების მაგიერ. მხედველობაში მაქვს ალექსანდრე დიდის მეფობის შემდგომი ხანა. მას არც თუ ისე ურიგო წინაპირობები უჩანს: თემურ-ლენგის შემოსევებით აოხრებული ქვეყანა კვლავ ძალას იკრებს; პარალიზებული სახელმწიფოებრივი მანქანა თანდათანობით მწყობრში შედის მეფე ალექსანდრეს გასაოცარი ენერგიისა და ინიციატივის წყალობით; დაწიოკებული ხალხი კერას უბრუნდება, იწყება ეკლესიებისა და ციხეების აღდგენა... თითქოსდა ყოველივე ეს საქართველოს კვლავგანახლების მაუწყებელია, მაგრამ არა... ქვეყნის ცხოვრებას ჩამოაწვება კიდევ ერთი ძნელბედობის ჟამი, ვფიქრობ, რომ თავისებურად არანაკლები ძნელბედობისა, ვიდრე თვით თემურის ან ჯელალადენის შემოსევები. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ამ პერიოდის საქართველოს უმთავრეს უბედურებას, იმდენად გარეშე მტერი არა, რამდენადაც შინაური, ძმათაშორისი ბრძოლა შეადგენდა. ერის წიაღიდან მძლავრად იფეთქა სახელმწიფოებრივი ერთიანობის რღვევის, განკერძოების ტენდენციამ, რაც არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური სტატუსისა და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის შერყევის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიზეზად მოგვევლინა, არამედ აგრეთვე სასოფლო მეურნეობის დაქვეითებისა, აღებ-მიცემობის დაცემისა, კულტურული დაკნინებისა და ა.შ. ეს არის პერიოდი, როდესაც ათაბაგ ყუარყუარე მტრის ჯარებს იყენებს საქართველოს მეფის წინააღმდეგ და ამგვარი „გამოყენება“ კი შემდგომში გზას გაუკვალავს მათ დამაქცეველი შემოსევისთვის; შედეგიც ვიცით: სოფელთა და ნაგებობათა დარბევა-დანგრევა, თბილისისა და გორის მოსახლეობის აყრა-გახიზვნა, ზავის მძიმე პირობები... ეს არის პერიოდი, როდესაც იწერება ე.წ. „მცნება სჯულისა“, რომლის მიხედვითაც თეორიულად უნდა გამართლდეს ლიხთიმერეთის საკა-

თალიკოსოს დაქვემდებარება იერუსალიმ-ანტიოქიის საპატრიარ-ქოსადმი, შესაბამისად, მისი გამოყოფა საქართველოს ეკლესიის წიაღიდან. და ეს გეგმა განხორციელდება კიდევაც, უცნაურია, მაგრამ სწორედ ქართველ პოლიტიკოსთა დიდი მხარდაჭერით; ეს არის პერიოდი, როდესაც თავკერძოობით ატანილი ათაბაგ მზეჭაბუკის პოლიტიკას ემსხვერპლება ისევ და ისევ ქართული ეკლესიის მთლიანობა და მესხეთის ეკლესია თვითმწყომსობის უფლებით ითიშება დედა-ეკლესიისგან. ვგონებ გასაგებია, რომ თუ კი ქართული ეკლესიის ერთიანობა საწინდარიც და სიმბოლოც იყო ეროვნული შემტკიცებულობისა, მაშინ რისი მომტანი, რისი მომასწავებელი იქნებოდა ამ ერთიანობის თანმიმდევრული რღვევა.

ვიხსენებთ რა ამ მწარე დროებას და უფრო ზუსტად, თავისებურად მწარე დროებას ჩვენი ერის ისტორიიდან, გვსურს გამოვიტანოთ ორი დასკვნა: პირველ ყოვლისა, რომ ნაციის პოლი-ტიკური დაქსაქსულობა ყოველთვის იყო და იქნება მისი ტოტალური დასნეულების განმაპირობებელი და ამდენად პოლიტიკური ერთია-ნობის საკითხი ყოველთვის იყო და დარჩება ნაციონალური ცხოვრე-ბის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად. მეორეც ერთი (რაზეც განსა-კუთრებით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ) — ისტორიულ მოვლენათა ლოგიკა გვიჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ნაციის ერთიანობის რღვევაში უთუოდ გარეშე მიზეზებსაც (ომებს, გარეშე მტერთა დიპლომატიურ ხრიკებს, ეკონომიკურ ბლოკადას და ა.შ.) მიუძღვით დიდი წვლილი, მაინც ძირი და ძირი ამ უბედურებისა თავად მასშია. „ფშხვნის“ ჭია, უპირველეს ყოვლისა, ერის წიაღიდანვე აღმოცენდება და ამიტომ იგი თავად არის პასუხისმგებე-ლი საკუთარ ნაყოფზე.

ყოველივე, რაც აქ ითქვა ერთიანობის ფენომენთან დაკავში-რებით, ითქმის სუვერენობის მიმართაც, ოღონდ ერთი შენიშვნით: ნაციის დამოუკიდებლობა იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისი ერთიანობა, სახელდობრ, იგი უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე ღირებულებაა ეროვნული ცნობიერებისათვის, ვიდრე ეს უკანას-კნელი. და ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგიც: „არა-სუვერენული, მაგრამ ერთიანი“ შინაგანად წინააღმდეგობრივი ცნებაა, ანუ შეუძლებელია, რომ პოლიტიკურად დაკაბალებული ნაცია მონოლითად გვევლინებოდეს. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, „პოლიტიკურად ერთიანი ერი“ გულისხმობს „ერთიანი სახ-ელმწიფოებრიობის მქონე ერს“; სახელმწიფოებრიობა კი მხოლოდ

და მხოლოდ დამოუკიდებელი ნაციის კუთვნილებაა, და მაშასადამე, მხოლოდღა სუვერენულ, თავის თავის მეპატრონე ნაციას თუ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია პოლიტიკური მთლიანობის, ნამდვილი პოლიტიკური მთლიანობის სტატუსზე, გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ვითარებაც, რომ ვასალისა და „მოწაფის" როლში მყოფი ერი, როგორც წესი, თანმიმდევრულად და მეთოდურად განიცდის საკუთარი სხეულისა და სულის დაქუცმაცებას თავისი დიდმპყრობელი „ჭკუის მასწავლებლისგან", და ეს დაქუცმაცება ეხება, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ, ასევე კულტურულ, რელიგიურ, დემოგრაფიულ და ა.შ. სფეროებს. ისტორიაც და ჩვენი უშუალო თანამედროვეობაც უხვად იძლევა აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელ ფაქტებს. ამგვარად, ნათელია, რომ ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმება თავისთავად გულისხმობს მისი ერთიანობის გაუქმებასაც და არა პირიქით. დაქსაქსული, მაგრამ სუვერენული სახელმწიფო-ნაცია ლოგიკურადაც შესაძლებელია და ფაქტობრივადაც არსებულა (მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ისევ და ისევ XV საუკუნის საქართველო). მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პოლიტიკური ერთიანობის უქონლობა ყოველთვის ნაყოფიერი წინაპირობა იყო სუვერენობის დაკარგვისა. ამით ამოიწურება ჩვენი ზემოთხსენებული შენიშვნა და იგი, საბოლოო ჯამში, მიგვითითებს შემდეგზე: მიგვითითებს, რომ ერისთვის ერთიანობაზე ზრუნვა მაინც დაქვემდებარებული, თუმცა უმნიშვნელოვანესი მომენტია იმ საზრუნავისა, რომელსაც დამოუკიდებლობა ჰქვია; რომ სრულფასოვანი ერთიანობის განხორციელება მხოლოდღა თავისუფალ სახელმწიფო-ნაციაშია შესაძლებელი; რომ ამ თავისუფლების დაკარგვა პირველადი რიგის საფრთხე და სნეულებაა მისთვის; და რომ (რაზეც ისევ ყურადღებას ვამახვილებ) პირველ რიგში სწორედ ამ სნეულებაზეა იგი პასუხისმგებელი.

ვის და რას უნდა დავაბრალოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება 1801 წელს? რუსეთს? ცხადია, რომ სწორედ რუსეთმა გააუქმა იგი და კმაყოფილებით მიისაკუთრა კიდევ ერთი გემრიელი ლუკმა. მტრულ ისლამურ გარემოცვას? ცხადია ამასაც, რადგან ასეთი ტრადიციული გარემოცვა რომ არა, საქართველოსთვის სრულიად ზედმეტი იქნებოდა იმედის მზერის მიპყრობა ჩრდილოეთისაკენ და შემდგომ, გეორგიევსკის ტრაქტატი; აქედან კი ერთი ნაბიჯიღა რჩება 1801 წლის განაჩენამდე. კიდევ რას? კიდევ სხვა

მიზეზებიც მოინახება ალბათ, ობიექტური, გარეშე მიზეზები და მათ მნიშვნელობას ვერც ვერავინ უარყოფს, მაგრამ ერთი რამ კი უეჭველია: ქართველმა ერმა, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს უნდა დააბრალოს ამ განაჩენამდე მისვლა, როგორც ჩანს თავად ერში იმძლავრა დამღუპველმა მოთხოვნილებამ; იმის მოთხოვნილებამ, რომ საკუთარი ბედ-იღბალი სხვას გადააბაროს, სხვას მიანებოს და ამდენად თვითპასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს. ეს არის მთავარი მიზეზი და მის გარეშე ვერავითარი გარეშე მიზეზი ვერ მიიყვანდა საქართველოს 1801 წლის კატასტროფამდე. აი, რას წერს ალ. ასათიანი: „ისლამის ტალღები საქართველოს გარშემო თანდათან ცხრებოდა. მას არ ჰქონდა ისეთი ძალა, როგორც წინა საუკუნეებში. საქართველოც უკვე კარგად იყო გაცნობილი აღმოსავლეთის ერების დიპლომატიას და ზნე-ჩვეულებას. ამიტომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მე-18 საუკუნის საქართველო ვერ შეინარჩუნებდა თავის სახელმწიფოებრიობას ურუსეთოდ, რუსეთის მფარველობის გარეშე. ამ მფარველობის ძიება ხდის საქართველოს მუდმივი შემოსევების ასპარეზად. უამისოდ ამოდენა ომებსა და შემოსევებსაც ადგილი არ ექნებოდა". ჩვენ ვხედავთ, რომ ეს „მფარველობის ძიება", რომელზედაც ციტატის ავტორი გველა-პარაკება, უპირველეს ყოვლისა, არა რაიმე გარეშე სირთულეთა, არამედ ეროვნული უნარის დაქვეითების მაუწყებელია, სწორედ იმ უნარისა, რომ ხალხი თავად იყოს საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი, საკუთარი სულისა და სხეულის ერთადერთი მზიდველი. „ქართული პატრიოტიზმი მტერსა და მავნეს მუდამ მეზობელში ეძიებდა. არა-სოდეს თვით ქართულ სინამდვილეში... მე კი მგონია, რომ ყოველი ერი თვითვე დაიმსახურებს ხოლმე თავის ბედსა და უბედობას" (კ. გამსახურდია „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს"). ვფიქრობთ, რომ ამ აზრის ზოგად სიმართლეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი უახლოესი წარსული და კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ქართული სახელმწიფოებრიობის კიდევ ერთი კატასტროფა 1921 წლის 25 თებერვალს, სახელმწიფოებრიობისა, რომელმაც მხოლოდღა სამ წელს გასტანა. ეს შემთხვევა თვალნათლივ აჩენს, თუ რა იყო მთავარი, სწორედ, რომ მთავარი მიზეზი თავდატეხილი უბედობისა, და ჩვენ იძულებულნი ვართ ვაღიაროთ: ეტყობა ქართულმა სინამდვილემ საკადრისი ნდომითა და პასუხისმგებლობით ვერ „ჩაიხუტა" მიღებული თავისუფლება, თითქმის „ციდან ჩამოვარდნილი" თავისუფლება; ეტყობა პარალიზებული ჰქონდა ნება და ძალა, რომ რისკის ფასად

დაეცვა იგი. აბა, სხვაგვარად, როგორ დაკარგავდა მას ასე იოლად და თანაც ასე სწრაფად... ზედმეტად სწრაფად.

შეიძლება გადამეტებულად ეღერდეს ვინმესთვის, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის უქონლობა, რომელიც ბარეღამ ორი საუკუნეა გრძელდება (მხოლოდ სამწლიანი გამონაკლისით) და ღმერთმა არ ქნას კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, კითხვის ქვეშ აყენებს ქართველი ნაციის სწორედ, რომ ქართველ ნაციად და არა რაღაც გაურკვეველ კონგლომერატად არსებობის პერსპექტივას. იმ მრავალ ფუნქციათა შორის, ზოგადად ერს, რომ გააჩნია (კერძოდ, ერთობლივი ტერიტორიის ფლობისა და დაცვის, კულტურის, როგორც მოსახმარი ობიექტის შექმნისა და ქონის, კულტურის, როგორც უკვე სიმბოლოს შექმნისა და შენახვის და კიდევ სხვათა ფუნქციები) უმაღლესი და უძირითადესი მაინც შემდეგია: ერის უმაღლესი ფუნქცია ერად არსებობაა (იხ. ნ. ნათაძე „ერი და ეროვნული კულტურა"). და მაშასადამე, ერისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ იგი იყოს; რომ კაცობრიობისა და ისტორიის საერთო სივრცეში იგი მყოფობდეს, როგორც სწორედ აი, ეს ერი, სხვათაგან განსხვავებული, სხვათა არა-ტოლი და ე.ი. როგორც საკუთარი „თვითონისა" და განუმეორებელი სახის მქონე. მაგრამ აღნიშნული ფუნქციის ნორმალური შესრულება აუცილებლად მოითხოვს (ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით და დღევანდლამდე) ერის არსებობას სუვერენულ სახელმწიფოდ. ეს უკანასკნელი ის საიმედო, მყარი მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია თვითმყოფადი ეროვნული ცხოველმოქმედება, ამ ცხოველმოქმედების სასიკეთო გაშლა-განვითარება მშობლიურ წიაღში. ერი, რომ ერობდეს, როგორც აი, ეს, სწორედ აი, ეს და არა რაღაცა სხვა, იგი არსებითად საჭიროებს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფორმას. წაართვეს ფორმა მას და უმალ მუქარის წინაშე დგება ნაციონალური სიცოცხლის თავისთავადობა. კითხვა — რაოდენს ნიშნავს ნაციისათვის თავისუფლება (ცხადია, რომ საქმე ეხება სახელმწიფოებრიობის ფორმით რეალიზებულ თავისუფლებას, რადგან სხვაგვარი ფორმა ჯერ-ჯერობით წარმოუდგენელია ჯერეთ არსებულ ისტორიულ პირობებში) — მოითხოვს პასუხს კითხვაზე — რა აზრი ძევს თავად ნაციის ცნებაში, რას გვეუბნება ეს სიტყვა — „ნაცია"?

ჩვეულებრივ, ადამიანს, რომელიც ჩართულია რა თავის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ განრიგში — ქუჩაში სეირნობს და

ნაცნობებს ესალმება ან სამსახურისკენ მიიჩქარის; რუდუნებით აკეთებს თავის პროფესიონალურ საქმეს ან ზერელედ აფუჩეჩებს მას; ჩამჯდარია თავის ოჯახურ გარემოცვაში ან მეგობართან სტუმრიანობს და ა.შ. და ა.შ. — რომელიც ჩართულია რა ამ „ნაკადში" და რომლისთვისაც წმინდა ეროვნული პრობლემები არა სპეციალური ყურადღებისა და რეფლექსიის საგნად, არა სპეციალური საქმიანობის საგნად, არამედ მისი ყოველდღიური მოზაიკის მხოლოდღა ერთ-ერთ შემხვედურ კომპონენტად გვევლინებიან; მხოლოდღა სტიქიურად, დრო და დრო შემოდიან მის თვალსაწიერში და იგიც ან მძაფრი გულმხურვალებით ან ნელ-თბილი დაინტერესებათანადგომით ან კიდევ სრული გულგრილობით ეკიდება მათ, მაშასადამე, ეროვნული თვალსაზრისით ასეთ სტიქიურად გათვითცნობიერებულ ადამიანს, როგორც წესი, ჰგონია, რომ ერი სხვა არაფერია, თუ არა ოდენ თავისებური ჯამი, კრებული მისი შემადგენელი ადამიან-ინდივიდებისა. ამგვარი გაგების შემთხვევაში, გვინდა თუ არ გვინდა, ერის ფენომენი შედარებით განყენებულ, არახელთმყოფ რეალობად წარმოუდგება ცალკეულ ადამიანს და შესაბამისად, ე.წ. „ერის ინტერესიც", „ერის თავისუფლებაც" მოკლებული ხდება კონკრეტული და უახლოესი პრობლემატიკისათვის დამახასიათებელ მჭრელ ჟღერადობას. მაგრამ, მაინც, უპირველესი ნაკლი ამგვარი გაგების ამ ცუდ „ეფექტში" კი არაა საძიებელი, არამედ მის უმართებულობაში. მკითხველს შევახსენებთ თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის მაქს შელერის პოზიციას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ვალდებულნი ვართ, შელერის მიხედვით, ნაცია განვიხილოთ არა, როგორც ჯამი, კრებული, არამედ — ცოცხალგანმცდელი სუბიექტი, სუბიექტი, რომელიც დაჯილდოებულია საკუთარი თავისა და სამყაროს განცდის უნარით. ნაციაც პერსონაა, ინდივიდუუმია, ისევე, როგორც ცალკეული ადამიანი, ოღონდ, ცხადია, რომ სრულიად სხვა რიგისა და განზომილების, იგიც ნაციათა მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, ისევე, როგორც ცალკეული ადამიანი — საკაცობრიო საზოგადოებისა; საკუთარი შეუცვლელი ადგილისა და როლის მქონე ერთ-ერთი წევრია. და თუ კი ერი, მართლაცდა, კონკრეტული, მთლიანობითი ბუნების პერსონად გვამცნობს თავს, მაშინ, ცხადია, რომ თავისუფლებისაკენ ლტოლვა, თავისუფლების რეალიზაციის ტენდენცია და პოტენცია მისი სიცოცხლის ალფა და ომეგა უნდა იყოს. სწორედ ამ ლტოლვისა და პოტენციის ინტენსივობით

განისაზღვრება, საბოლოო ჯამში, ერის მდგომარეობა, ერის სახე ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე — რაოდენ დაკნინებულია, დეგრადირებულია ან კიდევ პირიქით, რაოდენ აღმავალ ტალღაზე იმყოფება იგი. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ოთხი ძირეული (ალბათ, მეტაფიზიკური მნიშვნელობის მქონე) დამოკიდებულება, რომლითაც იზომება და ფასდება ადამიანური „მე". და სახელდობრ, ლაპარაკია მის დამოკიდებულებაზე ერთი მხრივ, თავის თავთან, მეორე მხრივ, სხვასთან ანუ სხვა — „მე"-სთან, მესამე მხრივ, სამყაროსთან და საბოლოოდ, ღმერთთან. ისიც ვიცით, რომ ადამიანური „მე" ფასდება და იზომება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შედის იგი აღნიშნულ დამოკიდებულებებში, როგორც თავისუფალი ნებისა და ე.ი. საკუთარი ყოფნის თვითგანმსაზღვრელი არსება. ანალოგიური ითქმის ნაციაზეც, რაშიც ისევ და ისევ შელერს ვეყრდნობით. როგორც ცოცხალ-განმცდელი სუბიექტის, როგორც თავისებური სახის პერსონის, მისი მზერაც განფენილია ამ ოთხი ძირეული მიმართულებით: საკუთარი თავი, სხვა ნაცია ანუ სხვა ნაციონალური „მე", სამყარო, როგორც ნაციათა საყოველთაო მთლიანობა და ღმერთი. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ერიც პერსონაა და ამიტომ უნდა შეეძლოს და უნდა უნდოდეს მას საკუთარი პასუხისმგებლობისა და თავისუფლების რეალიზაცია აღნიშნულ მარშრუტებზე, რადგან, საბოლოო ჯამში, იგი ვალდებულია, რომ ღმერთის, სამყაროს, სხვის და თავის თავის წინაშე წარსდგეს, როგორც სწორედ თავის-თავის-უფალი, სწორედ თვით-პასუხისმგებელი და მხოლოდ ასეთი.

ჩემი თემის დამამთავრებელი ფრაგმენტი თავისებური კვლავ დაბრუნება იქნება დასაწყისთან და ვიტყვი შემდეგს: არსებობენ ე.წ. ცოცხალი და არა უბრალოდ თეორიული საკითხები, რომლებიც „გვისიგნალებენ" რა, დაჟინებით მოითხოვენ გადაწყვეტას ჩვენგან. სხვანაირად მათ ყოველდღიურად ჩვენთვის მახლობელ და გადაუდებელ საკითხებს ვუწოდებდით... მოარული აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობა-არშესაძლებლობა განყენებულ ძალებსა და პროცესებზეა არსებითად დამოკიდებული, აზრი, რომლითაც ქართველი კაცი ცდილობს გაამართლოს თავისი პოლიტიკური უმოქმედობა, მოწმობს არა მის გულწრფელ მრწამსზე, არამედ მის სიყრუვეზე ამ საკითხისადმი. „ძალიანაც ახლოა, ძალიანაც ჩემეულია, მაგრამ ჩემით ხომ ვერაფერი ვერ გადაწყდება... " — სინამდვილეში ასეთი შეგნების ქართველს მხოლოდ ეჩვენება,

სამწუხაროდ მხოლოდ ეჩვენება ეს საკითხი მისთვის ახლობლად, რადგან შეუძლებელია, რომ პასუხისმგებლად არ ვიგრძნო თავი იმაზე, რასაც უშუალოდ, ინტიმურად ჩემთან დაკავშირებულად განვიცდი. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა — ეს არ არის სადისკუსიო თემა; ეს გადაუდებელი საქმეა პირდაპირი მნიშვნელობით; საქმე, რომელიც ისედაც დიდხანს გადაიდო და ახლა გულდასმით შედგომას მოითხოვს; ქვა, რომელიც შეიძლება აგორდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი კაცის ხელებისა და არავის ეგონოს, თითქოსდა რაიმე გარეშე „ამწე-ხელსაწყოთა" მეშვეობით. ყოველგვარი საქმე, ცხადია, გზაა. ეს საქმეც გზაა, ოღონდ იგი მეტად გრძლად, კლაკნილად და სახიფათოდ მოჩანს. მე ვალდებული ვარ თავად დავადგე, თავად შევუყვე მას და არა ვინმე ან რაიმე ჩემ მაგივრად.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
ჟურნალი „საქართველო", 1988 წელი

გზები და მიზნები

ამ სტატიას პირდაპირ კითხვის დასმით დავიწყებ; კითხვა კი შემდეგნაირია: რისი იმედი უნდა ჰქონდეს ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რაზე შეიძლება იყოს იგი ორიენტირებული თავისი ძირეული მიზნის — საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის — ხორცშესხმის საქმეში? კითხვის ასეთი დასმა დროულად და გამართლებულად მიმაჩნია, რამდენადაც საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმოცენება დღესდღეობით უეჭველ ფაქტად წარმოგვიდგება. და რაც მთავარია, სწორედ აღმოცენების, დაწყების ჟამს არის საჭირო ამ კითხვის გარკვევა, მასზე პასუხის გაცემა და არა მაშინ, როდესაც აღმოჩნდება, რომ მას საკმაოდ შორს აქვს „შეტოპილი". უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა სახელმწიფოში წამოწყებულმა გარდაქმნის კურსმა თავისებური შეხედულება წარმოშვა მავანსა და მავანში „მოკავშირე" ერთა მომავალი ბედ-იღბლის თაობაზე. ეს შეხედულება მეტად დამაიმედებლად და უფრო სწორედ, დამამშვიდებლად ჟღერს საბჭოეთის კოლონიური წარმომადგენლებისათვის, რადგანაც იგი განსაცვიფრებლად გულუხვ პერსპექტივას უსახავს მათ და თანაც მისაღწევს ზედმეტი თავის ატკივების გარეშე. სახელდობრ, ლაპარაკობენ, რომ ე.წ. გარდაქმნა ანუ პერიფერიულ, ზედაპირულ რეფორმათა ის მწკრივი, რაც ამ ომახიანი სიტყვის ქვეშ იგულისხმება, თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადაიზრდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფუნდამენტურ და მაღალინტენსივობის მქონე რეფორმათა უწყვეტ პროცესში; რომ ეს უკანასკნელი ნიადაგს გამოაცლის ტოტალიტარულ რეჟიმს და დღის წესრიგში დააყენებს თვისობრივად სხვაგვარი, კერძოდ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას; და რომ საბოლოოდ, საბჭოეთის დემოკრატიული სახელმწიფო პრინციპულად ვერ იგუებს და ვერც ვერასოდეს შეიგუებს იმპერიის სახით არსებობას. ამგვარად მომსჯელე პირი, ჯერ — ერთი, მეტად გულუბრყვილოა, მეორეც ერთი — სანიმუშოდ ჩამოსხმული საბჭოთა ცნობიერების მქონე ადამიანი. მას

მიაჩნია, თითქოს „ზევიდან“ მომდინარე პოლიტიკური კურსის გაშლა-განვითარებაზე იყოს დამოკიდებული ერთა საკითხის მართებული გადაწყვეტა საბჭოთა კავშირში და აქედან გამომდინარე, ხშირად იძახის: „ის, რაც ჩვენ ძალგვიძს, რაც ჩვენ შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება არის შემდეგი: ხელი შეუწყოთ აღნიშნულ პროცესს და რიგ შემთხვევებშიც ვაიძულოთ ხელისუფლება დათმობებზე წავიდეს ანუ არ დააბრკოლოს მის მიერვე წამოწყებული პროცესის ინტენსიური და ეფექტური განვითარება“. ვიმეორებ, რომ ასეთი შეხედულება, ჯერ-ერთი, გულუბრყვილოა და მეორეც ერთი, იგი საბჭოთა მანქანის მიერ 70 წლის განმავლობაში გულმოდგინედ დამუშავებული ადამიანის, უფრო სწორედ თავისებური ადამიანური ჯიშის ტიპიური შეხედულებაა, იმ ადამიანისა, რომელიც მარად მომლოდინეს, „ზევითკენ“ მზერა-აპყრობილის მდგომარეობაში იმყოფება და რომელიც ფიქრობს, თითქოს ყოველი პრობლემა როგორღაც, და ოდესღაც, რაღაც უცხო ძალების მეშვეობით „ზემოდან“ გადაწყდება. ამ მოარული შეხედულების საპასუხოდ, უპირველეს ყოვლისა, ვიტყვით, რომ გარდაქმნის კურსი საბჭოთა ხელისუფლებაში გაღვიძებული სინდისისა და გონების უეცარი განათებით კი არ ყოფილა ნაკარნახევი, იმით კი არა, რომ „ერთ მშვენიერ დღესაც“ ჩვენი ხელისუფალნიც მიხვდნენ: „თურმე, როგორ ვცდებოდით, თურმე, როგორ ვაშავებდით, მაგრამ ახლა კი... “, არამედ, სრულიად ცივი, სტრატეგიულად შორსმჭვრეტელური პოლიტიკური ანგარიშით. ქვეყანა რომ არ აღმოჩენილიყო, კრიზისის წინაშე, რომლის უკანაც კიდევ უფრო შემზარავი პერსპექტივა ისახებოდა, მაშინ არავითარ ლაპარაკს არ ექნებოდა ადგილი სოციალიზმის მშენებლობის ჭეშმარიტი და არაჭეშმარიტი გზების შესახებ, ეკონომიკის ძველებური მართვის სიავის ან კიდევ საყოველთაო დუმილის გაუმართლებლობის შესახებ; არ ექნებოდა ადგილი არავითარ მონანიებას 30-იან წლებში რეპრესირებულთა გამო და ა.შ. და ა.შ. აქ აღნიშნული კრიზისიდან, ჩემი აზრით (და არა მხოლოდ ჩემი) უმთავრესი უნდა ეკონომიკური კრიზისი იყოს და საბჭოთა სახელმწიფოში უკვე დაწყებულმა და მომავლისათვის გათვლილმა რეფორმების მთელმა სერიამ მიმართულება აიღო სწორედ ამგვარი კატასტროფის თავიდან აცილებისაკენ. საჭირო აღმოჩნდა ეკონომიკური რეფორმა: კოოპერატივების, ინდივიდუალური შრომის დაშვება ანუ კერძო ინიციატივისათვის რაღაც გასაქანის მიცემა, სახელმწიფო საწარმოების გადაყვანა თვითდაფინანსებასა და სამე-

ურნეო ანგარიშზე ანუ მათთვის შედარებით მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება — ყოველივე ამან, ხელისუფალთა ვარაუდით, დოვლათის წარმოება უნდა გაზარდოს ქვეყნის შიგნით; საჭირო აღმოჩნდა საჯაროობის თუნდაც მცირე დოზა, აგრეთვე აგრესიული სამხედრო კურსის დამუხრუჭება (ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა) „დასავლეთის“ წინაშე რეაბილიტაციისათვის, რათა შესაძლებელი შეიქნას მასთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების დამყარება, აგრეთვე საერთო საწარმოების გახსნა და ა.შ.; საჭირო აღმოჩნდა „დაძმობილება“ და კონტაქტების ინტენსიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ნაწილობრივი განიარაღებისა და აქედან გამომდინარე, სახსრების გამონთავისუფლების მიზნით. ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური მობილიზაციის ეს პროცესი, რომელიც კაცმა არ უწყის რითი დასრულდება, გარკვეულწილად დააჩქარა ორმა ფაქტორმა: რეიგანის სტრატეგიულმა თავდაცვითმა ინიციატივამ და ყვითელი გიგანტის, ე.ი. ჩინეთის ფერისცვალებამ. ორივე ვითარება მჭახე, საგანგაშო სიგნალივით აუწყებდა ჩვენ ხელისუფალთ სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობას. ერთი მხრივ, ამერიკული ინიციატივის საპასუხო ღონისძიება ისეთ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომელიც არსებული ეკონომიკის პირობებში სტრესში ჩააგდებს საბჭოთა ხელისუფლებას, არა და პასუხის უქონლობასაც ვერ დაუშვებს იგი: სტრატეგიული ინიციატივის ცალმხრივი რეალიზაცია ხომ შთამაგონებელ სამხედრო უპირატესობას მისცემს შეერთებულ შტატებს. მეორე მხრივ, კომუნისტურ ჩინეთში (რომელიც, ჩვეულებრივ, საბჭოურის „მსგავსი სტილით ცურავდა“) 70-იანი წლებიდან დაწყებულმა და უკვე მძლავრად ამოქმედებულმა პროცესმა პოლიტიკურ-ეკონომიკური რეკონსტრუქციისა მისი სერიოზული გაძლიერება შეიძლება გამოიწვიოს და ამდენად რუსული იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე სამხედრო თვალსაზრისით მისი თანასწორი, ეკონომიკურად მასზე უფრო სიცოცხლისუნარიანი, ე.ი. უფრო პერსპექტიული, მასსავით დიდმპყრობელურ-ექსპანსიონისტური პრეტენზიების მქონე და მისთვის უაღრესად მრისხანე მეტოქე გამოზარდოს. საჭირო იყო გადამწყვეტი კონტრზომების მიღება, ძალების მობილიზაცია იმპერიის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდისათვის. თუ რამდენად ეფექტური აღმოჩნდება გარდაქმნის კურსი ამგვარი ამოცანის შესასრულებლად ეს სხვა საკითხია, მეტად საორჭოფო და საკამათო, მაგრამ აქ მის განხილვას ჩვენ არ ვაპირებთ. ყოველივე აქ

თქმულთან დაკავშირებით კი შევნიშნავთ შემდეგს: მთელი პარადოქსი იმაშია, რომ სახელმწიფოს, რომელიც მარქსისტულ მატერიალიზმზე აიგო და ე.ი. საკუთარ დროშად გამოაცხადა მოძღვრება ეკონომიკის უპირველესი მნიშვნელობის შესახებ, ყველაზე დიდი საფრთხე ეკონომიკის მხრიდან დაემუქრა.

მაშასადამე, ჩვენ ვეხებით გარდაქმნის პოლიტიკის ცალკეულ ასპექტებს, რათა უკუვაგდოთ ილუზია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ეს პოლიტიკა მიზნად არ ისახავს საბჭოთა ტოტალიტარიზმის განსაკვირვებელ მეტამორფოზას და მის დაგვირგვინებას სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. იმპერიის ჩაფრენილი კლანჭები ვერ გადაგვარდება დემოკრატიული მმართველობის დახვეწილ თითებად, რომლებსაც იგი გულმოწყალედ ახსნის დაკაბალებულ ერებს. მიზანი სულ სხვაა, და კერძოდ: სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის მოდერნიზაცია ისე და იმდენად, როგორც და რამდენადაც ეს უზრუნველყოფს იმპერიული და სწორედ, რომ იმპერიული ხელისუფლების საიმედო პოზიციებს საერთაშორისო და საშინაო ასპარეზებზე. სხვაგვარი მიზანი გამორიცხულია. მაგრამ ეს მსჯელობა იმგვარად არ გავიგოთ, თითქოსდა არაფრად მიგვაჩნდეს გარდაქმნის კურსის უპირატესობანი 30-იანი, 50-იანი, 60-იანი ან 70-იანი წლების საბჭოეთის პოლიტიკურ კურსთან შედარებით. უეჭველია, რომ გორბაჩოვის მმართველობის სტილი გარკვეულ სიმპატიას უნდა იმსახურებდეს ბრეჟნევის, ხრუშჩოვის, სტალინის მმართველობით სტილთა ფონზე, რადგან „ჩვენებური", ე.ი. დეკორატიული საჯაროობაც კი, უფრო მომთმენი დამოკიდებულება სხვაგვარად აზროვნებისადმი, „გულმოწყალე" რევერანსი ეკლესიის მიმართ, თუნდაც ალმაცერად დაშვებული კერძო ინიციატივა, პროპაგანდისტული წარმოდგენების შერბილება „ავისმომასნავებელი, მტრული" დასავლეთის შესახებ და მასთან დამოგობრებისაკენ სწრაფვის დემონსტრირება — ყოველივე ეს ბევრად უფრო ჰუმანურ და ასატან ატმოსფეროს ქმნის, ვიდრე შეულამაზებელი ყაზარმული რეჟიმისა და მუშტრის გარდაქმნანდელი ტრადიცია. ის რომ ნაკლები ცემა გვირჩევნია ბევრ და სულისამოხდამდე ცემას და გარდაქმნის გზაზე შემდგარი რეჟიმი ნაკლებად გვროზგავს, ვიდრე ორთოდოქსული (ზოგიერთი ამბობს, სახელმწიფო ცოტა უფრო მეტს გვეფერებაო, სინამდვილეში კი ცოტა უფრო ნაკლებს გვემუქრება და ეს ორი ვითარება მეტად ურთიერთგანსხვავებულია), ამის თაობაზე ორი

აზრი არ არის, ჩვენ ამას არც უარვყოფთ. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვამტკიცებთ შემდეგს: ქართული ეროვნული მოძრაობა არ შეიძლება იყოს გარდაქმნის კურსის იმედზე და ვინმე თუ შეიძლება, ისევ და ისევ რუსული იმპერიალიზმი, რადგან იგი იმთავითვე მის საკეთილდღეოდ იყო ჩაფიქრებული. ამ ახალ პოლიტიკურ აზროვნებას, ახალ პოლიტიკურ „ინჟინერიას" სურს მოდერნიზებული „ავტომანქანა" — უფრო ეფექტური ფორმამოყვანილობით, კომფორტაბელური სალონით, მომატებული სიმძლავრის ძრავითა და შეუფერხებელი სამუხრუჭო სისტემით, მაგრამ იგივე ერთპიროვნული პატრონის, იგივე მძღოლისა და საბოლოო ჯამში, იგივე მარშრუტის მქონე. ცხადია, რომ რეფორმების ატმოსფერო თავისდაუნებურად უფრო კეთილსასურველია და ხელისშემწყობია ეროვნული მოძრაობის გაშლისათვის, რამდენადაც მასში საბჭოთა ადამიანი ნაწილობრივ თავისუფლდება სოციალური შიშის ჩაბეტონებული კომპლექსისაგან, შესაბამისად მეტი სითამამე ეძლევა. მაგრამ ორიენტირად, „მანათობელ ორიენტირად" ამ მოძრაობას რეფორმები ნამდვილად ვერ გამოადგება, თუკი მას არ სურს სასაცილოდ მოტყუებული აღმოჩნდეს. და მაშასადამე, ღიად რჩება დასაწყისში დასმული კითხვა: რაზე უნდა იყოს ორიენტირებული ქართული ეროვნული ძალისხმევა? იგი კვლავაც ძალაში არის, რადგან აქამდელი მსჯელობით მასზე პასუხი კი არ გაგვიცია, არამედ პასუხის ერთ-ერთი ილუზორული ვარიანტი გამოვრიცხეთ, ამიტომ ახლა უკვე თავს წამოყოფს ასეთი კითხვა: ეგება ერთადერთი მართებული გზა ამ ძალისხმევისთვის ის გზაა, რასაც ტრადიციულად რევოლუცია ჰქვია? აღნიშნული ვითარება სერიოზულად ყურადსაღებია, მითუმეტეს, რომ XIX-XX საუკუნეებში დეკონოლიზაციის მძლავრი ტალღა ძირითადად ასეთ ხასიათს ატარებს და ისტორიამაც იგი ნაციონალური რევოლუციების სახელით მონათლა. როგორც ვიცით, ნაციონალურმა რევოლუციებმა გასული საუკუნეების 40-იანი წლებიდან მოიკიდეს ფეხი ევროპის დიდ ნაწილში, რასაც საბოლოოდ ჰაბსბურგების ავსტრიული იმპერია ემსხვერპლა კიდევაც. მისი მსხვრევა გარდაუვალი პროცესი იყო, თუმცაღა ზიგზაგებით, უკუქცევებით, ჩავარდნებით სავსე. ჯუზეპე მაძინის თაოსნობით იტალიაში გაშლილი მოძრაობა წარმატებებს აღწევს თავიდან — მილანის ხუთდღიანი თავგანწირული ბრძოლა, ლომბარდო-ვენეციის განთავისუფლება ავსტრიელი ოკუპანტებისაგან, რომის რესპუბლიკად გამოცხადება — მაგრამ ბოლოს მას მაინც მარ-

ცხი უწერია. ნოვარასთან ავსტრიელებთან ბრძოლაში, კატასტროფას განიცდის პიემონტური არმია; ეს არის დასაწყისი კონტრრევოლუციის რევანშისა, რევოლუციის ყველა მიღწევის თანმიმდევრული ლიკვიდაციისა. ანალოგიური სიტუაცია გათამაშდა უნგრეთში: პეშტის ამბოხება გვირგვინდება უნგრეთის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნით, მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებით, მაგრამ ეს აღმავლობაც კრახამდე მიდის; კოშუტისა და მადარას ის სამშობლოს დაცვის კომიტეტი უძლურია რაიმე გააწყოს მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ... და ავსტრიის იმპერატორი ფრანციოსიფი აქვეყნებს მანიფესტს, რომლის მიხედვითაც უნგრეთი კვლავ კარგავს დამოუკიდებლობის ატრიბუტებს. მართალია, ამ ეროვნულმა გამოსვლებმა, ორმოციანი წლების მიწურულს, იტალიაშიც და უნგრეთშიც მარცხი იწვნიეს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ დროებით. ეს ისეთი მარცხი აღმოჩნდა რომელმაც საბედისწერო ბზარი გაუჩინა ავსტრიის იმპერიას. და აპენინებზე, სულ რაღაც ათიოდე წლის შემდგომ აღორძინებული მოძრაობა მოიპოვებს სრულ და საბოლოო გამარჯვებას, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის მომძლავრებული ეროვნულ-დემოკრატიული ტალღები საბოლოოდ დაანგრევენ იმპერიას: გამოცხადდება ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, უნგრეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

XX საუკუნეში ნაციონალური რევოლუციები უკვე გლობალური მასშტაბით ჰპოვებენ გავრცელებას: აფრიკის კონტინენტი, ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, დასავლეთი ნახევარსფერო — ყველგან მოდებულია და ბრდღვიალებს ეს პროცესი. ანტი-კოლონიური ბრძოლის მძლავრი აფეთქებით აღინიშნება საუკუნის დასაწყისი, 40-იანი და 50-იანი წლები, ხოლო 1960 წელი კი ისტორიაში შედის, როგორც „აფრიკის წელი". ამ წელს აფრიკის 17-მა სახელმწიფომ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ზემოთ მოყვანილი მოძრაობათა მთელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ, ისინი განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებენ, მეორე მხრივ, კი — რევოლუციურს. ეს ორი რამ ყოველთვის როდია ურთიერთ-გადაბმული, არამედ მათი ურთიერთგადაბმა პირმშოა ისტორიის შედარებით გვიანი საუკუნეებისა ანუ ახალი და უახლესი პერიოდისა. ცხადია, რომ XV საუკუნეში ჟანა დ'არკის ბრძოლა ინგლისელ ექსპანსიონისტებთან, ისევე, როგორც

1615 წელს კახეთის აჯანყებამ ყიზილბაშების წინააღმდეგ ან კიდევ ესპანური გერილიის მძვინვარე შეურიგებლობა ნაპოლეონის რეჟიმისადმი, უთუოდ, არის მაგალითი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალისხმევის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — რევოლუციურის. თანამედროვე ეპოქაში კი იგივე ითქმის ავღანელ მოჯახედინთა გმირობის და კერძოდ, საბჭოთა სამხედრო ინტერვენციასთან მათი განსაცვიფრებლად თავდადებული შებმის შესახებ. ამ უკანასკნელს, ხომ, ვერაფრით ვერ ვუწოდებთ რევოლუციურ ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჭეშმარიტად ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ხასიათის მქონეა. (ისევ და ისევ საქართველოს მაგალითზე ვიტყვით, რომ ჩვენი „ბიოგრაფია" სავსებით საკმარისია წმინდა განმანთავისუფლებელ ბრძოლათა არსში გასარკვევად. ქართველი ერის ისტორია ხომ სიტყვა-სიტყვით დუღს და გადმოდუღს ამგვარ ბრძოლათა აურაცხელობით. რად ღირს თუნდაც ბოლო სუკუნეები: 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება; ერთიც, მეორეც, მესამეც, დიახ, გულისმომკვლელ მარცხით დამთავრებული ძალისხმევებია, მაგრამ ქართველი კაცი მაინც ვერ ჩერდება, თავისუფლებისათვის ჭიდილი მის ძირისძირ გენსა და ტრადიციაში იყო. და ბოლოს: 1924 წელი — კვლავ ტრაგიკულად „დაკლული" გაბრძოლება და ბოლშევიკური ტყვიით დახვრეტილთა და დახვრეტილთა შემზარავად გრძელი სია). ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭიროა ნათლად გავაცნობიეროთ შემდეგი ვითარება: ნაციონალურ რევოლუციას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც განმათავისუფლებელი ბრძოლა იმავდროულად კლასთა (ან ფენათა ან წოდებათა) შორის ბრძოლასაც შეიცავს და ე.ი. როდესაც იგი მიზნად ისახავს არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის შეცვლას ერთი კლასის (ან ფენის) მიერ მეორის, როგორც პრივილეგირებულის, დამხობის გზით, და სწორედ ასეთად გვევლინებოდნენ ზემოთ ხსენებული იტალიური, უნგრული მოძრაობები, რამდენადაც მათ მიზანს არა მხოლოდ ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა შეადგენდა, არამედ ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების, ვთქვათ, კონსტიტუციასა და თავის უფალ წარმოებაზე დამყარებული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაც, ოღონდ, სწორედ, რომ კლასობრივი ძალადობის გზით. ასეთად გვევლინებოდნენ XX სუკუნის ანტი-კოლონიალური ბრძოლები ალჟირში, ლიბიაში, ეთიოპიაში, ჩინეთში, ბირმაში, ტაილანდში... ეგფ-მ (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი — ალჟირის

ნაციონალური რევოლუციის წარმმართველი ორგანიზაცია) მიაღწია რა ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრანგეთის კოლონიალური რეჟიმისაგან (1962 წელს დე გოლის მთავრობამ და ალჟირის რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ ხელი მოაწერეს ევიანის შეთანხმებებს, რომლის ძალითაც შეწყდა საომარი მოქმედება საფრანგეთსა და ალჟირს შორის, ხოლო იმავე წელს ალჟირში გამართულმა რეფერენდუმმა სამართლებრივი სტატუსი მისცა მის დამოუკიდებლობას, რაც სცნო საფრანგეთის მთავრობამ), იმავე დროს დააწესა გარკვეული ახალი პოლიტიკური ინსტიტუტები: რევოლუციის ეროვნული საბჭო, დროებითი მთავრობა, შემდგომ კი — საპრეზიდენტო რეჟიმი, ერთპარტიული სისტემა; მოახდინა ძირეული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები (მთელი რიგი მიწების, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების ნაციონალიზაცია და ა.შ.). ყოველივე ეს სრულიად ახალ, ალჟირის ისტორიისათვის ჯერეთ უცნობ სოციალურ-პოლიტიკურ განზომილებას წარმოადგენდა როგორც კოლონიალურ მდგომარეობამდე, როდესაც ქვეყანა ცხოვრობდა დეიების შუასაუკუნეობრივ სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე, ასევე კოლონიალური რეჟიმის პირობებში, და ეს განზომილება გულისხმობდა მტკივნეულ ქირურგიულ ჩარევებს კლასთა (ან ფენათა) შორის ურთიერთობებში, რის გამოც, მისი ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესი, უთუოდ, რევოლუციური პროცესი უნდა ყოფილიყო.

თუ კი ამ მსჯელობების შემდეგ დავუბრუნდებით ჩვენთვის ყველაზე მახლობელ და უშუალო რეალობას — ქართულ სინამდვილეს — ნათელი შეიქმნება შემდეგი: ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც დასაწყის ეტაპზე განვითარდება, როგორც ეროვნული ხსნის ძალისხმევა, და კერძოდ, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სამართლებრივი, კულტურული, სოციალურ-ეკონომიური გენოციდისაგან საქართველოს გადარჩენის, დაზღვევის ძალისხმევა, შემდგომ და შემდგომ სულ უფრო მეტად უნდა შეიძინოს და დაიმკვიდროს სწორედ, რომ განმათავისუფლებელი ხასიათი. რატომ? იმიტომ, რომ ამას მოითხოვს, ჯერ — ერთი ქართული მოძრაობის საბოლოო და ჭეშმარიტად მაცოცხლებელი მიზანი — საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მეორეც ერთი — ეროვნული ხსნის ძალისხმევის ლოგიკური განვითარება. ეს უკანასკნელი, ხომ თავისთავად გადაიზრდება განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თუ კი იგი მართლაცდა თანმიმდევრული აღმოჩნდა,

რადგან საქართველოს „ჩაწოლილი“ მდგომარეობის საფუძვლიანი გამოსწორება-გაუმჯობესება ლოგიკურად მიდის კოლონიალური ჯადოსაგან მისი დახსნის აუცილებლობამდე. და უფრო კონკრეტულად, რას ნიშნავს ეს „დახსნა კოლონიალური ჯადოსაგან“? ეს ნიშნავს მიღებას დამოუკიდებელი ეროვნული კონსტიტუციისა, დანერგვას დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკისა ანუ ეკონომიკის დარგთა ისე და იმგვარად სტრუქტურირება — განვითარებას, როგორც ამას საჭიროებს საქართველოს ინტერესები, კულტურული სტრატეგიის სრულიად თვითმყოფადი გზით წარმართვას, ეროვნული არმიის ფორმირებას, და რაც მთავარია, ეს ნიშნავს, რომ მოვიპოვოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო-მმართველობითი ორგანოები — ეროვნული პარლამენტი, მთავრობა, და აქედან გამომდინარე, სხვისგან ჩაურევლად, სხვისი კარნახის გარეშე განსაზღვროთ საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსი.

მაშასადამე, ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი მოწოდების, დანიშნულების მიხედვით განმათავისუფლებელი მნიშვნელობის იქნება; მაგრამ მეორე მხრივ, ლოგიკური და ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ცხადია ისიც, რომ აღნიშნული მოძრაობა ვერ და არ შეიძენს რევოლუციურ ხასიათს, რაგინდ უჩვეულოდ უნდა გვეჩვენებოდეს ეს. ერთი შეხედვით, თითქოსდა, ყველა პირობაა იმისათვის, რომ ჩვენი ეროვნული ქმედება პერსპექტივაში მარევოლუციონიზირებელი ატრიბუტების მქონედ დავსახოთ: იგიც ხომ მოწოდებულია იყოს არა უბრალოდ ეროვნული და განმათავისუფლებელი, არამედ მადემოკრატიზირებელი და ეს უკანასკნელი არანაკლებ მნიშვნელოვანია მისთვის, ვიდრე პირველი. ერთიანი, დამოუკიდებელი და უთუოდ, დიახ, უთუოდ, დემოკრატიული საქართველო — აი, ჭეშმარიტად ქართული მოძრაობის საგულდაგულო მიზანი, ხოლო აქედან გამომდინარე, მის შორეულ და მახლობელ ამოცანებში უნდა შედიოდეს არსებული ტოტალიტარული ანუ ე.წ. საბჭოთა სოციალისტური ცხოვრების წესის ძირეული მოშლა და შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ორგანული სოციალურ-პოლიტიკური არქიტექტონიკის აგება. მაგრამ... აქ სახეზეა ერთი „მაგრამ“: დამყარდება საქართველოში დემოკრატია კლასობრივი ან ფენობრივი კონფრონტაციისა და ურთიერთგადაჯეკვის შედეგად? გაჩაღდება კი საქართველოში სამოქალაქო ომი? ეს ვერ მოხდება რადგან დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას აკისრია ვალდებულება იყოს მემკვიდრე ილიასი, მისდიოს და აღასრულოს მისი პრინ-

ციპი: უნდა გადაიჭრას შინაური პრობლემები, უნდა „გადაბრუნდეს სავენახე მიწა“, მაგრამ არა ურთიერთშეუწყნარებლობის, არამედ მაქსიმალურად ზეკლასობრივი (ზეფენობრივი) კონსოლიდაციის გზით. ქართულ ტრადიციაში ვგონებ, არაა შემონახული განმათავისუფლებელი შემართებისა და კლასობრივი ზიზღის შეზავება, სამაგიეროდ, კარგადაა შემონახული წმინდა განმათავისუფლებელი სულისკვეთება, რომელიც მზადაა ამაღლდეს ყოველგვარ სოციალურ-ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და ა.შ. ურთიერთწინააღმდეგობებზე და მთელი მახვილი დამოუკიდებლობის მტრებისაკენ მიმართოს. ეს სულისკვეთება დაადანაშაულებს ყველას და ყოველივეს, შეურიგებლად იბრძოლებს ნებისმიერის, მათ შორის ნებისმიერი კლასის ან ფენის წინააღმდეგ, თუ კი იგი საქართველოს ოკუპანტთა სამსახურში იდგება, ე.ი. შეურიგებლად იბრძოლებს წმინდა ეროვნული პოზიციებიდან გამომდინარე და არავითარ შემთხვევაში — კლასობრივიდან. და რაგინდ მიუღებელი არ უნდა იყოს ქრისტიანულად ორიენტირებული ჩვენი განმათავისუფლებელი ძალისხმევისათვის კომუნისტური იდეოლოგია, იგი დღეისათვის საქართველოში გაბატონებულ ფენას, ე.ი. პარტიულ ელიტას ვერ შეეპუება არა, როგორც კომუნისტურ და თანაც გაბატონებულ ფენას, არამედ, როგორც საქართველოს ოკუპანტთა შუამავალს. სწორედ ამიტომ იქნება ეს შეპირისპირება მხოლოდღა ეროვნული და არავითარ შემთხვევაში — რევოლუციური. კომუნისტური იდეოლოგია და სოციალიზმი ჩვენში არ დამკვიდრებულა ქართველი ხალხის თავისუფალი არჩევნის მეოხებით; იგი ქართულ მიწაზე იმპორტირებულ იქნა ბოლშევიკური კრემლის მიერ ხიშტების, რეპრესიების, ტერორების ძალით, ტაბახმელასთან დაცემულ იუნკერთა, მრავალრიცხოვან დახვრეტილთა და დევნილთა ტანჯვა-წამებისა და დაღვრილი სისხლის ხარჯზე და რაც მთავარია, ჩვენივე „ძვირფასი გმირების“ ანუ შეუდარებელი მოღალატეების ანუ წითელი რუსეთის ერთგული დამქაშების — სტალინის, ორჯონიკიძის, მახარაძის და ა.შ. დიდი გარჯითა და შემწეობით. ჭეშმარიტი პლურალიზმი გვავალდებულებს, რომ ვიყოთ ამტანნი, მომთმენნი, სხვა თვალსაზრისისადმი და მათ შორის, კომუნისტური იდეოლოგიისადმიც, მაგრამ პლურალიზმი სრულებითაც არ გვავალდებულებს კრემლის სამსახურისადმი მოთმინებას.

ვიტყვით, რომ ღმერთი დაუნდობლად არ პატიებს ერს და ადამიანს პოლიტიკაში დაშვებულ ზნეობრივ შეცდომებს და ამიტომ, როდესაც ვმსჯელობთ რევოლუციური ბრძოლის ფორმებისა და ჩვენი ეროვნული

განწყობის ურთიერთმიმართების შესახებ, უნდა ყოველთვის მხედველობაში გვქონდეს შემდეგი ვითარება: რევოლუციური ქმედება, როგორც ასეთი, ყოველთვის ატარებს თავის წიაღში მანკიერ, პათოლოგიურ ტენდენციებს, ამა თუ იმ სიტუაციაში მეტნაკლებად, რომ მჟღავნდებიან ხოლმე და არცთუ ისე იშვიათ შემთხვევებში კიდევაც არნახული მოძალებით აზვირთდებიან, იხუვლებენ და სისხლისა და ჭუჭყის შეუჩერებელი, ყოვლის წამლეკავი ჩქერების სახით გადმოხეთქავენ, იმ ჩქერებისა, რომლებიც მომდევნო, ე.წ. უძრაობის პერიოდებში სულისა და სხეულის მომწამვლელ ერთიან ჭაობად დაგუბდებიან. ამის თვალსაჩინო მაგალითს, უპირველეს ყოვლისა „ჩვენი მშობლიური" ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენს და მის გარდა შეგვიძლია მივუთითოთ სხვა მრავალ, თუნდაც საფრანგეთის დიდი, თუნდაც ჩინეთის მაოისტური ან კამპუჩიის პოლპოტისეული რევოლუციების მაგალითზე. დიახ, რევოლუციაში ყოველთვის ბუდობს ავადმყოფობის ბაცილა, რომელიც შემდგომ შეიძლება ეპიდემიად გავრცელდეს და შეიძლება მხოლოდღა ვიწრო მასშტაბის ან საერთოდ, კოსმეტიკური მავნებლობით შემოიფარგლოს, მაგრამ ერთია, რომ ბაცილა ყოველთვის ბუდობს. და თუ კი ჩვენ ეროვნულ მოძრაობას ინსტიქტური ანტიპატია აქვს რევოლუციის ფენომენისადმი, ეს იმიტომ, რომ იგი, ერთი მხრივ, მთელი სიგრძე-სიგანით ათვითცნობიერებს რევოლუციური მეთოდის, როგორც დამამხობელი ბრძოლის, არარეალურობას მოცემულ პირობებში და ამასთან ერთად, შინაგანი ცენზორი აიძულებს თავის შეკავებას ამ „არასუფთა თამაშისაგან". ყოველივე აქ თქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ თავის დროზე დასმულ კითხვას — ეგება ერთადერთი მართებული გზა ქართული ძალისხმევისთვის ის გზაა, რასაც ტრადიციულად „რევოლუცია" ჰქვია? — ჩვენ უარყოფითად ვპასუხობთ. მაგრამ აქვე ჩნდება სხვა სახის კითხვაც, კერძოდ შემდეგი: როგორად შეიძლება დავსახოთ ამ წმინდა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთოდები? რა ხერხებით, რა საშუალებეით, რა „იარაღებით" გაიკვალავს გზას ეს ბრძოლა? წარმოიდგინეთ ორი ასეთი სიტუაცია: ადამიანს სურს განთავისუფლდეს ვიღაც არამკითხე, გაკადნიერებული პირის სახეზე ყოფნისაგან, და ერთ შემთხვევაში იგი მიმართავს ე.წ. „მოიერიშე" მეთოდებს: ამხელს, უყვირის, სიტყვიერად ემუქრება მას, მოითხოვს მისგან, რომ დაუყოვნებლივ დატოვოს იქაურობა; ან შეიძლება უკიდურეს ზომებსაც კი იყენებს და ფიზიკური ძალის მეშვეობით — დატაკებით, ჯიკავით, ჯიჯგილაობით... — ცდილობს მის

გაძევებას. მეორე შემთხვევაში კი ადამიანი სრულ იგნორირებას უკეთებს აღნიშნულ პირს: აუვლ-ჩაუვლის, განზე თუ გვერდზე დგება და უყურადღებოდ ტოვებს მის ყოველ მითითებებს, დამაშინებელ დაპირებებს, თვალების ბრიალს და საერთოდ, მის თანდასწრებას. მართალია, იგი თავს არ ესხმის, არ ეხება ამ არამკითხეს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველ შემთხვევაში, მაგრამ აბსოლუტურ შეუსმენლობას გამოხატავს მისი ნებისადმი, რითაც იმედოვნებს, რომ საბოლოოდ განდევნის თავის დროზე ჭკუის დასარიგებლად მოსულ და აწ უფუნქციოდ დარჩენილ „სტუმარს". შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოსახვაში „გათამაშებული" ამ ორი მაგალითიდან პირველი არის ალეგორია მეამბოხე ქმედებისა და ვგონებ ზედმეტ კომენტარს არ უნდა საჭიროებდეს იმის მტკიცება, რომ მოცემულ პირობებში, სახელდობრ, საბჭოური სახელმწიფოს პირობებში განმათავისუფლებელი ბრძოლის ამგვარი მეთოდის არჩევა უაღრესად არარეალურ, უფრო მეტიც პოლიტიკურად გულუბრყვილო ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მოპირისპირე ძალები თავისი ფიზიკური შესაძლებლობის მხრივ არათუ უთანასწორო, უბრალოდ, არათანაზომიერნი არიან; მათი შედარება, აწონ-დაწონვაც კი სრული უაზრობაა. რაც შეეხება მეორე მაგალითს, იგი ჩვენ გამოვიყენეთ ბრძოლის იმ მეთოდის ალეგორიული წარმოჩინებისათვის, რომელსაც ჰქვია ეროვნული დაუმორჩილებლობა. „— ღამე ძილში აზრი მომივიდა, რომ ჩვენ უნდა მოვუწოდოთ ქვეყანას საყოველთაო ჰარტალისაკენ (გაფიცვისაკენ)... ჩვენი ბრძოლა წმინდაა და მე ვთქვი, რომ საჭიროა ბრძოლა დავიწყოთ თვითგანწმენდის აქტით. დე, ინდოეთის მთელმა მოსახლეობამ მიატოვოს ერთი' დღით თავისი საქმიანობა და გარდააქციოს იგი ლოცვისა და მარხვის დღედ.

... მე დავწერე მოკლე მოწოდება... ჰარტალი თავიდან დაინიშნა 1919 წლის 30 მარტს, შემდეგ კი გადატანილ იქნა 6 აპრილისათვის...

ვის შეუძლია თქვათ, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს? მთელმა ინდოეთმა კიდით კიდემდე, ყველა ქალაქმა და სოფელმა — ყველამ ჩაატარა დანიშნულ დღეს სრული ჰარტალი. ეს იყო დიდებული სანახაობა! (Ганди „Моя жизнь", изд. „Наука", Москва, 1969. стр. 397.).

ასე დაიწყო ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის ის გრანდიოზული კვირეული, რომელიც გამოწვეული იყო ბრიტანეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ „მატერორიზებელი" კანონპროექტის გამოქვეყნებით და რომელმაც შეძრა მსოფლიო. სწორედ მაჰათმა განდი — ინდოელი ხალხის მოძღვარი და გმირი, იყო ბრძოლის ამ საოცარი

მეთოდის, ე.ი. დაუმორჩილებლობის, როგორც თეორეტიკოსი, ასევე პრაქტიკოსი. იგი შემდეგნაირად მიმართავს დასავლეთ აფრიკიდან ჩამოსულ შავკანიანთა დელეგაციას: „ჩემთვის ცნობილია თქვენი სიძნელეები... თუ კი წარმოვიდგენთ აფრიკის ვეებერთელა ტერიტორიას, მანძილებს და ბუნებრივ დაბრკოლებებს, რომლებიც მის სხვადასხვა ნაწილებს ჰყოფენ, მისი მოსახლეობის განბნეულობას და საშინელ დაქსაქსულობას, ამოცანა შეიძლება მოგვეჩვენოს უიმედოდ. მაგრამ არსებობენ გრძნობანი, რომელთაც ძალუძთ დაანგრიონ ყველა ეს დაბრკოლება. როგორც კი მონა გადაწყვიტავს, რომ იგი მონა აღარ იქნება, მისი ბორკილები ძირს ვარდებიან. იგი თავადაც თავისუფლდება და სხვებსაც მიუთითებს გზას... ამიტომ, პირველ ყოვლისა, საჭიროა საკუთარ თავს უთხრა: „... მე არ დავექვემდებარები განკარგულებებს, როგორც მონა, მე მათ არ დავემორჩილები, თუ კი ისინი ჩემი სინდისის წინააღმდეგ მიდიან". ე.წ. ბატონმა შეიძლება გაგამათრახოთ... შეიძლება თქვენ იტანჯოთ. მაგრამ ტანჯვისადმი თქვენი მზადყოფნა აანთებს თავისუფლების ჩირაღდანს, რომელსაც ვერავინ და ვერასდროს ვერ ჩააქრობს". (იქვე, გვ. 562-563).

ყოველივე ამასთან ერთად დროული იქნება გავიხსენოთ განდისვე სიტყვები რევოლუციონერთა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ: „რევოლუციონერები თავისუფალნი არიან, რათა უარყონ ჩემი ფილოსოფია მთლიანად... მათ შეუძლიათ მთელი გულით მიესალმონ და ისინი ესალმებიან მუსტაფა ქემალ-ფაშას და შესაძლებელია, დე ვალერას და ლენინის მოქმედებებს. მაგრამ მათ, ისევე, როგორც მე, ესმით, რომ ინდოეთი არ ჰგავს თურქეთს, ირლანდიას ან რუსეთს და რომ რევოლუციური მოღვაწეობა ეს თვითმკვლელობაა ქვეყნისათვის... " (იქვე, გვ. 506).

ვუბრუნდებით ისევ და ისევ ჩვენ მშობლიურ წიაღს და კიდევ ერთხელ ვიტყვით: ქართული ეროვნული მოძრაობა არ და ვერ განვითარდება ე.წ. მეამბოხე მეთოდებით — შეთქმულებების, ტერორების, „ბასტილიის აღებათა", მართალია, კარგად, მაგრამ მძიმედ გამოცდილი გზით. ეს მოძრაობა გაიშლება იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც მან უკვე გადადგა არა ერთი და არა ორი ნაბიჯი, უაღრესად შთამაგონებელი, ღონიერი ნაბიჯი: 1978 წლის დაუვიწყარი გამოსვლა — კონსტიტუციის ახალი პროექტით ქართული ენისათვის სახელმწიფოებრივი უფლების წაგლეჯისადმი დაუმორჩილებლობა და... გამარჯვება; აკრძალული, „ჩაჩურთული", „გადამალული" 26 მაისის აღნიშვნა 1988 წელს (აქცია, რომელიც

განთიადის მომხიბვლელობით მარად იციმციმებს ჩვენ ეროვნულ მეხსიერებაში) და... ოფიციოზის მიერ ამ თარიღის იძულებული აღიარება; საზოგადოებრივი „აფეთქება“, რაც გამოწვეული იყო საქართველოს მიმართ კიდევ ერთი დივერსიის — ეკოლოგიური, დემოგრაფიული, პოლიტიკური დივერსიის მცდელობით და სახელდობრ, ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობით — გამარჯვება, ამ შემთხვევაშიც გამარჯვება; აქ ყველა შემთხვევას არ ჩამოვუყვებით, მაგრამ ბოლოსათვის აღვნიშნავთ მთავარს: ეროვნული მოძრაობის განსაცვიფრებელი, სწორედ რომ განსაცვიფრებელი აზვირთება 1988 წლის ნოემბერში — 12 ნოემბრის მძლავრი მანიფესტაცია და შემდეგ, ახალგაზრდების ერთკვირიანი შიმშილობა მთავრობის სასახლის კიბეებთან: ქართველი ხალხის ეს მღელვარება გამოხატავდა მის სრულ შეუპუებლობას კონსტიტუციის კანონპროექტის ანტი-ეროვნული „ზრახვებისადმი“. და რომ გაუქმდა ის მუხლი, საიდანაც ყველაზე დიდი ხიფათი მოდიოდა, ამაში ლომის წილი ქართველი კაცის თავგანწირვისაა. ჩავუკვირდეთ ჩამოთვლილ და კიდევ სხვა მაგალითებს და ნათელი შეიქნება, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ გამოღვიძებულმა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ გარკვეული გამოცდილება შეიძინა ბრძოლის ამ ფორმისა — ეროვნული დაუმორჩილებლობისა. ცხადია, მასშტაბები, ჯერჯერობით მცირეა. ცხადია, ჯერ — კიდევ, დიდია უპირატესად ცნობისმოყვარეობისა და ინფანტილური ატაცების გამო შემოერთებულია რიცხვი. მაგრამ... საგანგაშო და ხელჩასაქნევი ამაში არაფერია: ყველგან და ყოველთვის დასაწყისი ასეთი იყო. მიზანი კი ვგონებ გასაგებია: შემდგომ და შემდგომ საჭიროა დაუმორჩილებლობის მოძრაობამ მიიღოს მაქსიმალურად პერმანენტული და საყოველთაო ხასიათი. საჭიროა ტოტალური, სწორედ, რომ ტოტალური დაუმორჩილებლობა ქართველი ხალხისა, რომელიც აღნიშნული გზით ჯიუტად უარს განაცხადებს კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნაზე და ამ უარზე ბოლომდე იდგება. და თუ კი საქართველოში სასიკეთოდ გაიშლება დაუმორჩილებლობის ძალისხმევა, თუ კი ჩვენ ამ ბრძოლაში მარტო არ დავრჩებით და ე.ი. განხორციელდება ეფექტური კოორდინაცია „საბჭოეთის“ ჩაგრულ ერთა მოძრაობებს შორის, თუ კი თავის მხრივ, „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ ბოლოს და ბოლოს შეიგნებენ, რომ იმპერიული რეჟიმის არსებობა მარაზმამდე მიდის და რომ მდგომარეობა გამოუვალია, მაშინ, ვგონებ, უიმედოდ და არარეალურად აღარ უნდა გვეჩვენე-

ბოდეს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე. ვიმეორებთ, თანამედროვე ქართული ძალისხმევის შინაგან მოწოდებას ვერ ესაბამება მეამბოხე ბრძოლის ხერხები. ქართველს ამჟამად არცა აქვს შეთქმულებების, შეიარაღებული იერიშების საშუალება და რაც მთავარია, არც სწადია ეს. მაგრამ მას ყოველთვის შეეძლო უტეხი და დაუმორჩილებელი ყოფილიყო ერთხელ და სამუდამოდ მიღებული მრწამსის შენარჩუნებაში და იარაღით დაეცვა, დიახ, სწორედ, რომ დაეცვა იგი. სწორედ ასე იხსნა საუკუნეების განმავლობაში მან თავისი ენა, მამული, და სარწმუნოება. და ახლაც, ჩვენ არ გვაქვს სურვილი ვინმეს თავს დავესხათ, მაგრამ ვემზადებით, რათა ვიყოთ გაუტეხელნი, რათა ვიყოთ დაუმორჩილებელნი და თუ კი შესაძლებელი იქნება, თუ კი ამას მოითხოვს და ამის საშუალებას მოგვცემს გარემოება (რასაც მე ხაზს ვუსვამ), მომავალში იარაღითაც დავიცვათ თავი.

1988 წელი

პიროვნება, ბედისწერა, ძალაუფლება

არ არსებობს პოლიტიკა ძალაუფლების ინსტიქტის გარეშე. უფრო მეტიც, წარმოუდგენელია ყოველდღიური ცხოვრება ამ ინსტიქტის გარეშე. ცუდი აქ თავისთავად არაფერია, რადგან ძალაუფლების მოთხოვნილება ღვთისგან ნაბოძები მძლავრი სტიმულია ადამიანისათვის, და ეს სტიმული მას შეუძლია თავისთვის და საზოგადო საქმისთვის სასიკეთოდ მოიხმაროს, მაგრამ ჩვენთვის კარგად ნაცნობია ისეთი მოვლენაც, როდესაც აღნიშნული მოთხოვნილება თვითმიზნურად წარმმართველი ხდება ინდივიდის სიცოცხლისა; ან კიდევ, როდესაც იგი ეპიდემიასავით აიტანს მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასაც კი, რომელიც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ასეთი მოვლენა იშვიათობას არ წარმოადგენს. პირიქით, იგი ძალუმად ჭარბობს ისტორიაში და იმდენადაც კი, რომ არაერთი მოაზროვნის წინაშე წამოჭრილა ბუნებრივი კითხვა: ხომ არ არის საერთოდ ადამიანური ისტორია ძალაუფლების ინსტიქტთა ორომტრიალის ასპარეზი? მე თავად შორს ვარ დადებითი პასუხისაგან, მაგრამ ასეთი კითხვის წარმოშობაც სრულებით არ მაკვირვებს. ამგვარად, მოდით ყურადღება მივმართოთ სწორედ აღნიშნულ მოვლენაზე: ადამიანური ყოფიერება, რომელიც საბედისწეროდ შეპყრობილია ძალაუფლების ნებით; და ნურავის ექნება ზერელე დამოკიდებულება მის მიმართ, რამეთუ ეს ფენომენი ზედაპირული შემეცნების საგანი არ არის. იგი საერთოდ არაა ზედაპირული ბუნების, არამედ თავისი ფესვებით ყოფიერების ერთობ იდუმალ სიღრმემდე ჩადის. მე მსურს რამდენადმე ჩავუკვირდეთ ამ ფენომენს და შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ მისი ცალკეული საგულისხმო დეტალები.

ძველი ცნობების თანახმად შოტლანდიის სარდალს — მაკბეტს — სამი გრძნეული გამეფებას უწინასწარმეტყველებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც სარდალი ბრძოლის ველზე ეს-ესაა გამარჯვებას ზეიმობს თავისი მეფის მტრებსა და მოღალატეებზე. ერთგული ქვეშევრდომის გმირობით მადლიერი მეფე მას ახალი წოდებით აჯილდოებს და

პატივისცემის ნიშნად საკუთარი ამალით მასთან სასახლეში სტუმრად მიემგზავრება. მაკბეტის გულში კი ვერაგული გეგმაა დაბუდებული: უმძიმეს დანაშაულზე — მეფის მკვლელობაზე — წასვლის გზით მას გრძნეულთა წინასწარმეტყველების ახდენა სწადია. ეს არის მისი სანუკვარი სურვილი და ამავე დროს ბედისწერაც, რომელიც მას ავსულებმა ჯადოსნურად განუჩინეს. მაკბეტმა მიიღო ბედისწერა: გულის სიღრმიდან უთხრა „ჰო", კმაყოფილებით დათანხმდა მჩხიბავთა განაჩენს და იგი უმალ აღმოჩნდა სისხლხორცეულად შეკავშირებული ბუნებრივ დემონურ ძალებთან. მე ვიხსენებ ჟამთააღმწერლის ქრონიკებზე დამყარებულ შექსპირის პიესას — „მაკბეტს". ალბათ მართებულად მას ვუწოდებდი ძალაუფლების ავადმყოფობის ისტორიას — სიღრმიდან განჭვრეტილ, გამობურცულად წარმოჩენილ ცოცხალ ისტორიას. ვინ არის მაკბეტი? ვინ არის ეს დაავადებული ადამიანი? შეუპოვარი, გამჭრიახი, ძალებით აღსავსე... მისი გულის სიღრმეში ამოხეთქავს ავთვისებიანი ღივი მანიაკალური წადილისა, რომელიც შემდგომ მეტასტაზებად მოედება მთელ მის არსებას; თავით ფეხებამდე იპყრობს და ატყვევებს, უშთობს, უხუთავს სულს და გონებას. შეუნელებლად მიაქანებს დანაშაულიდან დანაშაულისაკენ: მეფის მკვლელობას მოსდევს ახალი და ახალი; ყოველმა ახალმა მკვლელობამ მას თითქოსდა სიმშვიდე უნდა მოჰგვაროს, თითქოსდა კიდევ ერთი საფრთხით გამოწვეული შფოთვისაგან; მაგრამ პირიქით: ცოდვები აჩრდილთა სახით უკან უბრუნდებიან, მის გვერდით მეზობლობენ, არ სცილდებიან. მაკბეტი განწირული ადამიანია: მისი წადილი ძალაუფლებისა არის არაცნობიერი შეუჩერებელი სწრაფვა თვითგანადგურებისაკენ.

როდესაც ადამიანი მოქცეულია ძალაუფლების იდეა-ფიქსის მაგნეტური ველის ტყვეობაში, რომელიც მაგიური მანქანებით ნარმართავს მის ფიქრებს, სურვილებს, მოქმედებებს; რომლის ირგვლივაც ისინი მოჯადოებულნი ტრიალებენ, როგორც ერთი წერტილის ირგვლივ, ეს ნიშნავს, რომ ინდივიდის სულში შემოჭრილია არაბუნებრივი დემონური საწყისი და იგი ბობოქრობს, მძლავრობს თავად ადამიანზე, უფრო ზუსტად კი — ადამიანურ ბუნებაზე ადამიანში. თავისუფლებადკარგული არსებაა ასეთი ადამიანი. საკუთარი ნების არამქონე და „მე" — წართმეული არსებაა იგი. რაღაც არაბუნებრივი ძალა, როგორც უცხო ორგანიზმი ჩასახლებულა მასში, დაჰპატრონებია მის სულსა და გონებას, თანდათანობით შთაუნთქია მისი ნება და „მე", თავი გაუსაღებია ამ

უკანასკნელებად და მსხვერპლადქცეულ ადამიანსაც გულუ-ბრყვილოდ ეჩვენება, თითქოსდა იგი თავის მოქმედებებსა და არჩევანში საკუთარი „მე"-თი და ნებით სულდგმულობს, თითქოსდა იგი თავის-თავის უფალია. სწორედ ეს არის უდიდესი ცდუნება და ილუზია! სწორედ ამაშია ეშმაკის საოცარი ფანდი! მართლაცდა, გარეგნულად ისე სჩანს, რომ ძალაუფლებისაკენ ჯიქურ მიმავალი ინდივიდი მძლავრად ამტკიცებს თავის „მე"-ს, მაქსიმალურად ამჟღავნებს ნებას და თავისუფლებას, მაგრამ... მაკბეტმა მჩხიბავთა მიერ დაწესებული ბედისწერისადმი მორჩილება ამჯობინა თავისუფლებას. მან ადამიანური ბუნება ძალაუფლების დემონურ იდეაში გაცვალა. და იგი პასუხისმგებელია თავის მოქმედებებზე, თანაც ეს პასუხისმგებლობა უდიდესია. მან ხომ საკუთარი შინაგანი თანხმობით მიიღო ეს ბედისწერა; მას ხომ გზა არ გადაუკეტია, წინააღმდეგობა არ გაუწევია მის სულში შემოჭრილი დემონური ძალებისათვის, უფრო მეტიც, სიამისმომგვრელი გულისძგერით შეხვდა გრძნეულთა წინასწარმეტყველებას. დიახ, ადამიანი ისევ და ისევ თავისი ნებით ჰკარგავს ამ თავისუფალ ნებას, როდესაც სულის კარებს უღებს დემონურ საწყისს და ე.ი. ისევ და ისევ თავის ნებით ხდება იგი, საბოლოო ჯამში, შეურაცხადი. სწორედ ამიტომ ვერ მოეხსნება მას პასუხისმგებლობა და უფრო მეტიც, მისი პასუხისმგე-ბლობა, ვიმეორებ, უდიდესია.

მაკბეტს ჰყავს ერთი ადამიანი — თავისი მრუდე საქმეების თანამონაწილე და ერთგული მესაიდუმლე. ეს არის მისი მეუღლე — ლედი მაკბეტი. — შენ გახდები ის, რაც გიწინასწარმეტყველეს და მაინც ვშიშობ, რომ ვერ აირჩევ უმოკლეს გზას უბოროტო ბუნების გამო — ამბობს იგი ქმრის მისამართით — იჩქარე აქეთ. ჩემს სულს შთაგიღვრი ყურებში და ენით აღვგვი დაბრკოლებებს გვირგვინისკენ მიმავალ შენს გზაზე. — ჩამირაზეთ შესასვლელი სიბრალულისათვის — გრძნობამორეული შესთხოვს იგი სიკვდილის სულებს — რათა სინანულის ხმით ბუნებამ ჩემი გამბედაობა არ შეარყიოს! ხედავს რა თავისივე მუხანათური ჩანაფიქრისაგან დაზაფრულ ქმრის სახეს, ხალისიანად შთააგონებს: სახით ჩამოჰგავხარ საშინელ წიგნს, ხოლო წიგნის წაკითხვა ადვილია. შენ ყველა უნდა მოატყუო — თავაზიანობა მიანიჭო საკუთარ მზერას, ჟესტებს, მეტყველებას; უნდა გამოიყურებოდე უმანკო ყვავილად, სინამდვილეში კი იყო გველი, დამალული ყვავილებს ქვემოთ. მაკბეტი ადამიანია — იგი შიშობს, ყოყმანობს, სწუხს, სინდისი ქეჯნის... მართალია მას სულ

უფრო და უფრო იპყრობს ძალაუფლების ავადმყოფური სურვილი, მაგრამ როგორც სწორედ ადამიანი, მტკივნეულად განიცდის ამ პროცესს: დიდი ტკივილებით — ეჭვებით, შიშებით, სინანულით — გზა იკვალავს მის არსებაში ეს დემონური ნება. რაც შეეხება ლედი მაკბეტს, მასზე ალბათ ძნელად ითქმის „ადამიანი". ჯიქური, უკანმოუხედავი, სულში ჩამწვდომი ნებით უბიძგებს იგი მეუღლეს ბოროტებისაკენ. დიახ, ეს ქალი ერთადერთი ჭეშმარიტად ძალის მომნიჭებელი წყაროა მაკბეტისათვის, საიდანაც იგი საზრდოობს თავისი ცოდვიანი საქმეების აღსრულებაში.

შექსპირმა ამ პიესაში გასაოცრად წარმოაჩინა ქალის როლი ძალაუფლებისაკენ სწრაფვის პროცესში. ლედი მაკბეტი — თავადაა გრძნეული საწყისის ხორციელგამტარი. ამ გამტარის მეშვეობით ზემოქმედებს ეს არაბუნებრივი საწყისი მაკბეტის სულსა და გონებაზე; და თითქოსდა დემონი სუნთქავს, ბორგავს მის გვერდით, აქეზებს და ეჩურჩულება მას საკუთარი მეუღლის სახით.

მაკბეტი უნდა დაიღუპოს. ეს გარდაუვალია, აქეთკენ ისწრაფვის იგი არაცნობიერად. დემონური ბედისწერის ძალით ატანილ პიროვნებას ილუზიები აბრმავებენ: მას ეჩვენება, თითქოსდა ძლევამოსილად ადის ძალაუფლების სხივფენილ აღმართზე, სინამდვილეში კი თავქვე მიიჩქარის და დღითი-დღე უახლოვდება თავის კატასტროფას. მჩხიბავებმა მაკბეტს დამცინავი, მომატყუებელი ორაზროვნებით უწინასწარმეტყველეს: სანამ ბირნამის ტყე არ დაიძვრება და სანამ ქალის მიერ არნაშობი არ შეგერკინება, შენი დამარცხება შეუძლებელიაო! და მაინც ირწმუნა საკუთარი უძლეველობა. მაგრამ მოხდა სასწაული: დაიძრა ბირნამის ტყეც (მტრის შეფოთლილი ლაშქრის სახით) და დედისაგან არნაშობმაც (კეისრის გაკვეთით მოვლენილმა) შურისძიების მახვილი აღმართა ტირანზე... მაკბეტი იღუპება. ლედი მაკბეტი ჭკუიდან იშლება და თავის სომნაბულურ ბოდვა-ბორიალს თვითმკვლელობით ასრულებს. ეს არ არის გარდაუვალი ფინალი ძალაუფლების საბედისწერო გზისა. ეს კატასტროფა მოიტანა იმავე დემონურმა ძალამ, რა ძალამაც აღაზევა ადამიანი...

ძალაუფლების ჟინით დამუხტული პოლიტიკა ყოველთვის ამჟღავნებს მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზის სიმპტომს: მისთვის დამახასიათებელია მკვეთრი და სწრაფი გადავარდნები ერთი უკიდურესობიდან მეორეში; ასეთი პოლიტიკით მოცული საზოგადოება ან ძლიერ აღგზნებულ მდგომარეობაში იმყოფება ან უეცარ

ნახტომს აკეთებს აპათიასა და გულგრილობაში. უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში შეინიშნება ასეთი სიმპტომი. ესოდენ გაშმაგებული, ისტერიამდე მისული კონფლიქტებიც ეროვნულ ძალებს შორის კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლა ერთ-ერთ წარმმართველ ტენდენციად გვევლინება ჩვენს მოძრაობაში. სამწუხაროდ, ასეა. რა თქმა უნდა, პოლიტიკას არ ქმნიან გულალალი ღვთისშვილები და როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, იგი, საერთოდ, წარმოუდგენელია ძალაუფლების ინსტიქტის გარეშე, მაგრამ საშიშია, როდესაც ეს ინსტიქტი ზოგჯერ წალეკვითაც კი გვემუქრება. ჩვენ ჩაბმული ვართ თამაშში, რომელსაც ხშირად თავად არ წარვმართავთ. მივყვებით დინებას, რომელსაც „სხვა“ აძლევს მოძრაობას და მიმართულებას. ჩვენ ვართ გარკვეულწილად ბრმა იარაღები ამ „სხვის“ ხელში. რა არის ეს „სხვა“? „მაკბეტი“ ტყუილუბრალოდ არ გამხსენებია, რადგან იქ მიგნებული ვრცელდება დღევანდელ საზოგადო სინამდვილეზეც. ვფიქრობ, რომ ადამიანისათვის უცხო ძალები ეპატრონებიან პოლიტიკას, რომელიც სულდგმულობს ძალაუფლების ინსტიქტებით, და ამ ძალებს, ალბათ, ბედისწერა ჰქვია. იგი ჩვენ — ადამიანებს თუ პოლიტიკის ხელშესახებ, მზის შუქზე დასანახ მწარმოებელებს — თავისებურად გვაბურთავებს, გვიყენებს, ხან იქით, ხან აქეთ დაგვატარებს და ჩვენ კი ამაყად გვგონია, რომ თავად ვართ ერთადერთი მესაჭეები პოლიტიკის ხომალდისა, რომ მივდივართ იმ გზით და იმ შედეგისაკენ, რომელიც საკუთრივ დავისახეთ. ეს შემზარავი და ერთობ იდუმალი ფაქტია, რისი გაცნობიერებაც აუცილებელია. ისმის კითხვა: გამოსავალი? როგორ ამოვხტეთ, ამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან? გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, თითქოსდა არსებობს რაღაც მზა, ერთბაშად შედგენილი რეცეპტი. მაგრამ, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვთავისუფლდეთ სულის აკვიატებული მდგომარეობისაგან და დავეჩვიოთ თავისუფალ, ჯანმრთელ აზროვნებას. საოცარი ფენომენია აკვიატებულობა, როდესაც იგი ქრონიკულადაა ფეხმოკიდებული ინდივიდის (ან მცირე თუ დიდი ჯგუფის) ფსიქიკაში, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი უმართავია საკუთარი თავისთვის, რომ მას წართმეული აქვს თვითქმედების სადავეები. იგი უძლურია გააკეთოს თავისუფალი, შეგნებული არჩევანი, არამედ ბრმად მოქმედებს აკვიატებული წარმოდგენების ძალით. ბევრმა ჩვენთაგანმა, სამწუხაროდ, თავისი გააზრებული ნებით, ძალმოსილი ცნობიერებით კი არ აირჩია გარკვეული ავტორიტეტი საზოგადოე-

ბრივ-პოლიტიკურ სარბიელზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აიჩემა იგი, ხოლო ამ ორ ცნებას შორის უდიდესი ნაპრალია. მეორე მხრივ კი არ დაუპირისპირდა ავტორიტარიზმს და მის განმასახიერებელ პიროვნებებს, არამედ აკვიატებულად მათზე ფიქრით, მათი შიშით, სიძულვილით და ლანძღვაგინებით ერთობ დაბრმავდა. ქრონიკულ აკვიატებას აქვს თავისი მიზეზი. იგი მხოლოდ და მხოლოდ შედეგია ადამიანის ფსიქიკაში ღრმად გამჯდარი და მასზე გაბატონებული უცხო, საბედისწერო ძალების, იმპულსებისა, ისევე, როგორც მაღალი სიცხე და ბოდვები — ორგანიზმში გააქტიურებული ვირუსისა. ჩვენ ვალდებულნი ვართ განვთავისუფლდეთ ამ ავადმყოფური მდგომარეობისაგან:

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენი შინაგანი მოთხოვნილების პირველ საგნად უნდა იქცეს გონივრული პოლიტიკა — სწორედ გონივრული პოლიტიკის წარმოება და დამკვიდრება საქართველოში. საჭიროა პირველ რიგში გავაცნობიეროთ უეჭველი ჭეშმარიტება: პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს უზენაესი პრეტენზიები; იგი არ უნდა გვევლინებოდეს ჩვენი ეროვნული და საზოგადოებრივი (მით უმეტეს პიროვნული) ცხოვრების უზენაესი წარმმართველის როლში. პოლიტიკა საერთოდ არ შეიძლება იყოს თვითმიზნური, რამდენადაც მას საქმე აქვს მხოლოდ და მხოლოდ ფორმებთან: „სახელმწიფოებრიობა", „დემოკრატია", „ტოტალიტარიზმი", „პლურალიზმი", „დიქტატურა" — ეს ყოველივე ფორმებია, რომლებიც ან ბოჭავენ ან კიდევ ფართო გასაქანს აძლევენ ერისა და პიროვნების არსობრივ შემოქმედებით ძალებსა და ენერგიას. ამიტომ ეროვნული მოძრაობა მეტია ვიდრე პოლიტიკა, ერი მეტია ვიდრე სახელმწიფობრიობა: ერი მარადიული ფენომენია, ისევე, როგორც ადამიანური პიროვნება; სახელმწიფოებრიობა კი — ისტორიული აუცილებლობით შექმნილი ფორმა. ახლა უფრო დავკონკრეტდეთ და გავაცნობიეროთ შემდეგიც: მოცემულ ეტაპზე, საქართველოსათვის ამ უკიდურესი შეჭირვების ჟამს, როდესაც შიდა ქართლში ომი მძვინვარებს, ხოლო აფხაზეთი კი შეიძლება ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწყდეს ჩვენს სამშობლოს, **გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს კონსენსუსის დამყარება ყველა რეალურ ეროვნულ-პოლიტიკურ ძალას შორის, როგორც უზენაეს საბჭოში, ასევე მის გარეთ.** საჭიროა მიღწეულ იქნეს გარკვეული პოლიტიკური შეთანხმება მათი მხრიდან, რაც სრულებით არ გულისხმობს ფარისევლურ ურთიერთჩახუტებასა და მარადიული ძმობის

შეფიცვას. ამ კონსენსუსმა უნდა დასახოს ერთიანი მიზანშეწონილი გადაწყვეტილებები და პრაქტიკული ღონისძიებები საქართველოსათვის ყველაზე მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ დღეს-დღეობით ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის კარდინალური მოთხოვნა და ე.ი. მთელი ჩვენი პოლიტიკური ძალისხმევის წარმმართველი ორიენტირი უნდა იყოს მოლაპარაკების დაწყების მოთხოვნა კრემლსა და ჩვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის შეუვალობის თაობაზე. სწორედ ეს უნდა იქცეს მთელი ერის მოთხოვნად და მაშინ მას უეჭველი ძალა, რეზონანსი და შედეგი ექნება.

ვიმეორებ, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე: რა არის გამოსავალი? — ერთბაშად შედგენილი რეცეპტის გამოწერა შეუძლებელი და არასერიოზულიცაა, მაგრამ აქ მითითებული „პროცედურები", ვგონებ, საგრძნობ სარგებელს მოუტანს ჩვენ ეროვნულ მოძრაობას, თუმცა იმის გულუბრყვილო იმედიც ნუ გვექნება, თითქოსდა კონსენსუსით, მოლაპარაკებებით და გონივრული პოლიტიკის იდეის დამკვიდრებით ერი და მისი საქმე ძირფესვიანად გაბრწყინდება, მადლით აივსება... მადლს მაინც სხვა, უფრო სიღრმისეული ვითარებები ანიჭებს მას.

ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, უეჭველი უნდა იყოს: ყველაზე აღმატებული სამყაროსეულ ქმნილებათა შორის ერთადერთი რამაა: ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი — თავისუფალი პიროვნება. იგია სწორედ ანტიპოდი ძალაუფლების ნებით, ანუ ბედისწერით შეპყრობილი ადამიანისა, და კიდევაც, რომ მრავალი, ათასები, მილიონები, მთელი საზოგადოება იყოს ამგვარი ბედისწერით შეპყრობილი, თუნდაც ერთი, თუნდაც მარტოდმარტო დარჩენილი თავისუფალი ადამიანი იქნება ღვთის თვალში ცხოვრების აზრისა და გამართლების მატარებელი. თავისუფლებას უდიდესი გაბედვა სჭირდება: გაბედო იყო თავისუფალი, იაზრო და იმოქმედო ისე, როგორც ამას შენი საგულდაგულო „მე", შენი კაცური სინდის-ნამუსი გკარნახობს — ეს უძნელესი საქმეა და ამავე დროს ადამიანური ღირსების მასულდგმულებელი. ბევრ რამეს დათმობს თავისუფალი ნება, თითქმის ყველაფერს — პატივს, ძალაუფლებას, ადგილს საზოგადოებაში, ოჯახურ მყუდროებას, თავად სიცოცხლეს... ხელის ძლიერი მოსმით გაარღვევს იგი უთვალავი რეფლექსების, ინსტიქტების, ჩვევების ბადეს, რომელშიც ადამიანი ყოველდღიურად გახვეუ-

ლია და რომელიც მას გენეტიკურად და ტრადიციით მოსდგამს. ადამიანის ღირსების, თუნდაც მტრის ღირსების სიყვარულმა მთელი თემის რისხვა და წყევლა-კრულვა დაატეხა ალუდა ქეთელაურს. ყველასათვის სათაყვანებელი ვაჟკაცი მოკვეთეს, სახლ-კარი დაუნგრიეს. ალუდა თავისუფალი პიროვნება იყო და საკუთარ უშინაგანეს გადაწყვეტილებას მან არ უღალატა. დიახ, როდესაც ყველა გიკიჟინებს: შენ დააშავე, შენ სტყუი, ქედი მოიხარე! და ეს საყოველთაო გაგულისება მაინც ვერ ბზარავს შიშით შენს სულს და გონებას და დარწმუნებულს საკუთარ სინამდვილეში, ძალა შეგწევს მისდიო მის ხმას — ეს არის პიროვნების, ღვთის ხატის და მსგავსების ერთადერთი გზა... ვინ არის თავისუფალი პიროვნება? სად არის იგი? არის კი საერთოდ ჩვენს ირგვლივ და მახლობლად? დღეს, როდესაც მეტნაკლებად ყველა ატანილი ვართ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფსიქოზით — ზოგი, როგორც უშუალო მონაწილე ამ ბრძოლისა, ზოგი, როგორც გულშემატკივარი და ზოგიც, შორიდან სეირის მაყურებლის სახით — ძალზე ძნელია შეამჩნიო იგი ამ აურზაურში, მაგრამ წინააღმდეგობა მხოლოდ აწრთობს და აცხოველებს ნებას. მჯერა, რომ ეს მოგუგუნე ფსიქოზი და დამთრგუნველი ბედისწერა არათუ ვერ მოაშთობს თავისუფლების სულს, არამედ პირიქით, გააძლიერებს, გააცხოველებს მას და ჩვენს მახლობლად ძალუმად დაილაპარაკებენ პიროვნებები, რომლებიც თავისუფლების სულით სუნთქავენ... სწორედ მათი მეშვეობით მოენიჭება ღვთის მადლი საქართველოს, ეროვნულ მოძრაობას, ყოველ ჩვენთაგანს... მათი მეშვეობით ვისულდგმულებთ ჩვენ.

გაზ. „საქართველო“
24 მაისი, 1991 წ.

მანკიერი წრე

1987 წლის დეკემბერში შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. იგი დააფუძნა 42 პირმა ერთ-ერთი აქტივისტის ბინაში გამართულ შეკრებაზე. ამ მოვლენას წინ უსწრებდა დუღილი ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა წრეში — განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, პოლიტპატიმრების განთავისუფლება საბჭოთა ციხეებიდან და „პერესტროიკის" პოლიტიკა ზევიდან. საზოგადოების შექმნის ინიციატორები იყვნენ გ. მამულია, გ. ჭანტურია და თ. ჩხეიძე. ხანგრძლივი და ხშირ შემთხვევაში სუმბურული კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება და პროგრამა, რომლის შინაარსს შეადგენდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მთელ რიგ ეროვნულ უფლებათა მოთხოვნები. ენა, მამული, სარწმუნოება, — ეს იქნა მიღებული საზოგადოების მთავარ პრინციპად. იმ დღეებში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იმყოფებოდნენ მოსკოვში, სადაც მოეწყო რეიგანის კარგად ცნობილი შეხვედრა საბჭოეთის დისიდენტებთან. ამიტომ მერაბ კოსტავა ჩაითვალა საზოგადოების დაფუძნების დაუსწრებელ წევრად და ცხადია, არჩეულ იქნა მის გამგეობაში. რაც შეეხება ზ. გამსახურდიას, მისი მიღების წინააღმდეგი იყო თითქმის უმრავლესობა, განსაკუთრებით კი საზოგადოების მესვეურები.

გორბაჩოვის მიერ ამ პერიოდში უკვე წამოწყებული იყო საბჭოური პერესტროიკა. იდეოლოგიის სფეროში ტარდებოდა დიდი კამპანია ე.წ. „გლასნოსტის" სასარგებლოდ, აგრეთვე სტალინიზმის და კომუნისტური რეპრესიების მხილება-დაგმობისა; მეურნეობის სფეროში — კოოპერაციის, საწარმოთა თვითდაფინანსებასა და სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის; საშინაო პოლიტიკაში — პარტოკრატიის თანდათანობითი შესუსტების, შემდგომ გაუქმებისა და ხელისუფლების დემოკრატიზაციის. გორბაჩოვს სურდა რომის იმპერიის რაღაცნაირი მსგავსი მოდელის განხორციელება — ერთიანი საბჭოთა სახელმწიფო, ოღონდ არა პარტიის დიქტატურის ქვეშ, არამედ დემოკრატიული და ე.ი. თანამედროვე წესით დამკვიდ-

რებული ხელისუფლებით. საგარეო სფეროში ფიქსირებულად მიმდინარეობდა დასავლეთთან დაახლოების ანუ რკინის ფარდის მოხსნის პოლიტიკა: თანმიმდევრულად მზადდებოდა ავღანეთიდან ჯარების გაყვანა, აღმოსავლეთ ევროპის სატელიტურ ქვეყნებზე ხელის აღება. 1987 წლის 7-10 დეკემბერს ვაშინგტონში დაიდო ხელშეკრულება სსრკ-სა და აშშ-ს შორის ბირთვული შეიარაღების ორი კლასის ლიკვიდაციის შესახებ, კერძოდ, საშუალო სიშორისა და ნაკლებად შორი მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. მაშინვე შეუდგნენ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების საკითხის განხილვას.

დავუბრუნდეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ამ დროს ეროვნული ძალების აღზევებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტობა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი და ფაქტორია ეროვნული მოძრაობისა, და სწორედ იგი ანიჭებს მას საოცარ ძალას, უანგარო, მიმზიდველ იერს. სტუდენტობამ წამოიწყო აქცია გარეჯის მონასტრის შელახვის წინააღმდეგ, რომელმაც დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა ჩვენ საზოგადოებაში; ამ აქციაში ჩაებნენ ეროვნულ-პოლიტიკური ძალები და იკისრეს მისი წარმართვა. „გარეჯი" იქცა თავისებურ სიმბოლოდ და კატალიზატორად ეროვნული ტალღის აზვირთებისა.

საინტერესოა, თუ როგორი პოზიცია ეკავა მაშინ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ხელმძღვანელობას ჯ. პატიაშვილის მეთაურობით. ფაქტია, რომ მათ აბსოლუტურად ალღო ვერ აუღეს როგორც მთელი კავშირის მასშტაბით წარმართულ პოლიტიკურ ცვლილებებს, ასევე საქართველოში მიმდინარე პროცესებს. სრული მოუქნელობა, გაღიზიანება, შეუგნებელი უკომპრომისობა და ორიენტაცია ე.წ. ლიგაჩოვის ორთოდოქსულ ფრთაზე — ასეთი იყო საქართველოს კომპარტიის მიდგომა ახალი სინამდვილისადმი. და კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუ რას იქმოდა მაშინ ზ. გამსახურდია. იგი ერთგვარ იზოლაციაში იმყოფებოდა ეროვნული ძალებისაგან იმ უნდობლობის გამო, რომელიც გამოწვეული იყო ყველასთვის კარგად ცნობილი მონანიების შედეგად. თუმცა გრძელდებოდა მისი მჭიდრო თანამშრომლობა და მეგობრობა მერაბ კოსტავასთან. ძალიან მალე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში თავი იჩინა მზარდმა წინააღმდეგობებმა. გამოიკვეთა ორი დაპირისპირებული ფრთა — ერთი მხრივ, გ. მამულიასა და თ. ჩხეიძის ლიდერობით, მეორე მხრივ, გ. ჭანტურიასი. მერაბ კოსტავა ერთგვარი

შუალედური რგოლი იყო მათ შორის და ბოლომდე ცდილობდა წინააღმდეგობების განეიტრალებას. ამ კონფრონტაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველი იყო ე.წ. „რადიკალიზმისა" და „ზომიერების" ორიენტაციათა არსებობა. მაგრამ არსებობდა სხვა საფუძველიც, კერძოდ, ფსიქოლოგიური და ე.ი. პიროვნული ხასიათის მქონე. და აი, ამ დროს „თამაშში შემოდის" ზ. გამსახურდია. სახელდობრ, დამყარდა კავშირი მასსა და ჭანტურიას შორის. მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი აქტიურად ხელს უწყობდნენ მის კვლავ ჩაბმას ეროვნულ მოძრაობაში. დადგა მომენტი და განხეთქილება გარდაუვალი გახდა. საზოგადოების გაყოფა მოხდა ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელიც გაიმართა ი. წერეთლის ბინაში. გ. ჭანტურია გამოეყო საწყის ორგანიზაციულ მთლიანობას თავისი მომხრეებითურთ, რომლებიც ჯერჯერობით უმცირესობას შეადგენდნენ და დააარსა ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — IV დასის" სახელწოდებით. ასევე შექმნა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო. ზვიად გამსახურდია შეყვანილ იქნა IV დასის გამგეობაში. ასეთი იყო ზ. გამსახურდიას კვლავ დაბრუნება ეროვნულ-პოლიტიკურ ასპარეზზე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შექმნა და ეროვნული მოძრაობის დასაწყისი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს იყო კარგი და მრავალი იმედის მომცემი დასაწყისი. მასში ჩადებული ნება და იდეა იყო მართალი და ცხოველმოქმედი, ხოლო რაც შეეხება გაყოფას, იგი მწარე შეცდომად უნდა ჩაითვალოს. სწორედ აქ იჩინა თავი იმ ქართულმა ურთიერთგაუტანლობამ, რომელმაც შემდგომ საბედისწერო განვითარება ჰპოვა. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ორგანიზაციების დაშლა-გაყოფა და პლურალისტური სპექტრის შექმნა სავსებით ნორმალური და ბუნებრივი პროცესია, მაგრამ განხეთქილება იმ ეტაპზე და თანაც მძაფრი ურთიერთმტრობის სულისკვეთებით დამძიმებული, ცხადია, რომ კარგს არაფერს გვიქადდა. ამაში ყველა ჩვენგანს მიუძღვის დანაშაული — ზოგს იმიტომ, რომ სურდა ეს განხეთქილება, ზოგსაც იმიტომ, რომ ვერაფერი იღონა მის შესაჩერებლად.

სცადა რა 9 აპრილის აღმავლობის გზაზე მყოფი ეროვნული მოძრაობის ჩახშობა პირდაპირი ძალადობის გზით და იწვნია რა ამის შედეგად მწარე პოლიტიკური იდეოლოგიური მარცხი, საკავშირო-იმპერიულმა მანქანამ არჩევანი გააკეთა სხვაგვარ ტაქტიკაზე. ფორსირებულად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოში სეპარა-

ტიზმის გაღვივებისათვის. აღნიშნული მიმართულებით მობილიზებული იყო ჯერ საკავშირო და შემდგომ რუსეთის ხელისუფლების მთელი რიგი უწყებები და პოლიტიკური ძალები. მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ამ საქმეში ეკუთვნოდათ სპეცსამსახურებს: სახელდობრ, გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოს და უშიშროების ორგანოებს. ისინი ოსტატურად მოქმედებდნენ ბრწყინვალედ შემუშავებული, კარგად გაანგარიშებული სქემებისა და ფართო აგენტურული ქსელის მეშვეობით. ცხადია, რომ ქართულ პოლიტიკური ძალისხმევას უნდა სწორად „ეყნოსა" ეს სიტუაცია და მეთოდურად ემუშავა მის საპირისპიროდ: ჩვენ გვჭირდებოდა თავდამცავი მექანიზმების ჩამოყალიბება; ჩვენ გულმოდგინედ, მოთმინებით უნდა გვეძია გზები კონფრონტაციათა განმუხტვისა და განეიტრალებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი პირუკუ წავიდა. ჩვენ არ გაგვაჩნდა არც ტაქტიკა და არც მოთმინება. ჯერ ეროვნულმა მოძრაობამ, შემდეგ პრეზიდენტმა გამსახურდიამ და ბოლოს დეკემბრის გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ არა თუ რაიმე იღონეს რუსეთის გეგმების საპირისპიროდ, არამედ ყოველნაირად ხელი შეუწყვეს წინააღმდეგობათა გაღრმავებას. რუსეთის მიერ სეპარატისტთა ამხედრების კულმინაციად იქცა ომის გაჩაღება აფხაზეთში. ჩვენ მივყვებოდით ავბედით დინებას და კიდევ უფრო ვაჩქარებდით მას.

* * *

როგორი იყო აფხაზეთში ომის დაწყების წინაპირობები?

უპირველეს ყოვლისა, სეპარატისტებმა ისარგებლეს სამოქალაქო კონფრონტაციის არსებობით საქართველოში. ე.წ. ზვიადისტთა აქტიურობა და თანაც შეიარაღებული წინააღმდეგობის ფორმით სამეგრელოში, ცხადია, რომ მათ ხელს უწყობდა ფართომასშტაბიანი ავანტურის წამოსაწყებად. შეიძლება ითქვას, რომ კონფრონტაცია სამეგრელოში გორგალივით გადაგორდა აფხაზეთში და იქიდან შემდგომ კვლავ დაგვიბრუნდა 1993 წლის შემოდგომის სამოქალაქო შეტაკებების სახით. ინტენსიურად იზრდებოდა სამეგრელოში ანტისამთავრო შეიარაღებულ რაზმთა რაოდენობა. რუსი სამხედროებიც მათ იარაღით ამარაგებდნენ მაქსიმალურად შელავათიან ფასებში. დივერსიებმა სარკინიგზო, საავტომობილო მაგისტრალებზე, ელექტროგადამცემ ხაზებზე სისტემატური ხასიათი მიიღო.

არაერთი მცდელობა იყო შეიარაღებული ოპოზიციის მხრიდან რეგიონის მთლიანად დაუფლებისა. ზუგდიდში მოქმედებდა დაუმორჩილებლობის კომიტეტი; რიხინებდა დაუფარავი ანტისამთავრობო აგიტაცია-პროპაგანდა; იმართებოდა ყოველდღიური მიტინგები. ცხადია, არძინბა უაღრესად დაინტერესებული იყო ამგვარი ბუფერული ზონის არსებობით და სწორედ ამიტომ, აფხაზეთი საიმედო თავშესაფრად იყო გადაქცეული საქართველოს ხელისუფლებისაგან „დევნილთათვის". აღსანიშნავია, რომ ომის დაწყებამდე აფხაზეთის ქართველობის დიდი ნაწილი პროზვიადისტულად იყო განწყობილი და აქ საკმაოდ ჰქონდა ფესვი გამდგარი მრგვალი მაგიდის ორგანიზაციებს. მაგრამ, ანტისეპარატისტული ტენდენციები კიდევ უფრო ძლიერი იყო. სიტუაცია სულ უფრო და უფრო იძაბებოდა და გორგალი მიდიოდა კვანძის დრამატული გახსნისაკენ. არძინბა, რომელსაც გულმოდგინედ ამუშავებდნენ და აქეზებდნენ რუსეთის პოლიტიკოსები და სპეცსამსახურები, დღითიდღე თავხედდებოდა. მან უმოკლეს ხანში ჩამოაყალიბა თავისი გვარდია, თუმცა ჯერ არამრავალრიცხოვანი და სუსტად შეიარაღებული. განხეთქილება იზრდებოდა ადგილობრივი პარლამენტის აფხაზურ და ქართულ დეპუტატიებს შორის. 1992 წლის ივნისის თვეში ჩატარდა აფხაზეთის პარლამენტის სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა 1925 წლის კონსტიტუცია, რაც საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციის უარყოფას ნიშნავდა. ცხადია, ამ სხდომას ქართულმა დეპუტატიამ ბოიკოტი გამოუცხადა. სეპარატისტებმა დაიწყეს პროცესი უცხოეთის აფხაზური დიასპორის ჩაწერისა აფხაზეთში. გამზადებული იყო სიები, პასპორტები... თბილისში ჩამოსვლაზე და საქართველოს ხელისუფლებასთან რაიმე კონსტრუქციულ დიალოგზე არძინბა უარს აცხადებდა. თვითნებობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, როდესაც 1992 წლის ივნისში აფხაზური გვარდია შეიჭრა და ძალით დაეუფლა შსს-ს შენობას. არძინბამ თბილისთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე გადააყენა შსს-ს მინისტრი გ. ლომინაძე და ამ თანამდებობაზე დანიშნა ა. ანქვაბი.

აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სეპარატისტთა მხრიდან კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერებთან, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში აღმოეჩინათ სათანადო სამხედრო დახმარება. და ეს ასპექტიც არ იყო უმართავად ამოვარდნილი რუსეთის გეგმებიდან. პირიქით, კონფედერაციის შექმნაში თავიდანვე ჰქონდათ ფეხი ჩადგმული რუსეთის სპეცსამსახურებს,

კარნახობდნენ რა გარკვეულწილად მას მოქმედებების გეზს. აფხაზეთის ომშიც კონფედერაცია გამოყენებულ იქნა როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი საქართველოს წინააღმდეგ. როდესაც სოხუმში 1991 წლის ნოემბერში ჩატარდა მთიელ ხალხთა გაერთიანების ფორუმი და სოხუმი გამოცხადებულ იქნა მის დედაქალაქად, ამ აქტში უკვე ჩადებული იყო ჩრდილო კავკასიის შეპირისპირება საქართველოსთან. დიახ, რუსეთის ინტერესებში შედიოდა, რომ აფხაზეთის ომით საქართველო ჩაბმულიყო კონფრონტაციაში არა მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის სეპა-რატისტულ ნაწილთან, არამედ მთელ ჩრდილო კავკასიასთან.

მეორე მხრივ, რუსეთის მხრიდან აქტიური წამქეზებლური მუშაობა წარმოებდა თბილისზეც. ამ საქმეში მთავარ ფიგურას წარ-მოადგენდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე გენერალი სუფიან ბეპაევი. გადასცეს რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალციხის დივიზიის შეიარაღება, რუსებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ეს ტანკებიც მალე დაიძვრებოდნენ აფხაზეთისაკენ. ბეპაევის მხარდაჭერით შეგულიანებული თ. კიტო-ვანი დარწმუნებული იყო იოლ გამარჯვებაში. საქართველოს მთავრობა ვარაუდობდა, რომ აფხაზეთში ჯარის შეყვანით, ერთი მხრივ, მოიპოვებდა ამ რეგიონის ქართველობის თანადგომას, მეორე მხრივ კი, მოიხსნიდა სამეგრელოს პრობლემებს, რამეთუ ეს კუთხეც მხარში ამოუდგებოდა მას ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში. მაგრამ ვარაუდის მეორე პუნქტი არ გამართლებულა. სახ-ელმწიფოს მეთაურთან გამართულ საგანგებო თათბირზე, რომელ-საც ესწრებოდა პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის სამინისტროს, შსს-ს, უშიშროების ხელმძღვანელობა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომუნიკაციების დაცვის მიზნით აფხაზეთში ჯარის შეყვანის თაობაზე. (**კომენტარი: სწორედ ამ თათბირზე უარყოფითი პოზი-ცია აფხაზეთში ჯარების შეყვანის თაობაზე დაიკავა საინფორმა-ციო-სადაზვერვო სამსახურის ხალმძღვანელობამ, სახელდობრ მე და ავთანდილ იოსელიანმა. ამის თაობაზე იხილეთ შემდგომ ინტერვიუებში: „როგორ დაგვაწყებინეს ომი აფხაზეთში“, გაზ. “დრონი“, 1995 წ. 8 სექტ.**). ამ გადაწყვეტილებას შემდგომ მხარი დაუჭირა სახელმწიფო საბჭოს თითქმის უმრავლესობამ. ამრიგად ეს არაორგანიზებული შეიარაღებული მასა ყოველგვარი გეგმის, უფრო მეტიც რუკების გარეშე, დაიძრა აფხაზეთისაკენ. გ. ყარყარაშვილმა ამის შესახებ წინადღეს შეიტყო, ხოლო თავდაცვის სამინისტროს

გენერალური შტაბის უფროსმა ა. ცქიტიშვილმა — რამდენიმე დღის შემდეგ, სადღაც მეგობართა წრეში. ასე დაიწყო ომი აფხაზეთში.

ცხადია, რომ აფხაზეთის ომში ჩვენი შეიარაღებული ძალები მრავალი ნაკლოვანებით იყო აღბეჭდილი: სამხედრო მოქმედებათა მართვის დაბალი დონე, ჯარის პროფესიული საბრძოლო მომზადებისა და წვრთნის უკმარისობა, უწესრიგობა მომარაგების სფეროში, სრული უდისციპლინობა, სამხედრო დაზვერვის უქონლობა. რაც მთავარია, ფაქტიურად არ არსებობდა ერთიანი ჯარი, როგორც ასეთი. და ამიტომ ხშირ შემთხვევაში ოპერაციის ბედი ამა თუ იმ შენაერთის ხელმძღვანელის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. დიახ, მინუსი ძალზე ბევრი იყო, რაც თავისთავად მარცხის ერთ-ერთ ფაქტორად იქცა. მაგრამ დაუშვებელია არ აღვნიშნოთ პლიუსებიც: უპირველეს ყოვლისა მეომართა გასაოცარი შემართება და პირადი გმირობის უხვი მაგალითები. მეორეც, დროთა განმავლობაში ჩვენი სამხედრო მოქმედებები უფრო მოწესრიგდა — დაიწყო ჯარის ჩამოყალიბების პროცესი აფხაზეთის ტერიტორიაზე: შეიქმნა სოხუმის ბრიგადა, ოჩამჩირის ბრიგადა და მთლიანი საარმიო კორპუსიც; საშტაბო მუშაობამ შედარებით სერიოზული ხასიათი მიიღო. ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა უშველებელი გამოცდილება შეიძინეს, რამდენადაც ეს იყო ნამდვილი ომი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საქართველოს წინააღმდეგ ომს აწარმოებდა რუსეთი სეპარატისტებთან და ჩრდილო კავკასიელ ინტერვენტებთან ერთად. სეპარატისტებზე მუშაობა რუსეთის დაზვერვა; სეპარატისტებს რუსეთი ამარაგებდა იარაღით, ტყვია-ნამლით, მძიმე ტექნიკით და ფინანსებით. რუსეთის სამხედრო სპეციალისტები გეგმავდნენ და წარმართავდნენ საბრძოლო ოპერაციებს. მოწინააღმდეგის რიგებში სულ უფრო და უფრო მრავალრიცხოვნად იბრძოდნენ არა მხოლოდ მოხალისეები, არამედ პროფესიონალი რუსი სამხედროები. აი, ასეთი ძალის წინააღმდეგ უხდებოდა გამკლავება ქართულ ჯარს და ვფიქრობ, რომ ამ პირობებში მან კიდევ სასწაულებრივ გაუძლო ამდენხანს მტრის შემოტევებს. მოწინააღმდეგე ჩვენს გასაცურებლად ხმარობდა ერთი და იმავე ილეთს, რომელიც შემდგომ უკვე სტერეოტიპულად იქცა: მოლაპარაკებები, ცეცხლის შეწყვეტა, სამშვიდობო ხელშეკრულება, რასაც სდევდა ჩვენს ჯარებში მძიმე დეზორგანიზაცია და ყურადღების მაქსიმალური მოდუნება. ასე იყო გაგრის დაცემის, სოხუმზე ივლისის და საბოლოო შემოტევის წინაც. ვფლობდით თუ არა ნაწილობრივ მაინც ინფორმაციებს ამ მოტყუე-

ბის შესახებ, თუ ისეთი არნახული სიბრიყვე გვჭირდა, რომ ეჭვიც კი არ გვაწუხებდა? ცხადია, რომ სიგნალებიც გვქონდა და არც ბრიყვები ვიყავით. მაგრამ კი იყო სხვა გამოსავალი სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის, გარდა სამშვიდობო ხელშეკრულებისა? ავიღოთ სოჭის საბედისწერო ხელშეკრულების წინა პერიოდი. ივლისის უმძიმესი შეტევებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მეთაურისათვის აშკარა იყო, რომ რუსეთის ძალისხმევით სოხუმს მაინც აიღებდა მოწინააღმდეგე. ამასთან ერთად თანდათანობით იწურებოდა ჩვენი ჯარის მატერიალური, ფიზიკური და მორალური რესურსებიც. სახელმწიფოს მეთაური იძულებული აღმოჩნდა, ბრმად მინდობოდა რუსეთის „სამშვიდობო საშუამავლო მისიას" — ეგების ბედს გაეღიმა და ამჯერად მაინც არ მოვეტყუებინეთ. ჩვენ გვაიძულეს, დაგვეშალა ადგილობრივი სოხუმის ბრიგადა, გაგვაყვანინეს აფხაზეთის ტერიტორიიდან ცოცხალი ძალა, მძიმე ტექნიკა — აი, უკანასკნელი ცხადია, შეცდომა იყო. ეშმაკობა უნდა გვეხმარა და ტექნიკა დაგვემალა. მაგრამ აქაც პრობლემები ჩნდებოდა: ამ დროისათვის უკვე დაიწყო გამსახურდიას მომხრე ფორმირებათა გააქტიურება სამეგრელოში და მზადება სამოქალაქო ომისათვის. ისინი მუდმივად იტაცებდნენ აფხაზეთის ქართული ჯარისათვის განკუთვნილ ტყვია-წამალს, იარაღს, ტექნიკას, რასაც მრავალი ხელშემწყობი ჰყავდა სამთავრობო შეიარაღებულ ძალებში: ექსპრეზიდენტის მომხრეები მრავლად იყვნენ სამხედრო შენაერთებშიც და შტატებშიც. ამიტომ არსებობდა საფრთხე, რომ აფხაზეთში გადამალულ ტექნიკას ოპოზიციონერები დაეპატრონებოდნენ. ხელისუფლება უაღრესად საჩოთირო და პრობლემატურ ვითარებაში აღმოჩნდა.

რით ისარგებლა მოწინააღმდეგემ, როდესაც გადამწყვეტი შტურმი წამოიწყო სოხუმზე? — 1) სამოქალაქო ომის დაწყებით დასავლეთ საქართველოში, რაც ცხადია, უაღრესად შეაფერხებდა სამთავრობო ჯარის გადაადგილებას აფხაზეთის ტერიტორიისაკენ და ძალების სათანადო მობილიზაციას. 2) სიტუაციის გართულებით თბილისში: ამ პერიოდში თავი წამოყო წინააღმდეგობამ ე. შევარდნაძესა და ჯ. იოსელიანს შორის. ყველას კარგად გვახსოვს სახელმწიფოს მეთაურის განცხადება გადადგომის თაობაზე და შემდგომი კატაკლიზმები დედაქალაქში, 3) რაც მთავარია, აფხაზეთში უკვე მოშლილი იყო ჩვენი თავდაცვითი სისტემა — არ არსებობდა ჯარი, ტექნიკა, სამხედრო მართვის ორგანოები.

ოთხმოცდაცამეტი წლის სექტემბერში გაგანია ომის დროს სოხუმიდან გაფრინდა დელეგაცია ადლერში რუსეთის საგანგებო დესპანებთან შესახვედრად. ამ დელეგაციაში იყო თავად სახელმწიფოს მეთაური, ჟ. შარტავა, თავდაცვის მინისტრი, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე: რუსეთის მხრიდან თავდაცვის მინისტრი პ. გრაჩოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე — ბ. პასტუხოვი, გენერალური შტაბის წარმომადგენლები. ისინი ჩამოვიდნენ, როგორც „შეშფოთებულნი და თანაგრძნობით აღვსილნი" ჩვენი ტრაგიკული მდგომარეობის გამო, რათა გამოეჩინათ „კეთილი ნება" უბედურების თავიდან აცილების მიზნით. აი, ასე დაგვციონოდა რუსეთი და ჩვენც იძულებულნი ვიყავით, როგორც წყალწალებულნი უკანასკნელ ხავსსაც კი მოვჭიდებოდით.

თავიდან გრაჩოვმა დაიწყო საუბარი არძინბასთან მოლაპარაკების აუცილებლობის შესახებ და რომ ისინი ამ საქმეში უეჭველ დახმარებას აღმოგვიჩენდნენ — ცხადია, ეს უკვე ჩვენი აბუჩად აგდებისა და აბსურდის ყველანაირ ზღვარს სცილდებოდა. იცოდა რა, რომ რუსებს სულ სხვა მოტივები ამოძრავებდათ, ვიდრე „სამშვიდობო მოლაპარაკების" უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მეთაურმა დროულად აგრძნობინა: მოდით შევეშვათ მასხარაობას და რეალურზე ვილაპარაკოთო. რა შეგიძლიათ გააკეთოთ სოხუმზე შტურმისა და შემდგომი ტრაგედიის შესაჩერებლად — ასეთი იყო მისი პირდაპირი მიმართვა. მაშინ კი მიხვდა რუსეთის დელეგაცია, რომ „დამალობანას" თამაში ზედმეტი იყო და გრაჩოვმა სახელდახელოდ მოატანინა აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი სადესანტო დივიზიის გადმოსროლის გეგმა, რომლის თანახმადაც, ისინი განიარაღებდნენ აბსოლუტურად ყველას სოხუმისა და ოჩამჩირის ზონებში, დაიკავებდნენ დისლოკაციის საბაზო ადგილებს და ფაქტიურად კონტროლზე აიყვანდნენ მთელი აფხაზეთის რეგიონს. დივიზიები უკვე მზად-ყოფნაში არიანო და თუკი თანხმობა იქნება, აღნიშნულ ოპერაციას დღე-დღეზე სისრულეში მოვიყვანთო. ქართულ მხარეს რამდენიმე წუთით ენა ჩაუვარდა — წარმოდგენილმა გეგმამ შემზარავი შთაბეჭდილება დატოვა. შევარდნაძემ რუსებს ტაქტიანად აუხსნა, რომ ასეთი ვარიანტი „აფხაზეთის გადარჩენისა" ქართველების მიერ აღქმული იქნება, როგორც ნამდვილი ოკუპაცია და რამდენჯერმე გაემეორა ეს სიტყვა. მან შესთავაზა სხვა ვარიანტის განხილვა, კერძოდ: სოხუმში არსებული სადესანტო ბატალიო-

ნის გაძლიერება და ამოქმედება სამშვიდობო დანიშნულებით. საბოლოო ჯამში გრაჩოვი და პასტუხოვი თითქოსდა დათანხმდნენ ამ წინადადებას, მაგრამ შეხვედრა მაინც ბუნდოვანი ფინალით დასრულდა, რადგან გრაჩოვმა განაცხადა: საჭიროა ყოველივე შევთავაზოთ რუსეთის პარლამენტის ხელმძღვანელობასთანო.

სოხუმში მალევე ჩვენთვის ნათელი შეიქმნა, რომ რუსები დანაპირების შესრულებას სრულებითაც არ აპირებდნენ. შევარდნაძე ურეკავდა ელცინს, ხაზბულატოვსაც, მაგრამ ამაოდ. ჩვენ დავრჩით მხოლოდ საკუთარი თავისა და განგების იმედზე ვეებერთელა აგრესიული მანქანის წინააღმდეგ, რომელიც საბედისწეროდ იყო მომართული ქართველთა გასანადგურებლად და საქართველოს მიწა-წყლის ოკუპაციისათვის.

ჩვენი მარცხი აფხაზეთში გაანგარიშებული იყო რუსეთის მიერ წინასწარ შემუშავებული სცენარით, რისთვისაც გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ფაქტორი: ა) ჩვენი მოტყუება ე.წ. სამშვიდობო ხელშეკრულებით, რათა გაცილებით იოლად და ნაკლები წინააღმდეგობით მოპოვებულიყო გამარჯვება; ბ) რუსეთის მხრიდან სეპარატისტებისა და კონფედერატების სათანადო უზრუნველყოფა შეიარაღებით და უფრო მეტიც, რუსი პროფესიონალი სამხედროების უშუალო მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში და მათგან წარმართვაც კი; გ) ზ. გამსახურდიას კარტის ამოქმედება და შესაბამისად, შიდა ღალატის მეშვეობით ზურგში ლახვარის ჩაცემა.

საჭიროა კარგად განვიხილოთ, ის მესამე პუნქტი. ცხადია, რომ ექს-პრეზიდენტის ჩამოსვლა სამეგრელოში აღნიშნული სცენარის მიხედვით მოხდა. იგი, უფრო სწორად, ჩამოსვეს ჩვენთან განვითარებული ბატალიების საჭადრაკო დაფაზე ისე, რომ მოვლენათა საბედისწერო მსვლელობა შეუქცევადი გამხდარიყო. ექს-პრეზიდენტი სამშობლოში გამოემგზავრა საგანგებო მისიით. მას არ უნდა დაეშვა კოდორზე მაშველი ძალის გადმოსვლა, რაც განხორციელდა კიდეც. მართალია, სოხუმი დაეცემა, მაგრამ რაც მთავარია, ბოლო მოეღება შევარდნაძის ხელისუფლებას; გამსახურდია ასეთ შემთხვევაში არსებული შეიარაღებული ძალებით გაამაგრებს გალს და ოჩამჩირეს, შემდგომ კი მთელი აფხაზეთის დაბრუნებაზეც იზრუნებს — ამგვარი მითითებებით ჩამოვიდა ექს-პრეზიდენტი და მან შესაბამისი ფარული ინსტრუქციები მისცა, როგორც თავის ერთგულ ფორმირებებს, ასევე სამთავრობო ჯარების გარკვეულ ხელმძღვანელ პირებს. დიახ, ღალატი აღმოჩნდა ერთ-ერთი ფაქ-

ტორი, რომელმაც გადაწყვიტა აფხაზეთის ომის ბედი. რუსებმა დათრგუნეს შევარდნაძე გამსახურდიას კარტის გამოყენებით; მაგრამ შემდგომ თავად ეს უკანასკნელიც გააბიაბრუეს და წაახდინეს თავისი შეპირებებითურთ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წინაშე, როდესაც მოწინაღმდეგემ ერთიანად და საოცარი სისწრაფით წალეკა ოჩამჩირეც და გალიც.

დღეს კრიზისი მძიმე ლოდივით აწევს და ახრჩობს საქართველოს. უბრალო მოქალაქის ცნობიერება მოშხამულია სასოწარკვეთილების, გაურკვევლობის განცდით. გაბათილდნენ ყველანაირი ავტორიტეტები; „ეროვნული მოძრაობა", „თავისუფლებისათვის ბრძოლა" ბევრს უკვე ალერგიულად აღიზიანებს. მარცხი რომელიც იწვნია ეროვნულმა პოლიტიკამ იმდენად თვალში საცემი, ხელშესახები და შემზარავია, რომ ამის შესახებ ფიქრიც კი ნერვებს უშლის ადამიანს. მაგრამ ეს კრიზისი ანაზდად და შემთხვევით არ ჩამოვარდნილა ციდან. იგი თანდათანობით მზადდებოდა, მწიფდებოდა ჩვენსავე წიაღში. მისი მოსვლა უწყვეტი პროცესია, რომელიც მიზეზ-შედეგთა თანმიმდევრული ჯაჭვისაგან შედგება. ამიტომ აუცილებელია მიმოხილვა და ანალიზი განვლილი გზისა. საჭიროა, კარგად გავიხსენოთ მნიშვნელოვანი ფაქტები და ფრაგმენტები ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, რათა ცხადვყოთ მთავარი მიზეზები მწარე მარცხისა. რაც მთავარია, ყოველივე ნააზრევი და ნაფიქრი ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: გავაკეთოთ უტყუარი დასკვნები; ვისწავლოთ სწორი გზით სიარული; დავეხმაროთ დანარცხებულ ჩვენს ქვეყანას წამოდგომაში. რა და რა აღმოჩნდა გადამწყვეტი ფაქტორი ჩვენი ნგრევისა? შიდა ქართული კონფრონტაცია — ეს ერთი; სეპარატიზმი — ეს მეორე; რუსული იმპერიული პოლიტიკის მიერ ამ ორი ბერკეტით მუდმივი მანიპულირება — ეს მესამე; ჩვენი სრული უუნარობა მათი მოქმედების განეიტრალებისა — ეს მეოთხე; და სწორედ წარმოდგენილ სტატიაში ნაცადია ამ ფაქტორთა რელიეფური წარმოჩენა უახლოესი წარსულის ზოგიერთი ფაქტის მიმოხილვის ფონზე. ვფიქრობ, რომ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად მაინც მოგვევლინა შიდა-ქართული კონფრონტაცია, რამდენადაც მან დიდ პოლიტიკურ ზიანთან ერთად, საშინელი ზნეობრივი დაცემაც მოუტანა ქართველ ერს. სწორედ ამიტომ მსურს ამჯერად გავიხსენო ორი მოვლენა: ეროვნული ფორუმის შექმნა და გახლეჩა, შემდეგ კი — 1992 წლის დეკემბერ-იანვრის გადატრიალება საქართველოში.

ეროვნული ფორუმი შეიქმნა 1990 წლის მარტში, და ეს საკმაოდ რაციონალური და ეფექტური ნაბიჯი იყო ეროვნული მოძრაობის მხრიდან. ფორუმი ჩამოყალიბდა, როგორც თავისებური არჩევითი ორგანო, თბილისის ფილარმონიის დიდ დარბაზში, სადაც თავი მოიყარა ჩვენი საზოგადოებრიობისა და ეროვნული ორგანიზაციების ფართო სპექტრმა. შეკრებაზე აღმავალი განწყობილება და ენთუზიაზმი სუფევდა. ამ არჩეულ საკრებულოში, რომელსაც უნდა ეკისრა ეროვნული მოძრაობის წარმმართველისა და კოორდინატორის ფუნქცია, გაერთიანდნენ შემდეგი პოლიტიკური ორგანიზაციები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ჰელსინკის კავშირი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მონარქისტული პარტია, შეიარაღებული პატრიოტული ორგანიზაციები — „მხედრიონი" და „თეთრი გიორგის კავშირი", აგრეთვე საზოგადოებრიობის (ინტელიგენციის) ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი... ამ ნოვაციის მანკიერი მხარე იმთავითვე უკვე ის იყო, რომ „ჯებირს მიღმა" ხელოვნურად იქნენ დატოვებულნი ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, სახალხო ფრონტი და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია; რაშიც კიდევ ერთხელ ვლინდებოდა ჩვენი მიკერძოებითი და კომპლექსებით დამძიმებული პოლიტიკური ცნობიერება.

პირველი სერიოზული კონფლიქტი და არეულობა ფორუმში დაიწყო „მხედრიონის" და „თეთრი გიორგის კავშირის" შეჯახების შედეგად. მინდა შეგახსენოთ, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა „მხედრიონიდან" წამოსული ბირთვის მიერ შექმნილ ფორმირებას და ამდენად ისინი მძაფრად ვერ ეპუებოდნენ ერთმანეთს. მოხდა შელაპარაკება, ჩხუბი და ბოლოს სროლები. ეს იყო პირველი გასროლა ე.წ. პოლიტიკურ არენაზე ქართველთა შორის. მაშინ ჩვენ მთელი სერიოზულობით ვერ განვჭრიტეთ, თუ რას გვიქადდა ამ გასროლის ავისმაუწყებელი ხმა.

ფაქტიურად ფორუმის გახლეჩის მთავარი მიზეზი პოლიტიკური ძალების შინაგანი სურვილი და მზაობა იყო. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს მაინც ეხება ზ. გამსახურდიასა და მის მომხრე ორგანიზაციებს; საჭირო იყო მხოლოდ საბაბი მოვლენათა დაჩქარებისათვის. მალე საბაბიც გამოჩნდა: ცხრა აპრილის წლისთავის წინა დღეს გამსახურდიას ფანატიკოსმა მომხრეებმა გადაწყვიტეს ჯ. პატიაშვილის სახლთან მოეწყოთ მორიგი ისტერიკისა და გმობის ამაზრზენი სცენა. გზად ისინი შეეჩეხნენ ი. წერეთელსა და მისი პარ-

ტიის წევრთა ჯგუფს, მათ შორის ატყდა დავა, ლანძღვა და შეხლა-შემოხლა, 9 აპრილის წლისთავის ღამეს კი ყოველივე ეს ტრიბუნაზე გადაიზარდა ურთიერთგაწევაში. ფორუმმა საჭიროდ ჩათვალა დღის წესრიგში დაეყენებინა მომხდარი ინციდენტის გარჩევა. შემდგომ უკვე ზ. გამსახურდია და მისი მომხრე ორგანიზაციები — წმ. ილია მართლის საზოგადოება, ჰელსინკის კავშირი, მერაბ კოსტავას საზოგადოება — გავიდნენ ფორუმიდან. მათ გაჰყვნენ თეთრი გიორგის კავშირი და მონარქისტული პარტიაც. ასე დაიშალა ეროვნული მოძრაობის ერთიანი ცენტრის საწყისი მთლიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ფორუმის გახლეჩის ფაქტი იყო პირველი სერიოზული სიგნალი და სიმპტომი მომავალი სამოქალაქო კონფრონტაციისა, რომლის წინასწარმეტყველებაც შეეძლო ჭკვიან კაცს.

შიდა-ქართული ანტაგონიზმის კულმინაციას წარმოადგენდა 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის სისხლიანი ბატალიები თბილისში. დადებითი მოვლენა იყო იგი თუ არა? პროგრესული იყო თუ პირიქით? ცხადია, შეფასებას ჩვენი მიმოხილვა გვერდს არ უვლის, მაგრამ პასუხი აღნიშნულ კითხვებზე ვერ იქნება მარტივი, ერთმნიშვნელოვანი და უფრო სწორედ, შეფასება გამომჟღავნდება მიმოხილვითი ანალიზის მთლიან პროცესში, დანარჩენი კი თავად მკითხველმა განსაჯოს. იმთავითვე კი ვიტყვი, რომ მას, რა თქმა უნდა, დაუშვებელია ეწოდოს „დემოკრატიული რევოლუცია" — ეს ხომ თავის მოტყუება და უფრო მეტიც, გაბრიყვება იქნებოდა. საქმე გვაქვს ტიპიურ სახელმწიფო გადატრიალებასთან, რომელიც განხორციელდა გარკვეულ ძალთა კონგლომერატის მიერ. და კიდევ: ამ მოვლენამ საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოში შემდგომ განვითარებული ტრაგიკული პროცესებისათვის.

დეკემბერ-იანვრის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო ისევ რუსეთი და კერძოდ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ამიერკავკასიის ქვედანაყოფი, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური, ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო კონტრდაზვერვის ქვედანაყოფი და რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფალნი და პოლიტიკოსები. რაში მდგომარეობდა მათი როლი? პირველი: რუსეთის პოლიტიკოსები, სპეცსამსახურები და სამხედროები რეგულარულ კონტაქტში იმყოფებოდნენ ქართველ „დემოკრატებთან", იდეოლოგიურად, მორალურად მათ მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ. მეორე: რუსეთის სპეცსამსახურებმა

აამოქმედეს საქართველოში თავისი მრავალრიცხოვანი აგენტურის ქსელი საჭირო მიმართულებით, რისი მეშვეობითაც ძირგამომთხრელი მუშაობა წარმოებდა გამსახურდიას რეჟიმის საწინააღმდეგოდ, ხოლო მის მონინააღმდეგეთათვის ზურგის გასამაგრებლად. მესამე: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქმა იარაღით და ტყვია-წამლით მოამარაგა სიგუა-კიტოვანი.

ჩვენი ოპოზიციონერები და აჯანყებული ინტელიგენციის წარმომადგენლები რეგულარულად დადიოდნენ მოსკოვში, სადაც ხვდებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკოსებს და სახელმწიფო პირებს — გ. ბურბულისს, ა. რუცკოის, ე. პრიმაკოვს, ე. შევარდნაძეს, ა. კოზირევს და ა.შ. მათი მხარდაჭერით დაიმედებულნი ბრუნდებოდნენ სამშობლოში, რათა უფრო „მძაფრი შემართებით" გაეგრძელებინათ ბრძოლა გამსახურდიას კარიკატურული ავტორიტარიზმის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ოლქის მხრიდან მთავარ ფიგურებს წარმოადგენდნენ გენერალი ბეპაევი და გენერალი ივანენკოვი, რომელიც იყო გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფის ხელმძღვანელი. მათ ჰქონდათ სრული ინფორმაცია საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ; ზედმიწევნით იცოდნენ, თუ რა ხდებოდა, როგორც პრეზიდენტის ბანაკში, ასევე — ოპოზიციის. ისინი კონტაქტში იმყოფებოდნენ სიგუასთან და კიტოვანთან. რუსეთის მთავრობისგან მიღებული სანქციით ამიერკავკასიის ოლქმა საბოლოოდ მხარი დაუჭირა შეიარაღებულ ოპოზიციას. მისცა იარაღი, ტყვია-წამალი, თბილისის ქუჩის ბრძოლების დროს რუსმა გაწვრთნილმა სამხედროებმა გარკვეულ ოპერაციებშიც მიიღეს მონაწილეობა. რუსეთის დაზვერვის ოფიცრები მოშინაურებულნი იყვნენ გვარდიასთან.

რაც შეეხება რუსეთის სპეცსამსახურის აგენტურას — იგი უხვად იყო, როგორც ინტელიგენციის, ასევე პარტიათა, ასევე გვარდიის და განსაკუთრებით „მხედრიონის" რიგებში. ეს უკანასკნელი დღიდან მისი შექმნისა, დამუშავებაში ჰყავდა განსაკუთრებულ განყოფილებას (ანუ სამხედრო კონტრდაზვერვას), რომელმაც რეგულარულად აგზავნა რა „მხედრიონში" თავისი მსტოვრები, საბოლოოდ გამოტენა იგი აგენტურით.

ასე, რომ რუსეთმა მთელი ეს ვეებერთელა რესურსები აამოქმედა სახელმწიფო გადატრიალების ხელშენყობის მიზნით.

და ბოლოს, გამსახურდიას რეჟიმის დამხობისათვის საჭირო პროპაგანდას ეწეოდნენ მთელ მსოფლიოში რუსეთის პოლიტიკოსები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სპეცსამსახურები.

დიახ, რუსეთი აღმოჩნდა გადამწყვეტი შემადგენელი იმ კონგლომერატისა, რომელმაც განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება. რაც შეეხება სხვა შემადგენელ ძალებს, ესენია 1) გვარდიამხედრიონი და მათი ლიდერები: თ. კიტოვანი, თ. სიგუა, ჯ. იოსელიანი. 2) ინტელიგენციის ფართო წრე. 3) ოპოზიციური პარტიები. ობიექტურობა გვავალებს აღვნიშნოთ, რომ ამ შიდა ქართული ძალების ერთ-ერთი მამოძრავებელი მოტივი ჰუმანისტური პათოსიც იყო, სახელდობრ შეუგუებლობა გამსახურდიას ავტორიტარიზმთან, რომელმაც საზიზღარი ფსიქოზი დანერგა ირგვლივ. მაგრამ, სამწუხაროდ, ოპოზიციის მოქმედება კიდევ უფრო მეტად სხვა შინაგანი ფაქტორებით იყო განპირობებული. მისი პოლიტიკური უმწიფრობა ცხადად გამომჟღავნდა, როდესაც გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლამ თანდათანობით მიიღო გონებადაბნელებული გაგულისების ხასიათი. იზრდებოდა რა მასიური ფსიქოზის ტალღა, ოპოზიციას მთლიანად უღალატა საღმა აზრმა და გაბოროტებული აღტკინების ინერციას აყოლილი, იგი იქცა ძმათამკვლელი ომის ფლაგმანად. ინტელიგენცია მოგვევლინა ყველაზე მეტად რადიკალურად განწყობილ ძალად და მან უყოყმანოდ მიიღო შეიარაღებული ბრძოლის გზა, მაშინ, როდესაც პოლიტიკურ პარტიებში ეს საკითხი სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობასთან და ჭოჭმანთან იყო დაკავშირებული. ჩვენმა ინტელიგენციამ, რომელსაც გამსახურდია ყველანაირად ავიწროებდა და უწოდებდა „წითელ ინტელიგენციას“ სისხლხორციული გაბოროტებით ასწია ანტიზვიადიზმის დროშა. ამ ფენის წარმომადგენელთა აქტიურობა აგრეთვე დიდწილად განსაზღვრა მათმა „ღვიძლმა სიყვარულმა“ და ბიოგრაფიულმა კონტაქტებმა რუსეთთან და რაც მთავარია იმ ფართო აგენტურამ, რომელსაც საბჭოთა სპეცსამსახურები ათწლეულების განმავლობაში მეთოდურად და გეგმაზომიერად ამრავლებდნენ ინტელიგენციის წიაღში. რაც შეეხება ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, ისინი საკმაოდ ფართო სპექტრს შეადგენდნენ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მონარქისტული პარტია, რესპუბლიკური პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, ლიბერალები, მწვანეთა პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ქარტია 91, სახალხო ფრონტი, ილია

ჭავჭავაძის საზოგადოება, კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია. ეს ძალები ერთიანი ფრონტით აწარმოებდნენ ბრძოლას გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ. მართალია, ზოგიერთი ამ პარტიათაგან არ ეთანხმებოდა შეიარაღებული ბრძოლის გზას, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია: ფაქტიურად ყველამ ღიად თუ ფარულად დასტური მისცა, ხელი შეუწყო თბილისში დატრიალებულ ტრაგიკულ ბატალიებს, არათუ რეალურად წინ აღუდგა მას. და მაინც ოპოზიციის კონგლომერატიდან პარტიები ყველაზე სერიოზულ მოვლენას წარმოადგენდა, რომელთა ბრძოლაც ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ სხვებზე მეტად ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს და პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. მაგრამ საბოლოო ჯამში მათ მოქმედებაში თავი იჩინა პოლიტიკურმა უმწიფრობამ, არარაციონალიზმმა, ფსიქოზურმა სულისკვეთებამ, რამაც განსაზღვრა მათი ძალისხმევის ავბედითი განვითარება.

მთავარი ძალა კი, რომელმაც იარაღით მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, იყო გვარდია — მხედრიონი და მათი ლიდერები. ამ შემთხვევაშიც ჩვენ არ შეიძლება დავუკარგოთ მათ ჰუმანისტური პათოსი დემოკრატიისათვის ბრძოლისა. მაგრამ გაცილებით მეტი წონა და მნიშვნელობა ენიჭებოდათ სხვა მომენტებს: პირველ ყოვლისა, რუსეთის სპეცსამსახურების და სამხედროების აქტიურ წამქეზებლურ როლს; მეორე — პირად გამწარებას, სიძულვილს პრეზიდენტის მიმართ და ბოლოს, კრიმინალურ-მაფიოზურ ელემენტებს, რომლითაც სულდგმულობდა, როგორც კიტოვანის ძალა, ასევე „მხედრიონი“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამსახურდიას ჩამოგდება ტახტიდან განაპირობა ოპოზიციის მამოძრავებელი შინაგანი ფაქტორების საკვირველმა ნაზავმა — პოლიტიკურმა უმწიფრობამ, გონებადაბნელებულმა გაბოროტებამ, ხელისუფლების წადილმა, ფარულმა აგენტურულმა ზრახვებმა, კრიმინალურ-მაფიოზურმა მოტივებმა და დიახ, დემოკრატიისათვის ბრძოლის კეთილმა ნებამაც.

არავის ეგონოს, რომ დეკემბერ-იანვრის სისხლიანი მოვლენების შეფასებისას ჩემი თავი მხედველობაში არ მყავდეს. თითქოსდა თავად სუფთად და პირწმინდად ვიდექი იმ ცოდვის მორევში. პირიქით, ყველა ის მწარე შეფასება, რაც პოლიტიკურ ძალებზე ითქვა, ცხადია, მეხება მეც და ჩვენ ყველამ თანაბრად უნდა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა მომხდარ ტრაგედიაზე. საერთოდაც ამ სტატიაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებში ეროვნულ-პოლიტიკურ

ძალთა ხარვეზების, მანკიერებების შესახებ, უთუოდ, საკუთარ თავსაც ვგულისხმობ, და მე ისევე მიმიძღვის დანაშაული საბედისწერო შეცდომებში, როგორც ბევრ სხვას. ამასთან დაკავშირებით მსურს რამდენიმე შტრიხით მოვხაზო ჩემი ე.წ. პოლიტიკური „მოღვაწეობა" სახელმწიფო გადატრიალების წინა პერიოდში.

მე ერთმნიშვნელოვნად ოპოზიციაში ვიდექი და ვიზიარებდი იმ აზრს, რომ გამსახურდიას ხელისუფლება მავნე და დამღუპველია საქართველოსათვის. ამჟამადაც ეს აზრი უტყუარ ჭეშმარიტებად მიმაჩნია. რაც შეეხება ოთხმოცდათერთმეტი წლის სექტემბრიდან დაწყებულ მოვლენათა ქარტეხილებს, აქ ჩემი პოზიციები არაერთმნიშვნელოვან და ცვალებად ხასიათს ატარებდნენ. როდესაც თბილისში მასიური გამოსვლები დაიწყო პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, გაიმართა მჯდომარე გაფიცვები, აღიმართა ბარიკადები, ჩემთვის ნათელი შეიქმნა, რომ ვუახლოვდებოდით სამოქალაქო ომს. მაშინ მე ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგი გამოვედი მოვლენათა ამგვარი განვითარებისა: მიმაჩნდა, რომ ამ დონეზე მისული კონფრონტაცია ქართველთა შორის, რომელიც უთუოდ რუსეთის გეგმებს აკმაყოფილებდა, დამღუპველი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი პერსპექტივებისათვის. ეს პოზიცია მე არაერთხელ გამოვთქვი მიტინგებზე, შეკრებებზე, ტელევიზიით და პრესით. ერთი ხანობა აქტიურად მხარს ვუჭერდი ეროვნული ყრილობის მოწვევის იდეას, რომლის შედეგად ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნა უნდა მიღწეულიყო. მაგრამ, ამ იდეამ არავითარი გასაქანი და რეზონანსი არ ჰპოვა. ოქტომბერ-ნოემბერში სულ უფრო მტკიცედ მიყალიბდებოდა შეხედულება, რომ ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევისა და საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის მიზნით აუცილებელია ე. შევარდნაძის პოლიტიკური უნარის, ძალის და ავტორიტეტის გამოყენება. ეს შეხედულებაც დაუფარავად გამოვთქვი პრესის ფურცლებზე. ე. შევარდნაძეს მე რამდენიმეჯერ შევხვდი მოსკოვში. საკითხი, რომელიც პირველსავე შეხვედრაზე მსურდა დამეზუსტებინა, ეხებოდა რუსეთ-საქართველოს მიმართების თაობაზე მის პოზიციებს. მე თავიდანვე ხაზი გავუსვი, რომ გამსახურდიას ხელისუფლების ავკარგიანობა არ მიმაჩნია მთავარ პრობლემად და უპირველეს ყოვლისა მაინტერესებდა ე. შევარდნაძის მყარი შეხედულებები საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხის ირგვლივ. აღვნიშნე, რომ სწორედ მის პოლიტიკურ უნარს და საერთაშორისო ავტორიტეტს

შეეძლო უაღრესად სასარგებლო საქმე გაეკეთებინა საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც მთავარია, რუსეთის ორბიტისაგან საქართველოს მოწყვეტისა და დასავლეთის სამყაროს სარბიელზე მისი გაყვანის მიზნით. ე. შევარდნაძის ხანგრძლივმა და ჩამოყალიბებულმა მსჯელობამ აღნიშნულ საკითხებზე სრულად დამაკმაყოფილა და არც ერთი პუნქტი არ ყოფილა ისეთი, სადაც შეიძლება ეჭვი შემპარვოდა, რომ მელაპარაკებოდა ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერი და კრემლის იერარქიებზე გამოზრდილი კაცი. შემდგომ ჩემი კითხვები და მსჯელობები ეხებოდა საქართველოში არსებული ხელისუფლების პრობლემებს. აქაც ჩვენ თანხმობა და ურთიერთგაგება გვქონდა. თუმცა მან შენიშნა, რომ გამსახურდიასთან დასაპირისპირებლად იგი არ გამოდგებოდა. შემდგომ ვიმსჯელეთ ეროვნული ყრილობის იდეაზეც. ასეთი იყო ჩვენი შეხვედრის ძირითადი შინაარსი.

დეკემბერში, როდესაც უკვე აშკარა შეიქნა სისხლიანი კონფლიქტის გარდაუვალობა, მე მხარი დავუჭირე ოპოზიციის მხრიდან შეიარაღებული ბრძოლის გზას. **(კომენტარი: აქ მე ვგულისხმობ, რომ შინაგანად თანავუგრძნობდი ოპოზიციას დეკემბერ-იანვრის კონფლიქტის დროს. თუმცა თვით 1991 წლის 21 დეკემბრის ღამეს მე ამაოდ შევეცადე, რათა მოლაპარაკების გზით განმუხტულიყო შექმნილი ვითარება და ამ მიზნით გადავედი უზენაეს საბჭოს შენობაში და შემდგომ პრეზიდენტის მომხრეების მიტინგზეც გამოვედი).** ჩავთვალე, რომ განზე დგომა და „უცოდველი" ნეიტრალიტეტი ამორალური და აპოლიტიკური პოზიცია იქნებოდა ჩემი მხრიდან. სწორედ ეს იყო მიუტევებელი შეცდომა. ეს იყო ჩემი პოლიტიკური უმწიფრობა, დილეტანტიზმი და დანაშაულიც. ჩვენ, რომ ნამდვილი მოქალაქეები და პატრიოტები ვყოფილიყავით მოვლენათა საბედისწერო დინებას კი არ ავყვებოდით და არც უზნეოდ გავდგებოდით განზე, არამედ, მტკიცედ, შეუპოვრად დავიცავდით ერთადერთ სწორ პოზიციას ძმათამკვლელი ომის თავიდან არიდების შესახებ და რაც მთავარია, მთელი ძალღონით, სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებდით ამ სიმართლის გამარჯვებისათვის.

საბოლოო ჯამში ვიტყვი შემდეგს: ცხადია, რომ საქართველო უნდა განთავისუფლებულიყო გამსახურდიას ავტორიტარული რეჟიმისაგან, რომელიც მახინჯი პირმშო იყო პოსტკომუნისტური სინამდვილისა და რომელიც კარგს არაფერს გვიქადდა მომავალში.

მაგრამ ეს პროცესი გარდაუვალად განხორციელდებოდა ბუნებრივი და მშვიდობიანი ფორმით. დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებამ და ე.ი. ძალადობის გზამ კი მოგვიტანა შემდგომ უბედურებათა დაწყევლილი ჯაჭვი: კრიმინალური ელემენტების პარპაში, სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ტრაგედია და კვლავ დაჩოქება რუსეთის წინაშე — ყოველივე ეს ლოგიკური შედეგია საბედისწერო სისხლიანი ბატალიებისა საქართველოს დედაქალაქში.

* * *

ცხადია, რომ თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო პროცესები სულ უფრ და უფრო მეტად განსაზღვრავენ ქვეყნის ცხოვრებისა და განვითარების ბედს. პიროვნება, ეთნოსიც, გინდა ცალკეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნიც ფატალურად მოქცეულია ძალთა მოქმედების ველში, რომელსაც გლობალური პოლიტიკური რეალობა ჰქვია და თავის მოძრაობაში თუ მდგომარეობაში მჭიდროდ განიცდის ამ ველის ზეწოლას. ბუნებრივია, რომ გამონაკლისი ვერც საქართველო იქნება. მისი დღევანდელი მდგომარეობის, შემდგომი პერსპექტივების სრულფასოვანი გაცნობიერება შესაძლებელია მხოლოდ საგარეო პოლიტიკური ხდომილებების ფონზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად აისახებიან ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალზე და განაპირობებენ მას. სწორედ ამიტომ თვალს გადავავლებთ უახლოეს წარსულში გათამაშებულ გარკვეულ საერთაშორისო მოვლენათა დინამიკას; შევეცდებით სათანადო დასკვნების გაკეთებასაც.

1992 წლის 25 ივნისს სტამბოლში ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის, საბერძნეთის, საქართველოს, სომხეთის, თურქეთისა და უკრაინის სახელმწიფოს და მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაციას. ეს ახლად შექმნილი გაერთიანება თავის ჩანაფიქრში უნდა იქცეს ევროპის საერთო ბაზრისა და ევროგაერთიანების მსგავს ორგანიზაციად, რომლის ამოცანასაც შეადგენს მონაწილე ქვეყნებს შორის ფართო მრავალმხრივი და ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება ეკონომიკის, მეცნიერება-ტექნოლოგიის და გარემოს დაცვის სფეროებში, თუმცა არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ურთიერთქმედებასაც პოლიტიკისა და უშიშროების სფეროებში. გაერთიანება მიზნად ისახავს „რათა შავი ზღვა გადაიქცეს

მშვიდობის, სტაბილურობის, წარმატებისა და აყვავების ზღვად“ (ციტატა დეკლარაციიდან) და იგი წარმოადგენდეს კიდევ ერთ ნაბიჯს ერთიანი ევროპული ეკონომიკური სივრცის ფორმირებისათვის. მომდევნო შეხვედრებზე გადაწყდა ამ ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის ჩამოყალიბება და აგრეთვე შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის შექმნაც. რაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, გასული წლის დეკემბერში სოფიაში ჩატარებულ შეხვედრაზე საქართველოს მიულოცეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის თავმჯდომარეობა რვა თვის განმავლობაში.

1993 წლის ივნისის დასაწყისში შედგა საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ყაზახეთსა და ჩინეთში. გარდა იმისა, რომ ორივე ქვეყანასთან დაიდო მთელი რიგი ხელშეკრულებებისა თანამშრომლობის შესახებ, მოლაპარაკების ერთ-ერთ მთავარ თემას შეადგენდა ე.წ. ევრაზიული კონცეფცია, ანუ ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობისათვის საფუძველის ჩაყრა. ნაზარბაევის მიერ შემოთავაზებული იქნა ევროპისა და აზიის ქვეყნების დაახლოების ოთხეტაპიანი პროცესის იდეა. ამის შემდგომ შედგა ე. შევარდნაძის მნიშვნელოვანი ვიზიტი გერმანიაში.

უკვე კარგა ხანია საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლები გულმოდგინედ ეძებენ გზებს ფართოპლანიანი ფუნდამენტური შეთანხმებების მისაღწევად. გასული წლის 19-20 იანვარს განხორციელდა საქართველოს სამთავრობო დელეგაციის უმაღლესი დონის ვიზიტი ე. შევარდნაძის მეთაურობით თეირანში. დელეგაცია მიიღო ირანის ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ. ხელმოწერილი იქნა 17 დოკუმენტი. ე. შევარდნაძემ და ჰ. რაფსანჯანიმ ხელი მოაწერეს 22 მუხლისაგან შემდგარ დეკლარაციას საქართველოსა და ირანს შორის მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ. ვიზიტის შედეგების განხილვისას ირანის ადგილობრივი გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ „ირან-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა თვისობრივად ახალ ფაზაში გადადის“.

სწორედ, რომ აქ აღნიშნული მოვლენები საერთო კომპლექსში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებთან ერთად, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალისათვის მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, გამოხატავდნენ საქართველოს დამოუკიდებელ საგარეო პოლი-

ტიკურ კურსს. ჩვენ ჩაბმას ამ ახალ საერთაშორისო მიმართულებებში უნდა თავისებურად დაებალანსებინა რუსეთ-საქართველოს უაღრესად რთული, არაერთგვაროვანი ურთიერთობები, რათა ამ უკანასკნელს ცალსახად არ გადაეხარა თავისკენ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ცხოვრების ღერძი და ჩვენ კვლავ ერთმნიშვნელოვნად რუსეთზე არ ვყოფილიყავით მიბმული. ევრაზიის დერეფნის თაოსნობაც, თეოკრატიული ირანისაკენ ფანჯრის გაჭრაც, და რაც მთავარია, შავი ზღვის აუზის ინტეგრაციაც უმნიშვნელოვანესი ეტაპებია საქართველოს პოლიტიკური ნაბიჯებისა, რომელთა მეშვეობით იგი საკუთარ, შეუცვლელ ადგილს და ფუნქციას დაიმკვიდრებდა გლობალურ საერთაშორისო რეალობაში. მაგრამ ამ ნაბიჯების ღირებულება დიდწილად გაუფასურდა, როდესაც ჩვენ კვლავ „ძველი, კარგად ნაცნობი უფროსი ძმის" კალთას მივეკედლეთ. ამოვყავით თავი რა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ანუ ახალ პრორუსულ კონგლომერატში, ჩვენ ამით უარი ვთქვით დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ კურსზე, ე.ი. საერთაშორისო სინამდვილეში საკუთრივი, შეუცვლელი ფუნქციის შესრულებაზე.

ჩვენი ქვეყნის პერსპექტივებისათვის უაღრესად უარყოფითი როლი ითამაშა გასული წლის ზაფხულში აზერბაიჯანში დატრიალებულმა მოვლენებმა. სახელმწიფო გადატრიალება აზერბაიჯანში განხორციელდა უშუალოდ რუსეთის ინსპირაციით, ხელშეწყობითა და სცენარის მიხედვით. სახელდობრ, იგი განპირობებული იყო, ერთის მხრივ, აზერბაიჯანის სამხედრო წარუმატებლობებით სომხეთთან ომში, რის შედეგად მკვეთრად იზრდებოდა მოსახლეობასა და პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილება ელჩიბეის ხელისუფლებისადმი, მეორე მხრივ დიდძალი შეიარაღების გადაცემით აჯანყებული ფორმირების მეთაურისათვის — ს. ჰუსეინოვისათვის, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა რუსეთის გენერალიტეტთან და ბოლოს, ალიევის კარტის ამოქმედებით. 1993 წლის 21 სექტემბერს აზერბაიჯანი შევიდა სნგ-ს შემადგენლობაში. სნგ-ს გარეთ მყოფი საქართველო ეულად დარჩა ამიერკავკასიაში — მის ირგვლივ საბოლოოდ შეიკრა რუსეთის ვასალური სივრცის რკალი.

აზერბაიჯანის მოვლენების შემდგომ რუსეთმა საქართველოც აიძულა დაბრუნებოდა მის „დედობრივ წიაღს" აფხაზეთის მოწყვეტის, საყოველთაო შიმშილის შედეგად და რაც მთავარია გამსახურდიას გამარჯვების შიშის ქვეშ. ამით რუსეთმა დაასრულა ამიერკავ-

კასიის „ოკუპაციის ციკლი“. მაგრამ გავიხსენოთ, თუ რა უმნიშვნელოვანესი პროცესები მიმდინარეობდა ჩვენ დიდ მეზობელ ქვეყანაში, როგორც საქართველოს თანამეგობრობაში შესვლის წინ, ასევე ლოგიკურად მის შემდგომ.

1993 წლის სექტემბრის ბოლოს რუცკოიმ თავისი თავი რუსეთის პრეზიდენტად გამოაცხადა და დანიშნა რიგი მინისტრებისა. 2 ოქტომბერს პარლამენტის მომხრეებმა მოაწყვეს უწესრიგობანი მოსკოვის ცენტრში. 3 ოქტომბერს დემონსტრანტებმა და „მშრომელი მოსკოვის“ ბოევიკთა კოლონამ გაარღვია მილიციის კორდონი და მივიდა თეთრ სახლთან. მალე მათ დაიკავეს მერიის შენობა და რუცკოის მოწოდების თანახმად დაიწყეს ტელეცენტრ „ოსტანკინოს“ შტურმი. ამავე დღეს ვიცე-პრემიერმა გაიდარმა მოუწოდა მოსკოველებს გამოსულიყვნენ ქუჩებში და დაეცვათ პრეზიდენტი ელცინი. ოთხ ოქტომბერს დილით მოსკოვში შევიდნენ ჯარები, ალყა შემოარტყეს და ცეცხლი გაუხსნეს თეთრ სახლს და ამ გზით აიძულეს აჯანყებულები, რათა დანებებულიყვნენ. ოფიციალური მონაცემებით ოქტომბრის მოვლენების დროს დაიღუპა 148 და დაიჭრა 600-ზე მეტი კაცი. თითქოსდა დემოკრატიულ ძალთა გამარჯვება რეაქციაზე რუსეთში ამჯერად მაინც უტყუარი და საბოლოო იყო, მაგრამ... გასული წლის დეკემბრის არჩევნების შედეგებმა, კერძოდ, კი ჟირინოვსკის პარტიის ესოდენ ფართო მხარდაჭერამ მოსახლეობაში, მნიშვნელოვანმა საარჩევნო წარმატებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ რუსეთში საკმაოდ მძლავრია ნაციონალისტურ-იმპერიული ტენდენციები და რომ დემოკრატია პერმანენტულად საფრთხის წინაშე დგას. ითვალისწინებენ რა ამ სერიოზულ საფრთხეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქტიური ნაბიჯები გადადგა ერთგვარი დამაზღვეველი ზომების მისაღებად: ჯერ-ერთი სერიოზულად დაიწყო განხილვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში მიღების საკითხისა; მეორე — რუსეთის წინაშე დაჟინებით იქნა დასმული მოთხოვნა ლატვიიდან და ესტონეთიდან საოკუპაციო ჯარების დროული გაყვანის შესახებ; და რაც მთავარია, ამერიკის შეერთებული შტატები წავიდა რუსეთთან ძალზედ მჭიდრო პარტნიორობაზე დემოკრატიული ხელისუფლებისა და რეფორმათა სერიოზული მხარდაჭერის მიზნით. ეს დაფიქსირდა აშშ-ს და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრაზე, რომელიც ამა წლის იანვარში მოსკოვში შედგა. მიღწეულ იქნა ისტორიული შეთანხმება ორი ქვეყნის სტრატეგიულ ბირთვულ სარაკეტო დანადგართა გადამიზნების

შესახებ, რითაც დასრულდა ამერიკა-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია. წერტილი დაესვა ცივი ომის ეპოქას. ორი ზესახელმწიფოს მიერ განიხილება ერთიანი უშიშროების სისტემის შექმნა ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველომ დღესაც და მომავალშიც უნდა მჭიდროდ ითანამშრომლოს და იმეგობროს თავის დიდ ჩრდილოელ მეზობელთან; უფრო მეტიც, აუცილებელია გაითვალისწინოს მისი, როგორც ზესახელმწიფოს, სტრატეგიული ინტერესები. მაგრამ, რაც შეეხება ცალსახა პრორუსულ ორიენტაციას, იგი უაღრესად სახიფათო და არამიზანშეწონილია ჩვენი ქვეყნისათვის. რატომ? რუსეთი პოლიტიკურად მაინც არასტაბილური ქვეყანაა; მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მისი დემოკრატიული გზით განვითარების პერსპექტივა, და რეალურად არსებობს იქ ნოყიერი ნიადაგი ულტრა-ნაციონალისტური ძალების აღორძინებისა. ამას დღევანდელობაც მოწმობს. გარდა ამისა, აშკარაა, რომ რუსეთი ეცდება ახლადფორმირებული CHГ თანმიმდევრულად შეადუღაბოს თავის ირგვლივ, საიდანაც „დაძრომა" დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო შეუძლებელი გახდება. ეს კი ჩვენი დამოუკიდებლობის პრეტენზიებზე უარის თქმას ნიშნავს. ვფიქრობ, რომ ხაზბულატოვ-რუცკოის ამბოხის მარცხი ჩვენთვის გაცილებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა „თანამეგობრობაში" შესვლის გარეშე რუსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად, ვიდრე მოსკოვის ოქტომბრის ბატალიებამდე, როდესაც რეაქციონერთა პოზიციები უაღრესად ძლიერი და გავლენიანი იყო. ამასთან ერთად დემოკრატიულ ძალთა გამარჯვებამ ბუნებრივად მოიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედების გაძლიერება რუსეთზე და ამითაც, ცხადია, შეგვეძლო უკეთ გვესარგებლა. მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა პირუკუ მოიქცა: CHГ-ში შევიდა სწორედ მაშინ, როდესაც მოსკოვის სასიკეთო მოვლენების შედეგად ჩრდილოეთიდან საფრთხე შედარებით შენელდა და რაც შეიძლება დაგვეკარგა აფხაზეთის ომში, დროებით უკვე დავკარგეთ.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა სამოქალაქო ომის ფაქტორი: აბა დროზე შევასწროთ სნგ-შიო, თუ არადა ხვალ-ზეგ გამსახურდია შემოვა თბილისში, ხომ ვხედავთ, სხვა გამოსავალი არც არისო! — იყო კი სხვა გამოსავალი? რათა საკუთარი თავი შეენარჩუნებინა და გაემარჯვა სამოქალაქო ომში, ცხადია ხელისუფლება რუსეთს ყველა პირობაზე უნდა დათანხმებულიყო; მაგრამ

ქვეყნისათვის არსებობდა ომის აცილების სხვა გზაც: ე. შევარდნაძის და ექსპრეზიდენტის განცხადებები სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე უარის შესახებ, რაც სამოქალაქო კონფრონტაციის მოხსნის საწინდარი გახდებოდა და რაც საავსებით რეალური იყო მიზანმიმართული მუშაობის ჩატარების შემთხვევაში. „თანამეგობრობაში" შესვლა ერთადერთ ხსნას წარმოადგენდა საქართველოს ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ არა საქართველოსათვის.

ვიმეორებ, რომ საქართველოს დღესაც და მომავალში უნდა მჭიდრო, საიმედო ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან და ანგარიში გაუწიოს მის სტრატეგიულ ინტერესებს. მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს განვითარების სასიკეთო პერსპექტივა რუსეთის ნეოკოლონიალურ სივრცეში კი არ გადის, არამედ საგარეო-პოლიტიკურ მიმართულებათა ურთიერთდაბალანსებულ კომპლექსში. სახელდობრ, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია შავი ზღვის ალიანსში მონაწილეობა. ეს უკანასკნელი თუმცა ახლადფორმირებულ გაერთიანებას წარმოადგენს, მაგრამ საკმაოდ დიდი მომავლის მქონეს. მის არსებობას და წარმატებულ წინსვლას ზურგს უმაგრებს ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზული ინტერესებიც. პირველ ყოვლისა შავი ზღვის აუზის გაერთიანება საქართველოსათვის არის ფანჯარა დასავლეთის ინტეგრაციულ პროცესებში ეტაპობრივი ჩართვისა რუსეთის „კალთებზე ჩამოკიდების" გარეშე; მეორე, მტკიცე ეკონომიკური თანამშრომლობის ჩამოყალიბება-გაღრმავება ამ ალიანსის ფარგლებში უშველებელ ეფექტს მისცემს ჩვენი ქვეყნის მეურნეობას და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარი იქნება მისი პროგრესისა; მესამე, საქართველო მყარ პოლიტიკურ პარტნიორობას მოიპოვებს ევროპულ ქვეყნებთან (თურქეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი...), ვიდრე ეს მხოლოდ და მხოლოდ ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებთან ხელეწიფებოდა; და ბოლოს, ამ ინტეგრაციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი და გარდაუვალი გახდება საიმედო, მტკიცე ურთიერთობები საქართველოსთან ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც შავი ზღვისგან იზოლირებული არიან.

უმნიშვნელოვანესი მიმართულება ჩვენი საგარეო ძალისხმევისა უნდა იყოს ე.წ. კავკასიური პოლიტიკაც. ისტორიულად საქართველო კავკასიის გასაღებად ითვლება. დიახ, მით უფრო გაიზრდება ჩვენი ქვეყნის კუთრი წონა საერთაშორისო რეალობაში და შესაბამისად, გარესამყაროს ინტერესიც მის მიმართ, რამდენადაც იგი შესძლებს

სერიოზული როლი ითამაშოს საერთო კავკასიურ რეგიონში. ჩვენ სასიცოცხლოდ გვესაჭიროება მტკიცე თანამშრომლობა, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიასთან. უფრო მეტიც, ჩვენ პერსპექტიულ ამოცანას უნდა შეადგენდეს ერთგვარი რეგულატორის ფუნქციის შესრულება ამ რეგიონში, რაც გეოგრაფიულად, ისტორიულად და პოტენციურად საქართველოს ხელეწიფება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიახლოვეს ჩრდილოეთ კავკასიასთან, რა მიმართულებითაც მუშაობა სახელმწიფომ ტაქტიკისა და სტრატეგიის დონეზე უნდა აიყვანოს. დღეს კი ყველაფერი პირუკუ დატრიალდა: რუსეთის აქტიური მეცადინეობით და ჩვენი უუნარობით ჩრდილოეთ კავკასია მახრჩობელა სალტედ შემოერტყა საქართველოს. ცხადია, რომ ჩვენი გადაკიდება ჩრდილოეთ კავკასიასთან რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ერთ-ერთ მიმდინარე ამოცანას წარმოადგენდა, რასაც კიდევაც მიაღწია აფხაზეთის ომის ინსპირირების შედეგად. დღეს ჩრდილოეთ კავკასიელი თითქმის „მტრის ხატად" იქცა ჩვენთვის. ეს დამღუპველია. საჭიროა რადიკალურად შემობრუნდეს პოლიტიკური კურსი აღნიშნული მიმართებით: დიდი რუდუნებით, თანმიმდევრული ნაბიჯებით უნდა შევძლოთ ამ მეზობელთან ჯერ ნორმალური, შემდგომ კი მტკიცე და საიმედო ურთიერთობების ჩამოყალიბება. საქართველო რომელიც დაიმკვიდრებს მყარ და გავლენიან პოზიციებს და ხელეწიფება მნიშვნელოვანი პროცესების მართვა-რეგულირება თავის უახლოეს გარემოცვაში, რა თქმა უნდა, გაცილებით საინტერესო და ანგარიშგასაწევი იქნება საერთაშორისო სინამდვილისათვის და გაცილებით ძნელად დასაჩოქი — რუსეთისათვის.

და ბოლოს: ერთ-ერთი მთავარი განზომილება ჩვენი საგარეო პოლიტიკისა, ცხადია, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაა. სახელდობრ, მომავალში უნდა მივაღწიოთ ამ დიდ სახელმწიფოსთან მყარ, კეთილმეზობლურ, მჭიდრო თანამშრომლობას მის ნეოკოლონიალურ სივრცეში ყოფნის გარეშე. ე.წ. „თანამეგობრობაში" ყოფნა პერსპექტივაში კარგს არაფერს გვიქადის: იგი გულისხმობს საქართველოს თანამიმდევრულ, ცალსახა ეკონომიკურ და პოლიტიკურ „მიბმას" რუსეთზე, რომელმაც დროთა განმავლობაში შეიძლება შეუქცევადი ხასიათიც მიიღოს. ჩვენ გვჭირდება არა ეს „მიბმა", არამედ ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მტკიცე და საიმედო ურთიერთობები რუსეთთან, რომლებიც განონასწორებული იქნება ჩვენი აქტიური, მზარდი თანამშრომლობით შავი ზღვის

ალიანსში და ასევე მყარი პოზიციებით საერთო — კავკასიურ რეგიონში.

საქართველოში სტაბილიზაციის, სახელმწიფოებრივი აღშენების პროცესის აუცილებელი საწინდარი ქართველთა შორის კონფრონტაციის მოხსნაა. მართალია ხელისუფლებამ გაიმარჯვა სამოქალაქო ომში, მაგრამ ერის გამთლიანებას ეს გამარჯვება ვერ მოიტანს. დღეს სახეზეა დაჩეხილი, ურთიერთსიძულვილით და მტრობით გამსჭვალული ქართველობა. ამდენმა ურთიერთგლეჯამ დააუძლურა და აპათიით მოიცვა იგი. უაზრობაა ვიფიქროთ, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს შესაძლებელია რკინით და სისხლით გააერთიანო საკუთარი ერი. „გამარჯვებული" ხელისუფლება მძაფრი კონფრონტაციის ობიექტს წარმოადგენს, რამდენადაც მას უამრავი ავისმოსურნე ჰყავს და სიძულვილის თესლით მოფენილი ამ ნიადაგიდან ადრე თუ გვიან ხელახლა აღმოცენდება შეურიგებელი, სამკვიდროსასიცოცხლო დაპირისპირება. ეს ელემენტარული კანონზომიერებაა. ექსპრეზიდენტის მომხრეები საკმაოდ მრავლად არიან და შეგვიძლია წინასწარ ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ მათ არასოდეს შემოუბრუნდებათ გული საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისაკენ. უდიდესი გაბოროტებით და გაღიზიანებით არის მოცული მთელი სამეგრელო იმ არნახული რბევა-დაწიოკების გამო, რომელიც სამოქალაქო ომის პერიოდში სამთავრობო ჯარებმა დაატრიალეს. ეს ჭრილობები თავისთავად და მხოლოდ დროის წყალობით ვერ მოშუშდება. დიახ, ქვეყნის აღშენება და სტაბილიზაცია იწყება მხოლოდ ერის გამთლიანებით. იგი ანიჭებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სათანადო ენერგიას, ენთუზიაზმს და უქმნის ცხოველმოქმედების ნორმალურ პირობებს. ამიტომ საქართველოს ესაჭიროება ხელისუფლება, რომელიც მტრულ გრძნობებს არ გამოიწვევს საკუთარი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში და რომელიც ნამდვილად საყოველთაო ნდობით, ლოიალობით იქნება აღბეჭდილი. ჩვენ გვჭირდება ეროვნული თანხმობის ხელისუფლება. ჩვენ უნდა გავიაროთ კიდევ ერთი ეტაპი მთავრობათა ცვლის, რამდენადაც სასიცოცხლოდ აუცილებელია უახლოეს მომავალში არჩევნების ჩატარება. მაგრამ ეს არჩევნები გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ჭეშმარიტად საყოველთაო იქნება: მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს დღევანდელი ხელმძღვანელობის მომხრეებმა, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა სპექტრმა და ექსპრეზიდენტის მიმდევრებმაც. თანხმობის ხელისუფლების ჩამოყალიბება

აუცილებელ პირობად იქცევა ეროვნული გამთლიანებისა და შიდა სტაბილიზაციის პროცესის წარმართვისათვის.

და ბოლოს: სადღეისოდ საქართველოსათვის პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს წესრიგის დამყარება. ამის გარეშე უაზრობაა ლაპარაკი რამენაირ სტაბილიზაციაზე. ჩვენ რესპუბლიკას საკმაო რესურსები გააჩნია სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების სახით, რათა საკუთარი ძალებით შეებრძოლოს კრიმინალს. მაგრამ თუ კი გვინდა ქვეყანაში რეალურად და საფუძვლიანად განხორციელდეს წესრიგის დამყარება, საჭიროა ეს პროცესი დაიწყოს „ზევითაც". უპირველეს ყოვლისა, თავად ხელისუფლება და სახელმწიფო სტრუქტურები უნდა გაიწმინდოს მაფიოზურ-დანაშაულებრივი ელემენტებისაგან. ამ უკანასკნელის არსებობის პირობებში ხომ ცხადია, რომ ვერ მოხდება სერიოზული ძვრები წესრიგის დამყარების სფეროში, რადგან სახელმწიფოს სათავეებში მყოფ მაფიას სრულებითაც არ აწყობს დანაშაულთან ბრძოლის შეურიგებელი და რეალური პროცესი — მას არ აწყობს სტაბილიზაცია, სიმშვიდე და დისციპლინა ქვეყანაში. დღეს საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა კარგად განტოტვილი მაფიოზური სტრუქტურები, რომლის ფესვები თავად სახელმწიფოს მმართველ წრეებშია. როდესაც უბრალო მოქალაქე ხედავს, რომ სახელმწიფოს ყაჩაღები განაგებენ, იგი ან მთლიანად გულაცრუებულია ან პოტენციურად ყაჩაღია ან კიდევ მართლაცდა ყაჩაღია. კრიმინალური ხელისუფლება თავად არის მიზეზი ქვეყანაში საყოველთაო დანაშაულებრივი სიტუაციის გამეფებისა. დიახ, წესრიგი უნდა დამყარდეს „ზევითაც" და „ქვევითაც": დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლამ უნდა მიიღოს ტოტალური ხასიათი. წესრიგი და შიდა პოლიტიკური სტაბილურობა იქნება ერთ-ერთი მთავარი გარანტი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შემდგომი აღმავლობისა. ნუ წარმოვიდგენთ, რომ რაღაც გამოუვალ ჩიხში ვიმყოფებით და არავითარი პერსპექტივები არა გვაქვს: წესრიგისა და შიდა-პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში სერიოზულად ამოძრავდება ბიზნესიც, მეწარმეობაც და უცხოური კაპიტალიც შემოედინება საქართველოში (მით უმეტეს, რომ ჩვენთან უიაფესი მუშა-ხელია) — ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა. აუცილებელია ამასთან ერთად, იმ ეკონომიკური ვაკუუმის დაძლევა, რაც დღეს სახეზეა. კერძოდ, ამჟამად საქართველოში აღარც სოციალისტური მეურნეობაა და არც კერძო მეწარმეობაზე დაფუძნებული ეკონომიკა. დღეს სრული ვაკუ-

უმია. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი არნახული გაჭირვებისა და არა ის დემაგოგია, რასაც მავანი და მავანი ხალხში ავრცელებს: ხომ ხედავთ რა მოგვიტანა საბაზრო ეკონომიკამ და რა კარგი იყო სოციალიზმიო. ვიმეორებ, რომ ჩვენ ამჟამად არც სოციალიზმი გვაქვს და არც ე.წ. კაპიტალიზმი და ეს ეკონომიკური ვაკუუმი კიდევ დიდხანს თუ გაგრძელდა სრულ გაჩანაგებამდეც მივალთ. საჭიროა შეუფერხებლად და რადიკალურად გატარდეს რეფორმები და შეიქმნას ბაზა სერიოზული კერძო მეწარმეობისათვის, რათა ბიზნესი არ გაიყინოს „ჯიხურების", ყიდვა-გაყიდვის და ფინანსური ოპერაციების დონეზე. მაგრამ ყოველივეს აუცილებელი და უწინარესი პირობა, როგორც ვთქვით, წესრიგი და შიდაპოლიტიკური სტაბილიზაციაა.

საქართველო არ განიცდის საიმედო პოლიტიკური ძალების განსაკუთრებულ დეფიციტს. საკმაო პოტენცია აქვს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც უაღრესად ორგანიზებულ, თანმიმდევრულ და რაციონალურ ძალას წარმოადგენს. უთუოდ მაღალხარისხოვანია რესპუბლიკური პარტია. სერიოზული, გამჭრიახი და პერსპექტიული პოლიტიკის მოღვაწეები არიან მოქალაქეთა კავშირში და ლიბერალურ-კონსერვატორულ ბლოკში. ჩვენ გვჭირდება ახალი პოლიტიკური ძალა, ახალი ხელისუფლების გუნდი, რომელიც თავად განთავისუფლებული კრიმინალურ-მაფიოზური ჭუჭყისაგან, ქვეყანაში დაამყარებს წესრიგს, პასუხისმგებლობის და დისციპლინის ატმოსფეროს; რომელიც არ იქნება შიდა-ქართული სამკვიდრო-სასიცოცხლო კონფრონტაციის ობიექტი და ქართველთა შორის თანხმობის სტაბილურ გარანტად მოგვევლინება; რომელიც საქართველოს ცალსახად არ წაიყვანს ჩრდილოეთის უმომავლო მიმართულებით. ეს ძალა არ უნდა იკვებებოდეს არც პროვინციული, ბრმა ნაციონალიზმის იდეოლოგიით და არც უღიმღამო, უსახური პროსოციალისტური აზროვნებით. იგი სისხლხორციულად გამსჭვალული უნდა იყოს ეროვნული ცნობიერების ენერგიით, რომელიც ერთადერთი მუდმივი, უშრეტი და უძველესი მასაზრდოებელი წყაროა ერის განვითარებისა და მეორე მხრივ, მისი მოქმედება უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოებრივი რაციონალური აზროვნების პრინციპებს. მან უნდა დაუბრუნოს ჩვენ ხალხს ქართული სულის ძლიერების რწმენა და იმედი.

გაზ. „ივერია-ექსპრესი"
თებერვალი, 1994 წ.

ბრძოლა კავკასიისათვის

რუსეთის ინტერესს საქართველოში კრიმინალური და ტერორისტული ფონის შექმნა შეადგენდა

მოვლენათა დინამიკა გვიჩვენებს, რომ ახლო მომავალში კავკასია შეიძლება ბალკანეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის მსგავსად გლობალურ პოლიტიკურ პროცესთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიცენტრად იქცეს. სადღეისოდ ეს რეგიონი სხვადასხვა ძალთა მოქმედების ველს წარმოადგენს და აქ ერთმანეთის პირისპირ დგება მცირე თუ დიდი სახელმწიფოების ინტერესები: მიმდინარეობს ფარული და აშკარა ბრძოლა კავკასიისათვის. სწორედ ამ ვითარებითაც არის გამოწვეული არაერთი არსებითი და საბედისწერო ხდომილება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და მათ შორის ისეთი მოვლენა, როგორიცაა ტერორიზმი. რა თქმა უნდა, ტერორიზმის ესოდენ ფართო გავრცელება ჩვენს სინამდვილეში დაკავშირებულია რთულ, მრავალგვაროვან სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან და იგი არ არის ნაკარნახევი მხოლოდ რაიმე ერთი მიზეზით. უკიდურესი პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოწვეული ომებითა და სამოქალაქო კონფრონტაციით, კრიმინალური ვითარების გაბატონება და მაფიური კლანების ჩამოყალიბება, სახელმწიფო ინსტანციების სისუსტე და მოუმზადებლობა მათ წინაშე წარმოქმნილი უზარმაზარი პრობლემების დაძლევის საქმეში (რაც ბუნებრივია, ახლადფეხადგმული სახელმწიფოსათვის) და კიდევ მრავალი სხვა საყურადღებო მომენტი — ყოველივე ამან თავისებურად შეუწყო ხელი ტერორიზმის აღმოცენებასა და დამკვიდრებას საქართველოში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს ამ მოვლენის წარმოშობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, კერძოდ, სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ინტერესთა შეჯახება კავკასიის რეგიონში.

1993 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომლის — ვუდრაფის სიკვდილი, ცხადია, არ იყო შემთხვევითობა. მართალია, გამოძიებამ, რომელსაც პროკურატურა წარმართავდა,

აღნიშნული ფაქტი ტრასის ავაზაკის მიერ ბრმად ნასროლ ტყვიას დააბრალა და ასეთი დასკვნით დახურა საქმე, მაგრამ საეჭვოა, რომ თავად ამერიკელები დარწმუნებულიყვნენ ამ „შემთხვევითობაში“.

ვუდრაფის მკვლელობას წინ უსწრებდა მნიშვნელოვანი პროცესები: ამერიკის შეერთებული შტატების მზარდი დაინტერესება საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციით და მისი მოქმედების საგრძნობი გააქტიურება ამ მიმართულებით; მისი შემწეობით საფუძველი ეყრებოდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურთა ურთიერთთანამშრომლობის ცენტრს, სწორედ რომ, საქართველოში; მზადდებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფის — ვულსის ვიზიტი ჩვენთან. ტერორისტული აქტი, განხორციელებული ვუდრაფის მიმართ, იყო ფაქტიურად გაფრთხილება რუსეთის მხრიდან, რომ იგი არ მოითმენდა კავკასიაში თავისი პრიორიტეტების უგულებელყოფას სხვა სახელმწიფოს მიერ.

1994 წლის 3 დეკემბერს ტერორისტებმა მხეცურად მოკლეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია. ამ ფაქტს წინ უძღოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციების თანმიმდევრული განმტკიცება დასავლეთის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში: გიორგი ჭანტურიას არჩევა აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის გენერალურ მდივნად, მისი მწვავე და დაუფარავი დაპირისპირება მხედრიონთან და უშიშროების სამსახურთან; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგრძნობი მოძლიერება და გავლენის ზრდა ჩვენს საზოგადოებრიობაში; მისი აქტიური ძალისხმევით პოლიტიკურ კლუბში კონსულტაციების დაწყება ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან და მოქალაქეთა კავშირთან კოალიციური მთავრობის შექმნის მიზნით.

გიორგი ჭანტურიას მკვლელობით გზა გადაეღობა საქართველოს დღევანდელი მმართველი ელიტის ალტერნატივის ჩამოყალიბებას, რაც სავსებით რეალური იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა სერიოზული პოლიტიკური ძალების ურთიერთდაახლოების შემთხვევაში. ეს ალტერნატივა ვერ იქნებოდა პრორუსული ორიენტაციის და სწორედ ამიტომ მისი შექმნა დაუშვებელი იყო რუსეთის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული ტერორისტული აქტი, ალბათ, განხორციელდა თანამემამულეთა ხელით. მისი უშუალო ინიციატორნი და დამკვეთნი, ალბათ, არიან საქართველოს სახელმწიფოს საკმაოდ მაღალ ეშელონებში მყოფი პირები, რომლებიც ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობელი ქვეყნის მნიშვნელოვან

საყრდენს წარმოადგენენ კავკასიის რეგიონში (ცხადია, განსაზღვრული ვადით). ვფიქრობ, რომ ამ პირთა ვინაობა არცთუ შორეულ მომავალში გაცხადდება ჩვენი საზოგადოებრიობისათვის.

1995 წლის 29 აგვისტოს განხორციელდა ტერორისტული აქტი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის — ედუარდ შევარდნაძის მიმართ. იგი უშედეგო აღმოჩნდა, მიუხედავად აფეთქების საკმაოდ დიდი სიმძლავრისა. ვფიქრობ, ალოგიკური იქნება, ეს ტერორისტული აქტი რამენაირად დავაკავშიროთ საქართველოს კონსტიტუციის მიღებასთან, ან ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა ახალ რაუნდთან (როგორც ამას შეეცადა რუსეთის ტელევიზია). ერთი მხრივ, აფეთქება მოხდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის — თანსუ ჩილერის საქართველოში ვიზიტის წინ. ამ ვიზიტის მთავარი თემა კი ყველასთვის კარგად ცნობილი ნავთობსადენის საკითხი იყო. მეორე მხრივ, სახეზეა შევარდნაძის მიერ უახლოეს მომავალში ძალაუფლების საბოლოო განმტკიცების, კერძოდ, ქვეყნის პრეზიდენტად არჩევის ძალზე რეალური პერსპექტივა. და ბოლოს, საქართველოში გაბატონებულ მაფიოზურ ძალთა კერძო ინტერესები უკანასკნელ პერიოდში სამკვიდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ შევარდნაძის საშინაო-პოლიტიკურ კურსს. სწორედ ამ ვითარებაში უნდა ვეძიოთ აღნიშნული ტერორისტული აქტის ჭეშმარიტი მიზეზები.

29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ალბათ, მოვლენები წინასწარდასახული გეგმის თანახმად განვითარდებოდა: დიდი დესტაბილიზაციის აღკვეთის საბაბით, გამოცხადდებოდა სპეციალური კომიტეტის (ვთქვათ, ეროვნული ხსნის კომიტეტის) შექმნა — ზოგიერთი რეალური ძალის მქონე სახელმწიფო ხელმძღვანელი პირისა და რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანების — კომპარტიის, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და, შესაძლებელია, ერთი-ორი, თითქოსდა, „ეროვნული სულისკვეთების“ წვრილ-წვრილი ორგანიზაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ეს კომიტეტი დაამყარებდა საგანგებო მდგომარეობას და ფაქტიურად, შეეცდებოდა მთელი ძალაუფლების ხელში აღებას.

როდესაც ვამბობთ, რომ ტერორიზმს საქართველოში არსებითად სხვადასხვა სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ ინტერესთა ბრძოლა განაპირობებს, ცხადია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ სინამდვილეში მომხდარი ყველა ტერორისტული აქტი უცხო ქვეყნის პოლიტიკური დაკვეთით იყოს განხორციელებული. მრავალი მკვლელობა, რომლის მოწმენიც უკანასკნელ პერიოდში გავხდით, ალბათ,

კლანურ წინააღმდეგობებსა და შავი ბიზნესის პრობლემებს უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში ე.წ. ტერაქტების დამკვეთებსა და შემსრულებელთ არავითარი პოლიტიკური მოტივები არ ამოძრავებთ და მხოლოდ კერძო კრიმინალური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, რომ ტერორიზმის საბოლოო მიზეზი პოლიტიკაა. სახელდობრ, რუსეთის ინტერესს საქართველოში კრიმინალური და კერძოდ, ტერორისტული საერთო ფონის ჩამოყალიბებაც შეადგენდა, რადგან „მღვრიე წყალში ადვილია თევზის დაჭერა" და ამ ფონზე უფრო იოლია ნამდვილად პოლიტიკური მიზნებით დაგეგმილი მკვლელობები. რუსეთი ებრძვის კავკასიაში სხვა სახელმწიფოთა ინტერესების შემოჭრას, ამიტომ საქართველო, როგორც კავკასიის გული და გასაღები უნდა იყოს ერთიმნიშვნელოვნად მართვადი მისი მხრიდან. რუსეთისთვის დაუშვებელია საქართველოში სხვა დიდი სახელმწიფოს (და, მით უმეტეს, თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების) მოქმედების გააქტიურება — ეს იყო ვუდრაფის მკვლელობის მიზეზი. მისთვის დაუშვებელია აქ ხელისუფლების რეალური პრეტენზიის მქონე ისეთი ძალის ფორმირება, რომელიც მისი მხრიდან უმართავი იქნება — ეს იყო გიორგი ჭანტურიას მკვლელობის მიზეზი. რუსეთს დროებით სჭირდება საქართველოს სათავეში შევარდნაძე, როგორც საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსი, რომელსაც, თუმცა არც ერთ ნაბიჯზე ენდობა, მაგრამ, მუდმივი ზეწოლის, მუქარის გზით შეეძლოს მისი მართვა. შევარდნაძის ხელისუფლების ალტერნატივად რუსეთი შეეცდება ისევ და ისევ „სანდო" პრორუსული პოლიტიკური ძალის წარმოჩინებას და არავითარ შემთხვევაში — ეროვნული სულისკვეთების. ასეთი ალტერნატივის ერთ-ერთი ვარიანტია ე.წ. „ეროვნული ხსნის კომიტეტის" შექმნის ჯერ კიდევ ბუნდოვანი იდეა, რომლის აქტიურ პროპაგანდასაც ეწევა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გურამ მუჩაიძე და რომელიც, ცხადია, რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში არის დაპროგრამებული.

იმის შიშით, რომ თურქეთის დაჟინებული ზემოქმედებით დადებითად არ გადაწყდეს ნავთობსადენის საქართველოზე გავლის საკითხი, მიიღეს რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე ცხელ-ცხელი გადაწყვეტილება შევარდნაძის მიმართ, კერძოდ, მისი ლიკვიდაციის შესახებ. მაგრამ აქვე საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი: სადღეისოდ რუსეთი აღარ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვან მოვლენას და ეს

ქვეყანა პოლიტიკური თვალსაზრისით, უაღრესად ჭრელი და ამორფულია. რუსეთის ხელისუფლებაში სახეზეა შევარდნაძისადმი, როგორც ლოიალურად, ასევე უკიდურესად უარყოფითად განწყობილი ძალებიც. ამ უკანასკნელთა თვალთახედვით, არსებობს გორბაჩოვის პირმშოთა ერთიანი პოსტსაბჭოური ბანაკი, ხოლო ედუარდ შევარდნაძე ამ ბანაკის მნიშვნელოვან რგოლად ესახებათ. ცხადია, რომ აღნიშნულ ძალებს ხელეწიფებათ სერიოზული საიდუმლო გადაწყვეტილების მიღება, რუსეთის დერჟავნიკული ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა 29 აგვისტოს ტერორისტული აქტიც, ალბათ, უშუალოდ ისევ და ისევ ჩვენი თანამემამულეთა ხელებით განხორციელდა.

დასავლეთი და თურქეთი მომხრეა, აზერბაიჯანული ნავთობის ტრანზიტი მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავლით. ეს, ცხადია, რადიკალურად ეწინააღმდეგება რუსეთის მისწრაფებებს, რომელსაც სურს, რომ ნავთობსადენმა მის ტერიტორიაზე გაიაროს. საკითხი კონკრეტულ გადაწყვეტას მოითხოვს და სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული თურქეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი. რუსეთისთვის კი არაპროგნოზირებადია, როდის „გაუსხლტება ხელიდან" ედუარდ შევარდნაძე და როგორ პოზიციას დაიკავებს იგი ნავთობსადენის საკითხთან დაკავშირებით. თანაც უახლოეს პერიოდში მან შეიძლება კიდევ უფრო განიმტკიცოს პოზიციები პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში — 1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის ფესვები სწორედ აღნიშნულ ვითარებებშია ჩამალული.

რაში გამოიხატება ბრძოლა კავკასიისათვის? ამ ფენომენის ნათელყოფა საჭიროებს საკმაოდ დეტალურ ანალიზს; მაგრამ მოცემულ სტატიაში მე დავახასიათებ ძირითად მომენტებს:

— შავი ზღვის აუზის ეკონომიკური გაერთიანების შექმნა, რომლის წევრიც ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაა, ნაკარნახევი იყო დასავლეთის და პირველ რიგში, ამერიკისა და თურქეთის ინტერესებით. ეს სტრუქტურა, ცხადია, ამ რესპუბლიკებისთვის წარმოადგენს დასავლურ სამყაროში ინტეგრირების ერთ-ერთ გზას და ამდენად, იგი პოსტსაბჭოური პრორუსული სივრცის ერთგვარი ალტერნატივაა. სწორედ ამიტომ რუსეთი, რომელიც, თუმცა, ამ გაერთიანების ერთ-ერთი წევრია, არანაირად არ არის მოსურნე მისი განვითარებისა და მოღონიერების, მისი როლისა და ფუნქციის აქტიური ზრდისა და რეალურადაც ხელს შეუშლის ამგვარ პროცესს.

— ჩეჩნეთის ომში, გარდა იმისა, რომ იგი არის ჩეჩენი ხალხის თავისუფლებისკენ სწრაფვის გამოხატულება, ასევე ეჯახება ერთმა-

ნეთს რუსეთისა და თურქეთის ინტერესები. ეს უკანსკნელი ხომ კარგა ხანია, ცდილობს თავისი გავლენის ზრდასა და განმტკიცებას ჩრდილოეთ-კავკასიურ სარტყელში. მეორე მხრივ, ჩეჩნეთის საკითხში რუსეთს მძაფრი პოლიტიკური წინააღმდეგობა და ზეწოლა შეხვდა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან.

— აზერბაიჯანული ნავთობის მოპოვებისა და ტრანზიტის საკითხი, ალბათ, ყველაზე მთავარი განხეთქილების ვაშლია. ამ საკითხში სახეზეა რუსეთის, თურქეთის, ირანის, ამერიკისა და დასავლეთევროპული სახელმწიფოების ინტერესთა მძაფრი შეპირისპირება.

— აფხაზეთის საკითხიც ხომ რეალურად რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგია. იმის თაობაზე, რომ ხელიდან არ წასვლოდა კავკასიის გასაღები, ანუ საქართველო. ამ უკანასკნელის დაკარგვა თავისთავად ნიშნავდა სხვა დიდი სახელმწიფოს გავლენის გავრცელება-გაძლიერებას და პოზიციების განმტკიცებას კავკასიის გულში.

— ირანის აქტიურობა საქართველოს მიმართ და მცდელობა, ჩვენი მეშვეობით გაიკაფოს გზა შავი ზღვისკენ (ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური ტრანზიტის დამყარების მიზნის), ეწინააღმდეგება ამერიკისა და თურქეთის ინტერესებს, ხოლო რუსეთის მხრიდან დადებითად აღიქმება.

აქ ჩამოთვლილი მომენტები ზოგადად, მაგრამ არსებითად ახასიათებს კავკასიის ველში მიმდინარე დიდ პოლიტიკურ ინტერესთა თამაშს.

დღევანდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური პროცესი ჩრდილოეთ-ატლანტიკური ბლოკის აღმოსავლეთისკენ გაფართოების ტენდენციაა. მისი თანმიმდევრული განხორციელების დაწყება სულ უფრო მძაფრად და დაჟინებით დგება საერთაშორისო ურთიერთობათა დღის წესრიგში.

ცნობილია, რომ ცენტრალური ევროპისკენ NATO-ს გაფართოების საპირისპიროდ რუსეთი ასეთ კონცეფციას სთავაზობს თავის ოპონენტებს: შეიქმნას კოლექტიური უსაფრთხოების ტრანსკონტინენტური ახალი სისტემა (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საფუძველზე — „ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე"). სწორედ მასში გაერთიანდებიან ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკის წევრები, სადღეისოდ ვაკუუმში „გამოკიდებული" — ცენტრალური ევროპის ქვეყნები და CHГ-ს სახელმწიფოებიც. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ცენტრალური ევროპა NATO-ს

სტრუქტურაში კი არ უნდა შევიდეს, არამედ მისი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორედ ამ ახალი „უნივერსალური“ სისტემის მეშვეობით. ცხადია, აღნიშნული ვარიანტის განხორციელება რუსეთს ერთ-ერთ დომინანტურ როლს მიანიჭებს მის ფარგლებში; მეორე მხრივ კი, იგი მოასწავებს ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკის ფუნქციის, არსებობის თანმიმდევრულ მოშლასა და სიკვდილს.

რაც დრო გადის, NATO-ს მესაჭეები და უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები მზარდი დაბეჯითებით და სიმტკიცით აყენებენ საკითხს ბლოკის გაფართოების შესახებ. ცვლილება მოქმედების სტილში აშკარაა. საქმე ეხება პოლონეთის, ჩეხეთისა და შესაძლებელია, უნგრეთისა და სლოვაკეთის საუკუნის მიწურულამდე ბლოკის შემადგენლობაში შესვლას. მოგვიანებით, ალბათ, ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნების საკითხიც იჩენს თავს. ცნობილია, რომ ბალტიის სახელმწიფოებიც აღნიშნულ სტრუქტურაში გაერთიანების აქტიურ სურვილსა და მზადყოფნას გამოხატავენ, მაგრამ ამჯერად ეს დღის წესრიგში არ დგას.

რა არის ჩრდილოეთ-ატლანტიკური ბლოკის აღმოსავლეთისკენ გაფართოების უმთავრესი მოტივები? რატომ დადგა ეს საკითხი, ესოდენ აქტუალურად, დღის წესრიგში? ვარშავის ბლოკის მსხვრევის შემდეგ მისი წევრი ცენტრალური ევროპის ქვეყნები უსაფრთხოების ვაკუუმში აღმოჩნდნენ გამოკიდულნი (ცხადია, ეს ვითარება არ ეხება ყოფილ გდრ-ს, რადგან გაერთიანებული გერმანია იმთავითვე მოექცა NATO-ს სტრუქტურაში, სწორედ, რომ დასავლეთის ცალსახად ურყევი პოზიციის შედეგად). დღეს უკვე ცხადია, ცენტრალური ევროპის მყარი უსაფრთხოება შეუძლებელია, მხოლოდ ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების იმედზე იყოს, როგორიცაა გაერო და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, მიუხედავად მათი უდიდესი როლისა და მნიშვნელობისა გლობალურ პროცესთა სასიკეთო რეგულირების საქმეში. სომალიში, ბალკანეთში, პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული კონფლიქტები, სადაც სამხედრო თუ არასამხედრო დონეზე მოუხდათ მონაწილეობა აღნიშნულ ინსტიტუტებს, ადასტურებს მათი მოქმედების ეფექტურობის არასაკმარისობას (ვფიქრობ, ეს დახასიათება კიდევ რბილად არის გამოთქმული). ბალკანეთის მაგალითმა აჩვენა, რომ საჭიროა ევროპა და ცენტრალური ევროპაც საიმედოდ იყოს დაზღვეული რეგიონული და უფრო ფართო

მასშტაბის სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გავრცელებისგან. ამასთან, კიდევ რჩება რუსული მუქარის პოტენციური საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, ვარშავის ბლოკის ყოფილი საბჭოთა სატელიტებისათვის. რუსეთის დღევანდელი დემოკრატიული რეჟიმი, რომელიც დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობს, უთუოდ, არ დგას მყარ ნიადაგზე. პოლიტიკური ვითარება ამ ქვეყანაში არასტაბილურია. უკიდურესად იმპერიული სულიკვეთებით შეპყრობილ პოლიტიკურ ძალებს, როგორც მემარჯვენე-პროფაშისტურს, ასევე მემარცხენე-კომუნისტურს, საკმაო დასაყრდენი მოეპოვებათ მოსახლეობაში და თუ როდის გადაიხრება გამარჯვების სასწორი მათკენ, ძნელად პროგნოზირებადია. რუსეთის ხელისუფლების სათავეში რეაქციული ძალების მოსვლა, ცხადია, რეალურ საფრთხეს აღადგენს განთავისუფლებული ცენტრალური ევროპისათვის. ამიტომ მისი მეზობლობა რუსულ დათვთან (თუნდაც სადღეისოდ მოთვინიერებულთან) დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ამ რეგიონის თავზე. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკური და აუცილებელი ხდება ცენტრალური ევროპის თანმიმდევრული შეყვანა ისეთ სტრუქტურაში, რომელსაც ძალუძს მისი უსაფრთხოების რეალური უზრუნველყოფა. სწორედ ასეთად გვევლინება NATO. მას, როგორც მობილურ და კარგად გამოცდილ ინსტრუმენტს, ნამდვილად შეუძლია, იყოს აღნიშნული რეგიონის უსაფრთხოების საიმედო გარანტი.

ზბიგნევ ბჟეზინსკის თანახმად, მაქსიმალურად რაციონალური გეგმა ევროპის უსაფრთხოებისთვის იქნებოდა ორმაგი სტრატეგია: NATO-ს გაფართოების შეხამება უსაფრთხოების ახალ ტრანსკონტინენტურ სტრუქტურასთან, რომელიც რუსეთსაც მოიცავს. მაშასადამე, დაუშვებელია: ერთი მხრივ, ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის წინსვლა ატარებდეს ანტაგონისტურ ხასიათს რუსეთის მიმართ; მეორე მხრივ, ე.წ. მოსკოვური ვარიანტი, რომლის თანახმადაც, ჩრდილოეთატლანტიკური სტრუქტურა საბოლოო ჯამში უფუნქციოდ დარჩეს და განზავდეს ერთიან ტრანსკონტინენტურ ახალ სისტემაში. საჭიროა, NATO-მ მოიცვას ცენტრალური ევროპის რეგიონი და თანმიმდევრულად გაფართოვდეს, მაგრამ ამასთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხოების ზემოთ აღნიშნული ახალი ერთობლივი სტრუქტურის ფორმირებაფუნქციონირებაში; ეს უკანასკნელი, ბჟეზინსკის თანახმად, უნდა მოიცავდეს ორ კომპონენტს: ერთი — ფორმალურ ხელშეკრულებას

NATO-სა და რუსეთის ფედერაციას შორის გლობალური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; მეორე — უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალური კონსულტაციების მექანიზმს ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ჩარჩოებში. სწორედ ამაში მდგომარეობს ზემოთ მითითებული „შეხამების" შინაარსი, რაც, მართლაცდა, მაქსიმალურად კონსტრუქციული და რაციონალური გეგმა იქნებოდა ევროპული უსაფრთხოების პერსპექტივებისთვის.

როგორია საქართველოს საგარეო-სტრატეგიული შესაძლებლობანი წარმოდგენილი გლობალური პროცესების ფონზე?

ჩვენი სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკური ინტერესისა და ძალისხმევის საგანს უნდა შეადგენდეს ოთხი ქვეყნის — თურქეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და საქართველოს — მჭიდრო დაახლოება ერთმანეთთან, რასაც საკმაოდ გამართლება და საფუძველიც აქვს სხვადასხვა თვალსაზრისით. კერძოდ, აღნიშნული ოთხივე სახელმწიფო ერთნაირად არის დაინტერესებული შავი ზღვის რეგიონში (რომელშიც იგულისხმება ამიერკავკასიის სუბრეგიონიც) რუსეთის აგრესიული მისწრაფებებისა და უხეში გავლენის შენელებით, უფრო ზუსტად კი, გაწონასწორებით. ოთხივე სახელმწიფოს ინტერესს შეადგენს მყარი და მზარდი ეკონომიკური თანამშრომლობა ერთმანეთთან, მით უმეტეს, კავკასიური დერეფნის და სანავთობო ტრანზიტის აქტუალობის ფონზე. ოთხივე სახელმწიფოს ერთნაირად აწუხებს სეპარატიზმის პრობლემა: თურქეთს — თურქული სეპარატისტული მოძრაობის, უკრაინას — ყირიმის, აზერბაიჯანს — ყარაბაღის, საქართველოს — აფხაზური და ოსური სეპარატიზმის. ოთხივე სახელმწიფოს ურთიერთობის განვითარებისთვის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ასევე ნორმალური და კეთილგანწყობილი ფსიქოლოგიური კლიმატის არსებობა ერთმანეთთან დამოკიდებულებაში.

თუკი ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობა და დაახლოება პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში გარკვეულ სტრუქტურულ ერთეულადაც ჩამოყალიბდება, ვფიქრობ, რომ ეს მომგებიანი იქნება როგორც მათი სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის (განსაკუთრებით კი, ცხადია, ახლადფორმირებული დამოუკიდებელი ქვეყნების), ასევე მთლიანად რეგიონში სტაბილიზაციისა და უკეთესი პერსპექტივების უზრუნველყოფისთვის. თურქეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და

ეკონომიკური კავშირის (რომელსაც პირობითად შეიძლება, ვუწოდოთ „შავი ზღვის კავშირი“) ამოსავალ ინტერესს და მიზანს უნდა შეადგენდეს ამ სტრუქტურის მზარდი თანამშრომლობა და დაახლოება ისეთ გამოცდილ და ძლიერ ორგანიზაციასთან, როგორიცაა ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკი (მით უმეტეს, თურქეთი თავად ამ ბლოკის წევრი-ქვეყანაა). ამ კავშირის განვითარება და ფუნქციონირება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რათა დააჩქაროს შავი ზღვის რეგიონში ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის ფართო დამკვიდრება, რაც ამ რეგიონის უსაფრთხოების მყარი გარანტი იქნებოდა. მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით საქართველოს გაერთიანება NATO-ს სტრუქტურაში უაღრესად სათუო და ბურუსით მოცული პერსპექტივაა, მაგრამ თურქეთთან, უკრაინასთან და აზერბაიჯანთან მჭიდრო თანამშრომლობის შემთხვევაში შეიძლება ეს პერსპექტივა ძალზედ რეალური და ახლოც აღმოჩნდეს.

მოცემულ ეტაპზე კი საჭიროა საქართველომ ითავოს ინიციატივა ზემოთ აღნიშნული პროცესის წამოწყებისა და ერთგვარი მედიატორის როლი იკისროს ოთხი ქვეყნის ურთიერთდაახლოებისა და შეკავშირების საქმეში.

რაც შეეხება ურთიერთობას რუსეთთან, ჩვენი ქვეყნის შიდა პროცესების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს, იგი საჭიროებს ახლებურ გააზრებასა და მიდგომას: რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა უნდა დაემყაროს არა პოსტსაბჭოურ საერთო „სტრუქტურასივრცეებში“ (როგორიცაა, ვთქვათ, СНГ) საქართველოს თანმიმდევრულ შთანთქვას, არამედ მხოლოდ ორმხრივ თანასწორუფლებიან ურთიერთობას, სადაც სერიოზულად იქნება გათვალისწინებული რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს ინტერესები.

რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილია თანამშრომლობა: ა. თანასწორუფლებიანი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცების სფეროში. რისთვისაც საჭიროა მოიხსნას ზედმეტი ბარიერები და შეიქმნას შელავათიანი პირობები ორ სახელმწიფოს შორის საქონლისა და კაპიტალის ბრუნვისათვის; ბ. სავსებით შესაძლებელია რუსეთთან სამხედრო კავშირი და თანამშრომლობა ისევე, როგორც საგარეო პოლიტიკის ნაწილობრივი კოორდინაცია მხოლოდ „სამხრეთი ფლანგის“ მიმართულებით (იგულისხმება, ირანი, მახლობელი აღმოსავლეთი) და არა „დასავლეთის“ მიმართულებით (ამით გამორიცხული იქნებოდა რუსეთთან ერთად ჩვენი შესაძლებელი სამხედრო-პოლიტიკური

შეპირისპირება თურქეთთან და შესაბამისად, NATO-ს სტრუქტურასთან) და ბოლოს, გ. მივიჩნევთ რა რუსეთს დიდი კულტურული ტრადიციების ქვეყნად, რომელთანაც მჭიდრო კულტურული კავშირი გვქონდა საუკუნეების განმავლობაში, მზად უნდა ვიყოთ, მომავალშიც შევინარჩუნოთ ეს ურთიერთობა, რომელიც დაემყარებოდა ამ მართლმადიდებლურ ქვეყანასთან სულიერ სიახლოვეს.

საქართველოს სჭირდება საკუთარი ადგილის დამკვიდრება მსოფლიო არენაზე. ეროვნული სახელმწიფოს ფორმირება უნდა იყოს მუდმივი დინამიკა, მოძრაობა, წარმართული საერთო პროგრამის ხორცშესხმის ნებით.

ჩვენ არც მრავალრიცხოვანნი ვართ რუსებივით და ჩინელებივით და არც გიგანტური შეიარაღებული ძალების შექმნის პერსპექტივა გვაქვს, რათა ამით განვიმტკიცოთ პოზიციები მსოფლიო ერთა საზოგადოებაში; არც უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსები გაგვაჩნია კუვეიტის მსგავსად. ერის ყველაზე დიდი თვითდამკვიდრება ღირებულებების შექმნა და გაღებაა ცივილიზაციისათვის. სწორედ ეს არის ჩვენი უძველესი მითიური არქეტიპიც.

ის, რაც ჩვენი მოწოდებაა და რაც ნამდვილად ძალგვიძს, არის ცივილიზაციისთვის ღირებულებების მიცემა მეცნიერების, ხელოვნების, უახლესი ტექნოლოგიური გამოგონებების სფეროში და ამ გზით თვითდამკვიდრება თანამედროვე ისტორიაში. მაგრამ ჩვენი ერის შემოქმედებითი ცხოველმოქმედების წინაპირობა ისევ და ისევ პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს. ჩვენ გვჭირდება სწორად გათვლილი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია, რათა გავაკეთოთ გარღვევა პოსტსაბჭოური ჩაკეტილი სივრციდან. მიმდინარეობს ბრძოლა კავკასიისათვის, რომელშიც შეიძლება გავიჭყლიტოთ ან პირიქით, ქვეყნისთვის სასარგებლო გამოსავალი ვიგდოთ ხელთ. ეს არის ჩვენი ბრძოლაც ადგილისთვის დიდ მსოფლიოში. სწორი სტრატეგია არის საწინდარი ამ ბრძოლაში გამარჯვებისა.

გაზ. „7 დღე"
№36 (209), 15-21 სექტემბერი, 1995 წ.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია — მითი თუ რეალობა?!

(რა გვინდა და რა გვემუქრება)

ქვეყნის ეფექტიანი და სრულფასოვანი უსაფრთხოების სისტემის მშენებლობა მისი პრინციპებისა და საფუძვლების მწყობრი თეორიის შემუშავებას საჭიროებს. კერძოდ, აღნიშნიშნული სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს ერთიან ბაზისურ დოკუმენტზე, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ასეთი რამ სწორედ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაა. იგი გადმოსცემს, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი ასპექტები ეროვნული ინტერესების დაცვისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. ეს დოკუმენტი არ არის სტატიკური, მარადიული „დოგმა", არამედ, პირიქით, ახალი რეალიებიდან გამომდინარე სათანადო განახლებას მოითხოვს, კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური სიტუაციების დინამიკის გამო იცვლება რისკები და შესაბამისად, მათი პრევენციის პოლიტიკის ვექტორებიც. ამიტომ აუცილებელი ხდება პერიოდულად უსაფრთხოების კონცეფციის კორექტირება ან გადახედვა.

რა გვამოძრავებს და რისკენ მივისწრაფვით? რა გვემუქრება? როგორ დავძლიოთ საფრთხეები, რათა უზრუნველვყოთ სტრატეგიული მიზნები და ინტერესები? — აი, ამ კითხვებს, რომელსაც სახელმწიფოებრივი პოლიტიკისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, უსაფრთხოების კონცეფცია პასუხობს. ის არის სახელმწიფო მექანიზმის მუშაობის ერთგვარი სქემა, რის მეშვეობითაც ზუსტად ვიცით, თუ რა ვაკეთოთ, როგორ ვაკეთოთ და როდის ვაკეთოთ. ცხადია, რომ საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის სრულყოფისათვის აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანას აღნიშნული კონცე-

ფციის შემუშავება და მიღება შეადგენს. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურებისა და ფუნქციების ერთიან სისტემად ფორმირება. სამწუხაროდ, ეს პროცესი ჩვენთან უაღრესად გაჭიანურდა. წლების განმავლობაში კონცეფციაზე მუშაობა ფერხდებოდა: ხან ძალზედ მდორედ მიდიოდა, ხან მეტად უხარისხოდ და დაბალპროფესიონალურ დონეზე, ხან კიდევ საერთოდაც შეჩერებული იყო. ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, დაჟინებით და მუდმივად გვირჩევდნენ კონცეფციის დროულ მიღებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ISAB-ის (უსაფრთხოების საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო) ჯგუფი, რომელიც დოკუმენტის შემუშავებაში თავადაც აქტიურად იყო ჩართული. კონცეფციის რამდენიმე ძველი ვარიანტი დაიწუნეს, როგორც სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე აღნიშნულმა ჯგუფმა. 2003 წლის დასაწყისიდან კონცეფციაზე მუშაობა რეალურად ადგილიდან დაიძრა და შემოდგომისათვის გარკვეულ კონდიციამდე მივიდა. სახელწობრ, ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ „ნედლი" ვარიანტი, რომელიც სერიოზულ განხილვებსა და გადამუშავებას საჭიროებდა. ამჟამად პროცესი გაურკვეველ მდგომარეობაშია და აუცილებელია მისი ბოლომდე მიყვანა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნისათვის ძალზედ სასარგებლო და ადეკვატურია ისეთი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, როგორიცაა ბალტიის და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები: მათი ნამუშევარი შეიძლება გამოყენებულ იქნას მოდელის სახით საკუთარი კონცეფციის სტრუქტურისა და არქიტექტონიკის აგებისათვის.

რაში მდგომარეობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არსი და რა ძირითად კომპონენტებს უნდა შეიცავდეს იგი? უპირველეს ყოვლისა, მასში მოცემული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული სასიცოხლო ინტერესების საკმაოდ დაკონკრეტებული და ამომწურავი ფორმულირება. კერძოდ, საჭიროა განვსაზღვროთ ის ფუნდამენტური მიზნები და ღირებულებები, რომელთა შეუსრულებლობა ან მოშლა საქართველოს ხალხის ერთიანობის რღვევას გამოიწვევს და ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომ არსებობას ეჭვქვეშ დააყენებს. ესენია: დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შენარჩუნება, თავისუფლება და დემოკრატია, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ამაღლება.

ცხადია ამ ჩამონათვალს შეიძლება კიდევ არა ერთი განსაზღვრება დაემატოს. ამასთანავე, კონცეფციაში საჭიროა თითოეულის შინაარსის შედარებით გაშლა და განმარტება.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოსათვის ძირითადი საფრთხეების განსაზღვრება, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება აქტუალურ, ხოლო ზოგიერთი კი — პოტენციურ ხასიათს ატარებდეს. თანაც ისინი მომდინარეობენ ქვეყნის შიდა ან გარე სივრციდან ან ორივედან ერთად. მათი თავისებურება განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით: ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებით, თავდაცვისუნარიანობის დონით, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, ეკოლოგიური სიტუაციებით და ა.შ.

მაინც რა არის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მთავარი მუქარები? ცხადია, პირველ რიგში, **ტერიტორიული მთლიანობის მოშლა**, რაც გამოწვეულია აგრესიული სეპარატიზმით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომელთაც ზურგს უმაგრებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი — რუსეთი; **საერთაშორისო ტერორიზმი** — ეს არის რეალური და იმავდროულად პოტენციურად მზარდი საფრთხე და იგი დაკავშირებულია, ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციის, კერძოდ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტთან, მეორე მხრივ კი, ჩვენ გეოპოლიტიკურ ევრაზიულ სატრანსპორტო მდებარეობასთან; **კორუფცია** — ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური სტაგნაციის და სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტების სისუსტისა; **ორგანიზებული დანაშაული** (ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ადამიანის გატაცებები და ა.შ.), რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სტაბილურობას; **სამოქალაქო ინტეგრაციის დაბალი დონე**, რის გამოც საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები არაქართული მოსახლეობის ჯგუფები სრულფასოვნად ვერ აღიქვამენ თავიანთ „ჩართულობას" ქვეყნის საერთო კულტურულ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ სივრცეში; ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ **უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი მუშაობა** — ეს ძალზედ აქტუალური საფრთხეა, ვინაიდან საქართველოში ნამდვილად არსებობს უაღრესად ფართო აგენტურული ქსელი, რომელიც უცხო სახელმწიფოების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას და გამოიყენება

კიდეც ლატენტურად ჩვენს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციებზე სერიოზული ზემოქმედებისათვის. ამასთან ერთად, ეს ბერკეტი შეიძლება გამიზნული იყოს ქვეყნის შიგნით დიდი დესტაბილიზაციის შექმნაზეც; **რუსეთ-საქართველოს დაურეგულირებელი ურთიერთობებიდან** მომდინარე საშიშროებანი და მათ შორის ჩვენი ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული სირთულეები; **ეკოლოგიური კატასტროფები** და საგანგებო სიტუაციები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ ბუნებრივი მიზეზებით ან ტექნოგენური პროცესებით.

ცხადია, ეს არ არის სრულყოფილი დახასიათება ძირითადი რისკებისა და ალბათ, კიდევ სხვა ფაქტორების ფორმულირება იქნება საჭირო, მაგრამ ზემოთ აღნიშნული უკვე გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას, თუ რა არსებით გამოწვევებზე უნდა იყოს საუბარი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში. დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს: ხალხს, სახელმწიფოს, ხელისუფლებას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ რა არის საფრთხე და საიდან მოდის იგი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი გამიზნული, ზუსტი პოლიტიკის წარმართვა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რა უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ის პრიორიტეტები, რომლებიც განაპირობებენ საქართველოს მყარი უსაფრთხოების სისტემის ფორმირებასა და შესაბამისად, არსებული რისკების თავიდან აცილებას, დაძლევას თუ მინიმიზაციას? როგორ უნდა ვიმოქმედოთ და საით უნდა ვიმოძრაოთ ზემოთ აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და მაშასადამე, ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა ხსენებული კონცეფციის მთავარი დანიშნულებაა. ისინი ორ კატეგორიად იყოფიან: საგარეო პოლიტიკისა და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებად, თუმცა ასეთი დანაწილება გარკვეულწილად პირობითია, ვინაიდან საშინაო და საგარეო პოლიტიკის ელემენტები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჭდობილი და ზოგჯერ განუყოფელ მთლიანობასაც ქმნიან.

საქართველოს უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებს განეკუთვნებია: 1) ევრო-ატლანტიკური და ევროპული ინტეგრაცია, რაც გულისხმობს ა) NATO-ში თანდათანობით გაერთიანების პროცესს, ბ) აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებას,

გ) ევროკავშირთან თანამშრომლობას და მასთან სამომავლო ინტეგრაციას; 2) რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირება, რაც ორ სახელმწიფოს შორის მტკიცე და საიმედო დამოკიდებულების საწინდარი უნდა გახდეს; 3) უშუალო მეზობლებთან — აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან სტაბილური, მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნება და სრულყოფა; 4) სტრატეგიული თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერება უკრაინასთან; 5) აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აგრეთვე რეგიონული და სუბრეგიონული სტრუქტურების მუშაობაში და სხვა. ცხადია, აქ მართებულია მივუთითოთ კიდევ სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თითოეული პრიორიტეტი საკმაოდ ტევადი შინაარსის მატარებელია და სხვადასხვა ყურადსაღებ კონკრეტულ მომენტებს შეიცავს. მაგალითად, რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების ასპექტს, იგი გულისხმობს სამხედრო ბაზების რეალურ ვადებში გაყვანის საკითხს, ურთიერთმისაღები ჩარჩოხელშეკრულების დადებას და რაც მთავარია, რუსეთის პოზიტიური ფუნქციის ამოქმედებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

როდესაც განვსაზღვრავთ ქვეყნის უსაფრთხოების საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებს, უნდა გამოვკვეთოთ უმთავრესი ორიენტირი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს უკანასკნელი, ცხადია, თავის თავში ატარებს მთელ რიგ მომენტებს, რომელთა ამ დოკუმენტში გაშლა და განმარტება რაღაც დონეზე აუცილებელია. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, პრობლემის დარეგულირების პოლიტიკური ასპექტი — დაპირისპირებულ მხარეებთან დიალოგის გაღრმავება, სხვადასხვა მეთოდებით ზეგავლენის მოხდენა, კონფლიქტის მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების როლის და ქმედუნარიანობის ზრდა, რუსეთის ფაქტორის პოზიტიური ამოქმედება, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან მუშაობა და ა.შ.; მეორე მხრივ კი ხაზგასმულია ე.წ. სამხედრო ასპექტის მნიშვნელობა, სახელდობრ, მათი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება, გაძლიერება, რაც ეფექტურ ფონს და პირობებს ქმნის პოლიტიკური პროცესის წინსვლისთვის. საშინაო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, განეკუთვნება აგრეთვე, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა, ტრანსკავკასიური ენერგეტიკული დერეფნის დაცულობა სხვადასხვა რისკებისგან, ეკოლო-

გიური პოლიტიკის გატარების ეფექტიანი სისტემის ამუშავება, სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტების განმტკიცება, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტია ძლიერი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და საკუთარი ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობა-პატივისცემის დამკვიდრებისათვის. იგი, ცხადია, გულისხმობს კორუფციასთან რეალურ ბრძოლას, კანონის უზენაესობას, ადმინისტრირების ეფექტურობის მიღწევას და ა.შ. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ეროვნული თავდაცვის სისტემის მშენებლობა წარმოადგენს, სახელდობრ, მისი მოდერნიზება NATO-ს სტანდარტების შესაბამისად. ეს ნიშნავს სხვადასხვა საყურადღებო ასპექტების თანმიმდევრულ რეალიზაციას: პროფესიული სამხედრო სამსახურის პრინციპებზე გადასვლას, სამხედრო განათლებისა და წვრთნების შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებას, დაფინანსების ზრდას, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას, რიცხოვნობისა და სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ოპტიმიზაციას, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე მკაცრ მონიტორინგს, დემოკრატიული კონტროლის გაუმჯობესებას და ა.შ.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღება ჩვენი ხალხის არჩევანი უნდა იყოს. მისი განხილვა საჭიროა პარლამენტში, არასამთავრობო ორგანიზაციების წრეებში და ა.შ.

გაზ. „24 საათი — სამხედრო“
28 ივნისი, 5 ივლისი, 2004 წ.

გეოპოლიტიკური გამოცანა საქართველოსათვის

კავკასიური საჭადრაკო დაფა

ფაქტია, რომ კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი ზონის შემადგენელი ნაწილია. ამერიკელი პოლიტოლოგი ზ. ბჟეზინსკი მას „ევრაზიულ ბალკანეთს" უწოდებს. ის ავღანეთზე, ყაზახეთზე, ყირგიზეთზე, ტაჯიკეთზე, უზბეკეთზე, თურქმენეთზე, აზერბაიჯანზე, სომხეთზე, საქართველოზე, თურქეთზე, ირანზე და რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-კავკასიურ სარტყელზე განფენილ დიდ ტერიტორიას მოიცავს. მართალია, მახლობელი აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის რეგიონი მეტი სიმწვავით ხასიათდება, მაგრამ საბოლოო არბიტრად და ჰეგემონად აქ მაინც ერთადერთი ძალა, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები გვევლინება. მაშინ, როდესაც ე.წ. „ევრაზიული ბალკანეთი", სხვადასხვა სიდიდის ძალთა თამაშის არეალს წარმოადგენს, სადაც ერთმნიშვნელოვნად არ არის გამოკვეთილი დომინანტური სუბიექტი. თუკი ტრადიციული ბალკანეთი იმ სახელმწიფო მისწრაფებების გეოპოლიტიკური ობიექტი იყო, რომლებიც ერთმანეთს ევროპაზე გაბატონებისთვის ებრძოდნენ, „ევრაზიული ბალკანეთი" უმნიშვნელოვანესი მიზიდულობის ცენტრია, რომელიც ძლევამოსილი, ძლიერი და სუსტი ქვეყნების ინტერესების ამოქმედებას, შეჯახებასა თუ გადაკვეთას განაპირობებს მთლიან კონტინენტზე საკუთარი გავლენის ზრდის, ან ადგილის დამკვიდრებისთვის. ბჟეზინსკის მიხედვით, „ევრაზიული ბალკანეთი" მნიშვნელოვანია მისი საკომუნიკაციო პოტენციალით, რომელმაც უნდა შეაერთოს ევროპის ყველაზე განვითარებული სამრეწველო რაიონები ევრაზიის მდიდარ რაიონებთან და შორეული აღმოსავლეთის უკიდურეს წერტილებთან. ამას გარდა, ეს ზონა გამოირჩევა მის მიმართ ისეთი დიდი ქვეყნების ისტორიული სამხედრო-პოლიტიკური ამბიციებით, როგორიცაა რუსეთი, თურქეთი, ირანი. ამჟამად ამას ემატება აშშ-ს და ჩინეთის მზარდი პოლიტიკური

ინტერესებიც. და ბოლოს, „ევრაზიული ბალკანეთი“ აქტუალურია თავისი სერიოზული ეკონომიკური პოტენციალით: აქ სახეზეა ძვირფასი სასარგებლო წიაღისეული (ოქროს ჩათვლით), გაზისა და ნავთობის უზარმაზარი მარაგი. ზემოთ აღნიშნული მომენტი განაპირობებს რეგიონში დღესდღეობით მძლავრი პოლიტიკური ზრახვებისა და სახელმწიფოთაშორისო მეტოქეობის გაღვივებას, რასაც ემატება აქ არსებული ეთნიკური, ტერიტორიული და რელიგიური კოლიზიები: ჩეჩნეთის კონფლიქტი, ყარაბაღის პრობლემა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ეთნიკური სიჭრელე ირანში, საერთაშორისო ტერორიზმის ბუდე ავღანეთში, ისლამისტური მოძრაობები ცენტრალურ აზიაში.

მაშასადამე, ჩვენს წინაშეა საოცარი მუხტის, ენერგიისა და დაძაბულობის ველი, რომელმაც შეიძლება კიდევ მძლავრად იფეთქოს, ან რომელიც შეიძლება, პირიქით, მატერიალური კეთილდღეობისა და საერთაშორისო გარანტიების მქონე უსაფრთხოების ოაზისად იქცეს.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს „ევრაზიული ბალკანეთის“ ის ნაწილი, რომელსაც კავკასია ჰქვია. სახელდობრ, გვსურს ზოგადად გავაანალიზოთ აქ შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების რამდენიმე არსებული ასპექტი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: რა არის ის მთავარი მომენტები, რითაც ეს რეგიონი გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოსთვის? ა) მისი სატრანზიტო პოტენციალი და, კერძოდ, სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და ენერგომატარებლების მილსადენების ფორმირებადი სისტემა. კავკასიას შეუძლია შეასრულოს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის ფუნქცია, თანაც მეორე პირველზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რაზეც ბრიტანელი პოლიტოლოგი ბარლზ ბლენდი მიუთითებს; ბ) გაზისა და ნავთობის მარაგები კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ შელფში; გ) რეგიონის განსაკუთრებული როლი სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო-სტრატეგიული და უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით; დ) აფხაზეთის საზღვაო ზოლის მნიშვნელობა. შესაბამისად, ამა თუ იმ დიდი ქვეყნის გეოსტრატეგიული ინტერესები თავის თავში შეიცავს ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და ა.შ. მომენტებს. მაგალითად, თურქეთისთვის სასიცოცხლოდ აქტუალურია თავისი მოძმე ქვეყნის — აზერბაიჯანის ყოველმხრივ მხარდაჭერა, განსაკუთრებით ტერიტორი-

ული პრობლემის მოგვარების საქმეში და მისი პოზიციების თანამიმდევრული განმტკიცება. ამას გარდა, მას წმინდა წყლის ეკონომიკური ინტერესიც ამოძრავებს, რათა აზერბაიჯანული ნახშირწყალბადის რესურსების ტრანსპორტირების მარშრუტი მისკენ მიემართებოდეს. იგი ეწინააღმდეგება რუსეთის გავლენის აღდგენას და ირანის როლის ზრდას რეგიონში და თავად იღვწის, რათა გააძლიეროს საკუთარი პოზიციები ჩრდილოეთ კავკასიაში. მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს სამხრეთიდან, კერძოდ, ახალქალაქიდან და ბათუმიდან, შემდგომში კი სომხეთიდან (გიუმრიდან) რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა და ამით საიმედო ბუფერის შექმნა ჩრდილოელ „დათვთან“.

რაც შეეხება ირანს, მისი მუდმივი ყურადღების საგანია განსაკუთრებული სიფხიზლე და სიფრთხილე აზერბაიჯანთან მიმართებაში, რათა არ დაუშვას ამ უკანასკნელის ზემოქმედებით საკუთარ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში სეპარატიზმის გაღვივება და ე.წ. „დიდი აზერბაიჯანის“ იდეის აღორძინება. მას სერიოზული პრეტენზიები აქვს ზოგიერთ კასპიურ ნავთობსაბადოსთან დაკავშირებით, რომლებიც აზერბაიჯანულ სექტორში მდებარეობენ, რის გამოც მეზობლისადმი დრო და დრო ძალისმიერი ზეწოლის მეთოდებსაც მიმართავდა. ირანის პროტესტს იწვევს ის ვითარება, რომ იგი ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევით კასპიური ნახშირწყალბადების მოპოვებისა და ტრანსპორტირების მიღმა აღმოჩნდა. სამხედრო-პოლიტიკურ ჭრილში კი მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავება (შესაბამისად, კარგი ურთიერთობები სომხეთთან) და უკიდურესად საგანგაშოა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების გაფართოება-გაძლიერება კავკასიის რეგიონში, რასაც იგი უპირისპირდება. ვფიქრობ, რომ მოცემულ ეტაპზე ისლამური რესპუბლიკის მთავარ საზრუნავს უკვე ეს უკანასკნელი ვითარება შეადგენს.

ცხადია, თურქეთისა და ირანის კავკასიური ინტერესების კიდევ არაერთ არსებით ასპექტზე შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ ამჟამად ჩვენი განხილვის მთავარ ობიექტს ორი გეოსტრატეგიული სუბიექტი — აშშ და რუსეთი — და მათი ურთიერთმიმართების ვექტორები წარმოადგენს ჩვენს რეგიონში.

ამერიკის შეერთებული შტატები „ევრაზიულ ბალკანეთში“ წამყვანი მოთამაშის პრეტენზიის ქონისთვის მეტად შორსაა, მაგრამ საკმაოდ ძლევამოსილია, იმისთვის, რომ განზე გადგეს მოცემულ

„თეატრზე" განვითარებული პროცესებისგან. რუსეთი კი ჯერ სუსტია რეგიონზე იმპერიული პროტექტორატის აღსადგენად ან მისი ბედის განსაზღვრისას სხვა მოქმედი პირების გამოსარიცხად. ამავე დროს, იგი გეოგრაფიულად ახლომდებარე ქვეყანაა და მისი როლისა და მნიშვნელობის უგულებელყოფა არ შეიძლება — ასე წერდა ზ. ბუეზინსკი 90-იანი წლების ბოლოს.

სცილასა და ქარიბდას შორის

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი, ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობით დაიწყო გლობალური ანტიტერორისტული კამპანია — წარმატებული სამხედრო მოქმედებები ავღანეთში, ერაყის ოკუპაცია. ამ ფონზე, მსოფლიოს ზესახელმწიფოს ინტერესები სულ უფრო მჭიდროდ და ღრმად შემოდის კავკასიის რეგიონში. მეორეს მხრივ, დღევანდელი რუსეთიც სხვაა: ელცინის მემკვიდრე პუტინი მტკიცე პოლიტიკური ნებითა და მიზანდასახულობით გამოირჩევა. სახელისუფლო ინსტიტუტების განმტკიცება, დერეფანული ამბიციების ზრდა, პოზიციური ტენდენციები ეკონომიკაში (უპირველეს ყოვლისა, ნავთობზე ფასების მომატების ხარჯზე), და ჩეჩნეთზე კონტროლის აღდგენა ახალი რუსეთის დამახასიათებელი შტრიხია. შესაბამისად, დღეს რუსეთის „მადაც" კავკასიისადმი გაცილებით დიდი და პრეტენზიულია.

1999 წელს ბაქო-ჯეიჰანის პროექტების მიღებითა და 2002 წელს „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დაწყებით, აშშ-მ მყარად მოიკიდა ფეხი კავკასიის რეგიონში და ღიად განაცხადა აქ თავისი განსაკუთრებული ინტერესების შესახებ. უკვე კარგა ხანია, იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაზე. ის ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობას, რაც ახლახან კიდევ ერთხელ გააღერა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა. როგორც ბუეზინსკი აღნიშნავს, აშშ-სთვის პრიორიტეტული საკითხია, არ დაუშვას მოცემულ გეოპოლიტიკურ სივრცეზე ერთი სახელმწიფოს (სახელდობრ რუსეთის) ცალსახა კონტროლი. თუმცა, იმავდროულად, იგი საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის გულწრფელად ურჩევდა რუსეთთან

ურთიერთობების დათბობა-გაუმჯობესებას. ამერიკის ადმინისტრაციის თვალსაზრისით, რუსეთის აქტიური ეკონომიკური მონაწილეობა რეგიონის განვითარებაში, რეგიონის სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტია.

აშშ-ს ინტერესი კავკასიისადმი განპირობებულია ირანის ფაქტორითაც. რეგიონში (კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანში) საკუთარი პოზიციების განმტკიცებით იგი თავზე ექცევა ძირითად იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს — შიიტურ-ფუნდამენტალისტურ ქვეყანას და თანაც სოლივით იჭრება რუსეთ-ირანის სტრატეგიულ ვერტიკალში.

რუსეთის ინტერესებზე საუბრისას საჭიროა, გავთავისუფლდეთ ყოველგვარი ილუზიისაგან და მყარად ვიცოდეთ: რეგიონში ერთმნიშვნელოვანი გავლენის აღდგენა, რუსეთის ძირეული მისწრაფება იყო და იქნება; რადგან ყოველივე ამას თავისი ისტორიული და მუდმივი გეოპოლიტიკური საფუძველი აქვს. ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება დღეს იგი იძულებული იყოს, შეეგუოს ე.წ. ძალთა ბალანსსა და პლურალიზმს კავკასიაში, ან კიდევ, თანამედროვე სუპერ-სახელმწიფოს პრიმატს მისთვის საინტერესო რეგიონის რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ მისთვის ეს დროებითი ტაქტიკური უკუსვლაა. რუსი პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების დიდ ნაწილში საკუთარი დერუავის ცნება განუყოფელია მე-19 საუკუნეში კავკასიის ათვისების დიდი ეპოპეის ასოციაციებისაგან: ჩვენს ჯარისკაცებს აქ სისხლი აქვთ დაღვრილი! — ეს ღრმადაა ჩაბეჭდილი მათ ცნობიერებაში. კავკასია ყოველთვის იქნება მისი სტრატეგიული ინტენციების ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტი და ეს არასდროს არავის უნდა გაუკვირდეს.

ამჟამად რუსეთი დაინტერესებულია, შეინარჩუნოს კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. აგრეთვე, სანამ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი გაურკვეველი რჩება, მაქსიმალურად გაწელოს საკუთარი სამხედრო ბაზების ყოფნა ახალქალაქსა და ბათუმში. რაც მთავარია, ამჟამად მისთვის და სომხეთისთვის ყველაზე უფრო აქტუალურია რკინიგზის აღდგენა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რითაც ბოლო მოეღება მათ საკომუნიკაციო ურთიერთიზოლაციას. თანაც, ჩვენგან ამას, ფაქტობრივად, არაფრის სანაცვლოდ ითხოვენ: გალის რაიონში მოსახლეობის დაბრუნება არგუმენტად არ გამოდგება, რადგან დევნილების დიდი ნაწილი უკვე თავისით არის შესული უკან და ეს პროცესი აფხაზების

ნება-სურვილს ისედაც არ ეწინააღმდეგება. და კიდევ, ერთი ასპექტის შესახებ: რუსეთისათვის კავკასიურ გეოპოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი აფხაზეთის საზღვაო როლია. რატომ? იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, შავ ზღვაზე კრასნოდარის სანაპირო მონაკვეთისა და სევასტოპოლის პორტის გარდა გასასვლელი აღარ დარჩა. ეს უკანასკნელი კი, მოგეხსენებათ, უკრაინისაგან იჯარით აქვს აღებული, რასაც, თავისი ვადა გასდის. აფხაზეთის სანაპირო ზოლის საკურორტო მნიშვნელობის გარდა, რუსეთის განსაკუთრებული ყურადღების საგანია ოჩამჩირე, რომელიც სამხედრო-საზღვაო ბაზის პოტენციალით გამოირჩევა და, ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი საკვანძო მომენტია რუსეთის „აფხაზურ" პოლიტიკაში.

ზემოთქმულს აუცილებლად უნდა დაუმატოთ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: საქართველოში თავისი გავლენის აღდგენა იმავდროულად მის მიერ ჩეჩნეთსა და, საერთოდ, ჩრდილოკავკასიურ სარტყელზე ყოველმხრივი კონტროლის უზრუნველყოფას ნიშნავს.

ჩვენ მიერ ზოგადად დახასიათებული მრავალმხრივი სტრატეგიული ინტერესების ველი გვიჩვენებს, როგორი გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და ალტერნატივების წინაშე დგას საქართველო. დროთა განმავლობაში სულ უფრო მომწიფდება არჩევანის გაკეთებისა თუ კვანძის გახსნის აუცილებლობა — შეიძლება კავკასია მართლაც იქცეს აშშ-სა და რუსეთის გარკვეული კონსენსუსის, ე.ი. ინტერესთა შეჯერების სფეროდ და, მაშინ, ბალანსირების პოლიტიკა საქართველოსათვის, ბოლოს და ბოლოს, შედეგიანი აღმოჩნდება. შეიძლება პირიქით, ორი დიდი ქვეყნის გეოსტრატეგიულ ინტერესთა შეპირისპირების გამო სიტუაცია დაიძაბოს და, ამდენად, ცალსახა არჩევანის გაკეთება ჩვენთვის გარდაუვალი აღმოჩნდეს.

დღეს კი ფაქტია, რომ საქართველოს სცილასა და ქარიბდას შორის, უაღრესად ფრთხილი, გაზომილი, მაგრამ ენერგიული მოძრაობა მართებს.

გაზ. „24 საათი — სამხედრო"
7 ივნისი, 14 ივნისი, 2004 წ.

საქართველო და NATO

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოსა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გრანდიოზული პოლიტიკური ძვრების მომსწრენი აღმოვჩნდით — გერმანიის გაერთიანება, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება, საბჭოთა კავშირის დაშლა, ახალი პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება... ყოველივე ეს ცივი ომის ეპოქის დასრულებას ნიშნავდა. შეცვლილი პოლიტიკური რეალიები NATO-ს წინაშე ახალ მოთხოვნებს აყენებდა. NATO-მ, შესაბამისად, თავისი ძირეული მიდგომებისა და ხედვების ნაწილობრივი გადახალისება და მოდიფიცირება დაიწყო. ეს გამოიხატა 1991 წელს რომის სამიტზე მიღებულ სტრატეგიულ კონცეფციაში, სადაც ევროპული უსაფრთხოების სისტემისათვის დიალოგისა და თანამშრომლობის მნიშვნელობაა ხაზგასმული. საკუთარ შეიარაღებულ ძალებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება გადაწყდა — ბირთვულ იარაღზე დამოკიდებულების შესუსტება, რიცხოვნობის შემცირება, მობილურობის გაუმჯობესება, სამხედრო მართვის მოდერნიზაცია და ა.შ. ამავე სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე, მათ შორის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების პრაქტიკულ მხარდაჭერაზეა საუბარი. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ე.წ. ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნები მონაწილეობენ. მათ რიცხვს 1992 წელს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო შეუერთდა.

ბალნაკეთის კრიზისი NATO-სათვის ახალი მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა. ამის გამო მის სტრატეგიასა და მოქმედებებში სერიოზული კორექტივების შეტანა კვლავ საჭირო გახდა. 1995 წელს დაიდო დეიტონის შეთანხმება, რითაც დასრულდა ომი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ჯერ შეთანხმების შესრულების უზრუნველმყოფელ ძალთა, შემდგომ კი, სტაბილიზაციის შექმნაში NATO-მ გადამწყვეტი როლი ითამაშა. მოგვიანებით, 1999 წელს ორგანიზაცია კოსოვოს

კრიზისში ჩაერია და იუგოსლავიის წინააღმდეგ საჰაერო კამპანია ჩაატარა. მისი ქმედება კოსოველი ალბანელების მიმართ მასობრივი ძალადობის ტალღის შესაჩერებლად და კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის აღსაკვეთად განხორციელდა.

ახალმა პოლიტიკურმა რეალიებმა — რეგიონალური კრიზისების საფრთხეებმა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროებამ და ორგანიზაციის შემდგომი გაფართოების პროცესმა (1999 წლის მარტში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი გახდნენ) საეტაპო დოკუმენტის, — NATO-ს ახალი სტრატეგიული კონფეცფიის მიღება (1999 წლის აპრილში გამართულ ვაშინგტონის სამიტზე) განაპირობა.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზაციის კიდევ ერთ უნიკალურ ინიციატივად პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის" გვევლინება, რომელიც 1994 წელს მიიღეს და სადღეისოდ 20 პარტნიორ ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც მოიცავს. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნული პროგრამის ეგიდით ჩატარებულ მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობს, რომელთაგან რამდენიმე ჩვენს ტერიტორიაზეც გაიმართა: „კოოპერატივ პარტნერ-2001" (2001 წელს, ქ. ფოთი), „კოოპერატივ ბესტ ეფფორტ-2002" (2002 წელი, ქ. თბილისი), „მედ კეირ-რესკურერ 03" (2003, ქ. თბილისი). 1999 წლის მარტში საქართველო მიუერთდა ამ პროგრამის „დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს" (PARP), და როგორც პარტნიორი სახელმწიფო, — სათანადოდ მომზადებული ქვედანაყოფებით, — კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებაში ჩაერთო.

2001 წლის 11 სექტემბერმა NATO-ს სტრატეგია კვლავ სერიოზულად გადააფასა. როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი, ჯეფრი საიმონი აღნიშნავს, ტერორიზმის პრობლემა, მართალია, ამ ორგანიზაციის თვალთახედვაში ყოველთვის ფიგურირებდა, მაგრამ ცივი ომის შემდგომ პერიოდში იგი მაინც უკანა პლანზე რჩებოდა. როდესაც 2001 წლის 12 სექტემბერს ალიანსმა მე-5 მუხლი აამოქმედა, აღნიშნული პრობლემა დღის წესრიგში მთელი აქტუალობით დადგა და სადღეისოდ, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ორგანიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. 2002 წლის პრაღის სამიტზე NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის და საკომანდო სტრუქტურების ტრანსფორმირების გადაწყვეტილება მიიღეს; სამიტის შემდგომ კი ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეპტუალური მიმართულებები დაამტკიცა. პრაღაში ალიანსის შემდგომი გაფართოების პრინციპული შესაძლებლობაც გაცხადდა, რის შედეგადაც მას შვიდი ახალი წევრი — ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი შეემატა.

ამჟამად ავღანეთში NATO ატარებს სამშვიდობო ოპერაციას ე.წ. საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალებით; მან ქაბულისა და რამდენიმე პროვინციის კონტროლი თავის თავზე აიღო. დიახ, ალიანსის მთელი ეს დინამიკა, რაზედაც ახლა ვსაუბრობთ, გარკვეულწილად სწორედ რომ 2001 წლის 11 სექტემბრის გამოწვევის საპასუხო ქმედებებს წარმოადგენს.

შევძლებთ კი მძიმე გამოცდის ჩაბარებას?

ფაქტია, რომ საქართველო ბოლო პერიოდში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებისკენ სწრაფვას ძალზედ სერიოზულად და გულწრფელად გამოხატავს. მაგრამ აქამდე სურვილი მეტად შორს იყო შესაძლებლობისაგან: ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა წლების განმავლობაში — გინდ ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისის, კორუფციისა თუ არაქმედითუნარიანი უსაფრთხოების სისტემის თვალსაზრისით, ცხადია, ვერაფერი შელავათი იყო. თუმცა, 2002 წლიდან ჩვენს შეიარაღებულ ძალებში „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" დაიწყო, რომლის შედეგადაც თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მომზადებული სამხედრო დანაყოფები ჩამოყალიბდა. ამან NATO-სთან ურთიერთობებში ჩვენი მყიფე პოზიციები შედარებით განამტკიცა. აგრეთვე, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო საკმაოდ აქტიურად აღმოჩნდა ჩართული „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებსა და პროცესებში, რაც, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას ახდენდა ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციასთან ჩვენს შემდგომ კოოპერაციაზე. 2002 წელს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამთავრობო კომისია შეიქმნა. 2002 წლის 13 სექტემბერს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, საქართველოს NATO-ში გაწევრიანების დაჩქარებისა და ეფექტურად წარმართვის თაობაზე. 2002 წლის ნოემბერში პრაღის სამიტზე საქართველომ

გააკეთა განცხადება ალიანსში გაერთიანების სურვილის შესახებ, რასაც, შედეგად, „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში" მონაწილეობის პროცედურის დაწყება მოჰყვა; კერძოდ, ჯერ შემუშავდა ამ დოკუმენტის პროექტი, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში NATO-ს ხელმძღვანელობას განსახილველად გადაეცა.

ახლა განვიხილოთ მთავარი საკითხი: აქვს თუ არა საქართველოს მეტ-ნაკლებად ახლო მომავალში NATO-ში გაწევრიანების რეალური პერსპექტივა? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თანმიმდევრულად გადადგამს ქვეყნის ხელისუფლება ორგანიზაციის კარიბჭესთან მისვლისა და შემდგომ უკვე მის სამფლობელოში შესვლისათვის ნაბიჯებს. რა მოთხოვნებს აყენებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ჩვენს წინაშე, და რა არის ის სავალდებულო გასავლელი პროცედურა, რაც სწორადაა ასახული ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში? შევეცდებით, ძალზე მოკლედ გადმოვცეთ მისი ძირითადი მომენტები: NATO-დან მიღებული მოდალობების თანახმად, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები; 2. თავდაცვის, უშიშროებისა და სამხედრო საკითხები; 3. საზოგადოებრივი ინფორმაცია, სამეცნიერო, გარემოს დაცვის საკითხები და სამოქალაქო კრიზისული სიტუაციების დაგეგმვა; 4. რესურსების მართვისა და ადმინისტრაციული თავდაცვითი უშიშროების საკითხები. მკითხველისთვის რომ ნათელი იყოს, თუ რის შესახებაა საუბარი, საჭიროა უფრო კონკრეტულად მივუთითოთ რამდენიმე არსებით ასპექტზე: შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის სრულყოფა; საქართველოში არსებული კონფლიქტების პოლიტიკური დარეგულირება; ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დაჩქარება; შეიარაღებულ ძალებსა და მთლიანად სამხედრო ძალებში რეფორმების გატარება (რაც, უპირველეს ყოვლისა, NATO-ს დაგეგმვის სისტემებთან საქართველოს თავდაცვის დაგეგმვის სისტემის თავსებადობას გულისხმობს), ანუ თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვის სისტემის რაციონალიზაცია; პირადი შემადგენლობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფა; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეიარაღებული ძალების ყველა შენაერთისა და ქვედანაყოფისათვის საბრძოლო მზადყოფნის მაღალი დონის მიღწევა, მუდმივი მზადყოფნის ძალების ჩამოყალიბება; საომარი რეზერვის შექმნა და ა.შ... რა თქმა

უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, რესურსების სწორი მართვისა და კონტროლის საკითხს, რაც პირდაპირ კავშირშია კორუფციის აღმოფხვრასთან. და, რაც მთავარია, რეფორმის გატარება შეუძლებელი იქნება თავდაცვის დაფინანსების მკვეთრი ზრდის ტენდენციის გარეშე. ეს სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს, აგრეთვე, ეფექტიანი საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას, კერძოდ, ინფორმაციული სტრატეგია მიმართული უნდა იყოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხზე სრული ეროვნული კონსენსუსისაკენ.

ცხადია, აქ ძალზედ არასრულყოფილად და ზოგადად მიმოვიხილეთ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმისათვის აუცილებელი ასპექტები და სამწუხაროდ, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გამოვტოვეთ, მაგრამ ამჟამად ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ესეც საკმარისია. ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ პრობლემის არსებით განხილვას. მაშასადამე, ჩვენ სერიოზული გამოცდის ჩაბარება გვიწევს. არის თუ არა ხელისუფლებაში სათანადო მზაობა ამისათვის? ღირსეულად გავართმევთ თუ არა თავს დასახულ ამოცანას? დიახ, გამოცდა ნამდვილად ძნელია, უაღრესად ძნელი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მტკიცე პოლიტიკური ნება და საზოგადოების სათანადო ფსიქოლოგიური განწყობა — ორივე უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობაა კონკრეტული უზარმაზარი სამუშაოს ენერგიულად და შედეგიანად შესრულებისთვის. შევძლებთ კი მკვდარი წერტილიდან დავძრათ მოლაპარაკებების პროცესი რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე?! რამდენად უტყუარი, არამოჩვენებითი იქნება კორუფციის აღმოფხვრის ღონისძიებები ჩვენს სამხედრო ძალებში? რამდენად მივაღწევთ საბრძოლო მზადყოფნისა და მატერიალური უზრუნველყოფის ერთ დონეს მთელს შეიარაღებულ ძალებში, და შევძლებთ მის შემდგომ თანმიმდევრულ ამაღლებას? დაიწყება თუ არა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემების მოგვარების ერთიან სტრატეგიაზე დაფუძნებული რეალური პროცესი (ისე, რომ არ აღმოვჩნდეთ ჩაბმული ხანგრძლივი ომის ჭაობში)?.. კიდევ მრავალ კითხვაზე მოგვიწევს პასუხის გაცემა, რაც სერიოზულ დაფიქრებას, დაგეგმვასა და ძალისხმევას საჭიროებს.

მართლაცდა, ამ მძიმე გამოცდის გასავლელად უზარმაზარი ენერგიის მობილიზება გვმართებს. რაც მთავარია, თავად NATO-ში სახეზეა კეთილი განწყობილება საქართველოს მისამართით. პარა-

ლელურად მათ უნდა დაინახონ ჩვენი მეთოდური ქმედებები ტრანსფორმაციისკენ. შეუძლებელი და არარეალური არაფერია: ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება, სწორი სტრატეგია, კადრები (რომლებიც მას განახორციელებენ) და მოსახლეობის თანადგომა — აი, ეს ფაქტორები უზრუნველყოფენ დასახული ამოცანების ეტაპობრივ შესრულებას და შესაბამისად, ევროატლანტიკური ინტეგრირების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.

გაზ. „24 საათი — სამხედრო"
21 ივნისი, 2004 წ.

მსოფლმხედველოგათა შეჯახება საქართველოში

„ჰყვებიან მათ და აცთუნებენ ჩემ ერს
თავიანთი ტყუილებით და ტრაბახით"
ბიბლია, იერემია წინასწარმეტყველი

2003 წლის ნოემბერში მომხდარი ე.წ. „ვარდების რევოლუცია" მართლაც, სერიოზული ცვლილებების მომასწავებელი აღმოჩნდა საქართველოსთვის, მაგრამ არა იმ ცვლილებებისა, რომელზედაც ღაღადებდა რევოლუციური ტრიუმვირატი და გაჭირვებული მოსახლეობის დიდ ნაწილს საოცარი იმედებით აღავსებდა, არამედ სულ სხვა...

ისინი გვპირდებოდნენ: უკეთ იცხოვრებთ! კორუფციას შევებრძოლებით! ბიზნესი, წარმოება აღმავლობის გზით წავა! დემოკრატია გაიზრდება და კანონის უზენაესობა იზეიმებს! დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას რეალურად დავიწყებთ! — გიხაროდენ!

საზოგადოების უმეტესობა ეიფორიაში იყო. ხალხი ელოდებოდა რაღაც სასიკეთო ნაბიჯებს, თუნდაც მხოლოდ ტენდენციებს პოზიტიური ძვრებისა, ელოდებოდა და... ბოლოს, ერთი წლისთავზე, საშინელი იმედგაცრუება მიიღო. ყოველივე ზემოთქმული ბლეფი აღმოჩნდა: ჩვენი ცხოვრების მატერიალური პირობები მკვეთრად უარესდება — ყველაფერი ძვირდება, უმუშევრობა პიკს აღწევს, ეკონომიკური სტაგნაცია ღრმავდება; დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ნაცვლად ავტორიტარიზმი და დიქტატურა მკვიდრდება: „თვითმპყრობელური" საპრეზიდენტო ხელისუფლებით, ფაქტობრივად, ერთპარტიული მორჩილი პარლამენტით, მასმედიაზე კონტროლის დაწესებით, ადამიანის უფლებების მასიური დარღვევებით.

კორუფციასთან ბრძოლის დროშის ქვეშ, სინამდვილეში, ადგილი აქვს ბიზნეს-სფეროების ახალ გადანაწილებას და სახელმწიფო რეკეტის გზით ამოღებული თანხების ოთხმოცი პროცენტის ჯიბეში

ჩადებას. ხელისუფლების მიერ ცხინვალის რეგიონში წამოწყებული გაუაზრებელი და მოუმზადებელი კამპანიის შედეგად იქ გაცილებით დამძიმდა და გამწვავდა ვითარება და საერთოდ, ჩვენ ჩრდილოეთელ მეზობელთან უკიდურესი კონფრონტაციის გამო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები კიდევ უფრო ბუნდოვანი შეიქნა: ამჟამად აფხაზეთის აბსორბაცია რუსეთის მიერ უკვე დაუფარავ ხასიათს ატარებს.

დიახ, სამწუხაროდ, ილუზია აღმოჩნდა ხამამაღალი, კეთილშობილური დაპირებები, სამაგიეროდ, ამ ერთი წლის განმავლობაში სრულიად აშკარა გახდა „ვარდისფერი" ხელისუფლების რეალური და სტრატეგიული ზრახვები: თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად გაატარონ პოლიტიკა ჩვენი ე.წ. კულტურული „ტრანსფორმაციის" მიზნით. მათ დაიწყეს მეთოდური შეტევა ყოველივე იმაზე, რაც ჩვენი ეროვნული კულტურის საფუძვლებს შეადგენს. მათ მოინდომეს ქართული ცნობიერების „პლასტიკური ოპერირება". ამას სჩადიან ზოგჯერ ფრთხილად და ირიბად, ზოგჯერ აგრესიული, თავხედური ფორმით და ეს ჯერჯერობით ძალების მოსინჯვას ჰგავს: ცხადია, რომ ისინი გადამწყვეტი მოქმედებისათვის ემზადებიან.

როგორ შეიძლება მოვაცილოთ ხალხი მის ფესვებს? პასუხი მარტივია — მოვუსპოთ მეხსიერება. წავართვათ ადამიანებს ცოდნა იმის შესახებ, თუ ვინ არიან ისინი და საიდან მოდიან, — წერს პატრიკ ჯ. ბიუკენენი თავის გახმაურებულ წიგნში „დასავლეთის სიკვდილი".

მისი შესანიშნავი ანალიზი ავლენს იმ კონკრეტულ ფაქტორებს, რომლებიც თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის — ევროპული ქვეყნების და აშშ-ის მზარდ კრიზისს განაპირობებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ კულტურული რევოლუციის ტალღა აღმოჩნდა.

ავტორის აზრით, ამ „ახალი რწმენის კატეხიზისის" მიზანს შეადგენს პატრიოტიზმის მოსპობა, ხალხის დემორალიზაცია, ქვეყნის დეკონსტრუირება. XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ კონტრკულტურის ტალღა განსაკუთრებული გაშმაგებით შეუდგა ამერიკული მემკვიდრეობის ძირის გამოთხრას — მისი ისტორიის დემითოლოგიზაციას და მისი გმირების დაკნინებას.

ომი ამერიკულ წარსულთან და შეგნებული გამოთაყვანება ამერიკელი ბავშვების — მათი თავების გარდაქმნა ცარიელ ჭურჭლებად, რომლებშიც შემდგომ დაიწყებენ ახალი ისტორიის

ჩასხმას — ხორციელდება სწრაფად და წარმატებულად, — აღნიშნავს ბიუკენენი.

იგი აგრეთვე მიუთითებს, რომ კონტრკულტურის ადეპტებმა თავიდანვე მიზნად დაისახეს დასავლური სამყაროს თანმიმდევრული დექრისტიანიზაცია. სანამ დავიპყრობთ დასავლეთს, მას რწმენა უნდა გამოვაცალოთ. მაგრამ როგორ? სწორედ რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტების დაუფლების გზით.

საჭიროა დავეუფლოთ იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ახალი თაობის სულის ფორმირებას წარმართავენ — სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, კინემატოგრაფს, მუსიკას, ხელოვნებას, ტელევიზიას, მასმედიას საერთოდ...

აი, ამით შესაძლებელი გახდება დასავლეთის დექრისტიანიზაცია. რამდენიმე თაობის შემდგომ მიზანი მიღწეულ იქნება და მაშინ დასავლეთი გადაიქცევა სულ სხვა ცივილიზაციად, ხოლო კულტურის მართვას აუცილებლად მოჰყვება სახელმწიფოს მართვაც ჩვენი მხრიდან — ასეთი იყო და არის კონტრკულტურის იდეოლოგების და მათი მრავალრიცხოვანი მიმდევრების თეორია და სტრატეგია.

ბიუკენენი აქვე შენიშნავს, რომ სწორედ ქრისტიანობის პოზიციების შესუსტებასთან ერთად დაიწყო ერთი საბედისწერო პროცესი — დასავლელი ადამიანი სულ უფრო და უფრო უარს ამბობს გვარის გაგრძელებაზე.

ამგვარად, თუკი ამერიკელი მოაზროვნე გამოთქვამს სერიოზულ შიშს იმ უდიდესი საფრთხეებისა და კრიზისის გამო, რომელიც განვითარებულ ევროპასა და მსოფლიოს ფლაგმან სუპერ-სახელმწიფოს — აშშ-ს ემუქრება, მაშინ ჩვენ რაღა ვთქვათ?

იგივე საფრთხეები ხომ შეუდარებლად დამანგრეველია ისედაც მცირერიცხოვანი, პოლიტიკურად სუსტი და ეკონომიკურად ჩამორჩენილი საქართველოსთვის!

როდის და რით დაიწყო შეტევა ჩვენი კულტურის საფუძვლებზე? ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ე.წ. რევოლუციის დროს და, კერძოდ, მისი სიმბოლიკის დამკვიდრებით: სახელდობრ, სახელმწიფო გადატრიალების მოთავეებმა და მათმა მხარდაჭერმა მასმედიამ (ცხადია, „ვიღაცების" რჩევით გარედან) მთელი ეს ძალადობის პროცესი მონათლეს „ვარდების" სახელით.

აღნიშნული აქტი გულისხმობს, სწორედ რომ ჩვენი ბუნებრივი, ისტორიული, თითქმის არქეტიპული ვაზის სიმბოლოს ხელოვნურ ჩანაცვლებას სრულიად უცხო ფენომენით.

აღსანიშნავია შემდეგი ვითარებაც: რევოლუციის მზადებისას დაიწყო ახალი ჯიშის ახალგაზრდათა „კლასის“ — „კმარელების“ — ფორმირება, რომლებმაც ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მთელ ამ პროცესში. ისინი მოგვევლინნენ რაღაც მოდერნიზებული კომკავშირული ბრიგადების სახით — ჰიბრიდული, უსამშობლო და უტრადიციო არსებები თავისი დაპროგრამებული და დეფორმირებული ცნობიერებით. დიახ, ეს იყო პირველი ექსპერიმენტი საქართველოში არატრადიციული ტიპის ახალი თაობის „გამოყვანისა“.

„ვარდისფერი“ გადატრიალების შემდგომ ძალიან მალევე მისმა იდეურმა მომხრეებმა და სხვადასხვა „ავტორიტეტებმა“ დაიწყეს საუბარი ე.წ. კულტურული რევოლუციის აუცილებლობის შესახებ.

პრესაში ასევე გაჩნდა ულტრაგლობალისტური პროპაგანდა დევიზით: „ერთი პლანეტა, ერთი სახელმწიფო, ერთი ხალხი“. ხელისუფლებამ წამოიწყო ე.წ. განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც სინამდვილეში გულისხმობს, ერთი მხრივ, იმ ეროვნული კულტურული საფუძვლების მოშლას, რაზედაც უნდა ხდებოდეს ბავშვის-მოწაფის აღზრდა და მისი ცნობიერების ჩამოყალიბება და მეორე მხრივ კი, ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (განსაკუთრებით, ცხადია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის) დიდი ტრადიციების ანულირებას, მათ დაჩიავებას და, სახელდობრ, მთელი რიგი სამეცნიერო დარგების კვდომას: რაში სჭირდება ჩამორჩენილ, პროვინციულ საქართველოს ამდენი რამ: ფიზიკა, ქიმია, არქეოლოგია, ფილოსოფია... ეს ხომ ფუფუნებაა?! — ასეთია გლობალისტ-რეფორმატორთა და მათ გარეშე მოძღვართა მიდგომა.

და რაც მთავარია, ამ რეფორმის ფარულ მიზანს წარმოადგენს „ძველი“, ანუ ტრადიციული ქართული მენტალიტეტის მქონე ინტელიგენციის დათრგუნვა და მისი ვეებერთელა ნაწილის სანაგვეზე მოსროლა. დიახ, იგი „ვარდისფერ ხელისუფლებას“ ნამდვილად ვერ გამოადგება და უფრო მეტიც, ყოველთვის ხელს შეუშლის: მაშასადამე, დროა, მან მოიშოროს ეს „ძველმანები“, შექმნას ახალი, სანდო, პატრიოტული რეფლექსებისაგან თავისუფალი ინტელექტუალური ფენა!

ნიკოლაი ბერდიაევი ამბობს, რომ რევოლუციური ცნობიერება მტრულია კულტურისადმი. რევოლუციური საწყისების უკიდურესი ბატონობა ანადგურებს წარსულს, სპობს მასში არა მხოლოდ ხრწნადს, არამედ მარად ღირებულსაც. კულტურა კი ეფუძნება სწორედ რომ წმინდა თქმულებებს, გადმოცემებს. იგი ყოველთვის ამაყობს

თავისი წარმომავლობის სიძველით, თავისი ურღვევი კავშირით წარსულთან. ის არის წინაპართა კულტი, საფლავების და ძეგლთა პატივისცემა...

ყოველივე ამას რუსი ფილოსოფოსი წერდა, უყურებდა რა იმ საშინელ შედეგებს, რაც რევოლუციის სტიქიამ მის მშობლიურ ქვეყანას თავს დაატეხა. „ახალ კულტურას თქვენ ვერ შექმნით... ასეთი ახალი რევოლუციური კულტურის იდეა არის (Contradictio in adjecto — ი.ბ.)". — მიმართავდა იგი მის იდეურ მტრებს — ბოლშევიკებს, ანარქისტებს, სოციალ-რევოლუციონერებს, სოციალ-დემოკრატებს და სხვებს...

ჩვენი ვარდისფერი ეშმაკუნებიც, ძირს უთხრიან რა ქართულ კულტურულ ფესვებს, ებრძვიან რა მართლმადიდებლურ ეკლესიას, მართლაცდა სანიმუშოდ აგრძელებენ „დიად" რევოლუციურ ტრადიციებს და ამიტომაც იმსახურებენ ნეობოლშევიკების სახელს.

დღევანდელი ხელისუფლების და მისი იდეური რუპორების მთავარ სამიზნეს კი მაინც ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოება წარმოადგენს. რას იზამ, ასეთი დავალება აქვთ მათ მიღებული იმ ძლევამოსილი უცხოელი დამკვეთებისაგან, ვისთანაც ისინი სამუდამო ვალში არიან!

სწორედ რომ სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონებიდან წამოსული ინსპირაციით დაიწყო მასირებული და გეგმაზომიერი შეტევა ეკლესიაზე: არასამთავრობო ორგანიზაციების, პრესის, ტელევიზიის მეშვეობით მისი დისკრედიტაცია; სპეცსამსახურების და სხვა ძალების გამოყენებით შიდაგანხეთქილებების აგორება.

სიტუაცია დღითი დღე იძაბება, მაგრამ ამ კრიტიკულ პერიოდში ჩვენმა საზოგადოებამ საოცარი კონსოლიდაცია და მხარდაჭერა გამოამჟღავნა პატრიარქისა და ეკლესიისადმი, რამაც საკმაოდ დააფრთხო და დააფიქრა ხელისუფლება. ვარდისფერი ეშმაკუნები დროებით გაიყურსნენ, თვალთმაქცობაც დაიწყეს, მაგრამ ახლა ისინი გაცილებით მძლავრი და ორგანიზებული თავდასხმისთვის ემზადებიან.

ვინ არიან ეს რევოლუციის გზით მოსული ე.წ. „ნაციონალები"? მათ, ალბათ, სინამდვილეში ტრანსნაციონალების სახელი უფრო შეეფერებათ. ისინი შემოგვესივნენ დოსტოევსკისეული ეშმაკების მსგავსად და ცდილობენ ხელყონ ყოველივე, რაზედაც საუკუნეების განმავლობაში დგას ჩვენი ქვეყანა. მათ ზურგს უმაგრებენ საკმაოდ სერიოზული ძალები თავისი ფინანსებით და აქ მხოლოდ ჯორჯ სოროსი არ იგულისხმება. მაგრამ მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა,

ისინი მაინც განწირულები არიან თავიანთი დილეტანტიზმის, ინფანტილიზმის და უსაშველო სიხარბის გამო. აი, ამაშია მათი უბედურება!

საქართველოში იკვეთება კონტურები საკმაოდ სერიოზული კოლიზიისა: ეს არ იქნება არც კლასობრივი ბრძოლა, არც უბრალოდ სამოქალაქო პოლიტიკური დაპირისპირება ხელისუფლებისათვის, ან კიდევ სხვა რამ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მსოფლმხედველობათა შეჯახება.

ერთი მხრივ, აშკარაა მსოფლმხედველობრივი ვექტორი, რომლის დევიზია: „ერთი პლანეტა, ერთი სახელმწიფო, ერთი ხალხი" და რომელიც ესწრაფვის ჩვენი კულტურის და ცნობიერების სრულ განზავებას ევრო-ატლანტიკურ სამყაროში; მეორე მხრივ, აშკარაა ვექტორი დევიზით: „ენა, მამული, სარწმუნოება", რომლის მიზანია ქართული სულის, მართლმადიდებელი ეკლესიის აღზევება და ადაპტირება პოსტმოდერნულ გლობალურ რეალობასთან; რომელსაც სურს, რომ საქართველო თავისი სწორედ რომ უნიკალური მძლავრი კულტურითა და ცნობიერებით იყოს სერიოზული, სანდო პარტნიორი მსოფლიო საჭადრაკო დაფის გიგანტების — ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩინეთის.

დიახ, ჩვენ ვხედავთ, მძაფრი მსოფლმხედველობრივი შეჯახების შესაძლებლობას, რამაც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს ქვეყნის სამომავლო განვითარების მარშრუტი. ეს ბრძოლა, ალბათ, იქნება უკომპრომისო და შეურიგებელი, ვინაიდან შეურიგებელია წინააღმდეგობა თავად წარმმართველ პრინციპებს შორის.

დადექი ან აქ, ან იქ — მესამე და შუალედური გამორიცხულია! შენ დგახარ გზის გასაყართან: აქეთკენ გიხმობს რუსთაველი, ილია, წმინდა ამბროსი, იქითკენ კი — ტრანსსექსუალიზმის, ინტერნაციონალიზმის და ათეიზმის მქადაგებლები. თავად აირჩიე! ხელს ნუ დაიბან! ჩაები ამ დიდ ბრძოლაში! აი, ეს ბრძოლა გადაწყვეტს, დავიბრუნებთ თუ არა, მართლაცდა, საქართველოს.

9. 02. 2005 წელი
გაზ. „ჯორჯიან თაიმსი" №006 (332),
17-24.02.2005 წ.

გამოვიღვიძოთ ვარდისფერი კოშმარიდან!

„წიხლებს დიდები ისვრიან
პატარები კი ინგრევიან“.
მამა პაისი

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ჩვენ შევაბიჯეთ ახალ ეპოქაში. სახეზეა, უთუოდ, მოვლენები, რომლებიც ისტორიული მსვლელობის ბედს განსაზღვრავენ: საერთაშორისო ტერორიზმის გიგანტური ტალღები, ავღანეთი, ერაყი, ნატოს და ევროკავშირის გაფართოება, ფერადი რევოლუციები, ცუნამი...

აშკარად იზრდება დაძაბულობა სხვადასხვა გეოსტრატეგიული ინტერესების მოქმედების ველში: პროცესები, თითქოს, ჩქარდება და საოცარ დინამიზმს იძენს, იკვეთება არასტანდარტული ტენდენციები და გვიმძაფრდება საყოველთაო არასტაბილურობის ცნობიერება.

საით მივდივართ? რა გველოდება? და როგორი უნდა იყოს საქართველოს ადექვატური რეაქცია ამ ახალ გამოწვევებზე? მოდით, უფრო დეტალურად მიმოვიხილოთ ეს ზემოთ აღნიშნული ისტორიული მოვლენები.

ფაქტია, რომ თანამედროვე რეალობაში საერთაშორისო ტერორიზმი თვისობრივად ახალ ფენომენს წარმოადგენს. კერძოდ, იგი იქცა მსოფლიო საჭადრაკო დაფის ერთ-ერთ სუპერ-ფიგურად.

დღეს უკვე გლობალურ პროცესებს განსაზღვრავენ არა მხოლოდ სახელმწიფოები და სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებები, არამედ ეს „იატაკქვეშა“ სუბიექტიც, თავისი პლანეტარულად განტოტვილი ორგანიზაციული ქსელით.

ჯაკარტა, ბალი, მადრიდი, ბესლანი და სხვა გრანდიოზული ტერაქტებისა და აგრეთვე შედარებით „მოკრძალებული“ შეტევების უწყვეტი სერია გრძელდება და თანაც არავითარი პერსპექტივა არ ჩანს მისი შეწყვეტის.

აღნიშნული სუბიექტი ისეთივე გავლენას ახდენს მსოფლიო „კლიმატზე", როგორც გაერო, აშშ, ჩინეთი თუ სხვა მსხვილი ფიგურები: სახელმწიფოები იძულებულნი არიან, თავიანთი პოლიტიკის გატარებისას, ყოველთვის მხედველობაში იქონიონ ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და ამიტომაც ზოგი აქტიურად ჩართულია მის საწინააღმდეგო კამპანიაში, ზოგი უბრალოდ, თავს არიდებს და ზოგიც ფარულ კონტაქტებზე გადის მასთან.

დიახ, საერთაშორისო ტერორიზმი და მოჭარბებული სტიქიური კატასტროფები ქმნიან გლობალური არამდგრადობის სიტუაციას: 2004 წლის დეკემბერში ინდოეთის ოკეანეში მოვარდნილი ცუნამის არნახულმა დამანგრეველმა შედეგებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ჩვენში ეს „კატაკლიზმური" ცნობიერება.

ჩვენმა უახლესმა ეპოქამ მოიტანა კიდევ ერთი საეტაპო პროცესი: NATO-ს და ევროკავშირის ფორსირებული გაფართოება აღმოსავლეთისაკენ. 2002 წლის პრაღის სამიტმა, სადაც ალიანსის სტრატეგიამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა და ჩრდილოეთ ატლანტიკურმა საბჭომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეპტუალური მიმართულებები დაამტკიცა, კარი გაუღო შვიდ ახალ წევრს — ბულგარეთს, რუმინეთს, სლოვაკიას, სლოვენიას, ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს.

მოგვიანებით კი, 2004 წლიდან, ევროკავშირი გაიზარდა ათი ახალი წევრით. სახეზეა 21-ე საუკუნის დიდი სვლა აღმოსავლეთისაკენ (Drang nach Osten), რის შედეგადაც საგრძნობლად მატულობს გეოსტრატეგიული ვექტორების შეპირისპირება, უპირველეს ყოვლისა, რუსეთსა და აშშ-ს და შედარებით ნაკლებად, რუსეთსა და ევროპას შორის.

„ფერად რევოლუციებთან" დაკავშირებით კი ვიტყვით შემდეგს: განიხილავდა რა 90-იანი წლების ვითარებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბზიგნევ ბჟეზინსკი წერდა, რომ უკრაინა წარმოადგენს ახალ და მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრს ევრაზიულ საჭადრაკო დაფაზე, ვინაიდან უკვე მხოლოდ მისი არსებობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით გვეხმარება რუსეთის ტრანსფორმაციაში.

კერძოდ, უკრაინის გარეშე რუსეთი აღარ არის ევრაზიული იმპერია. თანაც, გასათვალისწინებელია რა გერმანიის და პოლონეთის განსაკუთრებული დაინტერესება უკრაინის დამოუკიდებლობით, სავსებით შესაძლებელია, რომ სამომავლოდ იგი თანდათანობით

აღმოჩნდება ჩათრეული ფრანკო-გერმანულ-პოლონურ ურთიერთობებში, რომელსაც, ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება ევროპული უსაფრთხოების არქიტექტონიკის ფორმირებაში.

უკრაინის დამოუკიდებლობა ნიშნავს რუსეთის დიდ გეოპოლიტიკურ წარუმატებლობას; 52-მილიონიანი და პოტენციურად მდიდარი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნის დაკარგვას, რომელიც ეთნიკურად ყველაზე უფრო ახლოა მისთვის და აგრეთვე რუსეთის პოზიციების მკვეთრ შესუსტებას შავ ზღვაზე — ასეთია ბუეზინსკისეული შეფასებები ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც უკრაინის დისტანცირება მოსკოვისაგან არ იყო მკვეთრი და როდესაც კიევი ლავირებდა რა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, უფრო მეტად მაინც რუსეთის გავლენის ორბიტაში ტრიალებდა.

თუმცა აღნიშნული ტენდენციები უკვე სახეზე იყო და მაშასადამე, ისინი საჭიროებდნენ გაღრმავებას და რეალიზაციას. ამიტომ აშშ-ისა და ევროკავშირის გეოსტრატეგიული ინტერესებისათვის ევრაზიულ კონტინენტზე, ძალზე მნიშვნელოვანი იყო კიევში გამოკვეთილად პროდასავლური კურსის მქონე პრეზიდენტისა და მთავრობის მოყვანა და შესაბამისად, ევროატლანტიკური სამყაროსათვის არასაიმედო, ძველი კუჩმასეული მემკვიდრეობისაგან გათავისუფლება. აი, ეს მოხდა „დიდი ნარინჯისფერი“ სახალხო მღელვარებისა და ზეწოლის გზით!

ყირგიზეთის რევოლუცია, ცხადია, ისევე იყო განპირბებული აშშ-ს სერიოზული ინტერესებით ცენტრალურ აზიაში, როგორც „ვარდისფერი“ და „ნარინჯისფერი“ მოვლენები ამერიკულ-ევროპული ინტერესებით სამხრეთ კავკასიისა და უკრაინისადმი.

დიახ, ეს რევოლუციები გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ემსახურება არა მხოლოდ სხვადასხვა, არამედ საერთო მიზანსაც: სახელდობრ, პროდასავლური მტკიცე სალტეს შეკვრას და თანმიმდევრულად მოჭერას რუსეთის ირგვლივ, რამაც, პირველ ყოვლისა, მკვეთრად უნდა დასცეს მისი პოზიციები მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამასთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს ფედერაციაში რღვევის პროცესის ინიცირებას და საბოლოო ჯამში, ალბათ, რაღაც მორიგი „ფერადი“ მღელვარების გათამაშებას თავად მოსკოვში!

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, აღნიშნული მოვლენები პრინციპულად განსხვავებულ შეფასებებს მოითხოვენ. რას ვგულისხმობთ

ამაში? მათ რეალურ და მოსალოდნელ შედეგებს ქვეყნის განვითარებისათვის: კერძოდ, საქართველოსათვის „ვარდებმა“ სერიოზული სირთულეები და რეგრესი მოიტანეს სოციალურ, ეკონომიკურ, ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის, შიდაკონფლიქტების დარეგულირების და სხვა სფეროებში.

დიახ, ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია! ყირგიზეთში, პოლიტიკური თვალსაზრისით, ჯერჯერობით სრულიად გაურკვეველი ვითარებაა და თანაც საზოგადოება ჯერ კიდევ შოკშია ტოტალური მაროდიორობის, ანარქიის გამო.

მოლდოვაში ყოველგვარი კატაკლიზმების გარეშე დარჩა რეტროგრადული კომუნისტური ხელისუფლება, სამაგიეროდ, უკვე მყარად პროდასავლური კურსის მქონე და მისგან ხომ ძნელია, რაიმე პროგრესს და სიახლეს ელოდოს ქვეყნის მოსახლეობა!

რაც შეეხება უკრაინას, აქ, დარწმუნებული ვარ, რომ ნარინჯისფერი ცვლილება, უთუოდ პოზიტიური და დიდი ნახტომი იყო წინსვლისაკენ და ხელისუფლების ძველი, კონსერვატიული, პოსტსაბჭოური მენტალიტეტი ნამდვილად შეცვალა ახალმა, დემოკრატიულმა და თანაც პროფესიულმა აზროვნებამ.

რაც შეეხება აშშ-ის ბრწყინვალე სამხედრო წარმატებებს ავღანეთსა და ერაყში, მას შემდგომ მოჰყვა სერიოზული გართულებები და ახლა უკვე ორივეგან შექმნილია უმძიმესი სიტუაცია.

სახელდობრ, ავღანეთი ქაბულს იქით, პრაქტიკულად, უმართავია, ერაყში კი შეიარაღებული წინააღმდეგობის პროცესმა პერმანენტული და სულ უფრო და უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო: გაუთავებელი აფეთქებები, ტერაქტები, პარტიზანული თავდასხმები, მძევლების აყვანა... შეიძლება ითქვას, რომ აშშ „მეორე ვიეტნამის“ ჭაობში ჩაეფლა.

ჩვენი მიმოხილვა ცხადყოფს გეოსტრატეგიული ვექტორების მოქმედების იმ დაძაბულ ველს, რომელიც გარკვეულწილად ჩვენი ქვეყნის ბედსაც განსაზღვრავს.

ერთი მხრივ, აშშ და ევროატლანტიკური სტრუქტურები აღმოსავლეთისაკენ გაფართოებით და ფერადი რევოლუციებით მძლავრად ავიწროებენ რუსეთს და ერთგვარ „პროდასავლურ“ სალტეს ჰკრავენ მის ირგვლივ.

აშშ მიისწრაფვის ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრდეს საქართველოში და ამის მეშვეობით განიმტკიცოს თავისი პოზიციები მთელ სამხრეთ კავკასიაში, ვინაიდან აქ მას აინტერესებს ორი რამ: კასპიის ენერ-

გორესურსები და მომგებიანი შესაძლებელი სამხედრო პლაცდარმი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ირანთან სიახლოვის გამო.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თითქმის კრიტიკულ ზღვარს აღწევს აშშ-ირანის კონფლიქტი ისლამური რესპუბლიკის ბირთვული პროგრამისა და კიდევ სხვა მიზეზების გამო.

ასევე, აშშ-ის სერიოზულ ინტერესს შეადგენს ცენტრალურ აზიაში საფუძვლიანი შეღწევა, რამდენადაც ეს უკანასკნელი მეტად მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით და მათ შორის, გაზით და ნავთობით. იმავდროულად, აღნიშნული რეგიონი მისთვის მნიშვნელოვანია სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც, რადგან იგი ემიჯნება ჩინეთს და ავღანეთს.

ერაყის ოკუპაციით აშშ-ს, ფაქტობრივად, შეეძლო, თავისი მძლავრი კონტროლი დაემყარებინა ნავთობ-საბადოებით მსოფლიოში უმდიდრეს რეგიონზე, ხოლო ავღანეთში, ტალიბანის რეჟიმის დამხობით კი, საშუალება ეძლეოდა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტის რეალიზაციისა, კერძოდ: ცენტრალური აზიიდან და კასპიიდან ნავთობის და გაზის ტრანზიტი, მილსადენებით, ავღანეთის გავლით, ინდოეთის ოკეანისაკენ, საიდანაც მოხდებოდა მისი შემდგომი ტრანსპორტირება აზიის ქვეყნებში. დღეს ხომ სასწაულებრივად მზარდი მოთხოვნილებაა ამ ენერგომატარებლებზე, სწორედ რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რამაც შესაბამისად, გამოიწვია ნავთობის ფასის არნახული ზრდა. ამიტომ ნომერი პირველი საკითხი გიგანტური ნავთობკომპანიებისათვის აზიისაკენ უმოკლესი გზის გაჭრაა, მაგრამ მიუხედავად აშშ-ის თითქოსდა წარმატებული ექსპანსიური პოლიტიკისა, იგი უზარმაზარი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა: ერაყში მას შეხვდა საშინელი წინააღმდეგობა და აქ დესტაბილიზაცია დღითი დღე მატულობს. ავღანეთის კონტროლზე კი უკვე საუბარიც ზედმეტია, რის გამოც, ჯერ ლურჯ ოცნებად რჩება ფიქრი, ზემოთ აღნიშნული პროექტის რეალიზაციაზე.

რაც შეეხება რუსეთს, მას, რა თქმა უნდა, აღელვებს, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი გარეშე ძალების ხელშეწყობით არ გადაიზარდოს დიდ ხანძარში მთელ ჩრდილო-კავკასიურ სარტყელზე.

სწორედ ეს ვითარებაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც რუსეთი ესწრაფვის სამხრეთ კავკასიაში საკუთარი პოზიციების გაძლიერებას: ამით კრემლი სამხრეთიდანაც საიმედოდ „ჩაკეტავდა“ ზემოთ აღნიშნულ ფეთქებად რეგიონს.

ამასთან ერთად, მთელ სამხრეთ კავკასიაზე რუსეთის გავლენის აღდგენა ნიშნავს მისი მხრიდან შავ ზღვაზე კიდევ ერთი გასასვლელის, კერძოდ, აფხაზეთის მონაკვეთის ნაწილობრივ გაკონტროლებასაც და ეს ვითარება უაღრესად აქტუალური და მტკივნეულია საბჭოთა იმპერიის მემკვიდრისათვის, ვინაიდან მისი პოზიციები შავ ზღვაზე დღითი დღე „შაგრენის ტყავივით" მცირდება.

ბაქოსთან ურთიერთობების საგრძნობი გაუმჯობესების ფონზე, მოსკოვისათვის ახლა უმნიშვნელოვანესია საქართველოს, როგორც კავკასიის გასაღების, თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების ორბიტაზე დაბრუნება, რაც უზრუნველყოფდა მისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილებას.

გასათვალისწინებელია ის ვითარება, რომ საქართველოში რუსეთისათვის ღირებულია არა ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზები, რომელთაც მისთვის უკვე არავითარი სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვა აღარ გააჩნიათ, არამედ სწორედ, რომ აფხაზეთის ზღვისპირეთის სამხედრო-ინფრასტრუქტურული პოტენციალი.

რუსეთი სისხლხორცეულად დაინტერესებულია ჩრდილო-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის მაქსიმალური ამოქმედებით და ამ მხრივ მისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენას, რითიც დაიწყებოდა სატრანსპორტო გადაზიდვები რუსეთ-საქართველო-სომხეთის მიმართულებით და შემდგომ ირანისაკენ, ხოლო აქედან კი ინდოეთის ოკეანის გავლით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საოცრად მზარდი ბაზრებისაკენ.

დაბოლოს, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის აღდგენა გულისხმობს კასპიის ენერგომატარებლებზე მისი კონტროლის გაძლიერებასაც, რაც, ცხადია, მეტად აქტუალურია კრემლის პოლიტიკისათვის.

რა თქმა უნდა, რუსეთი უმტკივნეულოდ არ აღიქვამს მოძმე უკრაინის „მოტაცებას" დასავლეთის მიერ, რაც შეიძლება მოასწავებდეს მისი პოლიტიკის სრულ ფიასკოს პოსტსაბჭოთა სივრცეში და გამორიცხული არაა თვით ფედერაციის რღვევასაც.

ამიტომ იგი სერიოზულად მოემზადება რევანშისათვის და, ვფიქრობ, რომ გაშმაგებით იბრძოლებს უკრაინის „დაბრუნებისათვის". ყოველივე ამასთან ერთად, მოსკოვი ყველაფერს გააკეთებს, რათა აშშ-მა ფეხი ვერ მოიკიდოს ცენტრალური აზიის ქვეყნებში,

რადგან ესეც რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესების ფოკუსშია მოქცეული.

ჩვენ ვხედავთ, თუ რა დაძაბულ გეოსტრატეგიულ ველში ყოფნა უწევს საქართველოს სახელმწიფოს და ეს ვითარება ქვეყნის მესაჭეებისგან მოითხოვს მაქსიმალურ სიბრძნეს და შორსმჭვრეტელობას, და თანაც ენერგიულ მოქმედებებს. მაგრამ რა ხდება ამის მაგივრად, ჩვენდა საუბედუროდ?

დილეტანტიზმი, ინფანტილიზმი, ვოლუნტარიზმი — აი, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების არსი და სტილი. ყოველივე ამან ქვეყანა შეიძლება საშინელი გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების მორევში ჩაათრიოს.

ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებთ, რა უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგავართ! პრეზიდენტს და მის ამალას კი ასეთი მძიმე პერსპექტივების განჭვრეტის არც უნარი და არც სურვილი არ გააჩნიათ.

როგორც ჩანს, მათ მხოლოდ საკუთარ სავარძლებში ხანგრძლივად და ნებივრად ჯდომის წადილი ამოძრავებთ. მათი დაუფიქრებელი და უპასუხისმგებლო პოლიტიკის გამო, საქართველო შეიძლება კიდევ უფრო ღრმა დაპირისპირებაში — ფაქტობრივად, ცივი ომის მდგომარეობაში შევიდეს რუსეთთან, რაც დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სრულიად უპერსპექტივოს გახდის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესსა და ეკონომიკის ინვესტირებისათვის სტაბილური გარემოს ფორმირებას; საქართველო შეიძლება საკმაოდ სერიოზულ კონფლიქტში აღმოჩნდეს ისლამურ სამყაროსთან, აშშ-ირანის დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის პირობებში და კიდევ სხვა მომენტების გამო.

და რაც მთავარია, ამ ხელისუფლების ბრიყვულმა ანტიდემოკრატიულმა კურსმა — ადამიანის უფლებების სისტემატიურმა დარღვევებმა, ავტორიტარიზმმა და ა.შ. მოსალოდნელია, რომ ძალიან მალე, სრული დისკრედიტაცია გაუკეთოს საქართველოს, თავად ჩვენი დიდი მეგობრების — აშშ-ის და ევროკავშირის ქვეყნების თვალში.

„დიადიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია“, — ეს გენიალური ფრაზა მეტ-ნაკლებად ასახავს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების რეიტინგის გამაოგნებელ ვარდნას, სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში.

მან ძალაუფლება ხელში აიღო საყოველთაო ეიფორიის, ნდობის, იმედების ტალღაზე და ალბათ, მისთვის მოულოდნელად გასაოცარ

სიმაღლეზე აღმოჩნდა. მაგრამ გავიდა მცირე ხანი... და საზოგადოებაში განწყობილების რადიკალური შემოტრიალება მოხდა: გაციება, აპათია, უნდობლობა, უფრო მეტიც, ზიზღი, აგრესია და სარკაზმი — აი, რა დამოკიდებულებები გაჩნდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში დედაქალაქსა და რეგიონებშიც.

ეს ხომ, მართლაცდა, საკვირველია! „ვარდების ეგზალტაცია", თითქოსდა, მხოლოდ გუშინდელი სიზმარი იყო და იგი უკვალოდ განიფანტა... „დიდი" მიხეილი, თავისი გარემოცვით, უცებ კომიკურ ტიპაჟად იქცა! ამ გეოპოლიტიკურ მღელვარე ოკეანეში ჩვენი ხომალდის საიმედო წარმართვისათვის აუცილებელია დღევანდელი სამარცხვინო, უგუნური რეჟიმის მოშორება, ოღონდ, რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ.

ჩვენ გვჭირდება ახალი კომპეტენტური და ნამდვილად პატრიოტული მმართველი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან კონფლიქტის გადაჭრის გზით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რაც, არავითარ შემთხვევაში, მითი და ილუზია არ არის, რომელიც უზრუნველყოფს უაღრესად სტაბილური გარემოს დამკვიდრებას ეკონომიკური ზრდისათვის, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას და ამით საიმედო პარტნიორობას და ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სამყაროსთან, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს გეოპოლიტიკურ არეალში მოქმედ ძალთა შორის სწორი ბალანსის შენარჩუნებას, რათა ქვეყანა იყოს მუდმივად სიცოცხლისუნარიანი და მას ავაცილოთ დიდი კატასტროფები.

ამ ძალის მოსვლას მოითხოვს ჩვენი დაღლილი, იმედგაცრუებული მოსახლეობა; ამას მოითხოვს შეგნებული, მოაზროვნე ქართული საზოგადოებრიობა და ბოლოს, ალბათ, თავად ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ისტორიული აუცილებლობა!

გაზ. „ჯორჯიან თაიმსი" №017 (332)
5-12.05.2005 წ.

პრეზიდენტო, ნუ გახდები სამოქალაქო ომის ინსპირატორი!

(ირაკლი გათიაშვილის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს)

ბატონო მიხეილ! გადავწყვიტე, მოგმართოთ, ვინაიდან აშკარად ვხედავ, რომ თქვენმა უპასუხისმგებლო პოლიტიკამ შეიძლება ქვეყანა კვლავ ჩაითრიოს სამოქალაქო ომის მორევში. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, რაღაც ცრუ განგაში და გაზვიადება... დიახ, სწორედ რომ მოვლენათა განვითარების ლოგიკას მივყავართ ამ ძალზე სახიფათო პერსპექტივისკენ!

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რამხელა ნდობის მანდატით და საერთო-სახალხო ეიფორიის ატმოსფეროში მოხვედით თქვენ და თქვენი გუნდი რევოლუციის შემდგომ ხელისუფლებაში, მაგრამ უკვე რაღაც ერთ წელიწადში მოხდა სასწაული და, კერძოდ, საზოგადოების განწყობილება კარდინალურად შეიცვალა: დაიწყო არათუ იმედგაცრუება და აპათია, უფრო მეტიც, თავისებური გაღიზიანება ამ რეჟიმისადმი და სადღეისოდ კი... საინტერესოა, ფლობთ თუ არა ობიექტურ ინფორმაციას საკუთარი „ერთგული" გარემოცვისაგან რეალური ვითარების შესახებ? ცხადია, არ გამოვრიცხავ, რომ, გარკვეულწილად ისეთივე ვაკუუმში იმყოფებოდეთ, როგორც თქვენი წინამორბედი პრეზიდენტი და შელამაზებული ამბებით ვილაც-ვილაცები გულს გიმშვიდებდნენ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვის მაინც ცნობილია ბევრი რამ მწარე რეალობის შესახებ, რასაც ნათლად და მკაფიოდ, თანაც, ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: დღეს უკვე თქვენ და თქვენი მმართველი პარტიის მიმართ ყალიბდება მასობრივად მძაფრი ანტიპათია და აგრესიის დამოკიდებულება! არ გაინტერესებთ, რატომ? იმიტომ, რომ ე.წ. „ვარდისფერმა ხელისუფლებამ" თქვენი მეთაურობით საზოგადოებაში დაიმკვიდრა მოხვეჭისა და ძალაუფლებისადმი

ავადმყოფური ჟინით გამსჭვალული მატყუარების და დილეტანტების იმიჯი. თქვენ ხალხს ჰპირდებოდით ეკონომიკურ აღმავლობასა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას: სხვათაშორის, ასეთი დანაპირები და, კერძოდ, „მილიონი სამუშაო ადგილი" კარგად გვახსოვს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც თქვენ მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი ბრძანდებოდით; დიახ, სწორედ იმ პარტიის, რომლის სახეცვლილებასაც დღეს „ნაციონალური მოძრაობა" წარმოადგენს. გვახსოვს, თქვენ თანამებრძოლ, აწ გარდაცვლილ ზ. ჟვანიასთან ერთად, როგორ უმტკიცებდით ყველას, შესაძლებელიაო მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე, ე.ი. მაშინდელ საარსებო მინიმუმამდე გაზრდა იმ ბიუჯეტის პირობებში, რომელიც წლევანდელთან შედარებით ორჯერ ნაკლები იყო.

და რა მივიღეთ ამ დაპირების სანაცვლოდ? ფაქტია, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შემდგომ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა, ისედაც მძიმე მდგომარეობა არნახულად დამძიმდა. ქვეყანა წალეკა მასობრივმა უმუშევრობამ: ქუჩაში გამოყრილი აღმოჩნდნენ პროფესორ-მასწავლებლები, პოლიციელები, სამხედროები და სხვა მრავალნი და მრავალნი. და უმუშევრობის ეს კატასტროფული ზრდა ხდება ცხოვრების ტოტალური და მკვეთრი გაძვირების ფონზე, თანაც, ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი პოლიტიკა და სტრატეგია უმუშევრობის საკომპენსაციო მექანიზმების უზრუნველყოფისათვის, სამუშაო ადგილების თანამიმდევრული შექმნისათვის და, რაც მთავარია, ეკონომიკის რეალური სტიმულირებისათვის. მისი ეკონომიკური პოლიტიკა, ძირითადად, შემოიფარგლება ყოველივეს გასხვისებით და, უფრო სწორად, მითვისებით: იყიდება ყველაფერი — მათ შორის, სტრატეგიული ობიექტები, მიწაც, კულტურული ძეგლებიც...

თქვენ ხალხს ჰპირდებოდით კორუფციასთან რეალურ და შეურიგებელ ბრძოლას! პოსტრევოლუციურ საწყის ეტაპზე ბევრმა ჩვენგანმა „ყლაპა" უსირცხვილო ტყუილი, მაგრამ ახლა უკვე ყველასათვის ნათელი შეიქნა, თუ რამხელა მადის მქონე მტაცებლებთან გვქონია საქმე: მართლაცდა, დღევანდელ ხელისუფალთა სიხარბეს ხომ საზღვარი არა აქვს. მათ, ალბათ, ერთი-ორი წლის განმავლობაში მოასწრეს იმაზე მეტის შოვნა, რაც შევარდნაძის გარემოცვამ ათი-თორმეტი წლის განმავლობაში მოიხვეჭა. თვალი გადავავლოთ ჩუბინიშვილების, მერაბიშვილების, ბურჯანაძეების, ბექაურების და სხვათა ქონებას, ბიზნეს-წილებს და ფეშენებელურ სახლებს... არ

გაინტერესებთ, თუ რით არის დაკავებული თქვენი ერთ-ერთი საკვანძო მინისტრი კახა ბენდუქიძე — ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ფიქრით თუ სხვადასხვა ობიექტის დაპატრონებით?! ნუთუ არ გაინტერესებთ, როგორ აღმოჩნდა თქვენი უახლოესი სანათესაო სხვადასხვა სერიოზული ბიზნესის წილებში?! განა არ იცით, რომ ძველი კორუმპირებული ჩინოვნიკებისაგან სახელმწიფო რეკეტით ამოღებული თანხების დიდი და უჩინარი ნაწილი თქვენი გარემოცვის ჯიბეებში წავიდა?! განა არ იცით, თუ რა უზარმაზარი თანხები გადაირიცხა სრულიად უკონტროლო ფონდებში?!

თქვენ ხალხს ჰპირდებოდით, რომ დაიწყებდით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების რეალურ პროცესს! ნაცვლად ამისა, ხელისუფლების უპასუხისმგებლო და იმპულსური პოლიტიკის გამო რუსეთთან თითქმის ცივი ომის მდგომარეობაში აღმოვჩნდით და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებიც კიდევ უფრო ბნელი შეიქნა. შეხედეთ, რა გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდა ისედაც რთულ ვითარებაში მყოფი სამაჩაბლოს მოსახლეობა მას შემდგომ, რაც შარშან ცხინვალის რეგიონში სრულიად გაუაზრებელი და მოუმზადებელი სამხედრო კამპანია ჩაიშალა. ყოველივე ამაზე მხოლოდ უდიდესი გულისტკივილით ვლაპარაკობ, ვინაიდან საქმე ეხება ყველაზე დიდ საერთო-ეროვნულ პრობლემას, რომელიც ნებისმიერ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაზე მაღლა დგას!

მაშ, სად გაქრა აღნიშნული დაპირებები? თუ ეს მხოლოდ ხმაური და ბოლი იყო, რითაც საზოგადოებას რევოლუციის დროს აბრუებდით? და მახსენდება ფრიდრიხ ნიცშეს სიტყვები: „მცირედი აღმოჩნდებოდა ხოლმე ყოველთვის გაკეთებული, როდესაც შენი ხმაური და ბოლი განიფანტებოდა“. გვითხარით, რა არის ეს მცირედი მაინც? — მხოლოდ შელებილი ფასადები, კარგად ჩატარებული კონცერტები, პატრიოტული ბანაკები თუ დაგებული ასფალტები (რაშიც, სხვათაშორის, უზარმაზარი თანხები მოიხსნა)? და ამას ეძახით „დიდ განახლებას“, რასაც მრავალი და მრავალი „ვარდების რევოლუციისაგან“ ელოდებოდა?!

განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა საზოგადოებისათვის თქვენი სოროსელი დამქაშების უდიერი, ბოლშევიკური დამოკიდებულება „ძველი“ ინტელიგენციისადმი, რომელიც, ტრადიციულად, ქართული მენტალიტეტისა და ფასეულობების მატარებელია. ეს გამოიხატა განათლების სამინისტროს მიერ გატარებულ უნიჭო „რეფორმებში“, რის შედეგადაც, მაგალითად, ქაოსი და აბდაუბდა გამეფდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ-

ელმწიფო უნივერსიტეტში და, თანაც, იგი სრული ერთმმართველობის ქვეშ მოექცა. ალბათ, მსგავსი ბედი ელის მეცნიერებათა აკადემიას!

ნურავის ეგონება, თითქოსდა რეფორმების წინააღმდეგი ვიყო, რა თქმა უნდა, რაციონალური ინსტიტუციონალური და სისტემური ცვლილებები გადაუდებელი და აუცილებელია, მაგრამ განა შეიძლება „რეფორმა" ეწოდოს თქვენი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ არაკომპეტენტურ და უგუნურ ცვლილებებს?! ამის ერთ-ერთი მაგალითია უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გაერთიანება და 21-ე საუკუნეში НКВД-ს სახის ორგანოს შექმნა, ოღონდ — უვიცი და უუნარო ხელმძღვანელობის პირობებში.

დიახ, თქვენი და თქვენი პარტიული კლანის ავტორიტარული ამბიციები და თავხედური სტილი დღითიდღე ამძაფრებს გაღიზიანებას საზოგადოებაში. იზრდება აგრესია, დაძაბულობა... ამას ემატება გარეშე ფაქტორის, სახელდობრ, რუსეთის უკიდურესად მძიმე განწყობილებაც და ქვეყანაში იქმნება სათანადო ნიადაგი სამოქალაქო კონფრონტაციის გაჩაღებისათვის. ამისათვის კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს, თუნდაც, ერთი ნაპერწკალი... გირჩევთ, ნუ გექნებათ ილუზია საკუთარი ძალოვანი სტრუქტურების თაობაზე! თქვენ წინააღმდეგ კი შეიძლება გაცილებით მეტი ძალები აღმოჩნდნენ მობილიზებულნი... რა არის გამოსავალი? უპირველეს ყოვლისა, უნდა დათმოთ ინფანტილური თვითმპყრობელური პრეტენზიები და ჩაატაროთ ნამდვილად თავისუფალი რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები იმ თაღლითობისა და კიოს ფოკუსების გარეშე, რასაც „მოქალაქეთა კავშირის" დროშის ქვეშ უკვე ათი წელია, სჩადიოდით: დიახ, სრულიად ობიექტური და გამჭვირვალე არჩევნები დემოკრატიული წესით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიების პირობებში! სხვა შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდება — ქვეყნისათვის საშიში და არასასურველი სცენარით — და თქვენ, ალბათ, წასვლა კი არა, გაქცევა მოგიწევთ, ოღონდ, არა ვარდების წვიმის ქვეშ.

30.11.2005 წ.

გაზ. „ასავალ-დასავალი"
№49 (588) 5-11 დეკემბერი, 2005 წლის.

ცხოველების ფერმა № 2

ანუ
მიშას ბანდა სერიოზული
სისხლისღვრისათვის ემზადება!

1945 წლის აგვისტოში ინგლისში გამოიცა წიგნი, რომელმაც საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ესაა ჯორჯ ორუელის ბრწყინვალე პოლიტიკური სატირა რუსეთის ბოლშევიკურ რევოლუციასა და საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემაზე — „ცხოველების ფერმა". მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა უთუოდ აღემატება აღნიშნული კონკრეტული ისტორიული ფაქტის ალეგორიულ წარმოჩენას, ვინაიდან ამ ნაწარმოების თემა ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა.

ორუელი მოგვითხრობს ვინმე ბ-ნ ჯოუნსის ფერმაში მომხდარი საოცარი ამბების შესახებ. სახელდობრ, უსამართლობითა და გაჭირვებით შეწუხებულმა ცხოველებმა გადაწყვიტეს აჯანყების მოწყობა. „მეგობრებო, რაში მდგომარეობს ჩვენი ცხოვრების არსი? მოდით, თვალი გავუწოროთ სიმართლეს და ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცხოვრება დუხჩირი, დამქანცველი და ხანმოკლეა... ადამიანია თავი და თავი ჩვენი უბედურების. იგია ჩვენი ერთადერთი ნამდვილი მტერი. გაყარეთ ადამიანები და შიმშილისა და ჭაპანწყვეტის ძირეული მიზეზიც სამუდამოდ მოისპობა". (ჯორჯ ორუელი, „ცხოველების ფერმა", გამომც. „გულანი". 1992 წ. გვ. 6-7). ცხოველებს სათავეში ღორები ჩაუდგებიან, როგორც მათი იდეური ხელმძღვანელები და ორგანიზატორები და ერთ „მშვენიერ" დღესაც ამბოხებას წამოიწყებენ. „ისინი დაერივნენ თავიანთ მწვალებლებს და ყველა მხრიდან აუტეხეს ბაგაბუგი. ზოგი ურქენდა, ზოგიც წიხლებს აზელდა პატრონსაც და მის მსახურებსა" (იქვე, გვ. 15). საბოლოოდ ეს ბრძოლა ცხოველების სრული ტრიუმფით დასრულდა. მათ ერთიანად გაყარეს თავიანთი მტარვალი ადამიანები და ფერმა „მამულს" (ასეთი იყო მისი სახელწოდება) დაეპატრონნენ. „მცირე ხანში ცხოველებმა მოსპეს ყველაფერი, რაც ბ-ნ ჯოუენს მოაგონებდათ" (იქვე, გვ. 16).

ამგვარად მოხდა „დიდი რევოლუცია, რომლის თარიღსაც ისინი ყოველ წელს საზეიმოდ აღნიშნავდნენ. გამარჯვებულებმა ქიშკარზე გაკეთებული წარწერა „მამული" წაშალეს და მის ნაცვლად „ცხოველების ფერმა" დააწერეს.

სამწუხაროდ, მალე გაირკვა, რომ სამართლიანობისა და თანასწორობის დამკვიდრების სანაცვლოდ რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა ღორების მმართველი კასტა, რომელიც გასაოცარი მადით გამოირჩეოდა და ყოველივე საუკეთესოს მითვისებით იყო დაკავებული. „აღმოჩნდა, რომ მთელ რძეს ღორები თავიანთი ფაფებისთვის იყენებდნენ", (იქვე. გვ. 26), ასევე ხილიც მხოლოდ მათ დაისაკუთრეს. „ამასობაში კი ცხოვრების პირობები სულ უფრო და უფრო უარესდებოდა". (იქვე, გვ. 79). მაგრამ ღორები დემაგოგიურად და მეთოდურად შთააგონებდნენ დანარჩენებს, რომ ჯოუნსის დროსთან შედარებით უზარმაზარი წინსვლა ჰქონდათ. „ცხოველებს გაჭირვებას ნაწილობრივ უმსუბუქებდა ის სიდიადე, რომლითაც ამჟამინდელი ცხოვრება განსხვავდებოდა უწინდელისაგან: ახლანდელ ყოფას ამშვენებდა მეტი სიმღერა, გამოსვლები და დღესასწაულები" (იქვე, გვ. 81).

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ ჯორჯ ორუელის ამ გენიალური ნაწარმოების მოკლე შინაარსის სრულ გადმოცემას, არამედ შეგნებულად გავიხსენეთ მისი სიუჟეტის ზოგიერთი არსებითი ასპექტი და პასაჟი. რატომ? ნუთუ ეს არ აღძრავს სავსებით ნათელ ასოციაციებს ჩვენს აწმყო ცნობიერებაში?! ნუთუ საოცრად არ ეხმიანება თანამედროვე საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს?! დახეთ, რა უცნაური არსებები დაეპატრონნენ ჩვენს ქვეყანას ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შედეგად, რომელიც სამართლიანობის, დემოკრატიისა და კეთილდღეობის მაღალფარდოვანი ლოზუნგებით განხორციელდა! საკაშვილები, ბენდუქიძეები, მერაბიშვილები, ბექაურები, ბოკერიები... — აი, ეს გროტესკული ტიპაჟები პარპაშებენ და აბსოლუტურად თვითნებურად განაგებენ სახელმწიფოს: თავად იხვეჭენ დიდძალ ქონებას, სხვებს კი აშიმშილებენ და უმუშევრად ტოვებენ; დღითი დღე აღრმავებენ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს თავიანთი უვიცობითა და დილეტანტიზმით, მოსახლეობას კი თავხედურად არწმუნებენ, თითქოს დიდი აღმავლობა იყოს. პენსიებისა და ხელფასებისათვის კაპიკები ენანებათ, სამაგიეროდ, მილიონებს ხარჯავენ გრანდიოზულ საზეიმო ღონისძიებებში. დიახ, რევოლუციამ ჩვენი მამული სათარეშოდ ჩაუგდო რაღაც ურწმუნო,

უსამშობლო და უპრინციპო არსებებს, რომლებიც მტრულად უყურებენ ყოველივე ადამიანურს, ანუ ყოველივეს, რაც დაკავშირებულია სარწმუნოებასთან, ეროვნულობასთან, მორალთან... ჯორჯ ორუელის „გმირებისათვის“ — ცხოველებისა და მათი მესვეური ღორებისათვის — არ არსებობს არაფერი წმინდათაწმიდა, გარდა საკუთარი რევოლუციური მონაპოვარისა, — საიუბილეო თარიღების, ჰიმნისა თუ ბელადის თაყვანისცემის სახით. ჩვენი „ვარდოსნებიც“ არ მალავენ თავიანთ აგდებულ დამოკიდებულებას ქართული საზოგადოებისათვის ტრადიციულად ფასეული კერებისადმი: ისინი დაერივნენ განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროებში მყოფ ინტელიგენციას; ემუქრებიან მართლმადიდებელ ეკლესიას და საგულდაგულოდ ემზადებიან მის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშისათვის. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ბუნებისაა ეს „საოცარი“ მოდგმა ქართველი რევოლუციონერებისა.

ამჟამად სააკაშვილის მმართველი კლანი სერიოზულ ფარულ სამუშაოებს ატარებს თავისი ბინძური გეგმების განსახორციელებლად, კერძოდ, უშუალოდ მისი მხარდაჭერით ჩამოყალიბდა საკმაოდ მძლავრი კრიმინალური შეიარაღებული ფორმირება. იგი შეიქმნა ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ზოგიერთი ყოფილი „საძმოს“ ბაზაზე ძმები რურუების ხელმძღვანელობით და ამჟამად უკვე ფართოდ განტოტვილ სისტემას შეადგენს, რომელსაც ამარაგებენ იარაღითა და ფულით. მისი წარმომადგენლები აკონტროლებენ სხვადასხვა სახის ბიზნესს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ უზარმაზარ ბანდფორმირებას ხელისუფლება უყურებს როგორც თავის საიმედო დასაყრდენს და იგი კვლავაც იზრდება და ძლიერდება.

უახლოეს მომავალში სააკაშვილის კლანი შეეცდება დიდი დესტაბილიზაციის პროვოცირებას, რათა ეს გამოიყენოს სასტიკი და სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის მისთვის არასასურველი „ელემენტების“ მიმართ. სწორედ ასეთი ექსტრემალური სიტუაციისათვის ჰყავს მას გამზადებული ხსენებული ბანდფორმირება და იგი საჭიროების შემთხვევაში დაერევა შავ სიაში მყოფ პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებსა თუ ჟურნალისტებს. განა შეიძლება ახლა ჩვენი პასიურობა? განა შეიძლება ამ დამღუპველ დინებას მივყვეთ? საკუთარი მოქალაქეობრივი ღირსების გრძნობა ხომ უეჭველად გვიბიძგებს მოქმედებისაკენ, თუ არა და, უახლოეს მომავალში კვლავ აღმოვჩნდებით კრიმინალური მაფიის მძევლების როლში. ოპოზიციური

თამაშობანას დრო დასრულდა: ამჟამად საჭიროა რეალური და შეუპოვარი ბრძოლის დაწყება, რათა მოვიშოროთ დღევანდელი სამარცხვინო რეჟიმი! ეს ბრძოლა არ იქნება ცალკეული პოლიტიკური ძალების პრეროგატივა, არამედ მთელი შეგნებული ქართული საზოგადოების ძალისხმევად მოგვევლინება. დიახ, ჩვენ გველოდება უაღრესად მძიმე, დაძაბული პერიოდი და 2006 წელი, ალბათ, დიდი გარდატეხის წელი იქნება!

გაზ. „ასავალ-დასავალი"
№3 (593), 2006 წლის 16-22 იანვარი.

მედიტაციები № 7 საპყრობილეში

2006 წლის 29 ივლისს დამაპატიმრეს. თავად საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ბრალი წამიყენა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხების ინტელექტუალურ დახმარებაში. ცხადია, ეს უსაფუძვლო, აბსურდული ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის პოლიტიკურ დაკვეთას ემსახურებოდა. მმართველ ელიტას კარგა ხანია ჩემი დაჭერა სურდა, მაგრამ ეძებდა საბაბსა და ხელსაყრელ ვითარებას და აი, კიდევაც ისარგებლა „კოდორის მოვლენებით".

ახლა ვაანალიზებ რა კოდორის ხეობასთან დაკავშირებულ კრიზისს, კვლავაც დარწმუნებული ვარ, რომ მასზე პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად ეკისრება ხელისუფლებას. ამ ხეობის მეომრების მიერ პროტესტის ანუ ე.წ. დაუმორჩილებლობის გამოცხადება განპირობებული აღმოჩნდა შემდეგი მიზეზებით: ისინი წლების განმავლობაში გმირულად იცავდნენ ჩვენ სტრატეგიულ პლაცდარმს აფხაზეთის ტერიტორიაზე, სააკაშვილის ხელისუფლებამ კი მადლობის სანაცვლოდ მათ სახეში შეაფურთხა, როდესაც გაუუქმა ბატალიონი „მონადირე" და თბილისიდან მოჭრილად შეუთვალა: ამიერიდან არაფერში აღარ გვჭირდებით, იარაღი ჩაგვაბარეთ და თუ ჭკუით არ მოიქცევით, ყველას დაგიჭერთო. ხეობის მოსახლეობა ვერც ადრე გრძნობდა განსაკუთრებულ მზრუნველობას შევარდნაძის მთავრობის მხრიდან, ხოლო ასეთმა აგდებულმა, შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ კი, რა თქმა უნდა, სერიოზული რეაქცია გამოიწვია. ვთქვათ, სააკაშვილს სურდა კოდორში წესრიგის დამყარება, კრიმინალებთან ბრძოლა, ე.ი. სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება, მაშინ ამას სხვა მიდგომა და მუშაობა სჭირდებოდა და არა ულტიმატუმების ენაზე ლაპარაკი იმ ხალხთან, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საოცრად ერთგული მცველი აღმოჩნდა. კონკრეტულად კი, კრიზისმა იფეთქა მაშინ, როდესაც კოდორის მოსახლეობისათვის ცნობილი შეიქნა ხელისუფლების ფარული გადაწყვეტილება ხეობაში ფართომასშტაბიანი სამხედრო-სადამს-

ჯელო ოპერაციის ჩატარების თაობაზე: სწორედ ამას მოჰყვა მათი წინააღმდეგობა, პროტესტი, დაუმორჩილებლობა...

დღეს-დღეობით ბრალს მდებენ იმ ამბოხების დახმარებაში, რომელიც თითქოსდა მიზნად ისახავდა კონსტიტუციური წყობილების დამხობას. სრული აბსურდი! სრული მარაზმი! რა საერთო აქვს კოდორის ამბებს კონსტიტუციური წყობილების დამხობასთან?! ანდა რა საერთო აქვს ჩემ პოლიტიკურ შეფასებებს, პოზიციებს ამბოხების დახმარებასთან?! მაგრამ რას იზამ, ძალა აღმართს ხნავსო: საქართველოში ხომ ახლა ნეობოლშევიზმი მძვინვარებს და ერთი კაცის ნება-სურვილი ყველაფერზე მაღლა დგას!

ამჟამად ვიმყოფები სრულიად იზოლირებულად თბილისის 7-ე საპყრობილის საკანში. იგი დაახლოებით შვიდი კვადრატული მეტრი იქნება, შედარებით უკეთ გარემონტებული... ფანჯარა სამმაგი გისოსებითაა დაფარული, კედლები ბაცი ნაცრისფერია... აი, აქ არის მოქცეული ჩემთვის მთელი სამყარო, ამ პატარა ნაჭუჭში! მაგრამ თავს საკმაოდ მხნედ ვგრძნობ. ე.წ. „პერედაჩები" უაღრესად იზღუდება ამ საპყრობილეში: მხოლოდ ხილის, წვენების და მაწვნის შემოგზავნა შეიძლება. საღამოს რვა საათისთვის სასეირნოდ გავყავართ, დაახლოებით ერთი საათით და მეც ძალიან მცირე ზომის ეზოში ბოლთას ვცემ ხოლმე... იზოლაცია კი, მართლაცდა, უმკაცრესია — თვით მეუღლესაც კი აუკრძალეს ჩემთან შეხვედრა...

აქ ლოცვა სულ სხვაა: ამ სიმარტოვესა და განსაცდელში ხდება ჩემი ფსიქიკის უცნაური კონცენტრაცია. მე, როგორც ერთი მთლიანი, მიქცეული ვარ იმისკენ, რაც არა-რაა, რაც უსასრულო ყოფიერებაა და რასაც მოვუხმობ: უფალო, უფალო, შენ ჩემთან ხარ! სწორედ ამ საკანში ის სულ უფრო და უფრო ახლოვდება ჩემთვის. სწორედ ამ საკანში შესაძლებელი ხდება იმ საშინელი გრავიტაციის დაძლევა, რითაც მიჯაჭვული ვარ ჩემთვის ჩვეული ცხოვრების წესს: სახლის გარემოს, ქალაქში მისვლა-მოსვლას, კონტაქტებს, პოლიტიკურ ციებ-ცხელებებს, ახალ ამბებს ტელევიზიით... დიახ, უნდა თანდათანობით დავძლიო ეს გრავიტაცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუდმივად უკან მექაჩება ფიქრებით, შფოთვით, ნოსტალგიით... უნდა მოვწყდე ამ მიზიდულობის ჩვეულ ზედაპირს და მთელი არსებით მივიმართო იქითკენ, სადაც ყოფიერება სუნთქავს, სადაც ის ყველაზე უახლოესია ჩემთვის.

როდესაც ლოცვისას შთავინთქმები ჩემ უფალში, როდესაც გადავეშვები ყოფიერების ამ უსასრულო სივრცეში, ვგრძნობ თუ,

როგორ ვთავისუფლდები დამთრგუნველი დეტერმინიზმისაგან: საკ-ნის ეს დახშული რეალობა ველარ განმსაზღვრავს, ვინაიდან მე იქა ვარ, სადაც თავისუფლებაა — მე ყოფიერებაში ვარ...

განსაცდელი... ეს დიადი ხვედრია! სწორედ იგი მაძლევს შესაძ-ლებლობას გავიდე, გავაღწიო ჩემი პიროვნების ვიწრო ნაჭუჭიდან; მზერა მივაპყრო და მივიმართო იმისკენ, რაც აბსოლუტურად სხვაა, ვიდრე ნებისმიერი ყოფიერი და თან უახლოესია ჩემთვის. ჭეშმარიტი ლოცვა არის თავ-დავიწყება: დავიწყება იმისა, რომ მე ვარ ირაკლი ბათიაშვილი — ასეთი და ასეთი სოციალური როლის, ფსიქოლო-გიური თავისებურებების, ჩვევების, ინტერესების, მიდრეკილებების, ჩვეული ურთიერთობების მქონე პერსონა. ლოცვა — ეს არის განს-ვლა ჩემი პიროვნული ჩაკეტილი სივრციდან და ექსისტენციალური თვითგახსნა სხვისთვის; ეს არის გადასროლა სხვის იდუმალ უსასრულოებაში; და ეს სხვა ხდება უახლოესი ჩემთვის! ეს სხვა უფალია... უფალო შენ ჩემთანა ხარ!

ვიმეორებ, რომ დღეს საქართველოში ნეობოლშევიზმი მძვინვარებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) მკვიდრდება ავტორიტარული დიქტატურა, სადაც ერთი ადამი-ანის, სახელდობრ, პრეზიდენტის ნება ყველაფერზე მაღლა დგას — კანონებზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, ზნეობრივ ფასეულობე-ბზე. ამ მხრივ ქვეყანაში სრული ვოლუნტარიზმი და განუკითხაობაა. ერთი კაცის ნებას და მის დიქტატს ექვემდებარება პარლამენტიც, სასამართლოც, უნივერსიტეტიც, სკოლაც, ტელევიზიაც...

ბ) სახეზეა პოლიტიკური რეპრესიები და სისხლიანი ანგარიშსწორებები „სადამსჯელო ბრიგადების" მხრიდან.

გ) რევოლუციური ხელისუფლება თავისი სულისკვეთებით ინტერ-ნაციონალისტურია და გამსჭვალულია აგრესიული ნიჰილიზმით ეროვნული ცნობიერებისა და ფასეულობებისადმი. იგი მეთოდურად ცდილობს მათ დისკრედიტაციას და ე.წ. „კმარელთა" ცნობიერებს დანერგვას თავისი ისეთი იდეური რუპორების მეშვეობით, როგორე-ბიც გახლავთ გიგა ბოკერია, გია ნოდია, გიგი თევზაძე, ნოდარ ლადარია, ემზარ ჯგერენაია, კახა ლომაია და სხვები.

დ) მ. სააკაშვილს და მის გარემოცვას ამოძრავებს საშინელი სიძულვილი და მტრული ინსტიქტი საქართველოს მართლმადი-დებლური ეკლესიისა და მისი პატრიარქის მიმართ, რომლებიც მათი აგრესიის მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ. მაგრამ ჯერჯერობით ისინი ამ საკითხს სიფრთხილით და შიშით ეკიდებიან.

დიახ, XXI საუკუნის საქართველო და ნეობოლშევიზმი: ეს ხომ ანაქრონიზმია! ეს ხომ სამარცხვინო ლაქაა ჩვენს ისტორიაში! დროა განვთავისუფლდეთ ამ ჭირისაგან! მართლაცდა, ახლოვდება რევოლუციური ხელისუფლების აღსასრული და ამას ყოველივე ჩვენგანი კარგად გრძნობს. ნუ გვგონია, თითქოსდა იგი ძალიან მყარად ზის, პირიქით, მას ძალზედ მყიფე საფუძველი აქვს: ერთი-ორი ძლიერი დატოკება და ნახავთ, თუ როგორ ხუხულასავით დაინგრევა ლამაზ პიარზე აგებული „ვარდისფერი ციხე-სიმაგრე"... ეს ბრძოლა იქნება მშვიდობიანი და პოლიტიკური, მაგრამ იგი უზარმაზარ მასშტაბებს მიიღებს: უმუშევართა არმიები, შეურაცხყოფილი ინტელიგენცია, დარეკეტებული და დარბეული მესაკუთრეები, ცარიელ-ტარიელზე დარჩენილი გლეხები — ყოველივე ეს ერთ დიდ ნაკადში შეერთდება, რომელსაც უკვე ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ამ კატაკლიზმების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მოვა ისეთი მმართველი გუნდი, რომელიც თავისი პოლიტიკით, სულისკვეთებით ქვეყანაში სიმშვიდის, სტაბილურობის საწინდარი იქნება და არა იმ ფსიქოზური ატმოსფეროსი, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით. დღესდღეობით ირგვლივ ყოველი ადამიანი სვამს კითხვას: გვეშველება რამე? რა არის გამოსავალი? პასუხი ერთია: სახელმწიფოს უნდა წარმართავდეს ძალა, რომელიც წარმოდგენილი იქნება პროფესიონალიზმის, ეროვნული ცნობიერებისა და ქრისტიანული მრწამსის მქონე პერსონებით. დიახ, ამაშია სწორედ გამოსავალი. მესაჭეებად ჩვენ გვჭირდებიან ნორმალურები და არა „შერეკილები"; მცოდნეები და არა უვიცები; ნამდვილად ეროვნულები და არა „ნაციონალები"; მორწმუნენი და არა ნეობოლშევიკები. მთავარია აღარ მოვტყუვდეთ და გულუბრყვილოდ არ მივენდოთ ბრჭყვიალა და ბრახუნა ლოზუნგებს, პოლიტიკურ სპექტაკლებს... ჩვენმა ხალხმაც დიდი გამოცდილება შეიძინა ამ მტკივნეულ და მძიმე გზაზე: იგი უკვე საკმაოდ კრიტიკული და პოლიტიკურად ჩახედულია. მაგრამ იმედი მას არ დაუკარგავს. და ეს იმედი ეფუძნება რეალურ წინათგრძნობას: მალე დამთავრდება „გაუთავებელი" კატაკლიზმები და ქვეყანაში დაიწყება დიდი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ეტაპი. დაიწყება რეალური პოლიტიკის ხანა. გამარჯვება გარდაუვალია!

22.08.2006 წ.
მე-7 საპყრობილე

ᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑ... ᲕᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑ...

ირაკლი ბათიაშვილი უკვე ორი თვეა ციხეში ზის (რამდენიმე დღის წინ ეს ვადა კიდევ ერთი თვით გაუგრძელეს), მაგრამ წაყენებული ბრალი, კვიციანთან საუბრების ჩანაწერების სრული ვერსიის გამოქვეყნების შემდეგ, ძველებურად ომახიანი ვეღარ არის.

ახლახან რედაქციაში ციხიდან გამოგზავნილი წერილი მოვიდა, რომლის ავტორიც მისი სრული სახით გამოქვეყნებას გვთხოვს...

„მახსოვს უცნაური გარდატეხის მომენტი ჩემს ცხოვრებაში: ვგონებ, 1986 წელი უნდა ყოფილიყო.

რაღაც საშინელი შეკავების რეფლექსით ვიყავი მთლიანად ხელფეხშებორკილი. მაშინ ჯერ კიდევ დედაჩემის სახლში ვცხოვრობდი — სოლოლაკში. უაზროდ ვიწექი და ჩემი ოთახის დაბზარულ, გაცრეცილ ცისფერ კედლებს მივშტერებოდი. გარეთ სექტემბრის მშვიდი საღამო იდგა და მზე ილეოდა. უცებ წამოვხტი, ქუჩაში გავედი და ბოტანიკური ბაღისკენ გავქანდი. სწრაფი ნაბიჯით მივუყვებოდი აღმართს: სულ ზევით და ზევით... დროდადრო ვჩერდებოდი, დავიხრებოდი და მიწას ხელისგულს დავადებდი ხოლმე — ეს ჩემდა უნებურად რაღაც რიტუალის შესრულებას ჰგავდა! ხეივანს შევუყევი, საიდანაც შესანიშნავად იშლება ქალაქის ხედი. შევჩერდი, სივრცეს გავხედე და ჯერ მოკრძალებულად დავიძახე: — ღმერთო! შემდეგ უფრო თამამად და ხმამაღლა... და ბოლოს მთელი ჩემი არსებიდან — გულიდან, სისხლძარღვებიდან, ნერვებიდან, თავით ფეხებიდან ამოვხეთქე: — ღმერთო! ღმერთო! ღმერთო! მართლაცდა, დეპრესიის წყვდიადში უფალი გამოანათებს...

მალევე პილიგრიმობის თავისებურმა სურვილმა შემიპყრო: მარტოდმარტო თავს დავადებდი ხოლმე აღმოსავლეთისა თუ დასავლეთისკენ — ვლოცულობდი სხვადასხვა ტაძარში ან სულაც ღია ცისქვეშ.

ეს იყო ღვთის ძიების პროცესი და მე ნათლად გავაცნობიერე, რომ სწორედ ამაშია ჩემი სიცოცხლის საზრისი და დანიშნულება; ეს იყო ძიება, რომელმაც მართლმადიდებლური მრწამსის ნავთსაყუდელთან მიმიყვანა...

იმავდროულად ჩემში სპონტანურად გაიღვიძა ინტერესმა პოლიტიკისადმი. თანდათანობით იგი მატულობდა და მალე მძლავრ მოთხოვნილებადაც იქცა. 1987 წელს კი მამაჩემის სახლში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, მრგვალ მაგიდასთან ვიკრიბებოდით, სადაც ვმსჯელობდით საერთაშორისო პოლიტიკის დიდ ცვლილებებზე, საქართველოს მომავალზე. ამ დისკუსიებში მონაწილეობდნენ ირაკლი წერეთელი, თედო პაატაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, თენგიზ დიხამინჯია და სხვები. შემდეგ, ჩვენდა სასიხარულოდ, გვეწვივნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, არაერთხელ მოვიდა მერაბ მამარდაშვილი. შეკრებილთა წრე სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ხშირად სკამები არ გვყოფნიდა და ზოგიერთს ფეხზე დგომაც კი უხდებოდა. მალე მონაწილეობა მივიღე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დაფუძნებაში ისეთ ღვაწლმოსილ დისიდენტებთან ერთად, როგორებიც იყვნენ მერაბ კოსტავა, თამრიკო ჩხეიძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და ამგვარად, თავით ფეხებამდე გადავეშვი ეროვნული მოძრაობის აბობოქრებულ სტიქიაში. დიახ, ჩვენ ირგვლივ ატმოსფერო დამუხტული იყო საბჭოთა იმპერიის მსხვრევისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენების ისტორიული იდეით — აშკარად ვხედავდი, რომ განგების ძალით ეს „დიადი რამ" ჩემი სიცოცხლის საზრისსაც განეკუთვნებოდა...

* * *

უეჭველია, რომ ჩვენს ქვეყანაში XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გაშლილი ეროვნული მოძრაობა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენას წარმოადგენს. რა დამსახურებით გამოირჩევა იგი? უპირველეს ყოვლისა, სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მან გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში და თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის მსხვრევაში — ეს ვგონებ, ყველასთვის ცხადი და ზოგადი დებულებაა.

ეროვნულმა მოძრაობამ გაგვიღვიძა სამოქალაქო შეგნება და აქტივობა, რის შედეგადაც რეალურად გავაცნობიერეთ ჩვენში საერთო-ეროვნული ნების არსებობა.

ეროვნული მოძრაობის ძალით გადავლახეთ ის შემზარავი შიში და დათრგუნვილობა, რომელიც საბჭოთა რეპრესიულმა მანქანამ ჩაგვინერგა ათწლეულების განმავლობაში და მოვიპოვეთ პიროვნული თავისუფლებისა და უფლებების განცდა.

ეროვნულმა მოძრაობამ დაგვისახა საერთო-ეროვნული ცხოვრების ორიენტირი — ქართული სახელმწიფოებრიობის შენება, რაც საბჭოთა ქართველი ადამიანისთვის (გამონაკლისი მცირერიცხოვანი დისიდენტების და საზოგადო მოღვაწეების გარდა) სრულიად აბსტრაქტული, უცნობი და ირეალური რამ იყო.

სწორედ ამიტომ ეროვნულ მოძრაობაში ჩვენ ვერთვებოდით განსაკუთრებული მისიის განცდით: ვგრძნობდით, რომ ვემსახურებოდით ამ დიდი მიზნების განხორციელებას: დამოუკიდებლობას, იმპერიის დაშლას, თავისუფლებას... ზოგს უფრო დასახსრულად ჰქონდა ეს გააზრებული, ზოგს — უფრო ემოციურად და ინტუიციურად, მაგრამ მთლიანობაში ჩვენ აღჭურვილი, გაჟღენთილი აღმოვჩნდით სწორედ რომ მისიის განცდით! და ამიტომაც ეროვნულმა მოძრაობამ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე (პიარის, ფულის თუ სხვა ფაქტორის გარეშე) მაგნიტივით მიიზიდა ათასები და ათასები; მოახდინა ხალხის საოცარი მობილიზაცია... დიახ, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უკეთ შეაფასებენ ამ ფენომენის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში!

1988 წლის ნოემბრის დასაწყისში ეროვნული მოძრაობის ლიდერები შევიკრიბეთ მორიგი თათბირის ჩასატარებლად ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის ბინაში. თუკი მეხსიერება არ მღალატობს, ამ თათბირს ესწრებოდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, მე და რამდენიმე ჩვენი თანამებრძოლი.

უაღრესად დამუხტული და ემოციური დისკუსიის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 12 ნოემბერს ჩავატარებდით გრანდიოზულ აქციას საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. დავგეგმეთ მოსამზადებელი სამუშაოებიც, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ამ თვალსაზრისით ბევრი არაფერი გაკეთებულა, რასაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ეთამაშა აქციის წარმატების საქმეში: არც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის პროკლამაციები გავრცელებულა, არც ხალხის გაფრთხილება ატარებდა მასობრივ და გეგმაზომიერ ხასიათს... ტელევიზიის და პრესის გამოყენებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო იმ პერიოდში! დიახ, ეროვნულ მოძრაობას დღევანდელობასთან შედარებით უაღრესად შეზღუდული საშუალებები მოეპოვებოდა ე.წ. პიარისათვის, მაგრამ... აი, სწორედ ამ „მაგრა"-შია საქმე! დიახ, თავად ეროვნული იდეა აღმოჩნდა ისეთი აუხსნელი, მისტიკური ძალის მქონე, რომ მისი ზემოქმედება ელექტრომაგნიტური ტალღებივით ვრცელდებოდა ხალხში ჩვენი გადამეტებული ფუსფუსის გარეშეც. მართლაცდა, მალევე ნათელი შეიქნა, რომ საზო-

გადოებას თბილისში მასობრივად მოედო „12 ნოემბრის" თარიღი; ხმებმა რაიონებშიც გააღწია. ადამიანები ერთმანეთს ახსენებდნენ, ატყობინებდნენ, კედლებზე წერდნენ რიცხვს — 12.

მოგვიტანეს ამბავი, რომ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას წინასწარ განზრახული ჰქონდა ლიდერების რამდენიმე დღით აყვანა, რათა ამ გზით აქცია ჩაეშალა. ჩვენც თადარიგი დავიჭირეთ და 12 ნოემბრამდე კონსპირაციულად თბილისს გავეცალეთ. ამჯერად უშიშროების მეთვალყურეობიდან გასხლტომა საკმაოდ დროულად მოვახერხეთ ყველამ. როგორც ჩანს, საბჭოთა ჟანდარმები არ ელოდნენ ჩვენგან ამ ნაბიჯს, ვინაიდან ალბათ, ვერც კი წარმოედგინათ, რომ ინფორმირებული ვიყავით მოსალოდნელი „აყვანების" თაობაზე. მახსოვს, მე და ირაკლი წერეთელი იმ დღეებში ახმეტაში ვიმალებოდით, კერძოდ, ჩვენი ერთ-ერთი თანამებრძოლის სახლში. და აი, დადგა 12 ნოემბერი. ლიდერები დროულად შემოვედით თბილისში და საქმესაც შევუდექით. ქალაქის რამდენიმე წერტილში დიდი რაოდენობით ხალხი იკრიბებოდა. შემდეგ ისინი ერთ უზარმაზარ ნაკადად იქცნენ და დაიწყო მსვლელობა ჭავჭავაძის პროსპექტის გავლით იპოდრომისკენ, სადაც განზრახული გვქონდა მიტინგის მოწყობა. ხალხი გვემატებოდა და გვემატებოდა... იპოდრომზე ზღვა ხალხი შეგროვდა, ენთუზიაზმი და აღტაცება სუფევდა ირგვლივ. პირველი სიტყვა წარმოთქვა მერაბ კოსტავამ, შემდეგ მჭევრმეტყველურად გამოვიდა ზვიად გამსახურდია, შემდეგ ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, მე, თემურ ქორიძე... მილიციის რიგითებიც და მაღალჩინოსნებიც აშკარა თანაგრძნობას გამოხატავდნენ ეროვნული მოძრაობის მიმართ. ყოველი ჩვენგანი, მართლაცდა, უდიდესი მისიის გრძნობით იყო გამსჭვალული; ყოველი ჩვენგანი აცნობიერებდა, რომ მართლაც ისტორიული რამ ხდებოდა და რომ ეს იყო საქართველოს ხელახალი დაბადება...

მაგრამ მიუხედავად ამ ნათელი და ამაღლებული მოგონებებისა, სამწუხაროდ, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თავიდანვე ეროვნულ მოძრაობაში თავი იჩინა შიდაგანხეთქილების სენმა, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო მწვავე და მასშტაბურ ხასიათს იღებდა. ამას ყველანაირად ხელს უწყობდა საბჭოთა უშიშროების კომიტეტი, რომელსაც უხვად ჰყავდა აგენტურა ჩვენს წიაღში და ამდენად ხელეწიფებოდა ვითარებაზე სერიოზული გავლენის მოხდენა (სხვათა შორის, როდესაც მოგვიანებით, 1992 წელს დავინიშნე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის შეფად, ჩემთვის უკვე დოკუმენტურად ნათელი შეიქნა, თუ რამხელა სპეცკონტინგენტი მუშაობდა ეროვნულ მოძრაობაში). სწორედ საბჭოთა

სპეცსამსახურების პროვოცირებით 1989 წელს მოხდა ის გახმაურებული კონფლიქტი ანუ ე.წ. „ღირსების სასამართლო“, რომლის ფრაგმენტებიც ჩვენმა საზოგადოებამ იხილა მაშინ ტელევიზიით. ცხარე კამათი, ერთი მხრივ, ზურაბ ჭავჭავაძესა და მეორე მხრივ, ზვიად გამსახურდიას და გიორგი ჭანტურიას შორის გადაიზარდა მძაფრ შეხლა-შემოხლაში. ამ შეხვედრას ილებდა ორი ვიდეოკამერა. ერთ-ერთის ვიდეოჩანაწერი წინასწარშეთანხმებით მოხვდა უშიშროების კომიტეტის ხელში და მათ ეს მასალა გაუშვეს ტელევიზიით სრულიად განსაზღვრული მიზნით: მოეხდინათ ეროვნული ლიდერების დისკრედიტაცია. მაგრამ მიუხედავად ამ პროვოკაციებისა და უმძიმესი შეცდომებისა, ეროვნული მოძრაობა ერთი პერიოდი მაინც აღმავალი გზით მიდიოდა და მართლაცდა, უზარმაზარი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიაში.

* * *

ცხადია, რომ საპყრობილეში ყოფნისას რელიგიური განცდები ჩემში კიდევ უფრო გაძლიერდა, გამიღრმავდა განგების რწმენა: უფალი, როგორც ყოფიერება და როგორც განგება... ვზივარ ამ ოთხკედელში და ინტუიციით ვწვდები განგების უეჭველობას და მინდობილი ვარ მას. ჩემი აქ ყოფნაც ხომ განგების ძალითაა! უცნაური დამთხვევაა თითქოს, მაგრამ როდესაც დამაპატიმრეს, ჩემებს ვთხოვე ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ შემოეგზავნათ. კარგა ხანი კი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს გენიალური წიგნი წავიკითხე პირველად. ვგონებ, 18 წლისა ვიყავი... შეიძლება ითქვას, ბუნდოვნად თუ მახსოვდა... იმიტომ ვამბობ, დამთხვევაა-მეთქი, რადგანაც „ომი და მშვიდობა“ ჩვენთვის თვალნათლივ წარმოაჩენს განგების ფენომენს (ამ შემთხვევაში მხედველობაში არა მაქვს თავად ავტორის ისტორიულ-ფილოსოფიური თეორიები); იგი წარმოაჩენს ყოფიერების მიერ იდუმალი ძალით დასახულ გზებს პიროვნებებისათვის, სოციუმებისათვის, ხალხებისათვის... ადამიანები რაღაცას გეგმავენ, ცდილობენ საკუთარი და საზოგადოებრივი ცხოვრება თავისი მისწრაფებების თუ იდეების მიხედვით წარმართონ — მაგალითად, თავადი ანდრეი ბალკონსკი ჯერ მხედართმთავრული დიდების მოხვეჭაში ხედავს სიცოცხლის აზრს და დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამისთვის არის მოწოდებული; მისი იდეალი ნაპოლეონ ბონაპარტეა და ელოდება თავის მეორე „ტულონს“. მაგრამ უცებ ყველაფერი იცვლება — ახლა იგი ყველასგან განმარტოებით თავის მამულშია ჩაკეტილი და ღრმად

სწამს, რომ მხოლოდ ამ პასტორალურ ევდემონიზმშია ჭეშმარიტება. შემდეგ ისევ ცვლილება ხდება... და ბოლოს, მისთვის ნათელი ხდება უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტება, — იმ უცხო საწყისის ჭეშმარიტება, რასაც სიკვდილი ჰქვია. ასევე გრაფი პიერ ბეზუხოვიც ხან მასონურ მოღვაწეობაში აღმოაჩენს თავის დანიშნულებას, ხან ისევ ღვინოს, ქალებს და სკეპტიციზმს უბრუნდება. და ბოლოს პირისპირ დგება ომის სასტიკი და შეულამაზებელი რეალობის წინაშე, რომელიც თავდაყირა აყენებს მთელ მის ცხოვრებასა და ცნობიერებას. ტოლსტოი წერს: „...Ничто не было исключительной причиной события, а событие должно было совершиться только потому, что оно должно было совершиться" („Война и мир", стр. 9).

„კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!" დიახ, ადამიანები კი რაღაცას გეგმავენ და რაღაცისკენ მიისწრაფვიან, მაგრამ ყველაფერი მაინც ხდება ისე და იმგვარად, როგორც ამას ყოფიერება დასახავს... ზემოთ ხსენებული გმირებიც სწორედ რომ იმ მიხვეულ-მოხვეულ გზებს მიუყვებიან, რომლებსაც მათ წინაშე და მათდა უნებურად წარმოაჩენს ყოფიერება! ამის ახსნა შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით... ვამბობთ, რომ რაღაც ხდება, რაღაც ახალი გზა და პერსპექტივა იხსნება ჩვენ წინაშე და შემდგომ ვსვამთ კითხვას — რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მიზეზების მოძიება კი ვერასოდეს ვერ ამოწურავს საკითხს. ასე ხდება იმიტომ, რომ ეს გარდაუვალობაა! და დღევანდელი გადასახედიდან სავსებით ნათლად ვაცნობიერებ, რომ ასევე ჩემი ცხოვრების გზა და საზრისი მე არ განმისაზღვრავს. დიახ, ყოველივე ეს განისაზღვრა და გადაწყდა ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად იდუმალი საწყისის მიერ და ამიტომ უდიდესი სიბრიყვე იქნებოდა, რომ მელაპარაკა რაღაც საკუთარ არჩევანზე...

ახლა საკანში მთელი არსებით განვიცდი ჩემს ერთიანობას განგებასთან — მე ვარ სრულიად მასში და მასთან. და ეს ჩემში უსუსურობის ცნობიერებას კი არ ბადებს, არამედ პირიქით... ვგრძნობ უცნაურ ტრანსფორმაციას: ფოლადივით იწრთობა ნება, მატულობს ეგსისტენციალური ენერგია: უფალო, უფალო, მომაქციე შენკენ! მე ვარ შენგან და შენთან...

* * *

ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ვიმყოფებით იმ ხანგრძლივი პოლიტიკური დეპრესიის ხანაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდე-

ბლობის მოპოვების შემდგომ დაიწყო. ჩვენ ვართ დეზორიენტირებულნი, დაბნეულები, გამოცარიელებულები... თუკი თავის დროზე ეროვნული მოძრაობა აღმოჩნდა ის ძალა, რომელიც იყო დამოუკიდებლობის იდეის მატარებელი, რაც ჩვენ შთაგვაგონებდა და გვასულდგმულებდა, ახლა საჭიროა ასპარეზზე გამოჩნდეს ახალი იდეის მატარებელი ძალა! ნუ გვეგონება, თითქოსდა ახალი იდეა რაღაც უცხო და უცნობი ხილი იყოს. სრულებითაც არა! ლაპარაკია იმაზე, რაც სადღეისოდ ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენი ნაციონალური ცხოველქმედებისათვის, რაც არის ალფა და ომეგა ქართული სახელმწიფოებრიობის პერსპექტივისა და რის გარეშეც სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრება არ გვიწერია. დიახ, საქართველოს გამთლიანების იდეა უნდა იქცეს დღევანდელ ეტაპზე ისეთივე მასულდგმულებელ ფაქტორად, როგორიც იყო დამოუკიდებლობის იდეა ეროვნული მოძრაობის დროს! ოღონდ ეს უნდა მოხდეს რეალურად და არა ცარიელი ლოზუნგების და პიარკამპანიის დონეზე. ჩვენ გვჭირდება ძალა, რომელიც ამ იდეის რეალური მატარებელი იქნება და აქედან გამომდინარე, მისი პოლიტიკის ყველა ძალისხმევა და ნაბიჯი თანმიმდევრულად წარიმართება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ.

სადღეისოდ საქართველოს მოუწია ყოფნა საერთაშორისო პროცესების ძალზე მღელვარე ოკეანეში: დასავლური სამყაროს კონფრონტაცია საერთაშორისო ისლამურ ტერორიზმთან, რომელმაც ტოტალური ვირუსული შემოტევის ხასიათი მიიღო; უმძიმესი საომარი ვითარება ერაყსა და ავღანეთში; ბირთვული საფრთხის ნიადაგზე აშშ-ის უმწვავესი დაპირისპირება ირანთან და ჩრდილოეთ კორეასთან; ახლო აღმოსავლეთში კრიზისის არნახული გაღრმავება; რუსეთის გავლენის ხელახლა გაძლიერება პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ, ცენტრალურ აზიაში, უკრაინაში, მოლდავეთში, აზეიბაიჯანსა და მის მიერ ენერგობერკეტების მძლავრი ამოქმედება პოლიტიკური მიზნებით; რუსეთსა და აშშ-ის შორის დაძაბულობის ზრდა და ა.შ. ასეთ რთულ და სახიფათო საერთაშორისო ვითარებაში საჭიროა მეტად გონივრული, წინდახედული და მოქნილი სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან იმ სტრატეგიული ურთიერთობების შენარჩუნება და გაფრთხილება, რომელიც საქართველოს უდიდესი მონაპოვარია. სწორედ აღნიშნული ფაქ-

ტორის წყალობით შესაძლებელი გახდა 1993 წლის შემდგომ ნაცარ-ტუტად ქცეულ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირება, საფინანსო სისტემის დალაგება, საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის აშენება, „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" განხორციელება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრება. მეორე მხრივ კი ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება და საუკეთესო პარტნიორობის მიღწევა. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დაბრუნება, რაც სავსებით რეალურია და არავითარ ილუზიას არ წარმოადგენს. და განა ჩვენი ეკონომიკური ზრდა არ არის დამოკიდებული აღნიშნულ ფაქტორზე? რუსეთის ბაზრის მოპოვებაზე მუშაობს მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყანა, ჩვენ კი ერთი ხელის მოსმით დავკარგეთ იგი და ახლა აღარ ვიცით სად წავიღოთ ღვინო, „ბორჯომი", მანდარინი, ვაშლი, მწვანილი... და რა თქმა უნდა, ჩვენთვის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და თანაც მენტალურ-კულტურულად ბუნებრივია ფორსირებული ინტეგრაცია ევროპულ სამყაროში. ცხადია, ეს იოლი გზა არ არის! ამისათვის უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმართვა (და არა ისეთისა, რომელმაც საგანგაშო ინფლაცია და უმუშევრობა მოგვიტანა) და რეალური დემოკრატიის მშენებლობა თავისი დამოუკიდებელი სასამართლო სისტემით, თავისუფალი არჩევნებით და ა.შ. რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არსებობს. 'აი, ასეთ პოლიტიკას გვკარნახობს ეროვნული ინტერესები და რაც მთავარია, საქართველოს გამთლიანების დიდი იდეა! უნდა გვახსოვდეს ჩვენი ისტორიული მისია და აქედან გამომდინარე ვიმოქმედოთ: უნდა გვახსოვდეს ცხინვალი, უნდა გვახსოვდეს აფხაზეთი!"

მე-7 საპყრობილე.
გაზ. „კვირის პალიტრა"
25 სექტემბერი — 1 ოქტომბერი, 2006 წ.

დღიურები

კვირა

დღეს ისევ ჩავუჯექი „ას დიდ დიქტატორს". ჩვენს ბარაკში, ჩვეულებრივ, ხმაურია. მაგრამ ჩემზე ეს ნაკლებად მოქმედებს: უკვე მივეჩვიე ასეთ არამშვიდ გარემოში კითხვას და მუშაობას. ეს წიგნი აშკარად გამომადგება სამომავლო ანალიტიკური სტატიისათვის, რომლის მხოლოდ ბუნდოვანი მონახაზი მაქვს გონებაში. სომოსას, პოლ პოტის, კადაფის, ბოკასას, სტრესნერის, დიუვალიეს, ტიტოს, თემურლენგის, ვლად დრაკულას, მეჰმედ მეორის და სხვა პირსისხლიანი ტირანების ისტორიების შემდეგ ახლა დიდი ინტერესით წავიკითხე აცტეკების მმართველის, მონტესუმა მეორისა და უკანასკნელი უზენაესი ინკის — ატაულპას ცხოვრების შესახებ. ვინ არის ტირანი? სად უნდა ვეძებოთ ტირანიის მეტაფიზიკური და ფსიქოლოგიური საწყისები? ცხადია, ამ საკითხზე ბევრია ნაფიქრი და ნამსჯელი, მაგრამ შევეცდები, რაღაც ახალი რაკურსიდან გავიაზრო იგი. უთუოდ ესაა კაცობრიობის არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა. არ ვჩქარობ; აზრი თავად მომწიფდება ჩემში.

დღეს შესანიშნავი ამინდია. ამიტომაც მთელი ზონა გარეთაა გამოსული. ვსეირნობ და ვსაუბრობ პატიმრების ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე ჯგუფთან ერთად. მხოლოდ ზონაში მიხვდება ადამიანი, თუ რა განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონია აქეთ-იქით სიარულს: დადიხარ მარტო ან ვილაცებთან ერთად; რაღაცას ფიქრობ ან ლაპარაკობ და ეს უკვე ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა: დრო გადის, დრო გადის!

საღამოს ჩემს ჩიტებს (ცოლ-შვილს) და დედაჩემს ველაპარაკე ტელეფონით და ერთბაშად შვება ვიგრძენი. ახლა ყველა „დროებას" ველოდებით. ნამდვილად საჭიროა, კარგად გავიხსენოთ 7 ნოემბერი, ხელახლა შევხედოთ იმ კადრებს, სადაც მთელი ეს სისასტიკე და უბედურებაა ასახული. ხელისუფლებამ მოინდომა ამის მიფუჩეჩება. თითქოს არც არაფერი მომხდარა და ცხოვრება კვლავ მხიარულად გრძელდება წინასაარჩევნო ტაშ-ფანდურში. საზოგადოებამაც თითქოს მიივიწყა ერთი თვის წინანდელი მოვლენები. ეს რაღაც ფოკუ-

სია! მაგრამ მალე ჩვენი მეხსიერება სრულფასოვნად გაიღვიძებს და ხალხიც თავის ვერდიქტს გამოუტანს 7 ნოემბრის ავტორებს.

ორშაბათი

დღეს ბარბარობაა. ჩემი მკაცრი გრაფიკის შესაბამისად, გარიჟრაჟზე სავარჯიშოდ გავედი. ჩვეულებრივ, სტადიონზე ამ დროს ოცამდე კაცი დავრბივართ და მეტ-ნაკლებ ფიზიკურ დატვირთვას ვიღებთ. დილით ჰაერი განსაკუთრებით გემრიელია. საერთოდ, ჩვენი ზონა კარგი ჰაერით, წყლითა და ბუნებრივი გარემოთი გამოირჩევა. ირგვლივ მთებია, ხოლო აღმოსავლეთით დედაქალაქი მოჩანს. დაახლოებით ათის ნახევარზე ჩვენს ტაძარში დაიწყო პარაკლისი, რომელიც შთამბეჭდავი ქადაგების აუდიოჩანაწერის მოსმენით დასრულდა.

საუზმის შემდეგ მოკლე მიმართვის წერას შევუდექი. ესაა მიმართვა „ზნეობრივი ფრონტისადმი", რომელიც „ქართული აკადემიისა" და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს.

კვლავ ვსეირნობ და ვსაუბრობ ხან ერთთან, ხან მეორესთან. ყველა პოლიტიკაზე ფიქრობს და ლაპარაკობს. ყველა 5 იანვრის მოლოდინშია. ადმინისტრაციის ინფორმატორები აქტიურად დაძვრებიან აქეთ-იქით და ცდილობენ, ვითომდა რაღაცები გაიგონ ჩემგან. მე კი მეცინება. განა რა საიდუმლოება შეიძლება მქონდეს?! რას შეიძლება ვმალავდე? რასაც ვფიქრობ, ყველაფერს დაუფარავად და საჯაროდ ვლაპარაკობ პრესაში.

ატმოსფერო დღითი დღე მძიმდება. მუდმივად პროვოკაციებს ველოდები.

სამშაბათი

დილიდან ზონაში პოლიტიკური ემოციები თუხთუხებს. ეს აჟიოტაჟი მოჰყვა ბადრი პატარკაციშვილის განცხადებას მოსახლეობისთვის უზარმაზარი დახმარების განევის თაობაზე. ცხადია, ამ მესიჯმა მკვეთრად შეცვალა წინასაარჩევნო პოლიტიკური ფონი და დიდი რეზონანსი გამოიწვია. მუდმივად მივჩერებივართ საინფორმაციო პროგრამებს; „ქრონიკა", „კურიერი", „მზერა" ერთმანეთს ცვლიან, ღამით კი ტოკ-შოუები გველოდება. ჩვენი ცნობიერება პერმანენტულად იბომბება ინფორმაციით და ირგვლივ ყველა და ყველაფერი პოლიტიზებულია.

დილიდან წვიმს. ეზოში პატიმრები კანტიკუნტად დადიან. ბარაკში ვზივარ და ხელახლა ვკითხულობ ლაო-ძის.

ო, მდუმარეო! ო, არასახიერო!
მარტომყოფია და უმოძრაო.
ყოველგან მიმოიძვრის და უსაზღვროა,
იგი დედაა სამყაროსი.

მე არ ვუწყი სახელი მისი.
გარეშემოვწერ და დაოს ვარქმევ.
უკეთუ დაოს ვარქმევ:
დიადსაც ვარქმევ.

სიდიადე — სიშორეში გაღწევაა.
სიშორეში გაღწევა — უსასრულოში გარდაცვლაა.
უსასრულოში გარდაცვლა — დასაბამში დაბრუნებაა.

აშკარად ვხედავ თანახმიანობას მაისტერ ეკჰარტთან და ჰაიდეგერთან. შეიძლება ამ თემას ერთი ფილოსოფიური კვლევა მივუძღვნა. ყოფიერების ღვთაებრივი მდუმარება, რომელიც თავის დუმილში გვამცნობს ჭეშმარიტებას — ესაა ჩემი ფილოსოფიური მედიტაციების მთავარი საგანი!

ახლა ცოტა ნერვებმოშლილი ვარ. შეთანხმებისამებრ, დღეს ტელეფონით უნდა მივსალმებოდი ქართული საზოგადოების ხალხმრავალ შეკრებას ჭადრაკის სასახლეში. ცხადია, ეს ინფორმაცია ჰქონდათ სათანადო ორგანოებს, რომლებიც საგულდაგულოდ უსმენენ ჩემს ყოველ სატელეფონო საუბარს. ამიტომაც მათ დილიდან გათიშეს ჩვენი ტაქსოფონი — ვითომ კაბელი დაზიანდაო! აი, ასეთ რეჟიმთან გვაქვს საქმე...

ოთხშაბათი

დღეს წმინდა ნიკოლოზის ბრწყინვალე დღესასწაულია. პატიმრები ერთმანეთს ვულოცავთ. დილით პარაკლისი ჩატარდა ჩვენს ტაძარში და რაღაც განსაკუთრებული გრძნობით ვილოცე. „ღმერთისადმი ინტელექტუალური სიყვარული“ — სპინოზას ეს ფრაზა ამომიტივტივდა და ტრიალებს ჩემს გონებაში...

კვლავ ვფიქრობ ჩვენი პენიტენციური სისტემის შესახებ. სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა ქვეყანა ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკად გადააქცია: ოცდაორი ათასი პატიმარი პატარა საქართველოში! ეს ხომ უზარმაზარი ციფრია! პოლიტიკური პატიმრებიც... ერთი წელი და ერთი თვე სადისტურად სრულიად მარტო

ვყავდი გამომწყვდეული თბილისის მე-7 საპყრობილეში. ეს კოლონია, სადაც დაახლოებით ოთხი თვის წინ გადმომიყვანეს, ვითომდაც ოაზისად ითვლება იმასთან შედარებით, რა ვითარებაც დანარჩენ ციხეებსა და კოლონიებშია. მართლა, მე გარკვეულწილად უკეთეს პირობებში ვარ, ვინაიდან ვიმყოფები თხუთმეტკაციან ბარაკში თავისი საპირფარეშოთი, მაგრამ სამასამდე პატიმარი ერთად არის შეყრილი მეორე სართულზე და სამოცდაათი — კიდევ ერთ ბარაკში. ოთხას პატიმარზე არის მხოლოდ ოთხი ტუალეტი და საშხაპე და ერთი პატარა სასადილო, სადაც ოცდაათი კაცი ძლივს ეტევა. არ არსებობს ხანგრძლივი პაემნები, რის გამოც ოჯახები ინგრევა ისედაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მყოფ საქართველოში. ჩვენ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთსაათიანი პაემნის ბედნიერება თვეში ერთხელ ან ორჯერ (პირადად მე ჩემს ცოლ-შვილს ვხვდები თვეში ერთხელ) და ეს შეხვედრა ხდება ერთ გასაცოდავებულ ოთახში, სადაც წესიერად ვერც ვეტევით ხოლმე.

ჩვენი ბარაკი აღჭურვილია მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურით, რათა მუდმივად კონტროლქვეშ ვიყო. ჩემი სატელეფონო საუბრები ისმინება. ინფორმატორები მუდმივად ჩასაფრებული არიან... დიდი სურვილი გამიჩნდა, ხელახლა წავიკითხო ჯორჯ ორუელის „1984“. ნამდვილად არ მეგონა, რომ საბჭოთა პერიოდის შემდეგ ეს წიგნი კვლავ ასეთი აქტუალური გახდებოდა.

სულ ვფიქრობ ჩემს მარიამზე, ირინაზე და საოცრად ვთბები და ვიწმინდები... ეს ჩემი სიწმინდეა, ჩემი უდიდესი სიყვარულია! ამ ფიქრით ვცოცხლობ და ვსულდგმულობ...

ხუთშაბათი

მესამე დღეა, რაც ტაქსოფონი გამორთულია. გაუგებარია, რისი ეშინიათ. ზონაში ლაპარაკობენ, შეიძლება არჩევნებამდე აღარც ჩართონო. დღეს საკმაო სუსხია და შიგადაშიგ თოვს კიდევაც. ამისდა მიუხედავად, გარეთ მაინც ბევრს ვსეირნობ. ერთი საათი ისევ ინგლისურში ვარჯიშს მივუძღვენი. კარგია, რომ ამას მეტ-ნაკლები რეგულარობით ვახერხებ. საერთოდ, ძალიან ძნელია ასეთ ხმაურსა და ხალხმრავლობაში მუშაობა, მაგრამ რას ვიზამ?! ბოლო პერიოდში ჩემი აზრები ერთი მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ ტრიალებენ: როგორია ქრისტიანობის კავშირი თანამედროვე დემოკრატიის გენეზისთან? ხომ ცხადია, რომ სწორედ ადამიანის თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და თანასწორობის იდეები, რომლებიც ქრის-

ტიანული რელიგიის წიაღიდან ამოიზარდნენ, განმსაზღვრელი აღმოჩნდნენ ლიბერალური დემოკრატიის მთელი იდეოლოგიის ფორმირებისათვის. ამ გენეტიკური კავშირის კონცეფციის ერთ-ერთ ავტორებად შეიძლება ჰეგელი, კოჟევი და ფუკუიამა ჩაითვალონ. კარგი იქნება, ხელახლა ჩავუჯდე ჰეგელის „გონის ფენომენოლოგიას" და „იესოს ცხოვრებას". ჩემთვის ნამდვილად ახალი სიცოცხლე შეიძინეს დემოკრატიის გახუნებულმა პრინციპებმა — აი, რა ქნა პატიმრობამ! სწორედ ამ იზოლაციაში, ამ დიდ განსაცდელში, მე მძაფრად გავაცნობიერე თავისუფლების, თანასწორობის, ტოლერანტობის იდეების წარუვალი ღირებულება.

პარასკევი

დღეს კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ნერვები ყველას უკიდურესად დაძაბული გვაქვს. ეს, ალბათ, საერთო სიტუაციის ბრალია. პატარა სისულელეზე უკვე კონფლიქტი იწყება. დენთის კასრივით ვართ. აი, ახლაც, არაფრის გამო ატყდა შეხლა-შემოხლა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მალევე მოგვარდა. მე რომ მკითხო, კიდევ კარგად ვართ. ამიტომაც არ მიკვირს ასეთი გაუგებრობები.

შაბათი

ლოცვის შემდეგ კვლავ ვსეირნობდით და 2005 წლის მარტის ე.წ. „ციხის ბუნტის" შესახებ ვსაუბრობდით. ახლა უკვე თითქმის მთელი სიმართლე ვიცი. ბევრი საინტერესო რამ შევიტყვე. ჩემთვის უკვე აბსოლუტურად ნათელია, თუ რა მასშტაბის სასტიკი, გაუმართლებელი და სისხლიანი ანგარიშსწორება მოაწყო ხელისუფლებამ პატიმრების მიმართ, რასაც ჰქონდა ერთადერთი მიზანი: ძალის დემონსტრირება და საზოგადოების დაშინება!

ავჭალის მე-10 კოლონია, „თავისუფლების" დღიურები. 2007
რადიო „თავისუფლება", თბილისი, 2008

ამ გადადგომას გაქცევა ჰქვია?

ირაკლი ბათიაშვილი გადადგა.

სავარძელი დატოვა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა. ეს არც ისეთი უმნიშვნელო ფაქტია, რომ დუმილით ავუაროთ გვერდი. მით უფრო, როცა კარგად გვახსოვს ბატონი ირაკლის ამ თანამდებობაზე მოსვლა და ძალისხმევა, ეს სამსახური ყოფილიყო დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოსთვის ძლიერი და საიმედო დასაყრდენი.

გამოხდა ხანი და ირაკლი ბათიაშვილი გადადგა. გადადგა მაშინ, როცა საქართველო ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მწარედ დამარცხდა და მაშინ, როცა საქართველომ სიმწრისგან დაიჩოქა.

რა ჰქვია ამას, გაქცევა?

— მე გადავდექი, მაგრამ არ გავქცეულვარ. წავედი საინფორმაციო-სადაზვერვო სტრუქტურიდან და არა ჩემი ქვეყნის სამსახურიდან. ნებისმიერი ხერხით — პოლიტიკური, იარაღით თუ კიდევ სხვა — გავაგრძელებ ბრძოლას საქართველოს ინტერესებისათვის. ჩემს თანამოქალაქეებთან, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად ჩემს ენერგიას მოვახმარ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქვეყნის აღმშენებლობისათვის ხელის შეწყობას. ამას კი, ვფიქრობ, გაქცევა არ უნდა ერქვას.

რატომ გადავდექი?

ჯერ კიდევ სოხუმში, როცა მტერი გააფთრებით გვიტევდა, სახელმწიფოს მეთაურს გულწრფელად ვუთხარი, რომ სოხუმის დაცემის შემთხვევაში, თუ კი ცოცხალი გადავრჩებოდი, თანამდებობაზე ჩემი ყოფნა გაუმართლებლად მიმაჩნდა.

27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. 28-ში კი მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომაზე გადადგომის შესახებ განვაცხადე. თუმცა ამის შემდგომ ვასრულებდი მოვალეობას, ვიდრე ახალი კანდიდატურა შეირჩეოდა. ხოლო, როდესაც სახელმწიფოს მეთაურმა „სნგ"-ში საქართველოს შესვლაზე გადაწყვეტილება მიიღო, საინფორმაციო-

სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებაც გაუმართლებლად ჩავთვალე.

ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია.

— ბატონო ირაკლი, საზოგადოებაში არის მყარად ჩამოყალიბებული აზრი, რომ თქვენს სამსახურს მტრის ბევრი ნაბიჯი გამოეპარა.

— არ არის მართალი. ჩვენს უწყებაში ინახება წესითა და კანონით რეგისტრირებული ქსეროასლები იმ ინფორმაციებისა, რასაც წინასწარ ვფლობდით. მთელი ამ უმძიმესი პერიოდის განმავლობაში სამსახურმა საკმაოდ ტევადი შრომა გასწია სახელმწიფოსათვის. თუმცა არ ვიტყვი, რომ ჩვენი სპეცსამსახურის სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო მუშაობა დამაკმაყოფილებელ და სრულყოფილ ხასიათს ატარებდა. ჯერ კიდევ გრძელი გზა იქნება გასავლელი, რათა მან სახელმწიფოსათვის ძლიერი და დახვეწილი ინსტრუმენტის დონეს მიაღწიოს.

— თქვენ დისიდენტი იყავით. რამდენად იყო თქვენთვის მიზანშეწონილი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის თანამდებობა, რამ მოგხიბლათ?

— როცა შემომთავაზეს უშიშროების ახალ სამსახურს ჩავდგომოდი სათავეში, ეს მოულოდნელიც იყო და, რა თქმა უნდა, მძიმე ტვირთიც, მაგრამ ჩავთვალე, რომ სახელმწიფოებრიობის შექმნის გზაზე დამდგარ ჩემს ქვეყანას ძლიერი სპეცსამსახური სჭირდებოდა და მის შექმნაში უშუალო წვლილის შეტანის შესაძლებლობა მეძლეოდა — ამიტომაც დავთანხმდი.

მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მთავარი დასაყრდენი და ინსტრუმენტი უსაფრთხოებასა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში სპეცსამსახური უნდა იყოს.

ახალი ტიპის სპეცსამსახურმა, რომლის ჩამოყალიბებასაც სხვებთან ერთად ვხელმძღვანელობდი, მთავარია იმუშაოს სწორი ორიენტაციითა და მიმართულებით. სახელდობრ, იგი უნდა მყარად იდგეს ქვეყნის სუვერენიტეტის სადარაჯოზე.

— ამას წინათ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ საქართველოში მის ჩამოსვლამდე თქვენ მასთან იყავით სასაუბროდ მოსკოვში... იმ დროს ჯერ კიდევ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო.

— დიახ, შევხვდი. სხვათა შორის, მე ერთ-ერთი ის კაცი ვიყავი, რომელიც ხმამაღლა და დაუფარავად ამბობდა: საჭიროა საქართველომ

შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი გამოიყენოს, რადგან მჯეროდა, ყველაზე მეტად მის ავტორიტეტს შეეძლო გაეყვანა საქართველო საერთაშორისო დიდ ორბიტაზე.

რაც შეეხება ჩვენს შორის საუბარს, ჩემი მთავარი შეკითხვა ეხებოდა მის პოზიციას, პერსპექტივაში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთმიმართების შესახებ. კერძოდ, ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ პრორუსული ორიენტაცია საქართველოსთვის დამღუპველია.

— ამბობენ, ჩვენი ჩავარდნები იმითაც არის განპირობებული, რომ უშიშროების სამსახურში არაპროფესიონალები მოვიდნენ, ასე ვთქვათ, ეროვნული მოძრაობის ხალხი, წინათ კი ნამდვილ პროფესიონალებს მიჰყავდათ ეს საქმე.

— არც მთლად ასეა საქმე. ჩვენთან მოხდა ძველი, გამოცდილი კადრებისა და ახლების შეზავება. მოვიდნენ ნიჭიერნი, ალღოიანი, პატიოსანი ახალგაზრდები და ვიტყვი: შედარებით ერთადერთი, აწყობილი სისტემა, რაც დღეს საქართველოში არის, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურია.

— ბატონო ირაკლი, ბოლოს და ბოლოს რა იყო აფხაზეთის მარცხი, ღალატი, უმეცრება, ლაჩრობა, თუ არსებული სამხედრო მდგომარეობის ლოგიკური შედეგი?

— ეს მარცხი იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების აშკარა აგრესიის შედეგი, ჩვენი ცუდი ორგანიზებულობაცა და ღალატიც.

— თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად ახსნათ თქვენი უარყოფითი დამოკიდებულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლაზე.

— ძირეულად არასწორად მიმაჩნია. ეს ნიშნავს საქართველოს აშკარად პრორუსულ ორიენტაციას, რაც, როგორც უკვე გითხარით, ეწინააღმდეგება ჩემს პოლიტიკურ მრწამსს.

— სხვა გამოსავალს ხედავთ?

— ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არასწორად მიმაჩნდა. სანამ ეს გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, ასე რადიკალურად — სხვა გამოსავალი თუ არსებობს — არ იდგა საკითხი. ჩემთვის გაუგებარია, როცა ამბობენ, ეს არის ერთადერთი გამოსავალიო.

როცა რუსეთში რეაქციული ძალები პარპაშებდნენ ხასბულატოვისა და რუცკოის ხელმძღვანელობით და შთაბეჭდილება გვექმნებოდა რომ საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ პროცესებს ისინი ხელმძღვანელობდნენ, მაშინ არ მიგვაჩნდა დამოუკიდებელ

სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა ერთადერთ გამოსვლად. ვლაპარაკობდით, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოგვარებულიყო ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც ნორმალურად და გამართლებულად მიმაჩნდა. ახლა, როცა რუსეთში აილაგმა ეს ძალა, რატომღაც აღარ არის სხვა საშველი...

მეორეც, მე მიმაჩნია, რომ საქართველოში სტაბილიზაციის დაწყების წინა პირობა იქნება შიდა კონფლიქტის მოგვარება. ამისათვის კი, ვფიქრობ, არსებობს გარკვეული გამოსავალი.

ჩვენ უნდა მიგველწია, ექსპრეზიდენტის მომხრეებს აეძულებინათ ზვიად გამსახურდია უარი ეთქვა პრეზიდენტობაზე. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში უნდა გადამდგარიყო თვითონ ბატონი ედუარდიც. ეს შექმნიდა წინაპირობას შიდა კონფრონტაციის შენელებისა და შემდგომი მოხსნისათვის. და, ასევე, შეამზადებდა ნიადაგს უახლოეს მომავალში ახალი საყოველთაო არჩევნების ჩატარებისათვის. აი, რა მიმაჩნია საქართველოს სტაბილიზაციის დასაწყისის ერთ-ერთ გზად.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ექს-პრეზიდენტის მომხრეებს.

მოუხმეთ გონებას! და იფიქრეთ იმაზე, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია რათა საქართველოს ავაცილოთ ისეთი მძიმე ხვედრი, როგორიც „სნგ"-ში შესვლაა.

— და ბოლოს, რას აპირებს დღეს უმუშევრად დარჩენილი ირაკლი ბათიაშვილი, პარტიულ თუ სამეცნიერო მუშაობას?

— კარგა ხანია, არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ. რამდენადაც შესაძლებელია, გავყვები სამეცნიერო მუშაობასაც და, როგორც ზემოთ გითხარით, ჩემს თანამოქალაქეებთან, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად ვიბრძოლებ საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ, მისი კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის.

ბატონი ირაკლის პასუხებმა, ალბათ, კიდევ ბევრი კითხვა დაბადა მკითხველებში, ისევე როგორც ჩემში, მაგრამ იმ სამსახურის სპეციფიკა, რომელმსაც იგი ხელმძღვანელობდა, შეიძლება დღეს ყველაფერზე პასუხის გაცემის საშუალებასაც არ აძლევდეს. ალბათ, ოდესმე მოგვეცემა შეკითხვის შესაძლებლობა და გვიპასუხებს. და მაინც, თუ ბატონი ირაკლის მოსაზრებებს კომენტარს არ ვუკეთებ, უპოზიციოდ ნურავინ ჩამთვლის. დღევანდელ სახელმწიფოს მმართველთა თუ პოლიტიკოსთა თითოეული ნაბიჯისა და სიტყვის უმკაცრესი შემფასებელი და განმკიცხავი ხომ ისტორიული ჟამია.

ჩვენი ჟურნალისტების მოვალეობად კი მიმაჩნია: ისტორიას განსასჯელად უკომენტაროდ დავუტოვოთ, თუ რას ფიქრობდნენ ხელისუფალნი და პოლიტიკოსები საქართველოსათვის ყველაზე კრიტიკულ ჟამს.

რუსუდან ლორთქიფანიძე

გაზ. „დრონი"
3 ნოემბერი 1993 წ.

„ჩვენი თანამშრომლობა შეიძლება განვითარდეს მრავალი საერთო მიზნის არსებობის გამო“

1. რა როლს ანიჭებთ პოლიტიკურ კლუბს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში?

2. რა პრინციპებისა და მიზნების გარშემო გესახებათ თქვენი თანამშრომლობა?

3. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ კოალიციური მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება?

4. როგორ უყურებთ პარტიათა ცვლას პოლიტიკურ კლუბში? რამდენადაც ცნობილია, მოქალაქეთა კავშირის გასვლას აზრთა გაყოფა მოჰყვა.

5. როგორ გესახებათ პოლიტიკურ კლუბში სხვა პარტიების შესვლის პერსპექტივები?

ირაკლი ბათიაშვილი:

1. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ პ.კ. ახლადშექმნილი წარმონაქმნია. იგი ჩამოყალიბდა სწორედ როგორც კლუბი და არა ორგანიზაცია. ამასთან ერთად, აქ თავი მოიყარა საკმაოდ საინტერესო შემადგენლობამ, რომელსაც რეალური მუშაობის უნარი გააჩნია. მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: ანალიტიკური საქმიანობა, ეკონომიკური საკითხები, საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის საკითხები, ასევე საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის, ანუ ზოგადად კონსტიტუციური საკითხები და მრავალი სხვა. მაშასადამე, კლუბს გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი.

2. ჩვენი თანამშრომლობა შეიძლება განვითარდეს მრავალი საერთო მიზნის არსებობის გამო. მთავარია, რომ კონსულტაციები არ ატარებენ თეორიულ ხასიათს. კლუბში უკვე მიდის მსჯელობა მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის და დღეისათვის

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების ინგვლივ. ისე კი, ჩვენი უმთავრესი მიზანია რაღაც რეალური ცვლილება, შემობრუნება მოვახდინოთ ქვეყნის ცხოვრებაში. ამისათვის კი სერიოზული საფუძველი ჩაიყარა.

3. ჩემს ადრინდელ საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო გამოსვლებში ნათქვამი მქონდა, რომ ამ ეტაპზე კრიზისიდან გამოსვლის ყველაზე მისაღები ვარიანტი იქნებოდა სერიოზული პოლიტიკური ძალების მხრიდან კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება. პ. კ.-ის ინიციატივით შეკრებილმა პარტიებმა ეს აზრი თანმიმდევრულად განავითარეს. ამისათვის პ. კ.-ში არის საკმარისი რაოდენობით სპეციალისტების და კადრების რესურსები.

4. გარკვეული მიზეზებისა და მოტივების გამო გამოიკვეთა ტენდენცია, რომ პოლიტიკურ კლუბში მონაწილეობას იღებს სამი პარტია: გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ტრადიციონალისტთა კავშირი. ე.ი. ამ ეტაპზე აღნიშნულ სამ პარტიას მეტი საერთო ინტერესი აქვთ, ვიდრე მოქალაქეთა კავშირს. რაც შეეხება ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობას, ნებისმიერი პოლიტიკურ წარმონაქმნში არის ალტერნატიული აზრი და მას პატივი უნდა ვცეთ.

5. ჩვენ სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები გახდნენ პოლიტიკური ჯგუფის წევრები. რაც შეეხება სხვა პარტიებთან თანამშრომლობას, ეს ზემოთ აღნიშნული სამი პოლიტიკური ორგანიზაციის შეთანხმებით უნდა მოხდეს.

გაზ. „ჯორჯიან თაიმსი" №029
1994 წ.

როგორ დაგვაწყებინეს აფხაზეთის ომი

აფხაზეთის კონფლიქტი რომ საქართველოს დასაჩოქებლად და რუსეთზე მისაბმელად იყო გამიზნული, დღეს ამას აღარავინ მალავს — თვით რუსეთიც კი. მაგრამ ახლა ის არის საინტერესო, იცოდა თუ არა ეს საქართველოს ხელისუფლებამ? თუ იცოდა, რისი გაკეთება ან არგაკეთება შეეძლო და, კერძოდ, შეეძლო თუ არა კრემლის ჩანაფიქრი სათავისოდ შეეტრიალებინა, სანამ რუსები აფხაზების შეიარაღებას მოასწრებდნენ, აფხაზეთის მთელი ტერიტორია აეღო და გაეკონტროლებინა, თავიდან აეცილებინა არა მარტო ტერიტორიის დაკარგვა, არამედ აფხაზეთის ქართველობის გენოციდი. ჩვენი აზრით, საქართველოს მაშინ საკმაო სამხედრო უპირატესობა ჰქონდა სეპარატისტებთან შედარებით და რუსეთიც აშკარა ომს ვერ გამოუცხადებდა საქართველოს. და კიდევ ერთი კითხვა — როცა ვლაპარაკობთ არა აფხაზეთის დაბრუნებაზე, არამედ დაკარგულ ტერიტორიებზე ლტოლვილთა დაბრუნებაზე, რომლებსაც იქ ძველებური ხალისით ჟლეტენ, ხომ არ არის ეს იმავე ანტიქართული გეგმის ნაწილი? ამ და სხვა საკითხების თაობაზე ვესაუბრეთ უშიშროების ყოფილ შეფს ირაკლი ბათიაშვილს.

— თავის დროზეც არსებობდა ინფორმაცია და დღევანდელმა რეალობამაც ცხადყო, რომ არძინბა ქართველთა გენოციდისთვის ემზადებოდა. რა მასალები გაგაჩნდათ ამის თაობაზე, სანამ აფხაზეთში ქართული ჯარები შემოვიდოდნენ?

— ჩვენი სამსახურისთვის ცნობილი იყო არძინბას მიზანი, რომელსაც დროებით მიაღწია კიდეც — ქართული მოსახლეობა გამოეყარა აფხაზეთიდან. იმ პერიოდისთვის არძინბას რეალური გეგმების თაობაზე ყველა ინფორმაცია გვქონდა. ვიცოდით, რომ ომისთვის ემზადებოდნენ, იარაღდებოდნენ, მზადდებოდა პროვოკაციები იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ კონფრონტაციის ესკალაციისათვის. უკვე ჩამოდიოდნენ ჩრდილოკავკასიელები. მიმდინარეობდა სეპარატისტთა მრჩევლების კონსულტაციები რუსეთის მაღალ სამხედრო-პოლიტიკურ ეშელონებთან. საბოლოოდ ომის დაწყებას ვარაუდობდნენ.

— ესე იგი აფხაზები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი?

— არა, მძიმე შეიარაღება მათ თავდაპირველად არ ჰქონდათ და ომის დასაწყისში აფხაზური გვარდია საკმაოდ სუსტი, მცირერიცხო-

ვანი ძალა იყო. ჩვენი გვარდია მათთან შედარებით საკმაოდ კარგად იყო შეიარაღებული. კომუნიკაციების გაკონტროლების მიზნით აფხაზეთში შესვლამდე, საქართველოს ახალციხეში დისლოცირებული რუსეთის დივიზიის მთელი შეიარაღება გადაეცა. აფხაზებს იარაღი მას მერე აღმოაჩნდათ, როცა გუდაუთაში რუსებთან ერთად რუსეთის ნაწილზე თავდასხმის ინსცენირება მოაწყვეს. გაგრის აღების შემდეგ მათი შეიარაღება ყოველდღე იზრდებოდა, რუსეთი მათ გამალებით აიარაღებდა.

— ცდილობდა თუ არა არძინბა ისეთი პროვოკაციები მოეწყო, რომ სისხლისღვრის დაწყება ქართველებს დაბრალებოდა?

— არძინბა ისეთ ფიგურას არ წარმოადგენს, რომ მას თავად რაიმე მოეწყო.

— გასაგებია ის, რომ არძინბას უკან სერიოზული ძალები იდგნენ, ისინი თუ გეგმავდნენ ასეთ რამეს?

— გეგმავდნენ და განახორციელეს კიდეც.

— თქვენმა სამსახურმა იცოდა ყოველივე?

— რა თქმა უნდა. რუსებმა საკმაოდ ტექნიკურად გააკეთეს ამის პროვოცირება. მაშინ ამიერკავკასიის მთავარსარდლის მოადგილე იყო სუფიან ბეპაევი, რომელიც საქართველოს „მეგობრად" ითვლებოდა. ამ კაცმა ლომის წვლილი შეიტანა გამსახურდიას ჩამოგდებაში. მას აფხაზეთის ომის პროვოცირებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის. ამის თაობაზე იგი გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად მუშაობდა. მათ ჩვენ ჯარს ახალციხის დივიზიის იარაღი გადასცეს, აფხაზეთში შესვლის პროვოცირებისათვის ბეპაევი უშუალოდ აქეზებდა თენგიზ კიტოვანს. პარალელურად ეს ძალები სოხუმში არძინბასთან მუშაობდნენ, რომ მისი მხრიდან კონფრონტაცია გამოეწვიათ. პირველი ასეთი ნაბიჯი იყო მაშინდელი აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გივი ლომინაძის კაბინეტში შევარდნა და ფიზიკური ანგარიშსწორება.

— ამბობენ, თითქოს ამ ფაქტის შემდეგ არძინბა კითხულობდა, ნუთუ ქართველები არ ისვრიანო?

— დიახ, იგი სწორედ ამას ელოდა.

— თქვენი აზრით, თენგიზ კიტოვანი შეგნებულად წავიდა ამ პროვოკაციაზე?

— ყველაფრის კიტოვანზე გადაბრალება არ შეიძლება. იგი აფხაზეთში შესვლის აქტიური მომხრეც იყო და ამავე დროს შეგულიანებულიც.

— იგი შეგულიანებული იყო მხოლოდ ბეპაევის მხრიდან თუ საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც?

— კიტოვანი დარწმუნებული იყო რუსეთის მხარდაჭერაში. ფაქტიურად, გარკვეულ ეტაპზე ასეც იყო. ამასთან ერთად აფხაზები არავითარ ძალას არ წარმოადგენდნენ. საერთოდაც, ომი არავის არ უნდოდა, ჩვენი მიზანი ტერიტორიის გაკონტროლება იყო. აფხაზეთი ხომ ტერორისტების პლაცდარმად იქცა.

— ერთია აუცილებლობა და სულ სხვა რამაა პროვოკაციაზე წამოგება...

— როგორც აღვნიშნე, თენგიზ კიტოვანი შესვლის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ეს საკითხი იმ სპეციალურ სხდომაზე გადაწყდა, რომელსაც თავად სახელმწიფოს მეთაური ხელმძღვანელობდა. ერთადერთი წინააღმდეგი უშიშროების სამსახური იყო. თავად, ბატონმა ავთანდილ იოსელიანმა დამარწმუნა, რომ ასეთი ნაბიჯი ყოვლად დაუშვებელი იყო, რომ საბოლოოდ აფხაზებს რუსებისგან დიდი მხარდაჭერა ექნებოდათ.

— რატომ არ ირწმუნეს თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია?

— ომი 14 აგვისტოს დაიწყო, ჩვენი სამსახური კი მაისში შეიქმნა. სრულ ინფორმაციას ვფლობდით-მეთქი, ამის თქმა არ მინდა, მაგრამ აფხაზეთიდან სერიოზული მასალები გვქონდა. ომის ბოლოსთვის ოპერატიული მონაცემები იმდენად დავხვეწეთ, რომ ყველა სერიოზული შემოტევის თაობაზე ვიცოდით.

— რადგან დასაწყისში სადაზვერვო სამსახურის ინფორმაცია საერთოდ უგულებელყოფილი იყო, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ქართულ მხარეს არსებობდა ვილაც, რომელმაც უკვე ცნობილ მოვლენებამდე შეგნებულად მიგვიყვანა?

— არსებობს მოსაზრება თითქოს სახელმწიფოს მეთაურმა ყველაფერი შეგნებულად გააკეთა. მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა მეთაურის პოლიტიკისადმი, აღნიშნული განცხადება არასერიოზულად მიმაჩნია. სახელმწიფოს მეთაურის დამოკიდებულებას აფხაზეთის მიმართ განაპირობებდა ის აუტანელი სიტუაცია, რაც ამ ტერიტორიაზე არსებობდა. მართალია, თენგიზ კიტოვანისა და ედუარდ შევარდნაძის შეფასებები ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა იყო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მეთაურსაც რუსეთის მხრიდან გარკვეული მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ვარაუდობდა, რომ რუსეთი აქტიურ კონფრონტაციაზე არ წავიდოდა.

— არანაკლებ დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ჯარების შეყვანის შემდეგ მათი შეჩერება. პრინციპში ამან დიდი როლი

ითამაშა ომის შედეგზე. ჩვენ ერთ ადგილზე ვიდექით, აფხაზები კი იარაღდებოდნენ...

— ეს ცოტა საორჭოფო საკითხია. ყველა წესის მიხედვით, წინ უნდა წავსულიყავით, თავადაც ამის მოსურნე ვიყავი. მოხდა რუსეთის ხელისუფლებიდან პირდაპირი ზეწოლა. რამდენადაც ვიცი, სახელმწიფოს მეთაური გააფრთხილეს, რომ გუდაუთაზე იერიშის დაწყებას სერიოზული შეტაკება მოყვებოდა. ალბათ, მეთაური ფიქრობდა, რომ არ ღირდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა — მაშინ, როცა სოხუმს, გაგრას ფლობდი და თითქმის აფხაზეთის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდი. ასეთი იყო ლოგიკა. თუ გუდაუთაზე წავიდოდით, იქ უკვე იდგა რუსეთის საჰაერო-სადესანტო პოლკი, გამორიცხული არაა, რომ ეს პოლკი ჩაებმებოდა ბრძოლაში. შეცდომა ჯარების შეყვანა იყო, თორემ ყველა შემდეგი ნაბიჯი უკვე საორჭოფო და სათუო იყო. მაგალითად ავიღოთ ორი ივლისის ხელშეკრულება, სწორი იყო თუ არა? ტექნიკა გამოვიყვანეთ, ჯარი დავშალეთ. ამან საერთოდ დაგვლუპა. სანამ უშუალოდ ხელშეკრულება გაფორმდებოდა, ყოველწუთს ველოდით სოხუმზე თავდასხმას, თანაც ტყვია-წამალი უკვე გვითავდებოდა. ერთი-ორი თვე შეგვეძლო გმირობის ხარჯზე გაგვეძლო, მერე...

— კიდევ ერთხელ დავაკონკრეტოთ: იმ შეიარაღებით, რომელიც ომის საწყისს ეტაპზე გვქონდა შეგვეძლო ომის მოგება თუ არა?

— მოგებულიც გვქონდა. ომი, თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ფაქტიურად, საკმაოდ მოგვიანებით, სოხუმის დაბომბვებით დაიწყო. სამწუხაროდ, ჯარი საკმაოდ არაორგანიზებული გვყავდა.

— ჯარი, ალბათ, პირობითი ცნებაა, რამდენად გამართლებული იყო მოუმზადებელი ხალხის იქ შეყვანა?

— მათი შეყვანა, თუნდაც კონტროლის მიზნითაც, გაუმართლებელი იყო. ეს იყო უფრო ფორმირება — საძმოების კრებული. მათ არ ჰქონდათ გეგმა, რუკა, სანგარსაც კი ვერ თხრიდნენ. თუმცა, ომის შუალედ ეტაპზე ჯარისთვის დამახასიათებელი რაღაც ელემენტები გაჩნდა ჩვენს შენაერთებში, ამუშავდა შტაბი.

— ეს როდის მოხდა, თენგიზ კიტოვანის თუ გია ყარყარაშვილის მინისტრობის დროს?

— გია ყარყარაშვილის დროს.

— რატომ მოხდა ისე, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ გალი და ოჩამცირეც ჩაბარდა?

— სოხუმის დაცემის შემდეგ უეჭველი იყო, რომ გალი და ოჩამჩირეც აფხაზებს დარჩენოდათ. სოხუმიდან, მის დაცემამდე

ერთი დღით ადრე, ჯარი თავისი ნებით გავიდა ქალაქიდან, თან ანარქიული პროცესი დაიწყო, პანიკამ მოიცვა ქალაქი. ჯერ კიდევ სოხუმში ვიყავით, რომ ოჩამჩირეში და გალში ექს-პრეზიდენტის ხელისუფლება ვრცელდებოდა. ბევრმა პოზიციაც შეიცვალა. აქ მარტო ლოთი ქობალიას არ ვგულისხმობ, ეს სამთავრობო ჯარების ზოგიერთ ხელმძღვანელსაც ეხება. რუსებმა ჭკვიანური, გაორებული სცენარი განახორციელეს. ოჩამჩირეში ოთხი ათასი კაცი იყო. ისინი კოდორზე რომ გადმოსულიყვნენ, საეჭვოა, რომ სოხუმი დაცემულიყო. პირიქით, საკმაო ტექნიკა გვქონდა და, რაც მთავარია, დანაღმული ფრონტის ხაზი აღარ არსებობდა. ამ ძალების გადმოუსვლელობის ფაქტს ახლა იძიებენ.

— აფხაზეთის დაკარგვა რუსეთის აქტიური დახმარებით მოხდა, რამდენად მისაღებია ისევ მისი შემწეობით მოხდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

— თავდაპირველად მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ყველა მოხარული იქნება, თუ ასეთი დონის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდება. მაგრამ ესეც რომ არა, თვით სამშვიდობო პროცესს, რაგინდ უშედეგოც არ უნდა იყოს, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის. ჯერ ერთი, მან აჩვენა, რომ ქართული მხარე კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით დარეგულირების მომხრეა, მეორეც — სამშვიდობო პროცესში აქტიურად არიან ჩაბმული საერთაშორისო ინსტიტუტები და ამ გზით პრობლემა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების არეში მოექცა. საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა თავად დაინახეს სიმართლე და სიცრუე. რა თქმა უნდა, საქართველოში არსებობდა ილუზია, რომ მოლაპარაკება შედეგიანი იქნებოდა, დღესაც კი არსებობს მყიფე იმედები. გარკვეული წრეების იმედი რუსეთის სამშვიდობო ძალებზე იყო დამყარებული, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რუსეთის სამშვიდობო ფუნქცია ლტოლვილების შეყვანასა და მათი უსაფრთხოების დაცვაში სულაც არ მდგომარეობდა. მათ ფაქტობრივად, საზღვარი გაგვივლეს ენგურზე და იცავენ ეგრეთ წოდებული აფხაზეთის სეპარატისტული სახელმწიფოს სუვერენიტეტს. ჩვენმა სახელმწიფომ ჯერ თვითონ ირწმუნა და შემდეგ ხალხიც დაარწმუნა, თითქოს აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნებით იქ ჩვენი იურისდიქცია აღსდგებოდა.

— სახელმწიფომ ირწმუნა თუ გარკვეული მიზეზების გამო შეგნებულად გააკეთა?

— ალბათ, შეგნებულად გააკეთა. დღეს „თავს იმტვრევენ“ ლტოლვილების დაბრუნების საკითხის ირგვლივ. მაშინ, როცა ეს ფორმულა ძირშივე ყალბია. ანალოგიური პრეცედენტი არც გამიგია — დევნილებს აბრუნებდე თავის მიწაწყალზე, რომელიც მტრულ ძალებს აქვს ოკუპირებული და მათი სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს. დავუშვათ, დავაბრუნეთ ლტოლვილები. სეპარატისტულ ხელისუფლებას როცა კი რამე არ მოეწონება, მათ მძევლებივით მოექცევა, ეს მშვენიერი კოზირი იქნება ჩვენს დასაშინებლად. აფხაზეთში ისეთი ვითარებაა და ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი რეალური გზა — შეიარაღებული ბრძოლაა.

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, ამ ეტაპზე ჩვენი იარაღით შესვლა აფხაზეთში?

— სახელმწიფო აქტიურად უნდა ემზადებოდეს შეიარაღებული ძალების ფორმირებისთვის და აღჭურვისათვის, რომ ჩვენთვის ხელსაყრელ მომენტში მზად ვიყოთ აფხაზეთში მათ შესაყვანად. ამ ძალებში ვგულისხმობ თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურის ძალებს.

— ასეთი ხელსაყრელი მომენტი უკვე დავკარგეთ. ჩვენ სასარგებლოდ არ გამოვიყენეთ ჩეჩნეთში დაწყებული საომარი მოქმედებები...

— დიახ. ყველამ კარგად ვიცით, რომ აფხაზეთის ბედი გადაწყვიტა ორმა ძალამ: რუსეთმა და შამილ ბასაევის ცნობილმა აფხაზურმა ბატალიონმა. თუკი აფხაზეთში საომარი მოქმედებები განახლდება ჩეჩნებს აფხაზებისთვის აღარ ეცლებათ. რუსეთისთვის ორმაგ ფრონტზე ბრძოლა ხელსაყრელი არაა. არსებობს სხვა ფაქტორიც — რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეიცვალა. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ჩვენი მეგობარია, მით უმეტეს, რომ თავისი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენს მიმართ დღესაც მიმართავს პროვოკაციებს. მისი სურვილია, რომ მომავალში საქართველო უფრო ერთგულ მოკავშირედ გაიხადოს.

— მარტო რუსეთის კეთილგანწყობის იმედი, ბუნებრივია, არ უნდა გვქონდეს. აფხაზეთის საკითხის მოწესრიგების სამაგიეროდ, ჩვენ, ალბათ რაღაცის დათმობაც მოგვიწევს. ხომ არ შეიძლება, რომ აფხაზეთის დაბრუნების მცდელობას მას საქართველოს სუვერენობის ნაწილი შეწიროს?

— აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში არ შეიძლება რუსეთის ფაქტორის იგნორირება. თუ რუსეთი ჩვენდამი მტრულად გან-

წყობილი ძალა იქნება, ამ ეტაპზე სამხედრო გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არარეალურია. თუკი გადავწყვეტთ სამხედრო მოქმედების დაწყებას, რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზების გარეშე ამის გაკეთება წარმოუდგენელია. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ეს უკვე დამოკიდებულია ქვეყნის ხელმძღვანელობაზე. თუ რამდენად შეძლებენ თავიანთი უფლებებისა და პრეტენზიების დაცვას. სხვათა შორის, პრაქტიკამ გვიჩვენა, რუსეთს რაც უფრო არავაუკაცურად დაელაპარაკები, უფრო მეტს წააგებ.

ცხადია, მოგვიწევს რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინება და გარკვეულ დათმობაზე წასვლა, მაგრამ ამ დამოკიდებულებაში უპრინციპობა არ უნდა გამოვიჩინოთ — ეს საზიანოა.

— ნავთობსადენის საკუთარ ტერიტორიაზე გაყვანა, როგორც ჩვენ, ასევე რუსეთის ინტერესებში შედის. არსებობს მოსაზრება, რომ თუ ჩვენ უარს ვიტყვით სადენის გაყვანაზე, რუსეთი დაგვითმობს აფხაზეთს...

— გავრცელებულია აზრი, რომ რუსეთი ჩვენ ამგვარი ალტერნატივის წინაშე გვაყენებს. თუ დავთანხმდით ჩვენს ტერიტორიაზე ნავთობსადენის გავლას, რაშიც დასავლეთიცაა დაინტერესებული, ასეთ შემთხვევაში რუსეთი აფხაზეთის დაბრუნების საქმეში ხელს არ შეგვიწყობს. ეს პერსპექტივა კარგა ხნით გადაიდება.

— როგორ, ეს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი არ იქნება?

— ამ ეტაპზე ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ. თუ ეკონომიკურად მოვმძლავრდით, შესაძლებელია პოლიტიკურ-ეკონომიკური ბერკეტებით, სამხედრო ძალის გამოუყენებლადაც შევძლოთ დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება.

ნავთობსადენის ბედის გადაწყვეტა, ვიმეორებ, რთული საკითხია. მართალია, იგი ჩვენი მომავლის გარანტია, სამაგიეროდ, აფხაზეთის პრობლემის სამომავლოდ გადადებაც სახიფათოა. რაც დრო გადის უფრო რთულდება მისი დაბრუნების საკითხი. ამავე დროს, დღეს თუ დევნილი მოსახლეობა კომპაქტურ მდგომარეობაშია, ხვალ ეს ხალხი შეიძლება გაიფანტოს.

როგორმე უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი ალტერნატივის წინაშე არ დავდგეთ.

— გარკვეული წრეები სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს, სწორედ ნავთობსადენის საკითხს უკავშირებენ, რას იტყვით ამის თაობაზე?

— რა თქმა უნდა, ნავთობსადენის საკითხი მიჯაჭვულია ტერორისტულ აქტთან, რომელიც თურქეთის პრემიერის ჩამოსვლის წინ მოხდა, თურქეთი აქტიურად მუშაობს კავკასიაში და შუა აზიაში რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, სპეცსამსახურის ყოფილი შეფი ვარ, ამიტომ, სანამ გამოძიება რაიმე დასკვნებს არ გამოიტანს, დილეტანტურ დონეზე არ ვილაპარაკებ. მაგრამ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც არსებობს, შემიძლია ზოგადი მოდელი მოვხაზო, თუ რა მოხდებოდა სახელმწიფოს მეთაურის ლიკვიდაციის შემდეგ. ვითომ დესტაბილიზაციის აღკვეთის მიზნით, შეიქმნებოდა კომიტეტი, რომელშიც შევიდოდნენ გარკვეული თანამდებობის პირები და პოლიტიკური მოღვაწეები. გამოაცხადებდნენ საგანგებო მდგომარეობას, ფორმალურად იარსებებდა პარლამენტიც. ეს ძალები არც კონსტიტუციას გააუქმებდნენ, მას ფარად გამოიყენებდნენ.

— უშიშროების შეფის თანამდებობაზე მუშაობისას ექს-პრეზიდენტის მომხრეთა გარდა თუ იყო ძალები, რომლებიც მეთაურს უპირისპირდებოდნენ.

— ბევრნი იყვნენ. ძირითადად ექსპრეზიდენტის მომხრენი. როცა ბრძოლა პოლიტიკური ხერხებით მიმდინარეობს, ეს უშიშროების საქმე არაა, მაგრამ თუ ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ, აქ უკვე უშიშროება ვალდებულია იმოქმედოს. სხვათა შორის, იყო სხვა ძალაც. აფხაზეთის ომმაც ამ საქმეში ლაკმუსის ფუნქცია შეასრულა.

— ეს ძალები დღეს და გუშინ არ მოსულან საქართველოში. სავარაუდოა, ზოგი მათგანი ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამდეც არსებობდა, ნაწილი კი მას ჩამოჰყვა და გარკვეულ კონტროლსაც კი უწევდნენ მეთაურის მოქმედებას...

— დღეს ამ თემაზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ლალი შალვაშვილი

გაზ. „დრონი“ 8 სექტემბერი, 1995 წ.

„ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი!“

საქართველოში ტერორიზმი ბობოქრობს, აშკარა, დაუფარავი, შემზარავი. იგი რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა — ქართველმა ტერორისტებმა მოსკოვშიც „იმარჯვეს“... ელვის სისწრაფით ცვლის ერთმანეთს მკვლელობა გაურკვეველ ვითარებაში თუ აშკარა ტერორით; მკვლელობა გაურკვეველი საბაბით თუ აშკარა პოლიტიკური სარჩულით; მკვლელობა შეუმჩნეველი პროფესიის, მრწამსის, „უჩინო“ ადამიანების თუ აშკარად აღიარებული, საქვეყნოდ ცნობილი ფიგურებისა... უკვე მომხდარი ფაქტის გაანალიზებამდე (აღარაფერს ვამბობთ დანაშაულის გახსნამდე) ახალი ტრაგედია გვიძრავს სულებს, ახალი მკვლელობა ნამიერად გვავიწყებს წინას: გია გულუა, ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე, მიხეილ ქურდაძე, გიორგი ჭანტურია, პაატა დათუაშვილი... რა ხდება, საით მივექანებით, რისთვის ხდება ყოველივე ეს?! უკვე გვებადება კითხვა — ვინ იქნება შემდეგი?

...მოსკოვში გიორგი ყარყარაშვილზე თავდასხმის შემდეგ მავანთა მიერ საინფორმაციო საშუალებებითაც კი გახდა ცნობილი მორიგი ტერორისტული აქტის შესაძლო მსხვერპლი — ირაკლი ბათიაშვილი. რაოდენ ძნელი მოსასმენიც არ უნდა იყოს ეს, პირველ რიგში, ბატონი ირაკლისათვის და რაღა თქმა უნდა, ჩვენთვისაც, მაინც შევძელით ტრაგიკული გაგვეკომიკურებინა (ქართველებს ხომ ამის შესანიშნავი უნარი გვაქვს) და ტერორისტების თავდასხმამდე ბატონ ირაკლის ცნობილი ქართული კინოკომედიის „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილის“ გმირებივით ვწვეოდით...

— დაინტერესებულ პირებს მინდა ვაუწყო, რომ „ტერორისტების შესაძლო მორიგი მსხვერპლი“ (ღმერთმა დაგვიფაროს!) სულაც არა ჰგავს მოსალოდნელი საფრთხით შეშფოთებულ ცხონებულ იპოლიტეს; არც ტელეფონის ყურმილს ემალება და სახლის კარებსაც თამამად, ყოველგვარი გამოკითხვის გარეშე აღებს... ეროვნული მოძრაობიდან მოსულს შიშის სინდრომიც იმთავითვე დაძლეული აქვს და ისიც შესანიშნავად იცის, რომ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“... რაკი ბატონი ირაკლიც მშვენიერ ხასიათზე დაგვხვდა, შემთხვევით ვისარგებლეთ და სიტუაციის შესაბამისად რამდენიმე „ტრაგიკომიკური შეკითხვა“ დავუსვით:

— ბატონო ირაკლი, თქვენზე ამბობენ, რომ მეტად მნიშვნელოვან, მავანთათვის ფრიად საშიშ ინფორმაციას ფლობთ. სწორედ ამიტომაც გაიელვა თქვენმა გვარმა „ვინ იქნება შემდეგის“ საპასუხო არასასურველ ვარიანტებს შორის. მინდა მოწიწებით

შეგახსენოთ ერთ-ერთი საზღვარგარეთული დეტექტივის გმირი, ასევე „საშიში საიდუმლოს“ მფლობელი ქალი, რომელმაც დაუძინებელი მკვლელები საკუთარი სიცოცხლის დამცველებად აქცია: დაწერა ანდერძი, რომლის მიხედვით საგულდაგულოდ ჩაკეტილი „საშიში საიდუმლო“ სწორედ ქალის სიკვდილის შემდეგ გახდებოდა ცნობილი... ან იქნებ დროზე მოიშოროთ, გასცეთ, ცნობილი გახადოთ იგი, რადგან თქვენს განადგურებას (გარდა შურისძიებისა!) აზრი აღარ ჰქონდეს. ხომ არ გიფიქრიათ რაიმე მსგავსზე ან რას გრძნობთ საერთოდ?

(იცინის)

— სიმართლე გითხრათ, ამ ამბის გაგების შემდეგ არავითარი განსაკუთრებული გრძნობა არ გამჩენია, არც ვფიქრობ მაგაზე, საერთოდ... რაც შეეხება „საშიშ საიდუმლოს“, რაც უფრო „საშიშ საიდუმლოს“ ფლობს კაცი, მით უფრო მეტი გარანტია იგი მისი სიცოცხლის დასაცავად. ამის უამრავი მეთოდი არსებობს, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს... მე უფრო სხვა რამე მაფიქრებს და მზარავს... საქართველოში მომრავლებული ტერორისტული აქტები უკვე ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა აშფოთებდეს და პროტესტისათვის განაწყობდეს. ეს ფაქტიურად უკვე არის გეგმაზომიერი პროცესი, ტალღა, მომართული მანქანა, რომელსაც რაღაც რეალური ძალა თუ არ დაუპირისპირდა, ბუნებრივია, აღარ გაჩერდება, პოლიტიკური ტერორი გაგრძელდება. წინასწარ თქმა იმისა, ვინ იქნება შემდეგი, ძნელია; ისევე როგორც გამოძიების გარეშე შეუძლებელია დაასახელო ტერორისტული აქტების ჩამდენი კონკრეტული პიროვნებები. ერთი რამ ცხადია: საქართველოში თანმიმდევრულ პოლიტიკურ ტერორს სახელმწიფოებრივი მექანიზმი ახორციელებს იმ პირების მიმართ, რომლებშიც ისინი გარკვეულ საფრთხეს ხედავენ. სწორედ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ანტიეროვნული პოლიტიკური კურსისა და ანტირეფორმისტული პოლიტიკური ელიტის მქონე სახელმწიფოსათვის ბოლო დროს უკვე რეალურ, მზარდ ძალად მოვლენილი გიორგი ჭანტურია, რომელიც რეალური ბრძოლისათვის ემზადებოდა, გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა მაფიასთან დამოკიდებულებაში, მისი კურსი იყო რეფორმისტულიც, პროგრესულიც და ეროვნულ-დემოკრატიულიც. ასევე შეიძლება ითქვას გიორგი ყარყარაშვილზე, რომელსაც თავისი სერიოზული მომავალი უდაოდ აქვს და შეიძლება ხვალ იგი გარკვეულ საფრთხედ იქცეს. საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს მიმდინარეობს ბრძოლა მხოლოდ და

მხოლოდ ხელისუფლების განმტკიცებისათვის. „ძლიერნი ამა ქვეყნისა“, რომელთაც ხელში უჭირავთ სახელმწიფო, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხვალ ასპარეზიდან წასვლამ არ მოუწიოთ. ცდილობენ არ შეიქმნას რაღაც ალტერნატივა, რეალური ძალა, რომელიც მათ შეცვლის. ყველა იმ პირს, რომელიც რაღაცნაირად საფუძველს ჩაუყრის, ხელს შეუწყობს ასეთ ალტერნატივას, თუ საზოგადოება ფხიზლად არ იქნება, ფიზიკურად გაანადგურებენ, ასპარეზიდან გარიყავენ, პროვოკაციას მოუწყობენ, გადაიბირებენ, შეაშინებენ... სწორედ ეს არის პოლიტიკური ტერორის მოტივაცია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება და გარკვეულწილად პოლიტიკოსებიც პარალიზებულნი ვართ, მაინც უნდა ვიპოვოთ ძალა, როგორმე გავერთიანდეთ, ურთიერთკომპრომისებზე წავიდეთ, რაღაც რეალური ნაბიჯი გადავდგათ ამ საშინელი პროცესის შესაჩერებლად.

— საინტერესოა, რას აკეთებს დღეს ეროვნული მოძრაობიდან მოსული და საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობიდან წამოსული ირაკლი ბათიაშვილი?

— ვარ საკმაოდ საინტერესო და სერიოზული პოლიტიკური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი. ჩვენი კლუბი არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, სადაც გაერთიანებული ვართ საკმაოდ უნარიანი და საქმიანი ადამიანები. ჩვენი მიზანი იმთავითვე იყო ჩამოგვეყალიბებინა რეალური ალტერნატივა, შესაბამისად, მომავალში ხელისუფლების ინტერესების გამომხატველი. დღეს ქართველი საზოგადოება საკმაოდ მტკივნეულად განიცდის, ნეგატიურად აღიქვამს არსებულ მდგომარეობას, ხელისუფლებას, ამავე დროს, აქვს ვაკუუმის განცდა — ვინ, ან რა თუ არა ისინი... ვინ ან რა! ეს ვაკუუმი რეალურადაც არსებობს. დარწმუნებული ვარ, რომ ხარისხიანი პოლიტიკური რესურსები გვაქვს. საჭიროა მათი მობილიზება, თავის მოყრა, კონცენტრირება. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ეროვნულ-დემოკრატებთან, ტრადიციონალისტებთან, რესპუბლიკელებთან. გვაქვს კონსულტაციები ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე. ჩვენი მიზანია მოსახლეობას შევუქმნათ რაღაც ორიენტირი, დასაყრდენი რეალური ძალა, რომელმაც მომავალში გარკვეულწილად სერიოზული ცვლილებები უნდა შეიტანოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ყოველივე ეს საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა ყველაფერი ჩვენს სურვილზე და მონდომებაზეა დამოკიდებული.

— არჩევნები ალტერნატივის გარეშე არ უნდა არსებობდეს. თქვენი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ...

— ერთადერთი რეალური გზა, საშუალება საქართველოში გამეფებული მძიმე, ბნელი ცხოვრების ძირეული შეცვლისა, არჩევნებია. მთავარია, საღი პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოში არსებობს, რეალურ ალტერნატივად ჩამოყალიბდეს. მოსახლეობას საშუალება უნდა მივცეთ დავანახოთ და არჩევანი გავაკეთებინოთ ორ ალტერნატივას შორის: ერთის მხრივ კომუნისტურ-ბანდიტური, წითლებისა და შავების ალიანსი და მეორე მხრივ პროგრესული, რეფორმისტული, თავისი არსით მართლაც ეროვნული ინტერესების გამომხატველი ძალა. სწორედ ეს სიტუაცია უნდა შევუქმნათ მოსახლეობას არჩევნებამდე. მთავარია სახელმწიფოს სათავეში მოვიდეს ნორმალური, ჯანსაღი ძალა. და არა მავნებლები, როგორც დღეს. ამასთან, თუ დღევანდელმა მთავრობამ იგრძნო, რომ არჩევნები მისთვის სახიფათოა, შეიძლება იგი ჩაშალოს.

პირადად ჩემთვის თვითმიზანი არ არის არჩევნებში მონაწილეობა ან დეპუტატობა. თუმცა მინდა ასპარეზზე გამოვიდეს საღი პოლიტიკური ძალა. ამ ძალის ფორმირებაში და მერე მასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობას სიამოვნებით მივიღებ.

— თქვენ იმ „საშიშ საიდუმლოზე", საკმაოდ საშიში აზრები და სურვილები გამოთქვით. ახლა გასაგებია რატომაც აღმოჩნდით „იმ სიაში". რისი იმედი გაქვთ?

— არ უნდა გავჩერდეთ და დავითრგუნოთ. უნდა გავერთიანდეთ, გავძლიერდეთ. რაც მეტ ძალას იკრებ, ამით მოწინააღმდეგის ბანაკში შიშს დასთეს. რაც უფრო პასიურად ვიქნებით, მით მეტს გაგვანადგურებენ. ჩვენს მონდომებასა და ენთუზიაზმზეა დამოკიდებული საღი პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბება. დღეს საქართველოში არის საკმაოდ სერიოზული ეროვნული, ხარისხიანი, პერსპექტიული პოლიტიკური ძალები. მხედველობაში მაქვს ეროვნულ-დემოკრატები, რესპუბლიკელები, ტრადიციონალისტები. არის საიმედო ნაკადი ახალგაზრდობიდან, საზოგადოებრიობიდან. თუ ამ სერიოზული, საიმედო ძალების ერთ მთლიანობაში კონცენტრაცია მოხდა, დარწმუნებული ვარ, გამარჯვება აუცილებლად იქნება. ქართველებს უნდა გვეყოს შეგნება, საღად შევხედოთ დღევანდელ ვითარებას. ვიაზროვნოთ, ვიფიქროთ, ვითანამშრომლოთ... საერთო მტერსა და ხიფათზე საერთო ძალისხმევით გავიმარჯვოთ.

* * *

...მაინც ვინ იქნება შემდეგი?! იქნება აღარავინ, იქნებ კმარა, იქნებ მოხვიდეთ გონს, ბატონებო!

... ილიაც მოჰკლეს, საქართველო გადარჩა!

შვილიშვილები საფლავებიდან ამოგთხრიან, ქონდრისკაცებო!

P.S. ბოლოს კი ვისაც ჯერ არს (წინასწარ აღკვეთოს ან შემდეგ გამოიძიოს ტერორისტული მკვლელობები) უმორჩილესად ვთხოვთ: იქნებ როგორმე შეგვატყობინოს შემდეგი გვარები „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილის" სიიდან... ვნახოთ, იქნებ არც ისე „საშიშნი" არიან საქართველოს მომავლისათვის?!

ესაუბრა **ნინო ყავლაშვილი**

გაზ. „ბიზნეს-კურიერი" №3 (59)
10-15 თებერვალი, 1995 წ.

ეს არ იყო საამაყო ომი...

აფხაზეთის საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და უმთავრესი პოზიცია დაიკავა. მიზეზი სეპარატისტთა მიერ იქ დაგეგმილი მოსალოდნელი არჩევნებია;

გვესაუბრება საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილი უფროსი, ამჟამად პარლამენტის წევრი, ბატონი ირაკლი ბათიაშვილი.

— ბატონო ირაკლი, დღევანდელი გადმოსახედიდან რამდენად მართებული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების შესვლა აფხაზეთში; სარკინიგზო მაგისტრალების დაცვისა თუ სხვა მოტივით?

— ამ კითხვაზე არაერთხელ გამიცია პასუხი და სიახლეს ვერაფერს ვერ გეტყვით. მე მეჩვენება, რომ სახელმწიფოს ნებისმიერ პერიოდში, და განსაკუთრებით მაშინ, როცა ასე დაიძაბა მდგომარეობა, უნდა მიეღო გადაუდებელი ზომები და აუცილებელი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. რუსეთის აქტიური წაქეზებით უკიდურესად გამწვავდა აფხაზ სეპარატისტთა თვითნებობა აფხაზეთში; კერძოდ, არძინბა სრულიად უმართავი იყო თბილისიდან, არაფერში არ ემორჩილებოდა მას: დაიწყეს თავიანთი შეიარაღებული შენაერთის, ე.წ. გვარდიის შექმნა, შეიარაღება, ჩრდილოეთ კავკასიელთა ჩამოყვანა, მოაწყეს თავდასხმა შინაგან საქმეთა მინისტრზე, გივი ლომინაძეზე, რათა სამინისტრო თვითნებურად აეღოთ, სურდათ მინისტრად ალიკა ანქვაბი დაესვათ... ერთი სიტყვით, აშკარა ესკალაცია მოდიოდა სეპარატისტთა მხრიდან. მიმაჩნია, რომ მსგავს შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა მიიღოს გადაუდებელი ზომები, მით უმეტეს, რომ მაშინ ხელისუფლებამ არაერთხელ დაჟინებით მიმართა არძინბას (ამის მომსწრე ვარ), დარეგულირებულიყო სიტუაცია; საუბარი იყო ასევე არძინბას თბილისში ჩამოსვლის თაობაზე, რათა მთელი რიგი საკითხები გარკვეულიყო და როდესაც მე ახალი დანიშნული ვიყავი უშიშროების ხელმძღვანელად (უშიშროება, როგორც ძველი სამსახური, გაუქმებული იყო და შეიქმნა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური), მთავარი პრობლე-

მა ის იყო, არძინბა აფხაზეთში დაამტკიცებდა თუ არა ამ სამსახურს, იგი უმართავი იყო და არ ემორჩილებოდა თბილისს; სწორედ იმ დღეს, როცა ქართულმა დელეგაციამ პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი, აფხაზეთის პარლამენტში დარჩენილმა აფხაზებმა მიიღეს დადგენილება — 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე, ამით ფაქტიურად მიუთითებდნენ, რომ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა; მეორე საკითხი, რომელიც გაიტანეს და დაამტკიცეს, ჩემი სამსახური და ჩემს მიერ წარდგენილი კანდიდატი, ავთანდილ იოსელიანი იყო. ეს იყო ერთადერთი კომპრომისი, რომელზეც არძინბა წავიდა... სიტუაციის დაძაბვა და ესკალაცია უმაღლეს დონეზე მივიდა, მიუხედავად ხელისუფლების არაერთგზის მცდელობისა, რათა მშვიდობიანად და მოლაპარაკების გზით დარეგულირებულიყო სიტუაცია, არაფერი გამოვიდა. ამას ემატებოდა ის, რომ აფხაზი სეპარატისტები აშკარა თავშესაფარს აძლევდნენ ანტისამთავრობო ძალებს, კერძოდ, გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ ფორმირებებს, მათ წარმომადგენლებს, რომელთაც შეიარაღებული წინააღმდეგობის ფრონტი შექმნეს სამეგრელოს რეგიონში, მათ თავისუფლად გადასვლა შეეძლოთ აფხაზეთში, არა თუ რაიმე პრობლემა, არამედ თავშესაფარიც გააჩნდათ; აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მუდმივი აფეთქებები, დივერსიები სარკინიგზო მაგისტრალებზე, სხვადასხვა კომუნიკაციებზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას სრული საფუძველი ჰქონდა, თავისი შეიარაღებული ძალებით კონტროლის ქვეშ აეყვანა ეს ტერიტორია, სეპარატიზმმა სრული გასაქანი ჰპოვა აფხაზეთში, თავად მიდგომა ამ საკითხისადმი მიმაჩნია მართებულად, მაგრამ უბედურება ის არის, როგორ და რა ფორმით გაკეთდა ეს. იმ დროისათვის რას წარმოადგენდა ჩვენი შეიარაღებული ძალები, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ეს არ იყო ჩამოყალიბებული სამხედრო ძალა, იყო საძმოებისა და თვითნებურად შექმნილი ფორმირებების ნაზავი, რომელსაც არავითარი სამხედრო გამოცდილება არ გააჩნდა, დისციპლინა არ არსებობდა; ყოვლად მოუმზადებელი ძალა მხოლოდ იმის იმედით შეიყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანლობა აქეზებდა მაშინდელ ჩვენი თავდაცვის მინისტრს, რომ იყო მისი მეგობარი, რომ რუსები და ამიერკავკასიის ოლქი ყველაფერში მხარს დაგვიჭერდნენ, გადასცეს უშველებელი შეიარაღება ახალციხის დივიზიას და ა.შ. თავდაჯერებით და გულარ-

ხეინობით, ყოველგვარი ამ რეალიების გათვალისწინების გარეშე ეს მოუმზადებელი ძალა შევიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა.

დღევანდელი გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, მაინც ბევრი მომენტები მინდა გამოვყო. ერთი — გადამწყვეტი, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ თავად ჩვენი ერი აღმოჩნდა გახლეჩილი. მაშინ, სამოქალაქო კონფრონტაციის თვალსაზრისით, მოწინააღმდეგე მხარესაც თავისი არგუმენტები ჰქონდა (ვგულისხმობ, გამსახურდიას მომხრეებს); ისინი თვლიდნენ, რომ იყვნენ კანონიერი ხელისუფლების დამცველები და იბრძოდნენ ძალადობის გზით მოსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ, მათზე იმედის დამყარება, რომ რაღაცაში გამოგვადგებოდნენ, მხარს დაგვიჭერდნენ და ხელს არ შეგვიშლიდნენ, ძირშივე არასწორი იყო. ფაქტიურად ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული მტრული ძალა ხელისუფლების მიმართ და ამიტომ ხელისუფლების ნებისმიერი წარმატება აფხაზეთის თუ სხვა საკითხში, ყოვლად მიუღებელი იქნებოდა, ეს ბუნებრივი მოვლენაცაა. მთავარი ის კი არაა, ვეძებოთ დამნაშავე, არამედ ის, რომ არსებობდა სამოქალაქო კონფრონტაცია; ნეგიც, როცა ასეთი მასშტაბის ომი წარმოებს, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს იმას, თუ რამდენად მთლიანია ერი. რამდენად შეკრულია სახელმწიფო; მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ არსებით ფაქტორებს, რაც ჩვენი დამარცხების მიზეზი აღმოჩნდა: დისციპლინა და პროპაგანდა — საფუძველი გამარჯვებისა. მაგალითად, საბჭოთა კავშირისთვის, რომელმაც უშველებელი ომი აწარმოა გერმანიის წინააღმდეგ და რომელსაც დიდი სამამულო ომი დაარქვეს (თუმცა, ჩვენთვის არ ყოფილა იგი სამამულო), გადამწყვეტი ორი რამ აღმოჩნდა: დისციპლინა და პროპაგანდა, ამით მოიგო სტალინმა ომი; საბჭოთა კავშირი ტექნიკური აღჭურვითაც, სამხედრო მომზადებითაც და გენერალური შტაბის მიერ ოპერაციების დაგეგმის დონით გაუტოლდა გერმანიას, მაგრამ ეს ორი ფაქტორი, მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო. ჩვენთან სრული ანარქია სუფევდა, შეიარაღებულ ძალებში მართვის მექანიზმი არ არსებობდა, არ არსებობდა პასუხისმგებლობისა და დასჯის მექანიზმი, დისციპლინა ნულოვან დონეზე იყო, სახელმწიფოს მხრიდან არ იყო მიზანმიმართული პროპაგანდა, სხვათაშორის სეპარატისტებს ეს ყველაფერი საკმაოდ მაღალ დონეზე ჰქონდათ დაყენებული: ისინი თავიანთი ლოზუნგებით, ტელევიზიის გადაცემებით პროპაგანდას ეწეოდნენ. ჩვენთან

ამას ადგილი არ ჰქონია: თბილისში სულ არ იგრძნობოდა, რომ ომი მიმდინარეობდა, ფაქტიურად, ყველამ ახლა უფრო შევიგრძენით, თუ რას ნიშნავს აფხაზეთის ომი და მისი დაკარგვა, ვიდრე ომის პერიოდში. დღეს უფრო გაიაზრა ხალხმა, თუ რამხელა მნიშვნელობის მოვლენა იყო და რა ტრაგედია დატრიალდა ჩვენს თავს, მაგრამ ეს ხალხის დანაშაული არაა. სახელმწიფომ არ დააყენა პროპაგანდის საკითხი თავის დონეზე; სამოქალაქო კონფრონტაციას თუ შევეხებით, ის მოწინააღმდეგე მხარეც (გამსახურდიას მომხრეები) თავისი პრინციპებიდან და თავისი სიმართლიდან გამომდინარე მოქმედებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ მხარეს პასუხისმგებლობის მოხსნა მაინც არ შეუძლია; როცა საქმე ეხებოდა სოხუმის დაცემას, როცა ასეთი საბედისწერო რამ წყდებოდა, ხელისუფლების მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა უმოქმედობა, ღალატის ტოლფასი იყო;

ასევე მინდა ვთქვა, რომ რუსეთის ფაქტორი ამ ომში უდიდესი მნიშვნელობისა იყო, მაგრამ ეს ჩვენ თითზე დავიხვიეთ, ეს არის ჩვენი გასამართლებელი არგუმენტი: რუსეთის წინააღმდეგ ჩვენ რა უნდა გვექნა, ვერაფერს გავხდებოდით... ყველა სხვა ჩვენი ნაკლოვანებისა და ხარვეზის მიჩქმალვა ხდება, ხდება გადაბრალება ობიექტურ ფაქტორზე; კი, ობიექტური ფაქტორი არსებობდა, რუსეთი მონაწილეობდა, დაქირავებული ჩრდილოკავკასიელებიც იბრძოდნენ, რომელთაგანაც ყველაზე სერიოზული ძალა ჩეჩნების ბატალიონი იყო, თორემ თავად კონფედერატები მნიშვნელოვან ძალას არ წარმოადგენდნენ მომზადების დონის მხრივ, ეს რუსეთის აგრესია იყო, გამოხატული სეპარატისტების მეშვეობით, მაგრამ გამართლებისათვის ეს საბუთი არ კმარა... მიმაჩნია, რომ პასუხისმგებელი და მიზეზი მარცხისა ვართ თავად ჩვენ, და თავი არ უნდა ვიმართლოთ. ჩვენ გმირულად არ გვიბრძოლია, ეს ფაქტია; გმირულად იბრძოლეს ჩეჩნებმა და აჩვენეს მსოფლიოს, რას ნიშნავს ომის წარმოება, მათ იომეს პარტიზანული მეთოდებით და აიღეს გროზნო. ჩეჩენმა ხალხმა მართლა რუსეთის წინააღმდეგ იბრძოლა. რუსეთი თუ აფხაზეთს ეხმარებოდა, ზურგს უკან იდგა, ფარულად მონაწილეობდა, ჩეჩნეთში მისი საუკეთესო ნაწილები და დივიზიები ომობდნენ, რუსები ამ ეტაპზე, თავად დამარცხდნენ; ასე რომ, გმირული ომი ჩვენ არ გვიწარმოებია; ეს იყო სამარცხვინო ომი ჩვენთვის, მაგრამ ეს არ ეხება იმ ჯარისკაცს, ოფიცერს თუ ხელმძღვანელ პირებს, რომელთაც მართლა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ მთლიანობაში ეს არ იყო საამაყო ომი, მიმაჩნია, რომ ეს იყო არასაამაყო ომი, რომელიც საქარ-

თველოს უწარმოებია. და პრეტენზია გვაქვს სახელმწიფოს მართვაზე, საკანონმდებლო ორგანოში იქნება ეს, აღმასრულებელში თუ სხვა პოლიტიკურ ძალებში გაერთიანებული, გვაწევს პასუხისმგებლობა, რათა როგორმე ჩამოვირეცხოთ ეს ლაქა და სირცხვილი... ამას არავინ არ გვაპატიებს.

— საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხარვეზი იყო, ალბათ, ის, რომ სეპარატისტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ოცი პროცენტი არაქართველი მოსახლეობისაგან, ჩვენი ჯარების ადგილმდებარეობისა თუ მოქმედებების შესახებ...

— სეპარატისტები საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რაც ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ეხებოდა, რადგან, ეს ინფორმაცია სეპარატისტებს რუსებისგან მისდიოდა. რუსები იყვნენ ყველგან, რუსეთის მიცემული იარაღით იბრძოდა იგივე ჩვენი ჯარი, რაც გვქონდა, ყველაფერი ზუსტად იცოდნენ; რა თქმა უნდა, დამატებით აგენტურულ სამუშაოებს მუდმივად აწარმოებდნენ რუსებიც და სეპარატისტებიც. ჩვენ ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციები ჩავატარეთ, ყველაფერი დაფიქსირებულია და ვფიქრობ, ქრესტომათიაში შევა, რა დონეზე ჩატარდა აგენტურის დაკავების სამუშაოები; სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა, როგორც კონტრდაზვერვის მხრივ, ასევე დაზვერვის მხრივაც, ეს ინფორმაციები პროკურატურაშიც დევს.

გარკვეულ ეტაპზე, დასაწყისში, ძნელი იყო ჩვენი სამსახურის ოპერატიული მექანიზმის ხელახლა მოწესრიგება, თუმცა ეს ინფორმაციული ვაკუუმი შემდეგ შეივსო; მოდიოდა ინფორმაციები როგორც მოწინააღმდეგის თაობაზე, ასევე პოლიტიკური, სამხედრო ხასიათისა; რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არასრული იყო, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ჩვენი სამსახური ყველაზე ცუდად მუშაობდა. იმ უწყებების დონეზე, რაც იყო, თავდაცვის თუ ნებისმიერი, ვფიქრობ, ჩვენი სამსახური ყველაზე მოწესრიგებული, დისციპლინირებული იყო და მექანიზმიც შედარებით ყველაზე მეტად გამართული ჰქონდა. იგივე, სოხუმის ბოლო შტურმის თაობაზე, ჩვენ ერთი თვით ადრე ვიცოდით. მე ყოველი შეტევის წინ ორი-სამი დღით ადრე ჩავდიოდი, იმიტომ, რომ ვიცოდი წინასწარ, რომ შეტევა დაიწყებოდა... მე ამაში ჩვენი სამსახურის გამართლებას არ ვპოულობ. ნაკლოვანება მაინც ბევრი იყო, შორს იყო სრულყოფილი მუშაობისგან, ჩვენი სამსახურიც, ისევე როგორც ნებისმიერი სამსახური, მისი ხელმძღვანელი თუ სახელმწიფო პირი, კარგად იმუშავა, თუ ცუდად, ყველანი პასუხისმგებელია...

— ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურმა „უხილავი ფრონტი“ გახსნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ; ძნელი იქნებოდა, თქვენი სამსახურის „შერკინება“ რუსეთის სპეცსამსახურებთან.

— რუსეთის სპეცსამსახურს აქვს უშველებელი გამოცდილება, რესურსები, ძალიან ძნელია მათთან ბრძოლა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია; ამ ფრონტზეც შეიძლება ნებისმიერი ძლიერი ქვეყნის სპეცსამსახურებთან წინააღმდეგობის გაწევა, თუ საჭირო გახდა და სიტუაცია შეიქმნა. ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ ვითარებიდან, რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ესაჭიროება ძლიერი სადაზვერვო სამსახური... ვფიქრობ, საქართველოს სტაბილიზაცია რომ მიიღწევა და ათასნაირი პრობლემის გადაწყვეტა მოხდება, ეს მისი ერთ-ერთი ატრიბუტი იქნება.

— როდესაც თქვენი სამსახური ჩამოყალიბდა, მახსოვს, შევარდნაძემ განაცხადა, „ქვეყნის ინტერესები საიმედო ხელშია“, მაგრამ შემდეგ მოხდა ისე, რომ ქვეყნის მეთაურმა უარყო, თითქოს თქვენ მას აწვდიდით ინფორმაციას.

— უარყოფდა ზოგადად... მე მოსმენილი მაქვს შემდგომი უარყოფითი დასკვნები... მახსოვს, ეს იყო იგორ გიორგაძის პერიოდში, როცა იგი დაინიშნა სამსახურის ხელმძღვანელად და გამოცხადდა, რომ მოვიდა პროფესიონალი და გვეშველება; იმ პერიოდში, სამსახური საერთოდ აღარ მუშაობდა. ეს ცნობილია, შეგიძლიათ კოლექტივსაც ჰკითხოთ, ინფორმაციები არ არსებობდა, სამსახური ბიზნესით და სხვა გარკვეული მიზნებით დაკავებული აღმოჩნდა... დრო შეაფასებს ყველაფერს.

— რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პავლე გრაჩოვმა ორი დივიზიის შეყვანა შესთავაზა სოხუმში ედუარდ შევარდნაძეს. პრეზიდენტმა თქვენ და გია ყარყარაშვილი დაგასახელათ, როგორც ამ წინადადების წინააღმდეგნი. როგორია თქვენი პასუხისმგებლობის გრძნობა ამ საკითხისადმი?

— მოგახსენებთ. მიმაჩნია, რომ ორი დივიზიის შეყვანა, კარგს არაფერს მოიტანდა. ეს ორი დივიზია ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციის ნაწილი იყო, რომელიც რუსეთის გენშტაბის გეგმებში იყო და კავკასიის მასშტაბით ხორციელდებოდა. მათი შემოყვანა ნიშნავდა იმას, რომ უნდა განიარაღებულიყო ჩვენი მხარე, იტყოდნენ, თითქოს განიარაღებდნენ აფხაზურ მხარესაც, მაგრამ ეს არ მოხდებოდა, სოხუმში არძინბას ყველა შემთხვევაში შემოიყვანდნენ — ეს რუსების

უპირობო მიზანი იყო. ამას ისევ მოყვებოდა ჩვენი მოსახლეობის ნაწილის განდევნა და ნაწილის დამონება, მე ამაზე თანახმა არ ვიქნებოდი. პირველი უარყოფითი პასუხი ამაზე მისცა თავად ბატონმა შევარდნაძემ, ხალხი ამას, როგორც ოკუპაციას, ისე გაიგებსო, ყარყარაშვილმაც ასევე გამოთქვა თავის პოზიცია, მე საერთოდ ხმა არ ამომიღია, პოზიცია არ დამიფიქსირებია ამ საკითხთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, რუსებს ეს ყველაფერი ჩაწერილი ექნებათ, თუმცა ახლა პირდაპირ ვამბობ, ეს ოკუპაციაც იქნებოდა და უბედურებაც, არაფერ სიკეთეს არ მოგვიტანდა. ფიქრი იმაზე, რომ ეს ვარიანტი გადაარჩენდა აფხაზეთს, არის აბსურდი და თავის მოტყუება.

— როგორ გესახებათ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა მომავალში? (თუმცა ამ კითხვის დაბადებიდან სამი წელი გავიდა).

— მიმაჩნია, რომ რუსეთთან გარკვეული პრობლემებისა და ურთიერთობის დარეგულირების გარეშე ეს საკითხი არ გადაწყდება; ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება ჩრდილოეთ კავკასიასთან, და განსაკუთრებით ჩეჩნეთთან ჩვენი ურთიერთობების გარკვევას, ყოველ შემთხვევაში ამ ურთიერთგანწყობის ატმოსფეროს შეცვლას და რაც მთავარია, უახლოეს პერიოდში ჩვენ სამხედრო ძალის მხრივ უნდა ვიყოთ მზად, რათა კონტროლზე ავიყვანოთ ეს ტერიტორია, თუნდაც დიდი წინააღმდეგობის შედეგად.

— გმადლობთ საუბრისათვის.

ესაუბრა ნინო ჯიშკარიანი

გაზ. „შანსი პლიუსი“
12, 1996 წ.

ირაკლი ბათიაშვილი: ჩვენ კი არ უნდა ველოდოთ, უნდა ვემზადოთ

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინტერვიუ ბ-ონ ირაკლი ბათიაშვილთან 1 ივლისსაა ჩანერილი, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ცვლის მასში ნამოჭრილი საკითხების აქტუალობას. სამწუხაროდ, არც აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაში — იმ პრობლემაში შეცვლილა არაფერი, რომლის არსებობამაც ჩვენს რესპონდენტთან მიგვიყვანა.

— ბატონო ირაკლი, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის ბოლო სხდომაზე თქვენს მიერ გაკეთებული განცხადება იყო კიდევ ერთი შეხსენება იმის შესახებ, რომ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. როგორ გესახებათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა უახლოესი მომავალი ზოგადად და კერძოდ, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში?

— გამოსვლაში აღვნიშნე და ახლაც ხაზს ვუსვამ, რომ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავად საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებისათვის და ყველა შემთხვევაში, თავის ასახვას ჰპოვებს ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს: ზიუგანოვი თუ ელცინი. ამასთან, შესაძლებელია კომუნისტების მოსვლამ ხელისუფლების სათავეში და მათ მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ გაცილებით უფრო მძიმე შედეგები გამოიღოს ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის, გამოიწვიოს გარკვეული დესტრუქციული პროცესები და ზეწოლაც საქართველოზე გაცილებით გაძლიერდეს. მაგრამ, ვიმეორებ, იმის მიუხედავად, ვინ გაიმარჯვებს: ელცინი თუ ზიუგანოვი, შესაბამისად, როდესაც გამარჯვებულის მხარე განიმტკიცებს პოზიციებს — დემოკრატები იქნებიან თუ კომუნისტები, — ყველა შემთხვევაში, თავისი ძირეულ-პოლიტიკური პრინციპებიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ისინი დაიწყებენ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თანამიმდევრულ და მეთოდურ განხორციელებას და მათ შორის, სნგ-ში

შემავალი ქვეყნების, კერძოდ — კავკასიის და რა თქმა უნდა, საქართველოს მიმართ.

რისი თქმა მინდა?

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს უახლოეს წარსულს, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს დამოუკიდებლობასთან და ფაქტიურად, 90-იანი წლებიდან იწყება, დავინახავთ, რომ რუსეთის ფაქტორმა საკმაოდ სერიოზული და ხშირ შემთხვევაში, საქართველოსათვის — დესტრუქციული პროცესები გამოიწვია. იგივე „ეთნოკონფლიქტები", დეკემბერ-იანვრის გადატრიალება და სამოქალაქო ომი, დიდწილად, ინსპირირებული იყო რუსეთიდან. სამოქალაქო კონფრონტაცია და დაპირისპირება ასუსტებდა ჩვენს ქვეყანას და მისი სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის ერთ-ერთ დიდ მუხრუჭად მოგვევლინა. ასევე, ყველასათვის ცნობილია რა როლი ითამაშა რუსეთმა აფხაზეთის ამბებში — იგი უშუალო აგრესორიც კი იყო.

ფაქტიურად, რუსეთი დღემდე ახორციელებს თავის ზეწოლას, თავისი ინტერესების გატარებას იმ ერთადერთი მიზნით, რომ საქართველო სულ უფრო და უფრო მეტად მოაქციოს თავისი პოლიტიკური ზეგავლენის სივრცეში. მაგრამ აქამდე იგი ამას ახორციელებდა მაინც არა მეთოდურად, არა თანმიმდევრულად, არა ფორსირებულად, რამდენადაც თავად რუსეთში იყო გაურკვეველი და ამორფული ვითარება. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი იყო განუსაზღვრელობის კოეფიციენტი. იგივე ელცინის ხელისუფლება ბოლომდე მყარად არ ფლობდა და ვერ მართავდა სიტუაციას. შესაბამისად, ჯერ კიდევ, ბოლომდე განსაზღვრული არ იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია ახლო საზღვარგარეთის ანუ სნგ-ს ქვეყნების მიმართ. სხვათაშორის, ამაზე რუსეთის სამთავრობო თუ სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში, სერიოზულ კვლევით ცენტრებში დიდი დულილი მიდიოდა. რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შესახებ სხვადასხვა ძალებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ შესაბამისად, სტრატეგია ბოლომდე განსაზღვრული არ იყო და პოლიტიკა სნგ-ს ქვეყნების მიმართ ატარებდა შედარებით არამეთოდურ და უფრო სპონტანურ ხასიათს.

3 ივლისის არჩევნების შემდეგ რუსეთში ერთ-ერთი ძალა საბოლოოდ გაიმარჯვებს, პოზიციებს განიმტკიცებს და უკვე მყარად შეუდგება და მეთოდურად დაიწყებს საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებას სნგ-ს ქვეყნების და იგივე, საქართველოს მიმართ,

რომლისადმი რუსეთს სპეციფიკური მიდგომა აქვს. მართალია, რუსეთის ინტერესი სნგ-ს ქვეყნებისადმი ზოგადად ერთია — რაც შეიძლება, განიმტკიცოს თავისი გავლენა ამ სივრცეში და დააჩქაროს მათი ინტეგრირება (სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური) ერთიან პრორუსულ სივრცეში. მაგრამ სხვადასხვაგვარი სპეციფიკური მიდგომა აქვს ვთქვათ, შუა აზიის ქვეყნებისადმი, უკრაინისადმი თუ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისადმი. ეს ნიუანსები გასათვალისწინებელია.

მე ვფიქრობ, ახლა დაიწყება ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთი უკვე გამყარებული ხელისუფლების პოზიციებიდან დაიწყებს თავისი იმპერიული (ძველ ტერმინს თუ ვიხმართ) სტრატეგიული ინტერესების აქტიურად განხორციელებას. მისი მხრიდან უფრო დაჟინებით და უფრო მეთოდურად მოხდება ზეწოლა, რათა საქართველო წავიდეს მნიშვნელოვან კომპრომისებზე სხვადასხვა სფეროში.

ამ ყველაფერს შეიძლება ხელი შეუშალოს მხოლოდ ერთმა გამონაკლისმა — სიტუაციის არევამ თავად რუსეთში. ჩვენი ფანტაზიის სფეროდან არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ თავად რუსეთში, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებიდან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს ძალიან მნიშვნელოვანი სამოქალაქო კონფრონტაცია. თუ დავუშვებთ, რომ შესაძლოა, არჩევნების მიუხედავად, გაგრძელდეს დაპირისპირება ახალ „წითლებსა" და ახალ „თეთრებს" შორის და ამ დაპირისპირებამ და კონფრონტაციამ ძალიან მწვავე ხასიათი მიიღოს. გარკვეული სამოქალაქო დაპირისპირების ფორმებიც კი შეიძინოს, მაშინ რუსეთს სრულიად არ „ეცხელება" თავისი საგარეო პრობლემებისთვის.

თუკი ჩვენ ვუშვებთ, რომ ერთ-ერთი ძალა, ელცინის ან ზიუგანოვის მხარე განიმტკიცებს თავის პოზიციებს, მაშინ უკვე, ვიმეორებ, დაიწყება აქტიურად რეალიზაცია იმ სტრატეგიისა, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს აქვს ახლო საზღვარგარეთის და იგივე, საქართველოს მიმართ. აი, ამას ვგულისხმობ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალ ეტაპში.

ახლა, როგორი პოზიცია გვაქვს ჩვენ?!

როგორც ხალხი, ისე ხელისუფლების წრეები, მასიურად ყველა ძალიან დიდი ინტერესით თვალყურს ვადევნებთ, ველოდებით რუსეთის არჩევნებს. ჩვენ ველოდებით და არ ვემზადებით! არადა სახელმწიფომ, წესით, ამ პროცესის ყველა მოსალოდნელი შედეგიდან

გამომდინარე, უნდა წინასწარი სამზადისი დაიჭიროს, ე.ი. რაღაც მოსამზადებელი სამუშაო ჩაატაროს და განსაზღვროს რას მოიმოქმედებს, რა პოზიციას დაიჭერს იგი, თუკი, ვთქვათ, ასეთი და ასეთი პროცესები დაიწყება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. მე ვიმეორებ: ჩვენ კი არ უნდა ველოდოთ, ჩვენ უნდა ვემზადოთ. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა და ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი იარაღი და ძალა ასეთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისათვის ამ კრიტიკულ და ახალ ეტაპს შევხვდეთ მომზადებული, რათა ქვეყანამ ეს ეტაპი გაიაროს რაც შეიძლება ნაკლები ზარალით და რაც შეიძლება რაციონალურად.

ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჩვენი როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების მუშაობის ეფექტზე, იმაზე, თუ ასეთი პერიოდისათვის როგორი ხელისუფლებით დაიცავს იგი თავის სახელმწიფოებრივ ინტერესებს და მოახდენს მათ რეალიზაციას. ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი და მომენტი.

საქართველოს არჩეული ჰყავს თავისი პრეზიდენტი. შევარდნაძე, ცხადია, გამოცდილი პოლიტიკოსია. მის გამჭრიახობას და ალღოს პოლიტიკაში ვერავინ უარყოფს, მაგრამ არსებობს მთავრობაც — აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი სისტემა. ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ძალის, უნარის, შესაძლებლობების და პოტენციალის მქონეა ეს აღმასრულებელი ხელისუფლება, რამდენად არის იგი შინაგანად მობილიზებული და შეუძლია მუშაობა ამ კრიტიკული პერიოდისათვის.

მე ვფიქრობ და პარლამენტის სხდომაზე ჩემს გამოსვლაშიც აღვნიშნე, რომ ჩვენი დღევანდელი მთავრობა, ისევე, როგორც წინა მმართველი ძალები (ფართო აზრით) არის საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ყველა პიროვნებას არ ვგულისხმო, არიან ღირსეულებიც, მაგრამ მთავრობა მთლიანობაში, არ წარმოადგენს ერთიან გუნდს. იგი ნამდვილად და სამწუხაროდ არ არის „შემკული" თანამედროვე მენტალიტეტით (ე.წ. ახალი აზროვნებით) და ასევე სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმით.

როდესაც მთავრობაში არსებობს ძლიერი სულისკვეთება, ეს ხალხშიც აისახება და იგი ხალხის მხარდაჭერასაც ჰპოვებს. დღეს პირიქითაა, მთელ სახელმწიფოში სრული აპათიის მდგომარეობაა. ეს ფაქტია და ამაზე პასუხისმგებელი, ისევ და ისევ, ხელისუფლებაა. ჩემი აზრით, მთავარი საფრთხეა ავადმყოფობის ის ბაცილა, რომლითაც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზმი არის დაავადებუ-

ლი — ეს არის მასში მეტასტაზებივით ფესვებგამდგარი კორუფცია. კორუფცია იმ დონეზეა (ვლაპარაკობ არც თუ უსაფუძვლოდ) და იმდენად მოდებული, რომ ძალიან მეეჭვება ამ მთავრობამ შეძლოს რაღაც დიდი წვლილის შეტანა, სერიოზული ძალისხმევის გამოჩენა, სერიოზული ნაბიჯის გადადგმა ქვეყნის აღშენებაში, გნებავთ, ეკონომიკის სფეროში.

პარლამენტი დღეს კანონშემოქმედებითი მუშაობითაა დაკავებული, რაც, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია. მეც, თავიდან ბოლომდე, ჩართული ვარ ამ მუშაობაში. მაგრამ პარლამენტის ფუნქცია, ამის გარდა, უნდა იყოს ამ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა და სათანადო ნაბიჯების გადადგმაც. მან მსჯელობა უნდა დაიწყოს მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ და მხოლოდ კადრებზე, მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებზე კი არ ილაპარაკოს, არამედ ძირეულად უნდა დაისვას საკითხი, თუ როგორი პრინციპებისა და პარამეტრების მიხედვით უნდა მოხდეს მთავრობის ფორმირება და დაკომპლექტება. ეს საკითხი აქტუალურიცაა და მძიმეც. მართალია, საჯაროდ ამაზე ლაპარაკი, ჯერჯერობით, მარტო მე მომიხდა, მაგრამ კულუარებში ხომ ყველა ამაზე მსჯელობს.

— კარგად გვახსოვს 9 აპრილის წინა ისტორია. ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მცდელობით დროებით მოიხსნა აფხაზ სეპარატისტებთან დაპირისპირება. მაგრამ გამოსაშვები სისხლის გამოშვებას მაინც ვერ ავცდით. დღემდე, აფხაზეთის დაბრუნების იმედით, საქართველო ბევრ დათმობაზე წავიდა. სწორედ დღეს კი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი გენერალი ლებედი, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ მოლდოვაში მე-14 არმიას ხელმძღვანელობდა, რუსეთის თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთ კანდიდატად ჩვენთვის ასე ნაცნობ გენერალს ასახელებს. ეთანხმებით პრეზიდენტის პრესმდივნის ვახტანგ აბაშიძის იმ განცხადებას, თითქოს როდიონოვის შესაძლო დანიშვნა ამ პოსტზე არავითარ გავლენას არ მოახდენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და საერთოდ, საკადრო ცვლილებები რუსეთში ჩვენთან კომენტარს არ საჭიროებს?

— რა თქმა უნდა, ჩვენი საქმე არ არის და ჩვენ არავინ შეგვეკითხება თუ რუსეთში ვის სად დანიშნავენ. მე ნაწილობრივ ვეთანხმები ბატონ ვახანგს, როდიონოვი იქნება რუსეთის თავდაცვის მინისტრი თუ სხვა, იგი საქართველოსთან დამოკიდებულებაში გაატარებს იმ საგარეო პოლიტიკას, რაც მას დაევალება და რაც

განსაზღვრული იქნება რუსეთის პოლიტიკის მხრიდან. გრაჩოვი იყო უკეთესი ჩვენთვის თუ როდიონოვი იქნება — ცოტა ძნელი სათქმელია. გრაჩოვს ძალიან დიდი „წვლილი" მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში. მოგეხსენებათ, ყველა ქმედება მისი უშუალო და პირდაპირი ბრძანებით ხდებოდა, ყველაფერი მას ექვემდებარებოდა. შემდეგ, უცბად, იგივე გრაჩოვი ჩვენი ქვეყნის დიდი „მეგობარი" გახდა.

ისევ ვიმეორებ: რუსი გენერალი და რუსი სამხედრო გააკეთებს იმას, რასაც მას განუსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკა. თუმცა, პიროვნებას და მის განწყობილებას ქვეყნისადმი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, როდიონოვი ასოცირდება 9 აპრილის მოვლენებთან. არადა ჩვენი მიდგომა ამ საკითხისადმი, ალბათ, ცოტა სხვანაირი უნდა იყოს და არა მხოლოდ ასოციაციებით განსაზღვრული.

— თქვენ ბრძანეთ: — საქართველოს თავდაცვის მინისტრს თავის უფროსად დღემდე გრაჩოვი მიაჩნდაო. ქვეყნის უშიშროების სამსახურის ყოფილ შეფს შესაძლოდ მიგაჩნიათ სხვანაირი დამოკიდებულება?

— სხვანაირი დამოკიდებულება კი არა, ეს არის აღმაშფოთებელი ფაქტი. ელემენტარულად, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად დაუშვებელია, რომ ჩვენი რომელიმე მინისტრი იყოს სხვა ქვეყნის თანამდებობის პირის მარიონეტი და ჩვენ ეს ნორმალურ მოვლენად მიგვაჩნდეს.

ისევ, ჩვენთან მინისტრების დანიშვნის დროს იმასაც კი არ არკვევენ თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა თითოეული მათგანი. მეეჭვება, რომ ასეთი რამ მოხდეს ისეთ პრორუსულ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა ბელორუსია. მე გულწრფელად მაინტერესებს, რომელი ქვეყნის მოქალაქეა ვარდიკო ნადიბაიძე — საქართველოსი თუ რუსეთის. მართლა არ ვიცი! რაც შეეხება დამოკიდებულებას, მას თავის უფროსად მიაჩნდა არა მარტო გრაჩოვი, არამედ რეუტიც კი — რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სარდალი ამიერკავკასიაში.

— ძალა რომ აღმართს ხნავს?

— ძალა რომ აღმართს ხნავს, რა თქმა უნდა, საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს რუსეთის სტრატეგიული ინტერესები და ის, რომ ეს დიდი სახელმწიფო ჩვენი მეზობელია. მე ეს ბევრჯერ მითქვამს. თუ იგივე აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი გათვალისწინება გვმართებს ამისი. მაგრამ

ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებები და მიმართება, უბრალოდ, არანორმალურია, ყოვლად დაუშვებელია. ასეთი დამოკიდებულების შემთხვევაში ყოველთვის ნაკლები პატივისცემა იქნება იმ ქვეყნის მხრიდანაც და მე ამაში დარწმუნებული ვარ.

— ჩვენთვის, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებებსა თუ გადაწყვეტილებებს აფხაზეთის პრობლემის მიმართ. მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის კეთილი ნების გარეშე ვერაფერს გავხდებით. მისთვის კი არც საერთაშორისო აზრის უგულებელყოფაა უცხო და არც საკუთარი სიტყვის გატეხვა. რაში ხედავთ გამოსავალს?

— მიმაჩნია, რომ არც ცხოვრებაში და არც პოლიტიკაში არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობები. არავის არა აქვს უფლება ისე დასახოს, თითქოს ეს საკითხი გადაუწყვეტელია და ან ჩანს სინათლე გვირაბის ბოლოს. პირიქით!

უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი დამოკიდებულია არა რუსეთზე, არა გაეროზე, არამედ — ჩვენზე, ჩვენს მონდომებაზე, ძალისხმევასა და გონიერებაზე. ეს კი გულისხმობს ერთობლივი სწორი პოლიტიკის განხორციელებას, ასევე, სათანადო შიდა რესურსების მობილიზაციას, ყველანაირ მზადყოფნას ამ პრობლემის გადასაჭრელად, როცა სახელმწიფო მოემზადება ყველანაირად როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, პრობლემა, ადრე თუ გვიან, ხელსაყრელი მომენტის დადგომისათვის გადაწყდება. მთავარია, სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ ეს ხელსაყრელი მომენტი სწორად განსაზღვროს და ამ მომენტს მომზადებულად შეხვდეს. სწორედ ასე მოხდა ხორვატიაში. ხორვატები კარგა ხანს ემზადებოდნენ და როგორც კი დაიგულეს ხელსაყრელი მომენტი, კიდევაც აღადგინეს თავიანთი ტერიტორიული მთლიანობა, თანაც ძალიან სწრაფად. იქაც იგივე პრობლემა იყო. აფხაზეთშიც აფხაზების პრობლემა არ არსებობს. არსებობს სულ სხვა პრობლემა და გეთანხმებით იმაში, რომ გადამწყვეტია რუსეთის ფაქტორი. რუსეთთან სერიოზული პოლიტიკური დარეგულირების, მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი გახდება. თუმცა, მეორეს მხრივ, შეიძლება მისი ბევრი ინტერესი გავითვალისწინოთ, კომპრომისებზე წავიდეთ და მაინც უძლურნი აღმოვჩნდეთ ამ პრობლემის გადაწყვეტაში იმიტომ, რომ შიდა რესურსების თვალსაზრისით არ აღმოვჩნდეთ მზად. სწორია, ძალა აღმართს ხნავს! ხშირ შემთხვევაში, შეიძლება დიდმა სახელმწიფომ აქეთ დაგვდოს ბრალი: —

კი, ბატონო, მე მოგეცი საშუალება სამოქმედოდ, მაგრამ თავად არ აღმოჩნდი მზად, შენს კომპრომისებს შევირგებ, მაგრამ შენ თუ მზად არა ხარ, შენს თავს დააბრალეო.

ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ აქ უნდა წარიმართოს ძალიან დიდი და სერიოზული მუშაობა სახელმწიფოს მხრიდან. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შეიარაღებული ძალების მაქსიმალურ მომზადებას, მის აღჭურვას, ბრძოლისუნარიანობის გაზრდას. ამ მხრივ, არაფერია შეუძლებელი. ჩვენ ახლა არმია არ გვჭირდება რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან თუ სომხეთთან საომრად. ახლა ჩვენ გვჭირდება ჯარი ჩვენი შიდა პრობლემების გადასაჭრელად, იგივე, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ეს პროცესი უკვე დაწყებულია ჩვენს შეიარაღებულ ძალებში, დადებითი ძვრები მოხდა დისციპლინის დამყარების თვალსაზრისით. ჯარისკაცი ჯარისკაცს ემსგავსება. გახსოვთ, ალბათ, წინათ ჩვენი ჯარისკაცი ყველასათვის მიუღებელი ელემენტი იყო. სამხედრო ფორმა ხალხს აღიზიანებდა, რადგანაც იგი უკავშირდებოდა ყაჩაღობას, ბანდიტიზმს და ა.შ. დიდი სამუშაოა წასამართი საგარეო პოლიტიკის ფრონტზე რუსეთთან, ასევე ჩრდილო კავკასიის ხალხებთან. არ უნდა გამოვრიცხოთ სომხური ფაქტორიც, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აფხაზეთის ტრაგედიაში.

— რამდენად განხორციელებადია აფხაზეთის (ენგურს აქეთას) პროკურორის სანქცია შამილ ბასაევის დაპატიმრების შესახებ?

— ასეთი სანქციის გაცემა, ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, გასაგებია და აუცილებელიც იყო. ბასაევმა უდიდესი უარყოფითი როლი ითამაშა იგივე სოხუმის დაცემაში. მისი ბატალიონი ერთ-ერთი ავანგარდული და მოწინავე იყო მტრის რიგებში და ცხადია, ბასაევს საქართველოს წინაშე უდიდესი დანაშაული მიუძვის. რაც შეეხება ხსენებული სანქციის განხორციელებადობას, დღევანდელობის პირობებში მე ის განუხორციელებლად მიმაჩნია.

— თქვენ ჩვენს მთავრობას სახელმწიფოებრივი იდეის არქონას საყვედურობთ. გეგულებათ ინსტანცია, ეროვნული იდეოლოგია რომ ჰქონდეს შემუშავებული?

— ამ იდეით აღჭურვილი რომელიმე რგოლი არ მეგულება, მაგრამ მეგულებიან პიროვნებები, როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ, ხელისუფლების სხვა რგოლებშიც, პოლიტიკოსთა რიგებშიც და არაპოლიტიკოსებს შორისაც.

საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა იმას, რომ დღეს უნდა ვილაპარაკოთ არა ეროვნულ იდეოლოგიაზე, არამედ ქართული სახელმწიფოე-

ბრიობის იდეაზე. სწორედ სახელმწიფოებრიობის იდეით უნდა იყოს გამსჭვალული მთელი ჩვენი ხელისუფლება (იქნება ის აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო) და ეს მენტალიტეტი უნდა წარმართავდეს მთელ ჩვენს მუშაობას. არ მინდა დავაკონკრეტო, რას ნიშნავს ეს იდეა. მე ფილოსოფოსი ვარ განათლებით, ამაზე მიფიქრია და საერთოდ, ყოველმა ჩვენგანმა ინტუიტურად იცის თუ რას ნიშნავს ეს.

როცა ხელისუფლება ამ იდეით არის გამსჭვალული, ეს იდეა ავალებს მას უდიდესი მოვალეობის გრძნობას, სულ სხვა ეფექტს აძლევს მის შრომასა და გარჯას, ამასთან, კიდევაც რომ იდგეს იგი უდიდესი პრობლემებისა და კრიზისის წინაშე, რომც ვერ გადაწყვიტოს ეს პრობლემები, როცა ხალხი ხედავს, რომ მისი ხელისუფლება არის წესიერი, პატიოსანი და თანაც, გულწრფელად განმსჭვალულია ამ სახელმწიფოებრიობის იდეით, ხალხის მხარდაჭერა და ნდობა მას ყოველთვის ექნება. ესაა გადამწყვეტი: კერძოდ, როცა ადგილი აქვს ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობას, მიუხედავად დიდი კრიზისისა და დროებითი მარცხისა, საბოლოოდ ყველა პრობლემის დაძლევა ხდება შესაძლებელი, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობა საწინდარია უკვე სამოქალაო საზოგადოების და ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა.

— თუ ახერხებთ პგოლიტიკოსობისა და მეცნიერული მუშაობის შეთავსებას?

— ბოლო პერიოდამდე ვათავსებდი. ახლა ცოტა გამიჭირდა, ცოტა მოვწყდი მეცნიერულ მუშაობას — ფილოსოფიას, რომელიც ჩემი უდიდესი გატაცებაც არის და ჩემი პროფესიაც, თუმცა ყოველდღიურად სხვა ლიტერატურასაც ვკითხულობ.

ვფიქრობ, აღვადგენ ჩემს მუშაობას ფილოსოფიის სფეროში.

— როგორ ფიქრობთ, დეპუტატობა მოგცემთ თქვენი ძირეული პოზიციების განხორციელების საშუალებას თუ მათი მხოლოდ დაფიქსირებისა?

— ჩემი დეპუტატობით მე შევეცდები, რომ ჩემს კოლეგებთან ერთად დავაფიქსირო საღი პოზიცია და ამ დაფიქსირებას პრაქტიკული შედეგები მოჰყვეს. ავიღოთ ჩემს მიერ პარლამენტის ბოლო სხდომაზე დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დაიწყება ახალი ეტაპი, რომელსაც მომზადებული უნდა შევხვდეთ და ამისათვის გვჭირდება ძლიერი, პატიოსანი, კორუფციისაგან თავისუფალი, ახალი მენტალიტეტით — სახელმწიფოებრიობის იდეით გამსჭვალული მთავრობა და რომ ამიტომ საჭირო

პარლამენტში დაიწყოს დისკუსია და მსჯელობა მთავრობის რეორგანიზაციის საკითხზე. მართალია, ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი მხოლოდ მე მომიხდა, მაგრამ ყველანაირად შევეცდები, რომ ამ საკითხის დასმაში სხვებიც შემომიერთდნენ.

— კიდევ რაიმეს თქმა ხომ არ გნებავდათ?

— როგორც შევიტყვე, თქვენი გაზეთი ახლა იწყებს გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე და ძალზედ მოხარული ვარ, რომ თავისი დაბადების დღისთვის ერთ-ერთ პირველს მე ჩამომართვა ინტერვიუ. მინდა მას ვუსურვო, იყოს პოპულარული, მკითხველისათვის საინტერესო და სიმართლის მთქმელი გაზეთი. მეც ყველანაირად თქვენი გულშემატკივარი ვიქნები.

ესაუბრა **დალი ჩიკვაიძე**

გაზ. „საერთო გაზეთი"
ივლისი, 1996 წ.

პერსონა

1988 წლიდან საქართველოში გაშლილმა მასობრივმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ ბევრი პიროვნება წარმოაჩინა. პიროვნებათა ნიჭსა და განსაკუთრებულობას ბრბოს უსახურობა და სიჩლუნგე მეტ ხიბლსა და მნიშვნელობას სძენდა. ირაკლი ბათიაშვილი ერთი იმათთაგანია ვინც არათუ აქტიურად მონაწილეობდა, არამედ სათავეში ედგა ამ მოძრაობას და მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაც ეკისრებოდა. როგორც იმ თაობის წარმომადგენელს, რომელსაც გახრწნილმა კომუნისტურმა სისტემამ არანაირი იდეალი არ დაუტოვა.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია. ირაკლი ბათიაშვილი ყველა თვალსაზრისით ახალგაზრდობის ელიტარული ფენის წარმომადგენელი იყო, ამიტომ მისმა ჩართვამ თავდაპირველად დისიდენტურ, შემდგომ კი მასობრივ ეროვნულ მოძრაობაში ამ მოძრაობას დამატებითი სოციალური ძალა შესძინა. 80-იანი წლების დასაწყისიდან (იმ თაობის წარმომადგენლებს კარგად ემახსოვრებათ) ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სამომავლო პერსპექტივას კომკავშირში ან „ქურდულ სამყაროში" ხედავდა. ეროვნული მოძრაობის დაწყებამ სოციალურ ორიენტირთა ცვლილება გამოიწვია. ბევრი ნიჰილისტურად შეხვდა ახალ ფასეულობებს. ირაკლი ბათიაშვილმა კი ბოლომდე შეინარჩუნა რენომე.

1988-89 წლებში, ეროვნული მოძრაობის რომანტიკულ ხანაში ბათიაშვილი მიტინგების ტალღას „აგორებდა" ირაკლი წერეთელთან, მერაბ კოსტავასთან, გია ჭანტურიასთან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მასში უმალ ამოიცნეს თავიანთი სულიერი თანამოაზრე (არა უბრალოდ მედროვე) და ბოლომდე ედგნენ კიდეც. ეროვნული ფორუმის გახლეჩის შემდეგ ბათიაშვილი კონგრესის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდა, თუმცა არსებობს მრავალი ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ მას მეორე მხარეც ენდობოდა და პატივს სცემდა.

1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების დროს ირაკლი ბათიაშვილი ერთადერთი აღმოჩნდა ე.წ. ოპოზიციონერთა

შორის, რომელმაც გაბედა და სიგუას მიერ რესპუბლიკის მოედანზე ორგანიზებულ მიტინგზე ხმამაღლა განაცხადა, რომ შიდაპოლიტიკური დაპირისპირება მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს; სამოქალაქო ომი იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი, საფრთხეს უქმნიდა ეროვნული მოძრაობის მიზნების განხორციელებას.

1992 წლის მარტში საქართველოში დაბრუნებისთანავე ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით ირაკლი ბათიაშვილი სადაზვერვო-საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელად დაინიშნა. ირაკლი ბათიაშვილმა პირველმა განაცხადა, რომ „მხედრიონი" საქართველოში ფაშისტურ-მაფიოზურ სახელმწიფოს აშენებდა და ციხეებში სასტიკად აწამებდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. მიუხედავად ამისა (სწორედ აქ იხსნება მისი პიროვნული უძლურება) თუნდაც ძალზე მაღალი თანამდებობის პირის პროტესტს უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეეძლო.

აფხაზეთის ომის დროს ირაკლი ბათიაშვილის უწყებას (საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს), თუ გულწრფელნი ვიქნებით, ბევრი არაფერი გაუკეთებია „დაზვერვისა" და „ინფორმირების" თვალსაზრისით. (**კომენტარი: საჭიროა აღვნიშნო, რომ აფხაზეთის ომის დროს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მუშაობა დღითი-დღე იხვეწებოდა და ძლიერდებოდა, და სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო მდიდარი და მნიშვნელოვანი ინფორმაციებით ამარაგებდა. ამას ხელს უწყობდა ძველი პროფესიონალური კადრების სიჭარბე და აგრეთვე, ახალი ნიჭიერი კადრების არსებობაც. ამასთან ერთად, ჩვენ სერიოზულად გვეხმარებოდნენ ამერიკელებიც, კერძოდ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო.**) იმ დროს საქართველოში არცერთი სტრუქტურა არ მუშაობდა და რა გასაკვირია, სადაზვერვო სამსახურს გარდატეხა ვერ შეეტანა ომის მსვლელობაში. ირაკლი ბათიაშვილმა (გია ყარყარაშვილთან ერთად) შევარდნაძე აიძულა, უარი ეთქვა გრაჩოვის თვალთმაქცურ, ყალბ წინადადებაზე აფხაზეთში რუსეთის „ორი დივიზიის შემოყვანის" შესახებ.

სოხუმის დაცემისა და ესენგეში საქართველოს გაწევრიანებისთანავე ირაკლი ბათიაშვილი თანამდებობიდან გადადგა. იგი მიხვდა, რომ მასზე ხელი შეიწმინდეს და შეეცადნენ, მისი საქმიანობა მისი მრწამსის საპირისპიროდ მიემართათ. ბათიაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა ამით არ დასრულებულა. 5 ნოემბერის არჩევნებში მან

მხოლოდ ერთი ხმით აჯობა მოწინააღმდეგეს. როგორც ჩანს, განგებამ ასე ინება: ეს ფიგურა მაინც შემორჩენოდა პოლიტიკურ სცენას. როგორც დამარცხებული, მაგრამ გაუტეხელი ქართული ეროვნული მოძრაობის სიმბოლო.

ზაზა ბარქაია

გაზ. „მერიდიანი“ №11 (094)
14-18 თებერვალი, 1997 წ.

„სისულელეა, საქართველოში გამსახურდიას აგენტობის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს!“

ირაკლი ბათიაშვილი — საქართველოს პარლამენტის წევრი. თბილისის ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. დაიბადა 1961 წელს. დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1987 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია. დახვეწილი მანერების მქონე, ინტელიგენტი, განათლებული ლიდერი უკიდურესი რადიკალიზმის ფონზე ზომიერი პოზიციით გამოირჩევა და უდიდესი სიმპათიებით სარგებლობს. 1991 წელს საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, იგი ოპოზიციაშია და კონგრესის შექმნასა და მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს. სამხედრო გადატრიალების შემდეგ სახელმწიფო საბჭოს სამაჩაბლოს კომისიაში მუშაობს. 1992 წელს ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით ირაკლი ბათიაშვილი სუკ-ის ბაზაზე შექმნილი საქართველოს საინფორმაციო სადაზვერვო ბიუროს ხელმძღვანელად ინიშნება, რაც საზოგადოებაში გარკვეულწილად გაუგებრობასა და მის მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, ხელისუფლებასთან უთანხმოების გამო იგი თანამდებობას საკუთარი განცხადებით ტოვებს.

— ბატონო ირაკლი, საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომ 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადებულიყო. საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ამ ინიციატივით დღევანდელ ხელისუფლებას სურს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ცოტა ახლოდან დაიწყოს და ხაზი გადაუსვას იმას, რაც დღემდე იყო. ეთანხმებით თუ არა პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას?

— ალბათ, პრეზიდენტს ასეთი პოზიცია აქვს. ამის უფლებას ვერავის წავართმევთ. პირადად მე მიმაჩნია, რომ 26 მაისი სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. პრეზიდენტის პოზიცია კი ამგვარად შეიძლება აიხსნას — 1918 წლამდე საქართვე-

ლოს ისტორიაში არსებობდა პერიოდი, როცა ქვეყანა რუსეთის მიერ ანექსირებული იყო. მანამდე, 1801 წლამდე, ფაქტობრივად, ერთიანი სახელმწიფოებრიობა არც არსებობდა. საქართველო ცალკეულ სამეფოებად თუ კუთხეებად იყო დაყოფილი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ტრაგედიაა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას, კუთხური მენტალიტეტის მსხვრევას უზარმაზარი დრო დასჭირდა. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოსთან ჩვენი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ერთიანი ქართული ცნობიერება გვაქვს, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფო დღესაც არ არსებობს. იგი ძალადობის გზით დაიშალა. ამიტომ პრეზიდენტის ასეთ პოზიციას შეიძლება გარკვეული საფუძველი ჰქონდეს.

— ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დღეს ხელისუფლება შეგნებულად ცდილობს, ხაზი გადაუსვას, უარყოს ეროვნული მოძრაობის მიღწევები?

— სხვათა შორის, ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის პროცესი კარგა ხანია დაიწყო. ისეთი ცნებები, როგორიც არის ეროვნული და ქართული, ერთი პერიოდი მდარე გემოვნების გამოხატულებადაც კი იქცა. ეს გარკვეულწილად ჩვენს პროვინციალიზმზე მეტყველებს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ყველაზე მყარი კატეგორიებია, რომლებიც მოდიდან არასდროს გადადის და რაზეც ევროპული ცივილიზაცია აიგო. 1992 წლიდან ეროვნული ღირებულებების მიმართ ალერგიული დამოკიდებულება თანდათან გაძლიერდა. მე არ ვამბობ, რომ ეროვნულ მოძრაობაში შეცდომები არ ყოფილა. თავადაც ამ მოძრაობის წარმომადგენელი ვიყავი და შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო — ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ჩვენ ამ პროცესებისთვის მოუმზადებელნი აღმოვჩნდით. მაგრამ არ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა არ დაინახოს ის როლი, რომელიც 80-იანი წლების მიწურულს ეროვნულმა მოძრაობამ ითამაშა, თუნდაც ქართული სახელმწიფოს იდეის დამკვიდრებაში და ტოტალიტარული სისტემის მსხვრევაში. ამის შეუფასებლობა არ შეიძლება. დრო მოვა, ყველაფერი ხელახლა გადაფასდება და იმ პერიოდს უდიდესი პატივისცემით გაიხსენებენ...

— როგორ ახსნით დღევანდელი ხელისუფლების ქმედებას — ეს ეროვნული ძალებისადმი ერთგვარი შიშია, თუ იმ პერიოდში მათი უსუსურობისა და უმოქმედობის დამალვის მცდელობა?

— რა თქმა უნდა, ესეც არის. თუ დღევანდელ ხელისუფლებას თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ უმაღლეს ეშელონებში

ყოფილი კომუნისტური, პარტიული ნომენკლატურის დიდი ნაწილია თავმოყრილი. ეს ხომ ის კომუნისტური ელიტაა, რომელიც დღეს დემოკრატიული იდეოლოგიით და მართვის თანამედროვე სტანდარტებით „მუშაობს“.

— ეს ხომ ის ხალხია, სწორედ ამ დემოკრატიულ იდეოლოგიას რომ ებრძოდა?

— გეთანხმებით, ეს ის ხალხია, ვინც ეროვნულ მოძრაობას უპირისპირდებოდა, ვისაც ვებრძოდით... ამიტომაც მათი დამოკიდებულება გასაგებია.

ეროვნულ მოძრაობაში პროცესები ტრაგიკულად განვითარდა. მოხდა მისი გამოშიგვნა, გამოფიტვა. თვალი გადაავლეთ, რას წარმოადგენს დღევანდელი ეროვნული მოძრაობა. ეს ხომ დაქსაქსული, გამოფიტული და გამოხშირული ძალაა.

— კი, მაგრამ ყოფილი კომუნისტური ელიტა სწორედ ამით სარგებლობს და ლამის დისიდენტობას იბრალებს, ზოგჯერ ამის დასტურად ისეთ არგუმენტებს ასახელებს, რომ კურიოზებამდეც კი მივდივართ. ბევრმა პირგამეხებულმა კომუნისტმა სიონთან რომ იყო ჩასაფრებული და მერე ეკლესიაში შესულებზე, სადაც ჯერ არს, „დანოსებს“ წერდა, დღეს ეროვნული იდეების მანტია მოიცვა და ყველაზე ხმამაღლა გაჰყვირის — გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო! ხალხი დაიბნა, ვის უნდა ენდოს, ვის დაუჯეროს... აღარც ეროვნული მოძრაობის ლიდერები ჩანან...

— ეროვნულ მოძრაობაშიც იყვნენ ადამიანები, სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში უვარგისნი რომ აღმოჩნდნენ.

— ასეთი ძალიან ბევრი იყო...

— მაგრამ, ფაქტობრივად, პარტიული ნომენკლატურის უმრავლესობამ ეროვნულობის ქურქი გადაიცვა და დღეს აუცილებელი გახდა დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის სახელით ილაპარაკონ. თუმცა, იმასაც ნუ უარვყოფთ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებმაც მენტალიტეტი შეიცვალეს და მართლაც უნარი აქვთ, ერს ემსახურონ. ამის უფლებას ვერავის წაართმევ.

სამწუხარო ის არის, რომ პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ინერციას მიჰყვება. თუ გუშინ კომუნისტურ წყობაში უნდა ეცხოვრათ, თავისი კარიერა გაეკეთებინათ და სხვა რეალობას ვერ ხედავდნენ, ასი წელი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სსრ კავშირი დაინგრეოდა, დღეს ისინი ახალ სიტუაციას კარგად მოერგნენ.

— თქვენ ბრძანეთ — მეც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ვიყავიო, დღეს აღარ თვლით თავს ამ მოძრაობის წარმომადგენლად?

— არა, არა, მე ეროვნული მოძრაობის არათუ წარმომადგენელი, ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე ვამაყობ ჩემი წარსულით.

— მაშინ რატომ ვსაუბრობთ წარსულ დროში?

— სამწუხაროა, მაგრამ დღეს ეროვნული მოძრაობა აღარ არსებობს. წესით, ამ ეტაპზე ეროვნულ იდეოლოგიას სახელმწიფო უნდა ატარებდეს. თუ სახელმწიფო ანტიეროვნულია, მაშინ ეს ოპოზიციის დონეზე მაინც უნდა ხდებოდეს. დღეს ვერც ერთ რეალობას ვერ ვხედავ, ამიტომაც ვთქვი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ვიყავი-მეთქი. დღეს პარლამენტის წევრი ვარ. სახელმწიფო სტრუქტურები ეროვნული იდეოლოგიით უნდა იყოს გაჟღენთილი. დღეს ხომ საომარ სიტუაციაში ვართ, დაკარგული ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთ. ამიტომაც, ამას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება ინერტული, ამორფული ძალა კი არ უნდა იყოს, თავისი ეროვნული პროგრამა, კონცეფცია უნდა ჰქონდეს და მოქალაქეების ამ იდეებით დამუხტვა შეეძლოს.

— დღეს თვლიან, რომ პარლამენტში ოპოზიცია არ არსებობს. ხელისუფლებამ საკანონმდებლო ორგანოში ის ძალები შეიყვანა, ვინც აწყობდა. სამწუხაროა, მაგრამ ამას თქვენს შესახებაც ამბობენ...

— პირადად მე პარლამენტში ხელისუფლებასთან შეთანხმებით არ შევსულვარ.

— ამბობენ, რომ ეს ჩვეულებრივი გარიგება იყო — თქვენ დატოვეთ საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს ხელმძღვანელის პოსტი, სამაგიეროდ, პარლამენტის წევრის ადგილი მიიღეთ.

— მე მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატი ვარ. ჩემს უკან არც პარტია მდგარა, არც ფინანსები, ჩემი მეგობრები და მხარდამჭერები მეხმარებოდნენ. ეს საკმაოდ მობილური და ორგანიზებული ძალაა.

არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთი გარიგება ყოფილიყო. საქმეში ჩახედულმა კაცმა არ შეიძლება ეს დაიჯეროს. ვაკის რაიონი თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური და რთული რაიონია. იქ გააფთრებულ ბრძოლაში გავიმარჯვე. მებრძოდნენ პარტიები, სხვა ძალებიც, ჩემი დეპუტატობა მე და ჩემმა მეგობრებმა კბილებით გავიტანეთ. თქმით კი, ყველაფრის თქმა შეიძლება, რაც შეეხება ოპოზიციას, ედპ-ზე ეს არ ითქმის. არჩევნების წინ ეს ყველაზე ორგა-

ნიზებული, ძლიერი, ერთ მუშტად შეკრული პარტია იყო. მათი გათიშვა მერე მოხდა.

თუმცა, ის მომენტიც არსებობს, რომ ხელისუფლებას ყოველთვის ურჩევნია პარლამენტში კონსტრუქციული ოპოზიცია ჰყავდეს, ვიდრე ისეთი, ვინც ხვალ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდება და მისი მოსისხლე მტერი გახდება.

— ამ არჩევნებში ხელისუფლებას ოპოზიციის არჩევის საშუალება ჰქონდა?

— არ ვიცი, არ ვიცი... (იცინის).

— როგორც ვიცი, თქვენ ერთ დროს ედპ-ს წევრი იყავით, რატომ დატოვეთ ეს პარტია?

— მე ბევრი პარტიის წევრი ვიყავი — ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, წმინდა ილია მართლის, ედპ-ს, მერე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის.

— ედპ-დან რატომ წამოხვედით?

— დიდხანს არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ. შინაგანად პარტიულ სტრუქტურებს ვეწინააღმდეგები.

— უდისციპლინო ადამიანი ხართ?

— არა, დისციპლინა მიყვარს. მაგალითად, ძალიან მსიამოვნებს სამხედრო დისციპლინა...

— ესე იგი, პარტიულ დისციპლინას ვერ ეგუებით?

— ჰო, უნდა ვაღიარო, ვერ ვეგუები. პოლიტიკაში პიროვნებები უდიდეს როლს ასრულებენ.

— ზვიად გამსახურდიასთან პირადი კონფლიქტი გქონდათ, თუ მაშინ თქვენი ოპოზიციაში ყოფნა პოლიტიკური პოზიციით იყო განპირობებული?

— გამსახურდიასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. მინისტრად რომ დავინიშნე, მაშინაც კი ამ ფაქტს მისგან ნეგატიური რეაქცია არ მოჰყოლია. როცა ყველას ლანძღავდა, არ მახსოვს, ჩემზე რაიმე ცუდი ეთქვას. ჩვენს შორის წინააღმდეგობა ეროვნული ფორუმის შექმნამდე გაჩნდა. ის ყოველთვის მეუბნებოდა — დაანებე მაგათ თავი, ჩემთან წამოდიო. იგი ასე სვამდა საკითხს — ან ჩვენთან, ანდა ვერ ვითანამშრომლებთ...

— ესე იგი, ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია...

— ეს ნორმალური დამოკიდებულება იყო, ეროვნული მოძრაობის ორი ფრთა ერთმანეთს უპირისპირდებოდა. მე ოპოზიციაში აღმოვჩნდი.

— უცნაურია, მაგრამ დღეს ზოგიერთი ისე გათავხედდა, რომ ზვიად გამსახურდიას, ყველაფერთან ერთად, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტობასაც აბრალებს. არადა, იგი მთელი ცხოვრება ამ აგენტებს ებრძოდა და ხმამაღლა აცხადებდა — საქართველოში დესტაბილიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი უცხოეთის სპეცსამსახურების აგენტურის გაძლიერებაა.

— სისულელეა. ვინც გამსახურდიას აგენტობას აბრალებს, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინოს. საქართველოში გამსახურდიას აგენტობის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს.

ამბობენ, რომ იგი მართვადი და მერყეევი პიროვნება იყო. გარკვეულმა ძალებმა ხელი შეუწყვეს, რომ ჯერ ლიდერი, შემდეგ კი პრეზიდენტი გამხდარიყო. ესეც სიცრუეა, მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა მას ებრძოდნენ. ფაქტია, რომ გამსახურდია ეროვნული მოძრაობის პირველი ლიდერი იყო და დისიდენტურ მოძრაობას სწორედ მან გაუკვალა გზა.

ესაუბრა მაია ფურცელაძე

გაზ. „ალია“ №69 (239)
5 მაისი, 1997 წ.

„ჩვენს პარტიზანს იმისიც ეშინია, რომ შემდეგ სახელმწიფო არ მოუტრიალდეს და არ უთხრას — შენ ტერორისტი იყავი და ამიტომ გიჭერო!“

— ბატონო ირაკლი, რატომ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისათვის წამგებიანი ქართველ პარტიზანებთან ურთიერთობა, განა საერთაშორისო სამართალი არ აძლევს ხალხებს პარტიზანული ომის უფლებას?

— საქართველოს ხელისუფლება პარტიზანებთან კავშირში ნამდვილად არ იმყოფება, მაგრამ აქ მარტო ამ განცხადებაზე არაა საუბარი. კიდევაც რომ იდგეს სახელმწიფო პარტიზანული მოძრაობის უკან, ამის შესახებ არსად არავინ განაცხადებს. მე მოგიყვანთ ავღანეთის მაგალითს. ავღანეთში ომის მიმდინარეობისას ავღანელ მოჯაჰედებს პეშევარში ამზადებდნენ. მათ იფარავდა პაკისტანის ხელისუფლება. მოჯაჰედების მომზადებისა და გაწვრთნის უკან იდგნენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, იტალია და სხვა წამყვანი სახელმწიფოები, მაგრამ არავინ არ აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აწარმოებდნენ პარტიზანულ ომს და ამისათვის სპეციალურად წვრთნიდნენ ავღანელ მოჯაჰედებს. ყოველივე ამას მკაცრად კონსპირაციული სახე ჰქონდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ხდებოდა მაშინ, როცა სახელმწიფო ან სახელმწიფოები იდგნენ პარტიზანული მოძრაობის უკან. უფრო მეტსაც გეტყვით, მეორე მსოფლიო ომის დროს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პირადად საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი ხელმძღვანელობდა პარტიზანულ მოძრაობას და ყველასათვის კარგად ცნობილი, ლეგენდარული სიდორ კოვპაკი მხოლოდ და მხოლოდ სტალინს ემორჩილებოდა. ამ კავშირსაც, რა თქმა უნდა, სრულიად საიდუმლო ხასიათი ჰქონდა, იმიტომ, რომ პარტიზანული ომი ომის კანონს, წესებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, გერმანელები არსად არ აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძოლებს, რადგან ისინი თავიანთი ჭკუით ომის კანონებს იცავდნენ.

— ბატონო ირაკლი, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ საერთაშორისო სამართალი პარტიზანულ ომს განიხილავს, როგორც სამართლიან ბრძოლას და ხალხის ნების გამოხატულებას.

— მაგრამ ხალხი არ არის სახელმწიფო.

— პირიქით, ბატონო ირაკლი, სახელმწიფო სწორედაც რომ ხალხია.

— პარტიზანული ომი სპონტანური ომია, რომელსაც ხალხი აწარმოებს.

— ბატონო ირაკლი, მე ვსაუბრობ იმაზე, რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ამ ხალხს, პარტიზანული ომი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა ავიყვანოთ.

— სახელმწიფო თავისი ბიუჯეტიდან ვერ უზრუნველყოფს პარტიზანების დახმარებას, მაშინ ბიუჯეტში უნდა შევიდეს სპეციალური გრაფა, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. პარტიზანული მოძრაობის ლეგალიზაცია სახელმწიფოს მიერ შეუძლებელია. ჩვენს პარტიზანებს ყველაზე მეტად იმის ეშინიათ, რომ ზურგში არ ესროლოს ვინმემ ტყვია. პარტიზანს იმდენად თავისი მოწინააღმდეგის არ ეშინია, რამდენადაც იმის, რომ ზურგი ჰქონდეს უზრუნველყოფილი. ჩვენს პარტიზანს იმისიც ეშინია, რომ შემდეგ სახელმწიფო არ მოუტრიალდეს და არ უთხრას — შენ ტერორისტი იყავი, დივერსიებს აწყობდი და ამიტომ გიჭერო! სხვათა შორის, პარტიზანების გარკვეული ნაწილი ციხეში ნაჯდომია იარაღის უკანონო ტარებაზე და ა.შ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ ჰქონდეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური კომპლექსი — აი, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სახელმწიფოებმა შეიძლება დაგმონ ჩვენი ხელისუფლება და ტერორიზმში დაგვადანაშაულონ. პარტიზანული ომი არავითარი ტერორიზმი არაა. ეს სულ სხვა ცნებაა; წმინდა მორალური თვალსაზრისით, პარტიზანების მიმართ ხელისუფლებისაგან უნდა მოდიოდეს მხოლოდ და მხოლოდ კეთილგანწყობა, რადგან ფსიქოლოგიურ და მორალურ მხარდაჭერას გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მეომრისათვის, ვიდრე მის ფინანსურ და მატერიალურ უზრუნველყოფას. ამის პროპაგანდა უნდა ხდებოდეს ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ხელისუფლების მხრიდან ეს იქნება ნორმალური და ადამიანური რეაქცია, რადგან, თუ ქართველი ხარ, შეუძლებელია შენში აღტაცებას არ იწვევდეს იმ მეომრის მოქმედება, რომელიც ფაქტიურად საკუთარი ბედის ანაბარა იბრძვის. პარტიზანს ხელი არ უნდა შეეშალოს. თუ ხელს არ შეუწყობს, სახელმწიფომ ხელი

მაინც არ უნდა შეუშალოს პარტიზანულ მოძრაობას. სეპარატისტების მხრიდან ერთ-ერთ მოლაპარაკებაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თუ ეუთოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ერთობლივი დოკუმენტიც კი მიიღეს, სადაც ნათქვამია, რომ ქართველები და აფხაზები ერთად უნდა ებრძოდნენ ტერორიზმს. ჩვენი მხარე იძახის, რომ ტერორიზმში იმას ვგულისხმობთ, რასაც აფხაზი „ბოევიკები" სჩადიან და ხელშეკრულებას იმიტომ მოვაწერეთ ხელიო. აფხაზი სეპარატისტები ამბობენ — ტერორიზმში პარტიზანულ მოძრაობას ვგულისხმობთო. სეპარატისტები ეშმაკურად იქცევიან იმდენად, რამდენადაც იმ ხელშეკრულებაში სიტყვა „პარტიზანი" არსად არ არის ნახსენები და ყველგან ტერორისტებზეა ლაპარაკი. ტერორიზმს, ცხადია, ყველა უნდა ებრძოლოს, ტერორიზმს მთელი მსოფლიო ებრძვის და მათ შორის, ჩვენც. მაგრამ სეპარატისტები შეგნებულად არ მოიხსენიებენ სიტყვა „პარტიზანი", რადგან პარტიზანული ომი მსოფლიოს მიერ აღიარებული და მიღებული ბრძოლის ფორმაა.

— ბატონო ირაკლი, თქვენ საუბრისას ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს შეეხეთ. საქმე ეხება საერთაშორისო სამართალს. ცნობილია, რომ საერთაშორისო სამართალი მსოფლიოს იმ სახელმწიფოებმა შექმნეს და დაწერეს, რომლებიც ყველაზე უფრო არღვევდნენ და დღესაც არღვევენ ამ სამართლის ნორმებს. აფხაზეთში ქართული იურისდიქციის განსავრცობად რამდენად წაგვადგება მარტო იმის ძახილი, რომ ჩვენ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებით ვიბრძვით და მხარს ვუჭერთ კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით დარეგულირებას, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? ფაქტია, რომ გაეროს სამშვიდობო მისია და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს საკეთილდღეოდ აფხაზეთში ვერავითარ რეალურ ამინდს ვერ ქმნიან.

— პოლიტიკა რამდენადაც დე იურეა, იმდენად დე ფაქტოცაა. პოლიტიკაში ფაქტს უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ პოლიტიკაში არსებობს ე.წ. უფლების უფლება, მის გვერდით გვაქვს ძალის უფლებაც. ჩვენ შეგვიძლია ყველასთან და ყოველნაირ დონეზე ვაწარმოოთ დიალოგი, მოვიშველიოთ ათასნაირი სამართლებრივი ნორმები, მაგრამ დიალოგი დიალოგად დარჩება, რადგან პოლიტიკაში ისეთი საკვანძო საკითხები, რომლებიც ტერიტორიის ოკუპაციას ეხება, სამართლებრივი ნორმების ძალით არასოდეს გადაწყვეტილა. რა თქმა უნდა, იურიდიულ ფონსა და ასპექტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სადაო ტერიტორიის საბოლოო ბედი ძალის გამოყენების გარეშე

არსად გარკვეულა. პოლიტიკა ცხოვრებაა, სიცოცხლის ერთ-ერთი განზომილებაა ცხოვრებაში. შეიძლება, მე ადამიანს უამრავ საკითხზე ვედავო, მოვიშველიო ყოველნაირი იურიდიული, მორალური არგუმენტი ჩემი პოზიციების დასაცავად, მაგრამ თუ მე ფიზიკური ძალა არ გამაჩნია საიმისოდ, რომ რეალიზება გავუკეთო ჩემს არგუმენტებს და ჩემი სიმართლე დავამტკიცო, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, ეს იქნება წყლის ნაყვა. ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ პოლიტიკაში ძალას უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება — სამწუხაროდ, ასეა. სანამ ჩვენს სახელმწიფოსა და ხელისუფლებაში არ დაინახავენ საკმარის ძალას იმ თვალსაზრისით, რომ უნარი მოგვიწევს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩვენი იურისდიქცია აღვადგინოთ, საქართველოს ამ ნაწილზე კონტროლი დავამყაროთ, მანამდე ლაპარაკი იმაზე, რომ ლტოლვილებს დავაბრუნებთ (მერე ის იქნება, მოლაპარაკებებში ჩვენ სიმართლეს დავამტკიცებთ, წინ წავალთ და ა.შ.), თავის მოტყუებაა. ეს რეალურ შედეგს ჩვენ ვერასოდეს მოგვიტანს. მოწინააღმდეგემ უნდა დაინახოს, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მჯდომი ჩვენი ხელისუფლების უკან დგას რეალური ძალა, რომლითაც შესაძლებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება. ის ილუზია, რომ საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტის მეშვეობით, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების მხოლოდ მორალური მხარდაჭერით, შევძლებთ აფხაზეთის დაბრუნებას დანარჩენი საქართველოსთვის და ისიც — უმტკივნეულოდ, ბლეფია. რა თქმა უნდა, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში პოლიტიკური ფაქტორები უდიდეს როლს თამაშობს, მაგრამ ძალა არის ძალა.

P.S. ჩვენი საუბარი მოულოდნელად შეწყდა. ვაკის რაიონის გამგეობის მე-5 სართულზე, იმ ოთახში, სადაც მე და ირაკლი ბათიაშვილი ვიყავით, ერთი, 40 წელს მიტანებული, სამხედროფორმიანი, წვერმოშვებული კაცი შემოვიდა და სამი ახალგაზრდა ბიჭი შემოიყვანა. ყველაფერს ულაპარაკოდ მივხვდი და გამოსამშვიდობებლად წამოვდექი. ბათიაშვილმა ზრდილობიანად მომიხადა ბოდიში... საქართველოს ყოფილი საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ყოფილმა შეფმა მჭიდროდ მიიხურა ტყავგადაკრული კარი.

ესაუბრა **დიტო ჩუბინიძე**

გაზ. „ახალი თაობა“ №139
23 მაისი, 1998 წ.

სოხუმი ხუთი წლის წინ

— 27 სექტემბერს, ისევე, როგორც მანამდე დიდი ხნით ადრე, სოხუმში ვიყავი. როგორც კი სიგნალი მივიღე, რომ მოწინააღმდეგის ტექნიკა ქალაქისკენ დაიძრა, სახელმწიფოს მეთაურთან ერთად, იმ დღესვე სოხუმში გადავფრინდი.

— ეს როდის იყო?

— ზუსტად აღარ მახსოვს. თუ არ ვცდები, სადღაც 15 სექტემბერი უნდა ყოფილიყო. მანამდე, აგვისტოში, ეს ინფორმაცია უკვე გვქონდა. ჩვენ, უშიშროების სამსახური, ხელისუფლებას შეიარაღების, ტექნიკის შესახებ ზუსტი ინფორმაციით და მონაცემებით მუდმივად წინასწარ ვამარაგებდით. ზუსტად ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგე სოხუმზე იერიშს აუცილებლად დაიწყებდა.

— თუ ინფორმაციას წინასწარ ფლობდით, შესაბამისი ზომები არ მიიღეთ?

— სამხედრო თვალსაზრისით, შესაბამის ზომებს ველარ მივიღებდით.

— რატომ?

— ჩვენი მხარე, ფაქტობრივად, განიარაღებული იყო.

— ეს როგორ?

— როგორ და ივლისის ხელშეკრულებით. ამიტომაც, სამხედრო ღონისძიებებს ვერ მივიღებდით. მხოლოდ ზემოქმედების პოლიტიკური საშუალებები რჩებოდა.

— ვისზე უნდა მოგეხდინათ ზემოქმედება?

— რუსეთის მხარეზე, როგორც შუამავალზე და გაეროს წარმომადგენლებზე, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამან არანაირი შედეგი არ მოიტანა. კარგად მახსოვს სოხუმში შევარდნაძის გადაფრენის დღე. მაშინ უკვე ფრენები პრობლემატური გახდა. მოწინააღმდეგემ ტექნიკა რომ დაძრა, მას ქალაქში შემოსვლა დაუბრკოლებლად შეეძლო.

— რატომ, ჩვენი მეომრები რას აკეთებდნენ?

— ფრონტის ხაზი, შეთანხმების შემდეგ, პრაქტიკულად, აღარ არსებობდა. აღარ გვქონდა მძიმე ტექნიკა, განაღმული იყო გუმისთა.

ამიტომაც, შეიძლება, სოხუმში ჩაფრენილიყავი და იქ უკვე აფხაზები დაგხვედროდნენ. შევარდნაძის სოხუმში გაფრენას ბევრი პოლიტიკოსი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მან რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და მითხრა: — ჩვენ ერთად უნდა გავფრინდეთო. ჩვენთან ერთად კოტე გაბაშვილიც იყო.

— შევარდნაძის სოხუმში ჩაფრენას პოლიტიკოსები დღეს პოპულიზმად ნათლავენ. როგორ ფიქრობთ, რა იყო ეს?

— რაღა პოპულიზმზე შეიძლებოდა საუბარი? რა დროს პოპულიზმი იყო, სოხუმი ეცემოდა! მოსახლეობა უკვე გიჟს ჰგავდა. ლამაზი მოქმედებებისთვის აღარავის ეცალა. ეს მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, სწორი, შეუპოვარი და თავგანწირული ნაბიჯი იყო... 27 სექტემბრამდე სოხუმის შენარჩუნება, ფაქტობრივად, მეომრების გმირული ენთუზიაზმით მოხდა. ესენი, ძირითადად, ადგილობრივი, 23-ე ბრიგადის ხალხი გახლდნენ, რომლებმაც, როგორც კი შემოტევის შესახებ ინფორმაცია მიიღეს, მაშინვე გუმისთაზე პოზიციები დაიკავეს. არ შემიძლია, არ გავიხსენო გენო ადამია და მისი გმირული მოქმედებები. ყველა იქ ვიყავით, მე, თავდაცვის მინისტრი, გია ყარყარაშვილი... ქალაქის გასამაგრებლად თბილისიდან გარკვეული ძალების გადმოსროლა დაიწყო. არ დამავიწყდება ჟიული შარტავას, მართლაცდა, არნახული შემართება. უმძიმესი დღეები გადავიტანეთ. როგორ იყო, იცით? ერთი დღე — შეტევა... მოვიგერიეთ... მერე მეორე დღე — ისიც მოვიგერიეთ... მაინც, იმედი გვქონდა... მერე კალესნიკოვი გამოვიდა და განაცხადა: „Завтра Сухуми будет абхазским городом", უკვე ყველაფერი ნათელი იყო... ის დღეც გადავიტანეთ... ამის შემდეგ უფრო გვქონდა იმედი, რომ სოხუმს არ დავკარგავდით. თანაც, ამას უკვე ზვიადისტ ქობალიასთან მოლაპარაკებებიც მოჰყვა. ქობალია დაგვთანხმდა, რომ ერთობლივი ძალებით ყველანი აფხაზეთისკენ დაიძვრებიან და ჩვენს მძიმე ტექნიკასაც გამოუშვებენ. ყველა ფრონტის ხაზზე გავდიოდით.

— რომელ სიმაღლეებს ამაგრებდით ამ დროს?

— თავიდან თითქმის ყველა სიმაღლე დაკავებული გვქონდა. სოხუმის დაცემა, ფაქტობრივად, მაშინ დაიწყო, როცა მოწინააღმდეგემ ახალშენი, შრომა და კამანი აიღო. ეს სტრატეგიული, ცენტრალური სიმაღლეები იყო. შემდეგ ჩვენ უკვე მოშიშვლებულ ადგილზე აღმოვჩნდით. მახსოვს, ჯაბა იოსელიანთან ერთად პოზიციებზე ვიყავი გასული. მოწინააღმდეგემ „გრადები" დაგვიშინა. ერთი შორიახლოს გასკდა, მეორე უფრო ახლოს, მესამე უკვე ძალიან ახლოს აფეთქდა, ერთმანეთს შევხედეთ და, — გადავინაცვლოთ,

თორემ, ახლა უკვე თავზე დაგვეცემაო, — ამის თქმა კი მოვასწარით და მეოთხეც წამოვიდა. სასწრაფოდ დავწექით. ფერფლმა თავზე გადაგვიარა. საოცრად ლამაზი სანახავი იყო — სულ ღვიოდა. აი, ასე იყო, ყველა პოზიციაზე ვიყავით და გვინდოდა, ჩვენი ბრძოლისთვის ხალისი და სულისკვეთება ჩაგვებერა.

— თუ თქვენ განიარაღებულები იყავით, გამოდის, ჩვენი საჯარისო ფორმირებები პარტიზანულ მოქმედებებზე გადავიდნენ?

— არა, ეს პარტიზანული მოქმედებები არ ყოფილა. ეს, ფაქტობრივად, განიარაღებული შეიარაღებული ძალების მოქმედებები იყო. მაშინ შარტავამ, ერთ-ერთი უმძიმესი დღის გადატანის შემდეგ მითხრა: დრო მოვა და ამაზე იტყვიან, მასობრივი გმირობის პერიოდი იყოო. მას იმედი ჰქონდა, რომ სოხუმს შევინარჩუნებდით. მოწინააღმდეგის, როგორც საარტილერიო, ასევე საზღვაო და სახმელეთო ზეწოლა თანდათან ძლიერდება. სიტუაცია ნელ-ნელა იძაბება, მაგრამ, პარალელურად, ოჩამჩირეში უკვე თავს იყრის ჩვენი, როგორც სამთავრობო, ასევე ქობალიას ძალები. თანაც, ისინი ოჩამჩირე-კოდორის მონაკვეთს ძალიან დიდი სისწრაფით, თითქმის, წინააღმდეგობის გარეშე გამოდიან. მდინარე კოდორზე თუ გადმოვიდნენ, მორჩა, გათავეულია საქმე... აქ საუბარია 58 ერთეულ ჯავშანტექნიკაზე და დაახლოებით, 4-5 ათას კაცზე. ეს ძალა ოჩამჩირეში იყო კონცენტრირებული. ისინი რომ შემოსულიყვნენ, ფაქტობრივად, კონტრშეტევაზე გადასვლა მომენტალურად მოხდებოდა, თანაც, გუმისთა განაღმული იყო. პირველ დღეებში საერთოდ გაურკვეველი იყო წამოვიდოდნენ თუ არა დამხმარე ძალები სოხუმისკენ და საერთოდ, ქობალიასთან მოლაპარაკება შედგებოდა თუ არა. გავიდა ერთი, ორი, სამი, ოთხი დღე... გავძელით. მახსოვს ის თათბირი, როცა ჩვენ უკვე წელგამართულები ვართ — მორჩა, გავიმარჯვეთ! ხვალ თუ არა ზეგ ეს ძალები გადმოვლენ! თათბირზე მთავარსარდალმა შევარდნაძემ განკარგულება გასცა: „მოამზადეთ კონტრშეტევაზე გადასვლის გეგმა!“ აქ უკვე გადაწყდა: შეტევას დავიწყებდით და აღარც გავჩერდებოდით, ბოლომდე გავიდოდით! ყველა მეომარი სულმოუთქმელად ელოდებოდა მაშველს. ჩვენი ძალების დიდი ნაწილი ოჩამჩირეში იყო გაჩერებული და იქიდან არც დაძრულა.

— რატომ?

— არ ვიცი, არ დაძრულა და მორჩა. სოფელ ახალდაბაში კი, საიდანაც მდინარე კოდორამდე რამდენიმე კილომეტრია დარჩენი-

ლი, ჩვენი ძალები გაჩერდნენ. მათ კოდორი არ გადმოლახეს. მოკ-ლედ, მეომრების ერთი ნაწილი ახალდაბასთან დარჩა. მეორე სამასი კაცი ყარყარაშვილმა გადმოიყვანა. ძირითადი ნაწილი კი ოჩამჩირეში დარჩა. მაშინ ოჩამჩირის შტაბში ზვიად გამსახურდია ჩავიდა. მე, რა თქმა უნდა, ჩემი ინფორმაციები მქონდა. ზუსტად ვიცი, რა ხდებოდა იმ პერიოდში.

— რა ხდებოდა?

— ფაქტობრივად, იქ, შტაბში (სადაც გამსახურდიას მომხრეებთან ერთად, სამთავრობო ჯარების ხელმძღვანელებიც იყვნენ და ცხადია, ყველაზე არ ვამბობ), უკვე სახელმწიფო გადატრიალება იყო მომხდარი.

— უფრო კონკრეტულად, ეს გადატრიალება ვინ მოახდინა?

— აქ უკვე ფორმირებულ შეთქმულებასთან გვქონდა საქმე. ეს ძალები ჩვენს დასახმარებლად არ უნდა შემოსულიყვნენ. სოხუმი უნდა დაცემულიყო, შევარდნაძე კი იქ დაიღუპებოდა. ეს ძალები კოდორს აქეთ გამაგრდებოდა, ოღონდ, გამსახურდიას რომ ეგონა, მას დაუდგებოდნენ გვერდში, სხვაგვარად მოხდა: ქობალია და სამთავრობო ჯარების ბევრი ხელმძღვანელი პირი სულ სხვა პიროვნებაზე, სულ სხვა, მესამე ძალაზე მუშაობდა. ამის მომსწრეები და მოწმეები არიან. ამ თემას მეტს აღარ დავაკონკრეტებ. კოდორს იქით პროცესები სულ სხვა ძალის კარნახით მიდიოდა. იქ ბევრი, ვინც იბრძოდა, გულწრფელად მონდომებული იყო და მცდელობა არ დაუკლიათ, რომ, როგორმე, ახალდაბის გამაგრებული პოზიციები გაერღვიათ, მაგრამ, მთლიანობაში, ეს ძალა გამოუყენებელი რომ დარჩა, ამ შეთქმულების გამო მოხდა.

— ქობალიასთან მოლაპარაკებებს ვინ აწარმოებდა?

— ძალიან ბევრი, რა საჭიროა დასახელება?

— კოდორს იქით სიტუაციას იგორ გიორგაძე აკონტროლებდა?

— არა, არა, იგორ გიორგაძე ერთ-ერთი რგოლი იყო... მოკლედ, ეს ძალები კოდორთან გაჩერდნენ. ამასობაში კი სოხუმზე ზეწოლა ძლიერდება. ხდება გარღვევა, შემოდიან ქალაქში, აიღეს სადგური, ფუნიკულიორი...

— ფუნიკულიორზე რა მოხდა? ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი იყო.

— ფუნიკულიორზე რაც მოხდა, ეს ნამდვილი ღალატი იყო. ვისაც დაცვა ჰქონდა ჩაბარებული, მან, ელემენტარულად, პოზიცია დატო-ვა და წავიდა.

— ვინ იყო?

— 23-ე ბრიგადის ერთ-ერთი ბატალიონის უფროსი. ფუნიკულიორი რომ აიღეს, სახელმწიფოს მეთაურს შევთავაზე, პირადად წავიდოდი და პოზიციებს დავიბრუნებდი. ღამე მოიერიშე ძალები შევკრიბე. ძირითადად, ბორჯომის „მხედრიონი" და „ავღანელები". წინასწარი საარტილერიო დამუშავება ქვარაიამ გააკეთა. სასაკლაოზე მივდიოდით. დაახლოებით, 50-60 კაცი ვიყავით, ეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგე ფუნიკულიორზე ორჯერ მეტი იყო. სიმაღლის აღებისას კი 4-5-ჯერ მეტი ძალა უნდა გყავდეს. თითქმის, ბოლომდე ავედით, მაგრამ ბევრი მეომარი დაგვეღუპა. ამასობაში ინფორმაცია მოვიდა, რომ აფხაზები უკვე ქალაქში შემოდიოდნენ. ფრონტის ხაზი მოშლილი იყო. ეს ინფორმაცია რომ მივიღე, ძალები მოვკრიბე და ფუნიკულიორის ძირას პოზიცია დავიკავე. მერე კი ვითარების გასარკვევად, ქალაქში ჩავედი. მაშინ ბორია ივანოვმა მითხრა, რამე უნდა მოვიმოქმედოთ, თორემ, ჯარი პოზიციებს ტოვებს და ქალაქიდან მასობრივად გარბისო. მერე ვხედავ, შევარდნაძე დგას „გრუზავიკზე" და ქალაქში დადის, როგორმე მეომრები რომ შეაჩეროს... აი, ასე დამთავრდა სოხუმის დაცემა.

— როდის გამოფრინდით?

— მე და შევარდნაძე ერთად გამოვფრინდით. ეს, რაღაც, არარეალური იყო. სოხუმი უკვე დაცემულია. 28 სექტემბრის გარიჟრაჟია, აფხაზები რამდენიმე საათში აეროპორტშიც მოვიდნენ. ერთი თვითმფრინავი „იაკ-40" იყო. მის მფრინავებს რომ დაველაპარაკე, გაგიჟდნენ — სად უნდა გავფრინდეთო?! — უარი გამომიცხადეს. მეორედაც მივედი, როგორმე უნდა მეიძულებინა და დამეთანხმებინა. ამ დროს ჩვენი გარემომცველი წრიდან ბევრი მანქანებს დაახტა და გაიქცა. უმანქანოდ დაგვტოვეს. ეს მფრინავებიც გაიქცნენ. ერთადერთი „ტუ" იყო დარჩენილი. უკვე გათენდა და საცაა, აეროპორტში აფხაზები მოვიდოდნენ. მახსოვს, იქ ერთ-ერთი თანამდებობის პირი იყო (გვარს შეგნებულად არ დავასახელებ). უცებ, შოთა კვირაია მეუბნება, ერთი ამ კაცს ჰკითხეთ, სად მიდისო. ვკითხე, ეს მანქანა სად მიგყავს-მეთქი? თან ჩემი უშიშროების მანქანა იყო. იცით, რა მიპასუხა? აქვე საქმეზე გავდივარო. რა საქმეზე უნდა წასულიყო?! მთელი სოხუმი აფხაზებს ეკავათ. იარაღი ავიღე და დავადე — ეს მანქანა არსად არ წავა-მეთქი! მოკლედ, აეროპორტში „ტუ" იყო დარჩენილი და ისიც ნახევრად მწყობრიდან გამოსული. საკმარისი საწვავიც არ ჰქონდა, მფრინავებიც არავინ იცოდა, სად იყვნენ. როგორც იქნა, მოვნახეთ. მათ მართლაც

სასწაული მოახდინეს. ნასვამები იყვნენ და გული, ალბათ, ამანაც მისცათ.

— ბოლო პერიოდში, სოხუმში, ძირითადად, რა ძალები დარჩნენ?

— „მხედრიონი", გვარდიის ნაწილები, ყარყარაშვილის „დშბ", ადგილობრივი ბრიგადა, პოლიციის ძალები. მახსოვს, ჩეჩელაშვილი კოდორს ამაგრებდა, ზეიკიძეც იქ იყო. ბოლო დღეს დათო თევზაძე გადმოვიდა კოდორზე თავისი ხალხით, მისი შემართება შესაშური იყო. 27 სექტემბერს უმრავლესობა ქალაქიდან გავიდა. ბოლოს, სოხუმში სულ, ალბათ, 400 კაცი დავრჩით. ვისაც შევარდნაძე მითითებებს აძლევდა, ბევრი არ ასრულებდა.

— კონკრეტულად, ვინ რა არ შეასრულა?

— ახლა ამას არ გეტყვით.

— 5 წლის შემდეგ მაინც არ დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ თქვათ, ვინ იყო დამნაშავე სოხუმი რომ დაეცა, ან ვინ იყო მოღალატე?! საზოგადოებამ რეალური სურათი არ უნდა იცოდეს?

— კი ბატონო, ეს ხმამაღლა უნდა ითქვას, ეს აუცილებლად უნდა გამოიკვლიონ. ამას დიდი მუშაობა არ დასჭირდება, მაგრამ ეს სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს და არა ისე, რომ პრესასთან ინტერვიუს დრო ყველაფერი ვილაპარაკოთ.

— ანუ, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას?

— რა თქმა უნდა, ან შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გამოიძიონ ან სათანადო კომისიები უნდა შეიქმნას. მაშინ სამხედრო კონტრდაზვერვას იგორ გიორგაძე ხელმძღვანელობდა. ყველა ინფორმაცია მას უნდა მოეპოვებინა — ის, რომ დისციპლინა არ იყო, ის რომ ღალატი ხდებოდა... ეს ჩემს კომპეტენციაში არ შემოდიოდა. არადა, ძალიან დიდხანს ვითხოვდი, რომ სამხედრო კონტრდაზვერვის სტრუქტურა ჩემს დაქვემდებარებაში შემოსულიყო. ჩვენ ვიცოდით, რომ სოხუმის დაცემას აუცილებლად შეიარაღებული ტალღის დაძვრა მოჰყვებოდა ზუგდიდიდან. სხვათა შორის, სამოქალაქო ომის სცენარი, ჯერ კიდევ 1993 წლის ზამთარში, დოკუმენტის სახით დავდეთ და მაშინვე ვიცოდით რა და როგორ განვითარდებოდა.

— ვისი გეგმა იყო?

— სცენარი რუსეთის სამხედრო დაზვერვის გენერალური შტაბის მიერ იყო დაწერილი. ამ ყველაფერს მოჰყვებოდა კონფრონტაცია დასავლეთ საქართველოში, გამოსვლები თბილისში.

— თუ ეს ინფორმაცია ადრევე გქონდათ, შესაბამისი ზომები რატომ ვერ მიიღეთ?

— მთავარი ზომა, რაც უნდა მიგველო, ის გახლდათ, რომ ჯარი აფხაზეთში თავიდანვე არ უნდა შესულიყო. თანაც, ჩვენ როგორი ჯარი გვყავდა, ხომ იცით? — მართვის სისტემა საერთოდ არ არსებობდა და იმის იმედზე, რომ ბეპაევი ჩვენი ძმაკაცია და ვინ რას დაგვაკლებსო, შეიძლება?! აი, ასე წყდებოდა საკითხები. ამასთან, ცენტრში სრული ანარქია სუფევდა. გახსოვთ, ამას წინ უძღოდა დაპირისპირება „მხედრიონთან"... რუსთავის ოპერაციის ჩაშლა, შევარდნაძის გადადგომა, დაჩოქება. აი, ასეთ ალიაქოთში, პროცესების მართვა ურთულესი იყო.

— ერთი სიტყვით, თუ მოღალატეობაზეა საუბარი, მოღალატეები, სამხედროებთან ერთად, ალბათ, პოლიტიკოსებშიც უნდა ვეძებოთ?

— კი, რა თქმა უნდა. დადგება დრო და ვინ რა როლი შეასრულა, იგივე, აფხაზეთის დაცემაში, იგივე შეთქმულებაში, ყველაფერი გაირკვევა.

— რატომ არ გამოცხადდა ომის დროს საყოველთაო მობილიზაცია?

— ეს საინტერესოა. რატომ არ გამოცხადდა მობილიზაცია? არც ომის სტატუსი განისაზღვრა — რისთვის ომობდა ეს ხალხი? არ არსებობდა იდეოლოგიური, პროპაგანდისტული ფონი. ადამიანი ვერ იომებს, თუ მას იდეური საფუძველი არა აქვს.

— თუ აფხაზეთის ომის გამოძიება დაიწყო, როგორც მაშინდელი უშიშროების შეფი, პასუხისმგებლობას გაინაწილებთ?

— როცა ხელისუფლების წარმომადგენელი ხარ, პასუხისმგებელი იმ მოვლენებზე, რაც იმ პერიოდში ხდება, თავისთავად ხარ, მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ ჩემი შეცდომების გამო მოხდა აფხაზეთის დაკარგვა, ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. დაზუსტდეს, რა შეცდომები დაიშვა და ვის მიერ. ისე, ზოგადად კი, ხელისუფლების ყველა შტო ყველა მოვლენაზე პასუხისმგებელია.

აფხაზეთის ომში ქართული მხარის წარუმატებლობის მიზეზად, მაშინდელი ჩვენი ჩინოსნები რუსეთის მხარეს ადანაშაულებენ. ყველასთვის ნათელია, რომ აფხაზები ომის მოგებას მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერასოდეს შეძლებდნენ. ცხადია, ოფიციალური რუსეთი ამ ფაქტს არასოდეს აღიარებს, რადგან, ამ შემთხვევაში, მას საქართველოს ოკუპაციის აღიარებაც მოუწევს.

სოხუმზე შეტევის დროს რუსეთის მხარემ საქართველოს ერთი საინტერესო წინადადება შესთავაზა: სოხუმსა და ოჩამჩირეში რუსეთის ორი დივიზია შევიდოდა და ძალებს დააშორიშორებდა. მაშინ ოფიციალურმა თბილისმა ეს წინადადება უარყო და რუსეთის დახმარება არ მიიღო.

რუსეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, პაველ გრაჩოვი (რომლის ინიციატივითაც ორი დივიზია შემოდიოდა) სოხუმის დაცემის მიზეზად ქართველი გენერლების „უაზრო" ახირებას ასახელებს. მისი მტკიცებით, ქართულ მხარეს მის მიერ შეთავაზებული წინადადება რომ მიეღო, ჩვენ სოხუმს არ დავკარგავდით. მაშინდელი ქართველი ძალოვნები — გია ყარყარაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი — ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფენ.

ირაკლი ბათიაშვილი:

— ჩვენი შეხვედრა ადლერში შედგა. ქართული მხრიდან შევარდნაძე, მე, ყარყარაშვილი, კოტე გაბაშვილი და სანდრო კავსაძე ვიყავით. რუსეთის მხრიდან, გრაჩოვთან ერთად, შეხვედრას პასტუხოვი ესწრებოდა. თავიდან აბსურდული საუბარი დაიწყეს. გვარწმუნებდნენ, რომ ისინი სოხუმში სიტუაციის განმუხტვით დაინტერესებულნი იყვნენ. არადა, აფხაზები კი არა, რუსები გვეომებოდნენ. სოხუმის აღება თავიდან ბოლომდე მათი დაგეგმილი იყო. მერე გრაჩოვი გვეუბნება, არძინბას შეგახვედრებთო. ამაზე შევარდნაძემ უპასუხა: მოდით, ის მითხარით, რეალურად დახმარება რით შეგიძლიათო. რუსებს უკვე უშველებელი რუკა ჰქონდათ მომზადებული, გადმოიღეს და გვითხრეს: ორ დივიზიას შემოვიყვანთ და განვალაგებთო.

— სად, სოხუმში?

— არა მარტო სოხუმში. ეს ორი დივიზია აქაც, ოჩამჩირეშიც და, საერთოდ, ყველგან ჩადგებოდა.

— როგორ ფიქრობთ, ამას რა შედეგი მოჰყვებოდა?

— გრაჩოვმა ეს გეგმა რომ დაგვიხაზა, არა თუ ჩემი და ყარყარაშვილის, არამედ თვით შევარდნაძის რეაქციაც ძალიან მძაფრი იყო. გაოგნებული დარჩა. ეს სუფთა ოკუპაციის გეგმა იყო. ოღონდ, იცით, როგორი ოკუპაცია მოხდებოდა? ჩვენ თვითონ რომ მოვაწერდით ხელს. მოკლედ, ეს ორი დივიზია შემოვიდოდა, განაიარაღებდა ქართულ მხარეს (თანაც, რა ფორმით, ხომ გასაგებია) და სოხუმში არძინბას აუცილებლად შემოიყვანდნენ.

— თქვენ რა იცით?

— პირდაპირ გვითხრეს, არძინბა კანონიერი ხელისუფალია და სოხუმში უნდა შევიდესო. საბოლოოდ, ეს ისევ ქართველი მოსახლეობის განდევნით დამთავრდებოდა, ოღონდ, ეს ჩვენ მიერ ხელმოწერილი თანხმობითა და რუსეთის დივიზიების დაკანონებით მოხდებოდა. თანაც, მთავარი ის გახლდათ, რომ რუსებს ამის შემდეგ ცოტა სხვა გეგმები ჰქონდათ.

— კერძოდ?

— იმ ორი დივიზიიდან ერთის ცოტა სხვა მიმართულებით გადასროლა უნდოდათ. აქ შემოყვანაც ამიტომ სჭირდებოდათ. ეს დიდი გეგმის ერთი პატარა ნაწილი იყო.

— სად უნდა გადაესროლათ, ჩეჩნეთში?

— ჩეჩნეთშიც, აზერბაიჯანშიც... „Кавказская война" — ეს გეგმა ამ სახელწოდებით რუსეთის გენშტაბში იდო. აფხაზეთი ამ გეგმის ნაწილი იყო. თუმცა, მაშინ ჩვენ ჩვენი საკითხი გვაინტერესებდა და ასე გლობალურად ფიქრის დრო არ იყო, რადგან სოხუმის ბედი წყდებოდა. მაშინ, სხვათა შორის, ჩემი პოზიცია არც დამიფიქსირებია, ყველაფერი იმდენად ნათელი იყო... მოკლედ, აი, ასე დამთავრდა სოხუმის დაცემა.

ესაუბრა მაგდა პოპიაშვილი

გაზ. „ალია" №162 (538), №163 (539)
22-23, 24-25 სექტემბერი, 1998 წ.

„...მას ათქმევინებენ, — რადგან საქართველო ჩემ გამო შავ დღეშია, გადავდგებიო...“

„კვირის პალიტრაში“ შარშან (52) გამოქვეყნებულ წერილს, „საუკუნის დანაკარგი — აფხაზეთი, სამაჩაბლო“, მკითხველის გამოხმაურება მოჰყვა. რამდენიმე შეკითხვამ პარლამენტარ ირაკლი ბათიაშვილთან მიგვიყვანა. უშიშროების კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი ჩვენთან საუბრისას არა მარტო აფხაზეთის ომისდროინდელ ამბებს იხსენებს, არამედ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში (რუსეთის მიერ დაგეგმილ) მოსალოდნელ მნიშვნელოვან ცვლილებებსაც ეხება.

— თქვენი და პრეზიდენტის სოხუმიდან გადმოფრენის ფაქტმა მკითხველი დააინტერესა. დაიბადა კითხვა, — რატომ არ გადმოიყვანა სახელმწიფოს მეთაური თბილისში იმ თვითმფრინავმა, რომელიც მას ემსახურებოდა? ამ ამბავს სხვადასხვა ინტერპრეტაციით ყვებიან.

— ვერავინ, ვერც სამხედრო და ვერც სამოქალაქო პირი, რომელიც კოდორის გზით ბრუნდებოდა უკან, ვერ იტყვის (უბრალოდ, არ შესწრებიან), როგორ გადმოფრინდა თბილისში სახელმწიფოს მეთაური. მაშინ ედუარდ შევარდნაძეს ვახლდით მე, შოთა კვირაია, ავთანდილ ჯორბენაძე, კოტე გაბაშვილი და ზაზა მაზმიშვილი. სხვამ რა უნდა თქვას?

როგორც უშიშროების ხელმძღვანელს, მევალებოდა სახელმწიფოს მეთაურის სოხუმიდან გადმოყვანის უზრუნველყოფა. მე და შოთა კვირაიას (ჩემს პირველ მოადგილეს) მუდმივი კავშირი გვქონდა თბილისში, ვაჟა ლორთქიფანიძესთან, მაგრამ, სანამ შევარდნაძის ხომალდით გამგზავრება იგეგმებოდა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ რუსებთან შეთანხმება — შევარდნაძეს ჩვენ ჩამოვიყვანთო, წმინდა წყლის პროვოკაცია (ხაფანგი) იყო. სახელმწიფოს მეთაურმა გადაწყვიტა, თვითმფრინავით გამგზავრებულიყო. ბაბუშერის აეროპორტში 28 სექტემბერს, დილის 5 საათზე მივედით. შევარდნაძე თბილისში ჩასვლას ჩქარობდა იმიტომ, რომ

მისთვის ცხადი იყო, სოხუმის დაცემის შემდეგ დედაქალაქსა და მთელ საქართველოში დიდი კატაკლიზმები დაიწყებოდა. ამ დროს გამსახურდია ზუგდიდში იყო. მისი მომხრეები აქტიურობდნენ. მოსალოდნელი იყო სამოქალაქო ომის გაჩაღება, შევარდნაძის ხელისუფლების დამხობა და ყველაფერი ეს ხდებოდა რუსეთის ინსპირირებით, უფრო სწორად, მისი უშუალო მონაწილეობით. ამასთან ისიც ცხადი იყო, რომ თუ გამსახურდიას მომხრეები (სამოქალაქო ომის გზით) შევარდნაძეს ჩამოაგდებდნენ, რუსეთი არ დაუშვებდა ხელისუფლებაში ისევ ზვიად გამსახურდიას დაბრუნებას. სახელმწიფოს სათავეში მოვიდოდა მესამე პიროვნება. გამსახურდიას მომხრეები და ზოგიერთი წამყვანი სამხედრო ფიგურა უკვე აქტიურად მუშაობდნენ იმ პიროვნებასთან. ეს დააფიქსირა უშიშროების სამსახურმა სატელეფონო საუბრების მოსმენით. ჩვენთვის ასევე ცნობილი იყო თვითონ გამსახურდიას ეჭვებიც.

— ე.ი. გამსახურდიას ის პირები ღალატობდნენ, რომლებსაც ენდობოდა?

— რა თქმა უნდა. მაგრამ მარტო გამსახურდიას როდი ღალატობდნენ... სამთავრობო ჯარების რიგი ხელმძღვანელისა და გამსახურდიას ზოგი სარდალი გაერთიანდა. დაუფარავად ლაპარაკობდნენ, რომ ხელისუფლებაში მესამე პიროვნება უნდა მოსულიყო და ისინი უკვე იმ პიროვნების სასარგებლოდ მუშაობდნენ. ყველაფერი ეს სოხუმის დაცემამდე ხდებოდა. ამიტომ შევარდნაძე სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყო თბილისში. ამასთანავე, აუცილებლად უნდა გაეგო მსოფლიოს, რა მოხდა სოხუმში...

სახელმწიფოს მეთაურის კატეგორიული განცხადება, თბილისში თვითმფრინავით უნდა დავბრუნდეო, მეც და სხვებმაც არარეალურად ჩავთვალეთ, იმიტომ, რომ ზუსტად წინა დღეს ჩვენი თვალით დავინახეთ, როგორ ააფეთქეს აფხაზებმა თბილისიდან მომავალი თვითმფრინავი, რომელიც აეროპორტში ეშვებოდა. მაშინ, როცა სოხუმი აღებული იყო, როგორ შეიძლებოდა ჩვენი გადმოფრენა ბაბუშერის აეროდრომიდან?! ამიტომ, როცა „იაკის" პილოტებს (მათი გვარები არ მახსოვს, მგონი, ერთი ქართველი იყო, მეორე — რუსი) ჩვენი მოსაზრება გავაცანით, მათ ბუნებრივი რეაქცია ჰქონდათ, უზომოდ განცვიფრდნენ: ბოდიში, მაგრამ აქედან როგორ უნდა გადავფრინდეთო და (როგორც უკვე გითხარით) ცივი უარი განაცხადეს.

— მათ სახელმწიფოს მეთაურის უსაფრთხო მგზავრობის გარანტია ვერ მოგვცეს, საკუთარ თავზე ფიქრობდნენ თუ ღალატი იყო?..

— იქ ყველა საკუთარ თავზე ფიქრობდა. მათთვის სახელმწიფოს მეთაური აღარ არსებობდა. რამდენიმე ადამიანის გარდა, ედუარდ შევარდნაძე აღარავის ახსოვდა.

— სახელმწიფოს მეთაურის მხლებლებს გულისხმობთ?

— დიახ, ვინც ვახლდით, იქიდანაც ზოგი წასვლაზე ფიქრობდა. შევარდნაძეს ეს ძალიან კარგად ახსოვს. მე რომ უბრალო პილოტი ვყოფილიყავი, შესაძლოა, მეც უარი მეთქვა გადმოფრენაზე, მაგრამ უშიშროების ხელმძღვანელს თავი გადადებული უნდა ჰქონოდა.

— მაგრამ ომის დროს სამხედროები ბრძანებას უნდა ასრულებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ, რამდენადაც ვიცი, მკაცრად სჯიან. რატომ არ გამოიყენეთ ეს საშუალება?

— როდესაც მე და შოთა კვირაია აეროპორტში მივბრუნდით, რათა პილოტებისთვის კატეგორიულად (ცოტა სხვანაირადაც) მოგვეთხოვა თბილისში გადმოფრენა, უცნაური რამ მოხდა. პილოტები, სახელმწიფოს მეთაურის გარემომცველი ჯგუფის ნაწილთან ერთად, სატვირთო მანქანაზე დასხდნენ და სვანეთის გზით გაიქცნენ...

— არსებობს ასეთი მოსაზრებაც, თითქოს „იაკის" პილოტებს აუწყეს, სახელმწიფოს მეთაური უკვე სამშვიდობოს არის გასული და თავს უშველეთო...

— არა, მათ იცოდნენ, რომ შევარდნაძე ისევ სოხუმში იყო. შეიძლებოდა, ერთ საათში აფხაზები დაგვდგომოდნენ თავს და ყველანი იქვე ავეკუწეთ. სოხუმიდან ბაბუშერამდე სულ 30 კმ-ია და სამხედრო ტექნიკით ჩვენამდე მოსვლა არ გაუჭირდებოდათ. ყველა იქ მყოფი ამბობდა, — თვითმფრინავით ბაბუშერიდან წასვლა აბსურდული გადაწყვეტილებაა, ამიტომ ზოგი მანქანით დაადგა გზას... ასეთი რამ ყველა ომის დროს ხდება. როდესაც გერმანია სსრ კავშირს დაესხა თავს, სტალინი ისეთ დეპრესიაში იყო 4 საათის განმავლობაში, რომ კრემლიდან გაიქცა და პოლიტბიუროს წევრებმა იგი აგარაკზე იპოვეს. ეს მას შიშისაგან არ მოსვლია, უბრალოდ, გაურკვევლობამ გააოგნა. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ უბრალო პილოტი კრიტიკულ მომენტში თავის გადარჩენაზე იფიქრებს.

— როგორც ვიცი, ბაბუშერის აეროპორტში მდგარი ტუ-134-ის პილოტები დაგთანხმდნენ გადმოფრენაზე... ამბობენ, მთვრალები იყვნენ და ამიტომ გაბედესო.

— შესაძლოა, ოდნავ ნასვამები იყვნენ, მაგრამ მთვრალები არ ყოფილან. დილის ხუთის ნახევარზე მათი მოძებნა იოლი არ იყო, ამაში აეროპორტის ხელმძღვანელი ზაურ ხაინდრავა დაგვეხმარა (ეს დიდი პროფე-

სიონალი მერე ყველამ მიივიწყა). პილოტები სამხედრო ქალაქში ვნახეთ და აეროპორტში წამოვიყვანეთ. მათ არც უყოყმანიათ. ბათუმში, ფაქტობრივად, გაუმართავი თვითმფრინავით გადაფრინდნენ.

— როგორც ვიცი, ბათუმიდან მთლად მშვიდობიანად არ წამოსულხართ. ამბობენ, თითქოს თქვენი თვითმფრინავი ალყაშიც მოაქციეს...

— ალყაში არავის მოვუქცევივართ. ისეთი პერიოდი იყო, უშიშროების სამსახურმა საჭიროდ არ ჩათვალა გახმაურება, თუ ვინ მიფრინავდა თვითმფრინავით. ბათუმის აეროპორტის თანამშრომლებმა გვკითხეს, — ვინ არის თვიმფრინავშიო. ვუთხარით, ტუ-134-ში სამხედროები სხედან-თქო და საწვავი მოვითხოვეთ.

— სახელმწიფოს მეთაურის დაცვა, რომელიც უშიშროების კომიტეტს ექვემდებარებოდა, რატომ აღმოჩნდა სვანეთის გზაზე?

— სოხუმის დაცემის შემდეგ უშიშროების ყველა თანამშრომელი პრეზიდენტს ვერ გაჰყვებოდა. მით უმეტეს, „იაკში" ამდენი თანმხლები არ დაეტეოდა. მაგ ლოგიკით შეიძლება ვიკითხოთ, რატომ აღმოჩნდნენ სვანეთის გზაზე პოლიციელები და ზოგიერთი ბრიგადის მეომრები? სახელმწიფოს მეთაურის გარემოცვიდან ნაწილი წავიდა, ნაწილი დარჩა. რატომ არავის გაახსენდა ეს პილოტები, რომლებმაც უდიდესი გმირობა და პროფესიონალიზმი გამოიჩინეს?.. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე დღეში გადავდექი, რადგან საქართველო დსთ-ში შევიდა (გარკვეულწილად, ამის მიზეზი სოხუმის დაცემაც იყო).

— რადგან დსთ-ში შესვლა ახსენეთ... იქნებ ეს იყო შევარდნაძისთვის ხელისუფლების შენარჩუნების საშუალება? ალბათ ის მესამე პიროვნებაც ამიტომ ვერ ვიხილეთ სახელმწიფოს ხელმძღვანელად.

— ვიცი, როგორც განვითარდებოდა მოვლენები, შევარდნაძეს დსთ-ში შესვლაზე უარი რომ განეცხადებინა. თბილისში საშინელი არეულობა იყო. ხელისუფლების წევრებს (სახელმწიფოს მეთაურის აპარატი, მთავრობის წევრები, ზოგიერთი სამხედრო) ჩემოდნები ჰქონდათ ჩალაგებული და პასპორტებს ამზადებდნენ. გამსახურდიას მომხრეები აიღებდნენ ქუთაისს და რიკოთსაც მიადგებოდნენ. თბილისში დაიწყებოდა გამოსვლები შევარდნაძის წინააღმდეგ, შეიქმნებოდა გამოუვალი მდგომარეობა, სახელმწიფოს მეთაურს აიძულებდნენ გადამდგარიყო და ამ შემთხვევაში ამოყვინთავდა ის მესამე პიროვნება, რომელიც დაპირისპირებულ მხარეთა შორის მშვიდობის დამყარების მისიას იკისრებდა. გარდაუვალი წინააღ-

მდეგობის პირობებში მშვიდობისმყოფელის გამოჩენა ხელისუფლების შეცვლის ჩვეულებრივი, კლასიკური მოდელია. შესაძლოა, მაშინვე მოეკლათ ზვიად გამსახურდიაც.

— ზოგი არ გამორიცახვს, რომ ამ დაპირისპირებით საქართველოს ორად გახლეჩა ემუქრებოდა.

— კი, ასე იქნებოდა. მაგრამ რუსეთის გეგმით, სამშვიდობო ფუნქციით მაინც მოვიდოდა მესამე პიროვნება. მით უმეტეს, მაშინ მას ძლიერი პოზიციები ჰქონდა როგორც შევარდნაძის, ისე გამსახურდიას ბანაკში და ასევე ორივე მხარის შეიარაღებულ ძალებშიც. რუსეთი გამსახურდიას მხარს აღარ უჭერდა (თუმცა შესაძლოა, რომ მუშაობდა მის მომხრეებზე, როგორც დესტრუქციის შემქმნელ ძალაზე), შესაძლოა, ამ პერიოდში მომხდარიყო შევარდნაძის ლიკვიდაციაც. მაგრამ ამ მოდელის განხორციელებას ხელი იმან შეუშალა, რომ შევარდნაძემ შორს გაიხედა, რუსებს კოჭი გაუგორა და დსთ-ში შევიდა. ამას დაერთო პუტჩი, რომლის დროსაც შევარდნაძემ ელცინის მხარე დაიჭირა. ამან ისევ მის სასარგებლოდ ითამაშა. რუსეთმა თავის გეგმებში კორექტივები შეიტანა. თან მათ არ სურდათ აგრესორისა და შევარდნაძის ხელისუფლების დამამხობლის იარლიყი... შევარდნაძე ავტორიტეტული პიროვნება იყო.

ამის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა შეცვალა კურსი, დაიწყო პრორუსული პოლიტიკის გატარება. თანამდებობებზე ინიშნებიან აშკარა პრორუსული ელემენტები — ვარდიკო ნადიბაიძე და იგორ გიორგაძე, საქართველო შედის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში, ენგურზე სამშვიდობო ჯარი დგება.

— თუ ფიქრობთ, რომ შევარდნაძემ მაშინ სწორი ნაბიჯი გადადგა, რატომღა გადადექით?

— მან სწორი ნაბიჯი გადადგა ხელისუფლების შესანარჩუნებლად და დროებით კომპრომისზე წავიდა, მაგრამ ჩემთვის, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელისთვის, რომელიც, ფაქტობრივად, პრეზიდენტის კურსის გატარების ინსტრუმენტია, ეს მიუღებელი ნაბიჯი იყო. როგორ შეიძლებოდა იდეურად სხვა პოზიციაზე ვყოფილიყავი და სხვა კურსი გამეტარებინა?

— ვიღაც უცნობი პიროვნების გამოჩენას, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოსვლას ლამობს, თქვენ ამჟამადაც ვარაუდობთ.

— მე ძალიან კარგად მასოვს, როგორ დაიგეგმა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, როგორ ლამობდნენ სოხუმის დაცემის შემდეგ მესამე პიროვნების გამოყვანას არენაზე — ეს მოდელები,

რომლებიც სადღაც იგეგმება, ჩემთვის ნაცნობია. დღეს განსხვავებული სქემა მოქმედებს. ჩემთვის ნათელია, თუ რა გეგმის განხორციელებას აპირებს რუსეთი საქართველოში. როცა ამას ვაცხადებ, ვეყრდნობი კონკრეტულ ინფორმაციას, ფაქტებს, ასევე ჩემს გამოცდილებასა და ანალიზის უნარს. მაქვს ინფორმაცია, რომ რუსეთის ხელისუფლების იმ წრეში, რომელსაც ხელთ უპყრია ძალაუფლება, რაღაც იგეგმება. დღეს რუსეთში ხელისუფლება არც ჟირინოვსკის აქვს და არც მიტროფანოვს, ძალაუფლება პუტინის ხელშია. შესაძლოა, ვიღაც პოლიტიკოსი ან უშიშროების თანამშრომელი ფიქრობდეს, კარგი იქნებოდა იგორ გიორგაძის გაპრეზიდენტებაო, მაგრამ დღეს რუსეთის პოლიტიკა ამ ხალხზე არ არის დამოკიდებული. ისინი, ვისაც დღეს ხელთ ბერკეტები უპყრია, სხვა, უფრო რაციონალურ დასკვნებს აკეთებენ. მათ კარგად იციან, რომ გიორგაძეზე, აბაშიძესა და პატიაშვილზე არჩევნის გაკეთება განვლილი ეტაპია და არაეფექტური. ამიტომ, ჯერჯერობით, იგორ გიორგაძე კარგა ხანს დარჩება საფრთხობელის როლში, რომელიც პერიოდულად რაღაც განცხადებებს გააკეთებს. ამას უკვე ჩვენ აღარ აღვიქვამთ სერიოზულად და რუსები (განსაკუთრებით, სახელისუფლებო წრეები) განა ისე უტვინოები არიან, რომ იმას ვერ აანალიზებდნენ, გიორგაძე პრეზიდენტი ვერ გახდება, ხალხის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს და ხელისუფლებას ვერ აიღებს? იგივე შეიძლება ითქვას აბაშიძესა და პატიაშვილზე. პატიაშვილს, როგორც პიროვნებას, შესაძლოა, მრავალი ღირსება აქვს, მაგრამ ის რეტროგრადულ პოლიტიკოსადაა მიჩნეული. პატიაშვილის დროც გავიდა. ამიტომ რუსებს სხვა ვარაუდი აქვთ. როდესაც ვიღაც სხვაზე ვსაუბრობ, მე ზოგად დასკვნებს არ ვაკეთებ, მხედველობაში კონკრეტული პიროვნება მყავს, რომელიც ვიცი, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე რუსეთის მმართველი წრეების ინტერესებს აკმაყოფილებს და მისი დამუშავება მიმდინარეობს. რუსები უთუოდ მასზე გააკეთებენ არჩევანს.

— და ამ პიროვნებას ამჟამად უკვე აქვს რუსეთის მმართველ წრეებთან კავშირი?

— წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არჩევანი არ შეჩერდებოდა. ეს პიროვნება ამჟამად საქართველოშია და ის არ არის ვიღაც შემთხვევითი ადამიანი. რუსებმა ისიც კარგად იციან, რომ ხელისუფლების მმართველობის სადავეების გადაცემას მტკივნეული და ძალადობრივი ხასიათი არ უნდა მიეცეს. ეს მოხდება შევარდნაძის ლიკვიდაციით ან ისეთი სიტუაციის შექმნით (ზეწოლა), რომ

შევარდნაძემ არჩევნებში აღარ მიიღოს მონაწილეობა, ან თუ მიიღებს და გაიმარჯვებს, მას აიძულებენ, რომ წავიდეს. მას ათქმევინებენ, რადგან საქართველო ჩემ გამო შავ დღეში ჩავარდა, გადავდგები, რათა ჩემს ხალხს ამდენი უბედურება ავაცილოო (ეს მას უკვე ნათქვამი აქვს სოხუმის დაცემისა და გალის მოვლენების დროს). ახალი ფიგურისთვის მართვის სადავეების გადაცემა უმტკივნეულოდ მოხდება და იგი (ეს პიროვნება) საზოგადოებისთვისაც არ იქნება მიუღებელი. მასზე არავინ იტყვის, ვინ არის და საიდან მოვიდაო.

— ე.ი. ეს პიროვნება ამჟამადაც ერთ-ერთი გამოკვეთილი პოლიტიკური ფიგურაა, როგორც ჩანს, ის პრეზიდენტთანაც არ უნდა იყოს დაპირისპირებული...

— გამოცნობანას ხომ არ ვითამაშებთ... როცა საჭირო იქნება, მაშინ დავაზუსტებ და პირველად თქვენ გეტყვით.

— ესეც მორიგი არარეალური აუიოტაჟი რომ გამოდგეს?

— საქართველომ ისეთი დღეები გადაიტანა, რომ... რამე უცნაურს ვამბობ? პუტჩი, ხელისუფლების დამხობა და ტერაქტები არ გვინახავს? რატომ გგონიათ, ეს აუიოტაჟია? პროვოკაციის გზით გალიდან 60.000 კაცი რომ გამოყარეს, ამის შემდეგ შეიძლება რაიმე მოულოდნელი იყოს? რუსეთი ახლა მოძლიერებულია, პუტინი არ არის ცუდი პრემიერ-მინისტრი (ძალიან გამიხარდებოდა, რომ საქართველოშიც მენახა ასეთი ნება), როგორ გგონიათ, შემთხვევით ხდება ეს დაბომბვები? რუსეთი ნელ-ნელა მიაწვება საქართველოს და კონკრეტულად — შევარდნაძეს.

— რუსეთი შევარდნაძეს ამ გზით აიძულებს, რომ მან რუსეთის ინტერესები განახორციელოს, თუ აღარც სახელმწიფოს მეთაურად აძლევს ხელს და საერთოდ, მისი თავიდან მოცილება უნდა?

— შევარდნაძემ რაც არ უნდა იძახოს, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, რუსებმა იციან, რომ ის მათი ინტერესების გამტარებელი არ იქნება. ამიტომ ურჩევნიათ პიროვნება, რომელიც შესაძლოა, ანტირუსულ განცხადებებს გააკეთებს, მაგრამ საქმით პირიქით იქნება.

ესაუბრა **იზო რიკაძე**

გაზ. „კვირის პალიტრა“
3-9 იანვარი, 2000 წ.

ქუჩის აქციებს არ ვგმობ

— თქვენი აზრით, რაც გასულ კვირას თბილისში ხდებოდა, რა იყო ეს — მართლაც ბრძოლა თავისუფალი სიტყვის დასაცავად თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა?

— ამ მოვლენებს აქვს მრავალი ასპექტი, რომელიც არ შეიძლება, რომ არ გამოვყოთ, თუ გვინდა, რომ ვიყოთ ობიექტურები. მასობრივი მღელვარება, რაც დაიწყო, ის უშუალოდ ახალგაზრდობიდან მოდიოდა, ეს იყო ამ ხალხის მხრიდან პროტესტის გულწრფელი გამოხატულება. ის, რაც დღეს ხდება, ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს. იმიტომ, რომ ხალხში მართლაცდა იმდენი უკმაყოფილებაა დაგროვილი, რომ შეგვიძლია იმის თქმაც, რომ ჩვენს ხალხს კიდევ კარგი მოთმინების უნარი აღმოაჩნდა. ჩვენი ხალხის მდგომარეობა ჰგავს, ასე ვთქვათ, დენთის კასრს. და ამ დენთის კასრზე რაღაც ნაპერწკლის გამოჩენა იმ წუთშივე იწვევს აფეთქებას. უკმაყოფილების მიზეზი არის თავად ის ურთულესი ვითარება, რომელიც შექმნილია წლების განმავლობაში ქვეყანაში. ხელისუფლების სტრუქტურებში გამეფებული განუკითხაობა, კორუფცია, მთავრობის არაეფექტური მუშაობა, როგორც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ასევე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების თვალსაზრისით. და ეს დაგროვილი უკმაყოფილების მაპროვოცირებელი მიზეზი გახდა რუსთავი 2-ის წინააღმდეგ განხორციელებული აქცია. ამიტომ ამ გამოსვლებში იყო გაერთიანებული ეს ყველაფერი. ეს იყო ერთის მხრივ ახალგაზრდობის შიში იმის გამო, რომ შეიზღუდება სიტყვის თავისუფლება, იყო პროტესტიც იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ელემენტარულად არაფერს არ აკეთებს, რათა მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალოს. ამიტომაც მე ჩემი მხრიდან ამ აქციას არ ვგმობ. მაგრამ ამას აქვს მეორე მომენტიც. ხალხის უკმაყოფილება ცხადია სურთ, რომ გამოიყენონ გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა თავიანთი მიზნებისათვის. ესეც ყველასათვის ნათელია, რომ თვითონ ეს ახალგაზრდობა გულწრფელი პათოსით მოდის მიტინგებზე, მათაც უკვე მშვენივრად იციან, რომ გარკვეულ

ძალებს სურთ ამ საპროტესტო ტალღის გამოყენება. ამ შემთხვევაში წამყვანი ძალა არის მოქალაქეთა კავშირის ე.წ. რეფორმატორული გუნდი, რომელიც აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. მათი გაგულისება და გაღიზიანება გამოწვეულია იმით, რომ 8 წლიანი მონოპოლია ხელისუფლებაში მთავრდება. ამიტომ ისინი თავის მხრივ დღეს მზად არიან წავიდნენ ყველანაირ ავანტურაზე, ყველაზე ცუდი ის არის, რომ ისინი მზად არიან გამოიყენონ მოსახლეობა, როგორც საზარბაზნე ხორცი. უფრო მეტიც, ისინი მზად არიან იმისთვისაც, რომ ქვეყანაში შეიქმნას არეულობა და უბედურება, ოღონდაც ამის წყალობით შეინარჩუნონ ხელისუფლება. მათ იმის იმედიც შეიძლება ჰქონდეთ, რომ გარკვეული უკმაყოფილო პოლიტიკური ძალებიდან ვიღაც-ვიღაცეებმა მხარი დაუჭირონ.

— ბევრი შემთხვევითობად არ მიიჩნევს, რომ ამ მოვლენებს წინ უსწრებდა მოსკოვში ჯერ ჟვანიას, ხოლო შემდეგ სააკაშვილის ვიზიტი, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— ეს არის ამ მოვლენების მესამე მხარე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ამ პროცესების მართვას და წარმართვას ცდილობენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, ბუნებრივია ვგულისხმობ რუსეთის სპეცსამსახურებს. გაგახსენებთ 1991-92 წლების მოვლენებს. მაშინ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ აგორდა მთელი ტალღა. მოდით, ვნახოთ ის კადრები და კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი რა შეხვედრები ეწყობოდა მაშინ ახალგაზრდობასთან. მაშინ აგორებული წინააღმდეგობის ტალღაც ეხებოდა სიტყვის თავისუფლებას და პოლიტპატიმრების განთავისუფლებას. იყო უკმაყოფილება იმ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც გამსახურდიამ მოიყვანა ხელისუფლებაში. მაშინაც ოპოზიციის და საზოგადოების ნაწილი რა პროტესტსაც გამოხატავდა, ისიც იყო აბსოლუტურად გულწრფელიც. ამის თქმა დანამდვილებით შემიძლია, რადგანაც ამ პროცესების მონაწილე თავად ვიყავი. მაშინ გამსახურდიას პარტიის ნაწილი გამოეყო მას, სათავეში ჩაუდგნენ შეიარაღებულ ძალას, ეროვნული გვარდიის სახით, შემდეგ ამ პროცესებში ჩაერია პირდაპირ რუსეთის დაზვერვა და რუსი პოლიტიკოსები, რომლებიც შეიარაღებულ ოპოზიციას მაშინ დაეხმარნენ ტექნიკით, ჭურვებით, ინფორმაციით და ესე მოხდა სახელმწიფო გადატრიალება მაშინ. საზოგადოების მხრიდან გამოთქმული გულწრფელი პროტესტი გამოყენებულ იქნა გარკვეული ძალებისთვის

მიზნის მისაღწევად, რომლის შედეგად მივიღეთ გაუბედურებული მოსახლეობა, ანარქია და სამოქალაქო ომი, რომელიც შემდეგ დამთავრდა იმით, რომ აფხაზეთი დავკარგეთ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ისტორიის მწარე გაკვეთილები, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა.

— დღეს ქუჩაში გამოსულები შეიარაღებულ ძალებს სათავეში ვერ ჩაუდგებიან, რადგანაც შევარდნაძე ძალოვან სტრუქტურებს ასე თუ ისე მაინც აკონტროლებს...

— ასეთ სიტუაციაში რაიმე შეიარაღებული ძალის გამოყენებაზე ლაპარაკი დაუშვებელია. განა მთელი რიგი მოთხოვნები, რომლითაც ეს ადამიანები გამოდიან, ჩვენთვისაც არ არის მისაღები, როდესაც უამრავი მინისტრის მიმართ წლების განმავლობაში ამბობდნენ, რომ ეს ხალხი უნდა მოშორებულიყო თანამდებობიდან. ამიტომ აქ უბრალოდ განსხვავება ცხადია მაშინდელ მოვლენებთან შედარებით ის არის, რომ იმ პერიოდში გამსახურდიას განუდგა მისივე გვარდია. ამიტომ მაშინ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას ჰქონდა ძალადობის ხასიათი. მაგრამ ხელისუფლების დამხობა არაკონსტიტუციური მეთოდებით შეიძლება სხვანაირადაც, ძალის გამოყენების გარეშე, გამოსვლებით, დემონსტრაციებით, დაუმორჩილებლობით. მაგრამ საქმე ისაა, რომ შედეგებში დიდი განსხვავება შეიძლება არ იყოს. შესაძლოა ხელისუფლების ასეთი გზით დამხობას აუცილებლად მოჰყვება ქაოსი და ანარქია. აუცილებელი არ არის, რომ სროლა ატყდეს. თუ ეს პროცესები რაღაც კონსტიტუციურ ფორმებში არ გადავიდა, პარლამენტში არ დაიწყეს მუშაობა მინისტრთა კაბინეტის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირებასთან დაკავშირებით, თუ არ დაიწყება რეალური ბრძოლა კორუფციასთან და თუ ჩვენ ამის მაგივრად ვიქნებით ქუჩის გამოსვლების და კატაკლიზმების სიტუაციაში, ეს ყველაფერი სულ უფრო და უფრო სტიქიურ ხასიათს მიიღებს, რადგანაც დღეს ერთი ლიდერი და ავტორიტეტი საქართველოს არ ჰყავს.

— რატომ არა ჰყავს, აქციის მონაწილეებმა თავიანთ ლიდერად მიხეილ სააკაშვილი დაასახელეს...

— მე არა მგონია, რომ სააკაშვილი იყოს ლიდერი. მართალია მას სერიოზული მხარდამჭერები ჰყავს, მაგრამ არიან კიდევ სხვა ლიდერები. ამიტომ არ არის გამორიცხული, გარკვეულ მასაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის სერიოზული დაპირისპირებები მოხდეს შეხედუ-

ლებებთან დაკავშირებით. ეს კი უდიდეს არეულობას მოგვიტანს. ჩვენ უკვე გავიარეთ სამოქალაქო დაპირისპირება. ამიტომ ამის განმეორების სურვილი არავის არ უნდა ჰქონდეს, პირველ რიგში კი იმ საზოგადოებას და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს ამ სამართლიანი მოთხოვნებით გამოდიან. მათ უნდათ, რომ დაიწყოს ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები, ეს სავსებით გასაგებია. მაგრამ ავანტიურისტულმა ძალებმა პროტესტის ეს სამართლიანი ტალღა თავიანთი მიზნების მისაღწევად შეიძლება გამოიყენონ, რათა კიდევ გაიხანგრძლივონ ყოფნა ხელისუფლებაში. ამას ჩვენ არ დავუშვებთ.

— დღეს ახალი მინისტრების ვინაობაზე ბევრს საუბრობენ, იმასაც ამბობენ, რომ ირაკლი ბათიაშვილი შესაძლოა უშიშროების მინისტრად მოგვევლინოს...

— მე პირდაპირ გეტყვით, რომ არანაირი მსგავსი ინფორმაცია არ მქონია, არავისგან ამ თემაზე არაფერი არ მომისმენია. შეიძლება ჭორი მართლაც იყოს. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ამ თანამდებობაზე ადრეც ვმუშაობდი.

— ისე, თუ იქნება შემოთავაზება, დათანხმდებით ამ თანამდებობას?

— არ ვიცი, მე ამ თემაზე არ მიფიქრია. მე დღეს ვარ დეპუტატი და ჩემი სადეპუტატო მოვალეობის შესრულებას ვაგრძელებ.

— კარგით, რახან ამ თემაზე არ გსურთ საუბარი, გადავალ კოდორის თემაზე, საიდანაც თქვენ ორი დღის წინათ დაბრუნდით, როგორი იყო თქვენი თვალით დანახული კოდორის ხეობა?

— პირდაპირ იქიდან დავიწყებ, რომ არავის არა აქვს უფლება პანიკური ხმები გაავრცელოს, ვითომ კოდორის ხეობა იკარგება. ამას არ დავუშვებთ ჩვენ. ამას უპირველეს ყოვლისა თავად მოსახლეობა არ დაუშვებს, რომელიც ამ ხეობის უსაფრთხოების მთავარი გარანტია. ის მოსახლეობა ძალიან დიდი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. იქიდან არავინ იხიზნება, პირიქით, დიდი საბრძოლო განწყობილებაა. იქიდან არავინ გამორბის. ხეობა კარგად არის დაცული. მაგრამ ამის მიუხედავად საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება იმ სფეროში, რაც ეხება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას. არ გვჭირდება ბევრი ლაპარაკი იმაზე, რომ უნდა იქნას ჩამოგდებული ნებისმიერი საფრენი აპარატი, რომლებიც უკანონოდ გადმოლახავენ ჩვენს ტერიტორიას და მით უფრო დაგვბომბავენ. ამისათვის არ არის აუცილებელი რაღაც უმაღლესი კლასის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა. ეს ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ

საჭიროა. აუცილებლად უნდა ავაწყოთ ეს სისტემა და მტრის საჰაერო იერიშების მოგერიება პრობლემა აღარ იქნება. ჩვენმა ხელისუფლებამ ამ ხეობის მიმართ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს.

ესაუბრა **შორენა მარსაგიშვილი**

გაზ. „ახალი თაობა" №305
5 ნოემბერი, 2001 წ.

საქართველო ძალიან დიდ ხიფათს გადაურჩა

— 25 მაისს გვარდიელთა მიერ მოწყობილ ამბოხს ორი კვალიფიკაცია მიეცა. ერთი მხრივ, ეს იყო სოციალურ ნიადაგზე გამოხატული უკმაყოფილება, მეორე მხრივ კი — სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. თქვენი შეფასება როგორია?

— საჯაროდ გაცხადებული მოთხოვნები ამბოხებულების მხრიდან იყო წმინდა სოციალური ხასიათის. საჯაროდ მათ სხვა მოთხოვნები არც დაუყენებიათ. მათ არ მოუთხოვიათ არც ხელისუფლების გადადგომა, არც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და არც სხვა მსგავსი რამ. როცა მათთან დაიწყო მოლაპარაკებების პროცესი, მათთან ჯერ ჩავიდა გვარდიის სამმართველოს უფროსი ჯემალ ჭუმბურიძე, შემდეგ — მე, შემდეგ კი — გია ყარყარაშვილი და ავთანდილ ჯორბენაძე. ამ მოლაპარაკებისას ისინი მხოლოდ სოციალურ მოთხოვნებს აყენებდნენ. ეს სოციალური მოთხოვნები დაკავშირებული იყო გვარდიის ნაწილებში და საერთოდ ჯარში შმქენილ უმძიმეს ვითარებასთან. მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ ჩვენს ჯარში მართლაც კატასტროფული მდგომარეობაა, მაგრამ ყოველივე ამასთან უნდა აღვნიშნო შემდეგი, რომ იმ დღეს, ცხადია, საქართველო გადაურჩა ძალიან დიდ ხიფათს.

— ანუ იყო იმის საშიშროება, რომ მდგომარეობა უაღრესად განვითარებულიყო?

— მოდით, ნუ გავაიოლებთ მომხდარს. დღევანდელი გადასახედიდან, მართალია, ყველაფერი მარტივად ჩანს, მაგრამ მაშინ ეს ასე არ იყო, რადგანაც ეს პროცესები დროზე მშვიდობიანად რომ არ დასრულებულიყო და რაღაცნაირად გაგრძელებულიყო ორი დღე მაინც, მერე ჩვენ უკვე აღარ ვიქნებოდით დაზღვეულები ათასნაირი პროვოკაციისა და კონფლიქტის გამწვავებისგან, შემდგომ უკვე სხვადასხვა დესტაბილიზაციის პროცესის გავრცელებისაგან. იქით მხარეს ძალიან დიდი ძალა იდგა. ისინი ყველანი გამოცდილი მებრძოლები არიან. ბევრი მათგანი კვალიფიცირებულია სამხედრო საქმეში. ისიც

უნდა გითხრათ, რომ მათ სოციალურ მოთხოვნებს, ცხადია, სხვა ჯარისკაცებიც თანაუგრძნობდნენ, თანაუგრძნობდნენ ისინიც, ვისთვისაც შეიძლებოდა ებრძანებინათ, კონტრღონისძიებები გაეტარებინათ. ასეთი ბრძანება რომ გაცემულიყო, ამის შესრულება ასეთი იოლი არ იქნებოდა. ანალოგიურად ყველა სხვა სამხედრო მოსამსახურე და ჯარისკაცი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და იმავე სოციალური პრობლემების წინაშე დგას. ასეთივე გაღიზიანება შეიძლება გამოეწვია ყველა ჯარისკაცში არსებულ სიტუაციას. ამიტომაც მდგომარეობა იოლი არ იყო და საჭიროებდა სასწრაფო გადაწყვეტას. როდესაც ლაპარაკია, რა იყო ეს, პოლიტიკური ამბოხი და გადატრიალება თუ სოციალური უკმაყოფილების გამოხატვა — ეს არის ძალიან ფარდობითი და პირობითი ცნებები. ნებისმიერი დესტაბილიზაციის პროცესები ჰაერიდან და არაფრიდან არ იწყება. არ ხდება ისე, რომ რაიმე არაფრიდან დაიწყოს. ასეთ რამეებს ყოველთვის აქვს კონკრეტული სარჩული. მოცემულ შემთხვევაში საქართველოში ყველაზე მტკივნეული პრობლემები, რომელიც დაგროვილია — ეს არის სწორედ სოციალური სფერო. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოში შესაძლებელია რაღაც დესტაბილიზაცია და მასობრივი ამბოხი დაიწყოს, ეს პირველ ყოვლისა, დაკავშირებული შეიძლება იყოს სოციალურ საკითხებთან და ამით ისარგებლონ გარკვეულმა მაპროვოცირებელმა ძალებმა, რათა ეს გამოიყენონ თავისი მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, ამის ერთმანეთისაგან გამიჯვნა არასწორია. ეს კონფლიქტი რომ ასე მშვიდობიანად გადაწყდა, ამაში დიდი როლი ითამაშა თავად გაფიცული სამხედროების ხელმძღვანელობამ, მათმა შეგნებულმა მიდგომამ და დამოკიდებულებამ შექმნილი ვითარებისადმი, კობა ოთანაძის, გია კრიალაშვილის და სხვათა რაციონალურმა და ჭკვიანურმა პოზიციამ. მე მათ კარგად ვიცნობ. ისინი არ არიან ისეთი ადამიანები, რომ რაღაც ემოციას აჰყვნენ. ისინი გამოცდილი მეომრები არიან და მათში ნამდვილად არ იყო ისეთი განწყობილება, რომ მათ სურდათ კონფლიქტის გამწვავება. თავიდანვე მათი განწყობილება იყო მიმართული იქითკენ, რომ რაც შეიძლება მშვიდობიანად დარეგულირებულიყო ეს ვითარება. ანალოგიური განწყობილება იყო ხელისუფლების მხრიდან. დაძაბულობის გაღრმავება არც ერთ მხარეს არ აწყობდა.

— თუმცა ორშაბათს გამართულ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე ისეთი შეფასებები გაისმა, რომლებიც პრეზიდენტის შეფასებისაგან დიდად განსხვავდებოდა. აქედან გამომდ-

ინარე, გაჩნდა კიდევ ერთი მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმ ამბოხის დროს ჟვანიას და შევარდნაძის ინტერესები გარკვეულწილად დაეჯახა ერთმანეთს.

— თავად ზურაბ ჟვანიაც აქტიურად იყო ჩართული ამ მოლაპარაკებების პროცესში. იგი, თავის მხრივ, აკონტროლებდა ამ პროცესს. მე მასთან მქონდა შეხვედრები. ის ყველანაირად დაინტერესებული იყო, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანად და მაქსიმალურად სწრაფად გადაწყვეტილიყო. რამდენადაც ვიცი, ჟვანია პირადადაც იცნობს ამ ხალხს. მე უშუალოდ არ ვიცი ამ საკითხებთან დაკავშირებით რეზო ადამიას პოზიცია, ტელევიზიით მოვუსმინე მის შეფასებას. მაგრამ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მმართველ პარტიაში ამ მოვლენებმა ძალიან მწვავე რეაქცია გამოიწვია. ეს ნამდვილად არ იყო პროტესტის გამოხატვის მისაღები ფორმა. იგივე უშიშროების მინისტრის პოზიციაც გასაგებია. მერე რა, რომ მან ძალიან მკაცრი განცხადებები გააკეთა. ეს მართლაც საგანგაშო მოვლენაა წმინდა სახელმწიფოს უშიშროების თვალსაზრისით. ეს პროტესტის გამოხატვის ყოვლად მიუღებელი ფორმაა. სულ სხვაა, როდესაც პროტესტს გამოხატავენ მშვიდობიანი ადამიანები, რომელთაც ხელში პლაკატები უკავიათ და სულ სხვაა, როცა ამას აკეთებს იარაღიანი ხალხი. ამიტომ ატეხილი განგაში არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა ამ საკითხს ყველა ძალიან რაციონალურად უნდა მიუდგეს. ისე კი არ უნდა მოხდეს, რომ კიდევ უფრო გამწვავდეს ვითარება და კვლავ სიტუაციის გართულების პროვოცირება მოხდეს, არამედ უნდა იყოს მოლაპარაკება. ამ განაწყენებულ გვარდიელებს თუ უკმაყოფილების საფუძველი არ ექნათ, ვერავითარი გარეშე თუ შიდა მაპროვოცირებელი ძალა ვერ შეძლებს მათ ინსპირირებას და პროვოცირებას რაღაც ქმედებებისკენ. მთავარი აქ ის არის, რომ არ არსებობდეს უკმაყოფილების საფუძველი. მე ვგულისხმობ სოციალურ საკითხებს. ამ მხრივ უნდა წარიმართოს მუშაობა. მოქალაქეთა კავშირის ლიდერები ამას შეგნებულად უნდა მიუდგნენ. ცხადია, ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში მათი დამოკიდებულება ასეთი იქნება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრეზიდენტმა გვარდიელებს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

— საზოგადოებაში გავრცელდა ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ყველაფერი იყო დადგმული სპექტაკლი 26 მაისს დიდი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად.

— ასე ყველაფერი შეიძლება ითქვას. ვინც ამ მოვლენების უშუალო მომსწრეა, ის ნამდვილად ვერ მისცემს ასეთ შეფასებას. ყველაფერი იყო წკიპზე და ეს პროცესები რომ გაგრძელებულიყო, ასე იოლად არ დამთავრდებოდა. ეს ჩვენთვის მართლაც ძალიან მძიმე გაკვეთილია. მე ვეთანხმები ბევრ პოლიტიკოსს იმაში, რომ ამას ასე იოლად არ უნდა ვუყურეთ. ძალიან საგანგაშო მოვლენა იყო, რომელიც ღრმა შესწავლას და სათანადო დასკვნების გაკეთებას საჭიროებს. ჩვენს ხალხში იმდენად არის აპათია და სკეპტიციზმი არსებული ხელისუფლებისა და სიტუაციისადმი, რომ შესაძლებელია ყველანაირი დასკვნა გააკეთო და არც უნდა გაგიკვირდეს, რომ საზოგადოების მხრიდან ამგვარი შეფასებები გაისმის.

— როგორ უყურებთ იმ მოვლენას, რომ ეროვნული გვარდია თავდაცვის სამინისტროს უნდა გამოეყოს და პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდეს?

— ამაზე საუბარი იყო მოლაპარაკებების დროს. იყო საუბარი იმაზე, შეიძლება უკეთესიც კი იყოს, რომ ეროვნული გვარდია გადავიდეს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში. ჩემი აზრით, ეს საკითხი ძალიან ღრმა შესწავლას საჭიროებს. სხვათა შორის, მსგავსი რეკომენდაციები მოდიოდა ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან და მათი ექსპერტებიდანაც. ისინი გვირჩევდნენ, რომ მსგავსი სტრუქტურული ცვლილებები მომხდარიყო. შეიძლება სწორიც იყოს, რომ გვარდიის სახით შეიქმნას ელიტური ფორმირება, რომელიც პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში იქნება. თუმცა ასეთ შემთხვევაში მისი მომარაგების საკითხი სხვა დონეზე უნდა გადაწყდეს. მარტო ასეთი სტრუქტურული გადაადგილებით არაფერი შეიცვლება. თუმცა ეს შეიძლება მიზანშეწონილიც იყოს.

— ამ მოვლენებმა გვერდზე გადასწია ისეთი პრობლემა, როგორიც ადამიანების გატაცებაა. თავის დროზე იმით გვამშვიდებდნენ, რომ ეს საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში საქართველოს იმიჯის დაცემისთვის კეთდებოდა, მაგრამ ახლა ამან ისეთი სახე მიიღო, რომელსაც იმიჯის დაცემის მცდელობას ვეღარ დავარქმევთ...

— ამ მხრივ არის უკვე ისეთი სიტუაცია, რომელიც არანაირ ნორმაში აღარ ჯდება. იმდენად საშინელი მდგომარეობაა კრიმინოგენური თვალსაზრისით, რომ დამშვიდება შეუძლებელია. ისეთი მდგომარეობა, როგორიც ახლაა, მე მგონი, არასდროს ყოფილა. სრული განუკითხაობაა. ჩვენ მივდივართ დაახლოებით იმ მდგომარე-

ობამდე, რაც იყო 1992 წელს, როცა ქუჩაში ხალხი ვერ გამოდიოდა. ფაქტი ერთია, რომ არაფერს წარმოადგენს სხვადასხვა ბანდებისთვის დღისით მზისით ადამიანის გატაცება. მე არ ვიცი, როდემდე შეიძლება ამის გაგრძელება. საჭიროა გარკვეული ზომების მიღება. ქვეყანაში საგანგაშო პრობლემებია, რაც სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტური მუშაობიდან გამომდინარეობს.

ესაუბრა **შორენა მარსაგიშვილი**

გაზ. „ახალი თაობა" №146
30 მაისი, 2001 წ.

ვერავინ დამარწმუნებს, რომ გამსახურდია და კოსტავა გაიქცნენ

— ბატონო ირაკლი, თქვენ, როგორც 9 აპრილის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ლიდერი, ამ გადასახედიდან როგორ აფასებთ მოვლენებს? ბევრი საყვედური ისმოდა მოსახლეობის მხრიდან, რომ ლიდერები უვნებლად გამოვიდნენ, ხოლო მოსახლეობა მსხვერპლად შეინირეს.

— ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული მათ შორის მე აღმოვჩნდი, ვინც დაიღუპა და ვისი სისხლიც დაიღვარა. მე ჩამქოლეს მხოლოდ. როდესაც დარბევა დამთავრდა და გვამები დაიწმინდა, მე მიპოვეს მედპუნქტის მუშაკებმა. მედპუნქტის უფროსმა მიხეილ კრიხელმა მიცნო. მან პულსი გამისინჯა და იფიქრა, ცოცხალიაო. თვალი რომ გავახილე სამედიცინო პუნქტში, მერე აღვიდგინე, რაც მოხდა. დარბევა რომ დაიწყო, ლიდერები ხალხთან ჩამოვედით. მე ნამდვილად ველარ გეტყვით, ვინ სად იდგა — ხალხში გავიფანტეთ. მე პირველ რიგში ვიყავი და მალე მოაღწიეს ჩემამდე. სამხედროები გვცელავდნენ, როგორც ბალახს, უმოწყალოდ გვცემდნენ, ბარებიც იყო, უფრო მეტად — ხელკეტები. პირდაპირ ხელკეტს მირტყამდნენ. გამორიცხული იყო, იქიდან სადმე გავქცეულიყავი. ჩემ გვერდით ქალები იდგნენ. დავეცი. დაცემულსაც მირტყამდნენ და მერე ზევიდან ხალხის უშველებელი ხროვა დამაწვა. მახსოვს, როგორ ვკარგავდი გონებას იმ შეგნებით, რომ ვკვდებოდი. რაც შეეხება ლიდერების დადანაშაულებას, ხშირად ვკითხულობ გაზეთებში. მადლობელი ვარ იმ ავტორების, ვისაც ახსოვს, მე რა გადავიტანე. არასწორი იქნებოდა, რომ სხვა ლიდერები დაგვედანაშაულებინა და გვეთქვა, რომ ისინი გაიქცნენ. საკითხი ასე რომ დავსვათ, სხვები რატომ არ დაზარალდნენ ისე, როგორც ირაკლი ბათიაშვილი — ეს არასწორი იქნებოდა. დარბევა ისეთი მოვლენაა, იქ ვერ განსაზღვრავ ვინ დაზარალდება და ვინ არა. შეიძლება დიდი ნაწილი საერთოდ უვნებელი დარჩეს. მაგრამ ეს საშინელი რამ იყო, შემთხვევითობის ამბავი იყო, რომ ლიდერები გადარჩნენ, ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ ზვიად გამსახურდია ან მერაბ კოსტავა გაიქცნენ.

— როდესაც პატრიარქი მოვიდა და გააფრთხილა მომიტინგეები რეალური საშიშროების გამო, თვით ლიდერებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ დარბევა გარდაუვალი იყო. რატომ არ მოუწოდეს ხალხს დაშლისკენ?

— ინფორმაცია ხელისუფლებასაც ჰქონდა და პატრიარქსაც. ჩვენც ეჭვი გვქონდა, ველოდებოდით, რომ დარბევა იქნებოდა, მაგრამ, რას ვიფიქრებდით, თუ ასე სასტიკი იქნებოდა. ვერავინ დაიშლებოდა, ეს არ იყო მხოლოდ ლიდერების კაპრიზი, არამედ იყო მთელი ხალხის გადაწყვეტილება — ეროვნული დაუმორჩილებლობის აქტი და, რა მასშტაბები მიიღო მან, კარგად იცით. ეს იყო რევოლუციური მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც ერთ-ერთი კატალიზატორი აღმოჩნდა იმ რღვევის პროცესში. შესაბამისად, 9 აპრილმა რევოლუციური როლი შეასრულა.

— მაგრამ, სხვა რესპუბლიკებმა უსისხლოდ მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ჩვენთან არ შეიძლებოდა ეს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ საქართველო იყო მაშინ ავანგარდში და ფლაგმანი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაში, ისე, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნები. მათ რამდენი უბედურება გადაიტანეს.

— ბატონო ირაკლი, ახლანდელი გადასახედიდან სხვანაირად ფიქრობთ?

— არა, მე მიმაჩნია, რომ ეს ტრაგედია იყო, ვინაიდან ხალხი დაიღუპა, მაგრამ ის ხალხი ამაოდ კი არ დაიღუპა, მათ მსხვერპლი გაიღეს. თვით 9 აპრილის მოვლენა — ეს იყო ერის მორალურ-ფსიქოლოგიური კონსოლიდაცია. ასეთი დღეები ჩვენს ქვეყანას არ ახსოვს. გავიხსენოთ, რა რეზონანსი მოჰყვა ამას მთელ მსოფლიოში. მაშინ გაიგო მთელმა მსოფლიომ, რომ არსებობს ქვეყანა — საქართველო, რომელიც ისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ. მანამდე ვინ იცოდა. მაშინ ამის გამო მიიღო ამერიკის სენატმა საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი რეზოლუცია. არ გახსოვთ, მაშინ რამხელა რევერანსებზე წასვლა მოუხდა კრემლს? 9 აპრილმა უდიდესი მორალურ-პოლიტიკური სტიმული მისცა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ეს შემდეგ. ამით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს კომუნისტურ წყობილებას.

— სამწუხაროდ, ეს ეროვნული სულისკვეთება შემდეგ გაუგებრობასა და ნიჰილიზმში გადაიზარდა.

— 9 აპრილის შემდეგ ეროვნული მოძრაობა არასწორი გზით მიდის და უამრავ შეცდომას უშვებს, რასაც მოწინააღმდეგე იყენებს და მერე ხდება უბედურება.

— როდესაც არასწორი გზით წავიდა ეროვნული მოძრაობა ანუ დაიწყო განხეთქილებები, ამ პერიოდისათვის თუ არსებობდა განხეთქილება მერაბ კოსტავასა და გამსახურდიას შორის?

— ასეთი განხეთქილება არ არსებობდა მათ შორის, მაგრამ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა კი იყო. კერძოდ, ზვიად გამსახურდია იყო უფრო კატეგორიული და შეუვალი იმ პარტიებთან ურთიერთობაში, რომელიც მისთვის მიუღებელი იყო და რომლებთანაც ჰქონდა კონფრონტაცია, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან, მერაბ კოსტავა კი თამაშობდა გარკვეული რეგულატორის როლს, მშვიდობის მისია ჰქონდა და ცდილობდა, გაემთლიანებინა ეროვნული მოძრაობა. კოსტავას შეეძლო არბიტრის როლი შეესრულებინა, ვინაიდან მისი სიტყვა იქნებოდა საბოლოო.

— და არ მოხდებოდა ისეთი დაპირისპირება, რომელიც შემდეგ მოხდა.

— არა, კოსტავა არ დაუშვებდა ასეთ დაპირისპირებას.

ესაუბრა ეთერ ბალაძე

გაზ. „ახალი თაობა“ №98 (2310)
11 აპრილი, 2002 წ.

საქართველოში იარაღით ვაჭრობაში ძალოვნები არიან ჩართულები

— ხვალ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომამ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით დოკუმენტი უნდა მიიღოს, თქვენი აზრით, რამდენად დადებითად იმოქმედებს ეს დოკუმენტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებაზე?

— მართალი რომ გითხრათ, ჩემთვის არ არის ცნობილი, თუ რა სახის დოკუმენტი იქნება მიღებული ამჟამად გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ამასთანავე უცნობია, როგორი იქნება საქართველოს პოზიცია ამ დოკუმენტთან დაკავშირებით. ახლა ჩვენ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ აფხაზური მხარე ელემენტარულად „აიძულონ", რომ მან დაიწყოს სტატუსთან დაკავშირებული დოკუმენტის განხილვა. როდესაც გაერომ შეიმუშავა აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული დოკუმენტი, მათ საქართველოსგან მოითხოვეს მთელი რიგი პირობების შესრულება. აქ შედიოდა ისეთი სახიფათო პირობების შესრულება, როგორიც იყო კოდორის ხეობიდან ჯარის გაყვანა, ერთობლივი პატრულირების დაწყება. ყველა კარგად ვგრძნობდით, რომ ამ მოთხოვნების უკან შეიძლება სულ სხვა ზრახვები ყოფილიყო. ამის მოწმენი აღმოვჩნდით კიდევაც, როდესაც 12 აპრილს კოდორში დესანტი გადმოისხა. ამის მიუხედავად, საქართველომ თავისთვის ძალიან სარისკო ნაბიჯები გადადგა, მის მიმართ ამ თვალსაზრისით პრეტენზიები რომ არ ყოფილიყო. იყო საუბარი იმაზე, რომ თუ საქართველო წამოყენებულ პირობებს არ შეასრულებს, ასეთ შემთხვევაში გაეროს დოკუმენტის განხილვა ჩაიშლება და აფხაზურ მხარეს ექნება რეალური საფუძველი, რომ უარი თქვას ამ საკითხის განხილვაზე. საქართველომ თავისი ნაკისრი მოვალეობა აბსოლუტურად შეასრულა, მაგრამ კვლავაც იგივე პრობლემის წინაშე ვდგავართ. აფხაზური მხარე წინასწარ აცხადებს, რომ ამ დოკუმენტს არ განიხილავს, რადგანაც იმ დოკუმენტში საუბარია, რომ აფხაზეთი უნდა იყოს საქართველოს შემადგენლობაში. ამიტომაც ახლა უკვე გაუგებარი რჩება, თუ რა

პრეტენზია შეიძლება იყოს კიდევ წამოყენებული ქართული მხრისადმი. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენს მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს ყოველთვის თან ებმოდა ის, რომ უნდა გაგვეგრძელებინა სამშვიდობო ძალებისათვის მანდატი. ამან მთელი ხელისუფლება პირდაპირ სამარცხვინო მდგომარეობაში ჩაგვაგდო, რადგანაც ყველაფრის მიუხედავად მაინც ვუგრძელებთ რუსეთის სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონაში ყოფნის მანდატს. ამ ყოვლად დამამცირებელ კომპრომისზე კიდევ ერთხელ წავიდა საქართველო, რადგანაც ახლა უკვე ამერიკის რეკომენდაცია იყო სამშვიდობოებისთვის მანდატი გაგვეგრძელებინა, რათა აფხაზეთში რაიმე პროვოკაციები არ დაწყებულიყო. ასე რომ, ამ მხრივაც არც არავითარი მანდატი არ შეცვლილა, არც მათი ფუნქცია არ შეცვლილა, არც არანაირი პროგრესი არ არის და ახლა უკვე გაერომ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები. მან უკვე ქმედითი ზომები უნდა მიიღოს.

— პრეზიდენტმა შევარდნაძემ ასლან აბაშიძის მისია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების სფეროში არადამაკმაყოფილებლად შეაფასა, თქვენ ამასთან დაკავშირებით რას იტყოდით?

— როგორც ჩანს, შევარდნაძემ არადამაკმაყოფილებლად თავად შედეგი შეაფასა. თუმცა მას შემდეგ, რაც აბაშიძეს ამ მისიის შესრულება დაეკისრა, ძალიან მცირე დროა გასული და მართალი რომ გითხრათ, სამ-ოთხ თვეში მე პირადად არანაირ შედეგს არ ველოდი. თქვენ ვინმეს გქონდათ იმის ილუზია, რომ ამ მოკლე პერიოდში რაიმე დარეგულირდებოდა.

— და ისევ გაქვთ იმის იმედი, რომ აბაშიძე ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში რამეს მიაღწევს?

— აბაშიძეს გარკვეული კოზირები ხელში უჭირავს იმ თვალსაზრისით, რომ სერიოზული ნდობით სარგებლობს რუსეთთან. მას ადვილად მიესვლება რუსეთის იმ წრეებთან, ვის ხელშიც არის უამრავი ბერკეტი ამ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. მას ასევე გაცილებით იოლად შეუძლია საუბარი აფხაზურ მხარესთან. აქ არის ერთი მომენტიც, აბაშიძე კი არის პრეზიდენტის წარმომადგენელი, მაგრამ ის ბოლომდე არ არის აღქმული, როგორც პრეზიდენტის წარმომადგენელი. ეს რომ ასე აღიქვა, ეს იგივეა, რომ მე ვიყო ან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ან სეპარატისტთა ლიდერი. რუსებიცა და აფხაზებიც ადევნებენ თვალყურს იმას, თუ რა ხდება ჩვენთან.

უყურებენ, რომ მიდის ბრძოლა შევარდნაძესა და აბაშიძეს შორის, რომ აღორძინება უპირისპირდება ცენტრს. ამიტომაც, როგორ შეიძლება ისინი თვლიდნენ, რომ აბაშიძე არის შევარდნაძის წარმომადგენელი.

— თქვენ ფიქრობთ, მხოლოდ აბაშიძის ოპოზიციონერობის ბრალია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არ რეგულირდება?

— არა, მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის ქმედითი მექანიზმი. არავის არ უნდა ჰქონოდა იმის ილუზია, რომ რადგანაც აბაშიძე წარმომადგენლად დაინიშნა, რაღაცა მაშინვე მოგვარდებოდა. ეს პრობლემა ისევ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს და ეს უნდა მოხდეს მთლიანი პოლიტიკით.

— ასლან აბაშიძე კატეგორიულად მოითხოვს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმებას, ამ მოთხოვნას თბილისშიც ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. თქვენი აზრი როგორია?

— მე ამას ვერ დავეთანხმები. შეიძლება აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მიმართ სასაყვედურო ბევრი რამე იყოს, მაგრამ რაღაცა პროცესების ორგანიზებას ის მაინც ახერხებს.

— რა პროცესები გაქვთ მხედველობაში?

— დევნილების უშველებელი კონტინგენტის პოლიტიკურ ორგანიზებას სწორედ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება აბამს თავს. საქართველოს მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა უხერხულობა იქნებოდა, რადგანაც არძინბას ვერაფერს უხერხებ და ლეგიტიმურ ხელისუფლებას აუქმებ, ეს ძალიან ულამაზო იქნებოდა და ამასთანავე უსარგებლოც.

— ორი დღის წინ დააკავეს იარაღის კიდევ ერთი პარტია, ამჯერად იარაღი აფხაზეთიდან პანკისში მიდიოდა, რა შეფასებას აძლევთ ამ ფაქტს?

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში იარაღით ვაჭრობა ერთჯერადი მოვლენა არ არის. როგორც ირკვევა, იარაღით არალეგალური ვაჭრობის თვალსაზრისით არის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც ჩართული არიან ძალოვნები. თუმცა ერთმნიშვნელოვნად ვერ იტყვი, რომ აქ ჩართულია თავდაცვა ან უშიშროება, ხვალ შესაძლოა ამ ვაჭრობაში სხვა სტრუქტურა ჩაერთოს. მე კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ უფრო და უფრო უარესი ფაქტები დაგვიგროვდება, სანამ მართლაცდა სერიოზული ცვლილებები არ იქნება და არ დაიწყება ძალოვანი სტრუქტურების საფუძვლიანი რეორგანიზაცია. მე მხედველობაში მაქვს რეფორმირების პროცესი, რომელიც თავის

თავში მოიცავს საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებსაც. ამ ცვლილებების განხორციელებას რაც უფრო გადავდებთ, მით უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

— ცოტა ხნის წინ შეიცვალნენ შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, მაგრამ ამ სტრუქტურებში ამ ცვლილებებს დიდი ეფექტი არ გამოუწვევია?

— იცით რაშია საქმე, ჩვენ აქ პიროვნებებზე არ უნდა გავაკეთოთ აქცენტი. როცა უშიშროების სამინისტროზე მიდის საუბარი, ვაღიარებ, რომ ამ უწყებაშიც ძალიან სერიოზული ცვლილებებია გასატარებელი. ბოლო დროს მე მართალია უფრო თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული საკითხებით ვიყავი დაკავებული, მაგრამ როგორც ვატყობ, უშიშროების სამინისტროს კუთხითაც მომიწევს სერიოზული წამუშავება.

— გამოდის, რომ ახლა უშიშროების სამინისტროს დაარტყამთ?

— არა, მე ასეთი ტენდენცია ნამდვილად არა მაქვს, ვილაცას დავარტყა. ასე რომ, არც უშიშროების სამინისტროსთვის ვაპირებ დარტყმის მიყენებას. უშიშროების ამჟამინდელ მინისტრ ვალერი ხაბურძანიას დიდ პატივს ვცემ. მე მინდა, რომ ძალოვნებმა ჩემი დამოკიდებულება აღიქვან ისე, როგორც სურვილი მხარდაჭერისა და ჩემი კრიტიკული გამოსვლები იყოს ცვლილებების კატალიზატორი. ეს ცვლილებები თავად ხელმძღვანელებმა უნდა გაატარონ.

— რადგანაც უშიშროებაზე ვსაუბრობთ, აქვე უშიშროების ყოფილ შეფს, იგორ გიორგაძესაც შევეხოთ, დღეს საკმაოდ ბევრს საუბრობენ მის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, თქვენ როგორ უყურებთ გიორგაძის შესაძლო რეაბილიტაციას?

— ჩემი აზრით, ხმები იგორ გიორგაძის რეაბილიტაციის შესახებ ატარებს ჭორის ხასიათს. თავად პრეზიდენტს არც კი უხსენებია ამგვარი რამე. იგორ გიორგაძის რეაბილიტაცია არ არის იოლი საქმე, რადგანაც მისი შეწყალება ვერ მოხდება, რადგანაც ის მსჯავრდებული არ არის, პრეზიდენტს კი ნებისმიერი მსჯავრდებულის შეწყალება შეუძლია. გიორგაძე კი არის ძებნილი და ბრალდებული. ჩემთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მექანიზმით შეიძლება მოხდეს მისი შეწყალება. რა თქმა უნდა, ბუნებაში ასეთი მექანიზმი არსებობს, მაგრამ ის უფრო რთულია და ხმები მისი შეწყალების შესახებ ალბათ მოყვა იმ ამბავს, რომ მოხდა ხაჩიშვილისა და გელაშვილის შეწყალება. მე არაფრით არ დავიჯერებ იმას, რომ პრეზიდენტმა გიორგაძის რეაბილიტაცია მოინდომოს.

— ხაჩიშვილისა და გელაშვილის შეწყალებამ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებში, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— პირდაპირ გეტყვით, რომ რა შეფასებაც მისცეს ხაჩიშვილისა და გელაშვილის შეწყალების ფაქტს ირინა სარიშვილმა და გია ყარყარაშვილმა, ამას თავის საფუძველი აქვს. ეს არიან ის ადამიანები, რომლებმაც ამხელა უბედურება გადაიტანეს თავიანთ თავზე. ჩატარდა გამოძიება, იყო უამრავი რაღაცა და ყველაფერი წავიდა იქითკენ, რომ მათზე განხორციელებული თავდასხმები იყო ამ შეწყალებულთა მიერ ორგანიზებული. რაც შეეხება სხვათა მიერ ატეხილ აჟიოტაჟს ამ გათავისუფლებასთან დაკავშირებით ეს უკვე მეტისმეტია, რადგანაც მე ხაჩიშვილსაც კარგად ვიცნობ და გელაშვილსაც. მათ კარგად იცნობენ ირინაცა და გიაც, მათთვის კარგად არის ცნობილი მათი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ სხვებს მათთან დაკავშირებით ასეთი აჟიოტაჟი არ უნდა აეტეხათ. ის განცხადება, რომ ხაჩიშვილი და გელაშვილი ქვეყანაში რაიმე დესტაბილიზაციას გამოიწვევენ, რეალობასთან ახლოსაც კი არ არის. ხაჩიშვილსა და გელაშვილს დესტაბილიზაციის გამოწვევა მაშინ შეეძლოთ, როცა ჰქონდათ ძალიან სერიოზული ბერკეტები და ძალა, თანაც იმ დროს ქვეყანაში დიდი განუკითხაობა სუფევდა. ამიტომაც ვთხოვ ყველას, რომ ნუ მივცემთ ამ შეწყალების ფაქტს ამხელა მნიშვნელობას. კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ამ ადამიანებს არავითარი დესტაბილიზაციის გამოწვევა არ შეუძლიათ.

— კარგით, ხაჩიშვილსა და გელაშვილს დესტაბილიზაციის მოწყობა არ შეუძლიათ, მაგრამ საშემოდგომო დესტაბილიზაციაზე უკვე ყველა საუბრობს, თუ თქვენ არც ამისა გჯერათ?

— ქვეყანაში ისეთი ვითარება შეიქმნა, როდესაც სავსებით რეალური ხდება საშემოდგომო დესტაბილიზაცია.

— მაშინ იქნებ ისიც თქვათ, ვისი მხრიდან იქნება ეს დესტაბილიზაცია გამოწვეული?

— ძნელი სათქმელია ვის მიერ იქნება ორგანიზებული საშემოდგომო დესტაბილიზაცია, მაგრამ ამ დესტაბილიზაციის მოსურნე ძალიან ბევრია.

— დესტაბილიზაციის მოსურნენი ალბათ ქვეყნის შიგნითაც არიან და გარეთაც?

— დიახ, ისინი ქვეყნის გარეთაც არიან და შიგნითაც. ისე ყველაზე ცუდი ის არის, რომ თავად ხელისუფლება უქმნის ამ ძალებს ნოყიერ

ნიადაგს იმისათვის, რომ მოხდეს დესტაბილიზაცია. ქვეყანაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა და რაღაცაში ვითარება აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. და როცა ვითარება არ სწორდება, რა თქმა უნდა, იქ დესტაბილიზაციისთვის კარგი ნიადაგი არსებობს. საქართველოში ქუჩაში ხალხის გამოყვანასა და დესტაბილიზაციის მოწყობას არაფერი არ უნდა. თუ დაინტერესებული ძალები შეეცდებიან ძალიან ორგანიზებულად გააკეთებენ და კარგად ჩაატარებენ ამ სამუშაოს, თავისუფლად შეიძლება დესტაბილიზაციის ინსპირაცია. ასეთ ვითარებაში სამართალდამცავმა სტრუქტურებმა წინასწარი თადარიგი უნდა დაიკავონ. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის წყალობით თავისუფლად შეიძლება როგორც ხალხის ქუჩაში გამოყვანა, ასევე რომელიმე სამხედრო ნაწილის აჯანყება. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენს სამართალდამცავ სტრუქტურებში ამ მხრივ გარკვეული პრობლემები არსებობს. მე ერთ რამესაც ვიტყვი, რომ ხალხს ვერავინ დაადანაშაულებს იმაში, რომ მათ პროტესტის გრძნობა ჰქონდეს, რაც შემდეგ შეიძლება ქუჩაში გამოსვლით გამოხატოს. ისევე, როგორც ვერ დაადანაშაულებ იმ სტუდენტებს, რომლებიც შარშან ნოემბერში გამოვიდნენ ქუჩაში. მათი პროტესტი სავსებით სამართლიანი იყო. მაგრამ ის, ვინც ამ გამოსვლებს ინსპირაციას უკეთებს, მას ყოველთვის სხვა მიზნები და ინტერესები აწუხებს. მერე ხალხი აღარავის აღარ აწყობს ხოლმე და ყველა ცდილობს თავისთვის რაღაცა პოლიტიკური სარგებელი ნახოს ხოლმე. ერთი რამე კი ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი გამოსვლა და არეულობა ამ ეტაპზე საქართველოს კარგს არაფერს არ მოუტანს.

— ორი დღის წინ საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე გააფთრებული ბრძოლები დაიწყო. რუსული მხარის განცხადებით, რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს მხრიდან ჩეჩენთა 60 კაციანი რაზმი შეიჭრა. როგორ ფიქრობთ, ამას რა შეიძლება მოჰყვეს?

— მართალია რუსები იძახიან, რომ მათ ტერიტორიაზე ჩეჩენთა რაზმი საქართველოს ტერიტორიიდან შეიჭრა, მაგრამ დადასტურებული არაფერი არ არის და ვერავინ დაამტკიცებს იმას, რომ ის რაზმი რუსეთის ტერიტორიაზე სწორედ ჩვენი მხრიდან შეიჭრა. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დღეს უამრავი პარტიზანული რაზმი მოქმედებს, რომლებსაც იქ დარჩენილი საველე მეთაურები ხელმძღვანელობენ, რომელთა ლიკვიდაციაც რუსეთმა დიდი მცდელობის მიუხედავად

ვერ მოახერხა. ეს რაზმები არსებობენ და ცდილობენ გააუმჯობესონ ერთმანეთთან კავშირის სისტემა. ფაქტია ისიც, რომ ყველა ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჩეჩენი მებრძოლები ძალიან სერიოზულად ემზადებოდნენ ამ ზაფხულისთვის. მოგეხსენებათ, რომ ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი პარტიზანული ომისათვის საუკეთესო პერიოდია. ამდენად, რუსებითვის მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ჩეჩნები სწორედ ამ პერიოდში დაიწყებდნენ ბრძოლის განახლებას. ამიტომაც რუსულმა მხარემ დაჟინებით არ უნდა ამტკიცოს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან შეჭრილმა რაზმებმა განაახლეს საომარი მოქმედებები. თუმცა არც ის არ არის გამოცხული, რომ იქ საქართველოს ტერიტორიიდან მართლაც გადასულიყვნენ რაღაცა ჯგუფები. მაგრამ ამაზეც არ უნდა ჰქონდეს რუსეთს საქართველოს მიმართ პრეტენზიები. მით უმეტეს, რომ ყველამ კარგად იცის, თუ როგორ ვაკონტროლებთ პანკისის ხეობას. ჩვენდა სამწუხაროდ, ჭირს ამ ხეობის გაკონტროლება. თუ საზღვარზე წავა ლაპარაკი, ისიც ნათელია, რომ საზღვარს ორი მხარე აქვს. რუსმა მესაზღვრეებმა მშვენივრად იციან ყველა ბილიკისა და საცალფეხო გადასასვლელის არსებობა და ცოტა საეჭვოა, რატომ არ აკონტროლებენ მათ სათანადო დონეზე.

— ხომ არ არსებობს იმის საშიშროება, რომ საქართველო ჩათრეული აღმოჩნდეს ამ საომარ მოქმედებებში?

— ჩვენ ახლა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ საომარ მოქმედებებში არ აღმოვჩნდეთ ჩათრეულები. არ არის გამორიცხული, რომ ცოტა ხნის მერე საქართველოს საზღვარს ისევ მოაწყდეს ხალხის ნაკადი ჩეჩნეთის მხრიდან. ამიტომაც საზღვრის ეს მონაკვეთი საგულდაგულოდ უნდა ჩაიკეტოს. ამ დროს კი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, რადგანაც ჩეჩნეთის მონაკვეთი ყველაზე რთულად კონტროლირებადია. მე ისიც კი მიკვირს, თუ როგორ აკონტროლებს დეპარტამენტი საზღვრებს არსებული დაფინანსების პირობებში. ამიტომაც ჩეჩნეთის მონაკვეთზე საზღვრის გაკონტროლებაში მთელი სახელმწიფო უნდა ჩაებას. თუ მართლაც ისე მოხდა, რომ პანკისის ხეობა დაიცალა რაღაცა ჯგუფებისაგან, ეს ჩვენთვის ძალიან კარგია, რადგანაც სულ ამაზე გვსაყვედურობდა რუსეთი, რატომ არიან თქვენთან ჩეჩნებიო. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ აღარ მოხდეს მათი ხელახალი შემოდინება. ჩვენ კარგად მოვიქეცით, როდესაც პანკისის ხეობიდან კრიმინალური ჯგუფი შეიარაღებული ძალების შეყვანით არ

გაგვიყრია. ასეთი ხერხისთვის რომ მიგვემართა, მივიღებდით მეორე ჩეჩნეთს.

— რამდენადაც ცნობილია, სასაზღვრო ძალები პანკისის მიმართულებით ვერ აკონტროლებს საქართველოს საზღვარს და როგორ მოხდება ჩეჩნეთიდან ხალხის გადმოდინების შეჩერება?

— ამ მხრივ მართლაც ცუდი ვითარებაა. ამიტომაც საჭიროა წინასწარი თადარიგის დაჭერა, რადგანაც შემდეგ არ გაგვიხდეს საქმე სავალალოდ (**კომენტარი: საჭიროა აღვნიშნო, რომ 2002 წლის აგვისტოში მე, როგორც თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარემ აქტიური და უშუალო მონაწილეობა მივიღე უშიშროების და შს სამინისტროებთან ერთად პანკისის ხეობის ოპერაციის წარმატებულ ჩატარებაში, რის შედეგადაც კონტროლი დამყარდა ამ მნიშვნელოვან რეგიონზე**).

ესაუბრა **შორენა მარსაგიშვილი**

გაზ. „ახალი თაობა“ №207
30 ივლისი, 2002 წ.

„ნავთობსადენის პროექტი შეიძლება ჩაიშალოს"

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელება ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას" — განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ბათიაშვილმა „ტრიბუნასთან" საუბრისას. პროექტით ბოლო მომენტში აღშფოთებული კოლეგების საქციელი მას არანაკლებ აეჭვებს. კიდევ ბევრ რამეში დაეჭვებული ირაკლი ბათიაშვილი „ტრიბუნას" ესაუბრება.

— „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელება, რამდენიმე დღის წინ საფრთხის ქვეშ იდგა. ვის ხელს ხედავთ ამ საქმეში?

— ყველასთვის ცხადია, რომ მობილიზებულია მთელი ძალები, რათა ეს პროექტი ჩაიშალოს. ეს ცნობილია საზოგადოებისთვის, პოლიტიკოსებისთვის, პოლიტოლოგებისთვის. რუსეთი თავადაც არ მალავს რა იწვევს მის გაღიზიანებას. ეს არის სამხედრო ბაზები, ჩვენი საგარეო ორიენტაციის საკითხი და ნავთობსადენების პროექტი. ამიტომ ახლა, როცა დღე-დღეზე ნავთობსადენის პროექტის რეალიზაცია უნდა მოხდეს, იგი შეეცდება ყველანაირად შეუშალოს ხელი ამას. ხომ ხედავთ, სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ყველანაირ მოლაპარაკებებს აჭიანურებენ. მიღწეული იქნება თუ არა საბოლოო გადაწყვეტილება, რომ საბოლოოდ უნდა გავიდეს რუსეთის ბაზები, ნახავთ როგორ გართულდება მდგომარეობა ჯავახეთის რეგიონში და აჭარაში.

— მეორეს მხრივ, არსებობს საზოგადოებრივი აზრი, ბორჯომის ხეობის ეკოლოგიის შესახებ...

— გეთანხმებით. საზოგადოებაში გამოკითხვა რომ ჩაატაროთ, მართლა არის ეს შეშფოთება. ეს აბსოლუტურად ნორმალური რეაქციაა.

— ეს ყველაფერი სერიოზულ ეჭვებს იწვევს ისევ საზოგადოებაში...

— კი, მაგრამ, სად იყვნენ აქამდე ისინი, ვინც ახლა „ჩაახედა" საზოგადოება საქმეში?

ეჭვი მეპარება, რომ მამუკა ხაზარაძემ რაღაც სხვა მიზნების გამო დაიწყო ხმაური ბორჯომის ხეობაზე. მას ალბათ მართლაც აღელვებს ბორჯომის ხეობის ბედი, ჩვენი ეკოლოგიური პერსპექტივებიდან და ამ ხეობის პესპექტივებიდან გამომდინარე. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ ამ ჯანსაღი შეშფოთებით სარგებლობენ ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ პროექტის ჩაშლით. არადა, თუ ეს პროექტი ჩაიშლება, შემდეგ ყველა პროექტი ჩაიშლება. შახ-დენიზიც ჩაიშლება და ჩვენი პერსპექტივაც, ვიყოთ ევრაზიის დერეფანი. მით თუმეტეს, კარგად იცით, რა პროცესები ვითარდება ერაყთან მიმართებაში. შეიძლება სულ მალე აქტუალობა დაკარგოს კასპიის საბადოების პროექტმა... ამიტომაც, არ უნდა დავუშვათ, რომ ამ ჯანსაღი რეაქციით სხვა ძალებმა ისარგებლონ.

— ამ ქაოსში ყველაზე მეტად ალბათ მაინც ხელისუფლებაა დამნაშავე.

— გეთანხმებით. შეიძლება უსაფრთხოების მხრივ ამ მონაკვეთზე მართლაც იყო რაღაც ნაკლოვანებები. ახლა ნავთობკორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია რომ გამოვიდა განმარტა, რომ ბორჯომის ხეობაში არ გადის მილსადენი, მდინარე ბორჯომულას კი კვეთს. პროექტით ამ მონაკვეთზე მაქსიმალური დაცვაა გათვალისწინებული. საუბარია უსაფრთხოების დამატებით გარანტიებზე. არა მგონია გია ჭანტურიას, ვინმეზე ნაკლებად აღელვებდეს ბორჯომის ბედი. კაცი ამბობს, რომ ფაქტობრივად საფრთხე ნულამდეა დაყვანილი. თუ ლოგიკას გავყვებით, როცა რაღაც კეთდება საფრთხე ყოველთვის არსებობს. მთავარია, შენ რა ღონისძიებებს იღებ, რომ საფრთხე ნულამდე დავიდეს. ამ მხრივ, ბიპი იღებს პასუხისმგებლობას, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

რა, ენგურ-ჰესი რომ მუშაობს, საფრთხე არ არის მთელი დასავლეთ საქართველოსთვის?

— მხოლოდ ახლა რატომ ახმაურდნენ პოლიტიკური ძალები პარლამენტში და მის გარეთაც?

— სხვათა შორის ამ პროექტის შესახებ ყველა იყო ინფორმირებული. საეჭვო მართლაც ის არის, რომ, როცა მშენებლობაზე მიდგა საქმე, ახლა ახმაურდნენ. თუ რაღაც სხვანაირად უნდოდათ გადაწყვეტილიყო, მაშინ ცოტა სხვანაირად, უფრო ადრე ეფიქრა ხელისუფლებასაც და სხვა პიროვნებებს. პირადად, მე მიმაჩნია, რომ ახალქალაქზე გასულიყო ნავთობსადენი, ჯობდა. როცა „ბიპის“ ექსპერტებმა ყველაფერი დაიანგარიშეს, სწორედ დაადგინეს, რომ

მილსადენისთვის იქ რისკი მეტია. თუ სახელმწიფოს იმის თავი ჰქონდა, „ბიპისთვის" დაესაბუთებინა, რომ ის უზრუნველყოფდა ამ რისკების მართვას, ეს იქნებოდა საკითხისადმი ნორმალური დამოკიდებულება. სახელმწიფომ ამას ყურადღება არ მიაქცია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმა არავის ამოუღია. როცა საქმე მიდგა მილების შემოტანაზე, ინვესტორი კედელთან მიაყენეს. ასეთ პირობებში მას მართლა შეიძლებოდა უარი ეთქვა ამ პროექტის რეალიზაციაზე.

— ამ საფრთხეს უკვე გამორიცხავთ?

— არც აწი გამოვრიცხავ ასეთ რამეს. კაცმა არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები ერაყთან დაკავშირებით. ამიტომ, ჩვენ ახლა მობილიზებული უნდა ვიყოთ, როგორმე დრო ვიხელთოთ, რომ ეს პროექტი დაიწყოს. რა თქმა უნდა, ყველა იმ პირობის გათვალისწინებით, რაც ჩვენ გვაღელვებს.

— თქვენ ბოლომდე არ მიპასუხეთ, როცა თქვენი კოლეგების საეჭვო რეაქციაზე გკითხეთ...

— არის ხალხი, ვისი შეშფოთებაც ჯანსაღი შიშით იყო გამოწვეული, ამას გარდა იყო საეჭვო გარემოებებიც.

— საეჭვოში რას გულისხმობთ?

— კოლეგიალურობიდან გამომდინარე არასწორი იქნება ამის დაკონკრეტება. მე მგონი არანაკლებ კარგად ხართ ინფორმირებული.

ესაუბრა **თამარ ასლანიკაშვილი**

გაზ. „ტრიბუნა"
9.12.2002 წ.

თბილისი რუსულ ჯარებს მარწუხებში აქცევს

ანომალიად მიმაჩნია, რომ ცენტრალური ხელისუფლება სამხედრო ბაზებზე არსებულ მდგომარეობას არ აკონტროლებს. ამასთანავე, სამხედრო საწყობების მდგომარეობა საგანგაშოა, საიდანაც დიდი რაოდენობის იარაღი და ტყვია-წამალი გაედინება — აცხადებს „ტრიბუნასთან" საუბარში პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც დღეს ამ საკითხების გასარკვევად ამიერკავკასიაში რუსეთის გენშტაბის ახლად დანიშნულ უფროსს, ალექსანდრე სტუდენქინს შეხვდა.

ბათიაშვილის განცხადებით, ამ შეხვედრის ინიციატორი რუსული მხარე იყო. საუბარი ძირითადად საქართველოში განლაგებული სამხედრო ბაზების და რუსეთის სამხედრო ნაწილების დაბეგვრის საკითხს შეეხო.

ირაკლი ბათიაშვილი: „მიმაჩნია, რომ რუსეთის სარდლობასთან უფრო აქტიური კონტაქტია საჭირო. სწორედ მათ განკარგულებაშია საქართველოში არსებული ახალქალაქის და ბათუმის სამხედრო ბაზები.

ახალქალაქის სამხედრო ბაზის მონახულების საშუალება მომეცა, ასევე მაქვს სურვილი ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზაზე შევიდე. სამწუხაროდ, აქამდე ეს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ არ ხორციელდებოდა. ანომალიად მიმაჩნია, რომ ცენტრალური ხელისუფლება ბაზებზე არსებულ მდგომარეობას არ აკონტროლებს.

— რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე სტუდენქინმა, არის თუ არა მომხრე, რომ ქართული მხარის მიერ სამხედრო ბაზების ინსპექტირება განხორციელდეს?

— მან განაცხადა, რომ ისინი მზად არიან არსებული სამხედრო ბაზების ნებისმიერი ინსპექტირებისათვის. ამასთანავე, სამხედრო ბაზების გარდა, მათ განკარგულებაში მყოფი სამხედრო საწყობების საკითხიც დაისვა.

ჩვენ სამხედრო საწყობების მდგომარეობა გვაღელვებს, რადგან ზოგიერთში ტყვია-წამალი და იარაღი ინახება. გვაინტერესებს, როგორია მათი შენახვის და დაცვის რეჟიმი. გარდა ამისა, სამხედრო საწყობებიდან იარაღის და ტყვია-წამლის გადინების საკითხი გასარკვევია.

— თქვენს კომპეტენციაში შედის თუ არა აღნიშნული სამხედრო ბაზების ინსპექტირება?

— სამხედრო ინსპექტირების საკითხი ჩვენი ფუნქცია არაა, მაგრამ ამას ჩვენ პრეზიდენტთან არსებულ მთავარი სამხედრო ინსპექციის მეშვეობით განვახორციელებთ.

— რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ნაწილების დაბეგვრის საკითხს, ამ ეტაპზე რაიმე ხომ არ შეიცვალა?

— ჯერჯერობით არა. გადასახადების გადახდის პრობლემა მალე უნდა გადაწყდეს. ესაა მიწის, ქონების დავალიანების, ქართულ ლარში ხელფასების მიღების და კიდევ სხვა საკითხები, რაც ჯერჯერობით მოსაგვარებელია. სახეზეა, რომ ჩვენ ამ კუთხით კონ-ტროლს ვერ ვახორციელებთ.

ალექსანდრე სტუდენქინმა აღნიშნა, რომ ჩვენ რასაც ზემოდან განგვისაზღვრავენ, ყველაფრისთვის მზად ვართო.

— კონკრეტულად რა იგულისხმა?

— იგულისხმა ის, რომ საქართველო რუსეთის მხარესთან უნდა შეთანხმდეს. მიწის გადასახადი რომ უნდა გადაიხადონ ამაზე უარს ვერავინ იტყვის, აქ საუბარია, რომ ეს სამართლიან ჩარჩოებში, ორივე მხრიდან თანხმობის აღიარების პირობებში მოხდეს.

— რაც ქართულ ლარებში ხელფასის გაცემის საკითხს შეეხება, ამ მხრივ რუსეთის მხრიდან რაიმე წინაღობა ხომ არ წამოჭრილა?

— ისინი წინააღმდეგნი ნამდვილად არ არიან, პირიქით, თვლიან, რომ ეს საკითხი დროულად უნდა მოგვარდეს. დღესაც მათ ხელფასი გაუცემელი აქვთ. რაღაც შემაფერხებელი ფაქტორებია, რაზეც მსჯელობა არ მინდა და რაზეც ფინანსთა სამინისტროსთან და ბანკთან საუბარიც იქნება.

— დაახლოებით რამდენს აღწევს დავალიანებების საერთო რაოდენობის რიცხობრივი მაჩვენებელი?

— ზუსტ ციფრს ვერ დაგისახელებთ. ეს საკმაოდ დიდი ციფრია, დაახლოებით რამდენიმე ასეულ მილიონზეა საუბარი, მაგრამ თვითონ ფინანსთა სამინისტროს ეს ციფრი დასაზუსტებელი აქვს. ეს რუსულ მხარესთან სერიოზულ პოლემიკას გამოიწვევს.

— რაც შეეხება ზუგდიდში მიმდინარე მოვლენებს, თუ გააკეთა კომენტარი რუსეთის დამატებითი ჯარის შეყვანასთან დაკავშირებით ალექსანდრე სტუდენქინმა?

— ზუგდიდის ამბებზე სხვა სტრუქტურებთან ერთად თავიდან ბოლომდე ვიყავი ჩართული, რათა არსებული სიტუაცია დროზე განგვემუხტა. დღეს ყველაფერი ძველ რეჟიმში ჩადგა. სტუდენ-

ქინთან საუბრისას ეს საკითხი არ წამომიწევია. რადგან სამშვიდობო ჯარები მის კომპეტენციაში არ შედის.

— რაიმე შეუთანხმებელი საკითხი ხომ არ წამოჭრილა?

— საგარეჯოს საწყობის საკითხი დავსვით, კონკრეტულად, საწყობიდან იარაღის გატანის დაჩქარებას, ტერიტორიის გაწმენდას და უსაფრთხოებას ვგულისხმობ.

— აქამდე ეს საკითხები მოუგვარებელი იყო, რამდენად შედეგიანი იქნება რუსულ მხარესთან ასეთი მოლაპარაკებები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პრობლემების მოგვარების ათვლის წერტილი დღეიდან იწყება?

— რუსულ მხარესთან ასეთი ხასიათის მოლაპარაკებები შედეგიანი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფლების სათანადო სტრუქტურები ამ მიმართულებით უფრო აქტიური იქნებიან.

ესაუბრა **იამზე ხოსიტაშვილი**

გაზ. „ტრიბუნა“ №2
10.2003 წ.

ეს რომ შევარდნაძეს ეთქვა, კოცონზე დაწვავდნენ, გამსახურდიას კი აგენტობას დააბრალებდნენ

ირაკლი ბათიაშვილმა დროებითი დუმილის უფლება დაარღვია და აშკარა შეტევაზე გადავიდა. იგი ხოტბის შესხმასა და თაფლად დაღვრის პოლიტიკის გატარებას ახალ ხელისუფლებასთან ნამდვილად არ აპირებს. არც ისაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში, მისი თაოსნობით, ახალი ოპოზიციური პარტია ჩამოყალიბდეს. თუმცა, ბათიაშვილი კონკრეტული პასუხის გაცემისგან თავს იკავებს., ჯერჯერობით, იგი ფიქრობს...

— ბატონო ირაკლი, ბოლო პრესკონფერენციაზე სასტიკად გააკრიტიკეთ პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტი მოსკოვში, რამ აღგაშფოთათ ასე ძალიან?

— ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია პოლიტიკური ელიტის, საზოგადოებისა და მასმედიის ის აჟიოტაჟი, რაც პრეზიდენტის ამ ვიზიტს მოჰყვა. ეს საზოგადოების გაბრუების მცდელობა იყო. ადგილი ჰქონდა ხოტბის შესხმისა და თაფლად დაღვრის ეიფორიულ განწყობილებას. მეგონა, სააკაშვილი ჩვეული ენთუზიაზმითა და კატეგორიული მოთხოვნით დააყენებდა, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხს. როდესაც აფხაზეთის დაბრუნებაზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, გუდაუთიდან რუსული სამხედრო ნაწილის გაყვანაა. მას პირდაპირ უნდა ეთქვა, რომ ეს არის სტამბულის შეთანხმების დარღვევა. ამაზე უკეთესი შანსი სად იქნებოდა, ვიდრე ამ საკითხის პრინციპული დაყენება პრეზიდენტების დონეზე. მათი ყოფნა მდ. ენგურზე, ყოვლად დაუშვებელია. ამ წუთშიც ისინი უკანონოდ დგანან, ეს ჩვენი ქვეყნის პირადი ინტერესების შელახვაა.

გამოცდილმა რუსმა პოლიტიკოსებმა, ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი რაღაცით გააბრუეს. რუსები ჩვენგან ყოველთვის მოითხოვდნენ — მოდი ხელახლა დავიწყოთ ურთიერთობები, ოღონდ აფხაზეთზე ნუ ვისაუბრებთო. ალბათ, ამაში ბურჯანაძე და მენაღარიშვილიც დამემოწმებიან. როდესაც სააკაშვილი დაიბოღმება და

აფხაზეთის საკითხი გაახსენდება, რუსები ეტყვიან, ჩვენ ისე კარგად შევხვდით ერთმანეთს, ეს არის თქვენი ძმობა და მეგობრობაო? ამიტომ, ასეთი დონის შეხვედრას, საკმაოდ სერიოზული მომზადება სჭირდება.

— რა მივიღეთ ვიზიტის შედეგად?

— რუსებს, ყოველ გაზაფხულზე, საზღვრის საკითხი აღელვებთ. ჩვენმა პრეზიდენტმა, მათ ერთობლივი საგუშაგოს გაკეთება შესთავაზა, მგონი თავად რუსებიც კი გაკვირვებული დარჩნენ. მაინტერესებს ვალერი ჩხეიძის, როგორც პროფესიონალის მოსაზრება, არსებობს კი საერთოდ პრაქტიკაში ერთობლივი საგუშაგო? ეს რას ნიშნავს, საზღვარი ერთობლივად უნდა ვაკონტროლოთ? ეს რომ შევარდნაძეს ეთქვა, კოცონზე დაწვავდნენ, გამსახურდიას რომ ეთქვა, აგენტობას დააბრალებდნენ.

— რუსები, აფხაზეთში რკინიგზის გახსნას კატეგორიულად ითხოვდნენ.

— რუსებისა და სომხების მთავარი მოთხოვნაა, როგორმე მიაღწიონ აფხაზეთში რკინიგზის გახსნას. ეს მთელი სომხური პოლიტიკის, მათი ლობის და დიასპორის მიზანმიმართული პოლიტიკაა.

— დღეს სომხები ხმამაღლა საუბრობენ იმაზე, რომ საქართველო უკვე მათია.

— ეს ცოტა დელიკატური საკითხია, თუმცა შეიძლება, ათას მითქმა-მოთქმასთან იყოს დაკავშირებული. მაგრამ ამ საკითხებთან შეხების სურვილი არ მაქვს.

— დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ „ბიუჯეტიჭამია" პირებს აკავებენ, მეორე მხარე კი ხმამაღლა აცხადებს, რომ თუ სადმე სამართალი არსებობს, მათ რიგებში ანზორ ბურჯანაძეც უნდა მოხვდეს.

— ამაზე უამრავი მასალა არსებობს.

— არის საუბარი იმაზეც, რომ ბოლო წლებში შემოსული გრანტები თავად გადაინაწილეს.

— რა თქმა უნდა, ამაზეც უამრავი მასალაა. ისინი, შევარდნაძის ხელქვეითებთან და მომხრეებთან ერთად, არაკანონიერი გზით აკეთებდნენ ფულს, თანამდებობებით სარგებლობდნენ. როცა კაკო ჩხეიძესა და დავით მირცხულავაზე საუბრობენ, წარსულს გადახედონ. მე კი არ წარვადგინე მირცხულავა მინისტრად, არამედ მოქ. კავშირმა-ჟვანიამ და სააკაშვილმა. რა მასალებიც არსებობს დაკავებულ ხალხზე, არა მგონია ნაკლები კომპრომატები იდოს იგივე ანზორ

ბურჯანაძეზე, კოტე კემულარიასა და სხვებზე, რომლებიც მათი ბანაკის წევრებად ითვლებიან. როცა ლევან მამალაძეზე საუბრობენ, რომ მას საკმაოდ დიდი სიმდიდრე აქვს შეძენილი, მინდა ყველას გავახსენო, რომ მამალაძე ციდან არ ჩამოვარდნილა, იგი ჟვანიას მარჯვენა ხელი და თანამებრძოლი იყო. როდესაც მამალაძე გუბერნატორად დაინიშნა, მისი პროტეჟე ჟვანია იყო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მამალაძე რასაც შოულობდა, ყველაფერს ზემოთ ანაწილებდა. პოლიტიკამ მოიტანა ასე. როდესაც ჟვანიასა და შევარდნაძის გზები გაიყო, დაინახეს, რომ ბარიერს მიღმა რჩებოდნენ და ხელიდან ფულის საჭრელი ჩარხი და სკამები ეცლებოდათ. დაიწყეს ბრძოლა ხელისუფლების დასაბრუნებლად. სასაცილო ისაა, რომ საზოგადოებაში შეიქმნა აზრი, თითქოს ახალი ძალა მოვიდა. იცით, ეს რაღაც კიოს ფოკუსს ჰგავს. 1994 წლიდან, ეს ხალხი შევარდნაძესთან იყო, ახლა კი ისინი შევარდნაძის გარეშე მართავენ ხელისუფლებას. მათ მიერ მონოპოლიზირებული იქნება ჩვენი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სექტორები, ბიზნესი.

შევარდნაძესა და მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მას ლიბერალური პოლიტიკა ჰქონდა კორუფციასთან მიმართებაში — არც თავისიანს ეხებოდა, არც სხვას და რაც მთავარია, მასმედიას.

— ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან, მასმედიაზე ზეწოლა ხორციელდება, თქვენი აზრით რა ხდება?

— მათ იციან მასმედიის ფასი, იციან, მასმედიამ შეიძლება რევოლუციაც მოახდინოს. ამიტომ დაიწყებენ მის შევიწროებას. თუ დააკვირდით, „ღამის მზერა" გაუქმდა, „კურიერი" ალბათ სოლიდარობის მიზნით გაქრა. ტელევიზიები, რომლებიც შევარდნაძის პერიოდში ოპოზიციური აქტიურობით გამოირჩეოდნენ, ახლა, როგორც ჩანს ზევიდან დარეკვის შედეგად, ერთხელ გაშვებულ მწვავე ინფორმაციას, მეორედ შეშინებულები აღარ უშვებენ. შეიძლება გაშვებულ მასალას რეაგირება მოჰყვეს, მაგრამ როდესაც მის უკან ცენზურა იმალება, ეს სხვა საქმეა. ტელეკომპანია „კავკასიისა" და „იბერიის" გარდა, ყველა შეშინებულია.

— ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდები, სახელმწიფოს მართვას შეძლებენ?

— საერთოდ არ ვიცი, ეს ხალხი ვინ არის, ამას ვერ ვიტყვი გია ბარამიძესა და გელა ბეჟუაშვილზე. რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, ვინაიდან არ ვიცი ვინ რისი გამკეთებელია, შეფასებას ვერ გავაკეთებ, მუშაობა გვიჩვენებს. საინტერესოა, რა კრიტერიუმის

მიხედვით დანიშნეს ზურა ადეიშვილი უშიშროების მინისტრად, ვანო მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად, როდესაც 90-იანი წლების ხელისუფლებას უკიჟინებდნენ, ეს რა კადრები მოიყვანეთო. დღეს გაცილებით არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა, განა შეიძლება ადამიანს, მარტო იმიტომ რომ შენს გვერდით დროშას აფრიალებდა, ასეთი უმნიშვნელოვანესი პოსტი ჩააბარო?

— როგორ ფიქრობთ, ჟვანიას ფაქტორის გამო, თავად ნაციონალები ხომ არ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს?

— არ გამოვრიცხავ. ხელისუფლებას, რომელიც რევოლუციურ ტალღაზე მოვიდა და ბოლშევიკური აზროვნებისაა, ერთმანეთის მიმართ განაწყენება ახასიათებს. არ ვიცი, რამდენად შეძლებენ ერთობის შენარჩუნებას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, დღევანდელი ხელისუფლება არაერთგვაროვანი კონგლომერატია. ბევრი, შინაგანად ერთმანეთს ვერც იტანს, მაგრამ თვლიან, რომ ერთად უნდა იბრძოლონ რევოლუციის მონაპოვრის შესანარჩუნებლად. არავინ იფიქროს რომ აღრენილი ვარ, პირიქით, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ ჩემთვის, სახელმწიფო გადატრიალების ასეთი პრაქტიკა, ყოვლად მიუღებელია.

ეჭვი მეპარება, რომ მათ კორუფციასთან ბრძოლაში გაამართლონ, რადგან ამ ძალას კარგად ვიცნობ.

— შექმნით თუ არა პარტიას?

— პარტიის შექმნა საპასუხისმგებლო საკითხად მიმაჩნია. საქართველოში, ამას საკმაოდ იოლად ეკიდებიან. ჯერჯერობით, ბევრ რამეზე ვფიქრობ.

ესაუბრა ირმა მესხია

გაზ. „თავისუფალი გაზეთი“ №56/62
17-23 თებერვალი, 2004 წ.

რუსეთმა სამხედრო ბაზებისთვის მილიონები უნდა გადაგვიხადოს

საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების 500 მილიონ დოლარად შეფასებული „საევაკუციო ვნებათა ღელვისას“ რატომღაც ყველამ დაივიწყა, რომ შარშან საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე ქვეყნის მთავრობას შეუძლია, იქით დაადოს ვალი ჩრდილოელ მეზობელს. დამოუკიდებელი საქართველოს 130წლიანი ისტორიის მანძილზე რუს სამხედროებს უძრავ-მოძრავი ქონებით სარგებლობისთვის შესაძლოა ასობით მილიონი დოლარი დაეკისროთ გადასახდელად. გთავაზობთ ინტერვიუს 1999 წლის მოწვევის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარესთან ირაკლი ბათიაშვილთან, რომლის წარდგენითაც ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ზემოხსენებული დადგენილება.

— ბატონო ირაკლი, რა ვითარებაში მიიღო საქართველოს პარლამენტმა დადგენილება, რომელიც რუსეთს მილიონობით დოლარის ვალს აკისრებს?

— საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განისაზღვრა, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსული სამხედრო ბაზების დაბეგვრა. მოგეხსენებათ, ასეთი დაბეგვრა ჩვეულებრივი მოვლენაა სამხედრო ბაზისთვის, რომელიც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება, სარგებლობს მიწის ფართობით, უძრავი ქონებით და ასე შემდეგ.

თუ დავიანგარიშებთ რუსული ბაზებისთვის მიწის იჯარის გადასახადსა და უძრავი ქონების გადასახადს, ამ წლების მანძილზე სოლიდური თანხა გამოდის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მომკითხავი არავინ იყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დადგენილების ამოქმედებით რუსულ ბაზებს არა მხოლოდ წინა წლების დავალიანება ექნებათ გადასახდელი, არამედ ეს დავალიანება მით უფრო გაიზრდება, რაც მეტ ხანს დარჩებიან ისინი საქართველოს ტერიტორიაზე.

მიმაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ინიციატივით სავსებით კანონზომიერი დად-

გენილება მიიღო. მე უშუალოდ ვხელმძღვანელობდი კომისიას, რომელშიც შევიდნენ საგარეო საქმეთა, ფინანსთა, ქონების მართვისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელი პირები. გულდასმით დაიანგარიშეს და განისაზღვრა ბეგარისა და დავალიანების ოდენობა...

— პრესაში გავრჩელებული ინფორმაციით, ლაპარაკია მილიონობით დოლარზე.

— დიახ, ეს თანხა დაახლოებით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარია... ეროვნული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ედუარდ შევარდნაძის მითითებით საკითხი საბოლოო კონდიციამდე უნდა მიგვეყვანა, რათა საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი წესით შეძლებოდა რუსეთის მთავრობის წინაშე სამხედრო ბაზების დავალიანების და ბეგარის პრობლემის დაყენება.

— საკითხის ბოლომდე მიყვანა არ მოესწრო, თუ, უბრალოდ, საქართველოს წინა ხელისუფლება აღარ დაინტერესდა ამით?

— გამოდის, არ მოესწრო...

— თქვენი აზრით, ახალი ხელისუფლება შეძლებს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე რუსეთისადმი პრეტენზიის წაყენებას?

— ვერ გეტყვით... ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ რუსული ბაზების დავალიანებისა და დაბეგვრის საკითხს საქართველოს ხელისუფლების პრინციპული და ხისტი მიდგომა სჭირდება.

რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, აუცილებელია რუსულ-ქართულ ურთიერთობათა კეთილმეზობლურ კალაპოტში მოქცევა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი სუვერენული უფლებები და ეროვნული ინტერესები.

— შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მხარემ რუსეთთან სამხედრო ბაზების საკითხზე მოლაპარაკებებისას უნდა გამოიყენოს ზემოხსენებული დავალიანება და ამას არავინ ჩაგვითვლის „ბოროტ განზრახვად"?

— ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისას რაღაც 500 მილიონ დოლარზე ლაპარაკობენ, ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ რუსეთს აქეთ მართებს საქართველოსი შთამბეჭდავი ოდენობის თანხა.

— საქართველოში ხანდახან იმასაც ლაპარაკობენ, რომ სამხედრო ბაზების გაყვანის მოთხოვნით ჩვენ მხოლოდ გავაღიზიანებთ რუსეთს...

— საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა ჩვენი მოგონილი არ არის. სტამბოლში, 1999 წელს, ეუთოს სამიტზე რუსეთმა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო ეს ვალდებულება და კეთილი უნდა ინებოს, შეასრულოს კიდეც. თუმცა, არავინ უარყოფს იმას, რომ საჭიროა მოსკოვთან კონსტრუქციული მოლაპარაკებების გაგრძელება.

ესაუბრა **გიორგი მელაძე**

გაზ. „ახალი ეპოქა“
23-29 იანვარი, 2004 წ.

იქ პოლიტიკური პრობლემა იყო

— დავიწყოთ იქიდან, რომ 2-ში ღამით გადმოსხმულმა დესანტმა ჩაკეტა სოხუმი-ოჩამჩირის მონაკვეთი, აკონტროლებენ ზღვას, აკონ-ტროლებენ ჰაერს. შეუძლებელი ხდება კომუნიკაციის დამყარება. ამასობაში იწყება შეტევა სოხუმზე... იქმნება უმძიმესი სიტუაცია, სოხუმში ჩატარდა თათბირი, სახელმწიფოს მეთაურისაგან მივიღე დავალება ჩავსულიყავი ოჩამჩირეში და უზრუნველმეყო იქიდან დესანტის გარღვევის ოპერაციის ჩატარება. საქმე ისაა, რომ მანამდეც იყო ამის მცდელობა, ოჩამჩირეში იყო განლაგებული სერიოზული ძალა, თუმცა საკმაოდ ჭრელი შემადგენლობით. იქ იმყოფებოდა „მხედრიონი" (რომელიც, სხვათა შორის, ძალიან მოწესრიგებული ძალა იყო), სამთავრობო ჯარის სხვადასხვა ნაწილები, ზაურ უჩაძის, გუჯარ ყურაშვილისა და ჯემალ ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით, შინაგანი ჯარი გელა ლანჩავას მეთაურობით და ლოთი ქობალიას დაჯგუფება, ეს მთლიანობაში იყო სერიოზული ძალა, მაგრამ არ ხერხდებოდა კოორდინაცია, იყო შეუთანხმებლობის მომენტი, ამიტომ მათ აქტიურობას შედეგი არ მოჰყოლია. მე გადავფრინდი ოჩამჩირეში, ჩემთან ერთად იყო კოტე გაბაშვილი (უნდა აღინიშნოს — იმდენად დიდი იყო საფრთხე, რომ მფრინავი უარს აცხადებდა გაფრენაზე, მაინც დავიყოლიეთ. უკანა გზაზე მოხდა ამ ვერტმფრენის ჩამოგდება), იქ შევხვდით ყველა ამ დაჯგუფებების მეთაურებს, მათ შორის იყო ასევე ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი.

აქ იყო პოლიტიკური პრობლემა, სჭირდებოდა თავის მობმა ამ ძალებს.

მახსოვს, თათბირზე გამოვედი სიტყვით, აღვნიშნე, რომ იყო ურთულესი მდგომარეობა და შევთავაზე, როგორც სამხედრო ხელმძღვანელებს, იქ თავმოყრილი ძალები დამორჩილებოდნენ გუჯარ ყურაშვილსა და ზაურ უჩაძეს. ყველამ განაცხადა თანხმობა. წინასწარ ჩატარდა მანევრები, დაიგეგმა ოპერაცია.

მე უშუალოდ ბრძოლის ველზე ვიმყოფებოდი და უნდა მოგეხსენოთ, რომ ბრწყინვალედ იმოქმედეს ბიჭებმა, იყო საკმაოდ

მძიმე შეტაკებები, მაგრამ ჩვენ საკმაოდ დიდი ძალით ვაწვებოდით, გვყავდა მძიმე ტექნიკა და როდესაც ეს ამხელა ძალის კოორდინებული მსვლელობა მოხდა, ამ იერიშს უკვე ველარ გაუძლეს, მოხდა გარღვევა „პიტომნიკის" მიმართულებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია „მხედრიონის" ღვაწლი, მათ საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს ამ ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში), ასევე სხვა უბნებზეც. სოხუმის მხრიდან სხვა შენაერთები ახორციელებდნენ ამ პერიოდში შემოტევას, ველარ გაუძლეს ამ ორმხრივ დარტყმას და მოხდა დესანტის გარღვევა.

ყველა მითითებას ორივე მხარე იღებდა თავდაცვის მინისტრ გია ყარყარაშვილისგან, ის უშუალოდ აკონტროლებდა სიტუაციას. საკმაოდ ეფექტური ოპერაცია ჩატარდა.

ჩვენმა დანაყოფებმა — რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ სამეგრელოს ტერიტორიაზე — ტამიშთან ძმურად იბრძოლეს, ეს იყო საოცარი დღე. ჩვენ ყველამ ფეხით ვიარეთ გარღვევის შემდეგ სოხუმამდე, ყველა ერთმანეთის ძმა იყო... სამწუხაროდ, ეს არ იქნა გამოყენებული, შეიძლებოდა შეტევა იგივე ტყვარჩელის მიმართულებით, შეიძლებოდა სოხუმის მიმართულებიდან დარტყმის განხორციელება, ამხელა დახმარება შევიდა სოხუმში, ძალიან დიდი ძალა იყო. ეს ინიციატივა ხელიდან იქნა გაშვებული. სამწუხაროდ, ამ ძალების გაერთიანებას დროებითი ხასიათი მიეცა...

გაზ. „ჯორჯიან თაიმსი"
29.07-05.08.2004 წ.

ირაკლი ბათიაშვილი — იმჟამად საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი

ვარდებს არ უყვართ ყოჩივარდები?

21 თებერვალს, ომეგა TG-ის თანამშრომლები თავიანთი სამუშაო ადგილის შესასვლელთან შეიკრიბნენ და შიგნით მყოფი სახელმწიფო მოხელეებისგან მოითხოვდნენ კონკრეტულ პასუხს კითხვაზე, როდის მიეცემოდათ სამუშაო ტერიტორიაზე შესვლის და მუშაობის გაგრძელების უფლება. აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო ოპერაციამ, რომელიც თავისთავად შეიცავდა ჩხრეკის ჩატარებას, თავისი ფორმის გამო მკვეთრად უარყოფითი ემოცია გამოიწვია საზოგადოებაში. ორიოდე დღის წინათ, ამ ოპერაციის ჩამტარებლებმა თბილი საამქროებიდან შილიფად ჩაცმული მოსამსახურეები და მუშები საშიში დამნაშავეებივით კეფაზე ხელებშემოწყობილები ნაწილი შენობაშივე დააწვინეს პირქვე იარაღის მუქარით, ნაწილი კი გარეთ, სიცივეში და მიწაზე. აქცია სახელმწიფო დროშების, ტრანსფარანტების და ომეგას სიმბოლური დროშების ფონზე ყოჩივარდების კონებით ხელში მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც ორ სამხედრო მოსამსახ-ურეს შიგ მყოფებმა რკინის კარი ანუ ეზოში შესასვლელი კარი გაუღეს, აქციის მონაწილეებმა კი ყოჩივარდების ეზოში შეყრა დაი-წყეს, მოხდა ყველასთვის მოულოდნელი რამ, ავტომატიანმა პირებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნეს (რამდენად ლოგიკურია ასეთი ახსნა ვერ გეტყვით, რადგან გამაფრთხილებელი გასროლა ვიცით, მაგრამ გამაფრთხილებელი ცეცხლის გახსნა ახლა გავიგეთ). ჰაერში სროლა დაახლოებით 2-3 წუთს გრძელდებოდა, რასაც აქციის მონაწილეთა მხრიდან შეძახილები „გვესროლეთ, მოდით გვესროლეთ!" „ფაშისტები!", „თქვენი დედა... ", „ნაბიჭვრებო" და მსგავსი შეძახილები და ტაშისკვრა მოჰყვა „მალადეც, მალადეც-ო". სროლის შედეგად არავინ დაზიანებულა, მაგრამ დაიცხრილა დროშა, რომელიც აქციის მონაწილეს ეკავა და გაზსადენი მილი, სადაც ასევე აქციის მონაწილეები იდგნენ. ამ ფაქტმა შესძრა როგორც თვით-მხილველები, ასევე ის ტელემაყურებლები, რომლებიც ამ კადრებს ტელეეკრანზე ხედავდნენ. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ როდესაც

ეს დოკუმენტური მასალა გადაიცემოდა ქალაქის მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობას შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, ცალკეულ უბნებში კი ტელეფონებიც გაითიშა.

ირაკლი ბათიაშვილი: ძალიან მიხარია, რომ ფილარმონიაში ასე სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი მომზადების, ორგანიზების გარეშე ამდენი გულშემატკივარი მოვიდა, სიმართლის გულშემატკივარი, თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი საქართველოს გულშემატკივარი. ბევრნაირი ჭირი უნახავს ქართულ ისტორიას. მაგალითად „წითელი ჭირი" ბოლშევიზმის სახით, შავი ჭირი და ა.შ. მაგრამ ახლა უფრო ვარდისფერი ჭირი მოვიდა, რომელიც დიდხანს ვერ გაჩერდება, რადგან მას ქართული არაფერი სცხია. არ მახსოვს ბოლო წლების განმავლობაში, 60-80-იან წლებს თუ არ ჩავთვლით, ასეთი ანტიდემოკრატიული სულისკვეთების ხელისუფლება მე არ მახსოვს, ამ ხელისუფლებას არც ეშმაკობა და არც მოთმინება არ ეყოთ, იმის მაგივრად რომ დაეწყოთ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება: — გადასახადების გამარტივება, პენსიების გაზრდა, ხელფასების გაზრდა. ეს ყველაფერი გვერდზე გადადეს და დაიწყეს გაავებული სწრაფვა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის. თურქმენული მოდელით გვინდა ევროპაში ინტეგრაცია? ამ ხალხს ერთადერთი მიზანი აქვთ: — დაეპატრონონ თავისუფალ ტელევიზიას, დაეპატრონონ ლეგალურ ბიზნესს, დაეპატრონონ ყველას და ყველაფერს საქართველოში.

ჩვენ არ უნდა მივცეთ ამის საშუალება — ვითომ კორუფციასთან ბრძოლის სახელით. მე მივესალმები კორუმპირებულების დასჯას, ბევრნი არიან დასაჭერები, მათ შორის ვინც დაიჭირეს, მაგრამ რატომ არ იჭერენ იმ ხალხს, ვინც ინვალიდების ფული შეჭამეს და ვინც მატლიანი, გაფუჭებული ფქვილით გამომცხვარ პურს გვაჭმევდა. დაიჭირონ ისინი და პასუხი აგებინონ.

ნიღბიანი ბიჭები ჩვენი შვილები არიან, რომლებიც სახელმწიფოს, მთავრობის ბრძანებას ასრულებენ. ისინი მოვლენ გონზე მალე, და რევოლუციის გზით მოსულებს მიუტრიალდებიან, რომლებიც ისე ჩქარობენ, რომ აჩქარებული ტემპით მიდიან თავიანთი დასასრულისაკენ.

მაია ჭელიძე და თამარ ბერძენიშვილი

ოპოზიციური გაზეთი №2
თებერვალი-მარტი 2004 წ.

ნარჩემაშვილი ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით დააპატიმრა

შევარდნაძის ხელისუფლების ისტორიისთვის ჩაბარება ვისთვის „ვარდების რევოლუცია“, იყო ვისთვის — სახელმწიფო გადატრიალება. რაც არ უნდა ვუწოდოთ ერთი წლის წინანდელ ნოემბრის მოვლენებს, ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს — შევარდნაძის მაშინდელ გუნდს (თუ არა პირადად შევარდნაძის ქმედებებს) მისიანიც და მასთან დაპირისპირებულებიც ყოველთვის აძაგებს. ამიტომ შევარდნაძის საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი გამორჩეული სახის, ირაკლი ბათიაშვილის ნოემბრის მოვლენებისადმი შეფასებაც ვერ იქნებოდა განსხვავებული. „ახალ თაობასთან“ საუბრისას იგი იმ მნიშვნელოვან ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთა შესახებ დღემდე მხოლოდ ერთეულები იყვნენ ინფორმირებულნი. გთავაზობთ ინტერვიუს ირაკლი ბათიაშვილთან.

— ბატონო ირაკლი, შევარდნაძის საარჩევნო ბლოკის (რომლის წარმომადგენელი თქვენც იყავით) სპიკერმა ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფაქტობრივად დაადასტურა ის ეჭვი, რომ „ვარდების რევოლუციის“ შესახებ წინასწარ იცოდა სააკაშვილის გუნდთან შეკრულმა შევარდნაძემ, რაც მისი გუნდის მიერ გასაიდუმლოებული იყო. ნოემბრის მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ თქვენც იტყვით, რომ შევარდნაძემ მოგატყუათ?

— საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში ასეთი ეჭვები არსებობს და ამას თავისი მიზეზი მართლაც აქვს, მაგრამ პირადად მე ამას არ გავიზიარებ. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ შევარდნაძემ ასე პირდაპირ და მოხერხებულად გადაულოცა ხელისუფლება სააკაშვილიჟვანიას გუნდს. მე ვიტყოდი, რომ ერთი წლის წინანდელი მოვლენების ასეთი შეფასება, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილობაა. ჩახედული ვარ მაშინდელი ბლოკის სამზარეულოში და ვიტყვი, რომ ყველა მოსაზრებას თავისი მართალი მხარე აქვს, თუმცა ის არ უნდა გავაუბრალოოთ. როცა ვსაუბრობთ იმაზე, რომ შევარდნაძემ თავისი გარემოცვა გაწირა, პირველ რიგში უნდა ვაღიაროთ, რომ შევარდნაძეს ძალიან ცუდი გარემოცვა ჰყავდა, რომლის მიმართ ხალხიც და პოლიტიკოსებიც ობიექტურად იყვნენ ანტიპათიურად

განწყობილნი (თუმცა მის ბლოკში ისევ შევარდნაძის ფაქტორის გამო შეეედი). ეს იყო გუნდი, რომელიც ნამდვილად არ გამოირჩეოდა ღირსებებით. მას იმდენი ნეგატიური მხარე ჰქონდა, რომელიც ელექტორატს უკუაგდებდა და, რაც მთავარია, ის ბლოკიც და აღმასრულებელი ხელისუფლებაც შევარდნაძის ის გარემოცვა აღმოჩნდა, სადაც ძირითადად (თუმცა ეს ყველას არ ეხება) გამყიდველებმა მოიყარეს თავი. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ორ სკამზე ისხდნენ და აქეთ-იქით თამაშობდნენ. მათთვის იმ ვითარებაში მთავარი იყო თავიანთი მომავალი და არა სახელმწიფო ინტერესი, მისი სტაბილურობა და უსაფრთხოება. ასეთი თამაშით ბევრმა მოიგო კიდეც, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების შურისძიების მახვილი ზოგიერთს მაინც მისწვდა. ეს რაც შეეხებოდა შევარდნაძის გარემოცვას. მასზე პირადად შევარდნაძე სიგიჟემდე შეყვარებული არ იყო და ამიტომაც მის უარყოფით მხარეებს ძალიან კარგად ხედავდა. მიუხედავად ამ ფაქტორებისა, გამოვრიცხავ, რომ შევარდნაძეს დღევანდელი ხელისუფლების ლიდერებთან რაიმე ფარული გარიგება ჰქონოდა. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — შევარდნაძემ შეგნებულად არ მიიღო კატეგორიული ზომები (ძალის გამოყენებას არ ვგულისხმობ) და ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა იმისათვის, რომ ოპოზიციის ტალღა შეეჩერებინა. აშკარად ჩანდა, რომ შევარდნაძემ მთელ იმ პროცესს გასაქანი მისცა.

— როგორც ჩანს, თქვენ ეთანხმებით „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ირინა სარიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ შევარდნაძე მაშინდელი ოპოზიციის ლიდერებისთვის მოულოდნელად გადადგა და მათ დააკისრა ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა. არადა, ჩაფიქრებული იყო, რომ შევარდნაძე პრეზიდენტად რჩებოდა და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები უნდა დაენიშნა.

— გამართული მოლაპარაკების თანახმად (ივანოვმაც ასე იცოდა), შევარდნაძე პრეზიდენტად რჩებოდა და ექვსი თვის მანძილზე უნდა დაენიშნა ვადამდელი არჩევნები. იმ ექვს თვეში კი რა მოხდებოდა და ვინ რით ისარგებლებდა, კაცმა არ იცის. ეს არ მოხდა და ივანოვიც სახტად დარჩა. შევარდნაძემ რადიკალური გადაწყვეტილება მაინც მიიღო (ეს მისი სტილია) და გადადგა. მე ვხედავდი, რომ მას პრეზიდენტობის შინაგანი სურვილი არც ჰქონდა. ჯერ ერთი, ის ხელისუფლებას იმიტომ აღარ ეჭიდებოდა, რომ ალბათ სისხლისღვრას მოერიდა, მეორეც — აღარ სურდა, მისი ბიოგრაფია არასახარბიელო

მოვლენებთან ყოფილიყო დაკავშირებული. გარდა ამ ფაქტორებისა, კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას: ერთ-ერთი ვარიანტი იმაზე იყო გათვლილი, რომ პარლამენტის თავმჯდომარედ ასლან აბაშიძე უნდა არჩეულიყო, მაგრამ შევარდნაძე ამ პროცესებში უკვე არ ჩაერია და პროცესებიც თვითდინებითა და ინერციით წავიდა.

— ე.ი. იგორ ივანოვის თბილისში ჩამოსვლა შევარდნაძის გადადგომაზე არ იყო გათვლილი?

— რა თქმა უნდა, არა. მოლაპარაკების მიხედვით, შევარდნაძეს ექვს თვეში ვადამდელი არჩევნები უნდა დაენიშნა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მას ამის სურვილი აღარ ჰქონდა და კაცურად გადადგომასაც დააპირებდა. ამით შევარდნაძემ აჩვენა, რომ ხელისუფლებას არ ეჭიდებოდა.

— შევარდნაძეს რომ მოეწადინებინა, ხელისუფლებას შეინარჩუნებდა?

— ყველას კარგად მოეხსენება, რომ მან ხელისუფლების შენარჩუნებისა და პროცესების მართვის ტექნოლოგიები ძალიან კარგადიცის. მართალია, შევარდნაძე ხვდებოდა, რომ მისი გუნდი სუსტი იყო, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება — ბუტაფორიული, თუმცა ის რაღაცას მაინც მოახერხებდა, რომ პროცესები უკიდურეს ზღვრამდე არ მისულიყო. აი, ასეთ ფონზე შევარდნაძემ სწორად შეაფასა სიტუაცია და მიხვდა, რომ მის წინააღმდეგ დიდი მანქანა იყო მომართული. ნოემბრის მოვლენები უბრალო სახელმწიფო გადატრიალება კი არა, უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული სერიოზული შეთქმულება იყო.

— ბრძანებთ, რომ „ვარდების რევოლუცია" უცხო ქვეყნიდან ანუ ამერიკიდან დაფინანსებული სახელმწიფო გადატრიალება იყო, რის შედეგადაც შევარდნაძის ხელისუფლება დაემხო. როგორ ფიქრობთ, ასეთ დროს რატომ არ დაუჭირა მხარი შევარდნაძეს რუსეთმა?

— პროცესების განვითარების პარალელურად, რუსეთიდან შევარდნაძის მხარდაჭერის სურვილი წამოვიდა. მახსოვს, მარტო ერთი დღის განმავლობაში პრეზიდენტმა პუტინმა შევარდნაძეს რამდენჯერმე დაურეკა. ასევე კუჩმაც მზად იყო შევარდნაძის მხარდასაჭერად, მაგრამ შევარდნაძემ რატომღაც არ მოინდომა და აქაც გამოჩნდა, რომ მან ეს დახმარება არ გამოიყენა. ზუსტ ინფორმაციას გაწვდით — როცა ოპოზიცია კანცელარიაში შეიჭრა, ეს ფაქტი თვით ამერიკის ადმინისტრაციისთვის აღმოჩნდა მიუღებელი. ამიტომ

შეაფასა ეს მოვლენა „სი-ენ-ენ"-მა, როგორც შევარდნაძეზე შეიარაღებული თავდასხმა. იმ ღამეს სწორედ ამიტომ დაურეკა შევარდნაძეს კოლინ პაუელმა. მაგრამ შევარდნაძემ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების კონკრეტული განკარგულებაც კი არ გასცა.

— ბატონო ირაკლი, თქვენი ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ შევარდნაძემ რესეთისა და ბელორუსიის პრეზიდენტების მხარდაჭერაზე უარი თქვა. ამის შემდეგ მაინც არ გეპარებათ ეჭვი იმაში, რომ ამერიკის ჩარევით შევარდნაძესა და ოპოზიციას შორის მაინც შედგა გასაიდუმლოებული გარიგება?

— მე ამ ეჭვის ჩემეული ახსნა მაქვს. შევარდნაძე სიტუაციის გამწვავებასა და, შესაბამისად, სისხლისღვრას მოერიდა, არადა, პროცესები ალტერნატიული მიმართულებით ვითარდებოდა. ასლან აბაშიძე პარლამენტის თავმჯდომარე რომ გამხდარიყო, მას, რუსული ძალების გარდა, სხვა ძალებისგანაც ექნებოდა მხარდაჭერა, რასაც შესაძლოა მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. ჩემი ანალიზით, ასეთი ალტერნატივის პირობებში შევარდნაძემ ისევ პასიურობა არჩია.

— გამოდის, შევარდნაძე არსებულ ვითარებას შეურიგდა?

— მან სერიოზულ წინააღმდეგობას თავი აარიდა, რადგან ამას შესაძლოა სამოქალაქო დაპირისპირება და სისხლისღვრა მოეტანა. მე ამ ყველაფერს ასე ვხსნი. ღმერთმა დაგვიფარა, რომ ტყვია არ გავარდა, იარაღი კი ორივე მხარეს საკმარისად ჰქონდა.

— ზემოთ ბრძანეთ, რომ შევარდნაძის გუნდში, კერძოდ კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გამყიდველები აღმოჩნდნენ. შევარდნაძის მარცხის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ირინა სარიშვილი-ჭანტურია მაშინდელი უშიშროების საბჭოს მდივნის, სახელმწიფო მინისტრის, უშიშროების მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის პასიურ მოქმედებებსა და გულგრილობას ასახელებს. გამყიდველებში მათ ხომ არ გულისხმობთ?

— გვარებს არ დავასახელებ. ამის არავითარი სურვილი არ მაქვს და არც 30-იანი წლების ტერმინებით ლაპარაკი მიყვარს. ვიტყვი, რომ სახელისუფლებო ბლოკშიც და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც იყვნენ პიროვნებები, ვინც თამაშის პოლიტიკას მიმართა. მათ სახელმწიფოს დასაცავად და შეთქმულების თავიდან ასაცილებლად შეგნებულად არაფერი გააკეთეს. შეიძლება შევარდნაძემ ამ ვითარების შესახებ კარგად იცოდა და, ბუნებრივია, ასეთ დროს არავის იმედი აღარ ექნებოდა. თუმცა საკვირველია, რომ შევარდნაძემ ასეთი ბუტაფორიული ხელისუფლება მაინც შეინარ-

ჩუნა. რაც შეეხება თავდაცვის ყოფილ მინისტრს, თევზაძეს, მე წინააღმდეგი ვიქნები, რომ მას ვინმემ ორმაგი თამაში დააბრალოს. ის ზოგიერთივით ორ სკამზე არ მჯდარა. მისი პოზიცია ტიპური სამხედრო პირის ქმედება იყო, რომელიც პოლიტიკურ ინიციატივას გამორიცხავდა. დავით თევზაძე არავის რჩევას არ მიიღებდა და ქუჩაში ჯარსა და ტანკებს არ გამოიყვანდა. ეს შევარდნაძემაც შესანიშნავად იცოდა.

— პარლამენტში ყოფნის დროს თქვენ მკვეთრად დაუპირისპირდით შს ყოფილ მინისტრ კახა თარგამაძეს. თქვენი თარგამაძისადმი დემარში მაშინდელი ოპოზიციის ქმედებას დაემთხვა. ზურაბ ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგომა და შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული აქციებიც სწორედ კახა თარგამაძის გადაყენებაზე იყო გათვლილი. ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველა ელოდებოდა, რომ სწორედ კახა თარგამაძეს დააპატიმრებდნენ და არა კობა ნარჩემაშვილს. ამ ფაქტს როგორ ახსნით?

— კახა თარგამაძე თბილისში რომ იმყოფებოდეს, ეს ხელისუფლება მას ნამდვილად დაიჭერდა და თანაც დიდ ფულს მოსთხოვდა. მასზე ძებნაც რომ გამოაცხადონ, რუსეთი ყურსაც არ შეიბერტყავს. ეს აქ იციან და ტყუილად გასროლა არ უნდათ. ჩემი მხრიდან კახა თარგამაძის მაშინდელი კრიტიკის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ერთ რამეს მაინც აღვნიშნავ — კახა თარგამაძე რომ შს მინისტრად დარჩენილიყო, შეიძლება სახელმწიფო გადატრიალება არც მომხდარიყო. რაც შეეხება კობა ნარჩემაშვილის დაკავებას, ეს დაკავშირებულია დღევანდელ სამართლებრივ განუკითხაობასთან. ხელისუფლება დიქტატურის დამყარებისკენ ისწრაფვის და ერთი აზრის გაბატონებასა და მედიაზე ზეწოლას ცდილობს. ხელისუფლებამ, რომელსაც პოლიტიკური პატიმრები ეყოლება, საკუთარ თავს დემოკრატიული ხელისუფლება არ უნდა უწოდოს. გენერალი რომან დუმბაძე, სულხან მოლაშვილი, კობა ნარჩემაშვილი ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით დააპატიმრა. სისულელეა, როცა კობა ნარჩემაშვილს ბრალად მომწამვლელი ნივთიერების შემოტანას სდებენ. სინამდვილეში საუბარია ჩვეულებრივ „ჩერიომუხაზე". უდაოა, რომ ნარჩემაშვილს დღეს ანგარიშსწორების მიზნით იჭერენ, რადგან მასზე თავიდანვე იყვნენ აღრენილები. ეს ყველაფერი ისევ საზოგადოების დაშინებაზე იყო გათვლილი. სხვათა შორის, ეს არის ამ ხელისუფლების „ჭკვიანური მეთოდი". ვინმე

სერიოზული ფიგურა უნდა დაიჭირონ იმისათვის, რომ შიშის სინდრომმა იმძლავროს, რომ არ აიშვას არც ჟურნალისტმა, არც პოლიციელმა, არც მინისტრმა, სამხედრომ, პოლიტიკოსმა და ბიზნესმენმა. აი, ეს ფილოსოფია ჩადო ხელისუფლებამ კობა ნარჩემაშვილის დაპატიმრების ფაქტში. ამ ხელისუფლებას არადემოკრატიულობის თვალსაზრისით უკვე ძალიან ცუდი იმიჯი აქვს. კარგად მოგეხსენებათ, პროფაშისტური ტენდენციების აღზევება რამდენად არის მიუღებელი ცივილიზებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. ამიტომ, თუ ასე გაგრძელდა, არათუ მსოფლიოს მხარდაჭერას დაკარგავენ, არამედ მას საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ განაწყობენ. უცებ მოხდა „ფოკუსი", რევოლუციის შემდეგ ერთი წელიც არ გასულა და ხელისუფლების მიმართ ხალხის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა როგორც დედაქალაქში, ისე რაიონებში.

— საუბრის ბოლოს მინდა გკითხოთ, რით არის გამოწვეული, რომ ხელისუფლება, რომელსაც დასავლეთმა დაუჭირა მხარი, დემოკრატიულ პრინციპებს ბოლომდე მაინც ვერ იცავს?

— დიქტატორს თან სდევს იმის მუდმივი შიში, რომ ისიც არ დაამხონ. ამიტომ მის ქმედებებში პარანოიდული მომენტები იწყება. მართალია, ამათ იციან, რომ დაწყებული რეპრესიები მათთვის კარგი არ არის, მაგრამ ამ მექანიზმს უკვე აყოლილები არიან და ვეღარ გაურბიან. სააკაშვილი საკუთარ ემოციებსაც კი ვეღარ თოკავს და ქვეყანას მართავს ხან ქუჩიდან, ხან თვითმფრინავიდან, ხან მოედნიდან... სხვათა შორის, არსებობს ერთი ასეთი ფილოსოფიურ-პოლიტიკური ტერმინი — ინფანტოკრატია. აი, ეს ხელისუფლება სწორედ ინფანტილურია ანუ ბავშვური ჩვევებისადმი აქვს მიდრეკილება. ეს კი უკვე ძალიან სახიფათო მოვლენაა.

ესაუბრა **ზაზა ბაკაშვილი**

გაზ. „ახალი თაობა" №297
27 ოქტომბერი, 2004 წ.

„დაინახავთ, როგორ დაერევიან ერთმანეთს“

გასულ კვირას ქართული ოპოზიცია მოსკოვს სტუმრობდა. რატომ, რისთვის და ვინ მიიწვიაო? — უმალ გაჩნდა კითხვები და რაკი ხელისუფლების ოპონენტთა მოსკოვური ვოიაჟის შესახებ საზოგადოებამ მთლად დამაჯერებელი ინფორმაცია ვერ მიიღო, საკუთარი არხებითა და წყაროებით სცადა სიმართლის გაგება.

ერთ-ერთმა წყარომ, კონკრეტულად კი ექსპრემიერმა ავთანდილ მარგიანმა, ქართულ-რუსული შეკრების ორგანიზატორად აჭარის ექსხელმძღვანელი ასლან აბაშიძე დაასახელა. სხვა წყაროები ამ პოლიტიკური მრგვალი მაგიდის მიღმა რუსეთის შორსმიმავალ (და ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის არცთუ სასიამოვნო) განზრახვას ხედავენ. კერძოდ იმას, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ოპოზიციას ზვერავს და მასში ეძებს დასაყრდენს. ითქვა მეტიც, რომ რუსეთი ამერიკის მსგავსად ქართული არასამთავრობო სექტორის მატერიალურ წახალისებასაც აპირებსო... მაგრამ ერთი შეხედვით მშვიდობიანად დაწყებულ რუსულ-ქართულ პოლიტიკურ დიალოგში დისონანსი ირაკლი ბათიაშვილმა შეიტანა, რომელმაც კონფერენცია „კარის გამოჯახუნებით“ დატოვა.

— მოსკოვში საკმაოდ სერიოზული შეკრება ჩატარდა. მას ბევრი ცნობილი ექსპერტი და პოლიტიკოსი ესწრებოდა, ესწრებოდნენ პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. მართალია, კონფერენციაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეული, მაგრამ ისინი არ ჩასულან მოსკოვში. ქართულ მხარეს მხოლოდ ოპოზიცია წარმოადგენდა: აკაკი ასათიანი, გუბაზ სანიკიძე, ვახტანგ გოგუაძე, კოკო გამსახურდია, ბორის კაკუბავა, ალექსანდრე ჭაჭია, მალხაზ გულაშვილი და მე. რუსებმა მიიწვიეს ჯავახეთის რადიკალური ორგანიზაციებიც, მათ შორის „ვირქის“ წევრებიც. მე თავი არ შემიკავებია მძაფრი შეფასებებისგან. დაუფარავად განვაცხადე — საქართველო რუსეთთან, ფაქტობრივად, ცივი ომის მდგომარეობაშია, რაც მხოლოდ ჩვენს ქვეყანას არ ავნებს. რაკი დიდი ქვეყანა გაქვთ, ნუ გგონიათ, რომ ეს ვითარება თქვენც არ დაგაზარალებთ-მეთქი. საქართველოს არც რუსეთისა და არც ამერიკის მარიონეტი მთავრობა არ სჭირდება, მას მხოლოდ ისეთი ხელისუფლება გამოადგება, რომელიც დამოუკიდებელ, ნაციონალურ პოლიტიკას გაატარებს.

ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს. პოსტსაბჭოურ სივრცეში რევოლუციების წაქეზება და ჩეგევარობა არ უნდა იქცეს საქართველოს მთავარ მიზნად, მაშინ, როდესაც ჩვენი მთავარი საზრუნავი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ამის მისაღწევად კი რუსეთთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა უნდა დამყარდეს.

ჯავახეთში რომ ჩვენთვის არასახარბიელო ვითარებაა, ეს მოსკოვშიც ნათელი შეიქნა. ორგანიზაცია „ვირქის" წარმომადგენლებმა ფაქტობრივად გაგვაფრთხილეს — ახალქალაქიდან რუსეთის ბაზების გასვლას გართულებები მოჰყვებაო. ადგილობრივ მოსახლეობაში თურმე ხმა გაავრცელეს, რუსეთის ბაზების გასვლის შემდეგ აქ თურქები ჩადგებიანო. ჯავახეთში ძალიან აშფოთებთ თურქი მესხების ჩამოსახლების პერსპექტივაც. „ვირქის" წარმომადგენლის გამოსვლას არ გავულიზიანებივარ ისე, როგორც რუსი პოლიტოლოგის მარკოვის სიტყვებს. ამბობდა, რამდენიმე დღის წინ წამოვედი თბილისიდან, მშვენიერი შეხვედრები მქონდა საქართველოს მთავრობასთან, ბევრ რამეზე შევთანხმდითო და კონფერენციაზე კი სისულელეები ილაპარაკა — რომ იტყვიან, გადაგვიარა.

— მაინც რა თქვა?

— ჯერ ხელისუფლება გალანძღა — ფაშისტები არიან, რომელ დემოკრატიაზე შეიძლება საქართველოში ლაპარაკი, ამერიკა თავის ჭკუაზე ათამაშებსო (მაშინვე ვუთხარი ჩვენი საელჩოს წარმომადგენელს, ეს უპასუხოდ არ უნდა დარჩეს-მეთქი). მერე ხელისუფლების ლანძღვაც არ იკმარა, დავით აღმაშენებელსა და ზვიად გამსახურდიას გადასწვდა. ერთმა გამომსვლელმა ისიც თქვა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გააფუჭესო. ვერ მოვითმინე — როგორც ჩანს, არ იცით, ვისზე უნდა თქვათ. ისინი, ორივენი, ისტორიული ფიგურები არიან, მათ საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანეს-მეთქი. მარკოვის ნათქვამმა — ქართველები ასეთი მტრული პოლიტიკით ვერაფერს მიაღწევთო, აღმაშფოთა, მაგრამ, როდესაც დავით აღმაშენებელიც კი უდიერად მოიხსენია, ველარ მოვითმინე. რუსები გვასწავლიან მშვიდობიან პოლიტიკას? მაგათ უნდა მოგვიწოდონ მშვიდობიანი პოლიტიკისაკენ, როდესაც ჩეჩნეთში მათ „მშვიდობისმოყვარეობას" მთელი მსოფლიო ხედავს. რუსებს ვუთხარი — ჭკუის სწავლებითა და დიდაქტიკური ტონით თუ აპირებთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აწყობას, არაფერი გამოგივათ-მეთქი და კონფერენცია დავტოვე.

— ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ ოპოზიციონერმა ხელისუფლების კრიტიკა ვერ აიტანეთ.

— მე ყოველთვის ერთი პრინციპით ვმოქმედებ — ოპოზიციამ და ხელისუფლებამ საქმე აქ, საქართველოში, უნდა გავარჩიოთ. ქვეყნის გარეთ, ვილაცისგან არ უნდა აიტანო შენი ხელისუფლების ლანძღვა. ეს მე საკუთარ შეურაცხყოფად მიმაჩნია. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების წარმომადგენლები ასე არასდროს ფიქრობდნენ — მიდიოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, საკუთარ ხელისუფლებას თხრიდნენ და უხაროდათ, მასზე თუ აუგს იტყოდა ვინმე.

— როგორ დავიჯერო, რომ მოსკოვში ყოფნისას სააკაშვილზე არაფერი დაგცდათ?

— მხოლოდ ის ვთქვი, არც კრემლის, არც ვაშინგტონის, არც სოროსისა და მისნაირების მარიონეტი ხელისუფლება არ მინდა-მეთქი. შეიძლება ეს ხელისუფლება არ მიყვარს, მაგრამ არ მინდა ქვეყანა ხელში შემოგვეფშვნას. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები იმაზე უფრო ფიქრობენ, რომ დამკვეთის დავალებები შეასრულონ, სკამები დიდხანს შეინარჩუნონ და რაც შეიძლება მეტი ფული დააგროვონ.

— ითქვა, ქართველი და რუსი პოლიტიკოსების მოსკოვში შეხვედრა ასლან აბაშიძემ მოაწყოო.

— ეს კონფერენცია იმ სტრატეგიული კვლევის ცენტრმა ჩაატარა, რომლის უკან რუსეთის ხელისუფლება დგას. რა შუაშია ასლან აბაშიძე, ვინ თხზავს ამ ლეგენდებს? ისე, მოგვიანებით მეც მითხრეს — კონფერენცია ასლან აბაშიძემ დააფინანსაო და გამიკვირდა. ზოგმა ისიც თქვა — მგზავრობის ხარჯები ორგანიზატორებმა გაიღესო. ვინმეს რომ დავეფინანსებინე, კარგი იქნებოდა. ვალში მაინც აღარ ჩავვარდებოდი. ჩვენთან ასეთი კონფერენციები და ბანკეტები წარამარა იმართება „მერიოტში" და რუსებს რატომ გაუჭირდებოდათ მისი გამართვა?

— ისიც ითქვა, რუსები ოპოზიციაში დასაყრდენს ეძებენ და იმიტომ დაპატიჟესო.

— მერე მოძებნეს ვინმე? ისე აგდებულად და გამომწვევად იქცეოდნენ, ამ ხერხით მოკავშირეს და დასაყრდენს ნამდვილად ვერ იპოვიან.

— როგორც ამბობენ, რუსები საქართველოში ახალ რევოლუციას აპირებენ.

— ყოველთვის ანტირევოლუციონერი ვიყავი და ასეთად ვრჩები. ჩვენი ხელისუფლება თავად აწყობს რევოლუციებს, ეგენი არიან

ერთმანეთს რომ ჭამენ, თორემ მე რევოლუციებზე ალერგია მაქვს, რადგან სახელმწიფოებრივად ვაზროვნებ.

ამ ხელისუფლებაში ისეთი ხალხია, რომელთათვისაც უცხო არ იყო ერთმანეთთან დაპირისპირება. ნახავთ, როგორ დაერევიან ერთმანეთს... თუნდაც ბურჯანაძე-ბიწაძის წინააღმდეგ აგორებული სიტუაცია ავიღოთ. შიგნიდან არიან გახლეჩილი და განგებ ავრცელებენ ხმას კონტრრევოლუციაზე. ამ ხელისუფლებას კონტრრევოლუცია არ დასჭირდება, თვითონ აფეთქდება შიგნიდან.

ესაუბრა **იზო რიკაძე**

გაზ. „კვირის პალიტრა"
13-19 ივნისი, 2005 წ.

საკაშვილი და ბურჯანაძე შევარდნაძის „ტრიუკებს“ ხმარობენ

(ნატოსკენ გზა 2002 წლიდან არის გაკვალული)

— ბატონო ირაკლი, ნატოს გენერალურმა მდივანმა სხეფერმა განაცხადა, თქვენთვის ნატოს კარი ღიაარ, ოღონდ ვადის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. რამდენად რეალურია, კონფლიქტების დარეგულირებაში დაგვეხმაროს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება?

— მინდა განვმარტო, რომ დღევანდელი ხელისუფლება ტყუილად იბრალებს ამ გზის გაკვალვას. გზა გაცილებით ადრეა გაკვალული. ეს დაიწყო 2002 წლიდან, როდესაც პრაღის სამიტზე შევარდნაძემ ნატოში შესვლის სურვილი გამოთქვა. სწორედ აქედან დაიწყო ამ გზის გაკვალვა. 2002 წლიდან გახლდით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. იმ პერიოდში დაიწყო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა ამერიკის თაოსნობით. ამ პროცესზე მეც ვახორციელებდი ზედამხედველობას. ეს პროგრამა 2003 წელს დამთავრდა. მაშინ შეიქმნა ყველა შეიარაღებული ძალების ნაწილები. იმის შემდეგ არც არაფერი დამატებია. 2003 წელს ჩამოყალიბდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა და დაიწყო ამ გეგმაზე მუშაობა. შეიქმნა ნატოსთან ინტეგრაციის კომისია, დამუშავდა პროგრამა. რეალურად გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა ამ ორგანიზაციისკენ მაშინ დაიწყო. შემდეგ დამუშავდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მუშაობა.

— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ეს შევარდნაძის ხელისუფლების მიღწევაა და ეს ხელისუფლება პლაგიატორია?

— ეს ხომ ყველამ ვიცით. ეს იგივეა, რომ ამ ხელისუფლებამ თქვას, ბაქო-ჯეიჰანი ჩვენ გავაკეთეთო. „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა 2002 წელს დაიწყო კომანდოსების გაწვრთნით და 2003 წლის შემოდგომაზე დამთავრდა. ინდივიდუალური პარტნიორობის

სამოქმედო გეგმაც მაშინ შეიქმნა. ეს ყველაფერი ხომ ძალიან კარგად იცის გელა ბეჟუაშვილმა, ის უშუალოდ მონაწილეობდა ამ ყველაფერში. წინა ხელისუფლებამ აირჩია გზა 2002 წლიდან. დღევანდელი ხელისუფლებაც მემკვიდრეობით აგრძელებს ამ გზას. მთავარია, ის მთელი რიგი მოთხოვნები და ნორმები, აუცილებელი კრიტერიუმები სახელმწიფომ შეასრულოს.

— გენერალურმა მდივანმა საშინაო დავალებაზე გაამახვილა ყურადღება. თქვენ ამის შესრულებას გულისხმობთ? რა იგულისხმება ამ დავალებაში?

— დიახ. საშინაო დავალებაში იგულისხმება შეიარაღებულ ძალებში სერიოზული რეფორმები, სტანდარტების ამაღლება. ეს ეხება არა მხოლოდ სამხედრო და შეიარაღებულ ძალებში სამუშაოს შესრულებას, არამედ მთლიანად ქვეყანაში. უმნიშვნელოვანესი წინაპირობა თავის დროზე იყო ქვეყანაში გამჭვირვალობის პრობლემა, სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება, სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება შეიარაღებულ, სამხედრო ძალებზე, მთლიანად სახელისუფლებო სტრუქტურებზე. იმ საშინაო დავალებაში ეს ერთ-ერთი წინაპირობაა ნატოში ინტეგრაციისთვის. მთავარი იმდენად ის კი არ არის, რომ დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავდეს საქართველოს, არამედ ის, რომ ეს ძალები იყოს ეფექტური და ხარისხიანი და თან ყველაფერი იყოს სამოქალაქო კონტროლს დაქვემდებარებული. დემოკრატიის და სამოქალაქო კონტროლის განვითარება მეტად მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამიტომ, ყველაფერი რამდენად თანმიმდევრულად შესრულდება, ამას დრო გვიჩვენებს. ერთი დადებითი, რაც დაიძრა და რომელიც მნიშვნელოვან პირობებში იყო ჩადებული, იყო სამხედრო ბაზების გაყვანა. ეს პროცესი დაწყებულია.

— ბატონო ირაკლი, ამ ყველაფერში რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დსთ-ში ყოფნა-არყოფნას, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ პრეზიდენტს და ნინო ბურჯანაძეს, საერთოდ, პარლამენტს?

— სააკაშვილი და ბურჯანაძე, როგორც შევარდნაძის მოწაფეები, მის მიერ ნასწავლ „ტრიუკებს" ხმარობენ.

— რას გულისხმობთ?

— არ გახსოვთ, იგივე ხდებოდა მაშინაც. პარლამენტი იღებდა დადგენილებებს სამშვიდობო ჯარების გაყვანის მიზანშეწონილო-

ბაზე დსთ-ის წინააღმდეგ. მაგრამ პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება გარკვეულ კომპრომისულ ნაბიჯებს ამჯობინებდნენ. ეს იგივეა, რომ ცალი ხელით გინდა შეაშინო ვიღაცა, მაგრამ მეორე ხელს ჩამოსართმევად უწვდი. ეს არის ის ძველი მეთოდები, რომელიც არ ამართლებს. თუ დსთ-დან გამოსვლა გინდა, უნდა გამოხვიდე. რუსეთს ასეთი ფოკუსებით თუ ფანდებით ვეღარ მოვატყუებთ. ამიტომ არჩეული კურსი უნდა გვქონდეს. პარლამენტი ერთს ამბობს, პრეზიდენტი — მეორეს. ეს გაუგებარია.

— როგორ ხსნით იმას, რომ ერთი გუნდის წევრებს არ აქვთ ერთი პოზიცია მეტად მნიშვნელოვან საკითხზე?

— ეს აწყობთ. პრეზიდენტმა რომ მოინდომოს და ერთი მუშტი დაუბრახუნოს თავის დეპუტატებს, ყველა ერთ აზრზე დადგება. მაგრამ ახლა აწყობთ, ეს საკითხი დულდეს, რათა რუსეთშიც იფიქრონ, რომ საქართველო შეიძლება გავიდეს დსთ-დან. ასეთი საშიშროება უნდა არსებობდეს.

— თუ ნატოში შევედით, როგორ წარმოგიდგენიათ ერთდროულად ნატოში და დსთ-ში ყოფნა?

— ასეთი მოთხოვნა არ დევს, თუმცა შენ სხვა სამხედრო ბლოკში ყოფნა უკვე აღარ შეგიძლია. დსთ-დან გამოსვლა სავალდებულო არ არის, მაგრამ შეიძლება კულუარულ დონეზე რეკომენდაციებს აძლევდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს, ჯობია გამოხვიდეთო. ნატოში შესვლა, ცხადია, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მისი თავდაცვისნურიანობა მკვეთრად იზრდება, მაგრამ ის აზრი, რომ ნატოში შესვლით გადაწყდება კონფლიქტების საკითხი, ილუზიაა. პირიქით, მანამდე თუ არ გადაწყვიტა საქართველომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხები, ნატოში შესვლის შემდეგ ომის გაჩაღების უფლებას არ მოგვცემენ. ნატოს სისტემის შიგნით კონფლიქტური ზონები არ აწყობთ. იქნება მოთხოვნები, რომ მშვიდობიანად გადაწყდეს ეს საკითხები.

— თავდაცვის სისტემა, ქართული ჯარი რა ეტაპზეა?

— ერთადერთი დადებითი რაც მოხდა, დაფინანსების გაზრდაა. სერიოზული დაფინანსება მიიღო ამ უწყებამ. თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ ამ დაფინანსების ფონზე მისი პროპორციული იყოს ის ეფექტურობა, რაც ჯარში უნდა არსებობდეს, ვგულისხმობ იმას, რომ გაცილებით უკეთ იყვნენ ჩაცმული ჯარისკაცები, გაზრდილი იყოს საბრძოლო მომზადება, კვება უკეთესი იყოს, მაღალი იყოს ხელფასები. რაც დაიხარჯა ბიუჯეტიდან და ფონდებიდან, წესით, იმის

მიხედვით გაცილებით მეტი ეფექტურობა უნდა მიგვეღო. შეიარაღების, ტექნიკის, ტყვია-წამლის ყიდვას მივესალმები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უვარგისია. მხოლოდ „ბეემპეები" არ აღმოჩნდა უვარგისი. ეს ავიაციასაც შეეხო, მწყობრიდან გამოვიდა უამრავი საფრენი აპარატი. არც ახალი სამხედრო ნაწილები შექმნილა. ამ ყველაფერს გაუმჭვირვალობაც ემატება. ათასი მითქმა-მოთქმაა. აუცილებელია ამ ყველაფრის შემოწმება. საინტერესოა, კორუფციის თვალსაზრისით რა მდგომარეობაა, რამდენად მიზნობრივად იხარჯება სახსრები. ამ მხრივ ძალიან სერიოზული ეჭვებია გამოთქმული. არ ვარ ის კაცი, რომ რაღაც ჰაერზე ვილაპარაკო.

— ე.ი. თქვენ გაქვთ რაღაც ინფორმაცია?

— რაც შეეხება ხარჯვას, რაც არ უნდა კონტროლს იყოს დაქვემდებარებული, ჩვენ არ ვიცით, როგორ დაიხარჯა ფონდებიდან ფული. უამრავი საკითხია — რატომ იყიდეს უვარგისი ტექნიკა ან რატომ გამოვიდა მწყობრიდან.

— სასამართლო პროცესი ხომ მიმდინარეობს?

— სასამართლო რომ მიმდინარეობს, კარგია, მაგრამ...

გაზ. „ახალი თაობა" №331
30 ნოემბერი, 2005 წ.

„საქართველოში ბეჟუაშვილის, ოქრუაშვილის და მერაბიშვილის კლანები ჩამოყალიბდა“

ახალი ოპოზიციური გაერთიანების საკორდინაციო ცენტრი, რომლის სუბიექტები არიან პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოძრაობები „წინ საქართველო“, „მომავლის მთავრობა“ და „ლეიბორისტული პარტია“, გუშინ ცდილობდა საზოგადოებისთვის დღევანდელი ხელისუფლების უპერსპექტივობა აეხსნა. „ჩრდილოვანი მთავრობა“, რასაც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ, მათი თქმით, შენიშვნებს და კონსულტაციებს მისცემს დღევანდელ ხელისუფლებას. თუ ისინი გაითვალისწინებენ ოპოზიციური საკოორდინაციო ცენტრის შენიშვნებს, ამით გაიხანგრძლივებენ არსებობას, თუ არადა, მათი პოლიტიკა განწირულია. ოპოზიციის ლიდერების ყველა გამოსვლა საქართველოში შექმნილ დღევანდელ სავალალო მდგომარეობას შეეხებოდა, რაშიც ისინი ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ.

ირაკლი ბათიაშვილი, „წინ საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი:

— სახეზეა სოციალ-ეკონომიკური კრიზისი, გამოსავალი კი არ ჩანს, უმუშევართა არმია კატასტროფულად გაიზარდა. მათმა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა. განსაკუთრებით მტკივნეულად უმუშევრობა შეეხოთ ძალოვნებს, პროკურატურისა და უშიშროების თანამშრომლებს. მასობრივად გამოყარეს პროფესიონალები და მათ ადგილას მიიღეს დილეტანტები და „კმარელები“. ამ ყველაფერს ემატება ენერგოკრიზისი, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება. ქვეყანაში აბსოლუტური სტაგნაციაა და კვლავ საგანგაშო ვითარება სუფევს თუნდაც კორუფციის თვალსაზრისით. შევარდნაძის დროს კორუფცია განფენილი იყო, ახლა მოხდა მისი ვერტიკალიზაცია. მაშინ აქლემის ქურდიც და ნემსის ქურდიც იპარავდა, ახლა კი, ხედავთ, ვინ იშენებს სახლებს? — ნოღაიდელი, ბურჯანაძე, მერაბიშვილი და არველაძე. ისინი ყველანაირი ბიზნესის წილში ჩასხდნენ. ელიავას ბაზრობაზე ნინო ბურჯანაძის ქმარს დიდი სუპერმარკეტის გახსნა სურს, ხოლო ლილოს ბაზრობას ძმები კოდუები ეპატრონებიან. სამწუხაროდ, მაფიოზური კლანების მსხვერპლი მოსახლეობაა. ჩვენ, ოპოზიცია კი ხელისუფლებას ვთავაზობთ რეკომენდაციებს, განსა-

კუთრებით — დასაქმების პროგრამას კრიმინოგენური სიტუაციის დასარეგულირებლად. ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად მალე გავთავისუფლდეთ ამ დილეტანტური ხელისუფლებისაგან და გადავარჩინოთ საქართველო.

ესაუბრა ეთერ ბალაძე

გაზ. „ახალი თაობა“ №101
13 აპრილი, 2005 წ.

როგორ მიიღეს ტახტის აზნაურობა ირაკლი ბათიაშვილის წინაპრებმა

თავის დროზე, მეფის სამსახურში მყოფ ბათიაშვილებს ერთგულებისთვის და დაუღალავი შრომისთვის, ტახტის აზნაურობა დაუმსახურებიათ. თუმცა, ირაკლი ბათიაშვილი წოდებაზე მეტად თავისი სახელგანთქმული წინაპრებით ამაყობს. ბათიაშვილების გვარში თაობები თითქმის ერთიდაიგივე სახელებს ატარებენ. მაგალითად, ირაკლი დიმიტრის ძე ბათიაშვილის ბაბუა ასევე ირაკლი დიმიტრის ძე იყო, მამამისი დიმიტრი ირაკლის ძე გახლავთ. ბატონ ირაკლის ვაჟი რომ შესძენოდა, ისიც დიმიტრი ირაკლის ძე იქნებოდა... მოკლედ, ასე გამოხატავდნენ წლების მანძილზე ბათიაშვილები წინაპრების მიმართ პატივისცემასა და სიყვარულს.

— ბატონო ირაკლი, „საგვარეულო ტრადიცია" რომ „დაარღვიეთ" და დიმიტრი ირაკლის ძე ბათიაშვილი არ გყავთ, არ განიცდით?

— რა თქმა უნდა. ამ ტრადიციის გაგრძელება მე და ჩემმა მეუღლემ იმდენჯერ „გადავწყვიტეთ" და „გადავედეთ", რომ მეგობრები ამ საკითხზე დღესაც გვეხუმრებიან. მაგრამ, რას ვიზამთ, ცხოვრებამ ასე მოიტანა და ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ. ისე, ძალიან მინდა, გვარის გამგრძელებელი გვყავდეს.

— მთავარი სურვილია. თანაც ახალგაზრდა წყვილი ხართ...

— (იცინის) ჯერ ხომ არ დავბერებულვართ? ასე რომ, ყველაფერი წინ არის.

— ესე იგი, შეიძლება მალე პატარა დიმიტრის დაბადებაც მოგილოცოთ?

— რატომაც არა? (იცინის)

— აქამდე, თქვენს წინაპრებზე ვისაუბროთ. ალბათ, მათით ძალიან ამაყობთ, არა?

— ჩემი გვარის წარმომავლობაზე მეტად, ჩემი პირდაპირი წინაპრებით ვამაყობ. თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა სფეროში თავი გამოიჩინა. ბათიაშვილების უმრავლესობა დამსახურებული ადამიანი გახლდათ. მაგალითად, ბაბუაჩემი, ირაკლი ბათიაშვილი, დამსახურებული მეცნიერი, ცნობილი ენტომოლოგი, ბიოლოგიის

მეცნიერების დოქტორი, პროფესორი იყო. მეამაყება, რომ ჩემი ალალი ბიძაა ყველასათვის კარგად ცნობილი არქიტექტორი, პროფესორი გიგა ბათიაშვილი, რომლის სახელსაც უკავშირდება ისტორიული თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია, ისტორიულ ზონაში განხორციელებული ისეთი პროექტები, როგორიცაა: შარდენის ქუჩა, ღვინის აღმართი, რიონის სანაპირო, ქარვასლები, ლესელიძის ქუჩა, მეიდანი, ხარფუხის უბანი, ქეთევან წამებულის მოედანი, „კლდის უბანი" და ასე შემდეგ. მამაჩემი, დიმიტრი ბათიაშვილი ასევე ცნობილი კინორეჟისორია. ჩვენი ნათესავი გახლავთ პოპულარული მუსიკოსი, მევიოლინე თამაზ ბათიაშვილი. ბაბუაჩემის და, ლილი ბათიაშვილი, რომელიც 102 წლის გარდაიცვალა, დიდი მეცნიერი იყო. ჩემი მეორე ბიძა, ოთარი, ცნობილი ექიმია და წლების განმავლობაში ტუბდისპანსერის მთავარი ექიმი იყო.

— როგორც ვიცი, ბათიაშვილები ტახტის აზნაურები ბრძანდებით, ასეა?

— ტახტის აზნაურები ვართ და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამას მნიშვნელობა აღარ ენიჭება, ეს ფაქტი მართლაც ძალიან საამაყოა. რა თქმა უნდა, თავადები ყოველთვის გაცილებით მაღლა იდგნენ, მაგრამ სამაგიეროდ, სამეფო, ანუ ტახტის აზნაურები, აზნაურებს შორის სარგებლობდნენ მეტი პრივილეგიებითა და გავლენით. დიდებულ აზნაურებს საკუთარი ციხეც კი ჰქონდათ. ასე რომ, ჩემი წინაპრები თავადებს თითქმის არც ჩამოუვარდებოდნენ.

— თქვენმა წინაპრებმა ეს წოდება რა დამსახურების გამო მიიღეს?

— მეფის წინაშე წლების მანძილზე სამსახურში ყოფნის გამო მიიღეს. 1563 წლიდან, მეფე გიორგის ამ გვარისთვის აზნაურობა მიუნიჭებია.

— თქვენი რომელი წინაპარი ემსახურებოდა ასე ერთგულად მეფეს?

— ამ წინაპრის ზუსტი სახელი არც კი ვიცი. ამის შემდეგ ეს საკმაოდ გავლენიანი გვარია და ტრაქტატშიც არის მოხსენიებული.

— ამის დამადასტურებელი დოკუმენტები თქვენც ხომ არ გაქვთ?

— ეს ლეგენდა არ გახლავთ. ბიძაჩემი საგულდაგულოდ ინახავს დოკუმენტს, უფრო სწორად ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სიას, რომელიც ერეკლე მეორემ, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს თან დაურთო და ეკატერინეს გაუგზავნა. სხვათა შორის, ეს დოკუმენტი

ხელმეორედ 1983 წელსაც დაბეჭდეს. ამ სიაში, თავადების შემდეგ არიან ტახტის აზნაურები და მათ რიცხვში, ერთ-ერთი პირველი, აზნაური ბათიაშვილი წერია.

— ბათიაშვილები ქართლელები არიან?

— ჩემი წინაპრები ქართლელები არიან. ბათიაშვილების ნაწილი არის გორის რაიონიდან, ნაწილი სამაჩაბლოდან. მე სამაჩაბლოს შტოს წარმომადგენელი გახლავართ. ამ შტოს წარმომადგენლები სოფელ დმენისიდან არიან. ამ სოფელში ეს გვარი ძალიან გავლენიანი იყო.

— თუმცა, როგორც ვიცი, თქვენი ბაბუაც თბილისში დაიბადა. სამაჩაბლოსთან რაიმე კავშირი თუ გაქვთ?

— ბაბუაჩემი და მისი ბაბუაც კი, თბილისელები იყვნენ. ასე რომ, სამაჩაბლოში ჩემი ძალიან შორეული წინაპრები ცხოვრობდნენ.

— დმენისში ბათიაშვილები დღესაც ცხოვრობენ?

— არა, დღეს ამ სოფელში, სამწუხაროდ, მხოლოდ ოსები ცხოვრობენ. იქ ქართველები, მგონი, საერთოდ აღარც არიან. სხვათა შორის, ბათიაშვილებს გენეალოგიაში კირკიტი ძალიან უყვართ და ბიძაჩემმა ასეთ ვერსიასაც მიაგნო, თითქოს ბათიაშვილები წარმოშობით მთიდან არიან. ეს რამდენად მართალია, არ ვიცი. დღეს ბათიაშვილები ცოტანი ვართ და რომ გამოიძიოთ, ყველა ერთმანეთის ნათესავია.

— ბატონო ირაკლი, შინაარსობრივად „ბათი“ თუ ნიშნავს რამეს? სხვათა შორის, ინგლისში ასეთი სახელწოდების საგრაფო არსებობს.

— (იცინის) საინტერესო მიგნებაა. არა მგონია ჩემი გვარის წარმოშობას ინგლისის ამ საგრაფოსთან რაიმე კავშირი ჰქონდეს... ისე, ბათიაშვილი საკუთარ სახელისგან, „ბათიასგან“ არის მიღებული.

— როგორც ბრძანეთ, ბათიაშვილები ცოტანი ხართ. ალბათ საგვარეულო შეკრებების მოწყობაც გიადვილდებათ.

— სხვათა შორის, პაპაჩემს ჰქონდა ასეთი ტრადიცია, ბათიაშვილებს ხშირად კრებდა აქ, ამ სახლში. დღეს ამას ვეღარ ვახერხებთ. თუმცა, დიდი სურვილი მაქვს ეს ტრადიცია აღვადგინო და ამას გავაკეთებ კიდეც. ბიძაჩემი კი ცდილობს ხოლმე ბათიაშვილების შეკრებას, მაგრამ, აქ ამ სახლში, სადაც ჩემი პაპა და ბებია ცხოვრობდნენ, სულ სხვა ხიბლი და დატვირთვა ექნება.

— ბებიათქვენიც წარჩინებული გვარის ქალბატონი იყო?

— ბებია სხირტლაძე გახლდათ, წარჩინებული გვარის არ იყო, მაგრამ საოცრად ლამაზი და გონიერი, განათლებული ქალი იყო.

— მისი შერთვისას პაპათქვენს გვარის გამო პრობლემები არ შეექმნა?

— არა, ამას უფრო თავადები აქცევდნენ ხოლმე ყურადღებას. მართალია, აზნაურებიც იყვნენ ისეთები, რომლებიც მხოლოდ აზნაურებს ირთავდნენ, მაგრამ ბაბუაჩემს ამისთვის ყურადღება არასოდეს მიუქცევია. არც მე მიფიქრია გვარებსა და წარმომავლობაზე, როცა ცოლად ფანჩულიძე შევირთე.

— გვარიშვილობას არც მაშინ მიაქცევთ ყურადღებას, როცა თქვენი ქალიშვილის ბედი გადაწყდება? სასიძოს გვარზე არც მაშინ გიფიქრიათ, პირველი შვილი რომ გაათხოვეთ?

— არა, ჩემმა გოგომ ბერიშვილზე იქორწინა და სასიძოს გვარზე არ მიფიქრია იმიტომ, რომ ის ძალიან კარგი ადამიანი გახლავთ. მეორე ქალიშვილი კი გათხოვებისთვის ჯერ პატარაა, მაგრამ ამ ნაბიჯს რომ გადადგამს, ჩემი ერთადერთი სურვილი იქნება, ჭეშმარიტ ქართველს, ნამდვილ, პატიოსან ადამიანს გაჰყვეს. გვარს რა მნიშვნელობა აქვს? გვარიშვილობით ადამიანები არასოდეს გამირჩევია და არც თავი გამომიჩენია სადმე იმის გამო, რომ ჩემი წინაპრები ტახტის აზნაურები იყვნენ.

— თუმცა, მგონი, თქვენი მეუღლე ამაყობს ხოლმე ხშირად თქვენი წარმომავლობით.

საუბარში ირაკლი ბათიაშვილის მეუღლე, მაია ფანჩულიძე ჩაგვერთო:

— რატომ არ უნდა ვიამაყო? ძალიან მსიამოვნებს, რომ ირაკლის ასეთი წარმომავლობა აქვს. ეს ალბათ, ყველა ქალს ესიამოვნებოდა. ასე რომ, ეს ბუნებრივიცაა.

— სანამ ცოლად ირაკლის გაყვებოდით, იქამდე იცოდით, რომ ბათიაშვილები ტახტის აზნაურები არიან?

— არა, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. სიმართლე გითხრათ, ასეთ რამეებს არც ვაქცევდი ყურადღებას. ეს მერე გავიგე და ძალიან გამიხარდა.

— ბატონო ირაკლი, დედის მხრიდანაც წარჩინებული გვარის წინაპრები გყავდათ?

— დედაჩემი, ირინა კუჭუხიძე გახლავთ. კუჭუხიძეები წარმოშობით იმერლები არიან. ეს ჩვეულებრივი გვარია.. დედაჩემი კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი გახლავთ. თეატრალურ ინსტიტუტში და ტელევიზიაში მუშაობს. ბაბუაჩემი შალვა კუჭუხიძე, თბილისში თავისი პატიოსნებით ცნობილი კაცი იყო. მას წლების განმავლობაში

ვაჭრობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა და სახლში დანგრეული სკამები დატოვა. საოცრად პატიოსანი იყო. დედის დედა კი, ნინო ალშიბაია, ცოცხალი გახლავთ და დეიდაჩემთან, რეჟისორ მედეა კუჭუხიძესთან და ჩემს დეიდაშვილთან, ფსიქოლოგ რუსიკო მირცხულავასთან ერთად ცხოვრობს.

— ალშიბაია ხომ აფხაზური გვარია?

— ბებია აფხაზია და ძალიან მეამაყება, რომ ჩემს ძარღვებში აფხაზის სისხლიც ჩქეფს. სხვათა შორის, აფხაზები გვარიშვილობას დიდ პატივს სცემენ. ალშიბაია კი სუფთა თავადური გვარია და ბებიაჩემიც ყოველთვის იყო ჭეშმარიტი თავადის განსახიერება. ახლა, მოხუცია, მაგრამ თავისი ხიბლი არ დაუკარგავს. საოცრად ლამაზი იყო თავის დროზე. დახვეწილი მანერებით დღესაც გამოირჩევა.

— თქვენი წინაპრები მეფის სამსახურში იყვნენ. გამოდის, პოლიტიკისადმი ინტერესი გენეტიკურად გადმოგეცათ...

— (იცინის) კარგი მიგნებაა. ალბათ, მართლაც ასეა. თუმცა, მეფის სამსახურში ყოფნა უშუალოდ მეფის სამსახურს კი არა, ქვეყნის სამსახურს ნიშნავს. შეიძლება, ზოგჯერ ოპოზიციაში იყო, მაგრამ სახელმწიოებრიობის იდეას არ უნდა უღალატო.

— პოლიტიკისადმი ინტერესის გარდა, წინაპრებისგან კიდევ რით დასაჩუქრდით?

— სიდინჯით. ჩემი წინაპრები ძალიან დარბაისელი ადამიანები იყვნენ. ზოგჯერ მე ამას ვერ ვახერხებ და მწვავედ ვრეაგირებ ხოლმე, მაგრამ საერთო ჯამში, დინჯი ვარ.

— როგორც თქვით, თქვენი წინაპრები ძალიან ტრადიციულები იყვნენ, რაიმე საგვარეულო ტრადიცია თქვენს ოჯახს არ გადმოეცა?

— ყველაზე დიდი ტრადიცია, რაც წინაპრებისგან ჩემს ოჯახს მოსდევს, ღვთის რწმენაა. აღდგომას და შობას ყოველთვის განსაკუთრებულად აღვნიშნავთ. ჩემი ბებია-ბაბუები მორწმუნეები იყვნენ. ჩვენ დღესაც გვაქვს ოჯახში საგვარეულო რელიკვია — ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ოჯახის ყველა წევრისთვის ძალიან ძვირფასია.

— ამ ხატის გარდა, ამ სახლში ბევრი საგვარეულო რელიკვიაა?

— ეს სახლიც ჩემი წინაპრების დატოვებულია. ბებია-ბაბუა აქ ცხოვრობდნენ და მამაჩემიც ამ სახლში გაიზარდა. აქ თითქმის ყველაერი ძველია: საწოლიც, ბუფეტიც, ფორტეპიანოც, მაგიდაც, ჭაღებიც. მაშინ მეცნიერები ფასდებოდნენ და ბაბუას ჰქონდა იმის საშუალება, რომ ჰქონოდა ცხოვრების კარგი პირობები, კარგი ავეჯი.

თავზე არასოდეს გადასდიოდათ, მაგრამ კარგი მაცხოვრებლები იყვნენ. ადრე, ხანძარი რომ გაგვიჩნდა, ბევრი ნივთი დაზიანდა, მაგრამ რესტავრაცია გავუკეთეთ. მატერიალურ ქონებას დიდი მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მაგრამ ეს ავეჯი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მიყვარს, ვოლტერის ეს ბიუსტი, მიყვარს ბაბუას ეს საწერი მაგიდა და ეს მეფური სავარძელი, რომელიც 70 წელია ჩვენი საკუთრებაა. ამ სავარძელში ხშირად ვჯდები და ამ საწერ მაგიდასთან ვმუშაობ ხოლმე. ძალიან მნიშვნელოვანია ეს ისტორიული მრგვალი მაგიდა. მის გარშემო ვიკრიბებოდით მე და კოკო გამსახურდია, თედო პაატაშვილი, მერაბ მამარდაშვილი, ირაკლი წერეთელი, დათო ტურაშვილი, მერაბ კოსტავა...

ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეროვნული მოძრაობა ამ მაგიდის გარშემო ყალიბდებოდა. აქ უამრავი საინტერესო და გამოჩენილი ადამიანი იყრიდა თავს. ამიტომაც, ეს ნივთი ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

ესაუბრა **ნინო ლურსმანაშვილი**

ჟურნალი „ქრონიკა“ №15 (29/11)
13-19 აპრილი, 2005 წ.

სააკაშვილი მერაბიშვილის ადგილზე ბოკერიას დანიშნავს

— ბატონო ირაკლი, თქვენ უნივერსიტეტში მუშაობთ. რას იტყოდით იქ განვითარებულ მოვლენებზე, რეფორმებზე, რა არის კარგი და რა — ცუდი?

— ჩემთვის უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენები სისხლხორცეულია. ჩვენთვის, ყველასთვის, უნივერსიტეტი არის სულიერი კერა. მეც უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული და, გარდა პოლიტიკისა, უნივერსიტეტში აქტიურ მეცნიერულ კვლევებს ვაწარმოებ. რაც შეეხება რეფორმას, რომელიც განათლების სისტემაში დაიწყო, ამ პროცესს რეფორმასთან არავითარი კავშირი არ აქვს. დღეს უნივერსიტეტის ელიტა, რომელიც აქციებით გამოდის, რეგრესისტი კი არ არის, ისინი იმას კი არ ფიქრობენ, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, არამედ მათ იციან, რომ უნივერსიტეტი საჭიროებს უსერიოზულეს რეფორმებს, რომელიც უნდა ჩატარდეს კომპეტენტურ დონეზე. ეს რეფორმა საჭიროებს სერიოზული სტრატეგიის შემუშავებას. რეფორმა უნდა გაატაროს კომპეტენტურმა ხალხმა. დღეს რაც უნივერსიტეტში ხდება, „ქირურგიული ოპერაციაა". ეს არის ფსევდორეფორმა, აბსოლუტურად უვიცი, დილეტანტი ხალხის მიერ გადადგმული ნაბიჯი, ჩატარებული პოლიტიკური ღონისძიებები. ისინი არიან ძალიან დესტრუქციული ბუნების და მიზნად იმას კი არ ისახავენ, რომ იგივე ჩვენი უმაღლესი განათლების სფერო დაიხვეწოს, გახდეს უფრო ეფექტური, ისევე, როგორც სწავლების, ასევე სამეცნიერო მუშაობის მიმართულებები, განათლების ინსტიტუტები დაიხვეწოს და გაძლიერდეს. ეს მათ არ სურთ. ისინი მიზნად ისახავენ ერთ რამეს. ამას ბევრი დაკვირვება არ სჭირდება. ყველასთვის ნათელია, რომ მათ სურთ, უმაღლესი და განსაკუთრებით სხვა დაწესებულებები მოაქციონ თავიანთი დიქტატის ქვეშ, იქ ყველგან განალაგონ საკვანძო თანამდებობებზე მათთვის საიმედო ხალხი და ეს დაწესებულებები გაცხრილონ ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებისგან, რომლებიც, მათი მენტალიტეტის და შეხედულებების გამო, მათი აზრით, არასანდონი არიან.

— ძირითადი აქცენტი პერსონებზეა გადატანილი?

— მათი პოლიტიკა არის ის, რომ პირველი, რაც გააკეთეს, დაიწყეს ე.წ. რეფორმა. პირველ რიგში გააუქმეს უნივერსიტეტის ავტონომია, გაუქმებულია უნივერსიტეტის წესდება და დიდი სამეცნიერო საბჭო, რექტორი აღარ არის არჩევითი. იგი, როგორც პოლიტკომისარი, ინიშნება პრეზიდენტისგან და ყველა ეს დაწესებულებები იმართება ლომაიას მიერ. უნივერსიტეტის და სხვა დაწესებულებები განათლების სამინისტროს უშუალო დაქვემდებარების ქვეშ არის. ამას ემატება ლომაიას მიერ განათლების სამინისტროს კონტროლი. ლომაიასთვის არასასურველი ელემენტია ისეთი პროფესორი, როგორიც გახლავთ თენგიზ სანაძე. ეს კაცი ჭეშმარიტი ინტელიგენტი და ქართული მენტალიტეტის მატარებელი ადამიანია, იგივე პროფესორი გრივერ ფარულავა. ასეთი ღირსეული მეცნიერი მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ასეთი პროფესორების სია გრძელია. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა 80%-ზე მეტი მათი მოწინააღმდეგეა. უფრო მეტიც, ახლა ინტელიგენცია ძალიან გააქტიურებულია და ხდება დარბაზის ფორმირებაც. ხელისუფლების უტვინო პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ ინტელიგენციის 90%-ზე მეტი აღმოჩნდა მწვავე ოპოზიციაში სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ. ეს კი გამოიწვია თავხედურმა და უაპელაციო ქმედებებმა. მაშინ, როდესაც გამოდიან კირკიტაძე, თარგამაძე, ბოკერია და სხვები და თავხედურად ჭკუას ასწავლიან მართლაცდა პატივსაცემ ადამიანებს, რომლებსაც კონკრეტული საქმეები აქვთ გაკეთებული, წიგნები აქვთ დაწერილი, სამეცნიერო კვლევებს აწარმოებენ, ამ დროს მე ვეკითხები საზოგადოებას, რა აქვს ლომაიას შექმნილი? სად გამოჩნდა მისი ინტელექტი, რომ მან ჭკუა ასწავლოს თენგიზ სანაძეს ან გრივერ ფარულავას!

— პროფესორ-მასწავლებლების დისკრიმინაცია განათლების სამინისტროს მხრიდან შეგნებულად ხდება?

— რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკა. ის, რასაც ბოლშევიკები ადრეული წლებიდან აკეთებდნენ, მიმდინარეობდა ინტელიგენციის დევნა, სამღვდელოების, ეკლესიის დარბევა. ესენიც იმავეს აკეთებენ, ხან უნივერსიტეტს დაარბევენ, ხან ეკლესიას. კომუნისტებსა და ამ ხელისუფლებას შორის არავითარი განსხვავება არ არის.

— ხშირად ამბობენ, რომ ხელისუფლება ებრძვის ეროვნულ ღირებულებებს...

— რა თქმა უნდა, მიმდინარეობს საკმაოდ შეურიგებელი ბრძოლა ეროვნულ და ანტიეროვნულ ცნობიერებებს შორის. ეს ხელისუფლე-

ბა ყველანაირად ცდილობს ჩვენი ეროვნული ღირებულებების, მემკვიდრეობის, ტრადიციების მოშლას.

— რის ხარჯზე ხდება ეს?

— ცარიელი ძალის ხარჯზე. მათ ხალხის მხარდაჭერა აღარ აქვთ.

— სხვათა შორის, უნივერსიტეტის პროცესებში სტუდენტები არ ერევიან. რით ახსნით ამას?

— ესეც ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ნურავის ეგონება, რომ სტუდენტები ხელისუფლებას უჭერენ მხარს. სტუდენტები არავის უჭერენ მხარს. ამ ხელისუფლებამ აქციები დაიწყო დასაქმებისა და სხვა სახით (პატრიოტული ბანაკები, სტუდენტების დასაქმების პროგრამა და ა.შ.). სწორედ ეს ბანაკები ისახავდა მიზნად, სტუდენტები მოეწყვიტა აქტიურ ცხოვრებას. მაგრამ, გარწმუნებთ, ახალგაზრდობა მთელი ძალით გამოიღვიძებს.

— დღეს უნივერსიტეტში ორხელისუფლებიანობაა. პროტესტი უნივერსიტეტში გრძელდება. რა შედეგებით დამთავრდება ის?

— მე ვფიქრობ, ეს პროცესი გაგრძელდება და ასე სწრაფად არ დასრულდება. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესი იქნება ხანგრძლივი ბრძოლა და ასე უცებ ვერ ჩაქრება, თუმცა იმის ილუზიაც არ უნდა გვქონდეს, რომ ეს ხელისუფლება რაიმეს ადვილად დათმობს. ისინი არ დათმობენ, მაგრამ ბრძოლა კვლავ გაგრძელდება. პროტესტი, რომელიც უნივერსიტეტში მიმდინარეობს, იქნება ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი საერთოდ იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ამ ხელისუფლებას განაჩენს გამოუტანს.

— დაიბრუნებს უნივერსიტეტი ავტონომიას?

— უნივერსიტეტს ავტონომია წაართვეს, მაგრამ თავად უნივერსიტეტმა თავისივე ძალებით დიდი საბჭო აღადგინა. პროფესორებს პოლიციის ძალით ყრიან უნივერსიტეტიდან, არ უშვებენ დარბაზში. ფაქტობრივად უნივერსიტეტის ოკუპაცია მოხდა პოლიციის ძალების მიერ. დიდმა საბჭომ თავადვე აირჩია რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ეს იმის ნიშანია, რომ უნივერსიტეტი ცოცხლობს და შინაგანად დამოუკიდებელი და დაუმორჩილებელია.

— რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ხელისუფლება და პრეზიდენტი, გადააყენებენ ლომაიას და უკან გაინვევენ რექტორის მოვალეობის შემსრულებელ ხუბუას?

— მე ვფიქრობ, დღეს ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. ლაპარაკია ხუბუას გადადგომაზე, ლაპარაკია მერაბიშვილისა და ლომაიას გადადგომაზე. ყველაფერი ეს ბოლოს მივა სააკაშვილის გადადგომის

მოთხოვნამდე. ასე რომ, ყველაფრის სათავე სააკაშვილია. გუშინ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა ლორთქიფანიძე, დღეს ხუბუა და ხვალ, პოზიციები რომ შეინარჩუნოს, ვიღაც ახალს მოიყვანს. ლომაია თუ წავიდა, ვიღაც მის მსგავსს მოიყვანს.

— მოხდება ჩანაცვლება?

— მერაბიშვილს თუ სადმე გადაიყვანს, მის ადგილას ბოკერიას დანიშნავს. სააკაშვილი მე ხომ არ დამნიშნავს მერაბიშვილის ადგილას.

— ოპოზიციის გააქტიურება ახალი ეროვნული მოძრაობის დასაწყისი იქნება?

— ოპოზიცია რომ გააქტიურებულია, კარგია. ის პროცესები, რომელიც უნივერსიტეტში მიმდინარეობს და რასაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მხარს უჭერენ, უნივერსიტეტის მიერ წამოწყებული და წარმართული აქციებია და არა ოპოზიციური პარტიების მიერ.

— უნივერსიტეტი პოლიტიკური ამბიციების პოლიგონია?

— უნივერსიტეტში, განათლებაში არსებული პრობლემები პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის პრობლემების გადასაწყვეტად ინიციატივა უნივერსიტეტის პროფესურამ აიღო. მთელი ამ დიდი ბრძოლის მოთავე და ინიციატორი უნივერსიტეტია. პოლიტიკური პარტიები ვალდებული არიან, მხარში ედგნენ და დაიცვან უნივერსიტეტი.

— უნივერსიტეტიდან დაიწყება პროტესტი და ახალი რევოლუცია ხელისუფლების შესაცვლელად?

— ეს პროცესი არ გაჩერდება, შემოდგომამდე უფრო გაძლიერდება. თუმცა მე არა ვარ რევოლუციების მომხრე, სააკაშვილისა და მისი გუნდისგან განსხვავებით. როგორც უკრაინაში კუჩმა აიძულა ხალხმა, რევოლუციისა და პარლამენტში შევარდნის გარეშე შეეცვალა კანონმდებლობა და არჩევნები ჩაეტარებინა, ასე უნდა ვაიძულოთ სააკაშვილიც, დაუმორჩილებლობით და უშეღავათო ბრძოლით, ხელი მოაწეროს უნივერსიტეტის ავტონომიას.

ესაუბრა **ეთერ ბალაძე**

გაზ. „ახალი თაობა“ №189 (3845)
11 ივლისი, 2006 წ.

რას უთვლის ირაკლი ბათიაშვილი ოჯახს ციხიდან

„ემზარ კვიციანისთვის ინტელექტუალური ხელშეწყობის“ ბრალდებით სამშობლოს ღალატში მხილებული ირაკლი ბათიაშვილი ერთ თვეზე მეტია მეშვიდე იზოლატორში იმყოფება. როგორც მისმა მეუღლემ *მარიამ ბათიაშვილმა* გვითხრა, ციხეში მყოფი პროფესიით ფილოსოფოსი ირაკლი ფილოსოფიურ შრომებსაც წერს და მხატვრული ლიტერატურის გადაკითხვითაც კლავს დროს. ქალბატონი მარიამ ბათიაშვილი ჩვენთან საუბარში მეუღლის გაცნობის ისტორიასაც იხსენებს და იმასაც გვიმხელს, რით მოხიბლა ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერმა.

— ჩვენ მივმართეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, „ეუთოს“, „ჰიუმან რაიდს ვოდშს“, „ემნისტ ინტერნეიშენალს“ გავუგზავნეთ წერილები, ისინი გაკვირვებულნი არიან — როგორ შეიძლება XXI საუკუნეში ადამიანი სიტყვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი მოწოდებისთვის დაიჭირო? გასაოცარი ფაქტი მოხდა, ირაკლი მხოლოდ იმას ამბობდა, ერთმანეთს არ ესროლოთ და ხელები სისხლში არ გაისვაროთო. სხვათა შორის, დაკავებამდეც და სასამართლოზეც განაცხადა — კი მაგრამ, რატომ არ გამოაქვეყნეთ სრულად ის ჩანაწერები, სადაც ყველას სათითაოდ მოვუწოდებ, არ აჰყვეთ პროვოკაციას და არ გაისროლოთო, მე მარტო იმათ კი არა, მოსახლეობასაც მოვუწოდებდი ამასო. მე მგონი, ისტორიაში სამარცხვინო ლაქად დარჩება ირაკლის, ქვეყნისთვის თავგანწირული უანგარო და სანთელივით სუფთა ადამიანის დაჭერა. ვერ წარმომიდგენია, ირაკლი როგორ უნდა გაასამართლონ, პროკურატურის მიერ გადმოცემულ მასალებში ირაკლი მართლდება. ის ჩანაწერები სრული სახით პრესაშიც გამოქვეყნდა და ხალხი გაოგნებულია, რადგან არაფერი მოღალატური მის ლაპარაკში არ ისმის.

— თქვენ იმედოვნებთ, რომ სასამართლო სამხილს ვერ იპოვის და წაყენებული ბრალდება მოეხსნება?

— ჩვენმა სასამართლომ ბევრჯერ გაუმტყუნა მოსახლეობას იმედები, მაგრამ ჯერ ცუდს ვერავისზე ვიტყვი, რადგან არ ვიცი, როგორ წარიმართება სასამართლო პროცესი.

— ქალბატონო მარიამ, ირაკლის დაპატიმრების შემდეგ მხარდაჭერა ვისგან იგრძენით?

— დიდი მადლობა მინდა გადაეუხადო ქალბატონ ელენე თევდორაძეს, მან თქვა, რომ ირაკლი ბათიაშვილის მოღალატეობას არ დაიჯერებს. ეს იმიტომ, რომ კარგად იცნობს ირაკლის. კონკრეტულად ვერავის დაგისახელებთ, მაგრამ როგორც შევიტყვე, ბევრ პარლამენტარსაც უკვირს ირაკლის დაჭერის ამბავი, ფაქტია, რომ მას ამ ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. პიროვნულად ირაკლისთან ცუდი დამოკიდებულება არავის ჰქონია, არ არსებობს, ირაკლიმ ვინმე გალანძღოს, მასზე ვერავინ იტყვის, რომ არ არის მეოჯახე, პატრიოტი, სამშობლოს მოყვარული.

— ოჯახის წევრები ხშირად ხვდებით ბრალდებულს?

— არა, და ამაზე გული მწყდება. კანონი მისჯილებს ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლებას აძლევს, მიუსჯელებისთვის ამ უფლების მიცემა კი სამართალდამცველთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. არ ვიცი, ვინ და რით განვარისხე. თვეზე მეტია არც მე და არც ოჯახის სხვა წევრებს ირაკლი არ გვინახავს. წერილებს წითელი ჯვრის ორგანიზაციის საშუალებით ვაწვდით ერთმანეთს.

— რა მოითხოვა ირაკლიმ საკანში შესვლის შემდეგ?

— შემოგვითვალა, არ მოგვეკლო მისთვის წიგნები, პირველ რიგში ლოცვები მოითხოვა, აქვს ბიბლია. სასაცილო იყო, რომ საკანში შესვლის წინ ამ განერვიულებულ ადამიანებს, მის ახლობლებს გვითხრა, „ომი და მშვიდობა" მომიტანეთო, ქართული ლიტერატურის შედევრებსაც კითხულობს, ვაჟა-ფშაველა უყვარს ძალიან. სხვათა შორის, მასთან მისი მოძღვარი აპირებს შესვლას. ირაკლი ღრმად მორწმუნეა.

— ფილოსოფიურ ნაშრომებსაც ხომ არ ქმნის?

— რასაკვირველია, თავის საქმესაც არ ივიწყებს. მერაბ მამარდაშვილის, ზურაბ კაკაბაძისა და გურამ თევზაძის მოწაფეა. ფილოსოფიაში თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. არაჩვეულებრივი ნაშრომები დაწერა და გამომიგზავნა — „პირველსაწყისის შემოტევა", „კატაკლიზმების ფენომენოლოგია ფილოსოფიაში", ჯერ არ დაუსრულებია ნაშრომები „მედიტაციები მეშვიდე საპყრობილეში". ირაკლი ძალიან ხატოვნად წერს. წიგნში ლაპარაკია ტერორიზმზეც, ბუნებრივ კატაკლიზმებზეც — ცუნამიდან დაწყებული მიწისძვრით დამთავრებული. რამდენიმე გაზეთმა მთხოვა ექსკლუზივი. სხვათა შორის, ირაკლიმ უნივერსიტეტში სწავლისას მარქსის სტიპენდიაზე

თქვა უარი და შემდეგ მიანიჭეს ჩვენი უცნობილესი ფილოსოფოსის, ტრაგიკული ბედის მქონე პიროვნების, შალვა ნუცუბიძის სახელობის სტიპენდია.

— თქვენ რას საქმიანობთ?

— ფსიქოლოგი გახლავართ, წლების მანძილზე ამ სფეროში ვმოღვაწეობ. ამჟამად ჩემი პროფესიით ვმუშაობ კერძო საწარმოში. სხვათა შორის, დიდი ხანი პერსონა ნონ გრატასავით ვიყავი და სამუშაოს ვეძებდი, მერე, ეტყობა, პროფესიონალიზმი დააფასეს და ერთ-ერთი საწარმო შემეხმიანა. მთავარია, რომ ნორმალური ხელფასი მაქვს.

— თქვენი შვილის შესახებ რას გვეტყვით?

— ირინა 53-ე სკოლის მეთერთმეტე კლასში სწავლობს, ფრიადოსანია, „იასას" (იუნესკოსთან არსებული ორგანიზაციის) დიპლომის მფლობელია. რამდენიმე წელია ეს ორგანიზაცია მოზრდილი ასაკის ბავშვებში კონფერენციებს ატარებს. იქ რომ მიიწვიეს, 13 წლის იყო. 17, 18 წლის ბავშვები იყვნენ მსოფლიოს ყველა წერტილიდან. შეკრება ესპანეთში შედგა და ბავშვმა მსოფლიო დონის ტრიბუნიდან დააყენა წყლის მენეჯმენტის პრობლემა. ირინა მიწვეულია სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც მის გარდა ყველა მეცნიერი, დოქტორი, აკადემიკოსია, ის კი — 16 წლის ბავშვია. პასუხისმგებლობის გრძნობით მამას ჰგავს.

— თქვენ და ბატონმა ირაკლიმ ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— ირაკლი XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დისიდენტი იყო, აქციებზე, მიტინგებზე ეროვნული სულისკვეთებით აღვსილნი ერთად ვიდექით მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გია ჭანტურიას, ირაკლი წერეთლის, ზურაბ ჭავჭავაძის გვერდით. ჩვენ შორის ძალიან სუფთა დამოკიდებულება იყო, მე მათ შორის ერთადერთი ბავშვი ვიყავი. 9 აპრილს ირაკლი რომ მოცელეს, გვამებს შორის იყო მოხვედრილი და ძლივს გადაარჩინეს, ექიმებმა კატეგორიულად მოსთხოვეს დაესვენა. წყნეთში იყო ასული და ჩვენ, მისი ახლობლები სანახავად ხშირად ავდიოდით. იქ დავუახლოვდით ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ ის არ ყოფილა ჩემდამი გულგრილი, მეც აღმოვაჩინე, რომ არაჩვეულებრივი, ჭკვიანი, ლამაზი და თან უანგარო ადამიანია. მოვიხიბლე მისი საუბრით. ბევრს დავდიოდით ფეხით, მას მერე გვიყვარს სიარული. ვაკეში ფეხით მოსეირნეებს ბევრი გვხედავდა.

— სიყვარული როგორ აგიხსნათ?

— მესამე პირში ამიხსნა სიყვარული: არის ერთი ბიჭი, რომელსაც უყვარს ერთი გოგოო. 18 წლისა ვიყავი, ირაკლის რომ გავყევი ცოლად, ირაკლი კი 27 წლის იყო. ბედნიერი ვარ, ამ ადამიანის მეუღლე რომ მქვია, მასთან ერთად ვცხოვრობ. სანამ პირში სული მიდგას, ასეთივე სიძლიერით მეყვარება, ის დიდ სიყვარულს იმსახურებს.

ესაუბრა **ნათია ნაცვლიშვილი**

ჟურნალი „რეიტინგი" №37
11.09.2006 წ.

სიტყვა ირაკლი ბათიაშვილის დასაცავად!

ბატონო მოსამართლენო!

ჩემი სწავლებისგან ჯვარი გწერიათ, მაგრამ თუ არ მიწყენთ, თავს უფლებას ვაძლევ, ინტელექტუალური დახმარება გაგიწიოთ სწორედ იმ საკითხში, რომელიც თქვენ, როგორც ჩანს, არც ისე კარგად იცით!

მე მესმის, ჩემის მხრიდან დღეს ამის გაკეთება საშიშია, თუნდაც იმიტომ, რომ ინტელექტუალური დახმარების გაწევისთვის, არა მარტო პირველად საქართველოში, მთელს მსოფლიოშიც, ერთადერთი ირაკლი ბათიაშვილია დაჭერილი!

არადა, მეამბოხე კვიციანს, ანუ იმ კაცს, ვისაც ბატონმა ირაკლიმ საკუთარი ცოდნა გაუზიარა, სჭირდებოდა კიდეც ეს დახმარება მოცემულ მომენტში!

მერედა, რა კარგად აუხსნა და განუმარტა: ბატონო ემზარო, თქვენ რომ ხელს თანამოძმებზე არ აღმართავთ, ეს გასაგებია, მაგრამ, იქნებ, სამთავრობო ფორმირებანიც დაარწმუნოთ, იარაღი დადონ და მუდმივი დისლოკაციის ადგილებს დაუბრუნდნენო!

ერთი სიტყვითო, ყოველგვარი იარაღი დავყაროთ და ყველა სადაო საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადავჭრათო!..

ბატონო მოსამართლენო! ამ კეთილი და სასარგებლო რჩევისთვის, ეს კაცი ციხეში რომ გაუშვით, თქვენ თვითონ სახლებში როგორ გძინავთ?!

თქვენ კარგო ხალხო და კარგო ადამიანებო, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ისიც ხომ აჩვენეს, რომ „ინტელექტუალური დახმარების“ გაწევის მერე, თვით ისეთმა უვიცმა კაცმა (თქვენი წარმოდგენით!), როგორიც მეამბოხე კვიციანია, ბრძოლის ველს გაცლა ამჯობინა და ტყეს მისცა თავი!..

ბატონო თემიდის მსახურებო, მე არ შემიძლია ვამტკიცო, ირაკლი ბათიაშვილს გონიერება რომ არ გამოეჩინა და შეიარაღებული მეამბოხეებისთვის მშვიდობიანი მოლაპარაკებისკენ არ მოეწოდებინა —

ან კიდევ, ემზარ კვიციანი „მაგთის" მომსახურების ზონიდან ყოფილიყო გასული და სატელეფონო ზარისთვის არ ეპასუხა — კოდორის ხეობაში ახლაც დიდი ბათქა-ბუთქი იქნებოდა ატეხილი თუ არა!

მაგრამ, იმის აღნიშვნა კი ნამდვილად მინდა, რომ თუ იქ, იმ ცხელ გულზე, ქართველებმა ერთმანეთის სისხლი არ დავღვარეთ, ამ საქმეში, სულ ცოტა, ამ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცის დამსახურებაცაა!..

რისთვისაც მას, სხვათაშორის, არავითარი ჯილდო არ მოუთხოვია!

თქვენ კიდევ, ბატონო მოსამართლენო — მართალია, ხელისუფლების დავალებით — ქვეყნისთვის დამაშვრალ ამ კაცს, მოღალატის იარლიყი მიანებეთ და ორთვიანი წინასწარი პატიმრობაც მიუსაჯეთ!..

ამიტომ მე ისევ გეკითხებით: თქვენ კარგო ხალხო და კარგო ადამიანებო, ეს წესიერი და საკუთარი ქვეყნის მოყვარული კაცი, მოღალატის ბრალდებით ციხეში რომ გიზით, თქვენ თვითონ ღამეს სახლებში როგორღა ათევთ?!

ხელისუფლებას ყველაფერი კი არ უნდა დაუჯეროთ!..

არადა, ამათ, მარტო ამ დავალების მოცემისთვის აქვთ კანჭები ჭინჭრის შოლტით ასაჭრელებელი!..

თქვენ დალოცვილებო, ნეტა, ის თუ მაინც იცით, ვინ არის ის კაცი, ვინც ახლახანს ქვეყნის ღალატისთვის დაიჭირეთ?

თუ არადა, მე გეტყვით: ირაკლი ბათიაშვილს, ამ ვაუკაც კაცს, სამშობლოს სიყვარული, გენეტიკურად, სისხლში აქვს გამჯდარი და ჩვენი ხელისუფლების ზოგი წარმომადგენელი რუსის ჯარში ერთგულად რომ მსახურობდა, ის მაშინ, მშვიდობიანი მოსახლეობის დასარბევად გამოსულ რუსულ ტანკებს, რუსთაველის პროსპექტზე გადაუდგა!..

იქვე იპოვეს კიდეც, მკვდარ-ცოცხალი, დახოცილ მომიტინგეთა გვამებში...

ამის შემდეგ, აფხაზეთშიც იომა საიქიოდან მობრუნებულმა ამ ადამიანმა და, როგორც კი იქ ომი წავაგეთ, მინისტრობიდან გადადგა!

მაგრამ სახლში კი არ დამჯდარა დასასვენებლად და სულის მოსაბრუნებლად, უნიფორმა გაიხადა და ტყეში გავიდა პარტიზანად!..

მერე იფიქრა, რაც ავტომატით ვერ გადავჭერი, იქნებ, მისი გადაჭრა დეპუტატის მანდატით ვცადოო!..

ეს შემთხვევა თქვენც გეხსომებათ, ბატონო მოსამართლენო — იჯდა ის კაცი, თავისთვის, ახლადარჩეულ პარლამენტის პირველ სხდომაზე და, როგორც კი საქართველოს ჰიმნის მოსმენა დაამთავრა

(მეც იქ ვიყავი და ვიცი, თვითონ არ მღეროდა!), ახლანდელი ხელისუფალნი პარლამენტში შეუცვივდნენ და იქედან ძალად გამოაგდეს!..

მე არც ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს ვამტყნუებ — ამათაც რა ექნათ, ვერსად რომ ვერ ივარგეს, ბოლოს ქვეყნის სათავეშიც მოვიდნენ ბედის საცდელად!

ვერ გეტყვით, რომ ახლა ესენი, ამ ქვეყნის მართვაში ისევე კარგად არიან ჩართულნი, როგორც ყველა ხაჭაპურში-მეთქი, მაგრამ, მართალი გითხრათ, არც ამდენი სისულელის დაშვებას ელოდა რევოლუციური ექსტაზითა აღტკინებული ხალხი ამათგან!..

როგორც ხედავთ, ამ ხელისუფლების ხელში, მდგომარეობის გამოსწორების ნაცვლად, კატასტროფულად მძიმე სიტუაცია შეიქმნა ქვეყანაში!..

დღევანდელ საქართველოში, შედარებით კომფორტულად თავს მხოლოდ „ფანტანები" გრძნობენ — თუკი ჩართავ, ცეკვავენ და მღერიან!

ადამიანები სხედან და ტირიან!..

ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებული ეს ხელისუფლება კი, ეშმაკის ბორბალზე ზის და ცაში ბუშტებს უშვებს!..

კარგია, რომ ეს საქმე, სხვაზე უკეთ, პრეზიდენტს გამოსდის!..

ერთი სიტყვით, ბატონო მოსამართლენო, ახლა უკვე ბევრს ჰგონია, მათ შორის, მეც, რომ ამ ხელისუფლებას, ეს ქვეყანა, დალუპვისკენ მიჰყავს!..

ვიცი, ესენი არ დამეთანხმებიან და მეტყვიან: თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებაო!..

ცხადია, მოახლოებული არჩევნები ექნებათ მხედველობაში!

არადა, ვითომ ჯერ არ გაუყალბებიათ!

ხათუნა გოგორიშვილის სისტემის საარჩევნო ქსელში ჩართვით, ახლაც ისევე გაირკვევა სიმართლე, რა სიმართლითაც კომუნისტების დროს ირჩევდნენ უმაღლეს საბჭოში მევენახესა და მეჩაიეს!..

ერთი სიტყვით, ბატონო მოსამართლენო, უკან აღარ დავიხევ და ვიტყვი: დღეს უკვე ბევრს ჰგონია და, მათ შორის, ალბათ თქვენც, რომ ამ ხელისუფლებას ეს ქვეყანა დალუპვისკენ მიჰყავს!..

მე მესმის თქვენი სიფრთხილის, ამიტომ თქვენგან იმას არ მოვითხოვ, რაც ახლა გითხარი, ხიდზე შედგეთ და იქედან იყვიროთ — უბრალოდ, გულში მაინც დამეთანხმეთ!

თუმცა, კიდეც რომ გაჯიუტდეთ, ესეც არაფერს ცვლის, რადგან დღეს, მთელი საქართველო, თითქმის, ასე ფიქრობს!

ჰოდა, თუ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობაც თვლის, რომ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ გამოდის — ირაკლი ბათიაშვილს საკუთარი ქვეყნისთვის კი არა, საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისთვის უღალატია!

ეს კი, ერთიდაიგივე არ გახლავთ, ბატონო თემიდას მსახურებო!..

და თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

მე ერთხელ უკვე დავწერე და ახლაც გავიმეორებ, რომ პოლიტიკაში და სახელისუფლო კარის ინტრიგებში ჩემზე ათასჯერ მეტად გარკვეულ კაცს, ტალეირანს, ისიც კი მიაჩნია, რომ:

„ერის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ღალატი საკუთარი მთავრობისადმი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობად იქცევა!..“

მიაქციეთ ყურადღება, ბატონო მოსამართლენო — ნაპოლეონის ყოფილი მინისტრის აზრით, ერთი და იგივე არ ყოფილა: საკუთარ ქვეყანას ულალატებს კაცი თუ საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას!

პირველი, კანონით ისჯება, მეორე — წახალისებას იმსახურებს!..

აი, სწორედ აქ გჭირდებოდათ თქვენ ჩემი ინტელექტუალური დახმარება!

არადა, მე რომ თქვენთვის ამეხსნა, რომ ირაკლი ბათიაშვილმა თავის ქვეყანას კი არ ულალატა (ასეთი რამ მას გულშიც არ გაუვლია!), არამედ საკუთარი ქვეყნის იმ ხელისუფლებას, რომელსაც ეს ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავს — თქვენ ის კაცი, დასჯის ნაცვლად, ჯილდოზე უნდა წარგედგინათ!..

ნეტა, ამის ახსნა მომესწრო და მერე დავსჯილიყავი, თუნდაც ამ მუხლით — შეზღუდული პასუხისმგებლობის მოსამართლეთათვის ინტელექტუალური დახმარების გაწევის მცდელობისთვის!..

P.S. და ბოლოს, ერთი მსუბუქი საყვედური თქვენც უნდა გაკადროთ, ირაკლი ბათიაშვილო: რომელი მაკარენკო თქვენ იყავით, ძნელადაღსაზრდელ ამ კაცს (ემზარ კვიციანი მყავს მხედველობაში), ასე შორიდან, ტელეფონით, ჭკუას რომ არიგებდით!

ესენიც მოგისმენდნენ, ძმაო, აბა, რა იქნებოდა — ხმის ტემბრი კარგი გაქვს, გარკვევითაც ლაპარაკობ და არც დედას იგინები, ვინმეს მოსმენა რომ შერცხვეს და ყურმილი დაგიკიდოს!..

და კიდევ, ირაკლი, თქვენგან ისიც გვაინტერესებს — რა ასწავლე კვიციანს ისეთი, ის კაცი ტყეში რომ გავარდა და შენ თვითონ ციხეში მოხვდი?!.

თამაზ წივწივაძე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ №31 (3595)
8 სექტემბერი, 2006 წ.

რა ვერ აპატია ხელისუფლებამ ირაკლი ბათიაშვილს?

შეიარაღებული ამბოხისადმი ინტელექტუალური მხარდაჭერა; სისულელე; ერთის დაკავება ათის შესანიშნებლად; პოლიტიკური დევნა და ტერორი; რეპრესიები პოლიტიკური ნიშნით; საზოგადოებაზე მოქმედების ნაცადი მეთოდი — საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების ამოქმედება; — ასეთი შეფასებები გაკეთდა პოლიტიკური მოძრაობა „წინ საქართველო"-ს ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი ბათიაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით, რომელსაც გუშინ საქალაქო სასამართლოში წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

„ბრალდება — შეიარაღებული ამბოხისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერა რას ნიშნავს, არ ვიცი. ეს აბსურდია. ირაკლი ბათიაშვილის დაკავებით ხელისუფლება თავისი დიქტატურის ხარისხის გაძლიერებას ცდილობს. რატომ ის და არა სხვა?! ირაკლი ბათიაშვილი ხელისუფლებაზე დამოკიდებული კაცი არ არის, საკმაოდ აქტიურია.

ამ ხელისუფლებას ათი კაცის დაკავება არ უნდა, მაგრამ მათ უნდათ, ერთი დააკავონ და ამით ათი შეაშინონ", — აცხადებს „სახალხო ფრონტი"-ს თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე „მთელ კვირასთან" საუბრისას.

„მე სასამართლო არ ვარ და ვერ განვსაზღვრავ, ვინმე დამნაშავეა თუ არა, მაგრამ რეპრესიებს პოლიტიკური ნიშნით ვერ მივესალმები, თუნდაც ის ადამიანი ჩემს პოლიტიკურ მოსაზრებებს არ იზიარებდეს", — გვითხრა პოლიტიკური პარტია „თავისუფლების" ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

„იმ მუხლით, რითაც ირაკლი დააკავეს, შეიძლება ნახევარი საქართველო დაიჭირონ. სისულელეა ეგ ყველაფერი. რატომ ბათიაშვილი და არა სხვა?! ალბათ, გვეტყვიან. ეტყობა, იგი იმ სატელეფონო ჩანაწერის გამო დააკავეს", — ამბობს ჩვენთან საუბრისას „სახალხო ფორუმი"-ს ლიდერი აკაკი ასათიანი.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, პარლამენტარმა ნიკა გვარამიამ ბათიაშვილის დაკავების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ „წინ საქართველო"-ს ლიდერის კოდორის ამბოხთან კავშირს გამოძიება დაადგენს და მის მოქმედებას ადეკვატურად შეაფასებს. მისივე თქმით, საგამოძიებო პროცესში დადგინდება უწევდა თუ არა ბათიაშვილი მეამბოხეებს დახმარებას გარდა იმ განცხადებებისა, რომელიც მან საჯაროდ გააკეთა. გვარამიას განმარტებით, სამართალდამცავებს ოპერატიული ინფორმაცია აქვთ იმის შესახებ, რომ ბათიაშვილი მეამბოხეებს დახმარებას უწევდა.

„კოდორის მოვლენებთან დაკავშირებით მინდა, მწუხარება გამოვთქვა ოპოზიციის გამო, რომელმაც ზოგადი ეროვნული ფასეულობები ვერ გაითავისა, მოწოდებების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა და მეამბოხეებს მხარი სამარცხვინოდ დაუჭირა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საზოგადოება აღმოჩნდა მზად ზოგადი ეროვნული ფასეულობებისადმი მხარდაჭერისთვის, რაც ხელისუფლების პოზიციის მხარდაჭერას ნიშნავდა. მთელი ოპოზიციური სპექტრიდან, ვისაც ეყო პიროვნული გამბედაობა და ხელისუფლებას მხარი დაუჭირა, მხოლოდ სალომე ზურაბიშვილი იყო", — ამბობს გვარამია და იქვე დასძენს, რომ საკანონმდებლო ორგანოში იმგვარი საკანონმდებლო ინიციატივით შესვლა აქვს გადაწყვეტილი, რომელიც ქვეყანაში მეამბოხეებს და მათ მხარდამჭერებს დაუსჯელს არ დატოვებს. პარლამენტარმა მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრემიზმის წინააღმდეგ და ახლო აღმოსავლეთში მოქმედი კანონები მოიტანა.

ფიქრია ჩიხრაძე: „ბათიაშვილის დაკავებას საზოგადოება შეაფასებს, როგორც პოლიტიკურ დევნას".

საპარლამენტო უმრავლესობის ამ განცხადებასთან დაკავშირებით, „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა, ფიქრია ჩიხრაძემ „მთელ კვირასთან" საუბრისას ასეთი კომენტარი გააკეთა: „პოლიტიკური პოზიციის გამო ხელისუფლებას რეპრესიების მოწყობა და გაუსამართლებლად და დაუსაბუთებლად თითოეული ჩვენგანის დაჭერა შეუძლია. ეს აშკარად არის ამ ხელისუფლების სულისკვეთებაში. მე მგონი, იმ ადამიანების დაკითხვაც უნდა მოხდეს, რომლებიც კოდორის მოვლენების წინ და მიმდინარეობის დროს აცხადებდნენ, რომ იქ დადუღდება და განადგურდება ყველა, ფეხქვეშ მიწა დაეწვებათ და ა.შ. საინტერესოა, რას გულისხმობდნენ და რა

ბრძანება გაიცემოდა. მადლობა ღმერთს, რომ ეს ყველაფერი მინიმალური მსხვერპლით დასრულდა, მაგრამ ფაქტია, რომ განცხადებები ძალიან მძიმე ხასიათის იყო. ის, რომ უმრავლესობის წარმომადგენლები ერთხმად დამწკრივდებიან ხოლმე და ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და დაკვეთას სარჩულებს მოუძებნიან, ახალი რა არის".

რაც შეეხება ირაკლი ბათიაშვილის დაკავების ფაქტის შეფასებას, ფიქრია ჩიხრაძე ამბობს: „მისი დაკავება თუ მხოლოდ იმ სატელეფონო ჩანაწერს ემყარება, რომლის დამონტაჟებული ვარიანტი საინფორმაციო საშუალებებით ვიხილეთ და მოვისმინეთ, მაშინ სამართლებრივად აბსოლუტურად არასაკმარისი საფუძველი გახლავთ ადამიანის დაკავებისა და ბრალის წაყენებისთვის. თუ რაიმე განსაკუთრებული ოპერატიული მასალა ხელისუფლებას კიდევ გააჩნია, მაშინ საზოგადოებისთვის ამის მიწოდება სასწრაფოდ უნდა მოხდეს. სხვა შემთხვევაში, ირაკლი ბათიაშვილი მოგწონს, თუ არ მოგწონს, მის პოზიციას ემხრობი, თუ არ ემხრობი, რაღაცნაირად პოლიტიკური დევნის გამოვლინებად ჩაითვლება და საზოგადოებაშიც არ იქნება დასაბუთებული მის მიმართ ბრალის წაყენება, რაც უპირობოდ პოლიტიკურ დევნად შეფასდება. ესაა დაახლოებით ის, ვინმე, გამწარებულმა ქალმა ხელისუფლებას რომ მიაწყევლოს და შემდეგ ამის გამო დაიჭირონ. ვფიქრობ, ბათიაშვილის შემთხვევაში უფრო მეტი საფუძველი არ არსებობს".

„ირაკლი ბათიაშვილის დაკავება ხელისუფლების მხრიდან ძალიან სერიოზული განაცხადია. ამ საქმეში არ უნდა არსებობდეს არავითარი ეჭვი. პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით პოლიტიკური პარტიის ლიდერების დაკავება დაუშვებელია, თუ კი შესაბამისი მტკიცებულებები არ არსებობს. იმედს ვიტოვებ, რომ ხელისუფლება ამ შემთხვევაში მაინც გონს მოუხმობს და შეეცდება, რაიმე მორიგი სისულელე არ ჩაიდინოს, რაც არაერთხელ მომხდარა ამ ორწელიწადნახევრის განმავლობაში. იქიდან გამომდინარე, რაც საზოგადოებამ იცის, ირაკლი ბათიაშვილს არავითარი სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია. რაც ჩვენ ტელეეთერით მოვისმინეთ, არც იმაში არაფერი სისხლის სამართლის დანაშაულისა არ იყო. მე არ ვიცი, სხვა დანარჩენი რა აქვს გამოძიებას", — უთხრა „მთელ კვირა"-ს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა.

ისე, თუ ხელისუფლება თინა ხიდაშელის განცხადების გამო ადამიანებს აკავებს, შევახსენებთ, რომ დიდი ხანია, ხიდაშელი სან-

დრო გირგვლიანის მკვლელების დასჯას და ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვს.

ლეიბორისტული (შრომის) პარტია ბათიაშვილის დაკავებას პოლიტიკურ დევნად აფასებს და აცხადებს, რომ ეს ფაქტი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ დევნაზე მიუთითებს. ლეიბორისტები, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს საზოგადოებას სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვისკენ მოუწოდებენ. ლეიბორისტული პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბათიაშვილი რეჟიმის პოლიტიკური მსხვერპლია და ის მხოლოდ განსხვავებული აზრის გამო დააკავეს.

ეროვნულ-დემოკრატები ბათიაშვილის დაკავებას პოლიტიკურ რეპრესიად და ტერორად აფასებენ და აცხადებენ, რომ არსებულმა რეჟიმმა საზოგადოებაზე მოქმედების ნაცადი მეთოდი — საბჭოური პოლიტიკური რეპრესიები აამოქმედა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელისუფლება პირადი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით საბოლოოდ ამბობს უარს ქვეყნის ცივილიზებულ განვითარებაზე, რითაც ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი პროტესტის კიდევ უფრო გამძაფრებას.

„შეიარაღებული ამბოხის ინტელექტუალური მხარდაჭერის" ბრალდებით დაკავებული ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატის სოსო ბარათაშვილის თქმით, გამოძიების მტკიცებულებები ბათიაშვილის სატელევიზიო გამოსვლას ეყრდნობა. ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ის და მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამოძიების მასალებს გაეცნენ, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მტკიცებულებები საქმეში არ ფიგურირებს. „გამომდინარე აქედან, ბრალდებული ირაკლი ბათიაშვილი ეჭვობს, რომ გამოძიებას მტკიცებულებები საერთოდ არ გააჩნია", — ნათქვამია საინფორმაციო-სააგენტო „ინტერპრესნიუსის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„არც ერთი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, თუ როგორ დაეხმარა ირაკლი ბათიაშვილი ემზარ კვიციანს ამბოხის მოწყობაში. ინტელექტუალური დახმარება იქნებოდა ის, რომ ბათიაშვილს კვიციანისთვის ერჩია ისეთი რამ, რაც სამხედრო სტრატეგიას, შეიარაღებასა, მის გადაადგილებას, თავდაცვას, ან თავდასხმას შეეხებოდა. ასეთი რამ მათ შორის შემდგარ სატელეფონო საუბარში არ ჩანს", — ამბობს სოსო ბარათაშვილი.

მისივე განმარტებით, ბათიაშვილისთვის წაყენებული რამდენიმე მუხლიდან ყველაზე დიდ სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლი, 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, რადგან ის არ არის უშუალო განმხორციელებელი, ბათიაშვილს ოცწლიანი სასჯელი არ ემუქრება.

ესაუბრა ნინო მიქიაშვილი

გაზ. „მთელი კვირა“ №204 (5007)
31 ივლისი 2006 წ.

ბათიაშვილი კვლავ უკანონო პატიმარია!..

გასულ კვირას კიდევ ერთი უსამართლო სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელზეც ერთი თვით ისევ გაუგრძელეს ვადა ირაკლი ბათიაშვილს. ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ მის მეუღლეს — *მაია ბათიაშვილს:*

— რით ახსნით იმას, რომ ბ-ნ ირაკლის კიდევ ერთი თვით გაუხანგრძლივეს პატიმრობა, რა მტკიცებულებების მოპოვება უნდათ?

— ირაკლის სახით ისინი დიდ კონკურენტს ხედავენ, რადგან ხალხს უყვარს ირაკლი. საზოგადოება ხედავს, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანი საქართველოში არცთუ ბევრია. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა გადავუხადო, პირველ რიგში, იმ ადამიანებს, რომლებიც მთელი არსებით ირაკლის გვერდით დადგნენ. რომელი ერთი ჩამოთვალო: ბ-ნი ელიზბარ ჯაველიძე, რომელმაც ღიად, დიდი რისკის ფასად, დაგმო ის, რაც დღეს ხდება, ბ-ნები თემურ ქორიძე, მერაბ ჯიბლაძე, გიგა ლორთქიფანიძე, შალვა ნათელაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, დავით გამყრელიძე, ბ-ნი გურამ პეტრიაშვილი, რომელიც უკრაინიდან გვიცხადებს სოლიდარობას და გვერდით გვიდგას, ბ-ნი რეზო ამაშუკელი, რომლის დანაშაული, თურმე, ის ყოფილა, რომ მან სახალხოდ აღიარა ირაკლი ბათიაშვილის ვაჟკაცობა, სამშობლოს უანგარო სიყვარული. დღევანდელი ხელისუფლებისთვის არ არსებობს არც პიროვნების დამსახურება, არც ასაკი; ისინი მათთვის არასასურველ პირებს თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით უსწორდებიან. მინდა მათ შევახსენო, რომ ბ-ნ რეზოს იმდენი დამსახურება კი აქვს ერის წინაშე, რომ სოდ-ში არ არბენინონ; გარდა ამისა, ამ ადამიანს სერიოზულად აწუხებს გული და საშიშიც კი არის მასზე ზეწოლა; მას პენსიაც კი შეუწყვიტეს, რომელსაც ის თავისი შემოქმედებითი შრომის ფასად იღებდა, მიზეზი კი ის არის, რომ იგი ირაკლი ბათიაშვილს თავის ახლობლად, მეგობრად მიიჩნევს. ხალხის სიყვარული ირაკლის მიმართ ეროვნული მოძრაობიდან იღებს

სათავეს. არავის დავიწყებია 9 აპრილი და ირაკლის გმირული თავდადება, ის შემზარავი დღეები, რაც მან იწვნია საკუთარ თავზე. ეს ფაქტი მთელი საქართველოსთვის არის ცნობილი. ასევე, დიდი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ ბ-ნ ზვიად გამსახურდიასა და ირაკლის და, თუ მათ შორის რაიმე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ეს, ისევ და ისევ, მათ ირგვლივ შექმნილი გარემოს ბრალია. ირაკლი არ მიუშვეს ბ-ნ ზვიადთან მაშინ, როცა პრეზიდენტს ყველაზე მეტად უჭირდა; იცოდნენ, ირაკლი რომ მისულიყო ზვიადთან, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა, ყოველ შემთხვევაში, ბ-ნი ზვიადი გაითვალისწინებდა ირაკლის რჩევას, იმიტომ, რომ ზვიადი ენდობოდა ირაკლის, იცოდა, ბათიაშვილი ტყუილის მთქმელი კაცი არ არის.

რაც შეეხება სასამართლო პროცესს. უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოში სასამართლო აღარ არსებობს. იმას, რაც დღეს ამ სფეროში ხდება, ბოლშევიკების დროსაც კი არ ჰქონდა ადგილი. დღევანდელი სასამართლო დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ის ხელისუფლებაზეა დამოკიდებულია და მისი უპირობო მონა-მორჩილია. დროა, ხელისუფლებამ შეწყვიტოს დემოკრატობანას თამაში და ნამდვილი სახე აჩვენოს. სინამდვილეში ეს ხელისუფლება დიქტატორია, ერთპიროვნული მმართველი.

ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, როგორ აჭიანურებენ ირაკლის სასამართლო პროცესს. სასამართლო პროცესი დიდი წნეხის ქვეშ მიმდინარეობს. ბოლო სასამართლო პროცესის შესახებ ჩვენ ჟურნალისტებისგან გავიგეთ. რა თქმა უნდა, ამას ჩვენი რეაქცია მოჰყვა, გამომძიებელმა კი ისე დაიჭირა თავი, თითქოს პირველად ესმოდა და პროცესის შესახებ არაფერი იცოდა. ერთი სიტყვით, მათი მიზანი იყო, რომ სასამართლო პროცესი მათთვის სასურველ ვითარებაში ჩატარებულიყო, რათა დარბაზი ყოფილიყო ცარიელი, ადვოკატებიც არ ყოფილიყვნენ და ხმაურის გარეშე ჩაეტარებინათ მათთვის მისაღები სასამართლო პროცესი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი ტოტალიტარული სახელმწიფო რყვნის იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სასამართლო დაწესებულებებში მუშაობენ, ისინი უპირობოდ ასრულებენ ხელისუფლების ყველა უკანონო ბრძანებას. და მე, როგორც კეთილმოსურნე, მოვუწოდებ მათ მშობლებს, ყველაფერი ფულით და კარიერით არ განისაზღვრება, სულზეც უნდა ვიფიქროთ, თორემ, მოვა დრო და, ალბათ, საზოგადოება მათ პასუხს მოთხოვს.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი ფაქტიც. საოცარი რამ მოხდა:

მოსამართლე განაჩენის კითხვისას მთელი სხეულით თრთოდა და ნერვიულობა სახეზეც ეტყობოდა; იგრძნობოდა, რომ მას არ სურდა არასწორი განაჩენის წაკითხვაც კი, მაგრამ რა ექნა, ის ბრძანებას ასრულებდა, ალბათ, დიდი ზეწოლის ქვეშ. გულწრფელად შემეცოდა ეს ქალბატონი. უნდა ითქვას, რომ მათ არავითარი საპირისპირო არგუმენტი არ გააჩნიათ. ახლა რაღაც ახალი მოიგონეს, თუ ვის ესაუბრა ირაკლი ტელეფონით. ფაქტია, ისინი ეძებენ ადამიანს, რომელიც რაღაცაზე ხელს მოუწერს, მაგრამ, მჯერა, რომ ასეთს ვერ იპოვნიან, თავს არავინ არ შეირცხვენს არც ირაკლის, არც მთელი საქართველოსა და ღვთის წინაშე.

— ქ-ნო მაია, როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება, რამდენად ობიექტურები არიან?

— მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით საერთაშორისო ორგანიზაციებს კიდევ ერთხელ ვაცნობო, რომ საქართველოში ფეხქვეშ ითელება ადამიანის უფლებები, დემოკრატიული პრინციპები. მოვუწოდებ მათ, მეტი ყურადღება მიაქციონ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ირაკლი ბათიაშვილს უდიდესი დამსახურება აქვს არა მარტო საქართველოს აღმშენებლობაში, არამედ მან საზოგადოებრივი შეხედულებების, აზროვნების ტრანსფორმაცია მოახდინა და ამით ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყანაში იმ დემოკრატიული პრინციპებისა და მსოფლმხედველობის დამკვიდრებას, რომელთა ხელშეწყობაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანია. ამიტომ ისინი ვალდებულნიც არიან ხმა აიმაღლონ ამ პიროვნების დასაცავად. ძალიან მიკვირს ამ სიტუაციაში რატომ დუმს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ბ-ნი ტეფტი. იმედს ვიტოვებ, რომ იგი გაეცნობა საქმის ნამდვილ ვითარებას და თავის სიტყვასაც იტყვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ადვოკატი შეხვდა სენატორებს, როგორც დემოკრატებს, ასევე რესპუბლიკელებს. შეხვედრები იყო ნიქსონის ცენტრში. მათ იციან, რომ დემოკრატია, რომლითაც ამაყობს ჩვენი ხელისუფლება, დიდი საფრთხის წინაშე დგას, რომ სასამართლო ჩვენთან აღარ არსებობს. „ემნისტი ინტერნეიშენელიდან“ მოითხოვეს და გავუგზავნეთ ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული მასალები, ირაკლის ჩანაწერები, როგორც სატელევიზიო, ისე პრესაში გამოქვეყნებული მასალები, ინტერვიუები. მე მჯერა, ევროკავშირი ჩაერთვება და იტყვის სიმართლეს, ისე როგორც ეს მოხდა ლეხ ვალენსას საქმესთან დაკავშირებით.

— თავად ბ-ნი ირაკლი როგორ გრძნობს თავს?

— არის ძალიან მხნედ, ვაჟკაცურად, სულით არ ეცემა. ის, საერთოდ, უდრეკი, უშიშარი ადამიანია. მას ზედმეტი წუწუნი არასოდეს უყვარდა, საკუთარ პრობლემებს თავზე არასოდეს მოგახვევდა, ყოველგვარ პრობლემას შემართული ხვდებოდა. იგი ძალიან ღვთისმოსავი, ღვთის მოშიში და მორწმუნე ადამიანია. მინდა ერთი ფაქტი მოგიყვეთ, რომელიც არ გახმაურებულა: დაჭერამდე ხუთი თუ ექვსი დღით ადრე მთელი ოჯახი მეგობრის მანქანით მივდიოდით. მანქანას ესროლეს და, ღვთის შეწევნით, ყველა უვნებელი გადავრჩით. ირაკლი არასოდეს ცდილობდა ქულების ჩაწერას, ასეთ ფაქტს კი ბევრი თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. ამ თვალსაზრისით იგი ყოველთვის ჩრდილში იდგა. არც შეშინებია და არც უკან დაუხევია. სასამართლოზე იმის საშუალებაც კი არ მოგვცეს, რომ მე და ჩემი შვილი შორიდან მაინც მივფერებოდით. გული მეტკინა, ძალიან გამხდარი და უფერული მეჩვენა. არაფრის მიწოდების უფლება არ მაქვს, ტანსაცმელსაც კი წონიან. მინდა კიდევ ერთხელ ვნახო ირაკლი. თუ ამის უფლებას არ მომცემენ და, საერთოდ, კიდევ უფრო დაიძაბა საქმის ვითარება და პროცესი ვერ მოვიგეთ, მე შიმშილობას დავიწყებ და შევეწირები კიდეც.

კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვაცხადებ — ირაკლის „დანაშაული" ის არის, რომ მას სიცოცხლეზე მეტად უყვარს თავისი სამშობლო, რომ ის ყველაფერს ქვეყნის სიყვარულით აკეთებდა. აი, ეს არის მისი „დანაშაული", ამიტომაც არ უშვებენ ციხიდან, ამიტომაც უნდათ მისი განადგურება. მოვუწოდებ ქართველ ხალხს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყველა ნამდვილ დემოკრატიულ ძალას, მთელ მსოფლიოს, ხმა აიმაღლოს უსამართლობის წინააღმდეგ, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, თორემ ყველას ერთად პასუხი მოგვეთხოვება.

ესაუბრა **მანანა გარაყანიძე**

გაზ. „აისი"
31 ოქტომბერი, 2006 წ.

ირინა ბათიაშვილი: მჯერა, მამა მოღალატე არ არის!

მაგიდა, სადაც ინტერვიუ ჩავწერეთ, ბათიაშვილების ოჯახში განსაკუთრებულია. როგორც ირინა, ირაკლი ბათიაშვილის ქალიშვილი გვიყვება, ამ მაგიდასთან შეიქმნა ეროვნული მოძრაობა.

ირინა ბათიაშვილი: — ბებია მიყვება ხოლმე, რომ ჩვენთან სტუმრად ხშირად მოდიოდა ზვიად გამსახურდია. სწორედ ამ მრგვალ მაგიდასთან სხდებოდნენ ხოლმე და აქ ჩაეყარა საფუძველი ეროვნულ მოძრაობას. ზვიადი მამას მეგობარიც იყო და ბაბუასიც. მამა კი იმ მოძრაობის წევრი და ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელსაც „ეროვნული" ერქვა. მათ კისერზე გადაიარა საქართველოს დამოუკიდებლობამ, ცხრა აპრილმა, სამოქალაქო ომმა... ახლა კი „ვიღაცეები" მამას მოღალატეს უწოდებენ(!)

— ირინა, ალბათ რთულია, მამას ქვეყნის მოღალატეს რომ უწოდებენ...

— მამა მოღალატე არ არის! ვინც ირაკლის იცნობს, ყველამ იცის, რომ ის საქართველოს წინააღმდეგ არასოდეს წავიდოდა. ხალხი მირეკავს და მეუბნება: „ირინა, შენ მოღალატის კი არა, გმირის შვილი ხარ"... ირაკლიმ ისტორიაში თავისი სიტყვა თქვა. ხშირად ამბობდა, ჩემს ბიოგრაფიას პოლიტპატიმრობა აკლიაო და ახლა ესეც აქვს... ძალიან გამიჭირდა ირაკლის გარეშე, მის ოთახში ვერ ვიხედები, როცა მახსენდება, რომ საკანშია...

— ირინა, თვლით, რომ მამათქვენი პოლიტიკური პატიმარია და მას მეტი არაფერი დაუშავებია?

— ეს ფაქტია. მამაჩემი თითქმის ორი წლის მანძილზე იმეორებდა, რომ მისი დაჭერა მოსალოდნელი იყო. თუმცა, ამაზე ჩემთან იშვიათად საუბრობდა. მაგრამ მე ხომ ვიცი, პროკურატურას ირაკლი ბათიაშვილის წინააღმდეგ არგუმენტები, უბრალოდ, არ აქვს!

— როგორ გგონიათ, რაში გამოიხატა ემზარ კვიციანის მიმართ ინტელექტუალური მხარდაჭერა? მამათქვენს ერთ-ერთ ბრალდებად სწორედ ეს მუხლი აქვს წაყენებული...

— ასეთი მუხლი საერთოდ არ არსებობს. საზოგადოებასაც სწორედ უშიშროების მიერ დამახინჯებული ჩანაწერის მოსმენის შემდეგ შეექმნა მცდარი წარმოდგენა. შეგიძლიათ არქივში ნახოთ პირველი ჩანაწერი, რომელსაც ეტყობა, რომ დამონტაჟებულია. მოგვიანებით კი ჩანაწერის სახეცვლილი ვარიანტი გაავრცელეს.

— ფიქრობთ, რომ სწორი პოზიცია იყო, როცა მას შეიარაღებულ კვიციანთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა?

— წარსულში ირაკლი უშიშროების მინისტრი იყო, კვიციანი კი პრეზიდენტის რწმუნებული. მათ ჰქონდათ გარკვეული ურთიერთობები და არც მალავს მამა. ნუთუ არ შეიძლება, ერთმანეთს ტელეფონით დაუკავშირდნენ?

— ირინა, თავად თუ იცნობთ კვიციანს?

— არასდროს მინახავს. საერთოდ, მამა პოლიტიკაზე სახლში არ საუბრობდა.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ მამასთან?

— უზომოდ მიყვარს და მენატრება... ძალიან თბილი და მოსიყვარულე მამაა... განსაკუთრებული მამაშვილობა გვაქვს. საღამოობით ხშირად ვსეირნობთ ხოლმე, ბარში ვსხდებით... ვსაუბრობთ წიგნებზე, ლიტერატურაზე, ცხოვრებაზე... სახლში ფილმს ვუყურებთ, ერთად ვარჩევთ საღამოს... მამა მუდმივად დაკავებული იყო, მაგრამ მე არ მიგრძვნია მისი უყურადღებობა. ძალიან ჭკვიანია... წიგნების სიყვარული მან მასწავლა. მისთვის საუკეთესო საჩუქარი წიგნია... დილით ადრე დგებოდა ხოლმე, ვარჯიშობდა, შემდეგ ინგლისურ გადაცემას უყურებდა, რომ ენა ყოველდღე ესმინა, კომპიუტერს მიუჯდებოდა და საქმეზე გარბოდა... ყველაფერს აკეთებდა და დიდი სიყვარულით... მამამ მასწავლა ქვეყნის სიყვარული. იძინებს და იღვიძებს ფიქრით, როგორ დაიბრუნოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, როგორ იყოს ქვეყანა უფრო ლამაზი და ერი ბედნიერი... მპირდებოდა მამა, აუცილებლად გაჩვენებ აფხაზეთსო...

— როგორ გესმით სიტყვა „პატრიოტი"?

— ბავშვობიდან მასწავლიან, როგორ მიყვარდეს ჩემი ქვეყანა. ირაკლი პირველი მაგალითი იყო ამის და იცით, მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, იმიტომ, რომ მამაჩემის შვილი ვარ! პატრიოტობა, იცით, რა არის? — ქვეყნისთვის საქმეს წრფელი და სიყვარულით სავსე გულით რომ აკეთებ და არა ტელევიზორში გამოსაჩენად და ფულის საშოვნელად. ჩვენს სახლში რასაც ხედავთ, ყველაფერი ბაბუას შეძენილია. ჩვენი სიმდიდრე წიგნები და დიდი სიყვარულია... ამათ კი... სამარ-

ცხვინოდ მოღალატე უწოდეს მამას! ამის უფლება არც ერთს არ აქვს! სასაცილოა და, მამაჩემი თავისივე ხელით შექმნილ და დაარსებულ უშიშროებაში ხელბორკილებით წაიყვანეს... ძალიან მენატრება ირაკლი და მჯერა — მამა მოღალატე არ არის!

ესაუბრა ქეთი ეგაძე

გაზ. „ასავალ-დასავალი“ №33 (623)
14-20 აგვისტო, 2006 წ.

კაცები შინ არ არიან

ჭავჭავაძის 11-ში, მე-5 სართულზე, უკვე რამდენიმე თვეა, მარტო და მოკრძალებულად ცხოვრობს ახალგაზრდა დედა-შვილი. კაცები შინ არ არიან. ერთი წლის წინ, სწორედ, ივლისის თვეში, შვილი, ირაკლი ბათიაშვილი, სამშობლოს ღალატში ბრალდებით დააპატიმრეს. ცოტა ხნის წინ მამა, დიმა ბათიაშვილი, გარდაიცვალა. ირაკლის მეუღლე, ქალბატონი მაია, რომელიც ირაკლის თანამებრძოლია ეროვნული მოძრაობის წლებიდან, ბრძოლის შეწყვეტას (თუნდაც მარტო) არ აპირებს. ახლა უკვე დარწმუნებულია, რომ ირაკლის უამრავ გულშემატკივართან ერთად მიაღწევს მეუღლის გათავისუფლებას. ჩვენი შეხვედრის დღეს, 2007 წლის 12 ივლისს, ვენაში, ეუთოს კონფერენციაზე, სიტყვით გამოდიოდა ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი (ქალბატონი მაიას მთელი ყურადღება, სწორედ, იქით იყო მიპყრობილი). „ასეა, ჩვენი ყოველი დღე მხოლოდ ირაკლის ეძღვნება. ყოველდღე თითო ნაბიჯით მივიწევთ ირაკლის თავისუფლებისკენ. ერთი წლის განმავლობაში სრულიად მარტო, ერთკაციან საკანში იხდის დაუმსახურებელ სასჯელს. ყოველგვარი კომუნიკაციის: ტელეფონის, ტელევიზორის გარეშე. თავიდან ჩვენც მარტო ვიყავით, ქუჩაში ჩემთვის გამარჯობის თქმას ერიდებოდნენ ნაცნობები. მერე სიტუაცია ნელ-ნელა დათბა. ირაკლის მამის გასვენების დღეს იმდენი ხალხი მოვიდა ეკლესიის ეზოში, მივხვდი, ირაკლი რატომ არ მოიყვანეს. მივხვდი, რომ ეს ხალხი ირაკლის თანადგომისთვის იყო მოსული“.

ბათიაშვილების სახლი

ეს სახლი ეროვნული მოძრაობის ძველი გვარდიის ყველა წარმომადგენლისთვის თითქმის მშობლიურია. დიმიტრი ბათიაშვილი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეგობარი იყო. ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ, ბატონი დიმა მხოლოდ ერთი კლასით ჩამორჩებოდა მათ. თანამოაზრეები, რა თქმა უნდა, იყვნენ. თუმცა დიმა ბათიაშვილი პოლიტიკურ აქციებში, საპროტესტო გამოსვლებ-

ში თითქმის არასდროს მონაწილეობდა. როცა კგბ ქუჩა-ქუჩა დასდევდა დისიდენტებს, ციხეებით და გადასახლებებით უსწორდებოდა მათ, ხოლო მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას სახლები უკვე „გაშიფრული" ჰქონდათ, დიმა და ირაკლი ბათიაშვილებმა ძველი და ახალი თაობის დისიდენტების შეკრებებს დაუთმეს თავიანთი სახლი. ბათიაშვილების სასტუმრო ოთახში დღეს დგას უკვე რელიკვიად ქცეული უზარმაზარი მრგვალი მაგიდა, რომლის ირგვლივ საუბარში ღამეებს ათენებდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი. ამ მაგიდამ ჩაუყარა საფუძველი შემდგომში ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანებისთვის სახელად „მრგვალი მაგიდის" დარქმევას, რომელიც მოგვიანებით თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ გმირად იქცა. ამ მრგვალი მაგიდიდან იმ „მრგვალ მაგიდასთან" ყველა ერთად აღარ გადასულა. ამიტომ ეს მაგიდა ერთიანი ეროვნული მოძრაობის სიმბოლოდ დარჩა. და ოთახიც, სადაც ისინი ერთად იყვნენ, ახლა მუზეუმს ჰგავს კედლებზე გამოფენილი იმ წლების ამსახველი ფოტოსურათებით.

დიმა ბათიაშვილი

როცა ირაკლი წაიყვანეს, ბატონ დიმას წარბი არ შეუხრია. თითქოს არ იჯერებდა. აბსურდულს უწოდებდა. „ცდილობდა, გავემხნევებინეთ. დარწმუნებული იყო, რომ რაღაც შეცდომა მოხდა, რომელსაც აუცილებლად გამოასწორებდნენ". მას თითქმის არასდროს უცხოვრია ირაკლის გარეშე. საერთოდ, მათი ურთიერთობის შესახებ ლეგენდები დადიოდა ოჯახის ახლობლებსა და ნათესავებში. „ირაკლის ყველაფრის გაკეთება შეეძლო მამისთვის, ხოლო, რაც ასაკში შევიდა, განსაკუთრებით უფრთხილდებოდა მას". ამიტომ არ ხმაურდებოდა პრესაში დიმა ბათიაშვილის მძიმე სულიერი განცდები, რომლებიც მას ირაკლის პირველი სასამართლოს შემდეგ დაეწყო. „არ მინდოდა, ირაკლის გაეგო, როგორ შეიცვალა ბატონი დიმიტრი. საშინლად გამწარდა. სრულიად გაუცხოვდა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. სმას მიეძალა. საშინელ დეპრესიაში იყო ბოლო თვეების განმავლობაში. არავისთან ურთიერთობდა. სახლიდან გარეთ აღარ გადიოდა. თითქოს მიხვდა, რომ საბოლოოდ დააშორეს ირაკლის".

გარდაიცვალა მძიმე დეპრესიაში. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მხოლოდ ოჯახის წევრებთან ურთიერთობდა — ისიც, საკმაოდ ძუნწად. ბოლო ორი დღე სულ იმას კითხულობდა, ირაკლის

შესახებ ხომ არაფერი იცით ახალიო. ოჯახის წევრები იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ერთხელ მოსმენილი ავიწყდებოდა. თუმცა მერე მიხვდნენ, რომ ეს ირაკლის საშინელი მონატრება იყო. თავგანწირული მონატრება. ყველაზე მტკივნეულად იგრძნო უსამართლობა, რომელიც მას და მის ოჯახს ადრეც არაერთხელ შეხებია. ქართული კინოს მოღვაწეები მას ქართული ფილმის დისიდენტს უწოდებდნენ. მისი ფილმი „კირილეს ოდიესა" იყო არა მეტაფორული, იგავური მინიშნება საბჭოთა წყობის დანგრევის გარდუვალობაზე, არამედ პირდაპირ ჰქონდა ეს აღწერილი. ფილმის ბოლო კადრებში ეკრანზე საბჭოთა კავშირის რუკა ჩნდება, რომელსაც ნელ-ნელა ეჭრება შემადგენელი ნაწილები. შემდეგ კი საბჭოთა კავშირი რუკიდან საერთოდ ქრება... დიმიტრი ბათიაშვილს არასდროს უზრუნია კარიერისთვის, წარმატებისა და ჯილდოებისათვის. იგი, საერთოდაც, არ იყო საზოგადოებრივი, კოლექტიური აღიარებისთვის გაჩენილი ადამიანი. და კარგად იცოდა ასეთი არაღიარების ფასი.

მაია ფანჩულიძე-ბათიაშვილი

„როცა ირაკლი მასთან გამოსათხოვებლად მოიყვანეს, მთელ სახლში, რომელშიც უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი, ბუზის გაფრენის ხმას გაიგებდით. ვიღაც წყლის მოსატანად გაიქცა, ვიღაც ვალერიანის წვეთების. ირაკლი წარბშეუხრელი შემოვიდა ოთახში და კუბოსთან დადგა. მივხვდი, რომ ამდენ ხალხში არ უნდოდა დიმასთან გამოთხოვება და ყველას ვთხოვე, მარტო დავეტოვებინეთ. დიდხანს უყურებდა მის სახეს. მერე მთელი სხეული დაუკოცნა. ცრემლი არ გადმოვარდნია თვალიდან. თვალები კი სავსე ჰქონდა ცრემლებით. ნუცას და ირინას ჩაეხუტა და წავიდა". ქუჩაში შეკრებილები სკანდირებდნენ: „ირაკლი! ირაკლი! არ შეშინდე!" ორივე ხელი ანია ზემოთ — სოლიდარობის, მადლიერების, გამხნევების ნიშნად... მეორე დღეს საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიის ეზოში უკვე მთელი თბილისი ელოდა ირაკლი ბათიაშვილის გამოჩენას. მაგრამ იგი აღარ მოუყვანიათ მამასთან გამოსამშვიდობებლად.

ირაკლი ბათიაშვილი

(„ყველაფერი, რაც შემიძლია, ახლა ირაკლიზე ვთქვა", — მაია ფანჩულიძე-ბათიაშვილი).

შარშან. 26 ივლისს, კოდორში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით გამოიძახეს დაკითხვაზე. ირაკლი ბუნებით მამაცი, მშვიდი,

გაწონასწორებული ადამიანია. ჩვენ ავღელდით, ის კი ძალიან მშვიდად წავიდა და ისეთივე მშვიდი დაბრუნდა. ორი დღის შემდეგ ისევ მოაკითხეს. ყოველ დილით ვარჯიშობდა ხოლმე — დარბოდა. ვარჯიშიდან სახლში დაბრუნებულს, კარებში დახვდნენ და უწყება გადასცეს. თერთმეტის ნახევარი იყო. თერთმეტზე დაკითხვაზე უნდა გამოცხადებულიყო. ისე წავიდა, წესიერად არც დაგვმშვიდობებია. ასე, ორ საათში დავბრუნდებიო (მერე მითხრეს მეზობლებმა, რომ იმ ორი დღის განმავლობაში, პირველი დაკითხვიდან მეორემდე, ჩვენ მუდმივად გვითვალთვალებდნენ — უცნობი ადამიანები იყვნენ სადარბაზოსთან, კიბეებზე, ქუჩის გასწვრივ). ირაკლის წაყვანიდან ერთ საათში ჩემთან მოვიდა უცნობი ადამიანი, რომელმაც გადმომცა, რომ ორ პირს უნდოდა ჩემთან შეხვედრა ირაკლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოსაცემად. იმდენად გულწრფელად მესაუბრებოდა, რომ მაშინვე წავყევი. მივდიოდით ძალიან გასაიდუმლოებული გზებით, ორჯერ შევიცვალეთ მანქანა. ბოლოს შემახვედრეს ორ ადამიანთან, რომლებმაც განმიცხადეს თავიანთი ვინაობა და მითხრეს, რომ ირაკლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო, რადგან იმაზეც კი არ ვფიქრობდი, რომ ეს დაპატიმრება იყო და არა რიგითი დაკითხვა. მათ დამარწმუნეს, რომ ირაკლი დასაკითხად კი არა, დასაპატიმრებლად წაიყვანეს და მთხოვეს, გამეკეთებინა ყველაფერი, ჩამერთო პრესა, საზოგადოება, გამეხმაურებინა, რათა ამით თავიდან ამეცილებინა მისი ფიზიკური ლიკვიდაცია.

მაშინვე მოდულის შენობასთან წავედი და იქიდან მივმართე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით. მათვე ვთხოვე თანადგომა, ირაკლის დაცვა. სწორედ მათი საშუალებით დავადგინეთ, რომ ირაკლი მეშვიდე საპყრობილეში ჰყავდათ და არა მეხუთეში, როგორც ჩვენ გვეუბნებოდნენ. დავადგინეთ აგრეთვე, რომ მათმა ჩარევამ იხსნა ირაკლი 80-კაციან საკანში მოხვედრისგან, სადაც მეტი შანსი ექნებოდა რამე გაურკვეველი სიტუაციის შესაქმნელად, მაგალითად, „პირადი შურისძიების" მიზნით ირაკლიზე თავდასხმისა და მისი ლიკვიდაციისა. თუმცა მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ირაკლის მიმართ შურისძიების გრძნობა კი არა, ელემენტარული წყენა ჰქონდეს.

საერთოდ, ირაკლი თავისი ბუნებით არის ნებისმიერი ძალადობის მოწინააღმდეგე. ერთადერთი, რასაც იგი თავისი პოლიტიკური

ბიოგრაფიის მანძილზე ნანობდა, იყო ის, რომ ვერ შეძლო სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილება. ორჯერ მივიდა პარლამენტის შენობასთან ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის მოთხოვნით. უპასუხეს, კიდევ ერთხელ თუ მოხვალთ აქ, ადგილზე დაგხვრეტთო. გროზნოდან სამეგრელოში გამსახურდიას ჩამოსვლის შემდეგაც სცადა მასთან შეხვედრა. მაშინაც იგივე შემოუთვალეს. მას შემდეგ ხშირად უთქვამს, რომ უნდა კიდევ ეცადა და მიეღწია ბატონ ზვიადამდე, რომელიც მისი უფროსი მეგობარი იყო. დარწმუნებული იყო, რომ ზვიადთან შეხვედრა და საუბარი ბევრ რამეს შეცვლიდა.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე არ მიემხრო 2003 წელს ნოემბრის რევოლუციასაც. ის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო — სხვათა შორის, ოპოზიციის მიერ წარდგენილი. ამბობდა, ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, დაპირისპირება არ დავუშვაო. სხვათა შორის, არსებობს ვიდეოფირი, რომელზეც ასახულია ირაკლის მოთხოვნა პარლამენტის შენობაში შეჭრილი ადამიანებისადმი: თქვენ არ გაქვთ აქ შემოსვლის უფლება! დატოვეთ პარლამენტი!.. და — ბატონ მიხეილ სააკაშვილის პასუხიც: ირაკლი მართალია. ვინც არ არის პარლამენტის წევრად არჩეული, ყველა გავიდეს დარბაზიდან.

მაშინაც, კოდორის მოვლენების დღეებში, ამაზე ესაუბრებოდა ემზარ კვიციანს, მოუწოდებდა, სისხლისღვრა არ დაეშვათ. ვინც იცნობს ირაკლის, ყველა დარწმუნებულია, რომ სწორედ ასე იყო. თუმცა ვინც არ იცნობს, ისიც დარწმუნდა ირაკლის უდანაშაულობაში, რადგან, დიდი მცდელობის მიუხედავად, სამშობლოს ღალატსა და ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებაში მამხილებელი ვერაფერი საბუთი ვერ აჩვენეს საზოგადოებას.

მე ირაკლის 80-იანი წლებიდან ვიცნობ. 16-17 წლის გოგონა ვიყავი, როცა ეროვნული მოძრაობა ქუჩაში გამოდიოდა და აქციებით, მიტინგებით მთელ ქალაქს ედებოდა. მე მაშინ ყოფილი პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. ჩემთვის ირაკლი ბათიაშვილის სახელი ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთლის სახელებთან იყო წილნაყარი. 22 ნოემბერს შევუერთდი მათ პირველ აქციას და შიმშილობა დავიწყე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებთან ერთად. იმ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო. ბატონი ზვიადი, ბატონი

მერაბი (ის ჩემი ბიძა იყო, ქალბატონი ოლღა დედას ბიცოლად ერგებოდა), ირაკლი, გიორგი ჭანტურია, ჩემზე, როგორც პატარა ბავშვზე, ისე ზრუნავდნენ. შიმშილობას მიშლიდნენ. მეც ვატყუებდი. მხოლოდ ფოტოსურათებს ვიღებ-მეთქი. ათდღიანი შიმშილობის შემდეგ თითქმის უგონო მდგომარეობაში გამომიყვანეს იქიდან. შემდეგ 9 აპრილის აქციები დაიყო. ირაკლი მაშინ ღმერთმა გადაარჩინა უეჭველ სიკვდილს. უფრო სწორად, ის, თითქმის უკვე მკვდარი, დანარჩენ გვამებთან გადაუგდია რუს ჯარისკაცს და „еще один труп"-ის შეძახილით თამრიკო ჭოველიძის გვერდით დაუგდია. დღემდე ჩვენ, ბათიაშვილების მთელი ოჯახი, ვლოცავთ ექიმ მიშა კრიხელის სულს (ის მოგვიანებით გარდაიცვალა), რომელსაც თვალი შეუსწრია ირაკლისთვის და უფიქრია, იქნებ მკვდარი არ არისო. მაშინვე შევარდნილა გვამებით სავსე სასწრაფოში და პირველი დახმარება იქვე ჩაუტარებია. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ წყნეთში აიყვანეს ირაკლი და ჩვენ მასთან, როგორც იმ დროის ერთ-ერთ გმირთან, ავდიოდით სანახავად. ეს ჩემი ცხოვრების ულამაზესი დღეები იყო. მაშინ სხვანაირად აღმოვაჩინეთ ერთმანეთი. მე აღმოვაჩინე, რომ ირაკლი, ეს საოცარი ადამიანი, მე, მასზე 9 წლით უმცროს გოგონას, დიდი ყურადღებით მეპყრობოდა. ეს ჩვენი სიყვარულის დასაწყისი იყო. ირაკლიმ გადაწყვიტა, ტრადიციულად დავქორწინებულიყავით: მოსულიყო ჩემს ოჯახში და ჩემი ხელი ეთხოვა მამაჩემისთვის. მერე კი გაგვემართა დიდი და მხიარული ქორწილი. მოვიდა კიდეც. ითხოვა ხელი. დაიგეგმა ქორწილის დღე. მაგრამ სწორედ მაშინ ცხინვალში საშინელი სისხლისღვრა მოხდა. ირაკლის რომ შევხვდი, მის სახეზე წავიკითხე, რომ ქორწილი მისთვის მიუღებელი იქნებოდა, როგორც ჩემთვის. გადავწყვიტეთ და გავიპარეთ. ჯერ დიდხანს ვიხეტიალეთ თბილისის ქუჩებში, ბოლოს კი აქ, ამ სახლში, ბატონ დიმასთან მოვედით...

ირინა ბათიაშვილი

„ახლა დიმა აღარ არის. მამა ციხეშია. ორივე ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. მე მომწონდა ბაბუას განსაკუთრებული ორიგინალური ბუნება და მამაჩემის პრინციპული, ერთგული ხასიათი. მგონია, მამა რომ არ დაეჭირათ, დიმა არ მოკვდებოდა. ბაბუა ჩემი პირველი მესაიდუმლე იყო. თუ რამეს დავწერდი, მას ვაკითხებდი. ერთხელ ასეთი რამ გამოვიგონეთ: მე ჟურნალისტის, ის კი რესპონდენტის როლს ასრულებდა და ვიწერდით ჩვენს საუბრებს. ერთხელ

ვკითხე: რა არის თქვენთვის საქართველო? მიპასუხა: საქართველო არ არის მხოლოდ ლამაზი მთები, ხეები, ბუჩქები. ასეთი მთები და ბუჩქები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია. საქართველო ჩვენ ვართ, ადამიანები, და ჩვენ ვქმნით მის განსაკუთრებულობასო. ერთხელ ვუთხარი, სარეჟისორო ფაკულტეტზე უნდა ჩავაბარო-მეთქი. გაუხარდა. მე უნდა ვიყო შენი პირველი ლექტორიო. ვიკეტებოდით ოთახში და მართლა ნამდვილ ლექციებს მიკითხავდა. მერე თეატრალურში წამიყვანა და ფელინის ფილმების მთელი ციკლი მაჩვენა. მიხსნიდა, მიანალიზებდა, აზრს, შთაბეჭდილებას მეკითხებოდა. ბაბუასთან უფრო მეტად ვთამამობდი, ვიდრე ირაკლისთან. როცა სკოლიდან შატალოზე მიდიოდა მთელი კლასი (შატალოზე წასვლას ოჯახის ყველა წევრი მიშლიდა, მაგრამ იმასაც მიშლიდნენ, მეგობრებისთვის სოლიდარობა რომ არ გამომეცხადებინა), ბაბუას ვურეკავდი და ვეუბნებოდი: „ბაბუ, შატალოზე მივდივარ და ტელეფონი გამორთე". ის კი მპასუხობდა: „ფრთხილად იყავი, ბაბუ, ყინულზე ფეხი არ დაგიცდეს!" ახლა, როცა სახლში მარტო მე და დედა დავრჩით, ხშირად მახსენდება, რა კარგი იყო, როცა ერთად ვიკრიბებოდით ხოლმე საღამოობით მე, ირაკლი, ბაბუა და ვყვებოდით ამბებს. ირაკლის ძალიან კარგი იუმორის გრძნობა აქვს და მის მოყოლილ ამბებზე ყველაზე გულიანად ვიცინოდით. ახლა ყველაზე მეტად მიჭირს იმ ადგილებში სეირნობა, სადაც მე, მამა და დედა ერთად ვსეირნობდით ხოლმე. თუ დედას არ ეცალა, მე და მამა ჩავუყვებოდით რამდენჯერმე ჭავჭავაძის პროსპექტს. ახლა თითქმის თვალდახუჭული დავდივარ ამ ადგილებში.

ერთხელ ბაბუას შევპირდი, რომ, როცა შვილები მეყოლება, ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად ბათიაშვილის გვარს მივცემ-მეთქი, რადგან ჩვენი შტოს ბათიაშვილებს გვარის გამგრძელებელი არ ჰყავთ. ბაბუას სიკვდილის დღეებში ცალკე გავიყვანე მისი ძმა, გიგა ბაბუა, მასაც შევპირდი და დავიფიცე, რომ აუცილებლად გავაჩენ შვილს, რომელსაც ირაკლის დავარქმევ სახელად, გვარად კი ბათიაშვილს მივცემ-მეთქი. შემდეგ მამას მივწერე ეს ციხეში. მე როცა ადამიანს რამეს ვპირდები, აუცილებლად ვუსრულებ დაპირებას".

გაზ. „ახალი 7 დღე"
13-19 ივლისი, 2007 წ.

მიმართვა ქართველ ხალხს

„როდესაც შენ გარშემო ყველაფერი იწვის,
შენ გულგრილი ვერ დარჩები“
მამა პაისი მთაწმინდელი

უპირველეს ყოვლისა, მსურს დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ესოდენ გულითადი და სამართლიანი თანადგომა გამომიცხადა ამ მძიმე ჟამს. ჩემი სასამართლო პროცესი იყო კიდევ ერთი ცხადი მაგალითი ხელისუფლების იმ ბრუტალური ძალმომრეობისა, რაც ჩვენ ქვეყანაშია გამეფებული. სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არ არსებობს არც კანონი და არც მართლმსაჯულება, არამედ ყოველივეს ცალსახად განსაზღვრავს ერთი კაცის, კერძოდ, პრეზიდენტის ნება-სურვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის ინტერესები.

რა მივიღეთ ამ ხელისუფლების სამწლიანი მოღვაწეობის შედეგად? ჩვენ მივიღეთ ავტორიტარული დიქტატურა მასობრივად უმუშევარი, გაღატაკებული და დათრგუნული მოსახლეობით. ჩვენ მივიღეთ სასამართლოს დამოუკიდებლობის სრული დასამარება. ჩვენ მივიღეთ ეკლესიების ნგრევა. ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური რეპრესიები. ჩვენ მივიღეთ მაქსიმალური კონტროლი ელექტრონულ მედიაზე. ჩვენ მივიღეთ საკუთრების თავხედური მიტაცება და რბევა. ჩვენ მივიღეთ ადამიანების სადისტური ცემა, წამება და ხოცვა ძალოვნების მიერ (გავიხსენოთ გვირგვლიანის და რობაქიძის მკვლელობა, ზ. ჟვანიას ლიკვიდაცია, ვალერი გელაშვილის საზარელი დასახიჩრება... გავიხსენოთ სასაკლაოს მოწყობა აფრასიძეებთან, პატიმრების დახოცვა, ბიჭების ჩაცხრილვა სანაპიროზე, გურამ შარაძის მკვლელობა ქალაქის ცენტრში...).

21-ე საუკუნეში არც ერთი თავმოყვარე ერი ამას არ მოითმენს. მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ვითმენთ. რატომ? ეგება ქართველ ხალხს გადაღლა დაეწყო ამდენი კატაკლიზმებით და გულგრილობა დაეუფლა? ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არაა. მართლაცდა, ჩვენს თავზე იმდენმა ქარიშხალმა გადაიარა ბოლო ორი ათეული წლის განმავლო-

ბაში, რომ ამან, ალბათ, თავისებური ფსიქოლოგიური გამოფიტვა და პოლიტიკური ინდიფერენტიზმი გამოიწვია.

მაგრამ გვაქვს კი ახლა გულგრილობის და დაღლილობის უფლება? 20-ე საუკუნის უდიდესი მოაზროვნე ედმუნდ ჰუსერლი წერდა, რომ ევროპისთვის ყველაზე დიდი საშიშროება დაღლილობაა და როგორც კეთილი ევროპელები, მოდი, შევებრძოლოთ ამ ყველა ხიფათთა ხიფათსო. დიახ, ამ კრიტიკულ პერიოდში ჩვენთვისაც უდიდესი საშიშროებაა სწორედ რომ დაღლილობით გამოწვეული ინდიფერენტიზმი. ეს ახლა დანაშაულის ტოლფასია! ჩვენ გვმართებს დიდი კონსოლიდაცია, მობილიზაცია და საერთო ძალისხმევა, რათა ვიხსნათ ქვეყანა სრული კატასტროფისგან.

2007 წლის 22 მაისს სასამართლოს სხდომაზე გამოვაცხადე უვადო შიმშილობა: მე ვაპროტესტებ სასამართლოს მიერ პოლიტიკური დაკვეთის სამარცხვინო შესრულებას და ჩემს უკანონო პატიმრობას, მოვითხოვ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან და სახალხო დამცველისგან ადეკვატური შეფასების გაკეთებას იმის თაობაზე, რომ ნამდვილად ვარ უკანონო და სინდისის პატიმარი. ამასთან ერთად, ამ პროტესტის საფუძველი არის ჩვენი საერთო სატკივარი, ანუ ყოველივე ის, რაზედაც ზემოთ ვისაუბრე: ჩემი შიმშილობით ვაპროტესტებ იმ სამართლებრივი, სოციალური და სულიერი ტერორის პოლიტიკას, რომელსაც ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავს. იმედი მაქვს, რომ ჩემი ძალისხმევა ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობაში სამართლიანი და მებრძოლი სულისკვეთების გამოლვიძებას! დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში დემოკრატიის და ეროვნული სულის გამარჯვება გარდაუვალია! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ირაკლი ბათიაშვილი

გაზ. „რეზონანსი"
29 მაისი, 2007 წ.

თავისუფლება სინდისის პატიმრებს!

(ირაკლი გათიაშვილის წერილი ციხიდან)

მინდა ჩემი დიდი აღშფოთება და თანაგრძნობა გამოვხატო ამა წლის 12 ივლისს „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების — დავით დალაქიშვილის, ჯაბა ჯიშკარიანის და ლევან გოგიჩაიშვილის დაპატიმრების გამო. ხელისუფლება უკვე მერამდენედ დაუნდობლად უსწორდება და სჯის ამ ორგანიზაციის წევრებს, ვინაიდან ისინი ვაუკაცურად და უკომპრომისოდ ებრძვიან სახელმწიფო ძალადობას. მათ მუდმივად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ, აკავებენ, აპატიმრებენ, მაგრამ ისინი მაინც არ ჩერდებიან...

მათ არ შეუძლიათ თვალი დახუჭონ შემზარავ უსამართლობაზე, შეეგუონ ბოროტებას, სიმახინჯეს... მადლობა ღმერთს, რომ არსებობს ასეთი ხალხი!

მე საოცრად მადლიერი ვარ მათი და არა მხოლოდ მე. სწორედ „თანასწორობის ინსტიტუტი“, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“, სხვა მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციები და ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალები, სწორედ თქვენ ჩემო ძმებო და დებო, აძლევთ იმედს თქვენი მოუსყიდველობით და შეუპოვრობით ყველა დევნილს და ჩაგრულს ხელისუფლების მხრიდან; სწორედ თქვენ ემსახურებით დიდ საქმეს: შიშის სინდრომის დაძლევას ჩვენს საზოგადოებაში! ამიტომაც ხართ მუდმივი ზეწოლისა და ანგარიშსწორების ობიექტი, მაგრამ ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის!

ძალადობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. დემოკრატიის გამარჯვება გარდაუვალია! თავისუფლება დავით დალაქიშვილს, ჯაბა ჯიშკარიანს, ლევან გოგიჩაიშვილს!

13.06.2007 წ.

გაზ. „რეზონანსი“ №163 (5322)
22 ივნისი, 2007 წ.

ჩემი ოჯახის დევნა-შევიწროება გრძელდება

უკვე ერთ წელიწადზე მეტია, რაც ირაკლი ბათიაშვილი პატიმრობაში იმყოფება. გისოსებს მიღმა ბათიაშვილი გასულ წელს აღმოჩნდა. ეს მაშინ მოხდა, როცა ემზარ კვიციანმა კოდორის ხეობაში გაურკვეველი ტიპის ამბოხება ნამოიწყო.

იმ ამბოხის პერიოდში კვიციანს ბევრი ურეკავდა. ერთ-ერთი იყო ირაკლი ბათიაშვილიც. ბათიაშვილმა კვიციანს რამდენჯერმე დაურეკა და ყოველი დარეკვისას სთხოვდა, არავითარ შემთხვევაში არ დაეღვარა სისხლი.

ამ რჩევებისთვის ხელისუფლებას წესით მისთვის მადლობაც კი უნდა გამოეცხადებინა. თუმცა, ყველაფერი პირიქით მოხდა. ამ სატელეფონო საუბრებისთვის ბათიაშვილი დააპატიმრეს.

ხელისუფლებამ მისი და კვიციანის სატელეფონო საუბრების ჩანაწერი არაერთხელ მოგვასმენინა. მათი თქმით, ეს იყო სერიოზული კომპრომატები. ერთი პერიოდი ხელისუფლება ირაკლი ბათიაშვილს სამშობლოს ღალატშიც კი სდებდა ბრალს. მოგვიანებით მას ეს ბრალდება მოუხსნეს.

ამის მიუხედავად ბათიაშვილი ციხეში მაინც გაატარებს რამდენიმე წელს. ერთ წელზე მეტ ხანს ის მეშვიდე საპყრობილეში სრულ იზოლაციაში ჰყავდათ. ახლა ბათიაშვილი ავჭალის კოლონიაში იხდის სასჯელს.

ცოტა ხნის წინ მან მოძრაობა „წინ საქართველო“ დატოვა. ის სახალხო მოძრაობა „ეროვნულ საბჭოს“ შეუერთდა.

„ახალმა თაობამ“ მასთან დაკავშირება მოახერხა. ჩვენ ბათიაშვილს რამდენიმე კითხვა გავუგზავნეთ.

— როგორ აფასებთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას?

— დღეს სახეზეა კონფრონტაცია არა ხელისუფლებასა და ოპოზიციას, არამედ ხელისუფლებასა და საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შორის. ეს კონფრონტაცია უკვე უკიდურეს ზღვარს უახლოვდება. ყოველივე ამაზე პასუხისმგებელია ქვეყნის პრეზიდენტი და მისი გუნდი თავისი უგუნური პოლიტიკით. ძალადობა, მკვლელობები, რეპრესიები, საკუთრების ხელყოფა, საზოგადოების აბუჩად აგდება, ცინიზმი, სოციალური გენოციდი — აი, ყოველივე ამან გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება — სიძულვილი და აგრესია მმართველი ელიტისადმი. ვითარება საკმაოდ საგან-

გაშოა. საჭიროა მიღწეულ იქნეს კომპრომისი. კერძოდ, პრეზიდენტმა გაზაფხულზე უნდა დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. უზრუნველყოს ნორმალური, მიუკერძოებელი საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირება, შეწყვიტოს ძალადობა — რეპრესიები, საკუთრების ხელყოფა, გაათავისუფლოს პოლიტიკური პატიმრები, დაიწყოს დამოუკიდებელი სასამართლოს შენება, პატიმრებით გადავსებული საპატიმროების და კოლონიების განტვირთვა და იქ პირობების გაუმჯობესება. სამწუხაროდ, ამის სიმპტომები არ ჩანს, პირიქით, ხელისუფლებამ დაიწყო გააფთრებული დევნა თავისუფალი ტელევიზიების და პრესის. გავიხსენოთ სულ ცოტა ხნის წინ შენობიდან გამოყრილი ტელეკომპანია „კავკასია", გაზეთების — „ლიტერატურული საქართველოსა" და „ასავალ დასავალის" რედაქციები. დღეს კი სახელისუფლებო მანქანა დაუფარავად დაუპირისპირდა ტელეკომპანია „იმედს" და წამოიწყო ისტერიული შეტევა ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ. ხელისუფლებამ ფაქტობრივად იგნორირება გაუკეთა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უმნიშვნელოვანეს მოსაზრებას კონსტიტუციური მონარქიის სამომავლოდ შემოღების თაობაზე. მეც დარწმუნებული ვარ, რომ კონსტიტუციური მონარქია ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ადეკვატური ფორმაა.

— თვეების განმავლობაში თქვენ მეშვიდე საპყრობილეში ფაქტიურად სრულ იზოლაციაში იმყოფებოდით. დღეს რა პირობებში გიხდებათ სასჯელის მოხდა?

— მოგეხსენებათ, რომ ერთი წლისა და ერთი თვის განმავლობაში სრულ იზოლაციაში, ანუ აბსოლუტურად მარტო ვიმყოფებოდი მეშვიდე საპყრობილეში. რწმენამ, ლოცვებმა და ნებისყოფამ დამაძლევინა დიდი განსაცდელი. ახლა გადმომიყვანეს ავჭალის მეათე კოლონიაში. აქ საშუალება მაქვს, ადამიანებთან ურთიერთობის, ტელევიზორის ყურებისა და ჰაერზე ყოფნის. ბევრს ვკითხულობ, ვლოცულობ, ვვარჯიშობ და ვწერ. თუ როგორი მუდმივი კონტროლის ქვეშ ვარ და რა საფრთხეები მემუქრებოდა, ამაზე საზოგადოება მომავალში გაიგებს. კვლავ გრძელდება ჩემი ოჯახის დევნა-შევიწროება. ამ არაკაცების მითითებით ჩემი მეუღლე სამსახურიდანაც გაუშვეს. ამ ხელისუფლებამ ხომ კარგად იცის, რომ არავითარი ბიზნესი არ გამაჩნია. ალბათ, უნდათ ჩემს ცოლ-შვილს შიმშილით სული ამოჰხადონ, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან. უფალი დაიფარავს ჩემს ოჯახს!

— თქვენ უკვე ერთ წელიწადზე მეტია პატიმრობაში იმყოფებით. რა საფუძველი ედო თქვენს დაპატიმრებას? რა მიზანი ჰქონდა ხელისუფლებას და ხედავდა თუ არა თქვენში რაიმე საფრთხეს?

— ჩემი დაპატიმრება და სასამართლო ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში სამარცხვინო ფურცელია. ამაზე ჩვენს ახალგაზრდებს მომავალში ლექციებზე მოუყვებიან, როგორც თვალსაჩინო მაგალითზე, თუ რა საზარელ მდგომარეობაში იყო სასამართლო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. ჩემი დაპატიმრების რეალური მიზეზი იყო პრეზიდენტის, ბოკერიას და სხვათა კარგა ხნის აკვიატებული იდეა–ფიქსი ჩემი იზოლირების თაობაზე. არ ვიცი, რის ეშინოდათ. მაგრამ მათ თავიდანვე მიზნად ჰქონდათ ჩემი დაჭერა და გამოკეტვა ციხეში.

— რას ფიქრობთ ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებისა და მისი აღიარებითი ჩვენების თაობაზე?

— ოქრუაშვილის დაპატიმრებაცა და მისი ე.წ. აღიარებითი ჩვენებაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმის შესახებ, რომ ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ მომართულია სახელმწიფოს საშინელი რეპრესიული მანქანა. ჩვენ აბსოლუტურად დაუცველები ვართ. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მოინდომა, ქვეყანა ერთ დიდ კოლონიად აქციონ. ყველას ვთხოვ, კიდევ ერთხელ წაიკითხოს ფრანც კაფკას გენიალური ნოველა „გამოსასწორებელ კოლონიაში". მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ხალხი გამოფხიზლდა. ქართველ კაცს ვერავინ ვერ დაამონებს! რაც შეეხება კონკრეტულად ირაკლი ოქრუაშვილს, ისევე როგორც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა, იგი სასტიკი პრესის და ზემოქმედების ქვეშ მოაქციეს და აიძულეს, გადაეთქვა სიმართლე. ალბათ, ახლო მომავალში ჩვენი საზოგადოებისთვის ნათელი გახდება საქმის ვითარების მთელი ჭეშმარიტება.

— თქვენ რამდენიმე ხნის წინ დატოვეთ „წინ საქართველო". რა იყო ამის მიზეზი? და როგორი ურთიერთობა გექნებათ მომავალში ამ ორგანიზაციის წევრებთან?

— „წინ საქართველო" დავტოვე, რადგან არ მსურს რაიმე კონკრეტულ ორგანიზაციაში ყოფნა. ეს ჩემი პიროვნული არჩევანია. რაც შეეხებათ ჩემს ძველ თანამებრძოლებს, ისინი ღირსეული ადამიანები არიან და ჩემს მეგობრებად რჩებიან.

— თქვენ ცოტა ხნის წინ შეუერთდით საერთო სახალხო მოძრაობას. რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?

— რაც შეეხება ამ მოძრაობას, მე მას მხარდაჭერას და სოლიდარობას ვუცხადებ. ვინაიდან მივესალმები მის სულისკვეთებას,

მიზნებს და პრინციპებს. ეს არის არა კერძო პარტიული, არამედ საერთო სახალხო მოძრაობა და მას ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი უნდა შეუერთდეს.

— ყველაზე მეტად ვინ და რა გენატრებათ?

— ყველაზე მეტად მენატრება ჩემი ცოლ-შვილი, დედაჩემი, ჩემი ახლობლები და მეგობრები. მამაჩემის ოთახში შესვლა, მის საფლავზე მისვლა, მენატრება ჭავჭავაძის გამზირზე გასეირნება.

ესაუბრა თეა მარხვაიძე

გაზ. „ახალი თაობა“ №287
18 ოქტომბერი, 2007

ღია წერილი
ბატონ ელდარ შენგელაიას

ბატონო ელდარ,

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც სამშობლოს ღალატის ბრალდებით საპყრობილეშია გამოკეტილი კაცი, ვინც 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ მკერდით გადაეღობა როდიონოვის ტანკებს და ვისაც ქვეყნის ინტერესების დასაცავად სხვა დროსაც არაერთხელ ჩაუგდია საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში. აღმასრულებელი ხელისუფლების მორჩილმა სასამართლომ ასეთ კაცს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რითაც კიდევ ერთხელ ცინიკურად შეურაცხყო ჩვენი ქვეყნის ყოველი პატიოსანი მოქალაქე და საერთაშორისო მასშტაბით შეარცხვინა საქართველო. დღევანდელ მსოფლიოში მართლაც რომ თითზე ჩამოსათვლელია ის იდიოზური სახელმწიფოები, სადაც სამართალდამცავები მათთვის მიუღებელ ალალ-მართალ პიროვნებებს სიმართლის საპოვნელ ყველა გზას უკეტავენ და აიძულებენ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულონ. ფაქტობრივად ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმა, როცა უვადო შიმშილობა გამოაცხადა და დღეს რომ ის ცოცხალია, ეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დამსახურებაა.

ვერ გეტყვით საქართველოს პარლამენტზე მაღალი აზრის ვარ-მეთქი (თუმცა, რომ გითხრათ, არც თქვენ დამიჯერებთ), მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არ მეგონა, რომ ასეთ დრამატულ სიტუაციაში იგი პილატეს როლის შესრულებით შემოიფარგლებოდა. მე, როგორც ამომრჩეველს, აღარაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ გთხოვოთ თქვენ — უხუცეს პარლამენტარს, დიდ რეჟისორსა და გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეს, შემოჰკრათ განგაშის ზარი პარლა-მენტის გამოსაფხიზლებლად და შეაგნებინოთ თქვენს კოლეგებს, რომ პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავების მიუხედავად თქვენ ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები ხართ და თითოეული მოქალაქის სიცოცხლის დაცვა თქვენი უპირველესი მოვალეობაა.

საქართველოს პარლამენტმა უნდა მიაღწიოს ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის მოწმეები გავხდეთ და ყველამ — ჩინიანმა თუ უჩინომ, პარლამენტარმა თუ ამომრჩეველმა, ჩვენივე პასიურობის გამო ისეთი ცოდვა ავიკიდოთ, რომლის მოსანანიებლად დარჩენილი სიცოცხლე არ გვეყოფა.

ბატონო ელდარ, 2003 წლის შემოდგომაზე მე და ჩემი მეგობრები თქვენს პირველ დაძახილზევე გამოვცხადდით კინოს სახლში, რათა თქვენთან ერთად საზოგადოებრივი მოძრაობა „დარბაზი" ჩამოგვეყალიბებინა და მხარი დაგვეჭირა ახალგაზრდა პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც ეროვნული თანხმობის მიღწევასა და ქართული სახელმწიფოს დემოკრატიულ პრინციპებზე აგებას გვპირდებოდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, მათმა მოღვაწეობამ საპირისპირო შედეგი გამოიღო. დღეს საქართველოში ფაშიზმის აჩრდილი დადის, რომელიც თუ დროულად არ აილაგმა, ხვალ არავიძეთა მძლავრ ლეგიონად გადაიქცევა, ყველა ოჯახს კარს მოურიდებლად შეუღებს და ყოველ თავისუფლებისმოყვარე ადამიანს ყელში ხელს წაუჭერს.

ირაკლი ბათიაშვილის ციხიდან გათავისუფლება ფაშიზმის ასალაგმად გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი იქნება.

მე თქვენი და ყველა ღირსეული პარლამენტარის დიდი იმედი მაქვს.

გულწრფელი პატივისცემით, თქვენი

ვანო კილურაძე

გაზ. „რეზონანსი"
14 ივნისი, 2007 წ.

ვისგან ითხოვს ბოდიშის მოხდას ირინა ბათიაშვილი

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი, ახალგაზრდა და მომხიბელელი ირინა ბათიაშვილი თავის მეგობრებთან ერთად ხელისუფლების მხრიდან ძალადობას ხშირად აპროტესტებს და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენებს აქტიურად ეხმაურება. ირინა ბათიაშვილის თქმით, ცხოვრების ნორმალურ პირობებში არ არის მისაღები 17 წლის ახალგაზრდის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა, მაგრამ ეს არის რეალობა, რომელსაც გვერდი ვერც მან და ვერც მისმა მეგობრებმა ვერ აუარეს.

გასულ კვირას პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ პატიმარი ირაკლი ბათიაშვილი ახალ წლამდე გათავისუფლდება. მოგვიანებით ნინო ბურჯანაძე განმარტავდა, რომ მან არა ახალ წლამდე, არამედ ინაუგურაციის მეორე დღეს გათავისუფლების პირობა დადო. ამ ინფორმაციას ხელისუფლების წინასაარჩევნო პიარს უნოდებს ირაკლი ბათიაშვილის ქალიშვილი, რომელსაც მამასთან შეხვედრის საშუალება სულ ორჯერ მიეცა. პირველად ბაბუის პანაშვიდზე მეორედ კი სასამართლო პროცესზე, თუმცა მამის ხასიათიდან და წარსულიდან გამომდინარე, არ უჭირს ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მამის თვალით დანახვა.

— ირინა, შენ აქტიურად ხარ ჩართული ახალგაზრდულ საპროტესტო მოძრაობაში. როგორია ბატონი ირაკლის დამოკიდებულება შენი საქმიანობის მიმართ?

— დავიწყოთ იქიდან, რომ რამდენჯერმე ვცადე ირაკლის მონახულება, მაგრამ სამართალდამცველებმა ამის საშუალება არ მომცეს. თან უარს ყველანაიარი არგუმენტის გარეშე მეუბნებიან... ირაკლი ყველანაირი უსამართლობის შესახებ ხმამაღლა და პირველი ილაშქრებდა და ყოველთვის უპირისპირდებოდა იმ რეჟიმს, რომელსაც ძალადობა ჰქვია. ახლა, როცა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ვაკვირდები, სულ მისი სიტყვები მახსენდება, ვალდებული ვარ, ჩემს ქვეყანას ვემსახუროო. რაც შეეხება იმ ორგანიზაციას, სადაც მე ვარ გაწევრებული, მამა მიიჩნევს, რომ საკმაოდ აქტიურები ვართ და ხშირად გვამხნევებს, სიმართლის გზას არ გადაუხვიოთო. მამაჩემი თითქმის ყველა ჩემს მეგობარს იცნობს და იცის, რომ სიმართლისთვის ვიბრძვით. ჩემი აზრით, საქართველო ნორმალური ქვეყანა რომ იყოს, 17-8 წლის ახალგაზრდები პოლიტიკაში არც უნდა

ერეოდნენ, მაგრამ დღეს მას ჩვენი აქტიურობა მართლაც ჰაერივით სჭირდება. ახალგაზრდობას ბევრი რამის შეცვლა და გამოსწორება შეგვიძლია და ჩუმად ყოფნის უფლება არ გვაქვს. სხვათა შორის, ხელისუფლების კისერზეა ისიც, რომ საზოგადოება ტოტალურად გაპოლიტიზირდა. რა თქმა უნდა, საზოგადოებას ხელისუფლება მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა ჰყავდეს, მაგრამ დღევანდელ მოქალაქეს ამ ხელისუფლების პირობებში სხვა არჩევანი არ აქვს. როცა კანონი ქმედითუნარიანი აღარ არის, რიგითი ადამიანები იძულებული ხდებიან, საკუთარი უფლებები თავად დაიცვან, თუმცა იმ ხელისუფლების პირობებში, რომელთა წარმომადგენლებმა საკუთარი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაც არ იციან, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.

— რას გულისხმობ?

— სირცხვილია, როცა დედაქალაქის მერი სერგო ორჯონიკიძესა და ირაკლი ბათიაშვილს შორის პარალელების გავლებას ცდილობს. ასეთი განცხადების შემდეგ, რომელ დემოკრატიულ ღირებულებებზე უნდა ელაპარაკო მათ, ვისაც დემოკრატია შადრევნების შენება ჰგონია. მე ისეთ საქართველოში მინდა ვიცხოვრო, სადაც პირველ რიგში ადამიანის უფლება იქნება დაცული, მერე კი, თუ ექნა სახელმწიფოს საშუალება, შადრევანიც გახსნას და გასართობი კლუბიც.

— ირინა, გასულ კვირას პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ ირაკლი ბათიაშვილი ახალ წლამდე გათავისუფლდება...

— ეს არის კიდევ ერთი ტყუილი ხელისუფლების მხრიდან. ხალხი დაიღალა ამდენი ტყუილით. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მის გამოშვებას ხელისუფლება არც ახალი წლისთვის აპირებს. ეს საარჩევნო პიარკამპანიის ნაწილია.

— გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ბათიაშვილს იმ შემთხვევაში გაათავისუფლებენ, თუ ის ხელისუფლებას შეწყალების თხოვნით მიმართავს...

— დიახ, მათი მხრიდან მსგავსი მცდელობა ბევრჯერ ყოფილა. გარდა ამისა, იყო ზარები ოჯახის წევრებთან და მის ახლობლებთანაც, შეწყალება გვთხოვოს და მაშინვე გავუშვებთო, რაზეც ირაკლი პასუხობდა, უდანაშაულო ადამიანები შეწყალებას არ ითხოვენო... როცა მან შიმშილობა გამოაცხადა, თქვა, თუ სამშობლოს გამოსაფხიზლებლად ჩემი სიცოცხლე სჭირდება, მე მას დაუფიქრებლად

გავიღებ და თუნდაც სამუდამო პატიმრობაში ვიქნებიო. წელიწადი და ერთი თვე ის სიბნელეში, უჭმელ-უსმელი ჰყავდათ, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს და მე მართლაც ვამაყობ მისი მოთმინებითა და გაუტეხლობით. ირაკლი ბათიაშვილი სამშობლოს მოღალატე არ ყოფილა და ვერც დაიბრალებდა.

— რამდენად მართალია, თითქოს ირაკლი ბათიაშვილი თავისი უფლების დაცვას სტრასბურგის სასამართლოში აპირებს?

— მართალია, უკვე გაგზავნილია მისი საქმე სტრასბურგში და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც საჭიროა. თუმცა მანამდე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძემ ირაკლი ბათიაშვილის ოჯახს ბოდიში უნდა მოუხადოს იმ ბრალდებების გამო, რაც მან მამაჩემს წაუყენა. სანამ ირაკლის დააპატიმრებდნენ, გივი თარგამაძე ტელევიზიით გამოვიდა და მამაჩემის მისამართით განაცხადა, ქვეყნის მოღალატეა და უნდა დაისაჯოსო... ეს არის ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა. მან სამართალ-დამცველებს აშკარად მიუთითა, რა უნდა გაეკეთებინათ. ცოტა ხანში კი „აღმოაჩინეს", რომ ირაკლი მოღალატე არ ყოფილა. ბოლოს მე მინდა ვუთხრა ამ ხელისუფლებას, რომ შამისოს გმირის პიტერ შლემილივით ნუ დაკარგავენ სულს და ნუ გაყიდიან ღირსებას, რადგან უკან მათ ველარასოდეს დაიბრუნებენ.

ესაუბრა ლალი პაპასკირი

ჟურნალი „რეიტინგი" №50
17.12.2007 წ.

ყოფილი დისიდენტები ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ

(მოწოდებას ხელს ცნობილი რუსი დისიდენტებიც აწერენ)

დანაპირები ხელისუფლებისადმი, რომ ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლების ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბს მიიღებდა, ნელ-ნელა ხორციელდება. გასულ კვირას საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრებმა, დავით ბერძენიშვილმა, ვახტანგ ძაბირაძემ და ტარიელ ღვინიაშვილმა მონაწილეობა მიიღეს პოლონეთში ჩატარებულ დიდ საერთაშორისო ფორუმში, რომლის მონაწილეებმა — ცნობილმა დისიდენტებმა და პოლიტპატიმრებმა, ხელი მოაწერეს ირაკლი ბათიაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნას.

მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებაში ნათქვამია, რომ ირაკლი ბათიაშვილი არის საქართველოში გამეფებული უკანონობისა და განუკითხაობის მსხვერპლი, რომ მისი დაპატიმრება არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და საკუთარი აზრის დაფიქსირებისთვის ადამიანის დევნის ნათელი მაგალითი. მსოფლიოში მოღვაწე ყოფილი პოლიტპატიმრები და დისიდენტები მიმართავენ საქართველოს ხელისუფლებას და მოითხოვენ ბათიაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ისინი ირაკლი ბათიაშვილს მიიჩნევენ პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულ სინდისის პატიმრად.

ირაკლი ბათიაშვილის, დევნის, მისი პატიმრობასა და გასამართლების ფაქტს გამოეხმაურნენ ცნობილი უცხოელი უფლებადამცველები ყოფილი პოლიტპატიმრები. მიმართვას ხელს აწერს ინგლისში მცხოვრები ცნობილი რუსი დისიდენტი, ვლადიმერ ბუკოვსკი, რომელიც თავის დროზე საბჭოთა მთავრობამ ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივან ლუის კორვალანში გაცვალა. ის დემოკრატიული რუსეთის სიმბოლოდ არის მიჩნეული და, სავარაუ-

დოდ, დემოკრატიული ძალები მისი კანდიდატურის წარდგენას აპირებენ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატად.

მიმართვას უერთდებიან: რუსი დისიდენტი, „ექსპრეს-ქრონიკის" რედაქტორი ალექსანდრე პოდრაბინიკი, ჩეხეთის პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის მთავრობის წევრი და ჩეხეთის „ლუსტრაციის შესახებ" კანონის ავტორი, ჩეხოსლოვაკიის დისიდენტური მოძრაობის „ქარტია 77"-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პეტრუშკა შუსტროვა, პარიზში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის „რუსკაია მისლ"-ის რედაქტორი, ნატალია გარბანევსკაია, რომელმაც წლები გაატარა საპყრობილეებში.

„თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერის, გოგა ხაინდრავას განცხადებით, ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლების კომიტეტი აღნიშნული ხელმოწერებით არ აპირებს შეჩერებას. მისი თქმით, ისინი დაუკავშირდებიან ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მსოფლიოში სერიოზულ ავტორიტეტს წარმოადგენს. ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ მოთხოვნაზე ძალიან მალე უამრავი ხელმოწერა გაჩნდება.

„ბატონი ირაკლი ნამდვილად სინდისის პატიმარია. ამიტომაც ჩვენ ვთხოვეთ იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი ექნებოდა, თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა. ძალიან მნიშვნელოვანი შედეგით დაგვიბრუნდნენ ჩვენი მეგობრები. ამ მიმართვაზე გაჩნდა ძალიან სერიოზული და ღვაწლმოსილი ყოფილი პოლიტპატიმრებისა და საბჭოთა სისტემასთან მებრძოლი ადამიანების სახელები. ეს არის ფასდაუდებელი დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო მსოფლიო მოწოდებად გადაიქცევა ჩვენი ხელისუფლებისადმი, რომ თავისუფლება დაუბრუნდეს უდანაშაულო ირაკლი ბათიაშვილს", — აღნიშნა გოგა ხაინდრავამ.

ყოფილი პოლიტპატიმარი „რესპუბლიკური პარტიის" წევრი დავით ბერძენიშვილი, რომელიც პოლონეთში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა, აცხადებს, რომ იქ ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა. „ძალიან კარგად მესმის ფასი იმ ხელმოწერებისა, რაც გაჩნდა ირაკლი ბათიაშვილის სინდისის პატიმრად აღიარების დოკუმენტზე. ქართველი პოლიტპატიმრების ხელმოწერებს საკუთარი მხარდამჭერი ხელმოწერები დაურთეს ბუკოვსკიმ, პოდრაბინიკიმ, შუსტროვამ. როგორც ბუკოვსკიმ, ისე პოდრაბინეკიმ საკუთარ გამოსვლებში ახსენეს, რომ საქართველოშიც გაჩნდნენ პოლიტპატიმრები. ისინი გვეთანხმებიან, რომ ირაკლი ბათიაშვილი არის სინდისის პატიმარი.

„საქართველოს ხელისუფლებაზე, რომელსაც საშინაო დემოკრატიული ძალების აზრი ხშირად არ ადარდებს, ბუკოვსკისა და სხვათა ხელმოწერები იქონიებს ზეგავლენას. ბათიაშვილის სასწრაფოდ გასათავისუფლებლად და მისი უდანაშაულობის დასადასტურებლად ყველა მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ", — აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

როგორც შეხვედრის კიდევ ერთ-ერთი მონაწილე, ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, ასეთი ხელმოწერების მოპოვება არ ხდება აგიტაციით — ეს დისიდენტურ წრეებში ყოველთვის მიუღებელია. „ეს ხელმოწერები შედგა ყოველგვარი აგიტაციის გარეშე. სამწუხაროდ, იქ ჩამოსვლა ვერ შეძლეს დისიდენტებმა ბალტიისპირეთიდან, მაგრამ ჩვენ შევძელით და გავავრცელეთ ეს დოკუმენტი. ის ჩავა უკრაინაში, ბალტიისპირეთში, ბელორუსიაშიც. ალბათ, დავუკავშირდებით აირიკიანსაც, რომ ამ მიმართვას თანდათან უფრო დიდი რეზონანსი მოჰყვეს. როგორც ჩანს, ყოფილ საბჭოთა სივრცეში პრობლემები თითქმის იდენტურია. სამწუხაროა, რომ ისევ იმისთვის გვიხდება ბრძოლა, რისთვისაც 25 წლის განმავლობაში ვიბრძოდით", — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

ყოფილი პოლიტპატიმარი და დისიდენტი თამარ ჩხეიძე, რომელიც ამავდროულად „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ლიდერია, დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ზეწოლის შედეგად, ხელისუფლება იძულებული გახდება, ირაკლი ბათიაშვილი გაათავისუფლოს.

„იმისთვის, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდეს, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რადგან იმ ხელისუფლებაზე ზემოქმედების მხოლოდ ორი მექანიზმი არსებობს — საერთაშორისო ბერკეტები და ძალიან ბევრი ადამიანის ქუჩაში გამოსვლა. გარედან ზეწოლამ სერიოზული ფორმები თუ მიიღო, მაშინ ეს ხელისუფლება იძულებული გახდება, ირაკლი ბათიაშვილი გაათავისუფლოს", — უთხრა „რეზონანსს" თამარ ჩხეიძემ.

თამთა ქარჩავა

გაზ. „რეზონანსი" № 164 (5323)
23 ივნისი, 2007 წ.

პატრიარქმა ბათიაშვილს შიმშილობა შეაწყვეტინა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პოლიტპატიმარი ირაკლი ბათიაშვილი მოინახულა. პატრიარქს უბრალო ვიზიტები არ ახასიათებს, ის საქართველოში ყველაზე გავლენიანი ადამიანია, მისი სიტყვა ასჯერ მეტი გავლენისაა, ვიდრე პრეზიდენტის, მთავრობის და პარლამენტის ერთად აღებული. მისი ნებისმიერი ჟესტი მთელი საქართველოს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა, ასე რომ, ტელეკამერის წინ ხელისუფლების მიერ ერის მტრად მონათლული ადამიანის მონახულება, შემთხვევა კი არა, მკვეთრად გამოხატული პოზიცია იყო.

ეკლესია და ხელისუფლება სხვადასხვა ინსტიტუტებია, თუმცა ფაქტია, რომ ეკლესიას უდიდესი გავლენა აქვს საქართველოში მიმდინარე მოვლენებსა და ქართველი ერის განწყობებზე. 2007 წელს ამერიკელების მიერ ჩატარებული სოციალური კვლევის თანახმად, ეკლესია საქართველოში ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება უბრალოდ იძულებულია, ანგარიში გაუწიოს საპატრიარქოს, ისევე, როგორც მოხდა ახლო წარსულში ფერიას მთის მშენებარე სამონასტრო კომპლექსის გარშემო ატეხილი სკანდალისას. შეგახსენებთ, რომ ხელვაჩაურის გამგეობამ მშენებარე ეკლესია დაუნგრია მრევლს, თუმცა ეკლესიის მკაცრი ჩარევისთანავე არა მარტო გამგებელი, არამედ პრეზიდენტიც თავის ადგილზე მოჯდა და კომპლექსის მშენებლობა განახლდა. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე იზრდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ეცემა მოსახლეობის ნდობა ხელისუფლებისადმი. ეს ნდობა დღეს საკმაოდ მიზერულია, რადგან სიტყვა „ნდობა" ქართველ ერში შეცვალა სიტყვამ „შიში", ამაში კი მოსახლეობას ძალიან დაეხმარა თავად ხელისუფლება, შიშის დამკვიდრების ერთ-ერთი საშუალება იყო გავლენიან ოპოზიციონერთა დაპატიმრებები. დღეს საქართველოში რამდენიმე ცნობილი პოლიტპატიმარია, მათ შორის

ირაკლი ბათიაშვილი, სულხან მოლაშვილი, ზაზა დავითაია და პარტია „სამართლიანობის“ რამდენიმე აქტივისტი.

პატრიარქის მისვლა ირაკლი ბათიაშვილთან არის საპატრიარქოს პასუხი ხელისუფლების ანტიდემოკრატიულობისა და სასამართლო ხელისუფლების გოშიობაზე. ილია მეორემ ღიად გამოუცხადა სოლიდარობა ბათიაშვილს და ამით კიდევ უფრო გაამყარა რწმენა, რომ ბათიაშვილი უდანაშაულოა საქართველოს წინაშე. პატრიარქისგან ამ ნაბიჯის გადადგმა მიანიშნებს იმაზე, რომ ეკლესია თუნდაც ასეთი არაოფიციალური ჟესტებით შეეცდება, შეეწინააღმდეგოს საქართველოს ხელისუფლების ტოტალური ტერორის გეზს და მხარი დაუჭიროს უკანონო პატიმრებს, დაიცვას ადამიანის უფლებები ციხეებში, დაეხმაროს მორწმუნეებს და რაც მთავარია ჩამოაშოროს ქართველებს ხელისუფლებისადმი შიში.

ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა ბათიაშვილის დაკავებით. დღეს ეს პოლიტპატიმარი უფრო მეტი რეიტინგით სარგებლობს, ვიდრე სავარძლებში მსხდომი ასობით ჩინოვნიკი, რომელთა უდიდესი ნაწილი ისე გაასრულებს კარიერასა და სიცოცხლეს, რომ ვერც ერთხელ ვერ ეღირსება კათოლიკოს-პატრიარქის ამხელა ყურადღებას. ვინ იცის, ბევრმა ინატრა კიდეც ბათიაშვილის ადგილზე ყოფნა, მაგრამ ამგვარი ნატვრები, როგორც წესი, ოცნებად რჩება. აი, ბათიაშვილმა კი გუშინ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა — საქართველოში ნომერ პირველმა გავლენიანმა ადამიანმა მას ღია მხარდაჭერა გამოუცხადა. მაგრამ მთავარი ბათიაშვილი არაა, მთავარია, რომ ეკლესია სულ უფრო თამამ შენიშვნებს აძლევს რევოლუციურ ხელისუფლებას, ეკლესიასთან, მით უმეტეს, ამხელა გავლენის მქონე ინსტიტუტთან ხუმრობა კი საქართველოში ძალიან წამგებიანია. ხელისუფლებამ ან ჭკუა უნდა ისწავლოს და შეეშვას ხალხის დაშინებას და წამებას, ან ჩემოდნები ჩაალაგოს, რადგან მას საქმე ექნება არა ელექტორატთან, არამედ მრევლთან, ამ ორ ცნებას შორის კი დიდი სხვაობაა.

გიორგი უძილაური

გაზ. „ახალი თაობა“ №150
3-9 ივნისი, 2007 წ.

ირაკლი ბათიაშვილს ცხოვრების შვიდი წელი წაართვეს

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ ირაკლი ბათიაშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ემზარ კვიციანისთვის სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობაში ინტელექტუალური დახმარებისთვის გასამართლებული განსასჯელი არასამთავრობოებმა, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა სინდისის პატიმრად აღიარეს და ირაკლი ბათიაშვილის დაცვის საერთაშორისო კომიტეტი შექმნეს.

ირაკლი ბათიაშვილმა განაჩენის გამოტანამდე საბოლოო სიტყვაში უვადო შიმშილობა გამოაცხადა. პოლიტიკური მოძრაობა „წინ, საქართველოს" ლიდერის, თემურ შაშიაშვილის განცხადებით, თუ ირაკლი ბათიაშვილი 10 დღის განმავლობაში არ შეცვლის გადაწყვეტილებას, შეწყვეტს, მისი მეგობრები და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, 50-მდე თანამოაზრე, შიმშილობას რომელიმე საელჩოსთან დაიწყებენ.

საზოგადოების დიდი ინტერესის მიუხედავად, ირაკლი ბათიაშვილის სასამართლო პროცესი კვლავ პატარა დარბაზში ჩატარდა. ჩაქუჩის დარტყმაში გაწაფული მოსამართლე ლელა თეთრაული პროცესის დაწყებისთანავე ირაკლი წერეთელმა გააღიზიანა. იგი სასამართლოს ფეხზე არ წამოუდგა და მოსამართლემაც მაშინვე დარბაზიდან გააძევა. ირაკლი წერეთელმა დარბაზის პირველი რიგი რეპლიკით, — „მონებს ფეხზე არც დავუდგებიო" — დატოვა.

მშვიდად არ ჩაუვლია სასამართლო პროცესის არც მეორე ნახევარსაც. ირაკლი ბათიაშვილის საბოლოო სიტყვის თქმის დროს, ჟურნალისტების მიერ დიქტოფონებისა და მიკროფონების ახლოს მიტანის მცდელობის გამო მოსამართლემ ჩაქუჩის ისეთი რახარუხი ატეხა, რომ სასამართლოში კი არა, თავი სამჭედლოში გეგონებოდა.

„ტერორით" გაბრაზებული გოგა ხაინდრავა, რომელიც ჟურნალისტებს გამოექომაგა, მოსამართლემ კვლავ „ჩაქუჩის" რახარუხითა და უცნაური ჟესტიკულაციით „დაამშვიდა".

ირაკლი ბათიაშვილს ბრალი ედებოდა 25-ე, 307-ე, 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 376-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. ბრალდების მხარემ განსასჯელს 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში წარდგენილი ბრალდება მოუხსნა. ასევე, მოუხსნა 25-ე და 315-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდება და მისი ქმედება დააკვალიფიცირა 25-ე და 315-ე მუხლის მე-2 ნაწილით — დახმარება ამბოხებაში საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად. პროკურორმა განსასჯელ ბათიაშვილისთვის სასჯელის ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება მოითხოვა.

ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა დაცვით სიტყვაში განაცხადა: „მიგვაჩნია, რომ ემზარ კვიციანის ზემოთ მოყვანილი განცხადებებით, არანაირად არ შეიძლებოდა გასჩენოდა საზოგადოებას ან კონკრეტულად ირაკლი ბათიაშვილს იმის ცოდნა, რომ კვიციანი მიზნად ისახავდა ამბოხებას კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად.

სასამართლო პროცესზე ირაკლი ბათიაშვილმა მიუთითა, რომ არ არსებობს არავითარი კავშირი მის სატელეფონო საუბრებში გამოხატულ პოზიციასა და ემზარ კვიციანის რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას შორის. ირაკლი ბათიაშვილის ვარაუდით, მისმა სატელეფონო საუბრებმა ემზარ კვიციანთან შესაძლებელია გამოიწვია ის სასიკეთო შედეგი, რომ კვიციანმა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დატოვა კოდორის ხეობა და სახელისუფლებო ჯარების კოდორის ხეობაში შესვლას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი მსხვერპლი.

თუ მოკლედ შევაჯამებთ ი. ბათიაშვილის ჩვენების შინაარსს, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

1. ი. ბათიაშვილს არასოდეს განუზრახავს ვინმეს დახმარება სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად განხორციელებულ შეიარაღებულ ამბოხებაში.

2. ი. ბათიაშვილს არ მიუღია არავითარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვინმე გეგმავდა ან ახორციელებდა შეიარაღებულ ამბოხებას ან სხვა რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას კონსტიტუციური წყობილების დასამხობად.

3. ემზარ და ნორა კვიციანებთან სატელეფონო საუბრებით, აგრეთვე ე. კვიციანის სატელევიზიო გამოსვლებით 2006 წლის 23-24 ივლისს ი. ბათიაშვილმა შეიტყო, რომ ე. კვიციანის მოთხოვნას წარ-

მოადგენდა შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. მერაბიშვილის თანამდებობაზე დამტკიცების, აგრეთვე რამდენიმე გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე. ი. ბათიაშვილთან სატელეფონო საუბრებში არავის უხსენებია ამბოხება ხელისუფლების ძალადობით დასამხობად.

4. არ არსებობს მიზეზობრივი კავშირები ი. ბათიაშვილის მიერ სატელეფონო საუბრებში გამოხატულ პოზიციასა და რომელიმე პირის მხრიდან განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებას შორის.

5. თავის სატელეფონო საუბრებსა და საჯარო გამოსვლებში ი. ბათიაშვილის ძალისხმევა მიმართული იყო 2006 წლის ივლისში, კოდორის ხეობაში შექმნილი პრობლემის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადასაწყვეტად. აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენდა საჯარო პოლიტიკური დებატების მონაწილეს. ი. ბათიაშვილი ცდილობდა დახმარებოდა ხელისუფლებას კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოვითხოვთ, ირაკლი ბათიაშვილის მიმართ გამოტანილ იქნას გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება".

ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა დაცვით სიტყვაში ირაკლი ბათიაშვილის მიმართ წარდგენილი საბრალდებო დასკვნა ბოლშევიკური სულისკვეთებით წარმოთქმულ სიტყვას შეადარა. გელა ნიკოლაიშვილი: „ვისაც წაუკითხავს მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლების საბჭოთა მართლმსაჯულების განაჩენები და იმდროინდელ სასამართლო სხდომებზე წარმოთქმული საბრალდებო დასკვნები, იქ ძალიან ბევრ მსგავსებას იპოვის ირაკლი ბათიაშვილის მიმართ წარმოთქმულ საბრალდებო სიტყვასთან. ბოლშევიკური სულისკვეთებითაა გამსჭვალული საბრალდებო სიტყვის ბევრი პასაჟი. „ემზარ კვიციანმა 2006 წლის 22 ივლისს დაიწყო ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა მის დამხობას.

ირაკლი ბათიაშვილმა გადაწყვიტა მითითებების, რჩევების მიცემის და საჭირო ინფორმაციების მიწოდებით დახმარება გაეწია ემზარ კვიციანისათვის". ეს არის პერიფრაზი 1937 წლის ერთ-ერთი განაჩენიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „ანტისაბჭოთა ელემენტებმა სცადეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ზიანის მიყენება და მისი შესუსტება,

ხოლო განსასჯელმა გადაწყვიტა დახმარება აღმოეჩინა მათთვის და ჩამდგარიყო საერთაშორისო იმპერიალიზმის სამსახურში".

გელა ნიკოლაიშვილის ასეთი შედარებების დროს დარბაზში ჩურჩული და ქილიკი ისმოდა: გადმოუწერიათ! გადმოუწერიათო!

ადვოკატმა პროკურორისგან პასუხი შემდეგ კითხვებზე მოითხოვა: 1. სად, რომელი სატელეფონო საუბრის ან სატელევიზიო გამოსვლისას მოუწოდა ირაკლი ბათიაშვილმა ემზარ კვიციანს „არ დამორჩილებოდა ხელისუფლების მოთხოვნას, გაეგრძელებინა ამბოხი და შეიარაღებული წინააღმდეგობა?" 2. სად, რომელი სატელეფონო საუბრის ან სატელევიზიო გამოსვლისას დაარწმუნა კვიციანი ირაკლი ბათიაშვილმა, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში იგი საქართველოს პოლიტიკური პარტიების და გაერთიანებების ლიდერების მეშვეობით დაეხმარებოდა და ორგანიზაციას გაუკეთებდა საქართველოს მოსახლეობას, რომელიც კვიციანის ამბოხს დაუჭერდა მხარს საქართველოს ხელისუფლების დამხობის საქმეში".

3. სად, რომელი სატელეფონო საუბრიდან ან სატელევიზიო გამოსვლიდან ჩანს, რომ სწორედ ირაკლი ბათიაშვილის საჯარო გამოსვლები და მისი საუბრები კვიციანთან „ფაქტიურად გახდა ემზარ კვიციანის დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების საფუძველი".

4. სად, რომელი სატელეფონო საუბრის ან სატელევიზიო გამოსვლისას „მოუწოდებს ირაკლი ბათიაშვილი ემზარ კვიციანს, რომ მან არ შეცვალოს პოზიცია და ამცნობს, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა მტკიცე მხარდაჭერა გამოხატეს ემზარ კვიციანის ქმედების მიმართ.

5. სად, რომელი სატელეფონო საუბრის ან სატელევიზიო გამოსვლისას მოუწოდებს ბათიაშვილი კვიციანს, რომ ხელისუფლებას მოუწოდოს დაყაროს იარაღი და შეწყვიტოს შეიარაღებული ამბოხის წინააღმდეგ მოქმედება?

ამ კითხვებზე პროკურორს პასუხი არ გაუცია. მან კვლავ ზოგადად დაახასიათა ბათიაშვილის ბრალდება. ირაკლი კობიძე: „დადასტურებულად მიმაჩნია, რომ ბათიაშვილისა და კვიციანის სატელეფონო საუბრები, ერთი მხრივ, იყო გამხნევება კვიციანისა, მეორე მხრივ, აღთქმა მხარდაჭერისა. ვფიქრობ, რომ ეს წარმოადგენს დანაშაულს".

გელა ნიკოლაიშვილის მოსამართლისადმი მიმართვამ საზოგადოების კმაყოფილება გამოიწვია. გელა ნიკოლაიშვილი: „ქალ-

ბატონო მოსამართლე, ახლა ჯერი თქვენზეა. ჩვენ გვესმის, რომ თქვენ დგახართ საკმაოდ მძიმე არჩევანის წინაშე. ეს არჩევანი აუცილებლად გადამწყვეტი იქნება თქვენი მომავალი ცხოვრებისათვის, რადგან ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებით თქვენ შეხვალთ ისტორიაში, მაგრამ ერთი არჩევანი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ შეგიძლიათ ისტორიაში შეხვიდეთ ობიექტური, პრინციპული და გაბედული მოსამართლის სახელით, რომელმაც შეძლო ასეთ რთულ სიტუაციაში გაეძლო სახელისუფლებო ზეწოლისთვის, ჭეშმარიტება კარიერაზე მაღლა დააყენა და გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო მეორე არჩევანია, სამუდამოდ ატაროთ ირაკლი ბათიაშვილისთვის სრულიად უსაფუძვლოდ, უსამართლოდ და დაუმსახურებლად სახელმწიფოს მოღალატის იარლიყის მიმკერებლისა და დამნაშავედ გამომცხადებლის სახელი, რომელმაც ვერ შეძლო საფრთხეში ჩაეგდო საკუთარი თანამდებობა და სამუდამოდ დაიმკვიდრა უსამართლო მოსამართლის სახელი.

თუმცა, დარწმუნებული ვარ ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამ საქმის მიერ მიღებული საერთაშორისო რეზონანსის გამო, თქვენს თანამდებობასაც საფრთხე ვერ დაემუქრება.

არჩევანი თქვენზეა!

ღმერთი ასეთი არჩევანის წინაშე შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ აყენებდეს ადამიანს. ასე რომ, გთხოვთ, ასეთი არჩევანის საშუალების თქვენთვის მონიჭება მიიღოთ ღმერთის წყალობად და შევაჩეროთ არჩევანი ჭეშმარიტების სასარგებლოდ“.

მიუხედავად საზოგადოებაში მოსამართლისადმი იმედიანი განწყობისა, ირაკლი ბათიაშვილმა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მთელი ბრალდების მტკიცებულება არის ჩემი 9 საუბარი ემზარ და ნორა კვიციანებთან. ნორა კვიციანთან საუბრები გამოირიცხა. რჩება 8-წუთიანი 5 საუბარი ემზარ კვიციანთან. ამ 8 წუთში თურმე ისეთი დახმარება გავუწიე, რომ მან დაიწყო ამბოხება სახელმწიფოს გადატრიალების მიზნით. ეს არის უწყინარი საუბრები, სადაც ერთადერთ რჩევას ვაძლევ, რომ ძმათა შორის სისხლი არ დაღვრილიყო. თანაც, ამ 5 საუბრიდან 4 არის გაყალბებული, სადაც ურცხვად არის წაშლილი უმნიშვნელოვანესი ფრაზები.

მე მრავალი წელი შევალიე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას. სიკვდილს არაერთხელ გავუსწორე თვალი: 9 აპრილს, როდესაც ნიჩბებით ჩამქოლეს და გვამებიდან ამომიღეს. სოხუმში, კოდორის ხეობაში,

სადაც მებრძოლებთან ერთად მარუხის უღელტეხილზე აღმოვჩნდი ჩავარდნილი. მე მოვდივარ ეროვნული მოძრაობიდან და ვიყავი ერთ-ერთი ლიდერი. ჩემთვის უზენაესი პრინციპი იყო, არის და იქნება საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა.

მე უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან გადავდექი ჩემი ნებით, მხოლოდ და მხოლოდ პრინციპის გამო, ვინაიდან წინააღმდეგი ვიყავი საქართველოს „დსთ"-ში შესვლისა. როგორც უშიშროების მინისტრმა მწვავე პროტესტი გამოვაცხადე პატიმარ ზურაბ წიკლაურის წამების გამო და ხელისუფლება ღიად დავადანაშაულე. ამით ის პიროვნება გადარჩა.

მე ვარ ბრალდებული ჩემი აზრების გამოხატვისთვის. თანაც ეს აზრები მიმართული იყო ერთი რამისკენ, სისხლისღვრა აგვეცილებინა თავიდან. ამ უსუსურ, შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე ჩემი დადანაშაულება იქნება სამარცხვინო ლაქა საქართველოს უახლოეს ისტორიაში. ასეთი ბრალდებით, ქალბატონო მოსამართლე, თქვენ მართლაც შეხვალთ ისტორიაში, ოღონდ ძალიან ცუდად. მაგრამ, თუ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად დასაბუთებული იქნება ეს ბრალდება, მაშინ რაღას ვწვალობთ.

მე საკმაოდ ძლიერი ნებისყოფა მაქვს. 10 თვეა საკანში მარტო ვარ. რადიოზე და ტელევიზიაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ეზოშიც რომ გავყავართ, იქაც მარტო ვარ. ამით ჩემი ფსიქოლოგიური დათრგუნვა უნდათ. თუმცა, მინდა ვიყო გულწრფელი, სასჯელაღსრულებით დაწესებულებასთან მე არანაირი პრეტენზია არა მაქვს. ეს სხვა დონიდან მოდის, თანაც შიგადაშიგ დელიკატურად მაფრთხილებდნენ, რომ თუ პრეტენზიას გამოვთქვამდი და გადასვლას მოვითხოვდი, ჩემი მდგომარეობა პროცესამდე კიდევ უფრო დამძიმდებოდა.

ეს ფიზიკურ წამებაზე ნაკლები არ არის, შეიძლება უფრო მეტიც არის, მაგრამ მე ეს უკვე გადავიტანე.

მას შემდეგ, რაც არ დაკმაყოფილდა ჩემი დაცვის შუამდგომლობები, რომ ის გაყალბებული კომპაქტდისკი დაუშვებელ ნივთმტკიცებად ყოფილიყო, ან ექსპერტიზა მაინც ჩატარებოდა, რომელიც დაადასტურებდა, რომ იყო გაყალბებული, აქედან გამომდინარე, მე საფუძვლიანი ეჭვი მექმნება, რომ, სამწუხაროდ, განაჩენი წინასწარ არის დაწერილი და გადაწყვეტილი. ამიტომ, მე ვაცხადებ უვადო შიმშილობას და არ გავჩერდები. ეტყობა, ვიღაცამ თავი უნდა გადადოს, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ყურადღება მოგვაქციოს".

ბათიაშვილის გადაწყვეტილებას საზოგადოების შეშფოთებული რეაქცია მოჰყვა. „ქვეყანას სჭირდები", „მაგათაც ეგ უნდათ", „შენი სიკვდილი უნდათ", — უყვიროდა ხალხი ბათიაშვილს შემინული გალიიდან გასვლისას. ლუიზა შაკიაშვილმა ბათიაშვილი ხმამაღალი შეძახილებით გააცილა: „არ გაბედო! არ გააკეთო ასეთი რამ". პროცესის შემდეგ კი აღელვებული შაკიაშვილი ამბობდა: „ხალხო, სამი დღე ვიჯექი კარცერში და ეს ისეთი საშინელებაა, რას შევადარო, არ ვიციო. ირაკლი კი 10 თვე მჯდარა, ეს უდიდესი წამებაა".

სოსო ბარათაშვილმა მოსამართლის გადაწყვეტილება ასე შეაფასა: „ბრალდება არის საერთოდ დაუსაბუთებელი, პროკურატურის გამოგონილი ფრაზები ჩართულია როგორც საბრალდებო დასკვნაში, ისე საბრალდებო სიტყვაში. ისინი არ არიან ასახული საქმეში არსებული მტკიცებულებებით. რატომ გამოიტანა მოსამართლემ ეს განაჩენი, გასაგებია. ეს არის მართლმსაჯულების საერთო მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში".

ადვოკატების განცხადებით გადაწყვეტილება აუცილებლად გასაჩივრდება.

ნათია ბერსენაძე

გაზ. „ჯორჯიან-თაიმსი"
24-31 მაისი, 2007 წ.

განაჩენი ირაკლი ბათიაშვილს

შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა — ასეთია უშიშროების ყოფილი მინისტრის, შეიარაღებული ამბოხის ინტელექტუალურ მხარდაჭერაში ბრალდებულ ირაკლი ბათიაშვილისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. მოსამართლე მაია თეთრაულმა გუშინ ისე ჩურჩულით წაიკითხა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, რომ დარბაზში მყოფებს არაფერი გაუგიათ. ბათიაშვილისთვის გამოტანილი განაჩენი სასამართლოს შენობაშიც და მის გარეთაც ქართული მართლმსაჯულების მკაცრი კრიტიკის მიზეზი კიდევ ერთხელ გახდა. „საბჭოთა სამართალი", „ბოლშევიკური სამართალი", — ეს სიტყვები ისმოდა გუშინ თბილისის სხვადასხვა უბანში, სადაც ბათიაშვილის მხარდამჭერებმა საპროტესტო აქციები გამართეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ბათიაშვილი პოლიტიკური პატიმარია და მისი მხარდამჭერი აქციები მანამდე გაგრძელდება, ვიდრე მას არ გაათავისუფლებენ.

განაჩენის გამოცხადებიდან რამდენიმე საათში, იმ დროს, როდესაც ირაკლი ბათიაშვილისთვის მისჯილ შვიდწლიან პატიმრობასთან დაკავშირებით კომენტარები და პოლიტიკური განცხადებები კეთდებოდა, გენერალურ პროკურატურაში საგანგებო ბრიფინგი მოეწყო. ბრიფინგზე სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლის სტატუსით მყოფმა ირაკლი კობიძემ კიდევ ერთხელ წაიკითხა ბათიაშვილისთვის დაწერილი საბრალდებო დასკვნა. პროკურორი ბრიფინგზე კატეგორიულად აცხადებდა, რომ ირაკლი ბათიაშვილისთვის წარდგენილ ბრალდებას მის პოლიტიკურ გამოსვლებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატები, ოჯახის წევრები, ახლობლები, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისევე როგორც თავად განსასჯელი, წინასწარ აკეთებდნენ პროგნოზს, რომ სასამართლო პროკურატურის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა.

ვიდრე პროკურორი საბრალდებო სიტყვას იტყოდა და განსასჯელისთვის ათწლიან პატიმრობას მოითხოვდა, განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ბათიაშვილის ადვოკატები პროკურატურას საპროცესო გარიგების გაფორმებას შესთავაზებენ, ბრალდების მხარე თანხმობას განაცხადებდა. თუმცა, პროკურატურის ამ შეთავაზებაზე განსასჯელმაც და მისმა დამცველებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის არც ერთი მოწმე არ დაკითხულა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო ბრალდებას მოწმეები არ ჰყავდა. ბათიაშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში სახელმწიფო ბრალდება მხოლოდ სატელეფონო საუბრებს ეყრდნობოდა. ბრალდება ცხრა სატელეფონო საუბრის ჩანაწერზეა დამყარებული, რომელთაგან ხუთი — ემზარ კვიციანთან, ოთხი კი ნორა კვიციანთან შედგა.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას სახელმწიფო ბრალდება ირწმუნებოდა, რომ ბათიაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები მყარი და უტყუარი იყო. დაცვის მხარე და თავად განსასჯელი კი მთელი ამ ხნის განმავლობაში აცხადებდნენ, რომ ბრალდების პოზიცია იყო უსუსური და არანაირი გამამტყუნებელი მტკიცებულებები მას არ გააჩნდა; რომ მტკიცებულებები, რომელსაც ბრალდება უტყუარს უწოდებდა, გაყალბებული იყო და ამ გაყალბებული მტკიცებულებებიდანაც კი არ იკვეთებოდა ბათიაშვილის მხარდაჭერა შეიარაღებულ ამბოხში.

რაც მთავარია, სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხულმა ბათიაშვილის საქმის გამომძიებელმა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელმა, ზურაბ ბეიტრიშვილმა აღიარა, რომ კომპაქტდისკებისთვის, სადაც ბათიაშვილის ნორა და ემზარ კვიციანებთან სატელეფონო საუბრების ჩანაწერებია, არ მოუსმენია და არ უნახავს. თუმცა, ამის მიუხედავად, კომპაქტდისკები დადგენილებით მაინც ცნო ნივთიერ მტკიცებულებად და სისხლის სამართლის საქმეს დაურთო.

პროცესზე გაირკვა, რომ გამომძიებელს, რომელმაც სატელეფონო ჩანაწერები მტკიცებულებებად ცნო და საქმეს დაურთო, ამ საუბრების მხოლოდ გაშიფრული ვარიანტი მიაწოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მოსამართლემ დაცვის მხარეს თანხმობა განუცხადა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი კოდუასა და შინაგან საქმეთა სამინ-

ისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსის ზურაბ კოტარიას დაკითხვაზე, მოსამართლისვე გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები სასამართლო პროცესზე აღარ დაიკითხნენ. არადა, დაცვის მხარე სწორედ სოდ-ის ხელმძღვანელისა და შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსისგან ელოდნენ პასუხს შეკითხვაზე: როგორ შეიქმნა გაყალბებული მტკიცებულებები — კომპაქტდისკები, რომლებზეც სატელეფონო საუბრებია ჩაწერილი.

„ჩვენ სამართლიანი ბრძოლის გაგრძელებას ვაპირებთ. საქართველოში წარუმატებლობის შემთხვევაში, ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტანციის ამოწურვის შემდეგ განაჩენი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრდება და აუცილებლად დადგება იმ მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ასეთი, სამართლებრივად უსაფუძვლო განაჩენი გამოიტანა", — აცხადებენ ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატები.

სხვათა შორის, ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty international-მა ირაკლი ბათიაშვილის სასამართლო პროცესის მონიტორინგი განახორციელა. ორგანიზაციამ შეშფოთება გამოთქვა ირაკლი ბათიაშვილისთვის საერთაშორისო დონეზე გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის გამო და განაცხადა, რომ „სამართალწარმოების დროს დაუშვებელია ხელისუფლების წარმომადგენლების და პოლიტიკური ლიდერების მიერ საჯარო განცხადებების გაკეთება, როგორც ეს მოხდა ირაკლი ბათიაშვილის შემთხვევაში, „როცა დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია და ეცადნენ, გავლენა მოეხდინათ მის სამართლიან გასამართლებაზე".

გუშინ შეიქმნა ირაკლი ბათიაშვილის დაცვის კომიტეტი, რომელშიც შევიდა, თითქმის, ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. კომიტეტი ბათიაშვილის საქმეში ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართვას გეგმავს. კომიტეტის წევრები მიმართვის ტექსტს შეიმუშავებენ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ირაკლი ბათიაშვილის სინდისის პატიმრად აღიარებას მოსთხოვენ.

ირაკლი ბათიაშვილმა სახელმწიფო ბრალდებისა და მართლმსაჯულების მიმართ უნდობლობის გამო, პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. ბათიაშვილის სოლიდარობის ნიშნად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც შიმშილობის დაწყებას გეგმავენ.

პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილ განაჩენს ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატები სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ხათუნა ჯანგირაშვილი

გაზ. „24 საათი" №112
24 მაისი, 2007 წ.

„მივმართავ ხელისუფლებას, გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით, დაფიქრდით თქვენსავე ბედზე!“

საინფორმაციო სააგენტო „პირველმა“ ეროვნული მოძრაობისა და „წინ, საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, პატიმარ ირაკლი ბათიაშვილის ექსკლუზიური ინტერვიუს მოპოვება შეძლო.

— როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ, მაინცდამაინც თქვენ გამხდარიყავით პოლიტპატიმარი?

— ჩემთვის მართლაცდა გაუგებარია, რატომ აქვს საქართველოს პრეზიდენტს და განსაკუთრებით მის უახლოეს გარემოცვას ესოდენ დიდი გართულება და შიში ჩემს მიმართ. ცხადია, რომ კოდორის ხეობის მოვლენებს რეალურად ჩემს დაპატიმრებასთან არავითარი კავშირი არ აქვს და ეს მხოლოდ საბაბი იყო. სინამდვილეში მე ოპოზიციური მოღვაწეობის, კერძოდ, უაღრესად მწვავე კრიტიკული სტატიებისა და რამდენიმე სატელევიზიო გამოსვლის გამო დამაპატიმრეს, რომლებმაც ხელისუფლებაში დიდი გაღიზიანება გამოიწვია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩემს გამოსვლებში, ინტერვიუებში, სტატიებში არასდროს გადავსულვარ ეთიკის, კორექტულობის და ზომიერების საზღვრებს. ამასთან ერთად სხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხშირად ჩემზე გაცილებით მძაფრად აკრიტიკებდნენ და ახლაც აკრიტიკებენ ამ ხელისუფლებას. ასე რომ, მართლაცდა უცნაურია, რატომ ამომიღეს მიზანში გამორჩეულად მე. ჯერ კიდევ 2004 წლის მიწურულს ჩემთვის ცხადი გახდა (და არა მარტო ჩემთვის), რომ ხელისუფლებას ჩემი რაიმე საბაბით დაპატიმრება მიზნად ჰქონდა დასახული. ალბათ, გახსოვთ, ხან „მოდულში“ მიბარებდნენ დაკითხვებზე, ხან — პროკურატურაში... ნაცნობები მაფრთხილებდნენ და მაწვდიდნენ უეჭველ ინფორმაციას, რომ ძალოვან სტრუქტურებს ჩემი დაპატიმრების მიზნით რაღაც პროვოკაციის მოწყობა ჰქონდათ განსაზღვრული... თითქმის მუდმივად მითვალთვალებდნენ და დამყვებოდნენ გარე მეთვალყურეობის მან-

ქანები... დიახ, ფაქტია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული გართულება ჩემს მიმართ და იმთავითვე შეპყრობილი იყო სურვილითა და იდეით, აუცილებლად დაეჭირა ირაკლი ბათიაშვილი. 2006 წლის 29 ივლისს ჩემი დაპატიმრება წმინდა წყლის პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო! დარწმუნებული ვარ, ჩემი დაპატიმრების შემდეგაც რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება უშუალოდ ჩემს გამო განხორციელდა (მაგალითად, სასამართლოს შენობაში ვიდეო-გადაღებების აკრძალვა სსკ-ის 315-ე მუხლის შეცვლით და სხვა).

— გაქვთ თუ არა იმედი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით გათავისუფლდებით?

— დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ჩემს, როგორც სინდისის პატიმრის მიმართ მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდება. ეს გარდაუვალია და ამას ჩვენი საზოგადოება მალე დაინახავს! ამასთან ერთად მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის სინდისის პატიმრის განთავისუფლების კომიტეტის წევრებს, ჩვენი საზოგადოების საამაყო წარმომადგენლებს და მოღვაწეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს, რიგ პოლიტიკოსებს...

— რას ეტყოდით პრეზიდენტს? საზოგადოებას?

— მსურს, მივმართო ხელისუფლებას: გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით! დაფიქრდით თქვენსავე ბედზე! ნუთუ არ გაღელვებთ თქვენი მომავალი? თითქოს წერას ჰყავხართ ატანილი! ამდენი უსამართლობა, დანაშაული, ბოროტება ხომ ბუმერანგივით შემოგიბრუნდებათ! მე ამას ნამდვილად არ გისურვებთ, ვინაიდან მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ. მე გისურვებთ გამოფხიზლებას და რეალური ვითარების სწორად შეფასებას. იცოდეთ, რომ დიქტატურა, რეპრესიები, შიშის დანერგვა შეუძლებელია, დიდხანს გაგრძელდეს მშიერ, უმუშევარ და დეზინტეგრირებულ ქვეყანაში, — ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა! თქვენ სწორედ რომ შიშის გამო დაიწყეთ თავის დროზე ძალის დემონსტრირება და საზოგადოების ტერორი, მაგრამ ახლა მითუმეტეს გიჭირთ შიშისგან განთავისუფლება და საკმაოდ მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ხართ. სამწუხაროდ, აშკარად ვხედავ, რომ ასეთ გაუაზრებელ და ბრუტალურ პოლიტიკას მოვლენათა საბედისწერო განვითარებისკენ მივყავართ, სახელდობრ, უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური კონფრონტაციისკენ. სანამ ჯერ კიდევ დროა, დაფიქრდით თქვენსავე ქმედებებზე! ხალხს აღარ

უნდა ის ხელისუფლება, რომელიც ქრონიკულად ყრუა მისი მოთხოვნებისადმი! დღეს ქვეყანას სჭირდება გაწონასწორებული, კარგად გააზრებული, შემწყნარებლური და თანაც პრინციპული პოლიტიკა, ხოლო ეს უაზრო ძალადობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ჩვენ კრიტიკულ ზღვარს ვუახლოვდებით! ფრენსის ფუკიამა ამბობს: „არ არსებობს დიქტატურა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შიშველი ძალის საშუალებით მართავდეს ქვეყანას". დემოკრატიის გამარჯვება საქართველოში გარდაუვალია!

გაზ. „ახალი თაობა" №190
13 ივლისი, 2007 წ.

რუს ჯალათებს გვამი ეგონათ და სწორედ ამიტომ გადაურჩა აჩეხვას...

საქართველოს უახლესი ისტორია 1989 წლის 9 აპრილიდან იწყება და სწორედ ამ თარიღს უკავშირდება საბჭოთა იმპერიის რღვევაც.

9 აპრილი რუსული პოლიტიკის სისხლიანი ლაქაა, რომელსაც ვერასოდეს მოიცილებს, ქართველებისათვის კი — სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობის დასაწყისი...

ირაკლი ბათიაშვილი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, მაშინ მთავრობის სახლის წინ იდგა და ცნობილი „ჩეხვის" შემდეგ მისი უგონო სხეული ასფალტზე ეგდო. რუს ჯალათებს გვამი ეგონათ და სწორედ ამიტომ გადაურჩა აჩეხვას.

იმ სისხლიან დღეებს იხსენებს ირაკლი ბათიაშვილის დედა, ირა კუჭუხიძე-ბათიაშვილი.

— ქალბატონო ირა, ძალიან ძნელია დედისათვის იმ საშინელი დღეების გახსენება, მაგრამ ეს თემა ყოველთვის აქტუალური არის და იქნება საქართველოსათვის, მიუხედავად სიძნელისა, იქნებ შეეცადოთ, თანმიმდევრობით გვიამბოთ რა მოხდა მაშინ?

— 1989 წლის 4 აპრილს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მთავრობის სასახლის წინ დასხდნენ. ეს იყო მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რომელიც აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული მოქმედებების საწინააღმდეგოდ გაიმართა. პირველი ლოზუნგი, რომლითაც მთავრობის სასახლის წინ მიტინგი დაიწყო, ამ თემას ეხებოდა. შემდეგ მიტინგმა საყოველთაო ხასიათი მიიღო და ლოზუნგიც შეიცვალა. ზუსტად არ მახსოვს ფრაზა, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო — რუსო ოკუპანტებო წადით საქართველოდან! ვითხოვთ დამოუკიდებლობას! და ასე შემდეგ... მიტინგმა აშკარად გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი და მნიშვნელობა მიიღო. ბევრს შეიძლება არ ახსოვს, მაგრამ ლოზუნგის შეცვლა ირაკლის დამსახურებაა. მან თქვა: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მნიშვნელობა წამოვწიოთ წინო და დანარჩენმა ლიდერებმაც გაიზიარეს მისი აზრი (კომენტარი: ლოზუნგის შეცვლა იყო, როგორც ირაკლი ბათიაშვილის, ასევე, უპირველეს ყოვლისა, ირაკლი წერეთლის და

მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გიორგი ჭანტურიას ინიციატივა).

1989 წლის 9 აპრილის მიტინგი ისტორიაში შევიდა — საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით და არა როგორც აფხაზ სეპარატისტთა საწინააღმდეგო მიტინგი.

— ირაკლი, როგორც მახსოვს, თავიდანვე იდგა მიტინგზე, კონკრეტულად როდის შეიცვალა ლოზუნგი?

— ირაკლი თავის თანაპარტიელებთან ერთად ახმეტაში იყო და მიტინგი დაიწყო თუ არა, მალევე შეუერთდა (**კომენტარი: ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი იყვნენ არა ახმეტაში, არამედ აფხაზეთში**). თუ რაოდენ ძლიერი იყო მაშინ ეროვნული მუხტი, კარგად ახსოვთ მათ, ვინც ამ მიტინგში მონაწილეობდა. მონაწილეობდა უამრავი ქართველი. სწორედ მასშტაბურობის გამო გადაწყვიტეს ლიდერებმა, რომ ამ მიტინგს მკვეთრად გამოხატული ეროვნული ლოზუნგი ჰქონოდა. პირველად ეს ირაკლიმ თქვა, მას მხარი დაუჭირეს მისმა თანაპარტიელებმა — ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ და შემდეგ ეროვნული მოძრაობის დანარჩენმა ლიდერებმა.

— 9 აპრილის ღამეს თქვენც მთავრობის სასახლის წინ იყავით?

— რა თქმა უნდა, პირველივე დღეებიდანვე, დაიწყო თუ არა მიტინგი, სულ იქ ვიყავი. დროდადრო სახლში ამოვდიოდი, რადგან ახლოს ვცხოვრობდი. ირაკლის მეგობრებიც ამოდიოდნენ.

8 აპრილს რუსმა სამხედროებმა მარშირება დაიწყეს მოედანზე, ტანკებიც გამოიყვანეს, თავისი ძალის დემონსტრირებით მომიტინგეთა დაშინება უნდოდათ, მაგრამ მომიტინგეები ამას არ შეუშინებია, პირიქით, უფრო მეტი ხალხი მოვიდა. ყველასათვის გასაგები გახდა, რომ რუსები ძალას გამოიყენებდნენ.

9 აპრილის ღამე დაიწყო, ღამის ორ საათამდე ვიდექი მთავრობის სახლის წინ, შემდეგ სახლში ავედი, ლოცვების წიგნი გადავშალე და კითხვა დავიწყე. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვკითხულობდი. ტელეფონის ზარი გაისმა და უცხო ვაჟი მეკითხება: ქალბატონი ირა ბრძანდებით? დიახ, — ვეუბნები. ჩვენ დაგვშალეს, ირაკლი ცოტა ნაცემია, რესპუბლიკურ საავადმყოფოშია, მე-9 სართულზე...

არ მახსოვს, რომელი საათი იყო, არც ის მახსოვს, როგორ გამოვედი სახლიდან „ლენინის მოედანზე", — მაშინ ასე ერქვა, — რუსი ჯარისკაცი მეუბნება: „ნაზად!" ლერმონტოვის ქუჩაზე გავვარდი, ქალაქი უკაცრიელია, ვდგავან დადიანისა და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთაზე, არ ვიცი რა ვქნა და ამ დროს მანქანა მოდის. წინ

გადავუდექი, გააჩერეს, სომხები აღმოჩნდნენ. ქუჩები გადაკეტილია, „ცავატანემ“, ვერ მიგიყვანთო, — მეუბნებიან. შვილი მყავს დაჭრილი, უნდა მიმიყვანოთ-მეთქი. უარი ვეღარ მითხრეს და ქვედა ქუჩებით მიმიყვანეს საავადმყოფომდე.

— ქალბატონო ირა, რამდენადაც ვიცი, ირაკლი კარგახანს გარდაცვლილი ეგონა ხალხს, მის შესახებ არავითარი ცნობა არ იყო.

— საავადმყოფოდან ჩუმად გავიტაცეთ ირაკლი და ამას ახლა პირველად ვამბობ... როდესაც საავადმყოფოში მივედი, არ მახსოვს როგორ ავედი მეცხრე სართულზე. ვიღაცამ ჩამჩურჩულა: ჩქარა გაიყვანეთ აქედანო. პალატაში შევედი და ვხედავ საწოლზე უგონოდ წევს — დასიებული, დალურჯებული, გასისხლიანებული თმები ერთმანეთზე აქვს შეწებებული. მიცვალებულს ჰგავს. თავზე ექიმი ადგას. როგორც ჩანს, ბრძანება იყო, რომ ლიდერები განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდათ. ექიმს ვთხოვე, გამატანეთ სახლში, იქ მივხედავ-მეთქი. კატეგორიული უარი მითხრა. ამ დროს იური როსტი მოვიდა ჩემთან, ცნობილი რუსი ჟურნალისტი და მეუბნება — მე დაგეხმარებითო. მას გოგი ხარაბაძე ახლდა და ორივემ ექიმი გვერდზე გაიყვანეს, ინტერვიუ უნდა ჩავწეროთ თქვენთანო. როსტი ძალიან პოპულარული იყო მაშინ და ექიმი სიამოვნებით დათანხმდა, დერეფნის ბოლოში წავიდნენ. ამ დროს, ირაკლის თანაპარტიელები და მეგობრები ირაკლი ფავლენიშვილი და გიორგი მაყაშვილი დამადგნენ თავზე, თურმე იქ იყვნენ და ირაკლი საავადმყოფოდან გავიტაცეთ. იური როსტს ჩემს მისვლამდე ფოტო ჰქონდა გადაღებული — ირაკლი უგონოდ წევს, მიცვალებულს ჰგავს. ეს ფოტო მოგვიანებით მოგვცეს.

— ირაკლი მაინც აიყვანა მილიციამ და სხვა ლიდერებთან ერთად ციხეში იყო, როგორ?

— ჩემი მეგობრის სახლში ვმალავდით. კერძო სახლი იყო. სინათლეს არ ვანთებდი. ირაკლი კარგახანს უგონოდ იყო. ჩემი მეგობარი დღეში ერთხელ მოდიოდა, შეთანხმებული პაროლით კარზე აკაკუნებდა, პროდუქტი და წამლები მოჰქონდა. თავისი მეგობარი ექიმისავთის უკითხავს, როგორ ვუმკურნალოთო. ჩვენი და ჩვენი მეზობლების სახლები გაჩხრიკეს, ირაკლის ყველგან ეძებდნენ. ირაკლი ოდნავ მომჯობინდა და გიორგი ოჩიაურმა შემომითვალა, ჩემთან გადავიყვან და მე მივხედავო, ასე უფრო უსაფრთხო იქნებაო. ეს უკვე ის პერიოდია, როდესაც შევარდნაძე ჩამოვიდა და თბილისში მდგომარეობა შედარებით შემსუბუქდა, კომენდანტის საათი მოიხსნა.

ირაკლი ისევ ჩუმად გადავიყვანეთ ოჩიაურის სახლში, მაგრამ იქ დიდხანს აღარ დარჩენილა. ფეხზე დადგომა როგორც კი შეძლო, უნივერსიტეტში წავიდა მიტინგზე. გიორგიმ დამირეკა და მითხრა: მისი შეჩერება ვერაფრით შევძელიო.

ირაკლი უნივერსიტეტთან აიყვანეს და მილიციაში წაიყვანეს დაკითხვაზე. ძალიან სუსტად იყო, შუაღამემდე გააჩერეს და გამოუშვეს. არ გამოუშვებდნენ, მაგრამ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია განიმუხტა და დამოკიდებულება ლიდერების მიმართ კარდინალურად შეიცვალა. ყველა ლიდერი, ვინც კი ჰყავდათ დაკავებული, გამოუშვეს, ხოლო შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, ცნობილია...

ესაუბრა მარიკა კახაძე

გაზ. „ჯორჯიან თაიმსი"
12-19 აპრილი, 2007 წ.

ხალხი ჩურჩულებდა: რა სირცხვილია...

ირაკლი ბათიაშვილი მამის გარდაცვალების გამო ციხიდან რამდენიმე საათით გამოუშვეს. 67 წლის ცნობილი რეჟისორის, ბატონი დიმიტრის ჯანმრთელობა შვილის დაპატიმრებამ საბოლოოდ შეარყია. ბოლო პერიოდში მამა შვილს ხშირად ახსენებდა და წუხდა: ეს უსამართლობა მომკლავსო.

მას გული მოულოდნელად გაუსკდა...

მეხუთე სართულზე ასვლისას ბადრაგი თითქმის ყველა სართულზე გეხედება. მრავლად არიან სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ძალოვანებიც, რომლებიც მე-5 სართულზე მუშაობის უფლებას არ გვაძლევენ. „ჯორჯიან თაიმსი" ცდილობს ბატონი ირაკლი „ჩანეროს", მაგრამ ბადრაგი მკაცრად გვაფრთხილებს: ირაკლი არ „ჩანეროთ", თორემ დასაფლავებაზე არ გამოუშვებენ. ბადრაგის მითითებას ვითვალისწინებთ, არ გვინდა, ჩვენი მიზეზით ირაკლიმ მამა უკანასკნელ გზაზე ვერ გააცილოს.

პანაშვიდზე უამრავი ადამიანი მოდის. აქ არიან ხელოვანთა წარმომადგენლებიც. ოჯახს უსამძიმრებს რეზო ჩხეიძე, გურანდა გაბუნია, ოთარ მელვინეთუხუცესი, გიგა ლორთქიფანიძე, ქეთევან კიკნაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ირაკლი წერეთელი, ლევან და დავით ბერძენიშვილები, ჯონდი ბაღათურია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, სოსო შატბერაშვილი, გია იაშვილი...

„ჯორჯიან თაიმსთან" გასაუბრებისგან რამდენიმე მათგანი თავს იკავებს. იგრძნობა, რომ მათ პატიმრის პატივისცემა და ერთგვარი შიში ერთდროულად დაუფლებოდათ.

მერაბ კოკოჩაშვილი *(რეჟისორი)*: სასამართლოს რამდენჯერმე დავესწარი და რატომ არის ეს ადამიანი დაპატიმრებული, სამხილი ვერ მოვისმინე. ჩემთვის ეს მიუღებელი და გაუგებარია. ბატონ დიმიტრის გარდაცვალებამდე დაახლოებით კვირა-ნახევრის წინ ვესაუბრე. ძალიან ცუდად იყო, ირაკლიზე წუხდა.

მარინა ჯანაშია *(მსახიობი)*: ვინც ირაკლის იცნობს, მისი დაპატიმრების ფაქტი, რომ ის არის სამშობლოს მოღალატე, ძალიან სასაცილოდ ეჩვენება, იმიტომ რომ ეს არის ადამიანი, რომელიც სამშობლოს სიყვარულით სანთელივით, კელაპტარივით იწვის.

თემურ გოცაძე *(მხატვარი)*: ირაკლის მიმართ ადამიანურად მოიქცნენ. ჯერ ერთი, დიმა იმ რანგის ხელოვანი იყო, რომლის წასვლა ძალიან დიდი დანაკლისია. მას გადაღებული აქვს რამდენიმე ფილმი, რომელიც ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაშია შესუ-

ლი. უაღრესად საინტერესო ადამიანი იყო. თუკი ირაკლისნაირი ადამიანები აუცილებელნი გახდნენ ქართული ყოფისთვის, ეს მისი მშობლების დამსახურებაა. ველოდებოდი, რომ გამოუშვებდნენ.

მამუკა გიორგაძე *(პოლიტიკოსი)*: მამის დასაფლავებაზე რომ გამოუშვეს, ეს განსაზღვრულია კანონმდებლობით. მეორე მხრივ, ამ ხელისუფლებას საზოგადოების თვალში ადამიანური სახის მიღების სურვილი აქვს და მეტი არაფერი. თვითონ ის ფაქტი, რომ ირაკლი ბათიაშვილი დაპატიმრებულია, ეს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი უსამართლობის ზღვარს სცილდება. ამის მიღმა სამართლებრივი კუთხით ძალიან აბსურდული სიტუაციაა.

ნანა კაკაბაძე: დიმამ ირაკლის დაპატიმრება ველარ გადაიტანა, თან გული აწუხებდა. ჩვენ ველოდით, რომ მას გამოუშვებდნენ, იმიტომ რომ ბოლო პერიოდში ხშირად ხდება, რომ ასეთი უბედური შემთხვევის დროს მგლოვიარე პატიმარს პანაშვიდებზე და დასაფლავებაზე უშვებენ.

გოგა ხაინდრავა *(პოლიტიკოსი)*: ჩვენი დანაპირები, რომ ადამიანის უფლებების დარღვევებზე და იმ აღვირახსნილობაზე, რომელიც ქვეყანაში სამართლებრივ სფეროში დაამკვიდრეს, იქნებოდა ძალიან ფართომასშტაბიანი, უსრულდებათ. მე ხელთ მიჭირავს მიმართვა ბათიაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით.

ეს არის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ბათიაშვილისადმი მხარდასაჭერი მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ ადამიანის უფლებების ცნობილი დამცველები, ყოფილი პოლიტპატიმრები, ვინც თავისი ერთგულება თავისუფლებისადმი და დემოკრატიისადმი საბჭოთა რეჟიმის საპყრობილეებში დაამტკიცა.

ერთ-ერთია ვლადიმერ ბუკოვსკი, ადამიანი, რომელიც საბჭოთა საპყრობილეში სასჯელს აბსოლუტურად უკანონოდ იხდიდა, როგორც დღეს ბათიაშვილი. ასეთი ადამიანების მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში საზოგადოებრივ აზრს ჩამოაყალიბებს. ეს მიმართვა გადაიქცევა პოზიციად, რომლის დაძლევა ამ უდღეურ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება.

გოგი ქავთარაძე *(მსახიობი)*: სამწუხაროდ, იმას, რასაც ახლა ვიტყვი, არავითარი აზრი არა აქვს. ეს არის ყველაზე მტკივნეული და ტრაგიკული ჩვენს ქვეყანაში. ვინც ჩემს აზრს იზიარებს, იმას გადაწყვეტილებასთან კავშირი არა აქვს, ვისაც გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, ისინი ჩვენ ყურს არ გვიგდებენ. ჩვენში ვგულისხმობ მთელ ქართულ საზოგადოებას. ეს ხომ მარტო სუბიექტური მიდგომა არ არის. ირაკლი ბათიაშვილის ქვეყნის მოღალატედ გამოცხადება არის აბსურდი და სასაცილო.

გია კობახიძე *(პოლიტიკოსი)*: გული მწყდება, რომ მეგობრის ხილვა სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით მომიწია. ამ შეხვედრას დადებითი ემოციებიც ახლავს, იმიტომ რომ მეგობრის მონატრება ძნელი ყოფილა. ის ფაქტი, რომ ირაკლი მამის გარდაცვალებას თავის მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად სრულად ვერ აღიქვამს, ვერ განიცდის და იზიარებს, თავისთავად მრავლისმთქმელია.

გია ჯოხაძე: ირაკლი ჩემი შვილის ნათლიაა. ირაკლისთან მრავალი წელია ვმეგობრობ და ბატონი დიმაც მახსოვს. ირაკლის პატიმრობის ფაქტში კი როგორ შეიძლება რაიმე გამართლებას ვეძებდე. ასეთი ინტელექტის, ასეთი გამოცდილების ადამიანი ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოს გამოადგებოდა. ის ფილოსოფოსია, აზროვნების სრულიად სხვა მასშტაბები და განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვს.

მამა გიორგი *(დორეული. ირაკლი ბათიაშვილის მოძღვარი)*: ირაკლი ბათიაშვილი კარგი ქართველია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი სულიერი შვილია. ეგეთი ქართველი ქვეყანას 20% მაინც რომ ჰყავდეს, დიდებული იქნება. იგი ღრმადმორწმუნე, ღრმადსულიერი და პატიოსანი ადამიანია. ერთი რამ მინდა ვთქვა, ფარა რომ შემოტრიალდება, კოჭლი ცხვარი დროებით წინ მოექცევა და დღეს თუ ვინმე წინ არის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარადიულად ასე იქნება. საქართველომ გაუძლო მურვანყრუებს, საქართველომ გაუძლო აღამაჰმად-ხანებს და საქართველო კიდევ ბევრ ანტიქრისტეებს გაუძლებს.

ირაკლი ბათიაშვილის „ამნისტია“ ამოინურა... ბადრაგი პატიმარს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მანქანამდე აცილებს.

ჭავჭავაძეზე შეკრებილი საზოგადოება პატიმარს ტაშითა და შეძახილებით ამხნევებს: გაუძელი! ჩვენ შენთან ვართ!

აქა-იქ კი ჩურჩულებენ:

— რა სირცხვილია...

ნათია ბერსენაძე

გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“ №025 (440)
21-28 ივნისი, 2007 წ.

მოსამართლე თეთრაულს ბათიაშვილის საქმეზე დარღვევები მისხალ-მისხალ დაუთვალეს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მოსამართლე მაია თეთრაულის მიმართ დისციპლინარული წარმოების დაწყებას მოითხოვს. მან ირაკლი ბათიაშვილის საქმე ადვოკატ სოსო ბარათაშვილის განცხადების საფუძველზე შეისწავლა და მიაჩნია, რომ საქმის განხილვისას და განაჩენის გამოტანისას მოსამართლემ საქართველოს კონსტიტუცია, სს საპროცესო და სს კოდექსები არაერთხელ უხეშად დაარღვია. რამდენიმე დღეში სახალხო დამცველი ბათიაშვილის საქმეზე დასკვნას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაუგზავნის და მოსამართლე მაია თეთრაულის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას მოითხოვს.

სახალხო დამცველს იმედი აქვს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლე თეთრაულის საქმეს შეისწავლის. თუმცა რამდენად დამაჯერებელი იქნება გადაწყვეტილება, ამაზე კომენტარის გაკეთება უჭირს. თავად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განმარტავენ, რომ არც ერთი განცხადება, რაც კი მათთან შედის, რეაგირების გარეშე არ რჩება.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ მე-5 მუხლის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. საბჭოში შემოსული ყველა განცხადებაც კონფიდენციალურია. თუმცა ყველა განცხადებაზე უმაღლესი საბჭო რეაგირებას ახდენს", — განმარტავენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრესცენტრში.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 17 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს განსასჯელმა ირაკლი ბათიაშვილმა და მისმა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა. ადვოკატი მიიჩნევდა, რომ ბათიაშვილი სასამართლოს მიერ არაკანონიერად იქნა მსჯავრდებუ-

ლი, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება მისი დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, გაყალბებულია სატელეფონო საუბრები, რომელთა საფუძველზეც დაედო მსჯავრი ბათიაშვილს.

როგორც სოზარ სუბარი „რეზონანსთან" საუბრისას აცხადებს, საქმის განხილვისას დაირღვა ირაკლი ბათიაშვილის უფლებები, რამაც არსებითი გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაზე. მისივე თქმით, ბათიაშვილის მიმართ ასევე დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, ხოლო გამოტანილი განაჩენი არის დაუსაბუთებელი და არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს.

„ბათიაშვილს ბრალი წაუყენეს არამყარი მტკიცებულებების საფუძველზე. საქმის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ 2006 წლის 29 ივლისს გამოძიებას რეალურად არ მოეპოვებოდა არც სატალეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერი და არც მისი გაშიფრული ვარიანტი და კრებსები. ეს უკანასკნელი ნივთმტკიცების სახით სისხლის სამართლის საქმეს 2006 წლის 2 აგვისტოს დაერთო. ამდენად გამოდის, რომ ბრალი, რომელიც წარედგინა ბათიაშვილს, არ ემყარებოდა უტყუარ მტკიცებულებებს, ეს კი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტის უხეშ დარღვევას. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს", — აცხადებს სოზარ სუბარი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ თავდაპირველად სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, თუმცა მოგვიანებით ყოველგვარი სამართლებრივი ლოგიკისა და კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე უარი განაცხადა შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის, ერეკლე კოდუასა და შსს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსის ზურაბ კოტარიას დაკითხვაზე, იმ მოტივით, რომ ისინი მივლინებაში იმყოფებოდნენ.

„მოწმეებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდნენ ბრალდებისთვის, დარწმუნებული ვარ, იძულების წესით მოიყვანდნენ. მთელი წლით ხომ არ იქნებოდნენ კოდუა და კოტარია მივლინებაში? ეს ყველაფერი მხარეებს შორის თანასწორობის დარღვევაზე მიგვანიშნებს. გარდა ამისა, დაცვის

მხარე შუამდგომლობდა, მოწმის სახით დაკითხულიყო ზაზა ბრეგვაძე, შსს-ს სპეცოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე. ბრეგვაძე დაიკითხა წინასწარ გამოძიებაში და დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ მან განსასჯელის სასარგებლო ჩენება მისცა, რაც გამორიცხავდა ბათიაშვილის ბრალეულობას.

„მიუხედავად ამისა, სასამართლომ უარი განაცხადა მის დაკითხვაზე, რის გამოც დაცვის მხარეს წაერთვა შესაძლებლობა, ბრეგვაძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება დაცვის სასარგებლო მტკიცებულებად გამოეყენებინა. მოსამართლე მაია თეთრაულმა ამით დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა — ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა, რომ სასამართლომ შეგნებულად აარიდა თავი სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაბარებულ პირთა გამოცხადების უზრუნველყოფას და მათ დაკითხვას“, — განაცხადა „რეზონანსთან“ საუბრისას სოზარ სუბარმა.

აღსანიშნავია, რომ თანამონაწილეების მთავარი ფიგურა ამსრულებელია, ხოლო თანამონაწილეთა მოქმედება ამსრულებელზეა დამოკიდებული. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ამსრულებელს თანამონაწილის სახედ არ თვლის. შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს დანაშაულში თანამონაწილე ამსრულებლის გარეშე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოძიების მიერ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია ემზარ კვიციანი, როგორც დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი პირი (ამსრულებელი), თუმცა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ არის გამოტანილი.

შესაბამისად, როგორც სუბარი აცხადებს, სასამართლოს მიერ ირაკლი ბათიაშვილის დამნაშავედ გამოცხადება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის ამსრულებელიც მსჯავრდებულად ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

„ანუ, ირაკლი ბათიაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო დამხმარედ იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის ჩადენაც ჯერ სასამართლოს მიერ არ არის დადასტურებული.

„ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მასალებით გამოძიების მიერ უტყუარად არ არის დადგენილი ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე

დაზარალებულად ცნობილი პირები, ქუსქიაშვილი და მუჯირიშვილი, კონკრეტულად რომელ შეიარაღებულ ჯგუფთან შეტაკებისას დაიჭრნენ. შესაბამისად მათი დაზარალებულად ყოფნა საქმეში არამართებულია", — მიიჩნევს სოზარ სუბარი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. როგორც სუბარი „რეზონანსთან" საუბრისას აცხადებს, ბათიაშვილის საქმის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო პირად მოსაზრებებს და იმ მტკიცებულებებს, რომელთა უტყუარობა საეჭვოა და რომლებიც სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია.

„ასეთ მტკიცებულებას კი წარმოადგენდა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, ერთი მხრივ, ირაკლი ბათიაშვილსა და, მეორე მხრივ, ემზარ კვიციანსა და ნორა არღვლიანს შორის. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერები და მათი დეშიფრირებული ტექსტი (კრებსი) ერთმანეთისაგან შინაარსობრივად განსხვავებული იყო. მიუხედავად ამისა, მოსამართლე მაია თეთრაულმა საეჭვოდ არ მიიჩნია მათი ნამდვილობა და, დაცვის მხარის მოთხოვნის მიუხედავად, განაჩენის გამოტანისას ექსპერტიზის დანიშვნის გარეშე დაეყრდნო მათ.

„ზემოთ განხილული საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები არ შეიძლება მივიჩნიოთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისად და უტყუარად, ისევე, როგორც უგულებელყოფილი იყო შეჯიბრობითობა და მხარეთა თანასწორობა. როდესაც თვითონ გამოძიება ვერ ამბობს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მტკიცებულებებიდან რომელია რეალური, როდესაც ვიცით 100%-ით, რომ გაყალბებულია აუდიო ჩანაწერი, მოჭრილია რაღაც ნაწილები...

„როდესაც გაშიფრული მასალა არ ემთხვევა აუდიო ჩანაწერს და გამომძიებელი ვერ ამბობს, რომელია აქედან ჭეშმარიტი. ეს, რა თქმა უნდა, ეჭვის საფუძველს იძლევა. შესწავლილი მასალების საფუძველზე ვაცხადებ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სსს კოლეგიის გადაწყვეტილება ირაკლი ბათიაშვილის საქმეზე არის დაუსაბუთებელი, არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, რაც კანონის მოთხოვნის უხეში დარღვევაა, რის გამოც ბათიაშვილის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება", — აცხადებს „რეზონანსთან" საუბრისას სოზარ სუბარმა.

სუბარის განცხადებას სპეციალური განცხადებით პასუხობს საქართველოს უზენაესი სასამართლო. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, სახალხო დამცველისთვის, რომელიც მოსამართლეს ბრალს დებს კონსტიტუციის მოთხოვნების დარღვევაში, როგორც წესი, ცნობილი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესახებ. „თუმცა მის მიერ როგორც ახლა, ისე მანამდეც გაკეთებული განცხადება აღნიშნულის თაობაზე დაეჭვების საფუძველს იძლევა", — აცხადებენ უზენაესი სასამართლოს პრესცენტრში.

ესაუბრა **თამთა ქარჩავა**

გაზ. „რეზონანსი"
7 აგვისტო 2007 წ.

ირაკლი ბათიაშვილი თავისუფალია

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ბათიაშვილი, თავისუფალია. ის გუშინ საქართველოს პატრიარქის თხოვნით შეინყალეს. გათავისუფლების შემდეგ ირაკლი ბათიაშვილი პირდაპირ საპატრიარქოში გაემგზავრა, სადაც ის უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შეხვდა.

მან პატრიარქს მადლობა ჯერ კიდევ ციხიდან გამოსვლისას გადაუხადა. საპატიმროსთან ირაკლი ბათიაშვილს მხოლოდ ჟურნალისტები ელოდნენ.

ირაკლი ბათიაშვილის შეწყალება გუშინ ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბათიაშვილმაც და მისმა ოჯახის წევრებმა ამ გათავისუფლების შესახებ ტელევიზორიდან შეიტყვეს.

სწორედ ამ მოულოდნელობამ გამოიწვია ერთი გაუგებრობა. როცა ბათიაშვილის გათავისუფლების ამბავი გავრცელდა, ითქვა, რომ მას პირდაპირ საპატრიარქოში მიიყვანდნენ.

ამიტომაც ახლობლები, თანამოაზრეები და ოჯახის წევრები მას საპატრიარქოსთან ელოდნენ, საპატიმროსთან კი ფაქტიურად არავინ დახვედრია.

ირაკლი ბათიაშვილს სიხარული სახეზე აშკარად ეხატა და, როგორც ყოველთვის, თავი ამჯერადაც ღირსეულად ეჭირა.

— დიდება უფალს, მადლობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომლის ზრუნვასაც მუდმივად ვგრძნობდი. მადლობა საზოგადოებასა და ქართველ ხალხს თანადგომისთვის, — განაცხადა ციხიდან გამოსულმა ბათიაშვილმა.

მან გუშინ მადლობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს, ასევე საკუთარ ოჯახსაც გადაუხადა.

— ბედნიერი ვარ, რომ მყავს ისეთი ოჯახი, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა ჩემი გათავისუფლებისთვის. მოხარული ვარ, რომ საქართველოში არსებობენ ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომ-

ლებიც ჩემი გათავისუფლებით დაინტერესებული იყვნენ, — აღნიშნა ბათიაშვილმა.

ის ახლო მომავალში პოლიტიკაშიც აპირებს დაბრუნებას, თუმცა, მანამდე კარგად დაისვენებს და სიტუაციაში გაერკვევა.

ამის მიუხედავად, ბათიაშვილმა პოლიტიკური განცხადებები მაინც გააკეთა. მან ძირითადად პოლიტპატიმრებზე ისაუბრა.

— საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ პოლიტიკური პატიმრები. მოხარული ვარ, რომ რამდენიმე დღის წინ სულხან მოლაშვილი და დავით მირცხულავა გაათავისუფლეს. საქართველოში კიდევ ბევრი პატიმარი უნდა გათავისუფლდეს, — მიიჩნევს ბათიაშვილი.

მისი განცხადებით, საქართველოში ძალიან ბევრი პატიმარია. იმდენად ბევრი, რომ საქართველო ტოტალიტარული ქვეყნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც 4 მილიონია, დაუშვებელია 22 ათასი პატიმრის არსებობა. ეს მხოლოდ ტოტალიტარულ ქვეყნებს ახასიათებთ და საჭიროა, ამ მხრივ გარკვეული ძვრები დაიწყოს, — აღნიშნავს უშიშროების ყოფილი მინისტრი.

ირაკლი ბათიაშვილი თავს ყოველთვის უკანონო პატიმრად მიიჩნევდა. მისმა ადვოკატებმა სარჩელი ევროსასამართლოშიც შეიტანეს. ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი აცხადებს, რომ ევროსასამართლო მათი სარჩელის განხილვას ისევ გააგრძელებს.

— ევროპის სასამართლოში სარჩელი 2007 წლის იანვარში შევიტანეთ. სარჩელი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მთელი რიგი მუხლების დარღვევას. ამ სარჩელით ირაკლი ბათიაშვილი მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. ზარალის თანხა ჯერ დაზუსტებული არ არის, — აღნიშნა ადვოკატმა.

ირაკლი ბათიაშვილი 2006 წლის 29 იანვარს დააკავეს. მისი დაპატიმრების საბაბი ემზარ კვიციანთან სატელეფონო საუბარი გახდა.

2006 წლის 22 ივლისს ემზარ კვიციანს, სავარაუდოდ, ცუდ გუნებაზე გაეღვიძა და ამბოხება გადაწყვიტა, უფრო ზუსტად, ამ ფორმით გამოხატა უკმაყოფილება.

კვიციანის მიერ გამოხატულ უკმაყოფილებას რა ამბავიც მოჰყვა საქართველოში, გემახსოვრებათ.

იმ დღეებში საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები კოდორის ხეობაში გადაისროლეს. მაშინ იქაურობას ჯერ კიდევ კოდორის ხეობა ერქვა.

მოგვიანებით მას ზემო აფხაზეთი დაერქვა. ხელისუფლებამ მაშინ საზეიმოდ გვამცნო, ზემო აფხაზეთი შემოვიერთეთო.

თუმცა, არავის განუმარტავს, როდის დაკარგა საქართველომ ეს ტერიტორია. მთელი ამ წლების განმავლობაში ვიცოდით, რომ კოდორის ხეობა ერთადერთი ტერიტორია იყო აფხაზეთში, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა.

და, ჰოი, საოცრებავ, 2006 წლის ივლისის დამლევს ვიგებთ, რომ იქ თურმე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. სხვანაირად რომ გითხრათ, იქ თურმე „პარადი" ემზარ კვიციანს მიჰყავდა.

ერთ დროს კვიციანს იქ „პარადი" მართლა მიჰყავდა. ეს მაშინ იყო, როცა ის ამ მხარეშით პრეზიდენტის რწმუნებული გახლდათ.

ყვავილებიანი გადატრიალების შემდეგ კვიციანმა ეს პოსტი დატოვა. იქ ახალმა ხელისუფლებამ მის ნაცვლად სხვა მიავლინა.

ახალი გუბერნატორი იქ უპრობლემოდ ჩადიოდა. აქედან გამომდინარე, იქაურობა საქართველოს იურისდიქციიდან არ გასულა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ ახალი რწმუნებული ვერ ჩავიდოდა.

იქ ჩასვლა არც კვიციანისთვის იყო პრობლემა. ერთ-ერთი ჩასვლის შემდეგ მან ამბოხება მოაწყო. ის ამბოხება ჩახშობილ იქნა. ამბოხის ჩახშობის შემდეგ ქვეყანაში ბევრი პატრიოტული განცხადება გაკეთდა.

ამბოხების სული და გული ხელისუფლებას გაექცა. მასთან ერთად გაიქცა მისი დისშვილი, ბაჩო არღვლიანი. ხელისუფლებამ ორივეს თავი 100 000 დოლარად შეაფასა.

მერე გაირკვა, რომ ხელისუფლებას კვიციანი დიდად არ ანაღვლებდა. აკი თქვეს კიდეც, ახლა კვიციანი აღარაფერში გვჭირდებაო.

ეს მაშინ მოხდა, როცა ირაკლი ბათიაშვილი დაიჭირეს. ირაკლი ბათიაშვილი კი კვიციანთან სატელეფონო საუბრის გამო დააპატიმრეს.

იმ სატელეფონო საუბრის ჩანაწერები მოგვიანებით ხელისუფლებამ დიდი ამბით მოგვასმენინა, თუმცა, იქ განსაკუთრებული არაფერი იყო.

მოგვიანებით თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, კვიციანისა და ბათიაშვილის სატელეფონო საუბრები შსს-მ დაამონტაჟაო.

ხელისუფლება მაშინ გვიმტკიცებდა, რომ ბათიაშვილი სამშობლოს მოღალატე იყო. ეს ამბავი, საბედნიეროდ, არავინ დაიჯერა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ამაზე აღარც ხელისუფლებამ დაიწყო დავა. მას ემზარ კვიციანისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერა დასდეს ბრალად და 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ბათიაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოში უამრავი საპტროტესტო აქცია გაიმართა. მის გათავისუფლებას ნოემბრის აქციებზეც ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ.

ხელისუფლება არაფრით არ თანხმდებოდა ბათიაშვილის გათავისუფლებას. თანხმობა მხოლოდ ერთი პირობით იქნებოდა მიღებული.

ეს პირობა კი ასეთი იყო — ირაკლი ბათიაშვილს შეწყალება უნდა ეთხოვა. ამაზე ბათიაშვილმა დაიბარა, რაც არ ჩამიდენია, იმაზე შეწყალება როგორ მოვითხოვოო. ამის გამო ის ციხეში დარჩა, მართალია, მხოლოდ თვე-ნახევრით, მაგრამ მაინც.

რას მოიმოქმედებს ირაკლი ბათიაშვილი, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ. თავისი სამოქმედო გეგმების შესახებ ის საზოგადოებას ალბათ უფრო მოგვიანებით დაელაპარაკება. ახლა მისთვის და მისი ოჯახისთვის მთავარი ის არის, რომ ბათიაშვილი თავისუფალია.

ეს თავისუფლება, მართალია, ძვირი დაუჯდა, მაგრამ ციხიდან მაინც გამოვიდა, თანაც, ყოველგვარი შეწყალებისა და მონანიების გარეშე. ეს კი მისი ბუნების სიძლიერეზე მეტყველებს.

ხასიათის სიმტკიცე ბათიაშვილმა არაერთხელ დაადასტურა. 1989 წლის 9 აპრილს ის ეროვნული მოძრაობის ლიდერებიდან ერთადერთი იყო, ვისაც რუსმა სამხედროებმა სასტიკად სცემეს. სიკვდილამდე მიყვანილი ბათიაშვილი მიცვალებულებთან დატოვეს და ექიმმა მიშა კრიხელმა გადაარჩინა.

1992 წელს ბათიაშვილი უშიშროების მინისტრად ინიშნება. იმავე წელს იწყება აფხაზეთში საომარი მოქმედებები. ბათიაშვილი მთელი ომის განმავლობაში აფხაზეთში იმყოფებოდა.

ამ დროს კი ნაცმოძრაობის ზოგიერთი ლიდერი სხვადასხვა მიმართულებით იყო გაფანტული. ნაციონალური მოძრაობის სახეებმა დსთ-ში შესვლასაც მხარი დაუჭირეს. ამის გამო ირაკლი ბათიაშვილმა მაშინ თანამდებობა დატოვა.

საბოლოო ჯამში კი ის ლამის სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს, ხოლო სხვები — გმირებად. გმირთა შორის დიმა სანაკოევიც კი დაგვისახელეს. თუმცა, რას იზამ, საქართველოში ხომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თეა მარხვაიძე

გაზ. „ახალი თაობა“ №10 (4390)
12 იანვარი, 2008 წ.

რატომ დააგვიანა ბათიაშვილმა საპატრიარქოში მისვლა

ავჭალის კოლონიიდან ირაკლი ბათიაშვილი გაათავისუფლეს. 14 საათზე საპატრიარქოსთან უამრავმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი, აქვე იყვნენ ბათიაშვილის ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები. „ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის“ ირაკლი ბათიაშვილმა საპყრობილეში 1 წელი და 7 თვე გაატარა. როგორი კურიოზიც მისი დაპატიმრება იყო, ისეთივე კურიოზით დასრულდა მისი პატიმრობაც. კოლონიიდან ჩანთით გამოსულ ირაკლის გარეთ, ჭიშკართან არავინ დახვედრია. ყველას ეგონა, ციხის ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა ბათიაშვილის საპატრიარქომდე მიყვანას, მაგრამ ადმინისტრაციამ ზედმეტ პატივად მიიჩნია ირაკლის ავჭალის კოლონიიდან საპატრიარქომდე მიყვანა და იგი ღვთის ანაბარა მიატოვა. გარეთ მდგარი ბათიაშვილი კოლონიაში „პერედაჩის“ გადასაცემად მისულმა ერთ-ერთი პატიმრის ახლობელმა იცნო და თავისი მანქანით წამოიყვანა.

ვიდრე ირაკლი პატრიარქის რეზიდენციასთან მოვიდოდა, თითქმის 2 საათი გავიდა, ქალბატონი ირინა კუჭუხიძე (ირაკლის დედა) ძალიან ღელავდა: „სული მეხუთება, ძალიან ცუდად ვარო“. საპატრიარქოს ეზო გულშემატკივრებით გაივსო, პატრიარქის ბრძანებით რეზიდენციის მთავარი შესასვლელი კარი გააღეს, ირაკლის მოსვლამდე კი მისმა უწმინდესობამ ბათიაშვილების ოჯახი თავისთან მიიწვია და როგორც მოგვიანებით ქალბატონმა მედეა კუჭუხიძემ გვითხრა, ილია მეორეს მათთვის მცირე ტრაპეზი გაუმართავს და ქართლში დაწურული ღვინით ირაკლის განთავისუფლების სადღეგრძელო შეუსვამს.

„ირაკლი მოვიდა, ირაკლი მოვიდა... “ — გაისმა შეძახილები და ბათიაშვილიც გამოჩნდა. მას ცრემლმორეული მონაზვნები შეეგებნენ, დალოცეს და პატრიარქისკენ მიმავალი ირაკლი პირჯვარის გადასახვით უფალს შეავედრეს.

პრესას არ მოგვეცა საშუალება ილია მეორისა და ირაკლი ბათიაშვილის შეხვედრის კადრები ფირზე აღგვებეჭდა, მაგრამ „ალიას“ მიეცა საშუალება, ირაკლის ცალკე, პერსონალურად გასაუბრებოდა:

— ირაკლი, როგორ ხარ, მოულოდნელი იყო შენთვის ხელისუფლების გადაწყვეტილება?

— ხელისუფლება არაფერ შუაშია, ჩემი განთავისუფლება არის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის დამსახურება. მე მის დიდ თანადგომასა და დიდ ზრუნვას ყოველდღე, ყოველწუთს ვგრძნობდი. საქართველო ბედნიერია, რომ მას ჰყავს ასეთი დიდი და ბრძენი წინამძღვარი!

— რა გეგმები გაქვთ?

— რასაც ახლა პირველად გავაკეთებ, ის არის, რომ წავალ მამაჩემის, დიმა ბათიაშვილის საფლავზე, შემდეგ ჩემს მეგობრებთან და ნათესავებთან დავჯდები და ახალ წელს შევხვდები. მოგვიანებით შევხვდები ჩემს თანამებრძოლებს, რომლებიც დღემდე სიმართლისა და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის იბრძვიან. ხომ ხედავ, აქ რამდენი შესანიშნავი ადამიანია მოსული?

— ასეთი აზრიც გამოითქვა, ოღონდ ირაკლი გამოუშვან და საქართველოდან წავაო. აპირებ საქართველოში დარჩენას?

— აბა, სად ვიქნები? მე ვიქნები იქ, სადაც ჩემს ქვეყანას უჭირს და ვიბრძოლებ სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისთვის და რაც ყველაზე მთავარია: დემოკრატიის გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ, რათა არ იყოს ავტორიტარული რეჟიმი.

— ანუ, პოლიტიკაში ბრუნდები?

— ახლა კონკრეტულად ვერაფერს გეტყვი, ჯერ ცოტას დავისვენებ, ჩემს ოჯახს, შვილს მოვეფერები, მოგეფერებით მეგობრებს და მერე ვნახოთ...

— ირაკლი, ამ ზაფხულს გავრცელდა ხმები, ბათიაშვილს ციხეში ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ხვდებიან და გარკვეული გარიგების სანაცვლოდ განთავისუფლებას ჰპირდებიანო. ვინ მოვიდა და რას გთავაზობდნენ?

— რა სისულელეა, რა გარიგებები... არავინაც არ მოსულა.

— პატრიარქის გარდა, იქნებ ვინმესთვის კიდევ გინდა სამადლობელის თქმა?

— რა თქმა უნდა, „ქართულ აკადემიას“, „თანასწორობის ინსტიტუტს“, „ეროვნულ საბჭოს“, „მემარჯვენეებს“, თქვენ და ყველას, ვისთვისაც ირაკლი ბათიაშვილის განთავისუფლება, მისი სიმართლე, სულ ერთი არ იყო. დიდი მადლობა ყველას!

* * *

პატრიარქთან ამაღელვებელი და ცრემლიანი აუდიენცია დასრულდა, ირაკლი ბათიაშვილის მეუღლეს მაია ბათიაშვილს ხელში ილია მეორის ნაჩუქარი ძალიან ლამაზი ქოთნის ყვავილი ეკავა, იმავე ქოთანში „ბეგონიის“ ძირში სხვა ჯიშის ყვავილებიც იყო ჩარგული.

ჩემს შეკითხვაზე, ერთ ქოთანში ორი სახეობის ყვავილი რატომ არის-მეთქი, მედეა კუჭუხიძემ მიპასუხა: როდესაც მისმა უწმინდესობამ საკუთარი ორანჟერეა

დაგვათვალიერებინა და მაიკოს ეს ყვავილი აჩუქა, ასე თქვა: „ამათ ერთმანეთი უყვართო“.

ირაკლი ბათიაშვილი თავისუფალია. იგი ძველით ახალ წელს საკუთარი ოჯახისა და მეგობრების გარემოცვაში გაატარებს. „ალია“ ულოცავს მას განთავისუფლებას და ყოველივე კარგს უსურვებს.

. ესაუბრა ირინა გოგოსაშვილი

გაზ. „ალია“ №5 (2130)
12-14 იანვარი, 2008 წ.

„მიზანი საერთო გვაქვს — ამ სამარცხვინო რეჟიმის მშვიდობიანად გასტუმრება!“

„ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ოპოზიციას მოსახლეობის მხარდაჭერა მოაკლდა და მაჟორიტართა საკითხი გაათრია“.

2006 წლის ივლისში, კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ვანო მერაბიშვილმა იქ 21-ე საუკუნის „მონა იზაურები“ აღმოაჩინა, გივი თარგამაძემ კი კოდორის დამცველებს „მკვდარი ვირთაგვები“ უწოდა... ირაკლი ბათშაივლილი მაშინ ემზარ კვიციანისა და მისი თანამოაზრეების „ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის“ გაასამართლეს. დღეს ყოფილი პოლიტპატიმარი რესპუბლიკური პარტიის სიით აპირებს არჩევნებში მონაწილეობას და საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე გვესაუბრება.

— იყო თუ არა თქვენთვის მოულოდნელი მმართველი გუნდის გადაწყვეტილება, რომ მაჟორიტართა არჩევნები პროპორციულ-რეგიონული პრინციპით აღარ ჩატარდება და 150-კაციან პარლამენტში 75 მაჟორიტარი იქნება? — ბესო ჯუღელმა ისიც კი თქვა: მაშინ არ ვიცოდი, რას ვაძლევდი ხმასო...

— მოულოდნელი იყო, თუმცა, საერთოდ, ხელისუფლების თავხედობა ჩვეულებრივი მოვლენაა; მაინც ვფიქრობდით, რომ ამ პერიოდში, როცა სურდათ თავისი კონსტრუქციულობის წარმოჩენა, ამ ნაბიჯს არ გადადგამდნენ. მაგრამ მათ გაანალიზეს დღეს შექმნილი ვითარება, ჩაატარეს სოციოლოგიური კვლევები, გაითვალისწინეს უცხოელი ექსპერტებისა და მრჩევლების აზრი და მივიდნენ ერთადერთ დასკვნამდე, რომ საპარლამენტო არჩევნებს გარდაუვალად წააგებდნენ, მათ გადაწყვიტეს, რომ სწორედ ახლაა ხელსაყრელი მომენტი მაჟორიტართა საკითხის წინ წამოწევისა, რადგან თვლიან, რომ ამ ეტაპზე ოპოზიციას მოაკლდა მოსახლეობის მხარდაჭერა, რომ ხალხში ერთგვარი სკეპტიციზმია და რომ ოპოზიციური სპექტრის გაყოფა არჩევნებთან, საარჩევნო სიებთან დაკავშირებით აძლევთ მათ უფლებას, ასეთი გამომწვევი ნაბიჯი გადადგან.

— მაგრამ მოსახლეობაში მაინც არის მოთხოვნა ოპოზიციის ერთიანობისა, თუმცა ზოგი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს ჩვენი საზოგადოების დაბალი პოლიტიკური კულტურის ნიშანია...

— ეს მოთხოვნა არის ხალხში, არის ჩემში, ოპოზიციურ სპექტრში, თუმცა სხვადასხვა საარჩევნო სიის არსებობას ნუ გავაიგივებთ ერთიანობის არარსებობის იდეასთან. შეიძლება ოპოზიციურმა პარტიებმა დამოუკიდებლად იყარონ კენჭი პარლამენტში, მაგრამ ამ რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში, იმისათვის, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს, იყვნენ ერთიანნი.

— ამ შემთხვევაში ეს პარტიები ერთმანეთს ხმებს არ წაართმევენ? ხომ შეიძლება, რომელიმე ოპოზიციურმა დაჯგუფებამ 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახოს და ეს ხმები დაიკარგოს?

— შეიძლება, ხმები ერთმანეთს წაართვან კიდეც, მაგრამ საბოლოოდ, ამ წესით, მთლიანად ოპოზიცია ამომრჩეველთა ხმებს ხელისუფლებას წაართმევს.

— შეძლებენ თუ არა ოპოზიციური პარტიები თუნდაც ერთიან მაჟორიტარ კანდიდატებზე შეთანხმებას?

— ეს აუცილებელია. ამ ეტაპზე კი აუცილებელია მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა, სადაც შევლენ რესპუბლიკელები, ეროვნული საბჭო, „ახალი მემარჯვენეები", „ქრისტიან-დემოკრატები" და სხვები...

— ლეიბორისტები დათანხმდებიან ამ საბჭოში შესვლას?

— ახლა მიმდინარეობს კონსულტაციები, და მჯერა, მასში ლეიბორისტებიც ჩაერთვებიან, მიზანი ყველას საერთო გვაქვს — ამ სამარცხვინო რეჟიმის მშვიდობიანად გასტუმრება.

— დღეს ხელისუფლება უშვებს ევროობლიგაციებს, იღებს უზარმაზარ სესხებს დასავლეთისგან და ეს ყველაფერი მაჟორიტართა რაიონებში გასაყვანად კეთდება და, საერთოდ, ამ არჩევნებზე, როგორც ამბობენ, ასტრონომიული თანხები დაიხარჯება...

— ვიცი, რომ დღეს ხაზინა ცარიელია, საპრეზიდენტო არჩევნებით ქვეყნის ეკონომიკას უზარმაზარი ზარალი მიადგა, ფული შეაწერა კერძო ბიზნესს და, ეს, საბოლოო ჯამში, ბუმერანგივით უბრუნდება მოსახლეობას... ან სად არის ლოზუნგი „საქართველო სიღარიბის გარეშე?" დღეს შეიძლება ხელისუფლებამ გზა დააგოს, რომელიც მალევე გაფუჭდება, ვიღაცას ვაუჩერი დაური-

გოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს ეკონომიკურ კლიმატს ვერ შეცვლის და ვერც ხმებს მიიზიდავს „ნაციონალთა" საარჩევნო ყულაბაში.

— რას იტყვით სომხეთში მიმდინარე სისხლიან მოვლენებზე, ზოგი მიიჩნევს, რომ ეს იყო ხელისუფლების რევანში დემოკრატიულ ძალებზე, ზოგი კი თვლის, რომ დასავლეთს ამჯერად „გარგარის" რევოლუცია ჩაეშალა, ყარაბაღში კი, ფაქტობრივად, ომი განახლდა... რა გავლენას მოახდენს ეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე?

— სომხეთის მოვლენები ძალზე ცუდი, საშიში მაგალითია საქართველოსთვის. დასავლეთი პირდაპირ მოითხოვს ქოჩარიანისგან საგანგებო ვითარების გაუქმებას, ოპოზიცია გაჩერებას არ აპირებს. არაერთგვაროვანი ვითარებაა სახელმწიფო სტრუქტურებში, და რაც მთავარია, სომხეთის არმიაში.

— ანუ არ არის გამორიცხული, მოვლენებში არმია აღმოჩნდეს ჩათრეული?

— არ გამოვრიცხავ. რაც შეეხება ყარაბაღის მოვლენებს, როგორც ამბობენ, იგი ხელისუფლების მიერაა პროვოცირებული.

— ჩვენი ხელისუფლების მხრიდანაც ხომ არ არის მსგავსი მცდელობა აფხაზეთთან მიმართებაში?

— შესაძლოა, სურვილი ჰქონდეთ, მაგრამ შესაძლებლობა ნაკლებად.

— თქვენ რესპუბლიკური პარტიის სიით აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას. გქონდათ თუ არა მსგავსი შემოთავაზება სხვა პარტიებისგან?

— ციხიდან გამოსვლის შემდეგ არაერთ პარტიასთან მქონდა კონსულტაცია ორმხრივი სურვილით, თუმცა, გარკვეული ანალიზის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე.

— თქვენ ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნეთ, რომ რესპუბლიკელების დადანაშაულება სოროსულ წარსულში არასწორი და პიარის ნაწილია, თუმცა თინა ხიდაშელი სოროსის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი იყო, დავით ზურაბიშვილი, ლევან ბერძენიშვილი — „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები...

— ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ... დღესაც ბევრი ადამიანი მუშაობს სხვადასხვა სტრუქტურაში.

— ანუ დღეს თქვენთვის რესპუბლიკელების პოზიცია სრულიად მისაღებია?

— ეს პარტია თანმიმდევრულად, მიზანდასახულად იბრძვის ავტორიტარიზმის წინააღმდეგ და თავის დროზე იბრძოდა კომუნისტური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ.

— შეუერთდება თუ არა თქვენი პარტია გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციებს და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ საპრეზიდენტო არჩევნების ხელახლა ჩატარება?

— ეს არის სამართლიანი აქცია. თუმცა, რამდენად აზრიანია ხელახალი არჩევნების მოთხოვნა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ეს სამსჯელოა. ეუთომ მართლაც მკვეთრად უარყოფითი დასკვნა დადო, ეს ფაქტი „ევრონიუსმაც" დაადასტურა; თავისთავად ეს სწორი, გამართლებული მოთხოვნაა, მაგრამ ეფექტი უნდა ჰქონდეს. მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხზე რესპუბლიკურ პარტიაში ჯერ არ გვიმსჯელია.

ესაუბრა ნინო კვიტაშვილი

გაზ. „ყველა სიახლე"
6-12 მარტი, 2008 წ.

რატომ შევედი რესპუბლიკურ პარტიაში და რატომ დამნიშნა შევარდნაძემ უშიშროების მინისტრად!

ყოფილი პოლიტპატიმრის ირაკლი ბათიაშვილის რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრიანება საზოგადოებისათვის ფრიად მოულოდნელი აღმოჩნდა. თუ რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, ამის შესახებ თავად ირაკლი ბათიაშვილი გვესაუბრება:

— როცა პატიმრობიდან გავთავისუფლდი, მაშინვე მივედი აქციაზე, სადაც სრული მხარდაჭერა გამოვუცხადე მთელ ოპოზიციას. მას მერე მუდმივი ურთიერთობები მქონდა პოლიტიკურ ძალებთან, პოლიტიკოსებთან როგორც ეროვნული საბჭოდან, ასევე „ახალ მემარჯვენეებთან", „ლეიბორისტებთან" და ა.შ. ბოლო პერიოდში კი ყველაზე ინტენსიური კონსულტაციები მქონდა რესპუბლიკური პარტიის ლიდერებთან და ჩემში მომწიფდა აზრი მათთან გაერთიანებისა. ეს იყო ორმხრივი ინიციატივა, ორმხრივი სურვილი და, ვფიქრობ, ჩემი არჩევანი სწორი და ლოგიკურია!

— ამბობთ, რომ ეროვნულ საბჭოში შემავალ ყველა პარტიასთან გქონდათ და გაქვთ ინტენსიური ურთიერთობა, თუმცა, თქვენ რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრიანდით მას შემდეგ, რაც „რესპუბლიკელებმა" ეროვნული საბჭო დატოვეს. ეს რას ნიშნავს?

— ჩემი გაწევრიანება რესპუბლიკურ პარტიაში, უბრალოდ, დაემთხვა მათ გადაწყვეტილებას არჩევნებში ცალკე სიით მონაწილეობის შესახებ. პროსახელისუფლებო ტელევიზიებმა საზოგადოებას ყველაფერი ისე მიაწოდეს, თითქოს ეროვნულ საბჭოში მოხდა განხეთქილება. ამ საკითხზე, ჩემი ინფორმაციით, ერთი თვე მიდიოდა მსჯელობა. ფიქრობდნენ, ცალ-ცალკე სიით ჯობდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა თუ ერთიანი სიით. შეიძლება, რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჩემთვის ცნობილია როგორც ეროვნული საბჭოს, ასევე რესპუბლიკური პარტიის დღევანდელი განწყობა. ეს არის ერთიანობის განწყობა. მეც იმის კატეგორიული

მომხრე ვარ, რომ ოპოზიციის ერთიანობა უნდა შენარჩუნდეს, თუმცა, ამ ერთიანობაში არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ეროვნული საბჭო, არამედ „ახალი მემარჯვენეებიც", „ლეიბორისტებიც". თუ ეს ძალები ერთიან საკოორდინაციო მექანიზმში გაერთიანდნენ, ხელისუფლება ვერანაირი მანიპულირებით ვერ მოახერხებს საპარლამენტო არჩევნების მოგებას. ოპოზიციის გამარჯვება არჩევნებში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მზარდი იქნება საზოგადოების აქტიურობა საპარლამენტო არჩევებამდე.

თუ ხელისუფლებამ დაინახა, რომ სიმშვიდეა და ხმას არავინ იღებს, რასაც უნდა იმას გააკეთებს, მაგრამ თუ გამოსვლები იქნება და ხელისუფლება ძალას დაინახავს, ეს იქნება ოპოზიციის წარმატების საწინდარი!

— სიმშვიდეს და სიწყნარეს რაც შეეხება, როცა ოპოზიციის მიერ დაგეგმილი საერთო-სახალხო შიმშილობა ჩაიშალა, მაშინ ითქვა, რომ სწორედ რესპუბლიკური პარტია იყო წინააღმდეგი კარვების გაშლის და შიმშილობის დაწყებისა. რამდენად მართალია ეს?

— არ ვიცი, იმ მოლაპარაკებებში მონაწილეობა არ მიმიღია. ჩემი, როგორც ეროვნული საბჭოს გარეთ მყოფი ადამიანის, პოზიცია ასეთი იყო: შიმშილობის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება ნაჩქარევად იქნა მიღებული. საზოგადოებაში ძალიან ცუდი ეფექტი ჰქონდა იმას, რომ ოპოზიციამ გადაწყვეტილება შეცვალა.

— ასე იყო თუ ისე, ეროვნული საბჭოდან „რესპუბლიკელების" გასვლამ გამოიწვია ამ პარტიის მიმართ საზოგადოების გულისწყრომა და უნდობლობა. ყოველივე ამის შემდეგ, თქვენ უცებ აღმოჩნდით რესპუბლიკურ პარტიაში. მინდა ასე დავსვა კითხვა: შექმნილ სიტუაციაში ხალხის გამბრაზებელ რესპუბლიკურ პარტიას უფრო სჭირდებოდა დისიდენტური წარსულის, ციხიდან ახალგათავისუფლებული ყოფილი პოლიტპატიმარი ირაკლი ბათიაშვილი თუ ირაკლი ბათიაშვილს სჭირდებოდა რესპუბლიკური პარტია?

— ვფიქრობ, იმ კრიტერიუმით — თუ ვინ ვის სჭირდებოდა, არ უნდა შევაფასოთ აღნიშნული ფაქტი. უბრალოდ, მოხდა ჩვენი სურვილებისა და სიმპათიების თანხვედრა. რესპუბლიკურ პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც ნოემბრის მოვლენებამდე და მის შემდეგაც შეურიგებლად იბრძოდნენ ამ რეჟიმის წინააღმდეგ. მეორეც, შეიძლება მე ვიყო იქ, სადაც რაიმე გარიგებაზე იქნება ლაპარაკი ამ სამარცხვინო ხელისუფლებასთან? მე არანაირ გარიგებაზე არ

წავსულვარ თვით იმ მძიმე განსაცდელის დროსაც, როცა მე ვიყავი პატიმრობაში და წელიწად-ნახევარში კი არ აპირებდნენ ჩემს გამოშვებას, არამედ ჩემი ციხეში ამოლპობა უნდოდათ. გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ 15 წელი უნდა მოესაჯათ ჩემთვის. ახლა მითუმეტეს, ამათთან რა გარიგებაზე უნდა წავიდე?

სააკაშვილის ხელისუფლება განწირულია, ეს მხოლოდ დროის ამბავია. ამათ თავის თავს თვითონ მოუღეს ბოლო. ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა მათ ვერდიქტი.

— მოდით, იდეოლოგიურ სხვაობაზეც ვთქვათ. თქვენ ხართ ცნობილი როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული პოზიციით გამორჩეული ადამიანი. რესპუბლიკური პარტია კი ცნობილია როგორც ლიბერალური დემოკრატიის მიმდევარი და მკვეთრად პროამერიკული, პროდასავლური ძალა. თქვენი და „რესპუბლიკელების" იდეოლოგიური თანხვედრა როგორ მოხდა?

— ვფიქრობ, ეროვნულობა და ლიბერალური დემოკრატია ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მე თვითონ ფილოსოფოსი ვარ და, სხვათაშორის, ახლა ვიწყებ ლექციების წაკითხვას პოლიტიკურ ფილოსოფიაში...

— რომელ უნივერსიტეტში?

— ეს არის ევროკავკასიური უნივერსიტეტი „აი-ბი". გერმანულ-ქართული უნივერსიტეტია. ისრაელი ნამდვილად ეროვნული სახელმწიფოა, რომელიც დაარსების დღიდან თავისი ეროვნული ინტერესებისთვის იბრძვის, მაგრამ ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზეა აგებული. საერთოდ, ლიბერალიზმი მოდის სიტყვა „ლიბერტიდან", რაც თავისუფლებას ნიშნავს. ლიბერალიზმის უმაღლეს პრინციპად აღებულია პიროვნების თავისუფლება. ჩემთვის ეს არის უმნიშვნელოვანესი. მე ვერ შევეგუები ვერანაირ რეჟიმს, სადაც ჩემი პიროვნული თავისუფლება შელახული იქნება.

ქართველი კაცი ამას არ შეეგუება. ქართველი ადამიანი ბუნებით არის დემოკრატი. შემწყნარებელია, მიმტევებელი, ტოლერანტი. ამავე დროს — დიდი პატრიოტი.

— ისევ იდეოლოგიურ სხვაობაზე მინდა გკითხოთ. როგორ მოხდა ის, რომ ირაკლი ბათიაშვილი — ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფიგურა, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, ეროვნული ხელისუფლების დამამხობელი შევარდნაძის მთავრობის უშიშროების მინისტრი გახდა?

— ზვიად გამსახურდიას დამხობას რაც შეეხება, მე ამაში არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია და ეს ყველამ კარგად იცის. უფრო მეტსაც გეტყვით: როდესაც დაპირისპირება გაღრმავდა და თბილისში ბარიკადები გაჩნდა, მე მომივიდა ძალიან სერიოზული კონფლიქტი ჩემს მეგობრებთან, ოპოზიციის ლიდერებთან გიორგი ჭანტურიასთან, ირაკლი წერეთელთან და სხვებთან. ეროვნული კონგრესის სხდომაზე კატეგორიულად განვაცხადე, რომ დაუშვებელი იყო ასეთი დაპირისპირება და ეს მიგვიყვანდა ძალიან ცუდ კონფრონტაციამდე. ვამბობდი, რომ აუცილებელი იყო კონსენსუსი. ეს იყო ჩემი პოზიცია და ამის შესახებ ზვიად გამსახურდიამაც იცოდა. გამსახურდია ჯერ ისევ პრეზიდენტი იყო, როცა მე მოვითხოვე, გავეშვით ტელევიზიის პირდაპირ ეთერში. გამიშვეს და იქაც ვთქვი, რომ შესაძლოა სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანოს ამ დაპირისპირებამ-მეთქი. მე ვიყავი ზვიად გამსახურდიას ოპოზიციაში და ამას არც ვმალავ. ძალიან მძაფრ სტატიებს ვწერდი, სადაც „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკას ვაპროტესტებლი. ჩემი პროტესტი უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში გაჩნდნენ პოლიტპატიმრები: გიორგი ჭანტურია, გოგა ხაინდრავა და სხვები.

გადატრიალების შემდეგ იყო სამხედრო საბჭო და ჩამოიყვანეს შევარდნაძე. ამ დროისთვის ქვეყანაში იყო უმძიმესი ვითარება. ჩავთვალე, რომ გაცილებით მიზანშეწონილი იყო, ისევ შევარდნაძის მეშვეობით მოწესრიგებულიყო სიტუაცია, ვიდრე ყოფილიყო სამხედრო საბჭო. მაშინ მე ჩავიბარე ის ურთულესი სფერო, რასაც ჰქვია უშიშროების სამინისტრო.

— შემოთავაზება ვისგან წამოვიდა?

— შემოთავაზება იყო შევარდნაძისგან. მაშინ ძველი უშიშროების სრული დემონტაჟი მოხდა და დაიწყო ახალი სტრუქტურის შექმნა. ამ პროცესში ძალიან აქტიურად მეხმარებოდნენ ამერიკელები. სპეცდანიშნულების რაზმი „ომეგა" მომიმზადეს. აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, მთელი ჩვენი რესურსები წარიმართა იქითკენ, რომ დროულად მიგვეღო ინფორმაციები და ეფექტურად გვემოქმედა.

— რატომ გენდოთ შევარდნაძე და რატომ ჩაგაბარათ ასეთი მნიშვნელოვანი სფერო?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. ეს ბევრ ადამიანში შეიძლება კითხვებს ბადებდეს, მაგრამ ეს ყველაფერი იმ კატაკლიზმებმა მოიტანა.

— და ბოლოს, ბატონო ირაკლი, თქვენ კარგად გახსოვთ, რაც მოხდა 2007 წლის 10 აგვისტოს გამომცემლობა „სამშობლოში",

როგორ გამოყარეს იქიდან გამთენიის 5 საათზე 90 რედაქცია და მათ შორის „ასავალ-დასავალი“. დღეს კი, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი „სამშობლოს“ შენობის ჟურნალისტებისათვის დაბრუნების მოთხოვნით მეექვსე დღეა შიმშილობს... რას გვეტყვით?

— გიორგი მამაცაშვილს ძალიან კარგად ვიცნობ. ერთ-ერთმა პირველმა სწორედ მან აიღო ჩემგან ინტერვიუ, როცა ციხიდან გამოვედი. სხვათაშორის, მე თქვენდამი თანადგომის გამომხატველი წერილი ციხიდან მოვიწერე. ჩათვალეთ, რომ მეც თქვენს რიგებში ვარ. უდიდეს პატივს ვცემ „ასავალ-დასავალის“ მთელ კოლექტივსა და თქვენს მთავარ რედაქტორსა და გამომცემელს ლაშა ნადარეიშვილს. თქვენ მთელი ამ ხნის განმავლობაში პრინციპისთვის არ გიღალატიათ და უდიდესი წვლილი მიგიძღვით საზოგადოების გამოღვიძებაში. „ასავალ-დასავალის“ „სამშობლოდან“ გამოდევნა იყო შურისძიება ხელისუფლების მხრიდან. კიდევ ერთხელ ჩათვალეთ, რომ თქვენს რიგებში ვარ!

ესაუბრა ჯაბა ხუბუა

გაზ. „ასავალ-დასავალი“ №10 (704)
10-16 მარტი, 2008 წ.

ქვეყანაში ყველა პრობლემა მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს უშიშროების მინისტრი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი თავისუფალია. სამშობლოს ღალატისა და შეიარაღებული ამბოხის „ინტელექტუალური მხარდაჭერის" ბრალდებით გასამართლებული ბათიაშვილი პატიმრობიდან 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს ნაბიჯი კეთილი ნების გამოვლინებად შეაფასეს. საზოგადოების სერიოზული ნაწილი კი დღესაც დარწმუნებულია, რომ ბათიაშვილი პოლიტპატიმარი იყო, ის ციხეში უსამართლოდ მოხვდა. ხელისუფლებას ციხიდან მისი გამოშვების გარდა სხვა გზა აღარ რჩებოდა, რადგან ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლება როგორც ოპოზიციის, ასევე ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო.

„ჯორჯიან თაიმსი" ირაკლი ბათიაშვილს ესაუბრა.

— ბატონო ირაკლი, თქვენს შესაძლო გათავისუფლებაზე ჯერ კიდევ ნოემბერში საუბრობდნენ. თუმცა, ამან არჩევნების შემდგომ გადაინია, როგორ ფიქრობთ, რატომ?

— ჩემი გათავისუფლება, პირველ რიგში არის პატრიარქისა და ქართველი ხალხის დამსახურება. მათი ძალისხმევის, ჩვენი მეგობრების, რომლებიც დღესაც ასე თავდაუზოგავად იბრძვიან სიმართლისათვის. ვგულისხმობ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებს, „ახალ მემარჯვენეებს", სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი ძალისხმევა: ნანა კაკაბაძის, „თანასწორობის ინსტიტუტის" და ჩვენი საზოგადოების საკმაოდ ფართო სპექტრის. განსაკუთრებით, ქართული აკადემიის. მათ თანადგომას მუდმივად ვგრძნობდი.

რაც შეეხება ჩემი გათავისუფლების ვადებს, ეს მუდმივად იყო კითხვის ნიშნის ქვეშ. საკმაოდ გაუჭირდათ ჩემი გამოშვება.

ჩემი დაჭერა ამ ხელისუფლებას მიზნად ჰქონდა დასახული. მე ამას ვგრძნობდი. რატომღაც ვყავდით ამოჩემებული და მიზანში ამოღებული

და ამავე მიზეზით მათ უჭირდათ ჩემი გამოშვება, ანუ რაღაც გართულება ჰქონდათ ჩემთან დაკავშირებით. რატომ, ვერ გეტყვით. ეს ჩემთვის ცოტა უცნაურია. მოგეხსენებათ, უაღრესად კრიტიკული კი ვიყავი და ვარ არსებული ხელისუფლების მიმართ. მწვავე განცხადებებს ვაკეთებდი, მწვავე სტატიებს ვწერდი, მაგრამ, მგონი, კორექტულობის ფარგლებს არასოდეს გადავსულვარ. ყოველთვის ვმოქმედებდი და ვიმოქმედებ კონსტიტუციის ფარგლებში და რატომ ჰქონდათ ასეთი განსაკუთრებული გართულება ჩემთან დაკავშირებით, ძნელი გასაგებია.

— ამბობდნენ იმასაც, რომ ნოემბერში გათავისუფლების შემთხვევაში, შესაძლოა, ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი ყოფილიყავით...

— სურვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი ვყოფილიყავი, არც ადრე მქონია და არც ახლა მაქვს. ასე რომ, ეგ გამორიცხულია.

— რაც შეეხება თქვენი დაკავების ფაქტს, საზოგადოებამ მხოლოდ ამის შემდეგ გაიგო, რომ კანონში ასეთი მუხლი არსებობდა „ინტელექტუალური მხარდაჭერა"...

— კანონში არსებობს დახმარების მუხლი. ინტელექტუალური დახმარების ცნება ამათ შეთითხნეს. ბრალდება, ვითომც „ინტელექტუალური დახმარება" გავუწიე კვიციანს, რის საფუძველზეც 315-ე მუხლი წამიყენეს, შეთქმულება ან ამბოხება კონსტიტუციური წყობილების დამხობის მიზნით, სრული აბსურდი იყო. არანაირი მტკიცებულება მათ არ ჰქონდათ. უბრალოდ, ჰქონდათ სურვილი და ახირება იმისი, რომ დავეჭირეთ და ეს იყო საბაბი ჩემი დაპატიმრებისა, სხვა არაფერი.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლების მიმართ აკეთებდით კორექტულ, თუმცა საკმაოდ მწვავე განცხადებებს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას ხომ არ ჰქონდა იმის შიში, რომ ოპოზიციის გამოკვეთილი ლიდერი გახდებოდით?

— ვერ გეტყვით, ამაზე სათანადო დასკვნებს, ალბათ, სხვები გააკეთებენ. მინდა გითხრათ, რომ ჩემზე იმთავითვე ძლიერი კონტროლი იყო ხელისუფლების მხრიდან. სპეცსამსახურები მუდმივად მითვალთვალებდნენ. ამას ხომ ვხედავდი, ყველა მხრიდან მიტრიალებდნენ. გახსოვთ თქვენც, რომ ადრე მოდულშიც დამიბარეს. რაღაცის შეთითხნა უნდოდათ. ისე ჩანდა, რომ მათ სულ უნდოდათ ჩემი დაპატიმრება. რაც შეეხება ჩემი დაპატიმრების კიდევ ერთ მიზანს და მოტივს, იყო ის, რომ ხელისუფლებას საზოგადოების დაშინება და დათრგუნვა სურდა.

— უშიშროების ყოფილ მინისტრს თუ წარმოგედგინათ ოდესმე, რომ ციხეში მოხვდებოდით და რა შეცვალა თქვენს ცხოვრებაში პატიმრის ხალათმა?

— ეს გარკვეულ ცვლილებებს ყოველთვის იწვევს, ადამიანის ფსიქოლოგიაში, ფსიქიკაში, ცნობიერებაში. ჯერ ერთი, რწმენაში გავძლიერდი ძალიან და ვთვლი, ალბათ, ღვთის განგება იყო, ეს განსაცდელი გადამეტანა და რწმენაში გავძლიერებულიყავი. ამასთან, ვფიქრობ, ბევრი რამის მოთმენა და გადატანა შემეძლო და მტკიცე ნატურა მქონდა, მაგრამ ამ განსაცდელის გადატანის მერე ჩემმა სულმა და ნებისყოფამ მეტი სიმტკიცე შეიძინა.

— ბატონო ირაკლი, ეს თქვენთვის მეტად მტკივნეულია, მაგრამ უნდა გკითხოთ, პატიმრობის პერიოდში დაგეღუპათ მამა, ხელისუფლებამ გარკვეული ჰუმანურობა გამოიჩინა და მოგიყვანეს პანაშვიდზე, გასვენებაში, თუმცა შემდგომ არ დაგასწრეს დაკრძალვის პროცესს...

— მამაჩემის გარდაცვალება ჩემთვის უდიდესი დარტყმა იყო. ის ამ ვითარებას, ჩემზე ნერვიულობას გადაჰყვა და ეს ჩემთვის უდიდესი შეუხორცებელი ჭრილობაა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ პირველად პატრიარქთან მივედი, შემდეგ მამის საფლავზე ავედი. მამაჩესის სული მიცავდა და მფარველობდა სულ. არ მომეცა შესაძლებლობა, მამა საფლავამდე მიმეცილებინა, რადგან საბურთალოს სასაფლაოზე ძალიან ბევრი ადამიანი შეიკრიბა მის პატივსაცემად. ამან, ეტყობა, ხელისუფლება დააფრთხო და ციხისკენ მიმაბრუნეს. რამაც ძალიან ამაღელვა...

— ე.წ. გახმაურებული საქმეების სახელით ცნობილ პატიმრებს შორის, თქვენ საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის ყველაზე მეტი მხარდაჭერა მოიპოვეთ. თქვენი ოჯახი, უფრო მეტად ქალიშვილი აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში იყო ჩართული...

— საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერას, თანაგრძნობას მუდმივად ვგრძნობდი, რაც პატიმრისათვის უდიდესი შვებაა. მათი თანადგომა უფრო მეტად მაძლიერებდა. მინდა უდიდესი მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ. ჩემი გოგონა და ჩემი ოჯახი ჩემი პატიმრობის პერიოდში ყველაზე დიდი ტკივილი იყო ჩემთვის. ყველაზე მეტად მათი შინაგანი მდგომარეობა მტკიოდა და მაღელვებდა, რომ ჩემს გამო ისინი ასე წვალობდნენ და იტანჯებოდნენ. როგორც თქვენც ამბობთ, ამდენი გადაიტანეს და ამ ყველაფერს ღირსეულად გაუმკლავდნენ.

— როგორ ჩანდა ციხიდან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და როგორი საქართველო დაგხვდათ. ცვლილებებს, რაც ხდება, რა შეფასებას მისცემთ?

— ციხეში სასტიკი იზოლაციის პირობებში ვიყავი, მხოლოდ პრესით თუ ვეცნობოდი არსებულ სიტუაციას. ზონაში უკვე ტელევიზორი იყო და იქ ვუყურებდი იმას, რაც ხდებოდა. ამიტომაც საქმის კურსში ვიყავი. ნოემბრის ამბებთან დაკავშირებით ყველანი ძალიან ვნერვიულობდით. მით უმეტეს ახლა, ციხიდან რომ გამოვედი, ცხადად დავინახე, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაპირისპირებულია ხელისუფლებასთან. დაახლოებით ისე, როგორც ეროვნული მოძრაობის დროს, როცა ჩვენი საზოგადოება იყო აღტკინებული და მოტივირებული. ახლაც ასეა და მათ აქვთ იმის რწმენა, რომ საქართველოში სიმართლე გაიმარჯვებს, ეს ბნელეთის ხანა დამთავრდება.

— თქვენ უკვე გამოჩნდით ოპოზიციის მიტინგზე, გარკვეულწილად ეს მიანიშნებს, რომ აქტიურ პოლიტიკაში უახლოეს მომავალში დაბრუნდებით?

— ერთი რამე შემიძლია გითხრათ — როდესაც ქვეყანაში ასეთი კრიტიკული სიტუაციაა და ქვეყნის ბედი წყდება, შეუძლებელია განზე გადგე და არსებული პროცესებისადმი გულგრილი იყო.

— ხელისუფლება რამდენად ადეკვატურია მიმდინარე მოვლენების მიმართ, თითქოს ცდილობენ, რომ ნაკლებად შეიმჩნიონ ხალხის ასეთი რაოდენობის ქუჩაში ყოფნა...

— ვფიქრობ, რომ უკვე ყველაფერს კარგად ხედავენ. ძალიან კარგად აქვთ გაცნობიერებული არსებული სიტუაცია. თუმცა სურთ მოგვაჩვენონ, რომ ვერც ვერაფერს ამჩნევენ. მაგრამ 150000 კაცი რომ ქუჩაში გამოვა, ამას ბრმაც კი დაინახავს. როდესაც ასეთი გრანდიოზული საპროტესტო აქციები უკვე პერმანენტულ ხასიათს იძენს, თან ეს ყველაფერი სუსხიან ზამთარში ხდება, ამ პროცესებს ვერაფერი შეაჩერებს. დარწმუნებული ვარ, რომ აბსოლუტურად მშვიდობიანად, ყოველგვარი რევოლუციების და უბედურებების გარეშე საქართველოში სერიოზული ცვლილებები მოხდება და არსებული ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება, მაგრამ მშვიდობიანად.

— ანუ, ფიქრობთ, რომ ინაუგურაცია შესაძლოა არ შედგეს?

— შეიძლება შედგეს, მაგრამ არა მგონია, ყველაფერი ინაუგურაციაზე იყოს დამოკიდებული. რომც შედგეს, ისეთი პროცესები მიმდ-

ინარეობს, საზოგადოებაში ისეთი ტოტალური, საყოველთაო პროტესტია, რომ არსებული რეჟიმის შეცვლა გარდაუვალია. ასე იყო კომუნისტების დროსაც და ყველაფერი მშვიდობიანად მოხდა. საბჭოთა რეჟიმი შეიცვალა იმიტომ, რომ მთელი ხალხი ფეხზე იდგა და იმ რეჟიმის არსებობის წინააღმდეგი იყო.

— თუმცა გარკვეული შიში, რომ შესაძლოა ყველაფერი არცთუ ისე მშვიდობიანად დასრულდეს, არსებობს... შიშის მიზეზი კი ჩვენი უახლოესი წარსულია...

— საქართველოში 1991-92 წლებში მომხდარი მოვლენების გამეორება დაუშვებელია.

არც ერთმა მხარემ არ უნდა დაუშვას. ისევე როგორც არ უნდა დავუშვათ 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის" მსგავსი რამ. პარლამენტში შევარდნა და მაგიდებზე მაიმუნებივით ხტომა ასეთი სამარცხვინო მოვლენები საქართველოში არ უნდა განმეორდეს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქვეყანაში ყველა პრობლემა მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას.

გაზ. „ჯორჯიან თაიმსი"
17-24 იანვარი, 2008 წ.

„პარლამენტში რომ შემოცვივდნენ და შიმპანზეებივით დახტოდნენ მაგიდებზე, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს!“

„დღეს ვაცხადებ, რომ მიხეილ სააკაშვილის პირადი პატიმარი ვიყავი. ის წყვეტდა ჩემს შესახებ ყველაფერს და უშუალოდ იყო ჩარეული ჩემთვის ბრალის წაყენებაში. საქმის მსვლელობას კი გიგა ბოკერია აკონტროლებდა. ახლაც ვამბობ, ჩემი შეშინება შეუძლებელია!“ — აცხადებს ყოფილი პოლიტპატიმარი ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც ამბოხებულ ემზარ კვიციანთან სატელეფონო საუბრისთვის დააპატიმრეს და ინტელექტუალური დახმარებისთვის გაასამართლეს. „ყველა სიახლე“ ირაკლი ბათიაშვილს მისი პატიმრობისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ესაუბრა.

— ბატონო ირაკლი, გილოცავთ გათავისუფლებას...

— მადლობა მინდა გადავუხადო თქვენს გაზეთს და ჩვენს საზოგადოებას. რომ არა საზოგადოების მხარდაჭერა, დღესაც არ ვიქნებოდი თავისუფალი. ჩემს გათავისუფლებაში მთავარი როლი უწმინდესმა ითამაშა და დიდ მადლობას ვუხდი მას ამისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების თანადგომა, რომლებიც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვისთვის იბრძვიან. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ეროვნული საბჭოს მხარდაჭერა, „ახალი მემარჯვენეების“, „თანასწორობის ინსტიტუტის“, სახალხო დამცველის, ნანა კაკაბაძის და ლეიბორისტული პარტიის თანადგომა. არასდროს დამავიწყდება დავით გამყრელიძის მხარდაჭერა, რომელიც ორჯერ იყო ჩემთან მოსული. მოგეხსენებათ, ნინო ბურჯანაძეს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს შევიდეს საპატიმროში და რამდენადაც ვიცი, ქალბატონმა ნინომ თავისი უფლების გამოყენება გამყრელიძეს დაუთმო. არასდროს დავივიწყებ იმასაც, ლევან გაჩეჩილაძემ კატეგორიულად რომ დაუყენა მიხეილ სააკაშვილს ჩემი გათავისუფლების საკითხი და მე ეს ზუსტად ვიცი. არასდროს დამავიწყდება, როგორ შემხვდა 13 იანვარს ხალხი მიტინგზე, ზუსტად ისე, როგორც ეროვნული მოძრაობის დროს გვხვდებოდნენ ლიდერებს.

— ხალხთან შეხვედრამ კიდევ უფრო ხომ არ დაგარწმუნათ, რომ პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეთ?

— მე ვიყავი პოლიტიკური პატიმარი და, როგორც წესი, პოლიტიკური პატიმარი ყოველთვის პოლიტიკაშია. მართალია, ციხეში ფილოსოფიაზე აქტიურად ვმუშაობდი, მოგეხსენებათ, ეს ჩემი პროფესიაა და ამ საქმეს არასდროს შევეშვები, მაგრამ პოლიტიკური პროცესებისადმი გულგრილი ვერ დავრჩები. დღეს ქვეყნის ბედი წყდება, ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა ჩართულია ამ პროცესებში და მე განზე როგორ გავდგე, როდესაც ჩემი მეგობრები იბრძვიან?! რომელიმე პარტიაში შესვლას არ ვაპირებ და ჯერჯერობით ამაზე არც ვფიქრობ, მაგრამ საერთო-სახალხო მოძრაობას, „ახალ მემარჯვენეებს" და ზოგიერთ სხვა ოპოზიციურ ძალას თანავუგრძნობ. ჩემი მეგობარია გიორგი ხაინდრავა, რომელიც საქართველოში სამართლიანობისთვის მებრძოლთა ერთ-ერთი ლიდერია და, რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანების გვერდით დავდგები, მაგრამ რა ფორმით, ეს ჯერ არ გადამიწყვეტია. მთავარია, საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი არ უნდა არსებობდეს და ჩვენ ყველამ მშვიდობიანი გზით უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ეს არ დავუშვათ.

— გინდათ თქვათ, რომ ახლა საქართველოში ავტორიტარული რეჟიმია?

— ამ დრომდე ჩვენს ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი იყო. თუ ახლა შეიცვლება ვითარება, ხელისუფლება გაკეთილშობილდება, ადამიანის უფლებებს და დემოკრატიის პრინციპებს დაიცავს და დამოუკიდებელ სასამართლოს ჩამოაყალიბებს, კარგი იქნება, თუმცა ვეჭვობ, რომ ხელისუფლებამ ასეთი ძირეული ტრანსფორმაცია განიცადოს. მე საკუთარ თავზე გამოვცადე, რამდენად საშინელია ქართული სასამართლო და არავის, მათ შორის არც ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ვუსურვებ, ოდესმე ამ მოსამართლეების ხელში აღმოჩნდნენ. ასეთი საშინელი სასამართლო ხელისუფლება აფრიკულ ქვეყნებშიც კი არ ეყოლებათ!

— ხომ არ აზვიადებთ, მართლა ასეთი კატასტროფული მდგომარეობაა სასამართლო ხელისუფლებაში?

— ჩვენი სასამართლო მთელ მსოფლიოში ოდიოზურობითაა სახელგანთქმული. უცხოელი ექსპერტები საკუთარ დასკვნებში ამაზე ღიად საუბრობენ. ერთ მტკივნეულ საკითხსაც მინდა შევეხო — შეიძლება 23 ათასი პატიმარი ჰყავდეს ოთხმილიონიან ქვეყანას,

მაშინ, როდესაც დიქტატორ ლუკაშენკოს 10-მილიონიან ქვეყანაში 6 ათასი პატიმარია?! ამის შემდეგ კითხვა აღარ უნდა დაისვას ამის შესახებ, ვცხოვრობთ თუ არა ავტორიტარულ რეჟიმში. ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად არის გადაქცეული.

— ხელისუფლების შესაძლო გაკეთილშობილებაზე საუბრობთ...

— ნამდვილად არ მაქვს ამის იმედი. სააკაშვილის გუნდის წევრებს რომ ვუსმენ, არ მიჩნდება იმის განცდა, რომ მათ რაღაცის შეცვლის სურვილი აქვთ. სააკაშვილი კი ამბობს, რაღაც უნდა შეიცვალოსო, მაგრამ მათ ტონალობაში ეს ნამდვილად არ იგრძნობა. ნაცვლად იმისა, რომ 7 ნოემბრის შემდეგ ცოტათი მაინც დამწუხრებულიყვნენ, დღესაც ჰონორზე არიან.

— როდესაც მიტინგზე სიტყვით გამოხვედით, 9 აპრილი ახსენეთ და ამ კონტექსტში ისაუბრეთ 7 ნოემბერზეც, რატომ?

— 9 აპრილმა ჩემს ზურგზე გადაიარა, რუსმა ჯარისკაცებმა ჩამქოლეს და ექიმმა მიშა კრიხელმა შემთხვევით გამისინჯა პულსი, როდესაც გვამებში ვიყავი... 9 აპრილი ჩვენ კრემლმა მოგვიწყო, 7 ნოემბრის სასტიკი დარბევა კი ხალხს ხელისუფლებამ მოუწყო. ამის შემდეგ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი უნდა გამოსულიყო და ეთქვა, რომ უბედურება მოხდა.

— მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა — ყველა ხელკეტი მე მომხვდა და ყველა მომიტინგესთან ერთად ცრემლი მეც დავღვარეო...

— ძალიან კარგია, ასეთი რამ რომ თქვა, მაგრამ ამის გამო სინანული ნამდვილად ვერ შევატყვე.

— ალბათ, ძალიან ბევრმა ადამიანმა მოგილოცათ გათავისუფლება, საინტერესოა, თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელებმა თუ დაგირეკეს ან ედუარდ შევარდნაძემ თუ მოგილოცათ?

— ედუარდ შევარდნაძე არ შემხმიანებია. მასთან არც დაპატიმრებამდე მქონდა აქტიური კონტაქტი, თუმცა მის ინტერვიუებს ვკითხულობდი და დადებითად მახსენებდა. ჩემმა მეგობრებმა და ყოფილმა თანაპარტიელებმა, გია კობახიძემ, თემურ შაშიაშვილმა და დათო ჭეიშვილმა, რა თქმა უნდა, დამირეკეს და მიუხედავად იმისა, რომ „წინ, საქართველო" დავტოვე, ჩვენ მეგობრებად ვრჩებით.

— რა გახდა თქვენ მიერ „წინ, საქართველოს" დატოვების მიზეზი?

— უბრალოდ, პარტიაში ყოფნა აღარ მინდოდა. გარდა ამისა, ახლა საპარლამენტო არჩევნები მოდის, ყველა გადაწყვეტილების შეთანხმებას ჩემთან ვერ მოახერხებდნენ.

— ხუმრობით გკითხავთ, ემზარ კვიციანმა თუ მოგილოცათ გათავისუფლება?

— არა, ემზარ კვიციანს არ დაურეკავს. ჯერ ერთი, ტელეფონიც არ მაქვს... არ დაურეკავს და არა მგონია, დარეკოს... ნამდვილად არ მიფიქრია ამ საკითხზე და არც მაინტერესებს.

— როდესაც გაათავისუფლეს, ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთეთ, მამათქვენის საფლავზე გახვედით...

— მამაჩემის გვერდით ყოფნა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. მამა ჩემი უფროსი მეგობარიც იყო და ვერც კი წარმომედგინა, ამ სახლში მამაჩემის გარეშე როგორ შეიძლებოდა მეცხოვრა. მამას გარდაცვალება ჩემთვის ტრაგედია იმ თვალსაზრისითაც იყო, რომ იგი ჩემზე ნერვიულობას შეეწირა! მას გული არასოდეს აწუხებდა და ჩემ გარშემო დატრიალებული უსამართლობის გამო გაუსკდა გული! ვფიქრობდი, თუ ოდესმე ციხიდან გამოსვლა მომიწევდა, პირველად პატრიარქთან მივიდოდი და შემდეგ — მამაჩემის საფლავზე.

— თქვენ მიგიყვანეს მამის დაკრძალვაზე, თუმცა მისი უკანასკნელ გზაზე გაცილება ვერ შეძელით...

— პირველ რიგში, ერთ საკითხს მინდა შევეხო, იმ პერიოდში ჩვენს ოჯახში მოსვლა გმირობის ტოლფასი იყო და მაშინ საზოგადოების უდიდესი თანადგომა ვიგრძენი. იმხანად სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მამაჩემის დაკრძალვაზე მომიყვანეს. საბურთალოს ეკლესიაში რომ გადავასვენეთ მამა და მათ შეიტყვეს, რომ იქ ბევრი ადამიანი და მედიის წარმომადგენელი იკრიბებოდა, ჩემი ციხეში დაბრუნება გადაწყვიტეს. ამან ჩემში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ერთადერთ რამეს ვითხოვდი, უკანასკნელ გზაზე ბოლომდე გამეცილებინა მამაჩემი... უნდა გითხრათ, რომ ჩემ მიმართ გადაწყვეტილებებს იღებდნენ არა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, არამედ ზედა ეშელონებში.

— კერძოდ?

— ზურაბ ადეიშვილი, გიგა ბოკერია... ჩემი გათავისუფლება-დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებას მიხეილ სააკაშვილი იღებდა. სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ დავასკვენი, რატომ დამიჭირეს ან რატომ მითვალთვალებდნენ მანამდე გამუდმებით? ჩემი გამოშვება

რომ არ უნდოდათ, ესეც ნათლად ჩანდა და ამიტომაც გააჭიანურეს ჩემი გათავისუფლება. წელიწადი და ერთი თვე მეშვიდე საპყრობილეში, სამარტოო საკანში გამომკეტეს, სადაც სასჯელს უმძიმეს დანაშაულში მსჯავრდებულები იხდიან. არ ვიცი, რატომ აქვთ მათ ასეთი გართულება ჩემზე. რა საბაბს ვაძლევდი მათ ასეთი განსაკუთრებული კონტროლისთვის, ჩემთვის დღემდე გაუგებარია. ყოველთვის ზომიერი ვიყავი და კორექტულობის ზღვარსაც არასდროს გადავსულვარ...

— ნინო ბურჯანაძემ თქვენი, სულხან მოლაშვილისა და დავით მირცხულავას გათავისუფლება თითქმის ერთპიროვნულად გადაწყვიტა, როგორ ფიქრობთ, მან მიხეილ სააკაშვილს დაასწრო და ამით ქულები დაიწერა?

— ჩემი გათავისუფლება არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მის პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ პიროვნულად იგი მორწმუნე და ადამიანური ქალბატონია...

— ზოგიერთის აზრით, თქვენ მაია ნადირაძის ანგარიშსნორების მსხვერპლი ხართ.

— არა, გამორიცხულია... მიუხედავად იმისა, რომ ჩემ წინააღმდეგ ამდენი ბოროტება ჩაიდინეს, ციხიდან დაბოღმილი და გაბოროტებული არ გამოვსულვარ. ყველაფერს უფალი განსჯის და ყველას საკადრისს მიაგებს. მორწმუნე კაცი ვარ და არავის მიმართ შურისძიება არ მამოძრავებს. უპირველეს ყოვლისა, ვიცი, რომ ამ განსაცდელით რწმენა გამიძლიერდა.

— საკმაოდ მძიმე პოლიტიკური ვითარებაა დღეს ქვეყანაში, მართალია, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები დაიწყო, მაგრამ საინტერესოა, რაში ხედავს გამოსავალს ირაკლი ბათიაშვილი?

— მისასალმებელია, მოლაპარაკება რომ მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ ოპოზიციას უკომპრომისო ბრძოლა მართებს. აუცილებლად უნდა გამართულიყო მეორე ტური, მაგრამ სამწუხაროდ, ხელისუფლება ამაზე არ წავიდა. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი ფორმით. 150 ათასი ადამიანი იყო მიტინგზე და ხელი არავის წაუცდა პარლამენტში ან კანცელარიაში შეჭრაზე. ოპოზიციის ასეთი სიბრძნე ჩემთვის ბედნიერებაა. ამდენი ადამიანი რომ ჰყოლოდა მიხეილ სააკაშვილს 2003 წელს, პირველივე დღეს

შევარდებოდა პარლამენტში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ოპოზიცია მშვიდობიან გზას არასდროს გადაუხვევს. საქართველოში აღარასდროს უნდა განმეორდეს 1991-92 წლები და არ უნდა დავუშვათ ის საშინელება, რაც 2003 წელს, აგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის" დროს მოხდა საქართველოში. პარლამენტში რომ შემოცვივდნენ და შიმპანზეებივით დახტოდნენ მაგიდებზე, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს! მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლით უნდა მოხდეს ყველანაირი ცვლილება.

— მეორე ტურის აუცილებლობას ხედავდით?

— არჩევნები გაყალბდა, ეს აშკარაა. ის ტერორი და გაყალბება რომ არ ყოფილიყო, ლევან გაჩეჩილაძე პირველივე ტურში გაიმარჯვებდა, თუმცა პირველ ადგილზე ნამდვილად გავიდა.

— საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებზე რას იტყვით?

— არ ვიცი, ჩემი აზრით, აუდიოჩანაწერების გამოქვეყნებამ ნეგატიურად იმოქმედა საერთაშორისო ორგანიზაციებზეც. ხელისუფლებამ ეს ფონი მიზანმიმართულად შეამზადა.

— აუდიოჩანაწერები თქვენთვის ნაცნობი თემაა, აქედან გამომდინარე, რამდენად სარწმუნოა თქვენთვის თუნდაც პატარკაციშვილისა და კოდუას ფარული ჩანაწერი?

— მიმაჩნია, რომ პატარკაციშვილის და კოდუას შეხვედრა გაუმართლებელია, თანაც ვფიქრობ, რომ ასეთი საუბარი შეცდომა იყო, რამაც ოპოზიციის პოზიციები დააზარალა, თუმცა ისიც აბსურდულად მეჩვენება, ამაზე სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრა. ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური დევნაა. რა, სხვა ჩანაწერები არ არსებობს, კერძოდ, ტერორისტულ აქტზე რომ ელაპარაკება შს სამინისტროს წარმომადგენელი ჩეჩენ ბოევიკს, პატარკაციშვილის ლიკვიდაციას რომ ავალებენ? განა ეს უფრო მძიმე დანაშაული არ არის? იცით, საერთოდ, ვინ არის ეს ჩეჩენი? ის ცნობილი ტერორისტია. ამაზე რატომღაც არავინ საუბრობს. რა თქმა უნდა, პატარკაციშვილის, გელბახიანისა და კოდუას საუბრების ჩანაწერები ძალიან არ მომეწონა, მაგრამ რომელ ობიექტურობაზეა ლაპარაკი, როდესაც იმ ჩანაწერს, სადაც ტერაქტზეა საუბარი, არავინ ახსენებს. ადრე თუ გვიან, ამას საერთაშორისო დონეზე მოჰყვება რეაგირება.

— დასასრულ, თქვენს ქალიშვილზე მინდა გკითხოთ, ირინა ბათიაშვილი თქვენი დაპატიმრების შემდეგ ნაადრევად ჩაერთო პოლიტიკაში...

— ჩემმა მეუღლემ და ქალიშვილმა ჩემი პატიმრობაში ყოფნის პერიოდში დიდი ტანჯვა გამოიარეს. ყველაზე მეტად იმის გამო ვღელავდი, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი ჩემ გამო. ჩემი მეუღლე და შვილი თავგამოდებით იბრძოდნენ ჩემ გამო და ამით ბედნიერიც ვიყავი, თუმცა ძალიან ვღელავდი.

ესაუბრა **მაია მარგველანი**

გაზ. „ყველა სიახლე"
18-24 იანვარი, 2008 წ.

„მთელი ოპოზიციის მოგილიზებაა საჭირო, უსაშველო არაფერია“

ირაკლი ბათიაშვილმა „რესპუბლიკელებს“ ამაგი დაუფასა. არ დაივიწყა, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ მისი პატიმრობიდან გათავისუფლებაში დიდი წელილი შეიტანა და მათ რიგებში სწორედ მაშინ გაერთიანდა, როდესაც პარტიის ლიდერები, ეროვნული საბჭოდან გამიჯვნის გამო მოღალატეებად გამოაცხადეს და ხელისუფლებასთან გარიგებაში დაადანაშაულეს. ბათიაშვილი არ უარყოფს, რომ „რესპუბლიკელები“ დღეს კრიტიკულ ვითარებაში იმყოფებიან, მაგრამ იმედოვნებს, რომ პრობლემა მალე მოგვარდება და საზოგადოება მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სწორად შეაფასებს.

— ბატონო ირაკლი, რატომ გადაწყვიტეთ, რომ რესპუბლიკური პარტიის წევრი გამხდარიყავით?

— ვფიქრობ, რომ სავსებით ადეკვატური გადაწყვეტილება მივიღე. რესპუბლიკური პარტია ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური და აბსოლუტურად სამართლებრივი მეთოდებით იბრძვის. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ „რესპუბლიკელებს“ საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ. ძმებმა ბერძენიშვილებმა ეს პარტია დისიდენტური მოძრაობის დროს, საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში შექმნეს. მათი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობის შექმნა იყო. მე ამ ადამიანებთან, საერთო ღირებულებებთან და მსოფლმხედველობრივ პრინციპებთან ერთად, მეგობრული ურთიერთობაც მაკავშირებს.

— რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრება თქვენი იდეა იყო თუ შემოთავაზება მათი მხრიდან მიიღეთ?

— ჩემს სურვილს მათი ინიციატივა დაემთხვა. სურვილების თანხვედრა მოხდა.

— თქვენი როლი ამ პარტიაში როგორი იქნება?

— ამას დრო გვიჩვენებს. მე მგონი, გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება მეც მაქვს, ამასთანავე, ჩემი ჩამოყალიბებული პრინციპებიც მაქვს. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ჩვენს პოლი-

ტიკურ ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებები განხორციელდეს. პირველ რიგში, ავტორიტარული რეჟიმი მშვიდობიანად უნდა გავისტუმროთ, შევცვალოთ მმართველობის ფორმა და საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოვყალიბდეთ.

— საარჩევნო სიაში რომელი ნომერი იქნებით?

— ამ თემაზე ჯერ არ გვილაპარაკია.

— ეროვნული საბჭოსაგან „რესპუბლიკელების" გამიჯვნას როგორ აფასებთ?

— ვიდრე ამ პარტიის წევრი გავხდებოდი, შორიდან მქონდა ინფორმაცია და ვიცოდი, რომ ეროვნულ საბჭოში საარჩევნო ტაქტიკასთან დაკავშირებით გარკვეული დისკუსია თავიდანვე მიმდინარეობდა. მე ვფიქრობ, რომ „რესპუბლიკელების" მიერ გადადგმული ნაბიჯი არასწორად იქნა გაგებული. მერწმუნეთ, ამაში ცუდი არაფერია, ეს ტაქტიკის საკითხია. ახლა მთავარია, ოპოზიციამ ერთიანობა შეინარჩუნოს.

— ერთიანობის შენარჩუნება როგორ წარმოგიდგენიათ?

— მოვიფიქრებთ რამეს...

— ფიქრობთ, რომ ეს საერთოდ, შესაძლებელია?

— მე მიმაჩნია, რომ სავსებით შესაძლებელია, თუმცა ხელისუფლება და მისი სტრუქტურები, მათი ქვემდებარე ტელევიზიები და სპეცსამსახურები ყველანაირად შეეცდებიან შავი პიარის აგორებას და ოპოზიციური ძალების ერთმანეთთან გადაკიდებას.

— ალბათ, ხელისუფლებას საამისოდ გარჯა აღარ დასჭირდება: ეროვნული საბჭოს ზოგიერთმა წევრმა „რესპუბლიკელების" მისამართით უკვე არაერთი მწვავე და კრიტიკული განცხადება გააკეთა.

— არა მგონია, რომ ასე ტრაგიკულად იყოს საქმე. ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვაქვს — ეს არის სააკაშვილის რეჟიმის მშვიდობიანი შეცვლა. მჯერა, რომ არჩევნებში ოპოზიცია გაიმარჯვებს და შემდეგ უკვე ერთობლივი გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

— არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ „რესპუბლიკელებმა" ეროვნულ საბჭოში შემავალ დანარჩენ პარტიებთან თანაბარ პირობებში ყოფნა არ მოინდომეს.

— მე ამ პროცესების მომსწრე არ ვყოფილვარ. ეროვნული საბჭოს მიმართ დღემდე უდიდესი სიმპათია მაქვს და სრულ თანადგომას ვუცხადებ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ „რესპუბლიკელებმა“ ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს? ფაქტია, რომ რესპუბლიკურ პარტიას ყოფილი მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ, მათ თავიანთი პოზიციის დასაფიქსირებლად, აქციაც კი გამართეს.

— ეს მხოლოდ „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ გამართული აქცია არ ყოფილა. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი საერთოდ, ოპოზიციის მიმართ გამოხატავდა უკმაყოფილებას. ყოველ შემთხვევაში, მე ასე დავინახე. ვფიქრობ, რომ ოპოზიცია სერიოზულად უნდა დაფიქრდეს და შექმნილი ვითარება კარგად გაანალიზოს. მოვლენები მართლაც, რეალურად უნდა შევაფასოთ. ახლა მოსახლეობა გულგატეხილი და იმედგაცრუებულია. ამას ძალიან სერიოზული ყურადღების მიქცევა, სწორი ტაქტიკის შემუშავება სჭირდება. ამისთვის კი, მთელი ოპოზიციის მობილიზებაა საჭირო, უსაშველო არაფერია. დღეს შექმნილი ვითარება ტრაგიკული არ არის, მაგრამ არც მთლად კარგად არის საქმე. სხვათა შორის, ასეთი დაღმავალი პერიოდები ეროვნული მოძრაობის დროსაც იყო.

— საზოგადოების ერთი ნაწილი, ოპოზიციის ლიდერად ირაკლი ოქრუაშვილს მიიჩნევს. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ შეხედულებასთან?

— მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ოპოზიციის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია და ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. მართალია, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან ვაფასებ. ის უსამართლოდ იდევნება სააკაშვილის ხელისუფლებისგან. მინდა აღვნიშნო, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა, თავისი პოლიტიკური განცხადებებით, საქართველოში ყინული გაალღო. ამ ფაქტისთვის ხაზის გადასმა არასწორი იქნებოდა. მე მას საქართველოში მალე დაბრუნებას ვუსურვებ.

ესაუბრა **ხათუნა ბახტურიძე**

ჟურნალი „გზა“ №10
6.03.2008 წ.

სააკაშვილი და მისი გუნდი ახლო პერიოდში ხელისუფლებიდან აუცილებლად უნდა წავიდეს!

რესპუბლიკური პარტიის წევრი ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ მართალია, ახლა დამნაშავის ძიების და შიდა დაპირისპირების დრო არ არის, მაგრამ როდესაც ქვეყანა თავზე გვემხობა, დუმილიც არანაკლები დანაშაულია:

— წინა დღით, სანამ ცხინვალში შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყებოდა, ტელევიზიით განვაცხადე — თუ ჩვენი ხელისუფლება გონიერებას არ მოუხმობს, რომ პროვოკაციას არ წამოეგოს, არსებობს უდიდესი საშიშროება, პროცესები კონტროლიდან გამოვიდეს და ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდოს, რასაც საქართველოსთვის უმძიმესი შედეგები მოყვება-მეთქი. განვაცხადე ისიც, რომ არ უნდა გვქონოდა იმის ილუზია, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ მთელ თავის სამხედრო მანქანას არ აამოქმედებდა. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა.

— თუ ეს გათვალეთ ცალკეულმა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ვერ გათვალა?

— ძალიან კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი ძალას არ დაზოგავდა და ამას არც მალავენ. რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთი ომისთვის ემზადებოდა და ფართომასშტაბიან მობილიზაციას ახორციელებდა.

მაშინ, ჩნდება კითხვა, თუ ხელისუფლებამ ეს ყველაფერი იცოდა, რატომ არაფერი იღონა, რათა პროვოკაციას არ აჰყოლოდა?

— ცხადია, რომ ხელისუფლებამ არაფერი იღონა. რატომ, თქვენი აზრით?

— სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩათვალა, რომ რუსეთი ვერ ითავხედებდა და არმიას საქართველოში ვერ შემოიყვანდა, რაც მათ უპასუხისმგებლობასა და წინდაუხედავ პოლიტიკაზე მეტყველებს, რომელმაც ასეთ დამღუპველ შედეგებამდე მიგვიყვანა. თუ იმას

ვთვლით ბედნიერებად და გამარჯვებად, რომ ნახევარი საქართველო დაკარგული გვაქვს და ამიტომ შეიძლება ნატოში წყნარად შევიდეთ, ჩანს, მთლად საღად ვერ ვაზროვნებთ.

დიახ, ვინც თავს დაიმშვიდებს და იტყვის, რომ მართალია, ტერიტორიები დავკარგეთ და ნგრევა განვიცადეთ, მაგრამ სამაგიეროდ, შესაძლოა, უფრო სწრაფად შევიდეთ ნატო-შიო, ის ან მთლად ნორმალური ვერ არის, ან საქართველოს მტერია.

— „ნეტავ, მედვედევმა ხელი მოაწეროს...“ — ასეთი განცხადება გააკეთა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა, როდესაც დუმამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება მიიღო. მართლა ასეთი უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ რუსეთმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა?

— ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ჩვენი ხელისუფლების აბსოლუტურ უპასუხისმგებლობაზე. სწორედ ასეთმა გულარხეინობამ მიგვიყვანა ამ ტრაგედიამდე. როგორ შეიძლება, მნიშვნელობა არ ჰქონდეს ფაქტს, როცა ისეთი დიდი და აგრესიული სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, სეპარატისტული რეგიონების სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას აღიარებს?

ეს განცხადება იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებას ხალხი იდიოტების ხროვა ჰგონია. ფიქრობენ, რომ ხალხი ნახირია, რომელსაც შეიძლება, მუდმივად თვალში ნაცარი შეაყარო და უთხრა: მერე რა, თუ ჩვენმა ჯარმა ცხინვალთან მარცხი განიცადა, რა მოხდა, თუ გორი დაიბომბა, რა მოხდა, თუ რუსეთმა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა! როდესაც ცხინვალის შემდეგ რუსის ჯარმა გორიც დაიკავა, როდესაც ჩვენი ბიჭების ცხედრები ცხინვალში უპატრონოდ, გორებად ეყარა, ამათ პარლამენტის შენობის წინ თავყრილობა მოაწყვეს და რაღაც გამარჯვებაზე საუბრობდნენ. სრულიად არაადეკვატური ეიფორია სუფევდა სახელისუფლებო წრეებში. ახლაც უნდათ, ასე მოიქცნენ და ხალხი დააჯერონ, რომ ტრაგედია არაა, თუ რუსეთმა კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. თუმცა, ძალიან კარგად ესმით, რას ნიშნავს რუსეთის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა და რა დონეზე ართულებს ის აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების პერსპექტივებს. რუსეთმა ამ გადაწყვეტილებით დიდი დანაშაული ჩაიდინა და საბედისწერო შეცდომა დაუშვა, პირველ რიგში, თავად რუსეთისთვის, რაც აუცილებლად ბუმერანგივით

შეუბრუნდება ისევე, როგორც აფხაზეთის ომი შეუბრუნდათ და ჩეჩნეთის ომი მიიღეს. ჩვენს პოზიციებს ის ამაგრებს, რომ ცივილიზებული მსოფლიო რუსეთის ამ ნაბიჯს კატეგორიულად გმობს, თუმცა, მეორე მხრივ, ამით თავი დავიმშვიდოთ და ვთქვათ, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა, სრული იდიოტიზმია!

— მოსალოდნელია თუ არა, რომ რუსეთმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოგვიმზადოს და ამჯერად ის ეკონომიკური ბერკეტები აამოქმედოს, რომელიც მის ხელში ისევ დღევანდელი ხელისუფლების წყალობით აღმოჩნდა?

— არა მგონია, რუსეთმა ეკონომიკური ბერკეტები გამოიყენოს. ამ ხელისუფლებამ მათ ჯერ თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი ჩააბარა, ამჯერად კი, თითქმის მთელი ქვეყანა. ფაქტობრივად, ომი ორ დღეში დამთავრდა. ჩვენმა ბიჭებმა, ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა, რიგითებმა იქ გმირულად იბრძოლეს, მაგრამ ხელმძღვანელობის უთავობის გამო ომი ორ დღეში დამთავრდა და ორი დღის შემდეგ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე რუსის ჯარს უკვე მთელი ქვეყანა ჩააბარა. საქართველოს ისტორიას ასეთი მარცხი არ ახსოვს. ჩვენ წავაგეთ აფხაზეთის ომი. იქ, მართალია, რუსეთის მთელი არმია არ შემოსულა, მაგრამ რუსეთის რეგულარული არმია გვებრძოდა, არტილერია, ავიაცია, შამილ ბასაევი თავისი ჩეჩნური ბატალიონებით, გილაევი თავისი ბატალიონებით, აფხაზები, ოსები და, მიუხედავად ამისა, იქ წელიწადი და ერთი თვე ვიყავით! მე კარგად ვიცი, თუ რა გმირობა ჩაიდინეს და როგორ იბრძოლეს ჩვენმა ბიჭებმა ცხინვალთან, მაგრამ ხელისუფლება და სახელმწიფო იმ დონეზე იყო მოშლილი და ისეთი უპატრონობა და არაორგანიზებულობა იყო გამეფებული, რომ ორ დღეში ყველაფერი დამთავრდა — მთელი საქართველო რუსის ჯარს ჩაბარდა, რომელიც, სხვათაშორის, დღესაც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება.

არ მახსოვს, საქართველოს, თავისი ისტორიის მანძილზე ასეთი მარცხი ოდესმე განეცადოს!

— ოპოზიციამ მომხდარის შეფასებაზე მორატორიუმი გამოაცხადა. გასაგებია არგუმენტიც, რომ ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავის დროზე არც აფხაზეთის მოვლენები შეფასდა და შესაძლოა, სწორედ ამანაც გამოიწვია, რომ საბედისწერო შეცდომა კიდევ ერთხელ გავიმეორეთ.

— რა თქმა უნდა, როდესაც რუსის ტანკი თბილისთან იყო მომდგარი და რუსეთის ხელისუფლება ჩვენი ხელისუფლების

შეცვლაზე საუბრობდა, ჩვენ შეფასებების და კრიტიკის მორალური უფლება არ გვქონდა. დღესაც, უპირველესი ამოცანა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაა და არა შიდა დაპირისპირებები, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ კიდევ გავჩუმდეთ!

ამ ხელისუფლების უპასუხისმგებლო და უგუნური პოლიტიკის შედეგად ქვეყანა თავზე ჩამოგვემხო და-ახლა დუმილი დანაშაულის ტოლფასია. ბევრი უბედურება და კატაკლიზმები გადავიტანეთ, მაგრამ ამ მასშტაბის კატასტროფა ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ მომხდარა. დიდი მსხვერპლი, დახოცილი ბიჭები, წაგებული ომი, დანგრეული ქალაქები და ინფრასტრუქტურა, ოკუპირებული ტერიტორიები, დაკარგული კოდორი, ათიათასობით დევნილი და რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები — ეს უდიდესი ტრაგედიაა და ახლა ჩუმად ყოფნა გაუგონარი დანაშაულია.

თუმცა, ვიმეორებ, მთელი ძალისხმევის შიდა გარჩევებზე გადატანა ამ ეტაპზე არ შეიძლება. ჯერ კრიზისიდან უნდა გამოვიდეთ, რუსის ჯარმა საქართველოს მთელი რიგი ტერიტორიები უნდა დატოვოს.

— ცოტა ხნის წინ ინტერვიუში მითხარით, 7 ნოემბრის წლისთავი მოდის და ხელისუფლება ამას იოლად ვერ გადაიტანსო. რას იტყვით დღეს?

— საზოგადოება ჯერ კიდევ შოკშია და გამომდინარე აქედან, მომხდარის ანალიზი ჯერ არ გაკეთებულა. თუმცა, უამისოდაც კარგად ჩანს, რა განწყობაა — საზოგადოება გაგიჟებულია და მომხდარზე პასუხს აუცილებლად მოითხოვს! არადა, ჩვენს ქვეყანას შიდა არეულობა ნამდვილად აღარ სჭირდება. გამომდინარე აქედან, დღეს ყველაფერი ხელისუფლებაზე, სააკაშვილზეა დამოკიდებული. ამ ტრაგედიის შემდეგ, თუ კეთილგონიერების ნასახი მაინც შერჩენიათ, გაიაზრონ ყველაფერი, რაც მოხდა, გააცნობიერონ, რომ მათ ხელში კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება. თუ კიდევ დიდხანს მოეპოტინებიან სკამებს და ძალაუფლებას, ასეთ შემთხვევაში საქართველოში უმართავი პროცესები დაიწყება.

ხალხის აღშფოთების ტალღას ვერავინ ვეღარ შეაჩერებს და თუ მათ უნდათ, რომ ქვეყანას კიდევ ერთი კატასტროფა ააცილონ, გონიერებას უნდა მოუხმონ — სააკაშვილი და მისი გუნდი ახლო პერიოდში ხელისუფლებიდან აუცილებლად უნდა წავიდეს! უნდა მოვიდეს ახალი ხელისუფლება. ვერ გეტყვით, ეს რა გზით მოხდება,

სასურველია, მშვიდობიანად და კონსტიტუციურ ფარგლებში, მაგრამ თუ ეს არ გაკეთდა, ნოემბრის გამოსვლები მოგონება იქნება იმასთან შედარებით, რაც შეიძლება დაიწყოს. ამ ომმა დემორალიზაციის, მსხვერპლის და ზარალის გარდა, ქვეყანას უდიდესი ეკონომიკური დარტყმაც მიაყენა და ეს შემოდგომა სოციალური თვალსაზრისით აუტანელი იქნება. ამიტომ, მე, ელემენტარულად, ვთხოვ სააკაშვილს — გაიაზროს არსებული სიტუაცია და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მართალია, ამ ეტაპზე ყველამ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ სიტუაცია დასტაბილურდეს და რუსის ჯარი საქართველოდან გავიდეს, მაგრამ შემდეგ უკვე, საქართველოს სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები სჭირდება, უპირველეს ყოვლისა — ახალი ხელისუფლება!

— რესპუბლიკელები ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აცხადებდით, რომ მაქსიმუმ ერთ წელიწადში ქვეყანაში ისევ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნებოდა. ვარაუდობდით, რომ ხელისუფლება ასეთ პროვოკაციაზე წამოეგებოდა?

— ამას ნამდვილად არ ველოდით. სააკაშვილის იმპულსური ქმედებების და პოლიტიკის შესახებ ყველამ ვიცოდით და სავარაუდო იყო, რომ რაღაც არაპროგნოზირებად ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ ასეთი მასშტაბის კონფლიქტში ჩაბმას და ასეთ შედეგებს არავინ ელოდა. კვლავ ვიმეორებ: სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში დარჩენა, ქვეყანაში მუდმივი დესტაბილიზაციის ფაქტორი იქნება და კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს. ამიტომ, თუ სააკაშვილი დღეს ამ ნაბიჯს გადადგამს და თავის გუნდთან ერთად ხელისუფლებიდან წავა, ეს მისი მხრიდან ძალზე პოზიტიური, კარგი და ვაჟკაცური ნაბიჯი იქნება!

გაზ. „ასავალ-დასავალი“ №35 (729)
1-7 სექტემბერი, 2008 წ.

„ახლა დუმილი დანაშაულის ტოლფასია“

„ახლა დუმილი დანაშაულის ტოლფასიაო“ — აცხადებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

— რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ და პრეზიდენტმა აღიარეს რა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ჩაიდინეს შემზარავი ბოროტმოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. ალბათ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც ფიქრობდა, რომ შეიძლება მედვედევი დუმის ამ გადაწყვეტილებას არ დათანხმდებოდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მან ეს ნაბიჯი გადადგა და მიიღო საბედისწერო გადაწყვეტილება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რუსეთისთვისაც. ამით რუსეთმა უგულებელყო საერთაშორისო სამართლის ნორმები. ეს არის ოკუპაციის და ეთნოწმენდის დაკანონება. მართალია, მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ამით თავს მაინც ვერ დავიმშვიდებთ. რუსეთმა გააფორმა თავისი ინტერვენცია, აგრესია და ანექსია. სამწუხაროდ, ყოველივე ეს სააკაშვილის და მისი გუნდის კისერზეა. ჩვენ „მიშა მაგარიას“ ძახილმა ნაციონალურ კატასტროფამდე მიგვიყვანა.

— შემზარავი ბოროტმოქმედება უწოდეთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს არც ისე საგანგაშოა...

— ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები, რომ ეს არაფერს ნიშნავს და მერე რა, თუ რუსეთი ასეთ ნაბიჯს გადადგამსო, კიდევ ერთხელ მეტყველებს მათ უპასუხისმგებლობაზე პოლიტიკური პროცესებისადმი. სწორედ ამგვარმა უპასუხისმგებლობამ მიგვიყვანა ამ უბედურებამდე. ამის გაბიაბრუება სრული უგუნურებაა. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვი, ისტორიული თვალსაზ-

რისით, დღეს ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება. ის რომ, მსოფლიო საზოგადოებრიობა არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ჩვენთვის ამ ეტაპზე რეალობას არ ცვლის. უნდა გავთვალოთ რუსეთის ამ ნაბიჯს რა შედეგი მოჰყვება. რუსეთის შემდგომი ნაბიჯი იქნება ის, რომ გააფორმებს ხელშეკრულებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ და თუ მათ საიდანმე „საფრთხე დაემუქრება", სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს. დაიწყებს მათ სრულ ანექსიას და როგორც ეკონომიკურ და სამხედრო, ისე პოლიტიკურ ინტეგრირებას. ახლა რომ ეუბნებიან რუსეთს, სამშვიდობო მისიას ვეღარ შეასრულებ, რადგან კონფლიქტის მხარე ხარო, ამის საპასუხოდ რუსეთი გააფორმებს სამხედრო ხელშეკრულებას და საერთოდ აღარ დასჭირდება ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ძალების იქ ყოფნა, ოფიციალურად გახდება მის მიერ აღიარებული სეპარატისტული მთავრობების სამხედრო მფარველი. ამ საკითხზე უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებებს, მაგალითად, დავით დარჩიაშვილის გამოსვლას ვუსმენდი და თქვა, ძალიან კარგი იქნება, თუ მედვედევი რუსეთის დუმის გადაწყვეტილებას ხელს მოაწერსო. ასეთმა თავდაჯერებულობამ და გულარხეინობამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არაფერს ნიშნავს?! საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ თვალებში ნაცრის შეყრის მცდელობა და ლაპარაკი იმაზე, რომ ეს არაფერია, უშედეგო პიარია, რადგან ხალხი აცნობიერებს, რა უბედურების წინაშეც ვდგავართ და ეს მის გაღიზიანებას იწვევს.

— მსოფლიო საზოგადოებრიობამ ვერ მიაღწია, რომ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთს ჯარი გაეყვანა. ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას შეძლებს?

— სხვათა შორის, რუსი ანალიტიკოსები და, ალბათ, ასეთი ადამიანები ხელისუფლებაშიც იქნებიან, აცნობიერებენ, რომ ეს შეიძლება ბუმერანგივით შემოუბრუნდეს რუსეთს, როგორც, მაგალითად, აფხაზეთის შედეგად ჩეჩნეთის ომი მიიღო. ამან რუსეთისთვისაც შეიძლება დამანგრეველი შედეგი გამოიწვიოს ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ დროებითი სიმშვიდეა, მაგრამ არავინ იცის, როდის აფეთქდება სიტუაცია. შესაძლოა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის ფედერაციაში ძლიერი სეპა-

რატისტული მოძრაობების აფეთქების კატალიზატორი აღმოჩნდეს და მთელი რიგი დესტრუქციული მოძრაობები შეიქმნას. მართალია, ამას აცნობიერებენ, მაგრამ ახლა რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშ-მენტი ისეთ ეიფორიაშია, რომ შინაგანი კონტროლი დაკარგეს.

— ეს მხოლოდ ეიფორიის შედეგია თუ ამით ძალის დემონ-სტრირებას და მსოფლიოსთვის იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ „რუსეთი მაგარია"?

— რა თქმა უნდა, რუსეთი ძალის დემონსტრირებასაც ცდილობს. როგორც ვიცი, იქ კმაყოფილები არიან იმით, რომ მსოფლიოს ძალა დაანახვეს და ცივილიზებული სამყარო არა მარტო დაფიქრდა, შეიძლება ითქვას, შეშინდა კიდეც. „დერჟავის" სტატუსის დაბრუნე-ბა რუს პოლიტიკურ სპექტრში დიდ კმაყოფილებას იწვევს და ამიტო-მაც გადააბიჯეს ყველა ზღვარს. არ არის გამორიცხული, დეკემბერში მაპ-ი მივიღოთ, მაგრამ ამ პირობებში, როდესაც საქართველოს ტერ-იტორიების დიდი ნაწილი რუსეთის მიერაა ოკუპირებული, არ ვიცი, ეს როგორ მოხერხდება. ვიდრე მაპ-ის მიღება-არმიღების საკით-ხამდე მივალთ, პირველ რიგში, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რუსის ჯარმა დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

— სამი-ოთხი წელიწადია ქვეყანა ელოდება, რომ მაპ-ს მივიღებთ. მთელი პიარიც აქეთ იყო მიმართული, რამაც შესაძლოა, დააზარალა კიდეც ჩვენი ქვეყნის ინტერესები...

— გეთანხმებით და არ შეიძლება მხოლოდ ამ იმედით ვიცხოვროთ. ჩვენი მთავარი საფიქრალი ამჯერად ისიც უნდა იყოს, რომ დევნილებს შევუქმნათ ელემენტარული საარსებო პირობები. მართალია, ჰუმანიტარული დახმარება მოდის, მაგრამ, ეს ან არასაკ-მარისია, ან მის განაწილებას კარგი ორგანიზება სჭირდება. დღეს დევნილები უმძიმეს მდგომარეობაში არიან, ამ ომმა ჩვენს ეკონომიკას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა და ამ მხრივ დიდი სამუშაო იქნება ჩასატარებელი, რომ მთელი მოსახლეობა არ დადგეს სოციალური კატასტროფის წინაშე.

— ბატონო ირაკლი, გასაგებია, რომ რუსეთის მიერ ეს პრო-ვოკაცია კარგა ხანია იგეგმება, მაგრამ ხელისუფლებას თუ შეეძლო პროვოკაცია ქვეყნისთვის აეცილებინა?

— ის, რომ რუსეთი აგრესორია და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია მოაწყო, ყველა ჩვენგანში აღშფოთებას და გაგულისებას იწვევს. ამ მხრივ ქართული საზოგადოების განწყობა ერთგვაროვა-ნია, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობა უზარმაზარია

ყოველივე იმაში, რაც მოხდა და იმის თქმა, ახლა შეფასებების დრო არ არისო, სისულელეა... როდესაც რუსეთის ჯარი თბილისს მოადგა, მაშინ ნამდვილად არ იყო შეფასებების დრო, მაგრამ დღეს დუმილი დანაშაულია! რას ნიშნავს შეფასებების დრო არ არის?! ქვეყანა თავზე ჩამოგვენგრა და ამაზე დიდი უბედურება რა შეიძლება მომხდარიყო?! რომელი არჩევნების გაყალბება ან სხვა საკითხი შეიძლება შეედაროს იმ უბედურებას, რაც ახლა დაგვატყდა თავს?! როგორ შეიძლება ახლა ვისხდეთ და ვდუმდეთ?! ჩვენივე ქვეყნის მომავლისთვის და ამ ბნელი გვირაბიდან გამოსვლის პერსპექტივისთვის დუმილი კი არა, ანალიზია საჭირო. მომხდარს ეროვნულ კატასტროფას ვუწოდებ და ამის „გაპუსტიაკება" ან ვინმეს მოტყუება, რომ ეს ჩვენი გამარჯვებაა, მკრეხელობაა! რა დროს კონცერტებია ჩვენი ბიჭების ცხედრებზე, სისხლსა და ნანგრევებზე?! აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამის მიუხედავად, პესიმიზმის უფლება არ გვაქვს და ამის არც საფუძველი არსებობს, პირიქით, ძალიან ძლიერად და მხნედ უნდა ვიყოთ. ახლა ერთადერთი მიზნით უნდა აღვიჭურვოთ, როგორმე გამოვიდეთ ამ კრიზისიდან და აუცილებლად გამოვალთ, ჩვენი ქვეყნის აღმავლობა და აღორძინება აუცილებლად დაიწყება. ეს დიდწილად ჩვენს მხნეობასა და სულიერ სიმტკიცეზეა დამოუკიდებული.

— რა იყო ჩვენი მთავარი შეცდომა?

— კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რა შედეგი მივიღეთ, უზარმაზარი მსხვერპლია და თავს ნუ მოვიტყუებთ — მათი რაოდენობა დროთა განმავლობაში დაზუსტდება, ამას ემატება დევნილთა ნაკადი. ადრე ოკუპირებულ ტერიტორიებს დაემატა ბევრი ქართული სოფელი, სამეგრელოს რეგიონი, ახალგორის რაიონი, დავკარგეთ კოდორის ხეობა. გამოვიდა, რომ ამ ხელისუფლებამ რუსულ ჯარს ჩააბარა ქვეყანა. მართალია, ჩვენი ჯარისკაცები თავგანწირულად იბრძოდნენ, მაგრამ ხელისუფლების უსუსურობით, საქართველოს რიგ ტერიტორიაზე რუსული ჯარი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შემოვიდა. ცხინვალთან თავგანწირული ბრძოლები იყო, მერე გასცეს ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დამთავრდა... დაიკარგა კოდორის ხეობა, რომელსაც 15 წელიწადს ინარჩუნებდა იქაური მოსახლეობა. დაიკარგა დროებით, ისე როგორც აფხაზეთი და ცხინვალია ჩვენთვის დროებით დაკარგული — ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ტერიტორიებს აუცილებლად დავიბრუნებთ. ხელისუფლების უგუნური, წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგი რომ არის ყოველივე ეს, ორი აზრი არ არსებობს.

თუმცა რუსეთის მოთხოვნით, სააკაშვილის გადადგომა დაუშვებელია, ეს ჩვენი ღირსების საკითხია. არავის აქვს უფლება, საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაერიოს და გადაწყვიტოს, ვინ იქნება ჩვენი პრეზიდენტი. როგორც კი რუსეთმა ეს საკითხი დააყენა, ოპოზიცია მაშინვე გაჩუმდა. ნახეთ, როგორი უცნაური რამ მოხდა... დღეს გარჩევების დრო არ არის, თუმცა შეფასების დრო ნამდვილად დადგა. ამ ხელისუფლებას იმხელა პასუხისმგებლობა აწევს, აუცილებლად მომწიფდება ყველას ცნობიერებაში, რომ ამ კრიზისიდან გამოსვლისთვის ძირეული ცვლილებებია საჭირო — ამ ხელისუფლების პირობებში კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ. ეს დიდი პოლიტიკური ცვლილება მშვიდობიანად და პოლიტიკური გზით უნდა განხორციელდეს, სხვაგვარად საქართველოს გაუჭირდება, ფენიქსივით აღდგეს ამ ნანგრევებიდან, მაგრამ აუცილებლად აღდგება.

— პოლიტიკურ ცვლილებებზე ლაპარაკობთ და როგორც ჩანს, ეს საკითხი უცხოეთშიც დადგა დღის წესრიგში. ამიტომაც იბარებენ პოლიტიკურ ლიდერებს რიგრიგობით ვაშინგტონში...

— ეს ნორმალური მოვლენაა, თუმცა არ მგონია, რომ ამერიკაში შეხვედრები ამას უკავშირდებოდეს. ისე, შეიძლება ამერიკაც ეძებდეს სააკაშვილის შემცვლელს და ევროპაც, ეს საკითხი დადგება დღის წესრიგში. ვერაფერს ვიტყვი იმაზე, რა ხდება ამერიკის ადმინისტრაციის კაბინეტებში, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ახლა ქართველი ხალხი შოკშია და ამისთვის არავის სცალია. საზოგადოებრივი აზრის მომწიფება, რომ სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები უნდა მოხდეს, გარდაუვალია — საქართველოს სჭირდება ახალი ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ქვეყანა ეტაპობრივად გამოიყვანოს ამ საშინელი კრიზისიდან.

— დრომ აჩვენა, რომ კოდორის ხეობის მოსახლეობის განიარაღება და ის სპეცოპერაცია, რასაც ზემო აფხაზეთის დაბრუნება ვუწოდეთ, შეცდომა იყო...

— ამ თემას არ მინდა შევეხო... თქვენ თვითონვე გააანალიზეთ, რა შედეგებამდეც მივედით. კოდორის ხეობა იყო ერთადერთი სტრატეგიული პლაცდარმი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იყო საქართველოს იურისდიქციაში, ვაკონტროლებდით და იყო დაცული. ამ ხელისუფლების მოქმედებების შედეგად მივიღეთ ის, რომ ეს ხეობა დროებით დაიკარგა.

ეს არის უდიდესი შეცდომა, რაც უმძიმეს შედეგებს მოიტანს. აფხაზეთის დაბრუნების თვალსაზრისით, კოდორის ხეობაზე კონ-

ტროლის დაკარგვა უფრო გაართულებს ამ პროცესს. ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ქართველი ხალხი არ დაუშვებს გარეშე ძალის მოთხოვნით, პრეზიდენტის შეცვლას, მაგრამ როდესაც სიტუაცია დასტაბილურდება — სამეგრელოს რეგიონიდანაც გავა ჯარი და რუსული პოსტები მოიხსნება, სააკაშვილს და მის გუნდს უნდა ეყოთ კეთილგონიერება, სინდისი და ვაჟკაცობა, რომ წავიდნენ ხელისუფლებიდან. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ რაც უფრო დიდხანს დარჩებიან ხელისუფლებაში, კრიზისი უფრო და უფრო გაღრმავდება. ასეთია რეალობა: სხვა დანარჩენი ილუზიაა. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ამჯერად დაპირისპირების უფლება არ გვაქვს და მშვიდობიან პოლიტიკურ ცვლილებებზე უნდა ვილაპარაკოთ. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ყოველგვარი ანგარიშსწორება. ის, რაც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ ადამიანებმა გააკეთეს, ვგულისხმობ რეპრესიებს, ქონების ჩამორთმევას და სხვაგვარ ანგარიშსწორებას, აღარ უნდა განმეორდეს. საქართველომ უნდა მიაღწიოს ეროვნულ თანხმობას. დღევანდელ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში მათ ვინმე ციხეში გამოკეტავს. ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს.

— არავისთვისაა მისაღები, ანალოგიური განმეორდეს, რაც ხდებოდა, მაგრამ კონკრეტული დანაშაულისთვის ხელისუფლების წარმომადგენლებმა პასუხი არ უნდა აგონ?

— იმ უამრავ დანაშაულს, რომელიც ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ ჩადენილი, დაემატა ახლანდელი ეროვნული კატასტროფა, მაგრამ თუ ამას გავყვებით, გამოგვივა ანგარიშსწორება. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ერთმანეთს უნდა მივუტევოთ, რომ კვლავ რეპრესპები არ დაიწყოს. თუ გვინდა, რომ მართლა მშვიდობიანად და პოლიტიკურად მოხდეს ცვლილება, ეს აუცილებელია. თუ ეს ხელისუფლება ვერ გააცნობიერებს, რომ მათი სათავეში ყოფნის შემთხვევაში კრიზისი გაღრმავდება, დრო გავა და ეს ხალხში უმძაფრეს პროტესტს გამოიწვევს. ამიტომ პოლიტიკური ცვლილებები უნდა მოხდეს მშვიდობიანად და რაც შეიძლება სწრაფად.

— ოპოზიციური სპექტრი მოსალოდნელ რეპრესიებზე ალაპარაკდა...

— თუ ამ საშინელი მარცხის შემდეგ ხელისუფლება რეპრესიებს დაიწყებს, ეს მართლა საბედისწერო აღმოჩნდება. კიდევ ერთხელ

დადასტურდება, რომ ქვეყნის ბედი არ აღელვებთ და მთავარია, სკამები შეინარჩუნონ. იმედია სააკაშვილი და მისი გუნდი გააცნობიერებენ მომხდარს, იმასაც, რომ მათ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა არ შეუძლიათ და ერთხელ მაინც გადადგამენ გონივრულ ნაბიჯს.

გაზ. „ყველა სიახლე"
28 აგვისტო — 3 სექტემბერი, 2008 წ.

„ქვეყანას ახალი პატრონი სჭირდება“

ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც ამჟამად „რესპუბლიკურ პარტიაშია“ გაერთიანებული, მიიჩნევს, რომ მიმდინარე მოვლენების შეფასების დრო დადგა და ახლა გაჩუმება სირცხვილია. საომარი მოქმედებების დაწყებიდან დღემდე მასთან რამდენჯერმე ვცადეთ ინტერვიუს ჩაწერა, მაგრამ ეს მცდელობა გუშინდლამდე უშედეგო იყო.

გასულ კვირას „მთელი კვირა“ ირაკლი ბათიაშვილს შეხვდა და განვლილ დღეებსა და მომავალზე რამდენიმე კითხვა დაუსვა.

ირაკლი ბათიაშვილი: ახლა საუბრის და შეფასებების დროა; დუმილი, დამალვა და ანალიზის არგაკეთება უკვე სირცხვილია.

„მთელი კვირა“: დუმილი თუ სირცხვილია, პირადად თქვენ როგორ მოიქცევით, რა კითხვებს დასვამთ ხელისუფლებასთან მიმართებაში?

ი.ბ.: ხელისუფლებასთან არანაირი კითხვები არ მაქვს, მე მაქვს ჩემი დასკვნები და შეფასებები. „რა კითხვებს დასვამთ-“ ძალიან კორექტურულადაა ნათქვამი. დღეს საზოგადოებას კითხვები აღარ აქვს. თქვენ ხალხთან კონტაქტი გაქვთ და ალბათ ამ ემოციებს, განწყობილებას გრძნობთ. ხალხი აღშფოთებულია სააკაშვილის და მისი გუნდის უპასუხისმგებლო, უგუნური პოლიტიკით, რამაც საქართველო აი, ასეთ კატასტროფამდე მიიყვანა.

„მ.კ.“: ამ განცხადების შემდეგ თქვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა შესაძლოა, მოღალატის იარლიყი მოგაკერონ...

ი.ბ.: ის, რომ დღეს საქართველოს ამხელა უბედურება თავს დაატყდა, ვინმეში ეჭვს იწვევს?! ბოლო პერიოდში საქარველოს ასეთი კატასტროფული ვითარება არ ჰქონია. შეიძლება ნორმალურ ადამიანში ეჭვი გამოიწვიოს იმან, რომ ამაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება — სააკაშვილი და მისი გუნდი?!

„მ.კ.“: გარკვეულ პირთა მოსაზრებით, ომი მაინც დაიწყებოდა, მიუხედავად სააკაშვილის ხელისუფლების პოზიციისა...

ი.ბ.: თავისთავად არაფერი ხდება; ვიმეორებ — იმაზე პასუხისმგებლობა, რაც საქართველოში მოხდა, სააკაშვილს და მის გუნდს აწევს.

მოდით, განვლილ დღეებს გადავხედოთ და სიმართლე ვთქვათ — ჯერ ერთი, ჩვენ საშინელი მარცხი განვიცადეთ ცხინვალთან, სადაც ჩვენმა ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა გმირულად იბრძოლეს, მაგრამ სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის უთავობის და უპასუხისმგებლობის გამო ორ დღეში ომი წავაგეთ. ამას შედეგად მოჰყვა არა უბრალოდ გორში შემოსვლა, არამედ ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ტერიტორიების უდიდესი ნაწილი რუსეთის საოკუპაციო ჯარს ხელში ყოველგვარი წინააღმდეგობის და ბრძოლის გარეშე ჩაუგდო; ის რომ ოკუპანტის ჯარი ასე დაპარპაშებს ჩვენს ტერიტორიაზე, დაწყებული სამეგრელოდან, ქართლით დამთავრებული, აღმაშფოთებელი არ არის?!

„მ.კ.": თქვენი აზრით, ეს არის უგუნური პოლიტიკის შედეგი, თუ ტერიტორიების ჩაბარება მიზანმიმართულად მოხდა?

ი.ბ.: ასეთი ნაბიჯის მიზანმიმართულად გადადგმას გამოვრიცხავ. ეს არის უგუნური პოლიტიკის შედეგი, რასაც კიდევ ემატება ის უპასუხისმგებლო საზეიმო ღონისძიება, რომელზეც ხელისუფლება გამარჯვებას აღნიშნავდა. ვგულისხმობ პარლამენტის წინ გამართულ მიტინგს, მაშინ, როცა ოკუპანტები თბილისს უახლოვდებოდნენ, როცა ჩვენი ბიჭების ცხედრები ცხინვალში გორებად ეყარა, როცა ქალაქები დანგრეული იყო, მშვიდობიანი მოსახლეობა დახოცილი, ხალხი დემორალიზებული. ამ აქციამ საზოგადოებაში საშინელი რეაქცია გამოიწვია.

„მ.კ.": მაგრამ იქ ბევრი ხალხი მივიდა, მიშა-მიშასაც გაიძახოდნენ...

ი.ბ.: მაშინ ყველა შეშფოთებული იყო, ხალხმა არ იცოდა, რა ექნა. მიშა-მიშას ვის აძახებინებდნენ, არ ვიცი, მაგრამ სამწუხაროა, ასეთი რამ რომ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ არის მსხვერპლი, ნგრევა, მარცხი, კოდორი დავკარგეთ, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ერთად სამეგრელო ოკუპირებულია, ქართლის დიდი ნაწილი ოკუპირებულია და, მგონი, ოკუპანტები გასვლას არ აპირებენ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი დროებითაა დაკარგული, მათ შორის — აფხაზეთიც და სამაჩაბლოც. მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, მე პესიმისტურად განწყობილი არა ვარ, ეს არ არის შეუქცევადი პროცესი და დარწმუნებული ვარ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გარდაუვალი იქნება. რუსეთის მიერ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, უპირველესად თავად რუსეთისთვის აღმოჩნდება საბედისწერო. ამ ამბების შედეგად, რაც მოხდა, ერთი მხრივ, ჩვენ ხომ საშინლად დავზარალ-

დით და ასეთ კატასტროფამდე მივედით, მაგრამ მეორე მხრივ, ამას მოჰყვა ის, რომ ცივილიზებულმა სამყარომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე კატეგორიული უარი თქვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„მ.კ.": თქვენც იმ პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნებით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რუსეთის მიერ ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება ბევრს არაფერს ნიშნავს?

ი.ბ.: მსგავს განცხადებებს ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ, რაც მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრას ნიშნავს; როგორც ჩანს, ისინი საზოგადოებას სათანადოდ ვერ აფასებენ. ეს ადამიანები ტელევიზიით ღიმილით გამოდიან და ამბობენ, რომ ამით დიდი არაფერი მომხდარა. რუსეთის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი არის უდიდესი უბედურება. ჩვენ ამით საშინელი დარტყმა მივიღეთ. ამ აღიარებას, რა თქმა უნდა, მოჰყვება ხელშეკრულებების გაფორმება სამხედრო დახმარების შესახებ; ამასთან, შეგახსენებთ, რომ რუსეთი არის გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და დღეის შემდეგ ყველა რეზოლუციის პროექტს, რომელშიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ფორმულირებული იქნება, ის დაბლოკავს.

„მ.კ.": მიუხედავად ამისა, საიდან გამომდინარეობს თქვენი ოპტიმიზმი?

ი.ბ.: ჩემი ოპტიმიზმი გამომდინარეობს იქიდან, რომ ცივილიზებული სამყარო არასდროს აღიარებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ამასთან, დასავლეთის უდიდესი მხარდაჭერის ფონზე, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყანა ამ უმძიმესი კრიზისიდან გამოვა და წელში აუცილებლად გაიმართება — ამას გარკვეული დრო დასჭირდება, რადგან სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკური პროცესი ხელახლაა დასაწყები, მაგრამ საქართველოს კრიზისიდან გამოყვანა სააკაშვილს და მის გუნდს არ შეუძლია.

„მ.კ.": გადადგომისკენ მოუწოდებთ?

ი.ბ.: მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა მათ არანაირად არ ძალუძთ. უფრო მეტიც, რაც უფრო დიდხანს იქნებიან ისინი ხელისუფლების სათავეში, საქართველოში კრიზისი უფრო გაღრმავდება. დღეს ხალხი შოკშია და ყველას საფიქრალი არის აქედან საოკუპაციო ჯარის გასვლა, რომ საფრთხე შემცირდეს. ამ წუთას სხვა ყველაფერი

არის მეორე და მეათეხარისხოვანი, მაგრამ გაითვალისწინეთ, ეკონომიკამაც რამხელა დარტყმა მიიღო, რა უმძიმესი სოციალური ვითარება ემუქრება საქართველოს მოსახლეობას, ზამთარიც მოდის და, რა თქმა უნდა, ომის კატასტროფული შედეგები მოსახლეობაში უდიდესი პროტესტის გრძნობას გამოიწვევს, რომელიც თანდათან მოიმატებს და ზვავივით წამოვა. ახლა გარედან თავს იმხელა უბედურება დაგვატყდა, რუსეთმა ისეთი ინტერვენცია მოგვიწყო და ისეთი დარტყმები მოგვაყენა, რომ შიდა კატაკლიზმების დრო ნამდვილად არ გვაქვს. ამიტომ, სააკაშვილს და მის გუნდს უნდა ეყოს კეთილგონიერება, რომ საოკუპაციო ჯარის სამეგრელოდან და ქართლიდან გასვლის და ვითარების მეტ-ნაკლებად დამშვიდების შემდეგ მათ ხელისუფლება დატოვონ; ძირეული პოლიტიკური ცვლილება უნდა მოხდეს მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზებით. აი, ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს პერსპექტივა, დავიწყოთ ამ უმძიმესი კრიზისიდან გამოსვლა. სხვანაირად ჩვენ აი, ამ ბნელი გვირაბიდან ვერ გამოვალთ.

„მ.კ.“: ე.ი. რიგგარეშე არჩევნებია გამოსავალი?

ი.ბ.: ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების გარკვეული ტექნოლოგიები არსებობს, რაღაც გარდამავალი ეტაპები უნდა იყოს და საბოლოოდ არჩევნები უნდა ჩატარდეს. ქვეყანას ახალი პატრონი სჭირდება, სხვანაირად გამორიცხულია.

„მ.კ.“: ალბათ გსმენიათ გავრცელებული ინფორმაცია იმაზე, რომ ჩვენს „ახალ პატრონზე“ ამერიკაშიც ფიქრობენ.

ი.ბ.: დარწმუნებული ვარ, ჩვენდამი კეთილგანწყობილი ქვეყნებიც ფიქრობენ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და რომ ახლა ქვეყანას სერიოზული ცვლილებები სჭირდება, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ამჟამად ხელისუფლების ცვლილებისთვის პოლიტიკური პროცესის დაწყება გამორიცხულია, რადგან ოკუპანტები ჯერ კიდევ აქ არიან.

„მ.კ.“: ვინ დაიწყო ომი? ამაზე პოლიტიკოსებში აზრი ორად იყოფა.

ი.ბ.: რა თქმა უნდა, პროვოკაციები რუსეთის და სეპარატისტების მხრიდან წამოვიდა, ამაზე ორი აზრი არ არის, მაგრამ ამას ხომ ხედავდა და ეს ხომ იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ?! ახლახან სააკაშვილმა განაცხადა, ვიცოდით, რა სამზადისი მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაშიო. ე.ი. იცოდნენ, რომ რუსეთი ყველანაირად ცდილობდა, სააკაშვილი და ეს ხელისუფლება ომში ჩაეთრია და იმის მაგივრად, რომ ქართულ მხარეს ყველაფერი ელონა ომში ჩართვის

თავიდან ასაცილებლად, პროვოკაციას ადვილად წამოეგო. 6-ში, როცა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაწყებული არ იყო, „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში განვაცხადე — ყველაფერი ვილონოთ იმისთვის, რომ არ წამოვეგოთ ამ პროვოკაციაზე, ცეცხლი უნდა შეწყდეს, თუ საჭიროა, სააკაშვილს ყველა დავეხმარებით პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად; თუ ცეცხლი არ შეწყდა, რუსეთი მთელ თავის სამხედრო მანქანას აამოქმედებს და ეს ჩვენთვის უმძიმესი შედეგებით დასრულდება-მეთქი. ეს განცხადება მაშინ ბევრმა სკეპტიკურად აღიქვა და, საუბედუროდ, მე მართალი აღმოვჩნდი.

მიუხედავად სააკაშვილის მიერ ტელევიზიით გაკეთებული განცხადებისა — ჩვენ ყველა ინფორმაცია გვქონდაო, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მან ეს ყველაფერი მიზანდასახულად გააკეთა. ბევრ რამეში სააკაშვილი ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია, ბოლოს და ბოლოს მე მის მიერ უსამართლოდ რეპრესირებული პიროვნება ვარ, პოლიტპატიმარი ვიყავი და ამასთან, მისი პირადი პატიმარი გახლდით, ამ ხელისუფლებასთან ერთად უამრავი ასეთი შეცდომა და დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ მჯერა, რომ სააკაშვილს ნამდვილად უნდოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სამაჩაბლოს დაბრუნება. ასეთი სურვილი კარგია, მაგრამ ეს იყო აბსოლუტურად გაუაზრებელი, დაუგეგმავი, უპასუხისმგებლო, წინდაუხედავი პოლიტიკა, რამაც უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანა.

აფხაზეთის ომიც ასე დაიწყო — მაშინდელი ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოეგო. მაშინ არძინბა და რუსეთი ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს პროვოკაციაზე წამოსაგებად. მაშინ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ვიყავი. მე და ავთო იოსელიანი გამოვედით და ვთქვით, რომ აფხაზეთში ჯარის შეყვანა დაუშვებელი იყო და რომ ეს უმძიმესი შედეგებით დამთავრდებოდა. შემდეგ ომი რომ დაიწყო, 24 საათი სოხუმში გახლდით, ფრონტის ხაზზეც მუდმივად ვიყავი, რომ ჩემი ქვეყანა დამეცვა. იმ პერიოდთან შედარებით ახლა გაცილებით მძიმე შედეგები მივიღეთ — მარცხი, ოკუპაცია, დევნილები, ნგრევა, შემოსულები არიან სამეგრელოში, ქართლის სოფლებში და პლუს ამას, რუსეთმა იურიდიულად აღიარა ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რითაც თავის ჭკუაში ამ ტერიტორიების დაბრუნების გზა მოგვიჭრა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საქმეს წერტილი არ ესმება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ეს ნაბიჯი გაცილებით ართულებს ამ რეგიონების დაბრუნების პერსპექტივას.

„მ.კ.": გაქვთ ინფორმაცია იმაზე, რომ ჩვენი მხრიდან საომარ მოქმედებებს არა სამხედრო პირები, არამედ პოლიციელები ხელმძღვანელობდნენ?

ი.ბ.: მე მაქვს ინფორმაცია, რომ პოლიციაც ხელმძღვანელობდა და ამ ამბებში არასამხედროები ერეოდნენ; ტელევიზიით გიგი უგულავას, გოკა გაბაშვილს ვხედავდით. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ნამდვილად ასე იყო თუ არა, მაგრამ მინდა, მათ იცოდნენ, რომ ხალხში ასეთი საუბრებია, რომ აბსოლუტურად არაკომპეტენტური პირები ერეოდნენ სამხედრო ოპერაციების, მოქმედებების დაგეგმვაში.

„მ.კ.": ის, რაზეც ზემოთ ისაუბრეთ, პირადი პოზიციაა, თუ თქვენი თანაპარტიელებიც ასე ფიქრობენ?

ი.ბ.: დარწმუნებული ვარ, ესაა ქართველი ერის პოზიცია — ახლა ყველა ასე ფიქრობს. თქვენ იცით, რომ რამდენჯერმე თავი შევიკავე ინტერვიუზე მაშინ, როცა თბილისთან ტანკები იდგა, მაგრამ ახლა დუმილი დანაშაულის ტოლფასია, გაჩუმება კრიზისის გაღრმავებას ხელს შეუწყობს. ოპოზიციის დიდი ნაწილის დუმილი მოსახლეობაში გაკვირვებას იწვევს. ჩვენ ვლაპარაკობთ საარჩევნო დარღვევებზე და ახლა თავს ამხელა უბედურება დაგვატყდა და ვდუმვართ?! ახლა თუ შეფასებების გაკეთება და ამ სიტუაციის ნორმალური გაანალიზება არ დავიწყეთ იმისთვის, რომ რაღაც გვეშველოს, ეს იქნება გამოუსწორებელი შეცდომა. კიდევ ერთხელ მინდა, გითხრათ, რომ ოპტიმისტურად განწყობილი ვარ (ამას ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობ) — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გარდაუვალია.

ესაუბრა ნინო მიქიაშვილი

გაზ. „მთელი კვირა" №238 (5751)
1 სექტემბერი, 2008 წ.

ტოტალიტარიზმი და ინდივიდუალიზმი

შეიძლება ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ლოგიკაც და ფაქტიური საქმის ვითარებაც იმაზე მეტყველებს, რომ ტოტალიტარიზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი შინაგანად არიან ურთიერთდაკავშირებულნი. სახელდობრ, საყოველთაო გათიშულობის გავრცელება ყოველდღიურ სოციალურ გარემოში მომდინარეობს ტოტალიტარული მმართველობის უსაკუთრივესი ტენდენციიდან. „გაყავი და იბატონე!" — გვასწავლის მრავალსაუკუნოვანი სიბრძნე. და ნამდვილად, აღტაცებას იმსახურებს მისი მოხერხებული „მეთოდიკა", როდესაც იგი უაღრესად დახვეწილი სახით, უაღრესად სრულყოფილად აღწევს თავის მიზანს; როდესაც მის მიერ დანერგილი უკიდურესი ინდივიდუალიზმი ბუნებრივ მდგომარეობად მიაჩნიათ ადამიანებს და უფრო მეტიც, — ერთგვარი თავმომწონე სიამაყის საგნად. ინდივიდი სიყვარულით თავს უფრთხილდება, ინდივიდი არტისტულად თავს იწონებს თავისი ინდივიდუალისტური სიმარტოვით. დიახ, იგი წუწუნებს და უჩივის საკუთარ გაუცხოებას ყველასა და ყველაფრისადმი, ლაპარაკობს თავის მძიმე წილ-ხვედრზე, რომელიც მას ბედმა აკუთვნა, მაგრამ თანაც ტკბება მისით და მიაჩნია მეტად ღირებულ ფაქტად. სახეზეა თავისებური მაზოხისტური სიამოვნება. მეტად ძნელია ასეთ ინდივიდს ფხიზლად გაახედო რეალობისაკენ, გააგებინო, რომ გარდა იმ „თანშობილი ბედისწერისა", ერთადერთი რაშიც ხედავს საკუთარი სიმარტოვისა და გაუცხოების მიზეზს, არსებობს სხვა რაღაც მიზეზიც, საკმაოდ მახლობელი და კონკრეტული რეალობის მქონე. ინდივიდს რატომღაც არ სურს მოიპოვოს ნათელი შეგნება ამ მახლობელ მიზეზთა; იმის შეგნება, რომ მისი ინდივიდუალისტური წილ-ხვედრი დიდწილად განსაზღვრულია ტოტალიტარული მექანიზმის მიერ ეფექტურად შესრულებული სამუშაოთი.

საყოველთაო უკიდურეს ინდივიდუალიზმზე ჩვეულებრივ მეტყველებს ხალხის ცნების დეევალვაცია ყოველდღიური ცნობიერებისათვის. იგი სრული უნდობლობითა და უგუნებობითაა გამსჭვალული მის მიმართ. — ხალხი? ვინ ხალხი? რა საქმე მაქვს ხალხამდე? — ყოველდღიური აზრისათვის აბსოლუტურად მკვდარია ეს ცნება და აღნიშნული ვითარებაც ისევ და ისევ ტოტალიტარული იდეოლოგიის ფუნდამენტურად ჩატარებული სამუშაოს დამსახურებაა. შეიძლება ამგვარი მსჯელობაც უცნაური მოეჩვენოს მავანს, სინამდვილეში კი საცნაურო აქ არაფერია. ხალხად-ყოფნის თვითცნობიერების ამოძირკვა აუცილებელ საქმეს წარმოადგენს ტოტალიტარული მმართველობისათვის, რათა მან საიმედოდ უზრუნველყოს საკუთარი პოზიციები. ეს მისი „სტრატეგიული პროგრამის" ერთ-ერთ არსებით, საკვანძო პუნქტად უნდა ვიგულვოთ. საგულისხმოა, რომ სწორედ ის იდეოლოგია, რომელიც იმთავითვე დამიზნებულია ხალხის თვითცნობიერების გაუქმებაზე, ყველაზე მეტად ლაპარაკობს ხოლმე ხალხის სახელით და საკუთარი ნების სრულ ძალმოსილებას ცალკეულ ადამიანზე იგი ასაღებს, როგორც ხალხის ნების პრიორიტეტს ერთეულის ნებაზე. ცნობილია, რომ „totalitas" ლათინური სიტყვაა და იგი ნიშნავს მთელს, მთლიანობას. მისგან წარმოებული ტოტალიტარიზმის ცნებით კი მოაზრებულია ისეთი მთლიანობითი სახელმწიფოებრივი მექანიზმი — გრანდიოზული „კიბერნეტიკული" მანქანა", — რომელიც აბსოლუტურად საკუთარი პროგრამისდა მიხედვით წარმართავს და კონტროლს უწევს სოციალური ცხოვრების ყოველ უბანს. ადამიანთა ნებისმიერი ინტერესი და ცოცხალქმედება საჭიროა ექვემდებარებოდეს და ემსახურებოდეს ამ მთლიანობითი მექანიზმის ერთიან ინტერესს. ცხადია, ამგვარ ტოტალობას არაფერი საერთო არა აქვს ხალხის ფენომენის აგრეთვე ტოტალობით ხასიათთან, გარდა იმისა, რომ ორივე მთლიანობის ზოგად-აბსტრაქტულ კატეგორიას განეკუთვნება. ისინი ისევე შორი-შორს დგანან ერთმანეთისგან, როგორც ვთქვათ მელოდიის (ან ლექსის) მთლიანობითი ბუნება კონვეერული დანადგარის მთლიანობითობისგან. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოსდა მხოლოდღა პიროვნებაა მსხვერპლი ამ მექანიზმის მუშაობისა, რადგან ე.წ. ხალხის ნებაც და ერთეულის ნებაც ერთნაირ დამუშავებას განიცდიან ტოტალიტარული მანქანის გამალებულად მოძრავ დეტალთა მიერ: იხრახნებიან, იპრესებიან, იჩარხებიან და საბოლოოდ კი არასაჭირო ნარჩენის სახით გარეთ მოისროლებიან.

ტოტალიტარულ ძალთა მოქმედებით თავის თავთან „მიგდებული“ ინდივიდი, თავის მყუდრო ნიჟარაში შეყუჟული ეს არსება საკუთარ ყოფნას „პიროვნულობის“ პატივსაცემი სახელით ნათლავს და არც კი იცის თუ რაოდენ სასაცილოდაა იგი მოტყუებული. რა პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მას პიროვნულობაზე, თუ კი მისი ცხოვრება არსებითად მიედინება ურთიერთობის მიღმა? ურთი-ერთობის (და მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას) აუცილებელი პირობები კი შეგნებულად აღმოფხვრილია, რამდენადაც ყოველგვარი „ურთი“ და ყოველგვარი „ერთობა“ მეტად სახიფათო გამოვლინებას წარმოადგენს ტოტალიტარული სისტემისათვის. პიროვნება არსებობს მხოლოდ დიალოგში. პიროვნება ჰქვია ადამიანს, რომელიც თავად აკეთებს თავის არჩევანს და აკეთებს სხვებთან, სხვა-მე-ებთან ურთიერთ-გადაკვეთის სიბრტყეში. ეს არჩევანი იბადება ურთი-ერთობის ანუ სხვებთან-ერთობის ცოცხალი სტიქიიდან და სწორედ ამ არჩევანმა უნდა განსაზღვროს მისი ბედი. აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რომ პიროვნებად-ყოფნა არსებითად შესაძლებელია სხვებთან-ერთობის აქ აღნიშნულ წიაღში, იმ ერთიან წიაღში, რომელსაც ჩვეულებრივ ეწოდება „ხალხი“. ხალხი და ხალხის ცნობიერება კი ის მთლიანობაა, რომელიც სპონტანურად, ე.ი. თვითქმედითი გზით და არა გარედან ან ზემოდან თავსმოხვეული იდეოლოგიური ინსტრუქციების მეშვეობით, განსაზღვრავს თავის ერთიან სოციო-კულტურულ და მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას. ხალხი და პიროვნება კორელატურ ცნებებს შეადგენენ და ამდენად თითოეული მათგანის დევალვაცია ერთიან პროცესს განეკუთვნება. იქ, სადაც ანულირებულია ხალხად-ყოფნა, შესაბამისად ანულირებულია პიროვნებად-ყოფნაც.

ვგონებ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ იღვწის ტოტალიტარული ხელისუფლება ხალხის თვითცნობიერების ამოძირკვისაკენ, ისევე, როგორც პიროვნებისა. მათი რეალური სახეზე ყოფნა მისთვის მეტად არასაიმედო, დაუზღვეველ მდგომარეობას ქმნის. იგი მოითხოვს იყოს ადამიანის სოციალური ბედის ერთადერთი და საბოლოო განმგებელი ძალა, ერთადერთი და საბოლოო ბატონ-პატრონი და ეს პრეტენზია განუხორციელებელი დარჩება მანამ, სანამ იარსებებს კიდევ სხვა ძალა, ისეთი ძალა, რომელსაც ჭეშმარიტად ღვთისგან მომადლებული უფლება აქვს იყოს საკუთარი ბედის განმგებელი, რომელსაც უფლების გარდა ხელეწიფება ეს და რომელიც თავს გვაუწყებს, როგორც სწორედ თვითცნობიერება

ხალხისა და თვითცნობიერება პიროვნებისა. ტოტალიტარიზმს ესაჭიროება კარგად გამიზნული მეთოდოლოგია მათი ჯეროვანი დესტრუქციისათვის. ამ მხრივ ერთ-ერთ საოცრად ნაყოფიერ და შორსმჭვრეტელურ მეთოდად გვევლინება ე.წ. ანტაგონიზმთა თეორიის საფუძვლიანი დანერგვა ადამიანთა შეგნებაში. საჭიროა ადამიანმა ირწმუნოს, რომ კაცობრიობის გზა არის შეურიგებელ შეპირისპირებათა, ანტაგონიზმთა ისტორია და ასეთი რწმენითი იმპულსი უაღრესად წარმატებით დაარღვევს მთლიანობის თვითცნობიერებას, სახელდობრ ხალხის მთლიანობისა. ცხადია, ვერავინ უარყოფს წინააღმდეგობის, კონფლიქტის როლს და მნიშვნელობას ისტორიული პროცესისათვის, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც მას გადამწყვეტი ფაქტორის სტატუსი ენიჭება. ანტაგონისტური მსოფლმხედველობით ჰიპნოტიზირებული ცნობიერება „სცენაზე გამოდის" და ლაპარაკობს: „მე ვარ არა მე, არა ჩემი ხალხი, არამედ კლასი, დაჯგუფება, ფრაქცია, რასა და ა.შ. მე არ ვიცი რას ნიშნავს ხალხი, როგორც ერთიანობა, არამედ დარწმუნებით ვიცი, რომ არსებობს ერთი მხრივ „მომხრე" და მეორე მხრივ, „მოწინააღამდეგე" და რომ არსებობს ღრმა წყალგამყოფი ჩვენ შორის".

ტოტალიტარიზმისთვის ანტაგონიზმის იდეოლოგია შეუცვლელი ინსტრუმენტია, როგორც ხელისუფლებისათვის ბრძოლის სტადიაზე, ისე უკვე მოპოვებული ხელისუფლების თანმიმდევრული და მუდმივი განმტკიცების პროცესში. ისტორია გვაჩვენებს, რომ იქ, სადაც ჩნდება ანტაგონისტური შეგნების ბაცილა, შესაბამისად კვდომას განიცდის ხალხის მთლიანობითი თვითცნობიერება და მის ადგილს იკავებს ჯგუფური, კლასობრივი, რასობრივი ისტერიები. ყოველივე ამის საბოლოო რეზულტატი არის შემდეგი: სახეზეა წყვილი: „მასა (ან კოლექტივი) — ინდივიდი", რომლითაც ჩანაცვლებულია ერთადერთი სოციალურად უფლებამოსილი წყვილი: „ხალხი — პიროვნება". თანაც ტოტალიტარიზმის იდეოლოგია გვაუწყებს, რომ ისინი იგივეობრივი წყვილები არიან, რომ კოლექტივი უდრის ხალხს და კოლექტივის წიაღში მობინადრე ინდივიდი კი — პიროვნებას.

თავის საწყის ეტაპზე, როდესაც ტოტალიტარული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბების ადრეულ ასაკში იმყოფება, იგი სულდგმულობს იმ კოლექტივისტური აღტკინებით, იმ მასობრივი ფსიქოზით, რომელსაც იგი „შთააგონებს" ირგვლივ — მყოფთ.

შედარებითი სტაბილიზაციის პერიოდში მას უკვე ნაკლებად სჭირდება ეს აღტკინება და შეიძლება ხელსაც კი უშლიდეს თავისი მექანიზმის მშვიდ მუშაობაში. საბოლოო სტაბილიზაცია კი მოითხოვს აბსოლუტურად უვნებელი, უხმაურო ფონის შექმნას და სახელდობრ, ისეთი ფონის, როდესაც თითოეული ცხოვრობს თავისთვის, არ იცნობს და არც უნდა, რომ იცნობდეს სხვას. მხოლოდ ტოტალური გათიშულობა, ტოტალური ინდივიდუალიზმი შეიძლება იყოს სრულყოფილი გარანტია ტოტალიტარიზმის თავდაჯერებული მეუფებისა. ამ თავდაჯერებულობის საუკეთესო მოკავშირე სწორედ ეს ლოკოკინასავით ჩამალული ინდივიდია და უფრო ზუსტად, მისი სიბრიყვე. საიდან მოდის? სიბრიყვე, როდესაც ლოკოკინას „საცეცი რაღაც წინააღმდეგობას წააწყდება, ის უმალ ჩაიმალება ნიჟარაში და სხეულთან გამთლიანდება. გარკვეული დროის შემდეგ იგი — თუმცა ჯერ გაუბედავად — ეცდება გარესამყაროში თავის გაყოფას. თუ საფრთხე განმეორდა, ის კვლავ გაქრება, შემდეგ მცდელობამდე კი, ამჯერად უფრო მეტს დაახანებს...", რადგან „იმ მიმართულებით, საიდანაც იგი მუქარით გამოაპანღურეს, ცხოველი მფრთხალი და ბრიყვი ხდება".* ამ გაბრიყვებულ ინდივიდს კი მიაჩნია, რომ მეტად დიდმნიშვნელოვან და უეჭველ ჭეშმარიტებას ღაღადებს, როდესაც ამბობს: „თითოეულმა მხოლოდ თავისი საქმე უნდა იცოდეს და აკეთოს". იგი უმალ უნდობლობით, გაღიზიანებული კრიტიკულობით უყურებს ყოველივეს, რაც ამგვარი ჭეშმარიტების ყალიბში არ ჯდება. მაგრამ რაც მთავარია არ ესმის, რომ საკითხის ასეთი დაყენება მისი სუვერენული გონების პროდუქტს კი არ წარმოადგენს, არამედ საფუძვლიანად და მრავალი წლის მანძილზე დაპროგრამებული გონებისა. „თავი დაღუნეთ და მხოლოდ საკუთარ საქმეებზე იფიქრეთ, დანარჩენი თქვენი საზრუნავი არაა..." — ეს ფრაზა მშვენივრად გამოხატავს ტოტალიტარულ ძალთა ტიპიურ დამოკიდებულებას ინდივიდებისადმი.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოსდა უკიდურესი ინდივიდუალიზმი და კოლექტივისტური აღტკინება, რომლებიც ერთმანეთს დროში ენაცვლებიან, სრულიად საპირისპირო სოციალურ მდგომარეობებს წარმოადგენენ. ისინი სინამდვილეში ერთი და იგივე მედლის ორი მხარეა. და როგორც ზოგჯერ ადამიანის მანიაკალური აღგზნება და

* მ. ჰორკჰაიმერი და თ. ადორნო „განმანათლებლობის დიალექტიკა. ფილოსოფიური ფრაგმენტები". თავიდან „ჩანიშვნები და შეჭრები" — „სიბრიყვის გენეზისისათვის"; გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი — 1980, გვ. 102-103.

შემდგომ დეპრესიული ჩავარდნა მიგვითითებს ერთიან ავადმყოფობაზე, სახელდობრ, მანიაკალურ-დეპრესიულ სინდრომზე, ასევე კოლექტივიზმიცა და უკიდურესი ინდივიდუალიზმიც. კერძოდ, ორივე განეკუთვნება ტოტალიტარული სოციუმის ერთიან დაავადებას და მხოლოდღა მისი ურთიერთშებრუნებული გამოვლინებანი არიან. ცხადია, რომ ლაპარაკი ასეთი სოციუმის გონითი ფუნქციონირების შესახებ, სრულიად ზედმეტი უნდა იყოს. გონი (дух) და ტოტალიტარული საზოგადოება ურთიერთგამომრიცხველი ფენომენებია. დაავადებულ სოციალურ ნიაღში გონითი სიცოცხლე პარალიზებულია და ვერასოდეს ვერც გაიხარებს, სანამ მოქცეული იქნება მასში. იგი ცალკეული კონვულსიური მოძრაობების სახით თუ გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ სუნთქავს და ცოცხლობს, რომ მთლად წაშლილი არ არის; გვამცნობს და ამით გვაიმედებს. გონის გამოჯანმრთელება, მისი ცხოველმოქმედების შედარებითი აღდგენა მოითხოვს რადიკალურად სხვა ატმოსფეროს. მისი გამოღვიძება — აღმავლობა შეუძლებელია, როგორც ისტერიულად შემართულ კოლექტივში, ასევე ეულად მოხეტიალე ინდივიდში; მისი გამოღვიძება-აღმავლობა გულისხმობს ერთეულის და ერთობის სრულიად უნიკალური შეკავშირების წარმოქმნას, რადგან თავისი პირველადი, ჭეშმარიტი განსაზღვრებისდა მიხედვით გონი სხვა არაფერია, თუ არა ოდენ, მხოლოდ ის „მე“, რომელიც არის „ჩვენ“ და უკიდურესად მხოლოდ ის „ჩვენ“ რომელიც არის „მე“.*

1988ნ.

* Гегель „Феноменология духа“; изд. соц.экон. литературы; Москва - 1959; стр. 99.

თანამედროვე დემოკრატიების კრიზისი და ახალი ათვლის წერტილი

1. რამდენად გამართლებულია საუბარი თანამედროვე დემოკრატიების კრიზისის შესახებ? და რაში მდგომარეობს იგი? საჭიროა გავცეთ პასუხი მოცემულ კითხვაზე, რის შემდეგაც დგება პრობლემა ამ პოლიტიკური სისტემის მოდიფიკაციის შესახებ. დიახ, ჩვენ ნამდვილად ვაცნობიერებთ თანამედროვე დემოკრატიის და ღია საზოგადოების ავადმყოფობას. დღეს, როდესაც დადგა შედარებითი სტაბილურობის ხანა პოლიტიკაში, როდესაც ჩაიარა დამანგრეველი „მიწისძვრების" პერიოდებმა (რითაც ესოდენ უხვი იყო XX საუკუნე) — რევოლუციების, მსოფლიო და ცივი ომების წლებმა — სწორედ ახლა ვჭვრეტთ ცხადად ამ გარდაუვალ კრიზისს! უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევუდგებით მის ექსპლიკაციას.

ის, რომ თანამედროვე დემოკრატია გაცილებით ჯანმრთელი, მობილური და ეფექტური გამოდგა, ვიდრე ისტორიულად ჩვენთვის ცნობილი სხვა სისტემები — იქნება ეს ჩინური ცის იმპერია, ძველი ევროპული მონარქიები, ბაღდადის ხალიფატი, კომუნისტური თუ ფაშისტური ტოტალიტარული სახელმწიფოები და ა.შ. — ვგონებ, ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს და საკმარისად არსებული არგუმენტების მოყვანით მკითხველს ამჟამად არ გადავტვირთავ. რაშია ამ სისტემის სიძლიერის და უპირატესობის წინაპირობა? მის რეალიზმში! ეს არის ე.წ. პოლიტიკური რეალიზმის პოზიცია. სწორედ ამ რეალიზმმა სძლია ისეთ უტოპისტურ წარმონაქმნებს, როგორიც იყო ფაშიზმი და კომუნიზმი. უტოპიზმი, როგორც ავადმყოფური მოვლენა პოლიტიკაში სერიოზულად დამარცხდა. ისტორიამ თავის სანაგვეზე მოისროლა იგი. ბერდიაევის თქმით ეს უკანასკნელი ყოველთვის მთავრდება გონებრივი აშლილობით. რეალიზმი და რაციონალიზმი პოლიტიკაში — აი, რა მოიტანა ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებამ. დასამარდა ფსიქოპატიური ფანტაზიების და იდეალების კონსტრუქციებში საზოგადოების და ადამიანის ძალადობით მომწყვდევის საშინელი პრაქტიკა. ამქვეყნიური

სოციალური სამოთხე, ათასწლოვანი რეიხი და ა.შ. როგორც იქნა მოვინელეთ და მოვისროლეთ.

მაშ, რაში მდგომარეობს კრიზისი? გავიხსენებთ რალფ დარენდორფს და ვიტყვით შემდეგს: სასიცოცხლო კონდიციების დაქვეითებაში! კერძოდ, თანამედროვე დემოკრატიას და ღია საზოგადოებას აღარ გააჩნია სასიცოცხლო ორიენტირები, საზრისები ანუ ის, რასაც დარენდორფი აღნიშნავს ტერმინით — ლიგატური. ჩვენ დავკარგეთ ლიგატურები, ე.ი. საყრდენი წერტილები. ცხადია, ეს უაღრესად სახიფათო მდგომარეობაა, ვინაიდან აღმოვჩნდით ჰაერში გამოკიდებულნი. პოლიტიკური სისტემა და მასში მოქცეული საზოგადოება კვდომის გარდაუვალ ფაზაში შედის, თუ კი მას ხელიდან გამოეცლება ლიგატურები ანუ მაცოცხლებელი ორიენტირები. დედამიწაზე — ევროპაში, ამერიკის კონტინენტებზე, აზიაში და ა.შ. — დემოკრატიების დამკვიდრება თავდაპირველად დიდი იდეალების შთამაგონებელ, მასულდგმულებელ ფაქტორთანაა დაკავშირებული. იყო დრო, როდესაც ადამიანების დიდ ენთუზიაზმს იწვევდა ლოზუნგი — „ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება“: გავიხსენოთ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდი; ისეთი პრინციპები, როგორიცაა „კანონის უზენაესობა“, „ადამიანის უფლებები“, „სამოქალაქო საზოგადოება“, „ხალხის ძალაუფლება“, ნამდვილად ასრულებდნენ სასიცოცხლო „სტიმულატორების“ ფუნქციას საზოგადოებრიცი ცხოვრებისათვის, რომლის შედეგად დემოკრატიულმა პოლიტიკურმა სისტემამ თანმიმდევრულად დაიმკვიდრა მყარი და დომინანტური ადგილი დედამიწაზე.

რა ვითარებაა დღეს ამ თვალსაზრისით? განა შეიძლება ითქვას, რომ ეს პრინციპები კვლავაც შთაგვაგონებენ? რამდენად სერიოზულია საუბარი მათ მასულდგულებელ ძალაზე? ცხადია, რომ სადღეისოდ მათ დაკარგეს ენერგეტიკული ფუნქცია და ჩვენი ჩვეული სოციალურ-პოლიტიკური ყოფის აუცილებელ **რეგულატორებად** გვევლინებიან. ამიტომაც დავრჩით ყოველგვარი საზრისის გარეშე. დარენდორფი აბსოლუტურად სწორია. „ადამიანის უფლებები“, „კონსტიტუცია“, „დემოკრატია“ ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ნორმებია, რომელთა დანიშნულებასაც საზოგადოებრივი ცხოვრების ეფექტური რეგულირება, რეგლამენტირება წარმოადგენს. დარენდორფი აღნიშნავს, რომ ხელოვნურია, ნაძალადევია ლაპარაკი „კონსტიტუციურ პატრიოტიზმზე“. რეალური ლიგატური ანუ საზრისი — ეს არის ადამიანის, საზოგა-

დოების სასიცოცხლო ინტერესების, ემოციონალურ-ნებელობითი ინტენციის საგანი, ამოსავალი წერტილი. მის მიმართ გვაქვს არა აბსტრაქტული, არამედ სავსებით კონკრეტული ემოციონალურ-ნებელობითი, შეფასებითი დამოკიდებულება: სიძულვილი და სიყვარული, ერთგულება და ა.შ. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მის სამსახურში, შეგვიძლია მისთვის ღვაწლის გაღება, თავდადება ან გულის აცრუება და შეძულებაც. რეალურია გვიყვარდეს სამშობლო, ღმერთი, იდეა, ავტორიტეტი; რეალურია მას ლექსი მიუძღვნა ან მისთვის თავი გაწირო, მაგრამ შეუძლებელია გიყვარდეს ფორმალური ნორმა თუ რეგლამენტი: მას ნამდვილად ლექსს ვერ მიუძღვნი ან მისთვის სიცოცხლეს ვერ გაიღებ. (თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო დრო, როდესაც „დემოკრატია", „კონსტიტუცია" და ა.შ. მასულდგმულებელ **იდეებად** გვევლინებოდნენ და არა უბრალოდ ნორმებად).

ღია საზოგადოებამ ჩვენ მოგვცა უშველებელი კაპიტალი, რომლითაც ვსარგებლობთ ყოველდღიურად და უმადურები უნდა ვიყოთ, რომ ეს არ აღვნიშნოთ სათანადოდ. ჩვენ ვართ თავისუფლები — სიტყვით, რწმენით, აზრის გამოხატვით, მიტინგით თუ ხმის მიცემით; ჩვენი შესაძლებლობების დიაპაზონი საკმაოდ დიდია — შეგვიძლია ვიყოთ მუშა, ინჟინერი, მსახიობი, დეპუტატი ან სულაც ოფიციანტი — ამას ნამდვილად არავინ არ გვიკრძალავს. ჩვენ ვართ მობილურები და არა ჩაკეტილები — შეგვიძლია თავისუფალი გადაადგილება, პროფესიის გამოცვლა, აქტიურობა პრესაში თუ ქუჩაში და ა.შ. დიახ, უამრავი რამ მოგვცა დემოკრატიამ და ღია საზოგადოებამ. მაგრამ არ მოგვცა და უფრო სწორედ ვერ მოგვცა საზრისი ანუ ორიენტირი. ჩვენ ვეძებთ ამ ორიენტირებს ანუ ლიგატურებს. ჩვენ ვგრძნობთ უკმარისობას. მათ გარეშე აშკარად გვეწურება შინაგანი ენერგორესურსი. ჩვენ ნამდვილად გვაქვს ღია შანსების სივრცე, მაგრამ ეს არასაკმარისია. მხოლოდ როდესაც, დარენდორფის თქმით, მათ ემატებათ სიღრმისეული სტრუქტურები ანუ ლიგატურები, ისინი გარდაიქცევიან სასიცოცხლო შანსებად.

თანამედროვე ღია საზოგადოება — იგი პულსირებს, ცვალებადობს, ფუნქციონირებს, მაგრამ არ ეფუძნება არავითარ **სუბსტანციას**. არის მოძრაობა, მაგრამ არ სჩანს არავითარი **მიზანი**; არის სიმართლე, მაგრამ არ სჩანს **ათვლის წერტილი**; არის შანსები, მაგრამ სად არის **სარწმუნო სინამდვილე?!** ამიტომაც მუდმივი ხიფათი დამოკლეს მახვილივით დაკიდებულია მის თავზე, რომელიც სრული დესტრუქციით ემუქრება. დროა დავიწყოთ ამ ახალი სუბ-

სტანციის ქსოვილის თანმიმდევრული აწყობა — ეს იქნება ჩვენი ყველაზე ღირებული საქმე და დანიშნულება.

2. რა არის ზემოაღნიშნული კრიზისის კონკრეტული გამოვლინებები?

I. საერთაშორისო ტერორიზმის გიგანტური ტალღა. ჩვენ ვცხოვრობთ პანტერორისტულ სამყაროში. გლობალიზაციის ეპოქაში ამ გამოვლენამაც ნამდვილი გლობალიზაცია განიცადა. მისი გავრცელების არეალი პოსტინდუსტრიულ ეპოქაში არ შემოიფარგლება რომელიმე კონტინენტით თუ ზონით: შედარებით ადრე „წითელი არმიის ფრაქცია" — გერმანიაში, „უშუალო მოქმედება" — საფრანგეთში, „წითელი ბრიგადები" — იტალიაში, „აუმ-სინრიკო" — იაპონიაში, „სენდერო ლუმინოსო" — პერუში, „M-19" — კოლუმბიაში, კვლავაც „ეტა" — ესპანეთში, „ირლანდიის რესპუბლიკური არმია" — დიდ ბრიტანეთში, „ჰამასი" და „ჰესბოლა" — ახლო აღმოსავლეთში, „ისლამური ჯიჰადი" — სუდანში, უსამა ბინ ლადენი და მისი „ალ-ქაიდა" — ყველგან და ყველაფერში... და ა.შ. კიდევ რამდენი ჩამოვთვალოთ?

რით არის არსებითად განპირობებული ტერორიზმის აფეთქება ჩვენ ეპოქაში? რა კავშირი არსებობს დემოკრატიების კრიზისსა და ამ მოვლენას შორის?

ტერორიზმი არ არის არც რევოლუცია, არც ომები და არც მსოფლიო ომები. ყოველივე ეს ჯერჯერობით წარსულს ჩაბარდა! დიდი კონფლიქტები თავისი დიდი გადაწყვეტებით და შემდგომი ხანგრძლივი მშვიდობებით აღარ წარმოადგენს თანამედროვეობის ატრიბუტს. დიახ, „ომი და მშვიდობა" სხვა ეპოქების კუთვნილება იყო. ჩვენ კი ვიმყოფებით მუდმივი საფრთხისა და მუქარის გარემოში. არ არის არც დიდი ომი და არც დიდი მშვიდობა, მაგრამ არის პერმანენტული მუქარა ანუ ტერორი. სწორედ ამიტომაა უსაფრთხოება დღევანდელი მსოფლიოს მთავარი ტენდენცია და ამოცანა.

პოლიტიკური ტერორიზმი თავისი ექსტრემისტულ-ფუნდამენტალისტური ბუნებით წარმმოადგენს პირდაპირ **რეაქციას** დემოკრატიის და ღია საზოგადოების ღირებულებების გლობალურ ექსპანსიაზე. დიახ, მან დაბადა ეს საზარელი ავადმყოფური რეაქცია ანუ თავისივე დაუძინებელი მტერი, იქნება ეს მემარცხენე, მემარჯვენე, ნაციონალისტური თუ რაც მთავარია, ისლამური ტერორიზმი.

დემოკრატიის გლობალიზაცია, მართლაცდა, საეჭვო ექსპერიმენტია აღნიშნული უკუქმედებების გამო, მაგრამ უეჭველია ჩვენი ცივილიზაციის უსაფრთხოებისათვის ბრძოლის საჭიროება. მოდით, ნუ ავურევთ ერთმანეთში ამ ორ სხვადასხვა განზომილებას! ამერიკის შეერთებული შტატების და მისი მოკავშირეების გიგანტური ძალისხმევა პლანეტაზე ე.წ. მახინჯი რეჟიმების ლიკვიდაციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით. ტალიბანის, მილოშევიჩის, ჰუსეინის თუ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმები — ეს ხომ დამანგრეველი ნაღმებია ჩვენი ცივილიიზაციის შენობისათვის (ოღონდ ზოგიერთი წარსულში, ზოგიერთი კი ჯერ-ჯერობით კვლავაც). ამიტომ მათი გაუვნებელყოფა ისტორიულ საქმეს წარმოადგენს!

ჟან ბოდრიარი წერდა აიათოლა ხომეინიზე: უარყოფა დასავლური ღირებულებების არის მისი მთავარი პრინციპი (ანუ ბოროტების პრინციპი), რომლის ხორცშესხმასაც იგი ცდილობს ტერორიზმის გზით. დღეს იგივე ითქმის უსამა ბინ ლადენზე. ტერორიზმი, ბოდრიარის აზრით, ატარებს ვირუსული შეტევის ხასიათს. ჩვენ კი უაღრესად სუსტნი და დაუცველნი ვართ მის წინაშე, ვინაიდან თანამედროვე დემოკრატია დაავადებულია იმუნოდეფიციტით. როგორია ტერორისტული აქტით მიღებული ეფექტი? იგი ჰგავს თვითმფრინავის კაბინის ჰერმეტიზაციის მოშლის ფენომენს: ყველაფერი უცებ მიექანება გარეთ, სიცარიელისაკენ... ანალოგიურად, ამ „ვირუსული იერიშის" შედეგად ირღვევა ჩვენი დემოკრატიული სამყაროს ჩაკეტილი სივრცის ჰერმეტიზაცია და ღირებულებები სიცარიელეში მიჰქრიან — წერს ბოდრიარი.

2001 წლის 11 სექტემბერმა მსოფლიო ამოატრიალა. ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებულმა ტერორისტულმა შეტევამ ჩვენ წინაშე გადაშალა სურეალურ-აპოკალიპტური სურათები და ამ მოვლენით, ალბათ, შევაბიჯეთ ახალ ეპოქაში, რომლის სახელიც ჯერ არ ვიცით. სახეზეა ახალი ათვლის წერტილი... ეს მოვლენა აშკარად მეტყველებს, რომ დემოკრატიული სამყაროს მიმართ დაწყებულმა კრიზისმა პიკს მიაღწია... მოცდა აღარ შეიძლება! დინებას ველარ გავყვებით, ვინაიდან იგი კატასტროფამდე მიგვიყვანს. დიახ, დემოკრატიული სამყარო ჯერჯერობით უსუსურია ამ შემოტევის წინაშე, ვინაიდან ვერაფერს არსებითს ვერ უპირისპირებს მას, არამედ მხოლოდ ხან წარმატებულ და ხან წარუმატებელ სამხედრო ოპერაციებსა და ლაპარაკს დასავლური ფასეულობების შესახებ. ეს

ყველაფერი კი, სამწუხაროდ, არასაკმარისია. იგი თავდაცვის ეფექტურ საშუალებად აღარ გამოგვადგება. ჩვენ კიდევ რაღაც ახალი ღირებულებები და მსოფლმხედველობა გვჭირდება!

II. დემოკრატიის და ღია საზოგადოების საკუთრივი კულტურის სრული მასიფიკაცია. სახეზეა პანმასობრივი კულტურა. თუ კი მოდერნმა ანუ ინდუსტ-ცივილიზაციამ მას-კულტურა დომინანტად აქცია, რაზედაც განგაშით გვაუწყებდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ორტეგა-ი-გასეტი, სადღეისოდ იგი უკვე ჩამოყალიბდა უნივერსალურ და ტოტალურ რეალობად, რომელმაც თავის სივრცეში მოაქცია ყოველგვარი სუბკულტურა. ის უკვე არის არა ფლაგმანი, წინამძღოლი, არამედ ერთადერთი, საყოველთაო რეალობა. ვერ დავეთანხმები ტოფლერს, თითქოსდა პოსტინდუსტრიულ ეპოქაში სახეზე იყო სერიოზული დემასიფიკაციის ტენდენციები კულტურაში, ისევე, როგორც წარმოებაში, ტექნოსფეროში და ა.შ. სამწუხაროდ ეს არის არა ტენდენციები, არამედ მხოლოდ გამონაკლისი ცალკეული დინებები. პირიქით, კულტურის მასიფიკაციამ თანამედროვეობაში პიკს მიაღწია და ამდენად საზოგადოების ბარბარიზაცია (ორტეგასეულ გამოთქმას თუ ვიხმართ) კრიტიკულ ზღვრამდე მივიდა. ვფიქრობ, რომ დემოკრატიის და ღია საზოგადოების კრიზისმა ყველაზე მძაფრად სწორედ აღნიშნულ განზომილებაში იჩინა თავი.

ჩვენ წინაშეა ისეთივე საბაზრო კულტურა, ე.ი. კულტურის ერთიანი საბაზრო სივრცე, როგორც ეს დამახასიათებელია ეკონომიკისთვის და იგიც ამ უკანასკნელის მსგავსად გლობალიზაციას განიცდის. ყველა სახის და ხარისხის კულტურული დოვლათი — უმაღლესი და მაღალი ღირებულების, საშუალო, ე.ი. ფართო მოხმარების და იაფფასიანი — განფენილია ამ ერთიან სივრცეში. ყველა სახის და ჯურის კლიენტიც — ინტელექტუალი, პლებსი თუ მანიაკი — ასევე მოქცეულია მასში. ეს არის გაუდიფერენცირებელი სივრცე, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველას და ყველაფერს. არ არსებობს ცალკე გამოდიფერენცირებული სახით მაღალი ღირებულებების სუბკულტურა და ცალკე „პურის და სანახაობის" სუბკულტურა. ასეთი ტრადიცია დაინგრა. ახლა ყველაფერი ერთ ქვაბში იხარშება. ერთი და იგივე ბაზარში იყიდება მაისტერ ეკჰარტის „სულიერი მოძღვრებები და მსჯელობები" და პორნოფილმის ვიდეოკასეტები. ერთი და იგივე ბაზარში იმყოფება შექსპირის პიესის მაყურებელი და ტელესერიალი „ველური გულის" ურიცხვი გულშემატკივარიც. დიახ,

ამდაგვარ უნიფიცირებულ სივრცეში ე.წ. ძვირფასი საქონელი და მისი მომხმარებელიც **ჩაკარგულია** მასობრივი საშუალო კულტურის უსასრულო სიჭრელეში და სიმრავლეში. იქ, სადაც არ არის პროდუქციის კლიენტი გამოკვეთილი, არ ექნება სტიმული მის წარმოებასაც. დღევანდელ ღია საზოგადოებაში მაღალი ღირებულებების მქონე პროდუქციის შექმნა, იქნება ეს ლიტერატურის, ფილოსოფიის თუ კინემატოგრაფიის სფეროში, სულ უფრო და უფრო ნაკლებ სტიმულირებას განიცდის. რატომ? ვინაიდან არ ჩანს მისი მომხმარებელი გამოდიფერენცირებული, **ერთიანი ფენის** სახით. იგი საერთო მასაშია გათქვეფილი. მე ვერ ვხედავ ნათლად იმ ადრესატს, ვისთვისაც ვწერ ფილოსოფიურ ტრაქტატს. სამაგიეროდ ვხედავ მასას, რომელსაც აინტერესებს შოუ-კონცერტები, ტრილერები, მაგრამ არა მსოფლმხედველობა. სად არის ჩემი ადრესატი? იგი ათქვეფილია, ჩაკარგულია ამ საერთო მასაში. მას არა აქვს გამოყოფილი ცალკე განზომილება ღია საზოგადოებაში, და ამიტომ უჩინარია ჩემთვის. ასეთ შემთხვევაში ჩემი შრომა ხომ ნაკლებადაა სტიმულირებული გარედან?!

დიახ, პანმასობრივი კულტურა თანამედროვე დემოკრატიისა და ღია საზოგადოების სისტემის ავადმყოფობის გამოვლინებაა. ცნობიერება, რომელშიც არის მოთხოვნილება, ტენდენცია ევოლუციისკენ, განიცდის მწვავე უკმარისობას და დათრგუნულობას ამ კულტურრეალობით. ბოევიკების, მიმდინარე ინფორმაციებისა თუ აუდიო-ვიდეოკლიპების ეს ყოველდღიური სასიციცხლო სამყარო მასში დიდ საპროტესტო რეაქციას აღვიძებს.

III. **დემოკრატიის უნივერსალიზმის იდეის კრახი.** ერთ დროს განათლებული გონება ფიქრობდა, რომ დემოკრატია არის უნივერსალური მოდელი ანუ ქუდი, რომელიც ყველა ერის, კულტურის, საზოგადოების თავს მოერგება. ისტორიამ უკვე დაგვანახა ამ პოზიციის მცდარობა. საბჭოთა იმპერიის და მისი სატელიტური აღმოსავლეთ ევროპის ბლოკის დაშლის შემდეგ მსოფლიო დემოკრატიზაციის მზარდი პროცესი უცებ რაღაც ზღურბლს მიადგა. შეჩერდა მისი ტრიუმფალური მსვლელობა. საეჭვოა, რომ ეს სისტემა ოდესმე ისევე ეფექტურად მოირგოს ჩინეთმა, არაბულმა სამყარომ ან ირანმა, როგორც ჰოლანდიამ ან დანიამ. დიახ, როგორც კომუნისტური ჩინეთი, ასევე თეოკრატიული ირანი, რომლებიც სტატიკურ მდგომარეობაში არ იმყოფებიან, არამედ მათ სერიოზული რეფორმე-

ბი და დინამიკა განიცადეს XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში (და მომავალშიც, ალბათ, არანაკლები ცვლილებები ელით), თანამედროვე ფორმით უკვე მყარად დამკვიდრდნენ პლანეტაზე. ისინი ცხადი მაგალითებია ე.წ. **სხვა გზის**. რამდენად მისაღებია ან პირიქით, გულისამრევი ქართველისთვის, ფრანგისთვის თუ არგენტინელისთვის ეს ალტერნატივები, სულ სხვა საკითხია! აქ შეფასებებსა და ღირებულებებზე არ არის საუბარი. ფაქტია მათი არსებობა და, ვფიქრობ, იგი ეფემერულიც არ უნდა იყოს. განა სწორია ვილაპარაკოთ ამ ალტერნატივებზე, როგორც რაღაც გამონაკლისზე საერთო გავრცელებული წესიდან ანუ როგორც „კუნძულებზე" დემოკრატიის „გლობალურ ოკეანეში"?! ეს არასერიოზული იქნება, განსაკუთრებით კი ჩინეთის მიმართ თავისი მილიარდნახევრიანი მოსახლეობით და უზარმაზარი ტერიტორიით! დიახ, რაც დრო გადის, დემოკრატიის საყოველთაო გავრცელება კი არ ხდება უტყუარი, პირიქით, სულ უფრო და უფრო მოსალოდნელია მისგან განსხვავებული სისტემების მყარი დამკვიდრება და კიდევ ახლების აღმოცენება. პანდემოკრატიის იდეა ფიქციაა — ამ აზრს უნდა შევეგუოთ იმისდა მიუხედავად, სამწუხაროა ეს თუ არა.

განა დასავლური ტიპის დემოკრატია ადეკვატური მოდელი აღმოჩნდა რუსეთისათვის? რუსულმა სახელმწიფოებრივმა მენტალიტეტმა, რომლის სათავეებიც ივანე მრისხანეს და პეტრე დიდის პიროვნებებსა და მათ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, ნამდვილად ვერ შეითვისა თავის ორგანიზმში ეს ვესტერნული სისტემა. თავისი სერიოზული კორექტივები შეიტანა მასში და, უფრო სწორად, ამ კორექტივებით მოინდომა ამჟამად მისი მორგება. რას ვგულისხმობ? მოგეხსენებათ, იმპერიალიზმის ძველი (ანუ ძალისმიერი) ფორმა და თანამედროვე დემოკრატია პრინციპულად შეუთავსებელი კატეგორიებია. ყველა დიდმა თუ განვითარებულმა ქვეყანამ, რომელიც დღეს დასავლური დემოკრატიის ნიმუშს წარმოადგენს, ცხადია, გადააგდო კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის დრომოჭმული „უხეში ტანსაცმელი". მართალია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ რუსეთი მაინც ჩაეჭიდა თავისი ყოფილი „ქვემდებარე" სივრცის **ძალისმიერი** რეინტეგრაციის (ოღონდ მოდერნიზებული სახით) იდეას და მოიგონა ჯერ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა": აქ „შეათრია" ახლად ფორმირებული სუვერენული სახელმწიფოები სხვადასხვა მეთოდებით. ამის ნათელი მაგალითია საქართველო, რომელიც მან აფხაზეთში პირდაპირი აგრესიის გზით

და შემდგომ სამოქალაქო ომის გავრცელების შიშით აიძულა შესულიყო ამ „ძვირფას“ ერთობაში...

პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იკვეთება ახალი ტენდენციები რუსეთის პოლიტიკაში. ჯერ თავად მისი არჩევა მოსახლეობის უმრავლესობის მიერ, რომელიც მას დღესაც იმედის თვალით უყურებს, დაკავშირებული იყო მასიურ უკმაყოფილებასთან ელცინისეული ამორფული, „ალკოჰოლური“, კორუმპირებული დემოკრატიით. ხალხში გაჩნდა მოთხოვნილება „რკინის ხელის“. სწორედ რუსული დერჟავნიკული ამბიციის რესტავრაციის, მკაცრი წესრიგის დამყარების, ჩეჩნეთის პრობლემის ძალისმიერი მოგვარებისა და ძველი გავლენის სფეროების დაბრუნების სულისკვეთებით მოვიდა ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინი, რაც სავსებით შეესაბამებოდა მოსახლეობის უმრავლესობაში წარმოქმნილ განწყობილებებსა და ტენდენციებს. ცხადია, პუტინი შეეცდება დსთ-ს ნაცვლად უფრო მყარი, მტკიცე სტრუქტურების დამკვიდრებას და სულ უფრო შეურიგებელ ბრძოლას უკრაინაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში დასავლეთის ინტერესების გაბატონების წინააღმდეგ.

რუსული ძველი იმპერიალისტური ტენდენციების რეანიმაცია ნათელს ხდის, რომ ამ ქვეყანამ არ მოირგო თანამედროვე დემოკრატიის სტანდარტული ანუ დასავლური მოდელი, ვინაიდან ვერ განთავისუფლდა თავისი ტრადიციული, ორგანული იმპულსებისგან. „ორი რომი დაემხო, მესამე დგას — მოსკოვი, მეოთხე აღარ იქნება“ — იმპერიის იდეა იყო და რჩება რუსეთის პოლიტიკაში წარმმართველ პრინციპად და, აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ დემოკრატიის უნივერსალიზმის იდეამ ამ შემთხვევაშიც **კრახი** განიცადა.

3. მოდით, კიდევ ერთხელ გავიაზროთ ის, რასაც გვაფრთხილებდა ორტეგა ი გასეტი თავის „მასების ამბოხში“. დაირღვა საზოგადოების ტრადიციული და ალბათ, ერთადერთი ჭეშმარიტი სტრუქტურა — მასების და რჩეული უმცირესობის დინამიკური ერთიანობა. სცენაზე გამოვიდა მასა, როგორც მთავარი სუბიექტი. დიახ, ახალმა დრომ ანუ მოდერნმა შვა ადამიანის განსაკუთრებული ჯიში (მასა-ადამიანი), რომელიც იქცა ჰეგემონად ანუ დღევანდელი პლანეტის ნამდვილ ბატონ-პატრონად. ამ ტენდენციის გამარჯვებას ემსახურებოდა ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფიც და ტექნიკური მიღწევების გიგანტური ნახტომებიც.

იერარქიის მოშლა იწვევს საზოგადოების, როგორც ცოცხალი რეალობის, კვდომას და მის ნაცვლად გვევლინება ფიქტიური, ფორმალური მთლიანობა — საზოგადოება, როგორც მისი შემადგენელი ნაწილების მექანიკური ჯამი.

ეს ძალზედ საშიში ვითარებაა! სახელმწიფო ეფუძნება დიფერენციაციას საზოგადოების აგებულებაში, განსხვავებებსა და დასახსვრებს — გვეუბნება ბერდიაევი. იგი მიგვითითებს, რომ სახელმწიფოს ფორმირების არსებითი მომენტი ისტორიულად ყოველთვის იყო შერჩევა-გადარჩევის პროცესი.

დიახ, მკაცრ ბრძოლაში, მძიმე გამოცდაში და კატაკლიზმებში იჭედებოდა, კრისტალიზდებოდა რჩეულთა, **საუკეთესოთა ფენა.** იმავდროულად ეს იყო პროცესი საზოგადოების, როგორც ორგანული მთლიანობის, ფორმირებისა. სახალხო სტიქიამ თავის წიაღში უნდა შვას საკუთარი არისტოკრატია, რაც საზოგადოების ინტეგრირებულობის, სიცოცხლისუნარიანობისა და შემოქმედებითი ევოლუციის საწინდარია.

სად არის დღეს საზოგადოება? სად არის ის, როგორც **რეალური მთლიანობა?** მე ვხედავ ოჯახებს, ერთეულ ადამიანებს, მასებს, დაწესებულებებს, ოფისებს, პროფგაერთიანებებს, სოციალურ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ ვერსად ვერ ვხედავ საზოგადოებას, როგორც მთელს! და მართლაცდა, იგი თანამედროვე რეალობაში აღარც არსებობს.

თვალსაჩინო გერმანელი ფილოსოფოსი კოზლოვსკი მას **მარგინალურ საზოგადოებას** უწოდებს, რომელსაც არ აერთიანებს საერთო კულტურული და ღირებულებითი მრწამსი; მასში ადგილი არა აქვს სიცოცხლის მთლიანობით კულტურულ სახეს და ყოფიერების მთლიანობით ხედვას; მასში არაფერი **არსებითი,** სუბსტანციური არ არის.

დარენდორფს ხშირად მოყავს არისტოტელეს სიტყვები: „სავსებით თანასწორთაგან ვერ მივიღებთ სახელმწიფოს“.

ზუსტად მიზანშია მოხვედრილი! ამავე სიტყვებშია ჩადებული თანამედროვე დემოკრატიისა და ღია საზოგადოების განაჩენიც, რომელსაც, თუ მოვინდომებთ, ნამდვილად ამოვიკითხავთ...

მხოლოდ არაერთგვაროვნება, მხოლოდ იერარქიულობა არის საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის პირობა და, ამავე დროს, სახელმწიფო სტრუქტურების სტაბილურობის, სიმყარის გარანტი.

თქვენ საპასუხოდ ლაპარაკობთ ლიბერალური დემოკრატიის სიმყარის ისტორიულ დასაბუთებაზე? ლაპარაკობთ, რომ **დრომ** გამოს-

ცადა ამ ინსტრუმენტის ეფექტურობა და გამძლეობა? მე გიპასუ-ხებთ: სად არის ეს დრო? სად არის ხანგრძლივი გამოცდის პერიოდი? ორი-სამი საუკუნე, თანაც მუდმივი მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე — ფაშიზმის გამარჯვება სამაგალითო ევროპულ სახელმწი-ფოებში ან კიდევ კომუნისტური ტოტალიტარიზმის ბატონობა ათწლეულობის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ა.შ. — ეს ნამდვილად სოლიდურ **ვადად** ვერ ჩაითვლება! პირიქით, მე ვამტკიცებ, რომ დღევანდელი დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძ-ნებული სახელმწიფო, უაღრესად მყიფე ფუნდამენტზე დგას. დიახ, ჩვენ ვხედავთ რეალურ საფრთხეს! ჩვენთვის ცხადია ერთი რამ: დემოკრატიის არქიტექტორთა მიერ სერიოზული, არსებითი შეცდომებია დაშვებული თავად პროექტში და ამიტომ შენობა შეიძლება ერთ „მშვენიერ" დღეს ხუხულასავით დაიშალოს. ეს დამან-გრეველი ბიძგები კი შეიძლება წამოვიდეს მარჯვნიდანაც და მარ-ცხნიდანაც.

4. ტოფლერი წერდა: ჩვენ სიცოცხლეშივე იბადება ახალი ცივი-ლიზაცია. ეს არის თანამედროვეობის ერთადერთი და უდიდესი ფეთქებადი ძალის მქონე **ფაქტი** ანუ ცენტრალური ხდომილება. ბევრს შეიძლება ეგონოს, რომ მუდმივია და უცვლელი ის სამყარო, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ, მაგრამ არსებობს რევოლუციური წანამძღვრები ახალი ტალღის (ტოფლერის გამოთქმით — მესამე ტალღის) მოსვლისა. იგი სერიოზულად გადახედავს ჩვეულ სტანდარ-ტებს და, მათ შორის, საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის კონსტრუირების პრინციპებსაც.

არ მსურს, რომ მავანმა და მავანმა არასწორად გაიგოს ჩემი კრი-ტიკული მსჯელობები. მე დემოკრატიის მტერი კი არა, პირიქით, მისი ყველაზე დიდი ქომაგი და გულშემატკივარი ვარ. უბრალოდ ვხედავ, რომ იგი ავადაა. თანაც ეს ავადმყოფობა შეიძლება ტრაგიკული ფინალით დასრულდეს. ამიტომაც უნდა ვეძიოთ გზები მის გამოსაჯანმრთელებლად. რა თქმა უნდა, როგორც დარენდორფი გვაფრთხილებს, საზრისთა ანუ ლიგატურების ძიებამ კვლავ არქაულ იდეებთან არ უნდა დაგვაბრუნოს. ლიგატურების სამყარო, მისი სიტყვებით, დანაღმული ველია ლიბერალებისათვის. ნაციონალიზმი, რელიგიური ფანატიზმი თუ სხვა მსგავსი არქე-ძალები ყოველთვის შეიძლება მკვდრეთით აღდგნენ და კვლავ მოევლინონ საზოგადოე-ბას შთამაგონებელი სტიმულის სახით.

დიახ, საზრისთა ძებნას დოგმების, მონოპოლიებისა და დახურული საზოგადოების რესტავრაციამდე არ უნდა მივყავდეთ.

ჩვენ ვართ დაუძინებელი მტრები ყოველივე დახურულისა, სტატიკურისა, რითაც შეიძლება აღბეჭდილი იყოს საზოგადოების ცხოვრება. ჩვენთვის სიმახინჯეა ნებისმიერი სახის ტოტალიტარიზმი თუ ავტორიტარიზმი თავისი სხვადასხვა ვარიაციითა და ფორმებით. ჩვენ ვართ ავანგარდი ღია საზოგადოების. დიახ, მისი მცველნი! მობილურობა, დინამიკა, ღიაობა — ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტება და თანაც სიცოცხლის გარანტია საზოგადოებისათვის. მაგრამ, ამასთან, ვხედავთ რაღაც „ახლის" აუცილებლობასა და გარდუვალ მოახლოებას. მოდის ახალი წესი ჩვენი ცხოვრებისა. რაღაც ძირეული რეფორმა მოხდება ღია საზოგადოებისა და დემოკრატიის შიგნით. რას ნიშნავს ეს რეფორმა, რომელიც მათი რეანიმაციის და აღორძინების წინაპირობად მოგვევლინება: აი, კითხვა, რომელიც ჩვენ გვაწუხებს!

ჩვენ ვლაპარაკობთ დემოკრატიული სახელმწიფოსა და ღია საზოგადოების სრულიად უნიკალურ, მაგრამ ჯერაც უმოქმედო ფუნქციაზე: გაცხრილოს, გადაარჩინოს და, საბოლოოდ, გამოადნოს საუკეთესოთა **ფენა** ანუ თავისი არისტოკრატია; ვინაიდან მას ძალუძს დოვლათის შექმნა, ღირებულებათა და ორიენტირების დადგენა, ვინაიდან აქვს პოტენცია იყოს მმართველი და წარმმართველი პოლიტიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში... მას დინამიკაში მოჰყავს საზოგადოება, ერთ მთლიანობაში ჰკრავს და ხსნის შესაძლებლობათა ფართო სივრცეს! კვლავ დავესესხებით ბერდიაევს და ვიტყვით: უნდა აღდგეს იერარქიის ონტოლოგიური პრინციპი ჩვენს სასიცოცხლო სამყაროში, ოღონდ, ცხადია, მოდერნიზებული ფორმით! განახლებულმა დემოკრატიამ და ღია საზოგადოებამ თავისთავად უნდა შვას იერარქიის ისტორიულად **ახალი სახეობა**. უამპრინციპოდ არ არსებობს ბუნება, კოსმოსი, ცა და დედამიწა. უამისოდ მოკვდება საზოგადოებაც, ვერ იცოცხლებს, როგორც **ორგანიზმი**.

მოდერნიზირებული იერარქიის აღდგენა დაგვიბრუნებს დაკარგულ ლიგატურებს, რომლებმაც უნდა გაამთლიანონ სამოქალაქო სოციუმი. სწორედ არისტოკრატიის ფორმირების გზით კონსტიტუირდებიან ისეთი საზრისეული ორიენტირები, როგორიცაა „ავტორიტეტი", „ლიდერი" და ა.შ. იგი იქცევა ჩვენ შთამაგონებელ და გამწევ ძალად. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ინდუსტრიული ეპოქისგან

განსხვავებით პოსტინდუსტრიულმა ტალღამ კვლავ აქცენტები გადაწია „ხარისხისკენ", „ინდივიდუაციისკენ". „განსაკუთრებულ ინდივიდუალობას", „ვარსკვლავს" მნიშვნელოვანი ფუნქცია და ადგილი უკავია თანამედროვეობაში. ვარსკვლავების ბუმი, კულტი მოდური ხდება პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში: ჩვენ ვცხოვრობთ კინოვარსკვლავების, ფეხბურთის ვარსკვლავების, ესტრადის ვარსკვლავების და ა.შ. სამყაროში. დიახ, ისინი მრავლადაა, მაგრამ მხოლოდ ე.წ. საყოველთაო **სანახაობის** განზომილებაში, ვინაიდან ვინმეს ვარსკვლავობას განსაზღვრავს ერთადერთი სუბიექტი — მასა. რა თქმა უნდა, მარადონა თავისთავადაა დიდი მოვლენა სპორტში. იგი ვირტუოზულია, გასაოცარია არა ვილაცის აპლოდისმენტების გამო, არამედ თავისთავად ანუ საკუთარი ტალანტის, შრომისა და დამსახურებათა შედეგად. იგივე ითქმის მაიკლ ჯექსონზე ან კიდევ რობერტ დენიროზე. მაგრამ მათი „ბრწყინვალება" საბოლოოდ დამოკიდებულია მასის სიმპატიებზე, ემოციებზე, შეფასებებზე. იგი აღიარებს და ადგენს მათ, როგორც ვარსკვლავებს. ამიტომაც თანამედროვე რეალობაში „ვარსკვლავთა" სამშობლო მხოლოდ მასკულტურაა: კინო, ესტრადა, სპორტი... განა ეს ვითარება შეიძლება გვაკმაყოფილებდეს? ჩვენ გვჭირდება სხვაგვარად კონსტიტუირებული ანუ **სიღრმისეული ავტორიტეტები** და არა მხოლოდ სანახაობრივი, ე.ი. **ეფემერულ-ეგზოტიკური**. სიღრმისეულ ავტორიტეტებს კი საზოგადოებაში ტრადიციულად სხვა სუბიექტი განსაზღვრავდა და ადგენდა, ვიდრე მასა. იგი სოციუმის წარმმართველი ფენა ანუ მისი არისტოკრატიაა. ეს ყოველთვის ასე იყო და ასეც იქნება მომავალში. სამწუხაროდ გამონაკლისს შეადგენს თანამედროვე ტიპის ღია საზოგადოება: აქ, სადაც არ არის იერარქია და შესაბამისად, საუკეთესოთა **ფენა**, ვერც ჭეშმარიტ სიღრმისეულ ავტორიტეტებს ვერ ექნებათ ადგილი.

ჩვენ გვსურს, რომ აღდგეს საზოგადოებრივი პირამიდა ახალი ფორმით. ამას გულისხმობს **ახალი დემოკრატია**. ჩვენ გვჭირდება ლიდერები, რჩეულები და ავტორიტეტები, რომლებმაც თავის მხრებზე უნდა ზიდონ ღია საზოგადოების ტვირთი და სული შთაბერონ, ენერგია მიანიჭონ მას. სიღრმისეული ავტორიტეტი და არა ბელადი, კერპი! პირველი ხალხსანია და ხალხისთვის სამსახური მისი ცნობიერების არსებით ინტენციას შეადგენს. იგია **ხალხისგან** და **ხალხისთვის**. მეორე არის მასისგან და მასისთვის. მისთვის არსებითია პოპულიზმი და არა მსახურება.

5. დემოკრატიის ტრანსფორმაცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ხელისუფლების ფორმირების მექანიზმის თვისობრივ შეცვლას. ამ სისტემის მთავარი ნაკლოვანება ხომ ისაა, რომ შემთხვევითობას მასში საოცრად დიდი წილი აქვს, რაციონალურობას კი — მცირე. განა შეიძლება ფიზიკოსი, არქიტექტორი ან ფეხბურთელი გახდეს ვინმე ე.წ. არჩევითი მეთოდით ანუ ხმათა უმრავლესობით? ფიზიკოსი უნდა იმდიდრებდეს ცოდნას სპაციალობაში, სწავლობდეს ამა თუ იმ ფაკულტეტზე, შემდგომ აგრძელებდეს მუშაობას და კვლევებს რომელიღაც მეცნიერულ ინსტიტუტში და ა.შ. სპორტსმენი უნდა ვარჯიშობდეს, წლების განმავლობაში ითვისებდეს ოსტატობას სპორტულ კლუბსა თუ სკოლაში, გამოდიოდეს ტურნირებზე, შეჯიბრებებზე... იგივე ითქმის სხვა პროფესიის წარმომადგენლებზეც, მათ შორის ხელოვანთა შესახებ: პიანისტი სწავლობს სანოტო სისტემას, სოლფეჯიოს, ეუფლება კლავიატურას, დღითიდღე აუმჯობესებს ფორტეპიანოზე დაკვრის ტექნიკას. თვითნასწავლი ტალანტის ჩამოყალიბებაც კი ამ სფეროში აუცილებლად გულისხმობს პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს. მოკლედ, რომ ვთქვათ, ჩვენ საზოგადოებაში პროფესიული მოღვაწეობა და სათანადო სტატუსი მოითხოვს თავისებური ფილტრის ანუ **სკოლის** გავლას. რასაც ვერ ვიტყვით პოლიტიკის სფეროზე. დიახ, აქ ნაწილობრივ ბატონობს შემთხვევითობის სრულიად **არარაციონალური** პრინციპი, ვინაიდან ყველაფერი, საბოლოოდ ემყარება მასების კეთილგანწყობასა და ხმების დათვლას. პარლამენტის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, ვინც სხვადასხვა ფაქტორებისა თუ ბერკეტების გამო მასის სიმპატიებსა და, შესაბამისად, საკმარის ხმებს მოიპოვებს. იგივე ითქმის პრეზიდენტის ინსტიტუტზე.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების ორგანოები განსხვავებული წესებით ფორმირდება და არა მხოლოდ სახალხო არჩევნების შედეგად (კერძოდ, დანიშვნითი გზით, უკვე არჩეული საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩევა-დამტკიცების გზით, შერეული ფორმებითა და ა.შ.), მაინც მთლიანად ხელისუფლების გენეზისის პირველწყაროს ეს საყოველთაო არჩევითობის ხისტი პრინციპი შეადგენს. იგია დემოკრატიის ალფა და ომეგა.

აქ ისმის ლოგიკური კითხვა: რატომ შეიძლება მავანი და მავანი გახდეს სენატორი სპაციალური მომზადების პროცესის გარეშე? და რატომ არ შეიძლება იგი გახდეს დოქტორი ფიზიკაში, თუ კი სათანადო კვალიფიკაციის გზა არ გაიარა?

ჩვენ ვხედავთ აუცილებლობას, რათა დემოკრატიული სისტემის შიგნით შეიქმნას სრულიად ახალი ინსტიტუტი — ე.წ. **ხელისუფლების სკოლა**. მისი გავლა სავალდებულო იქნება ყველა იმ მოქალაქისათვის, ვისაც აქვს სურვილი და პრეტენზია პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობისა. ჩვენ არ შეგვიძლია ფეხბურთის გუნდი ჩავაბაროთ გაუწვრთნელ ფეხბურთელებს! და როგორ შეგვიძლია ქვეყნის ბედი ჩავაბაროთ მოუმზადებელ, შემთხვევით ადამიანებს?!

ჩვენ ჯერჯერობით გვაქვს ზოგადი იდეა, უფრო სწორად, მისი საერთო მონახაზი. მაგრამ ის უთუოდ მართებულია და თანაც აქტუალური. სკოლა კანდიდატთა შერჩევა-გადარჩევის ფილტრია. მხოლოდ ის, ვინც გააღწევს მასში, უფლებამოსილია ჰქონდეს პრეტენზია ხელისუფლებაში მონაწილეობაზე: არჩეულ თუ დანიშნულ იქნას ამა თუ იმ პოლიტიკურ თანამდებობაზე. მომავალი სენატორი, კონგრესმენი, მინისტრი თუ თვით პრეზიდენტი გვევლინება იმ რჩეულთა წრიდან, რომლებმაც გაუძლეს აღნიშნული სკოლის მიერ შემოთავაზებულ რთულ, მრავალსაფეხუროვან გამოცდას. თუ ხელისუფლების რა დონეებისთვის იქნება სავალდებულო ამ სკოლის გავლა ან კიდევ რა დონეებს, რა საფეხურები შეიძლება შეესაბამებოდეს — ამგვარ დეტალებზე ამჟამად მსჯელობას არ ვაპირებთ და მათი ანალიზი-დამუშავება მომავლის საქმეა.

მაშასადამე, პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია გულისხმობს ამ შერჩევა-გადარჩევის მექანიზმის დანერგვასა და მისი აუცილებელი პირობების დაკმაყოფილებას, რის შემდგომაც ძალაში რჩება ხელისუფლების ფორმირების ის პროცედურები, უპირველეს ყოვლისა კი, საყოველთაო და სამართლიანი არჩევითობის პრინციპი, რაც სხვადასხვა ვარიაციით ჩვეულია დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის.

ამგვარად, ახალი დემოკრატიის სისტემაში ხელისუფლება კონსტრუირდება უმკაცრეს საცერში გატარების გზით. ის აღარ არის შემთხვევითობის შედეგი და ამიტომ არც შეიძლება იქცეს შემთხვევითობის მსხვერპლად, როგორც ეს მოხდა 1933 წელს გერმანიაში. მან უნდა მოახერხოს საზოგადოებაში საუკეთესოთა ფენის ფორმირება და კონსოლიდირება თავის ირგვლივ. უნდა ამოკრიფოს, შეაკოწიწოს და გაამთლიანოს მასის სიჭრელეში და უსასრულო მოზაიკაში გაფანტული „ძვირფასი ქვები" და შეადგინოს მათგან ერთიანი სუბსტრატი. კონსოლიდირება, შეკავშირება ყველა იმ რჩეულისა, ვისაც ძალუძს ღირებულებათა შექმნა, ვისაც ძალუძს

იყოს საზოგადოების ლოკომოტივი სხვადასხვა სფეროში (კულტურის, ეკონომიკის...) — აი, ტრანსფორმირებული დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნქცია.

დიახ, ეს იქნება ფენა, რომლის გამჭოლ ინტენციასა და მოწოდებას შეადგენს **მსახურება** საკუთარი ხალხისთვის: არა მოხმარება, არამედ **გაღება და მსახურება!**

6. ჩვენში მწიფდება მოთხოვნილება კულტურის ინტეგრალური საზრისის დადგენისა. ჩვენ აღარ გვაკმაყოფილებს ცარიელი პლურალიზმი, რომელიც ნამდვილად ვერ იძლევა პასუხს კითხვაზე კულტურის საზრისის შესახებ.

პლურალიზმი ამბობს: საზოგადოების ავტოპორტრეტი არის სიმრავლე მის ავტოპორტრეტთა, სიმრავლე სხვადასხვა ინტერპრეტაციათა... მაგრამ განა ეს არის პასუხი? ეს მხოლოდ და მხოლოდ ფსევდო-პასუხია!

დიახ, მრავალფეროვანია, ჭრელია არა კულტურის საზრისი, არამედ მისი განხორციელების სხვადასხვა შედეგები. ღია საზოგადოების ფენომენი თავისთავად სრულებითაც არ ნიშნავს პრიორიტეტთა არარსებობას. თუმცა თანამედროვე დემოკრატიისა და ღია საზოგადოების საკუთრივ კულტურაში ყველა სასიცოცხლო ფორმა და წესრიგი თანაბარმნიშვნელოვანია: აქ თქვენ ვერ ნახავთ პირველხარისხოვანსა და მეორეხარისხოვანს, უპირატესსა და ნაკლებმნიშვნელოვანს — ეს არის ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეპოქების ანუ მოდერნის ავადმყოფობა! თუ არადა, **კულტურული სასიცოცხლო აქტის** არსებით თავისებურებას სწორედ პრიოროტეტის, უპირატესობის მინიჭება შეადგენს: რაღაცას მეტ ღირებულებას აძლევს, ვიდრე სხვას; რაღაცას უფრო აფასებს და წინა პლანზე წამოსწევს, ვიდრე სხვას.

ეს არის, საერთოდ, კულტურის ცხოველმოქმედების და კონსტიტუირების აუცილებელი საწინდარი (ჩვენ აქ მუდმივად კოზლოვსკის განაზრებებს ვეყრდნობით).

ემანსიპაციის თეორიამ კი მოინდომა ამ უძველესი გამოცდილების გამრუდება, როდესაც ყველა სასიცოცხლო ფორმა ანუ სუბკულტურა ერთ სიბრტყეზე დაალაგა და მათ თანაბარი სივრცე მისცა: **მოდერნის კულტურაში ჰომოსექსუალიზმიც და ტრადიციული ქორწინებაც თანაბარია.** იგივე ითქმის რელიგიურ კონფესიებზე.

მაშასადამე, ჩვენ მივუთითებთ კულტურის ახალი ინტეგრალური გაგების საჭიროებაზე. არ შეიძლება პოლიტიკა კულტურის სფეროში შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მიმდინარე, პრაგმატული, ოპერატიული ამოცანებით. ტრანსფორმირებული, განახლებული დემოკრატიის პოლიტიკა თვითონ უნდა გვევლინებოდეს კულტურული სასიცოცხლო სამყაროს ინტეგრირების ნებად ანუ საზრისის დამდგენ ერთ-ერთ ფაქტორად. პლურალიზმი ნამდვილად არ წარმოადგენს პასუხს კითხვაზე კულტურის საზრისის შესახებ, რადგან, კოზლოვსკის თქმით, იგი ამ კითხვას სერიოზულადაც კი არ აღიქვამს — ეს ჰგავს ბავშვების თამაშს, როდესაც კითხვაზე: „რა ვითამაშოთ?", ისინი პასუხობენ: „რაც გინდათ!"

ღია საზოგადოება არ უნდა იყოს კულტურულ დიფუზიაში მყოფი სუბიექტი. ახალი დემოკრატიის პირობებში ჭეშმარიტი წესი კულტურის ცხოველმოქმედებისა გულისხმობს უპირატესი ანუ პრიორიტეტის მქონე სასიცოცხლო ფორმების, სახეების, ნიმუშების, წესების არსებობას სხვა ფორმებისადმი სრული შემწყნარებლობისა და მათი არსებობის თავისუფლების ფონზე. დიახ, არა თანაბარმნიშვნელობა, არამედ შემწყნარებლობა!

რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ამ დიფუზური მოზაიკური კულტურულ-რეალობის რეინტეგრაციისა? ალბათ, რელიგია! ეს აღმოჩნდება მთავარი ლიგატური, რომელიც შეკრავს დაფანტულ რეალობას და განაპირობებს მის საზრისეულ გამთლიანებას. ჰიპერსეკულარიზაციის ტალღა დასრულდა. მან უკვე ამოწურა თავისი დანიშნულება. თუმცა ის აუცილებელი და გარდაუვალი იყო. პოლიტიკასა და კულტურასაც ახლა სასიცოცხლოდ ესაჭიროება რელიგიის შემოღწევა მათ სივრცეში, ვინაიდან ღია საზოგადოების მიერ კრიზისის დაძლევა უამისოდ წარმოუდგენელია, ოღონდ ყოველგვარი გადახვევების გარეშე თეოკრატიზმისა თუ ფუნდამენტალიზმისაკენ. ასეთი მცირე გადახვევაც კი დამღუპველი იქნება დემოკრატიული სამყაროსთვის.

კოზლოვსკი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ თუკი საზოგადოება არ არის გამსჭვალული კოლექტიური და სოციალურად ქმედითი „სულიერი რელიგიურობის" ცხოველმომქმედი ძალით, მაშინ მისი კულტურა რჩება ზედაპირულად და არაშემოქმედებითად, უფრო მეტიც, განწირულია კრახისათვის. სწორედ თვითგადარჩენის ინსტიქტი უბიძგებს დემოკრატიას ასეთი ცვლილებებისაკენ!

დასკვნა:

მაშასადამე, კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით კითხვას: რა არის ჩვენი დემოკრატიის კრიზისიდან გამოსვლისა და თვითგადარჩენის საწინდარი? მისი უსაფრთხოება და მოღონიერება უზრუნველყოფილი ვერ იქნება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური სტაბილურობით, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემითა თუ ანტიტერორისტული ოპერაციებით. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა საკმარისი! დემოკრატიის რეაბილიტაცია და მის სასიცოცხლო ძალთა მატება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, **შინაგან ფაქტორებზე:** მას სჭირდება განახლებული მსოფლმხედველობრივი **ფარი და სპეციფიკური იერარქია.** ეს იქნება მთავარი გარანტი მისი უსაფრთხოების, სიმტკიცისა და შეუვალობის. ცხადია, აქ არ არის საუბარი ტოტალიტარიზმისა და დახურული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ იდეოლოგიზაციაზე, არამედ ვგულისხმობთ სულიერ ორიენტირთა ანუ **ლიგატურთა** აუცილებელ სისტემას და მის მატარებელ რჩეულთა ფენას, რაზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა და ურომლისოდაც დამოკრატიისა და ღია საზოგადოების კრიზისის გაღრმავება გარდაუვალია.

დემოკრატია ჩვენ უნდა დავიცვათ და გამოვაჯანმრთელოთ რეფორმირების გზით: ეს იქნება ახალი (თუმცა, კაცობრიობისათვის ძველი და კარგად ცნობილი) ღირებულებების „ინპლანტაცია" მის ორგანიზმში, რომელიც მის მობილობასა და თავისუფლებას ხელს არ შეუშლის, სამაგიეროდ, შეკრავს, გაამთლიანებს და დაიცავს მას დეზინტეგრაციისაგან.

მოდით, ამას ნუ დავარქმევთ გაურკვეველ ექსპერიმენტს ან უტოპიას ან კიდევ რაღაც მსგავსს... ეს არის ერთადერთი იარაღი საოცრად მზარდი საფრთხის დაძლევისა! ჩვენ ვალდებული ვართ ვიმოქმედოთ!

ჟურნ. „ომეგა" №5 (31)
მაისი, 2002.
შემდეგ შეეიდა გარკვეული შესწორებები

ეპოქა და დეპერსონალიზაცია

1. ჩვენ გვსურს დეპერსონალიზაციის ფენომენის გააზრება. შესაბამისად, ჯერ მზერა მივაპყროთ პერსონას ცნებას. რას გულისხმობს იგი? მისი გამომხატველი სიტყვები: ლათინური „Persona" ქართულად ითარგმნება, როგორც ნიღაბი; რუსული „Лицо" — როგორც სახე, ხოლო „Личность"-ი ნაწარმოებია „Личина"-დან, რომელიც ნიშნავს ისევ და ისევ ნიღაბს; ქართული „პირი" და „პიროვნება" მოდის ადამიანური სახის ყველაზე მეტყველი ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვიდან. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ანალიზს დავიწყებთ შემდეგი მარტივი დებულებით: მე ვარ პერსონა (ანუ პიროვნება) გულისხმობს, რომ ვატარებ გარკვეულ სახე-ნიღაბს, ე.ი. ვმსახიობობ, რაღაც სახეს ვიღებ. ეს უკანასკნელი არ გააჩნია მინერალს, ყვავილს თუ ცხოველს, არამედ მხოლოდ ადამიანს, მაშასადამე ყოფიერს, რომელიც გამოირჩევა თავისუფალი ნებით, თვითაქტივობის უნარით. მართალია, პერსონალური სახე ხშირად განსაზღვრულია ე.წ. გარეშე ფაქტორებით და გვევლინება მათ ანაბეჭდად, მაგრამ მაინც მისი ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი აქტის, თუნდაც უმცირესი დოზით, მონაწილეობის პირობებში.

ტყვესაც აქვს სახე და მისი დათრგუნული გამომეტყველება, რა თქმა უნდა, „მტანჯველი" გარემოს დაღია უპირველეს ყოვლისა. მაგრამ განა იგი თავადაც არ არის ამ სახეზე პასუხისმგებელი? მან ხომ მაინც თავისი ნებით მიიღო ეს იძულება, თავი დაუკრა მას და ე.ი. შეეგუა ამ დათრგუნულ მდგომარეობას, მაშინ, როდესაც ჰქონდა შანსი (თუმცა ძალიან მცირე ან რთული) არ შერიგებოდა ასეთ ხვედრს: დღემუდამ ეცადა გაქცევა, ან ყოფილიყო სასიკვდილოდ დაუმორჩილებელი, ან თავი მოეკლა...

შეიძლება ვთქვათ, რომ ჩემი პიროვნული სახე იმდენადაა გამოკვეთილი, რამდენადაც ის ჩემი თავისუფალი ძალისხმევით გამოვკვეთე. პიროვნება არის ის, ვინც თავის თავს სახეს აძლევს და პიროვნებაა იმდენად, რამდენადაც იგი თვითონაა საკუთარი სახის ავტორი!

ახლა ვსვამ კითხვას: რას ნიშნავს დეპერსონალიზაციის ხდომილება და რაში ვლინდება იგი? აქვე განვმარტავ, რომ ვგულისხმობ დეპერსონალიზაციის არა პათოფსიქოლოგიურ, არამედ მეტაფიზიკურ აქტს.

მინდა უპირველეს ყოვლისა, გავიხსენო პლატონის „ნადიმში" წარმოდგენილი ერთი მითი, რომელიც მოწოდებულია თავისებურად გაშიფროს სიყვარულის ანუ ეროსის ბუნება. იგი გვიყვება, რომ უშორეს წარსულში ცხოვრობდნენ ღმერთების მიერ შექმნილი ე.წ. ანდროგინები: ორსახა, ოთხფეხა, ოთხხელა არსებები, რომლებიც თავის თავში ათავსებდნენ ქალსაც და კაცსაც. მათ გვერდით სამყაროში დაბორიალობდნენ კიდევ სხვა ტიპის ადამიანები, კერძოდ, წყვილ-კაცა და წყვილ-ქალა ინდივიდები. „დიდი იყო და საშინელი მათი ძალა და ასევე მათი ზრახვანი, ამიტომაც ხელყვეს ღმერთების ძალაუფლება და რასაც ჰომეროსი ამბობს ეფიალტესა და ოტოსისათვის, მათთვისაც ამბობს: სწორედ მათ დააპირეს ცისთვის მიეღწიათ და თავს დასხმოდნენ ღმერთებს" (პლატონი, „ნადიმი", 1964 წ., „საბჭოთა საქართველო"). და აი, აფორიაქებულმა ღმერთებმა ერთ დღესაც გადაწყვიტეს შუაზე გაეხლიჩათ ეს არსებანი და ამ გზით დაეშოშმინებინათ ისინი. ადამიანების ძალა საგრძნობლად დაეცა; უფრო ზუსტად განახევრდა. ერთმანეთისგან გაბნეული ნახევარ-არსებანი საცოდავად დაეძებენ ურთიერთს და ცდილობენ აღადგინონ საწყისი მდგომარეობა. ეროსიც სხვა არაფერია, თუ არა ოდენ თვითგამთელების ნდომა „ნადიმის" ამ ერთ-ერთი ვერსიის თანახმად. მაგრამ, ცხადია, სტატუს-კვოს დაბრუნება ადამიანებს არ უწერიათ. და ამიტომაც სიყვარული რჩება მარად დაუკმაყოფილებელ ლტოლვად პირვანდელი მთლიანობის აღდგენისაკენ.

როდესაც ვლაპარაკობთ ორი საპირისპირო სქესის ამ ლტოლვაზე, საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი ვითარება: ადამიანის სქესობრივი გარკვეულობა არ არის მხოლოდ მისი ბიოლოგიური ორგანიზაციის თავისებურება, განსხვავებით ცხოველისგან. პეტრე არის მამაკაცი და არა უბრალოდ მამრი; მარიამი არის ქალი და არა უბრალოდ მდედრი. „მამაკაცურობა" ან „ქალურობა" სწორედ რომ პიროვნული გარკვეულობის ანუ ე.წ. ადამიანური სახის უმნიშვნელოვანესი პლასტია. იგი მეტია, ვიდრე ბიოლოგიური მონაცემი, მაგრამ ამ უკანასკნელს თავის თავში შეიცავს, როგორც არსებით და აუცილებელ შემადგენელ ელემენტს. მამაკაცი, როგორც სწორედ ასეთი,

და არა უბრალოდ მამრი, თავის თავს ავლენს არა მხოლოდ საკუთარ ანატომიურ აგებულებაში, ფიზიოლოგიურ ფუნქციებში და ა.შ., არამედ, ვთქვათ, სამხედრო ვალდებულების სოციალურ ფაქტში. გვსურს რა აღვწეროთ და შევაფასოთ ესა თუ ის პერსონა, საჭიროა დავიწყოთ არა მისი პროფესიით, გარეგნული შტრიხებით და ა.შ., არამედ, უპირველეს ყოვლისა, პასუხით კითხვაზე — ვინ არის იგი — ქალი თუ მამაკაცი? დიახ, სქესი პერსონალური ვინაობის ერთ-ერთი მთავარი კონსტიტუციური მომენტია.

და თუკი ადამიანი გარკვეულწილად თავისი მთლიანი პიროვნული სახის შემოქმედია, მაშასადამე, იგი საკუთარი სქესობრივი გარკვეულობის ავტორიცაა. შენ „მამაკაცობა" არა მხოლოდ ბუნებით მოგდგამს, არამედ ის სასიცოცხლო სამყაროში შენი თვითაქტივობის, თვითკონსტიტუირების შედეგია. ამ ჭრილში განხილული ადამიანის სქესი ისევეა პერსონალური „სამოსი", „სახე", როგორც მისი სოციალური როლი, ვთქვათ, „სტუდენტი", როგორც მისი ხასიათი და ფსიქიკური თავისებურებანი, რითაც ირგვლივ მყოფნი მას „ჩვეულებრივ კარგად იცნობენ"; როგორც მისთვის ჩვეული შეფასებების, ინტერესების, თვალსაზრისების სტერეოტიპები; როგორც მისთვის ორგანული მანერები, მიმიკები, ჟესტიკულაციები და ა.შ.

დავუბრუნდეთ ჩვენ მითს: ანდროგინი ადამიანის ჯერ კიდევ უპიროვნო არსებობის მდგომარეობაა, ვინაიდან იგი არ არის ცალსახად არც „მამაკაცი" და არც „ქალი". სიყვარული კი, ზემოთ აღნიშნული პლატონისეული ვერსიის თანახმად, მცდელობაა ამ მდგომარეობისაკენ უკუდაბრუნებისა და, მაშასადამე, მცდელობაა, საწყისი პიროვნებამდელი არსებობის აღდგენისა. ეროტიკულ აქტში ორი საპირისპირო სქესი დროებით, დიახ, რაღაც განსაკუთრებული მაღალი ძაბვის მომენტებში აღწევს ხოლმე ამ გამთლიანებას, მაგრამ ეს მაინც მუდმივ ხასიათს ვერ ატარებს. სწორედ ამიტომაცაა სიყვარულის გრძნობისგან განუყრელი სევდა, ნოსტალგია თუ შფოთვა და უკმარისობა.

ვფიქრობ, პლატონის ნააზრევში ღრმა და მარადიული ჭეშმარიტებაა ჩაბმული: სიყვარულის აქტი ნიშნავს პიროვნულობის რღვევას ანუ დეპერსონალიზაციას. იგი გულისხმობს ერთგვარ თავდავიწყებას, ექსტატიკას, ე.ი. შეზღუდული პიროვნული ჩარჩოებიდან განსვლას, რათა ადამიანმა შეძლოს საპირისპირო სქესთან შერწყმა. პერსონა არის „ნიღაბი" და ეროსს სურს გააშიშვლოს ინდი-

ვიდი ამ „ნიღაბისგან“, ურომლისოდაც მისი ყოფნა და თანაყოფნა ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოუდგენელია.

არსებობს კიდევ ერთი განზომილება, რომელშიც თავს იჩენს დეპერსონალიზაციის ეს მეტად უცნაური მოვლენა. ვგულისხმობ ფენომენოლოგიურ შემეცნებას, რომელსაც პრეტენზია აქვს მაქსიმალურად არატენდენციურად ანუ დაუინტერესებელი თვალით სწვდეს საგანთა არსს. მისი განხორციელება საჭიროებს ძალზე რთულ, მრავალსაფეხუროვან მოსამზადებელ სამუშაოს ანუ ე.წ. ფენომენოლოგიური მეთოდის სრულფასოვან ამუშავებას. ცხადია, ახლა დეტალურად ვერ ვილაპარაკებთ ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე, არამედ ძალზედ ზოგადად აღვნიშნავთ რამდენიმე არსებით მომენტს.

ჩემი ყოველდღიური არსებობა სასიცოცხლო სამყაროში გამსჭვალულია ე.წ. ბუნებრივი განწყობით, რომლის შესაბამისად მუდმივად გარკვეულ დამოკიდებულებაში ანუ პოზიციაში ვიმყოფები გარემომცველი მოვლენებისადმი: რაღაც მიხარია, რაღაც მწყინს, რაღაცის მჯერა, რაღაცის არა, რაღაცას ვამტკიცებ, რაღაცას უარვყოფ და ა.შ. ეს არის ჩემთვის ბუნებრივი „რეაქციები“ მიმდინარე მრავალფეროვან ვითარებებზე. ფენომენოლოგიური მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ჩემი ცნობიერებიდან ამ ბუნებრივი განწყობის განდევნას ანუ გათავისუფლებას საგნებისადმი ჩემთვის ჩვეული პოზიციებისგან: მე ვხდები სრულიად უპოზიციო, ე.ი. ნეიტრალური, შესაბამისად, უანგარო, დაუინტერესებული მზერით ვჭვრეტ და ვიაზრებ ყოველივეს.

ცხოვრებაში შეიძლება ღრმად მორწმუნე ვიყო ან კიდევ პირიქით, თვით ღვთისმგმობელთა აქტიური წევრი, მაგრამ თუკი განვიზრახავ დროებით მაინც შევუდგე ფენომენოლოგიურ შემეცნებას, საჭიროა დავივიწყო ჩემი ენთუზიაზმი და არ ვაწარმოო ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „ადამიანი ოდესღაც შეცდენილ იქნა ეშმაკის მიერ, რომელიც უთუოდ არსებობს“; ან „რა სისულელეა ამგვარი მტკიცებები! რელიგია ხალხის ოპიუმია!“ და ა.შ. ცხოვრებაში მე ბავშვური სიხარულით ვეგებები პირველ თოვლს და მოუთმენლად ვიძახი: „შეხედე, რა მშვენიერია! თოვლიც მოვიდა!“ ფენომენოლოგის როლში მყოფმა იძულებული ვარ უარი ვთქვა ასეთ სასიამოვნო გამოთქმებზე, თუნდაც იგი ჯიუტ ფაქტს ეყრდნობოდეს. ვახორციელებ რა ე.წ. რედუქციის ოპერაციას (რომელიც ამ მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი კომპონენტია) სხვადასხვა შინაარსის

მიმართ, მე აღარ ვრეაგირებ მათზე არც რელიგიური რწმენითი იმპულსებით, არც ემოციონალური შეფასებებით, არც მტკიცებით, არც უარყოფით, არც იჭვნეულად და, მაშასადამე, ჩემი მიმართება მოცემულთან თავს იჩენს, როგორც სრულიად თავისუფალი რაიმენაირი პოზიციისაგან. მე მხოლოდ და მხოლოდ ვსვამ კითხვას: რას ნიშნავს ეს? შესაბამისად, ჩემი ამოცანაა აღვწერო, გავისაზრისო და გავიგო ეს ნეიტრალურად მოცემული ვითარება. რას ნიშნავს ეშმაკი? როგორია იგი? რა არის მისი საზრისეული სტრუქტურა და რამდენად განსხვავებულად კონსტიტუირდება იგი სხვადასხვა ცნობიერების მიერ? რა არის იგივეობრივი და არსებითი ნებისმიერი ცნობიერებისათვის, როდესაც იგი ეშმაკის ფენომენზე ლაპარაკობს? აი, ფენომენოლოგის დაუინტერესებელი შემეცნების კომპეტენციის სფერო. მაგრამ კითხვის დასმა იმის შესახებ — „არსებობს თუ არა ეშმაკი?" — მისი „თამაშის წესების" უხეში დარღვევა იქნებოდა, ისევე, როგორც მსჯელობა იმის შესახებ „მართლა თოვს, თუ ეს მხოლოდღა ჩემი სუბიექტური წარმოდგენაა?!"

მაშასადამე, დაუინტერესებელი შემეცნების მისაღწევად ფენომენოლოგმა უნდა გაიაროს თვითტრანსფორმაციის საკმაოდ შრომატევადი გზა, ვინაიდან საჭიროა განიტვირთოს ყოველდღიურად ჩვეული დისპოზიციებისგან, დამოკიდებულებებისგან, განწყობებისგან, რაც საბოლოოდ ნიშნავს საკუთარ პიროვნულობაზე ამაღლებას, პერსონალური სტრუქტურისგან გათავისუფლებას. ვინ არის ის სუბიექტი, რომელიც მიუკერძოებელი მზერით ჭვრეტს და სწვდება საგანთა არსს? განა ეს ვარ მე — ირაკლი ბათიაშვილი, ქართველი, პარლამენტარი, კარგი მეოჯახე, გარკვეული პოლიტიკურ-ფილოსოფიური შეხედულებებითა და მორალურ-რელიგიური ღირებულებებით აღჭურვილი, რთული, ცვალებადი ხასიათით, ინტროვერტი, ღრმად „ჩაკირული" კომპლექსებით და კიდევ სხვა მრავალი პერსონალური პარამეტრების მქონე? არა, ამ შემეცნების დროს მე გამორთული მაქვს ყოველგვარი პიროვნული და საშუალებას არ ვაძლევ რაიმენაირი კვალი დააჩნიოს შემეცნებით აქტებს. გავდივარ რა პიროვნული ჩარჩოებიდან, ვდგები წმინდა „მე"-ს, წმინდა ცნობიერების დონეზე. ეს არის დეპერსონალიზებული ანუ უპიროვნო ცნობიერების სტიქია. დიახ, ფენომენოლოგიური „მედიტაციის" პროცესს მე ვახორციელებ არა როგორც კონკრეტული პერსონა — ირაკლი ბათიაშვილი, არამედ როგორც წმინდა დეპერსონალიზებული ცნობიერება.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: საგანთა არსის ჭვრეტა და წვდომა მოითხოვს პიროვნულობისგან გათავისუფლების აქტს — ეს ჭეშმარიტება, უთუოდ გამომდინარეობს ჰუსერლის ფენომენოლოგიური კვლევებიდან.

ამ ფენომენოლოგიურ განაზრებათა შემდგომ მინდა გავაკეთო კიდევ ერთი ნახტომისებური გადასვლა და ახლა უკვე ყურადღება შევაჩერო რისკის ფენომენზე. რას წარმოადგენს იგი? რას გვეუბნება მისი ანალიზი? რისკი არსებობს მრავალი სახის: ვრისკავ, როდესაც მივდივარ შეტევაზე ტყვიათა პირისპირ; ვრისკავ, როდესაც ვინმეს ვუზიარებ ჩემს საიდუმლოს; ვრისკავ, როდესაც ვაკეთებ ნამდვილ არჩევანს, და ა.შ. ზერელედ ჩამოთვლილი მაგალითებიდან უკანასკნელი ყოველთვის იყო ფილოსოფიური რეფლექსიის განსაკუთრებულად საგულისხმო ობიექტი. „ჩემო მეგობარო! არაერთხელ მითქვამს შენთვის და კვლავ ვიმეორებ, უფრო სწორად, წამოვიძახებ: არჩევანი აუცილებელია, გადაწყვიტე: „ან-ან“ (ს. კირკეგორი „ან-ან“).

საინტერესოა თვალისშევლებით გავიხსენოთ, თუ როგორ ესმის დანიელ ფილოსოფოსს არჩევანის შინაარსი. მისი აზრით, ჭეშმარიტი არჩევანი ახასიათებს ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ეთიკურ განზომილებას და არავითარ შემთხვევაში ე.წ. ესთეტიკურს. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ჩვენი ყოველდღიურობის ყველაზე მეტად გავრცელებულ და ჩვეულ წესს განეკუთვნება და, ერთი შეხედვით, თითქოსდა უფრო მდიდარიცაა ეთიკურზე, შესაბამისად, თითქოსდა უფრო ფართო და ნაირფერადოვანი არჩევანის შესაძლებლობასაც იძლევა, რაც უთუოდ ილუზიაა. ესთეტიკურ განზომილებაში არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ ფსევდო-არჩევანია.

როდესაც განცხრომას ვეძლევი მომხიბლავი ქალების გარემოცვაში, ან შეიძლება ვერთობოდე მწვავე თრილერის ყურებით, ან მეგობრების კომპანიაში თავს შევიქცევდე ვისკით, თამბაქოთი და ოხუნჯობით, ან რაღაც ბიზნესიდან დიდი მოგების „დათრევის“ აზარტში ვიყო და ა.შ. — ეს წესი ცხოვრებისა, რომელსაც კირკეგორი ესთეტიკურს უწოდებს, ჩვენ საოცრად მჩქეფარე, მრავალფეროვან და სისხლსავსე რეალობად გვეჩვენება, სადაც მუდმივად გვიზიდავს მრავალი ჭრელი გამღიზიანებელი ხან აქეთ და ხან იქით, სადაც ჩვენ უწყვეტ დინამიკაში ვართ და გვგონია, რომ უშველებელი ასპარეზი გვაქვს სხვადასხვა არჩევანისათვის. ამგვარი ილუზია ძლიერდება იმის ფონზე, როდესაც წარმოვიდგენთ ეთიკური ცხოვრების საშინ-

ლად მოსაწყენ, ერთფეროვან და შეზღუდული „რეჟიმის" პერსპექტივას. მაგრამ ჭეშმარიტ არჩევანს ადგილი აქვს მხოლოდ იქ, სადაც სახეზეა პასუხისმგებლობა. მე ვაკეთებ არჩევანს — ეს ნიშნავს, რომ ვაკეთებ სწორედ ამას და არა რაიმე სხვას, თანაც სრული შეგნებითა და პასუხისმგებლობით. სანამ ადამიანი „დაფარფატებს" თვალისმომჭრელ ცდუნებათა ესთეტიკურ სივრცეში, მისი ცხოვრება უპასუხისმგებლოა. მხოლოდ ეთიკურ განზომილებაში აღიჭურვება იგი პასუხისმგებლობის შეგნებით თავის ქცევებზე, დამოკიდებულებებზე, მოქმედებებზე და, შესაბამისად, მხოლოდ აქ იგებს ჭეშმარიტი არჩევანის სიმძიმესაც და ეშხსაც.

მაგრამ რატომ არის არჩევანი სარისკო აქტი? სწორედ იმიტომ, რომ იგი უკიდურესად ჩემეული აქტია; სწორედ იმიტომ, რომ ამ აქტში მე მთელი ძალით გამოვდივარ პასუხისმგებელი. რისკი სახეზეა, როდესაც ადამიანი გარანტიებს უმეტესწილად იღებს საკუთარი თავიდან, ხოლო გარედან კი — მინიმალურად. არჩევანის წინაშე ყოფნა უმალ აღმომიჩენს ჩემს თავისუფლებას: მინდა-არმინდა, მაგრამ ეს აქტი უნდა განვახორციელო, როგორც მხოლოდღა თავისუფალმა ცნობიერებამ, ე.ი. ძირითადად საკუთარ თავზე და არა გარეშე საყრდენზე დაყრდნობით უნდა გავბედო იგი.

რისკზე წასვლა ხორციელდება ადამიანის ექსისტენციალური გახსნილობისას, როდესაც მისი პერსონალური გარკვეულობა აორთქლებას განიცდის. მე გახსნილად ვდგავარ ღია სივრცეში, სადაც არა ვარ დაზღვეული კატასტროფისაგან და სადაც ყველაფერი მოსალოდნელია. ამ დროს მე ვარ „შიშველი" და თავისუფალი ყოველივე იმისგან, რაც ჩემთვის ჩვეულია, დამახასიათებელია: ჩემი ჩვევები, მანერები, ხასიათები თუ სტატუსები სრულ დავიწყებას ეძლევა ამ მომენტში. მე ვარ მხოლოდ ერთი დიდი ამოსუნთქვა და ერთი დიდი ნახტომი ამ ღია სივრცეში.

ცნობილია, რომ ჰაიდეგერი თავის ექსისტენციალურ ანალიტიკაში მოიხმარს არა „ადამიანის" ტრადიციულ ცნებას, არა სუბიექტს, პერსონას და ა.შ., არამედ „მუნყოფიერებას". სასურველია ყური მივუგდოთ, თუ რას მიგვანიშნებს იგი ამ ცნებასთან დაკავშირებით: „სიტყვის ჩვეული მნიშვნელობის თანახმად „მუნი" მიუთითებს „აქ" და „იქ"-ზე... „იქ" და „აქ" — შესაძლებელია მხოლოდ რაიმე მუნში, ე.ი. მხოლოდ მაშინ, თუ არის ყოფიერი, რომელსაც ვრცეულობა გახსნილი აქვს, როგორც „მუნი"-ს ყოფნა. ეს ყოფიერი თავის უსაკუთრივეს ყოფიერებაში ჩაუკეტაობის ხასიათისაა. გამოთქმა „მუნ" გულისხმობს ამ არსებით გახსნილობას" („ყოფიერება და დრო").

გახსნილობა ექსისტენციალურად საწყისობრივია მუნყოფიერებისათვის. მაგრამ იგი გახსნილია თვით „ჩაკეტილი ყოფნისთვისაც". მე ღია ვარ შესაძლებლობათა უსასრულო სივრცის წინაშე, მაგრამ მათგან შეიძლება ავირჩიო მხოლოდ ყოველდღიური რუტინა; ჩავირაზო ოთხ კედელში ან უფრო მეტიც, შევეგუო მონურ მდგომარეობას. ჩვეულებრივ, ადამიანი ამჯობინებს „ჩაკეტილი" წესით ცხოვრებას, რადგან ასე უფრო წყნარად, მყარად და საიმედოდ გრძნობს თავს. მივყვებით რა ცხოვრების ჩვეულ დინებას, ჩვენ მივიწყებული, მიყრუებული გვაქვს უსაკუთრივესი ბუნება და ის თავს გვახსენებს, როდესაც ცალკეულ სიტუაციებში შემოიჭრება თუნდაც მყისიერი გაელვებების სახით და მაშინ მთელი არსებით შევიგრძნობთ ამ საოცარი „გახსნის" მდგომარეობას. იგი მათავისუფლებს ყოველგვარი პიროვნულობისგან: მეხსნება შუბლი, თვალები, სახის ნაკვთები — იშლება ჩვეული გრიმასა, როგორითაც მრავალი წლის განმავლობაში მიცნობდნენ; ვიცლები თანმდევი აზრებისგან, რეაქციებისგან, სახასიათო სტერეოტიპებისაგან; დავიწყებას ეძლევა ჩემი თანამდებობა და ის როლი, რომელსაც საზოგადოებაში ვასრულებ. მე ვარ ამ მომენტში ყველაფერ ამაზე მეტი, ფართო და ვრცელი.

ზემოთ ვლაპარაკობდით რა რისკის ფენომენზე, ვიტყვით შემდეგს: სწორედ რისკის აქტში მე ვეებერთელა დოზით განვიცდი ამ ექსისტენციალური გახსნის მდგომარეობას, როდესაც ვარღვევ ჩემს პერსონალურ ნაჭუჭს და მთელი ძალით გამოვდივარ გარეთ. სწორედ ამიტომ რისკი დეპერსონალიზაციის თავისებური ხდომილებაა.

ჩვენს თვალსაწიერში შემოვიტანეთ ერთი შეხედვით დაუკავშირებელი თემები: ეროტიკული აქტი, საგანთა არსის ფენომენოლოგიური შემეცნება, რისკი. მაგრამ მკითხველისთვის უკვე ნათელი გახდა, თუ რა აერთიანებთ მათ: დეპერსონალიზაციის ფენომენი! თითოეული მათგანი არის ის უნიკალური აქტი, რომელიც მოითხოვს ფუნდამენტურ თავდავიწყებას ანუ საკუთარი თავიდან გასვლას, რა პროცესშიც თავს იჩენს დროთა განმავლობაში ფორმირებული პიროვნული სახის დესტრუქცია. როდესაც მიყვარს, როდესაც განვჭრეტ, როდესაც ვრისკავ — ეს არის თავისებური ექსტატიკა ანუ ჩემი პიროვნული საზღვრებიდან გაჭრა. მაგრამ დეპერსონალიზაცია ანუ პიროვნული სახის (ნიღბის) მოხსნა, რომელსაც ამ ექსტატიკის დროს განვიცდი, სრულებითაც არ ნიშნავს ყოველგვარი სახის დაკარგვას. ნიღაბის უკან სიცარიელე არ იმალება! ამ დროს

თავს იჩენს ახალი, ჩემი ყოველდღიური ცნობიერებისათვის უცნობი ფენომენი: ადამიანის პირველსახე. ეს არის სახე, რომელიც ღმერთმა მომანიჭა და არა ის, რომლითაც აღვიჭურვე ცხოვრებისეული სამყაროს გამოწვევათა საპასუხოდ. შესაქმეში მასზე ლაპარაკია, როგორც ღვთის ხატზე და მსგავსებაზე ანუ ამ ფენომენში უშუალოდ „იხედება" ღვთაებრივი საწყისი. ეს პირველსახე იშვიათი სიტუაციებისას გამონათდება ხოლმე თავის ბავშვურ აუმღვრევლობაში, რაწამს რაღაც ძალა წაშლის მის სქლად დამფარავ, წლების განმავლობაში დალექილ პიროვნულ გრიმასას. რა არის იგი? როგორ შეიძლება გავაანალიზოთ და აღვწეროთ მისი თავისებურებანი? სამწუხაროდ, ჩვენ წერილში ამ ფენომენზე დეტალურად და სიღრმისეულად ვერ ვიმსჯელებთ. ეს, ალბათ, მომავალი კვლევის საგანი იქნება. ამჟამად კი მასზე საუბარი მხოლოდ მნიშვნელოვან მინიშნებათა ხასიათისაა.

მედიტაციები ადამიანის პირველსახეზე მრავალ რემინისცენციას აღძრავს ჩვენს გონებაში. გვახსენდება ნიცშეს ზარატუსტრას სიტყვები: „სულის სამი გარდაქმნის შესახებ გეუბნებით თქვენ: თუ როგორ გადაიქცევა სული აქლემად და აქლემი — ლომად, დაბოლოს, ლომი ბავშვად". აქ ბავშვი სულის დამასრულებელი მეტამორფოზაა, სადაც იგი უბრუნდება თავის საწყის სახეს.

გვახსენდება ცნობილი გამოთქმაც სახარებიდან: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ისე არ მოიქცევით და არ იქენით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში" (მათე; თავი 18).

ჟურნ. „ომეგა"
№9, 2003 წ.

ვირუსები

(ფილოსოფიურ-პოლიტიკური ესეი)

ხელახლა ვკითხულობ ჰაიდეგერის ბრწყინვალე ნაშრომს „რა არის მეტაფიზიკა?"

ეს ლექცია ავტორის მიერ წაკითხულ იქნა 1929 წლის 24 ივლისს ფრაიბურგის უნივერსიტეტში. მას შემდგომ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ვფიქრობ, ისტორიამ ორი ეპოქა გამოიცვალა: ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიულიც. ახლა ხომ რაღაც ახალი ხანის დასაწყისში ვიმყოფებით, რომლის სახელიც ჯერჯერობით უცნობია. მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 20-იანი წლების ამ საოცარი მედიტაციების შუქზე შემიძლია უფრო სიღრმისეულად ჩავიხედო სწორედ რომ ჩვენს ეპოქაში: ბევრი რამ ყურადსაღები, უცნაური და არსებითი გამოვამჟღავნო იმ სასიცოცხლო სამყაროსი, რომელიც ჩვენ ირგვლივ ფეთქავს „აქ" და „ამჟამად".

კითხვა — რა არის მეტაფიზიკა? — განაპირობებს სრულიად თავისებურ აზრთა მსვლელობას ჰაიდეგერის მხრიდან. შევეცდებით, არსებითად და უაღრესად შეკუმშულად აღვადგინოთ ის:

მეტაფიზიკური საკითხის გაშლა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს განმარტებას იმის თაობაზე, თუ ვინ ვართ თვითონ ჩვენ, როგორც აღნიშნული კითხვის დამსმელნი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა დაკავებულნი ვართ მეცნიერებით. დიახ, ვიმყოფებით რა მკვლევართა, მასწავლებელთა და მოწაფეთა ამ საზოგადოებაში, სადაც ვცდილობთ მოვიპოვოთ სასურველი პასუხი, ჩვენი ყოფიერება განსაზღვრულია მეცნიერებით. მაგრამ როგორია ეს მეცნიერული მიმართება სამყაროსთან? მას აინტერესებს არსებული რაიმე საგანი — ქიმიური ნივთიერება, უჯრედი, ისტორიული მოვლენა თუ ფსიქოპათოლოგია — და მეტი არაფერი. იგი დაკავებულია არსებულის კვლევით, როგორც ის არის თავად და მეტი არაფრით.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას ამ არაფერზე?

ავტორის თქმით, მეცნიერებას მისი გაგონებაც კი არ სურს. თუმცა, ცხადია, რომ მეცნიერული ინტენციის გამოხატვა შეუძლებე-

ლია უიმისოდ. ასე შემოდის ჰაიდეგერის მსჯელობათა თვალსაწიერში **არარას** ფენომენი. ხდება კი რაიმე ისეთი ადამიანის ყოფიერებაში, რომელსაც იგი ახლოს მიჰყავს სწორედ არარასთან? — კითხულობს ფილოსოფოსი. დიახ, ეს ხდება ძრწოლის ფუნდამენტურ ექსისტენციალურ განწყობილებაში. იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგივოთ რაიმენაირ შიშთან. შიში არსებობს სხვადასხვა სახის და ის ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ საგანთან, ანუ ფაქტორთან. შიში ყოველთვის რაღაცის შიშია. ამიტომ, ჰაიდეგერის თქმით, მშიშარა მყარად შებორკილია, დაბმულია იმ ნივთებით, რომელთა შორისაც იმყოფება. ძრწოლა კი თვისობრივად სულ სხვა ფენომენს წარმოადგენს. ამ განცდისას მე ფეხქვეშ მეცლება ის ნიადაგი, რომელზედაც ჩვეულებრივ საიმედოდ ვდგავარ: მისხლტება არსებული მთლიანად, მათ შორის საკუთარი თავიც და ვრჩები ყოველგვარი დასაყრდენის გარეშე. როდესაც არსებული მთლიანობა სადღაც გვისხლტება, მაშინ თავზე მადგება და მშთანთქავს **არარა**.

სწორედ ძრწოლა ხსნის ჩემს წინაშე არარას — აი, ასეთი უცნაური და იდუმალი სიტყვებით აღგვიწერს ავტორი აღნიშნულ ფენომენს. „შემზარავი არარას ნათელ ღამეში" ცხადი ხდება, რომ არსებული სწორედ არსებულია და არა არარა. მხოლოდ არარას ფონზე შეიძლება გავიაზროთ არსებული მთლიანად. საჭიროა გავცდე დედამიწას, გავიდე კოსმოსში, რათა რაღაც დისტანციიდან მთლიანობაში აღვიქვა ის. საჭიროა გავცდე მთლიანად არსებულის საზღვრებს, რათა დავინახო ის. ეს გასვლა არის ტრანსტენდენცია, როგორც ჩემი ყოფიერების მთავარი ატრიბუტი, რითაც იგი განსხვავდება კრისტალისა თუ ხვლიკის არსებობისაგან.

ჰაიდეგერი ამბობს: ადამიანური ყოფიერება ნიშნავს ამ შეწეულობას არარაში.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ჩაძირულნი ვართ საგნებში, საქმეებში, ურთიერთობებში ანუ არსებულის მორევში და ვერ ვაცნობიერებთ მიმართებას არარასთან. ჩვენში ძრწოლა დამალულია, მაგრამ ის ყოველთვის მაინც არის და ჩვენი არსებობა არაცნობიერად მაინც მუდმივ მიმართებაშია არარასთან. როდესაც ეს ძრწოლა იღვიძებს და ზედაპირზე ამოდის, მაშინ სრული ძალით ვაცნობიერებთ არარას წინაშე ყოფნას, რომელიც ჩვენს მზერას უკან მიაბრუნებს არსებულისაკენ მთლიანად. სწორედ ეს არის მეტაფიზიკა, როგორც ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტური ხდომილება:

არარას ფონზე ერთიან მზერაში მოვიცავთ არსებულს მთლიანად — ვსვამთ კითხვას მის შესახებ და ვცდილობთ პასუხი გავცეთ. ჩვენ ვხდებით მსოფლმხედველობის მქონე.

ვფიქრობ, მოცემული განაზრებები განსაკუთრებით ეხმიანება დღევანდელ ეპოქას, რომელიც დაიბადა პოსტინდუსტრიული ხანის წიაღში. სწორედ პერმანენტულ, ასიმეტრიულ საფრთხეთა სამყაროსათვის აღმოჩნდა არსებითად დამახასიათებელი ის მეტაფიზიკური ხდომილება ჩვენს ყოფიერებაში, რომელზეც ახლახან ვსაუბრობდით.

დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ „მეტაფიზიკურ ეპოქაში", რომლის არსსაც მსოფლმხედველობისკენ შემობრუნება შეადგენს. თუ რატომ და როგორ, ამას შემდგომი მსჯელობები გვიჩვენებს, რა მიზნითაც საჭიროა ზოგადად შევეხოთ უსაფრთხოების უახლეს პრობლემატიკას.

ფაქტია, რომ უსაფრთხოების ფენომენი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ალფა და ომეგაა. ეს არის ის, რაზედაც გამუდმებით მსჯელობენ და კამათობენ სახელმწიფო მოღვაწეები, ანალიტიკოსები ან უბრალოდ რიგითი მოქალაქეები ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდონეზიასა თუ საქართველოში.

რა გვემუქრება? საიდან? როგორი სახეცვლილებები განიცადა დღეს საფრთხეებმა? როგორ უნდა იყოს ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგია და ეფექტური სისტემა? ამ კითხვებითაა დაკავებული, როგორც სახელმწიფოს ცნობიერება, ასევე სამოქალაქო საზოგადოება თავის არასამთავრობო ორგანიზაციებითა და მასმედიით.

კაცობრიობას გადატანილი აქვს პუნიკური, ასწლიანი თუ მსოფლიო ომები, სისხლისმღვრელი რევოლუციები და სხვა მრავალი უბედურება, მაგრამ არასდროს უსაფრთხოებაზე ზრუნვა და ფიქრი ისეთი გაცხარებული, გამუდმებული და საყოველთაო არ ყოფილა, როგორც დღეს. ამ ვითარების მიზეზი კი შემდეგია: თანამედროვე ვითარებაში ჩვენ შევეჯახეთ სრულიად ახალი ტიპის საფრთხეებს, რომლებიც ვირუსულ ხასიათს ატარებენ. ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელება, რეგიონალური კონფლიქტები, ნარკობიზნესი, ეკოლოგიური კატასტროფები, შიდსი, კიბო, სარსი და ა.შ. — აი ეს ავადმყოფობები გვიტევენ ყოველი მხრიდან. გვევლინებიან რა მეტნაკლებად მცირე თუ დიდ ხდომილებათა უსასრულო სიმრავლის სახით, ისინი ძალზედ სწრაფად ვრცელდებიან გლობალურად და არ არიან ლოკალიზებულ-

ნი ერთ ადგილას. ეს ვირუსები გამუდმებით ბომბავენ ამა თუ იმ სიძლიერის დარტყმებით ჩვენს სოციალურ, ბიოლოგიურ თუ ბუნებრივი გარემოს სხეულს და ტოვებენ მასში სხვადასხვა ზომის ხვრელებს.

ამდენი ნახვრეტისაგან კი შეიძლება გემი ერთ დღესაც ჩაიძიროს.

ახალი ტიპის საფრთხეს არ გააჩნია რაღაც მასიური, თვალსაჩინო სტაბილური სისტემის სახე. მასზე ვერ ვიტყვით, რომ არის სწორედ აქ და ამჟამად, მყარად გარკვეული სტრუქტურით, შინაარსით, ფუნქციებით და ა.შ. ასეთი იყო საბჭოთა კავშირი დასავლური სამყაროსათვის, როგორც უმთავრესი მუქარის წყარო. ეს იყო ქვეყანა თავისი განსაზღვრული ადგილით სივრცესა და დროში, თავისი შეიარაღებული ძალებით, რესურსებით, იდეოლოგიითა და ა.შ.

თანამედროვე საფრთხე კი მსგავსი გარკვეულობით არ ხასიათდება და ამიტომაც მას ასიმეტრიულს უწოდებენ. განა აქვს მკაცრად განსაზღვრული ადგილი, საზღვრები თუ სტრუქტურა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას ან ტერორიზმსა თუ ნარკოტიკებს? რა თქმა უნდა, არა! დენადობა, „რადიაცია", უჩინარობა მათი ატრიბუტებია.

ბოდრიარის აზრით, ამ ვირუსული ავადმყოფობის წარმოქმნის პირველმიზეზი უნდა ვეძებოთ თანამედროვე განვითარებული მსოფლიოს ზეინტეგრირებულ სისტემებში, იქნება ეს სოციალურ-პოლიტიკური თუ ტექნიკური სისტემები. ზედაცულ სივრცეში სხეული კარგავს თავის დაცვას. საოპერაციო ოთახში პროფილაქტიკა ისეთია, რომ ვერცერთი მიკრობი, ვერცერთი ბაქტერია ვერ იცოცხლებს. მაგრამ სწორედ აქ ჩნდებიან უცნაური, იდუმალი ანომალიური ვირუსები; თითქოსდა იდეალურ კლინიკურ სამყაროში თავს იჩენს არახელშესახები, მაგრამ დაუნდობელი პათოლოგია, რომელიც განპირობებულია თვით ტოტალური დეზინფექციით — წერს იგი თავის შესანიშნავ წიგნში „ბოროტების გამჭვირვალეობა". ჩვენ დაგვიუძლურდა თვითდაცვის ბუნებრივი რეფლექსი და დავაავადდით იმუნური უკმარობით, ვინაიდან ჩამოვიყალიბეთ ხელოვნური იმუნიტეტი ანუ ხელოვნური დამცავი გარსი თავისი უკიდურესად ინტეგრირებული სახელმწიფო თუ საერთაშორისო პოლიტიკური და სამხედრო ინსტიტუტებით, საინფორმაციო ქსელით, სამედიცინო უზრუნველყოფის სისტემით და ა.შ. ვცხოვრობთ რა ამ პროფილაქტიკურ, ტრანსპარენტულ და ერთგვა-

როვან გარემოში ჩვენ ხელმისაწვდომი აღმოვჩნდით ვირუსებისათვის და ისინიც დაგვერივნენ მთელი გააფთრებით. დიახ, შიდსის, ტერორიზმისა თუ ელექტრონული ვირუსების შემოსევა შესაძლებელი გახადა თვით ჩვენმა ვირტუალურობამ — ჩვენი სისტემის ჰიპერ-ხელოვნურობამ და, შესაბამისად, იმუნიტეტის დაცემამ.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ „ჩვენ"-ში ფრანგი მოაზროვნე გულისხმობს თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებს, რომლებიც დღეს მსოფლიო პროცესების ლოკომოტივს წარმოადგენენ და, ამასთან, ეპოქის არსსა და სულისკვეთებას გამოხატავენ. ამ ცნებაში, ცხადია, ვერ მოვიაზრებთ საქართველოს ან მოლდოვას, რომლებიც ზეინტეგრირებული უსაფრთხოებისა თუ სამედიცინო სისტემებისაგან ჯერჯერობით ძალზედ შორს დგანან. მაგრამ რაც შეეხება ვირუსულ ავადმყოფობას, ის საყოველთაო პრობლემაა. ეს არის გლობალური პათოლოგია, რომელიც განაპირობეს სიღრმისეულმა მიზეზებმა, მაგრამ მოედო განურჩევლად ყველას და ყველაფერს მთელს პლანეტაზე — აყვავებულსაც, განვითარებადსაც და ჩამორჩენილსაც.

ალბათ, სასარგებლო იქნებოდა ზოგადად მაინც განგვეხილა არატრადიციული გამოწვევებისა და მათ მიერ წარმოქმნილი ამოცანების, პრობლემების უახლესი ხედვა, რომელიც ძალზედ რელიეფურადაა მოცემული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში.

კერძოდ, თანამედროვე სუპერ-სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების — ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც შემუშავდა 2002 წელს, ეძღვნება ახალი ტიპის საფრთხეთა გააზრებასა და, შესაბამისად, მათ წინააღმდეგ ბრძოლის „მოდერნიზებულ" ფორმებსაც და მეთოდებს.

ეს დოკუმენტი გვამცნობს, რომ ჩვენ ფეხი შევდგით გლობალური ომის ეპოქაში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები წარმართავს 2001 წლის 11 სექტემბრის გამოწვევის საპასუხოდ. ვინ არის მტერი? იგი, ამ შემთხვევაში, არის არა რომელიმე სახელმწიფო, რელიგია თუ იდეოლოგია, არამედ საერთაშორისო ტერორიზმი. ხოლო ბრძოლა მის წინააღმდეგ ისტორიულ წყაროებში მოცემული ყველა სხვა ომისგან განსხვავებულია, ვინაიდან ასეთი ომის წარმოება საჭიროა ხანგრძლივი დროით სხვადასხვა მრავალ ფრონტზე, როდესაც მტერი ხშირად უჩინარია და მუდმივად ცდილობს ხელიდან გასხლტომას. ის არის თითქოსდა ყველგან და არსად.

ამ სტრატეგიის თანახმად აშშ-ს პრიორიტეტულ მიზნებად გაცხადებულია ტერორისტული ორგანიზაციების გლობალური ქსელების დარღვევა და განადგურება; მათი ფინანსური და- მატერიალური მხარდაჭერის მოსპობა. საუკეთესო თავდაცვა კარგი შეტევაა და ამიტომაც საჭიროა ქვეყნის ინტერესთა დაცვა შინ და გარეთ საფრთხის წინასწარი აღმოჩენა-გაუვნებელყოფის გზით, ანუ პრევენტიულ მოქმედებათა და შეტევის მეშვეობით. სუპერსახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგია გულისხმობს იდეების გრანდიოზულ ომს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ: პროპაგანდა, დარწმუნება, ავტორიტეტის გამოყენება ყველგან, ყველაფერში, ყველა მიმართულებით; იდეოლოგიური ნიადაგის გამოცლა მოწინააღმდეგისათვის — აი, უმნიშვნელოვანესი ასპექტი ბრძოლის მეთოდის. და, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ფიქრი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ომში წარმატებაზე გლობალური თანამშრომლობის გარეშე: მუშაობა, თანამშრომლობა მეგობრებთან, მოკავშირეებთან, რეგიონალურ პარტნიორებთან და ეს მუშაობა უნდა გაიშალოს მთელს პლანეტაზე — ასეთ ორიენტირს უსახავს ამერიკის შეერთებული შტატები თავის თავს.

ამ უსაფრთხოების პოლიტიკის ძირეულ პრინციპებს განეკუთვნება აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილება: ამერიკის შეერთებული შტატები არ დაუშვებს რელიქტური რეჟიმებისა (ირანი, ჩრდ.კორეა, ადრე ერაყი და ა.შ.) თუ სხვადასხვა ტერორისტულ დაჯგუფებათა მიერ ქიმიური, ბიოლოგიური ან ბირთვული იარაღის მოპოვებასა და გამოყენებას. „უდიდესი საფრთხე აღმოცენებულია რადიკალიზმისა და ახალ ტექნოლოგიათა ურთიერთგადაკვეთაზე... მათ სურთ ჰქონდეთ დაშანტაჟების უნარი, ან ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის ზიანის მოყენების ძალა — ჩვენ კი მათ მთელი ჩვენს ხელთ არსებული ძალით დავუპირისპირდებით" (პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ვესტ პოინტი, ნიუ-იორკი, 1 ივნისი, 2002 წელი).

და კიდევ ერთი ძირეული პრინციპი — თანამშრომლობა რეგიონალურ კონფლიქტთა განმუხტვის მიზნით. დღეს ეს კონფლიქტები „რადიაციული" გავრცელების უნარით ხასიათდება: სათანადო ეფექტური ძალისხმევის არარსებობის პირობებში, რათა დაიძლიოს კრიზისული ვითარება, მისმა ესკალაციამ შეიძლება სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს და თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში მრავალი სახელმწიფო ჩაითრიოს, მათ შორის, დიდი სახელმწიფოებიც.

დიახ, ჩვენი პლანეტა აჭრელებულია რეგიონალური კონფლიქტებით, ამ ერთი შეხედვით მცირე კოცონებით, რაც ადვილად გადადის დიდ ხანძარში, და ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის განსაკუთრებულ პრიორიტეტს შეადგენს იმ მოქმედებათა სტრატეგიის შემუშავება, რომელთა მეშვეობითაც თანმიმდევრულად უნდა გადაწყდეს ეს საყოველთაო მნიშვნელობის კრიზისები: პალესტინა-ისრაელის, ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტები, ინდონეზიის პრობლემები, აფრიკაში სამოქალაქო ომები და ა.შ.

ამ დოკუმენტის თანახმად აშშ-მ უნდა მიმართოს სერიოზული რესურსები ისეთი საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებისაკენ, რომლებსაც ხელეწიფებათ კრიზისულ ვითარებათა მართვა. „ჩვენ ვაშენებთ სამართლიან მსოფლიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალადობის სამყაროში ვიცხოვრებთ. საერთო ვალდებულებების უზარმაზარი მასშტაბების ფონზე ჩვენი წინააღმდეგობები სავსებით უმნიშვნელოდ გვეჩვენება“ — ამბობს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (ბერლინი, გერმანია, 23 მაისი, 2002 წელი).

ეს ბოლო თემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მტკივნეულია ჩვენი მშობლიური სინამდვილისათვის. სახელდობრ, კავკასია ბალკანეთის ან მახლობელი აღმოსავლეთის მსგავსად აღმოჩნდა ერთ-ერთი სერიოზული კერა ისეთი არატრადიციული საფრთხისა, როგორიცაა რეგიონალური კრიზისი: აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ჩეჩნეთი, ყარაბაღი, აფხაზეთი და ა.შ. — ამ კონფლიქტთა პოტენციალი იმდენად დიდი იყო და არის, რომ მათ შეუძლიათ აქტივიზაციის პირობებში სულ უფრო და უფრო მზარდი დაძაბულობის ველი წარმოქმნან თავის ირგვლივ საერთაშორისო სივრცეში.

სადღეისოდ ისინი თითქოსდა შედარებით ჩამცხრალნი არიან — ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. მაგრამ ამგვარი „მიყუჩება“ უაღრესად ილუზორულია მაშინ, როდესაც მათ გადასაწყვეტად წარმართული კონტრზომები სრული არაეფექტურობითა და უშედეგობით ხასიათდებიან და ე.წ. „ავადმყოფობა“ კვლავაც აგრძელებს არსებობას მეტ-ნაკლებად ინერტული ფორმით.

ასეთ პირობებში კი მან შეიძლება ყოველთვის იფეთქოს ხელახალი ძალითა და ენერგიით. 1992-93 წლებში მიმდინარე აფხაზეთის ომმა დაგვანახა, თუ რა მასშტაბითა და რა სისწრაფით ვრცელდებოდა მისი ზემოქმედების ტალღები სხვადასხვა მიმართულებით: რუსეთ-საქართველოს ამ შეიარაღებულმა რეგიონალურმა დაპირისპირებამ (რომლის ხელშემწყობ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, ცხადია,

ქართულ-აფხაზური მწვავე ეთნიკური პრობლემებიც შეადგენდა) თავის მორევში ჩაითრია სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლები: ჩვენს წინააღმდეგ საომრად მოემგზავრებოდნენ ბოევიკები ჩრდილოეთ კავკასიიდან, თურქეთიდან, არაბული ქვეყნებიდან, რუსეთის შუაგულიდან, გარდა იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებებში უშუალოდ ჩართულნი იყვნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ქვედანაყოფები.

იმხანად ქვეყნის უშიშროების სამსახურს ვხელმძღვანელობდი და ხშირად მიწევდა აფხაზეთში ყოფნა. მახსოვს ყაბარდოელი ტყვე, რომელიც მოხალისე გახლდათ და დასაკითხად ჰყავდათ მოყვანილი ჩვენი სამსახურის თანამშრომლებს. მე გადავწყვიტე მენახა იგი და თვითონ გავსაუბრებოდი. ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, დაახლოებით 20-21 წლისა; ჩამოვიდა უცხო ქვეყანაში „აფხაზი ძმების" დასაცავად, მაგრამ რეალურად დიდად გული არ შესტკიოდა მათ ბედზე. რაიმე სერიოზული მოტივაცია ომში წამოსვლისა არ ჰქონია. უფრო საერთო აღტკინებამ ჩაითრია და, ასე რომ ვთქვათ, ტალღას გამოჰყვა. მისი ცნობიერება არცთუ ძნელი გადასამუშავებელი უნდა ყოფილიყო და სავსებით შეიძლებოდა „ჭკუის გადატრიალებასთან" ერთად მას იარაღიც მიეტრიალებინა თავისი „ძმების" მიმართულებით რაღაცის გამორჩენის სანაცვლოდ — ყოველივე ეს ჩემთვის ცხადი შეიქნა მასთან საუბრისას.

დიახ, აფხაზეთის ომმა თვალსაჩინოდ წარმოაჩინა თანამედროვე რეგიონალური კონფლიქტის ფენომენის ე.წ. ტალღური ბუნება. ის სწრაფად ვრცელდება საზღვრებისა თუ სხვა ბარიერთა მიუხედავად და ადვილად „იტაცებს" ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით შედგენილ ადამიანთა ჯგუფებს, რათა ჩაითრიოს კონფრონტაციის მორევში ხშირად რაიმენაირი ძლიერი მოტივაციისა და მკაფიო თვითცნობიერების გარეშე.

საბოლოოდ ვიტყვი, რომ ე.წ. „ვირუსული" საფრთხეების, ე.ი. ახალ საფრთხეთა თემა უაღრესად აქტუალურია ჩვენთვის, ქართველებისათვის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავკასია აღმოჩნდა ერთ-ერთი გენერატორი და მატარებელი რეგიონალური კრიზისთა ვირუსისა. იგი ჩვენშია, ჩვენს ორგანიზმშია და ამიტომაც სისხლხორცეულად ვგრძნობთ და ვიცნობთ მას.

შესაბამისად, ამ თემაზე აღძრული ჩვენი ფილოსოფიური მედიტაციებიც ხელოვნური და „ყურით მოთრეული" ვერ იქნება, პირიქით, რეალურ გამოცდილებაზეა დამყარებული.

* * *

ლიბერალური დემოკრატიის რეალობა, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, უცნაურად გამჭვირვალეა.

ბოდრიარი წერს, რომ ჩვენს საზოგადოებას დაეუფლა სისხლის გათეთრების რაღაც სახესხვაობა: აღარ არსებობს მკვეთრი კონტრასტები, უარყოფითი და დადებითი პოლუსები, კეთილი და ბოროტი მხარე, თეთრი და შავი, არამედ ყველაფერი განზავებულია, ნიველირებულია და გათეთრებულია საერთო „პოზიტიურ" შუქში.

ეს ცოტათი გვაგონებს ადამიანს, რომელმაც თავისი ჩრდილი დაკარგა: იგი ან სრულიად გამჭვირვალედ იქცა ჭარბი სინათლისაგან, რომელიც მისი სხეულის გამჭოლად გადის, ან კიდევ განათებულია ყოველი მხრიდან და დაუცველია ტოტალური დასხივების მიმართ?

ჩვენც ასევე ირგვლივ განათებული ვართ ტექნიკით, ინფორმაციებით და გვიწევს ყოფიერება ტრანსპარანტულ რეალობაში.

დიახ, გამჭვირვალეობა ჩვენს უმთავრეს პრინციპად იქცა: გამჭვირვალეობა საქმიანობაში, სიტყვაში, ურთიერთობაში, მოვლენებში, პროცესებში, ჩანაფიქრებსა თუ მისწრაფებებში: საქმე და სიტყვა — ნათელი, მოვლენა და პროცესი — გაშუქებული და ა.შ. ამ საყოველთაო გამჭვირვალეობას უზრუნველყოფს მასმედია, დემოკრატიული ინსტიტუტები, მაღალი ტექნოლოგიური სისტემები თუ ფსიქოანალიტიკური მეთოდები...

ბუნებრივია, რომ ეს თანამედროვე ტრანსპარენტული სამყარო გამორიცხავს იდუმალების განცდას: აქ ყოველივე არის ცხადი და გათავისებული. რეკლამების, ახალი ამბების, ინტერნეტისა თუ ტექნიკურ სიახლეთა გამჭვირვალე რეალობაში მე ეს განცდა ვერ დამეუფლება, ვინაიდან იგი უსაგნო და უსაფუძვლოა და ამიტომაც „მკვდარია". სადღა ვხვდები იდუმალებას? ხომ ფაქტია, რომ ჩემში ჯერ კიდევ არსებობს საკმარისი მარაგი და პოტენციალი ამ ფენომენის გაცნობიერებისა! ის თავს შემახსენებს ხოლმე უცნაურ გაელვებათა სახით რაღაც მომენტსა და ვითარებებში. რა ვითარებანია ეს? განა შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ტრანსპარენტულ თეთრ რეალობას განეკუთვნებიან? ნამდვილად არა! პირიქით, საერთო ფონიდან ეს ერთგვარი ამოვარდნილი კუნძულებია, რომლებიც ამ ვირტუალური მსოფლიო ეკრანის ფრაგმენტებს არ შეადგენენ: ისინი თითქოსდა სხვა სამყაროს გამოსხივების ფრაგმენტებად გვევლინებიან.

პასუხის ძიებისას დასმულ კითხვებზე, თავისთავად მახსენდება ერთი ეპიზოდი ჩემი უახლოესი წარსულიდან. კერძოდ, ამასწინათ მომიხდა ყოფნა საფარის მონასტერში დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში — მესხეთში და მე-13 — მე-14 საუკუნეთა ძეგლს წარმოადგენს. მისი აშენება ამ კუთხის ძლევამოსილი მთავრის — ჯაყელის დამსახურებაა, რომლის მემკვიდრეებმაც, სხვათა შორის, თავიანთი სეპარატისტული პოლიტიკით დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს სამეფოს — ეს ისე, ისტორიული კომენტარისათვის... მონასტერი მთებშია ჩამჯდარი დაახლოებით 1400 მეტრის სიმაღლეზე, საიდანაც უშველებელი ხედი იშლება: აქედან მოჩანს თითქმის მთელი მესხეთი. ეს ერთ-ერთი გამოკვეთილი მოქმედი კერაა ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიისა — ბერები და მორჩილები ცხოვრობენ საკმაოდ კეთილმოწყობილ საცხოვრებლებში, ეწევიან ღვთისმსახურებას და ყოველდღიურად მუყაითად შრომობენ კვირის გარდა.

აქ მე ვლოცულობ დიდი სიწრფელით ეკლესიაშიც და გარეთ ბუნებაშიც: ვცდილობ ზედაპირზე ამოვიტანო სხვადასხვა ასოციაციები, სადაც დევს ჩემი ტკივილები, დანაშაული, სიმძიმე, ჭუჭყი... მთავარია არ ითვალთმაქცო და ღრმად ჩასწვდე საკუთარ სულის ჭას, რათა განიწმინდო ამ მღვრიე მასისაგან.

ბევრს ვსეირნობ და ვლოცულობ უსასრულოდ გადახსნილი სივრცის წინაშე: უფალო, მომიტევე, დამაძლევინე ცოდვები და უძლურება ჩემში! შეეწიე და დაიფარე ოჯახი და სამშობლო ჩემი... დაიფარე მეგობრები და ახლობლები, დაიფარე ადამიანი! ღმერთო, შენ ხარ უსასრულობა და იდუმალება, ხოლო მე ვარ შენგან და შენთან! აღავსე სული ჩემი მადლით შენით და მაზიარე შენთან. ღმერთო, გმადლობთ ყოველივესთვის...

აქ ბევრი ჟანგბადია, ბევრი სივრცე და მონასტრის იდუმალება, რომელიც მსჭვალავს მთელს ლანდშაფსტს უხილავი ესენციით. აქ უშუალოდ ყოფიერებას სუნთქავ. შენ ცოცხლად განიცდი ყოფიერების იდუმალებას ამ ღიად გადახსნილ უსასრულობაში. ეს განცდა ძლიერდება, მატულობს, ფართოვდება და ავსებს ჩემს ფსიქიკას. ის დუმს ჩვენთვის ჩვეულ ტრანსპარენტულ რეალობაში, როდესაც პრესას ვეცნობი, ინტერნეტში შევდივარ თუ ლონდონში მიფრინავ, მაგრამ მთელი მოცულობით თვალსაჩინოა აქ, ამ თვისობრივად სხვა სამყაროში.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, დღეს მომსწრენი ვხდებით ერთობ უცნაური ფენომენის! ამის მიზეზია იმ ახალ გამოწვევათა ტალღა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება და აძლიერებს ჩვენში არარას განცდას. სწორედ არარას „პერსპექტივა" გვაბრუნებს იდუმალების ცნობიერებისაკენ... იგი ჩვენი თანმდევი ხდება, თანაც, აი, ამ ყოველდღიურ გამჭვირვალე რეალობაში, სადაც სულ მუდამ პოლიტიკაა და ინფორმაციულ ვიბრაციათა ოკეანე, სადაც ხალხმრავალი, ხმაურიანი ურბანული ცხოვრებაა — დიახ, სწორედ აქ ხდება ის ჩვენი თანმდევი!

ჩვენ განვიცდით ვირუსულ საფრთხეთა ტოტალურ შემოტევას... ისინი მოიწევენ ყოველი მხრიდან და განუწყვეტლივ ცხრილავენ ტრანსპარენტული სამყაროს „თეთრ ეკრანს". უსასრულოდ მრავალ ნაჩვრეტში ჩვენ განვჭვრეტთ არარას „შემაძრწუნებელ ნათელ ღამეს" (აქ დავესესხები ჰაიდეგერის ტერმინოლოგიას)!

დიახ, პერმანენტულ საფრთხეთა გარემო აღვივებს მის აღქმას. ეს საგრძნობლად ცხადია, როდესაც ვუყურებთ 2001 წლის 11 სექტემბრის კატასტროფის აპოკალიპტურ კადრებს: მათი სიღრმიდან იხედება დიდი „არარა"-ს უფსკრული...

თანამედროვე ცნობიერება, ახლა, როგორც, ალბათ, არასდროს გადის და იმზირება არსებული რეალობის მიღმა — ეს არის ტრანსცენდირება, ეს არის მეტაფიზიკური აქტი, რომელიც უკვე გამსჭვალავს ჩვენს ყოველდღიურ ყოფიერებას, ვცხოვრობთ და ვსუნთქავთ რა ნევროზების, შიდსისა თუ ტერორისტულ აფეთქებათა გარემოში. ვფიქრობ, რომ ის, რაზედაც გველაპარაკებოდა ჰაიდეგერი თავის ლექციაში „რა არის მეტაფიზიკა?", იქცა თანამედროვეობის ცენტრალურ „ფაქტად": კატასტროფების მუდმივ მოლოდინში ჩვენ ძალაუნებურად ვიხედებით მოვლენების, პროცესების, ხდომილებათა და საერთოდ რეალობის საზღვრებს იქით, შევიგრძნობთ არარას და მისი დისტანციიდან, მის ფონზე მივმართავთ უკან მზერას სამყაროსაკენ — ვცდილობთ ამ დისტანციიდან აღვიქვათ და გავიაზროთ ის მთლიანობაში: დავსვათ კითხვები მისი რაობის შესახებ და ვუპასუხოთ. დიახ, მეტაფიზიკა იქცა თანამედროვეობის ცენტრალურ „ფაქტად".

უწინ მსოფლმხედველობა რჩეულთა ხვედრი იყო. დღეს კი ჩვენი რიგითი მოქალაქის ცნობიერება უკვე მსოფლმხედველობრივია, ანუ გლობალიზებული. ვცხოვრობ რა თბილისში, მე ნათლად აღვიქვამ საკუთარი ლოკალური ყოფის განუყოფელ კავშირსა და ჩართულობას

მთლიან-სამყაროსეულ სივრცეში: ჩემი ყოველდღიური ცხოვრების უშუალო თანმდევი კომპონენტებია არა მხოლოდ ოჯახი, სამსახური, ხალხმრავალი ცენტრალური პროსპექტი თუ მეგობრები, არამედ ერაყში არსებული საომარი ვითარებაც, მიწისძვრა ინდოეთში და ა.შ. მსოფლიოს ფენომენი ჩვენი ყოველდღიური ცნობიერების განუყოფელი და ჩვეული ელემენტი გახდა ისევე, როგორც ცოლი, შვილი, სახლი, ავტომობილი... მუდმივმა საფრთხეებმა რაღაც დისტანციიდან შეგვახედა მთლიან-რეალობას და დაგვაფიქრა მის ბედზე. ვგრძნობთ, რომ საკუთარი ლოკალური ყოფის ბედი დღეს პირდაპირაა გადაბმული მსოფლიოს ბედთან. დიახ, ეს არის თანამედროვე ცნობიერების მთავარი ტრანსფორმაცია — ის მსოფლმხედველობრივ ცნობიერებად იქცა.

სწორედ მსოფლმხედველობრივი მიდგომა გვკარნახობს „ზევიდან" დავხედოთ არსებულს და, მათ შორის, საკუთარ თავს — საკუთარ ქვეყანას — რათა, რაც შეიძლება ფართო და მთლიან კონტექსტში განვიხილოთ მისი არსი.

რა არის საქართველოს ადგილი მსოფლიოში? რა პრინციპების და ღირებულებათა მიხედვით შეიძლება მისი განსაზღვრა? როგორ უნდა მოვიპოვოთ და დავიმკვიდროთ ის? დღეს ჩვენ გვჭირდება მსოფლმხედველობა ისე, როგორც არასდროს. იგივე ითქმის სხვებზეც. ეს ჩვენთვის უკვე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რათა გადავრჩეთ და დავმკვიდრდეთ სამყაროში ტოტალურ და მუდმივ საფრთხეთა ფონზე — არარას „პერსპექტივის" ფონზე.

აღარ შეიძლება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმართვა, თუკი არ ვდგავართ რაღაც მსოფლმხედველობრივ ფუნდამენტზე: ჩვენი მიმდინარე საქმიანობა და ნაბიჯები — ხელშეკრულებათა დადება, მოლაპარაკებანი, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანება თუ საომარ მოქმედებათა დაწყება ან სანქციების შემოღება — უნდა ამოდიოდეს „ერთიანი ნიადაგიდან".

„ცივი ომის" ხანაში არსებობდა ძირითადად ორი მსოფლმხედველობის ანტაგონიზმი, რომელთა მატარებლებადაც სუპერსახელმწიფოები — საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები — გვევლინებოდნენ. დანარჩენი ქვეყნები ამ ორ ბლოკში იყვნენ განაწილებულნი ან გაცილებით ნაკლებნი შედარებით ბუნდოვან ე.წ. „ჩინურ გზას" იზიარებდნენ ან სულაც „მიუმხრობელ" პოზიციებზე იდგნენ.

ქვეყნების ცხოვრებაში თითქმის არ ყოფილა მსოფლმხედველობრივი ძიება, თვითშემეცნება და თვითგანსაზღვრა: მსოფლიო დიდ და მარტივ ბლოკებად იყო დაყოფილი.

„ცივი ომის“ დამთავრებას ერთგვარი დეიდეოლოგიზაციის ხანმოკლე პერიოდი მოჰყვა, როდესაც თითქოსდა ავტომატურად ცხადი და უეჭველი შეიქნა მომავალი მსოფლიოს უნივერსალური დემოკრატიის მოდელი ისე, რომ ამას ბევრი ფიქრი და წვალება არავის მხრიდან აღარ სჭირდებოდა. მაგრამ ახალ საფრთხეთა მზარდმა ტალღამ თავდაყირა დააყენა ყველაფერი: ტერაქტების, რეგიონალური კონფლიქტების, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების, ეკოლოგიური კატასტროფების, გლობალურ დაავადებათა და ა.შ. ფონზე დაიმსხვრა ჰომოგენური იდილიის ილუზია.

ჩვენ ხელახლა გვჭირდება ორიენტირება ახალ სამყაროში: ძებნა, გზის გაკვლევა და საკუთარი ადგილის მიგნება. ხელახლა გვჭირდება დიდი აზროვნება და რეფლექსია იმიტომ, რომ აღარაფერი არ არის თავისთავად ცხადი და უეჭველი. ხელახლა გვჭირდება მსოფლმხედველობა და პასუხი კითხვებზე: ვინ ვართ და რა არის ჩვენი ადგილი?

დიახ, დღეს ვიმყოფებით ვირუსების დიდი შემოტევის წინაშე. ისინი გვიტევენ ყოველი მხრიდან საოცარი გამანადგურებელი ძალით, რათა სრული დეზორიენტირება გამოიწვიონ. მაგრამ ეს შემოტევა იმავდროულად გვიბიძგებს ღრმა მუტაციისაკენ — გვიბიძგებს ცნობიერების გაფართოებისაკენ, რეფლექსიისაკენ და ჩვენ ვუბრუნდებით მსოფლმხედველობას!

ჟურნ. „ომეგა“
იანვარი, 2004 წ.

პოსტრევოლუციური განაზრებები

„ვარდების რევოლუციისაგან" დაღლილი და გაბრუებული შობის შემდეგ დედაქალაქს გავეცალე და ერთი კვირით შიო მღვიმის მონასტერში ამოვედი. თავიდან ერთობ გამიჭირდა წამოსვლა — რაღაც თითქოსდა მაკავებდა და შინაგან დისკომფორტს მიქმნიდა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც აღარ შევცვალე. უკვე მერამდენედ ვსტუმრობ აქაურობას და მუდამ მაგნეტურ ზემოქმედებას ახდენს ჩემზე მონასტრის გამოჩენა, როდესაც აღმართზე ავდივარ ფეხით თუ მანქანით: ზევიდან დაგყურებს „ჩაფსკვნილი" და ჩამჯდარი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი გრძელი მარცხენა ნავით და იმავე მხრიდან მართი კუთხით მიდგმული ბაზილიკით, საიდანაც შედიხარ ცნობილ მღვიმეში. აქ წლების განმავლობაში განმარტოებით ცხოვრობდა და ლოცულობდა ასურელი წმინდანი. იგი მე-6-ე საუკუნეში შემოვიდა საქართველოში იოანე ზედაზნელთან და სხვა ასურელ მამებთან ერთად — სულ 13 კაცის შემადგენლობით. ამჟამად მღვიმეში ყოველი დღის სამ საათზე (შაბათ-კვირის გარდა) პარაკლისი ტარდება. უფრო ზევით ტერიტორიაზე ორი მოზრდილი საცხოვრებელი შენობაა განთავსებული და კიდევ ერთი ვეებერთელა მომქმედი ბაზილიკა. მთელი ეს კომპლექსი თითქოსდა ჩაბუდებულია გასაოცარ მკაცრ ლანდშაფტში: უკან მას რკალისებურად აკრავს სალი კლდეების ერთიანი „გალავანი".

შიო მღვიმის განრიგი ანუ ტიპიკონი არცთუ იოლია: დილის ოთხ საათზე ლოცვა, შემდეგ ტრაპეზი, დღის განმავლობაში შრომა, ისევ ტრაპეზი და ბოლოს მწუხრის ლოცვა. ადრე ვიძინებ (დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე), რათა არ გამიჭირდეს ცისკრის ლოცვისთვის დროულად გაღვიძება. პრინციპში აქაურ რიტმს ალღო ავუღე და ვგონებ, თავს უკვე შესანიშნავად ვგრძნობ. ყოველდღე ჩავდივარ ღვთისმშობლის გამოცხადების პაწაწინა ტაძრისკენ, რომელიც მონასტრის ტერიტორიიდან სულ რაღაც ნახევარი კილომეტრითაა დაშორებული. გულმოდგინედ ავდივარ ხოლმე მაღლა მთაზე: აქ ჯვართამაღლების ეკლესიაა, საიდანაც შიო მღვიმის კომპლექსი

ხელისგულზე ჩანს და უშველებელი ლანდშაფტი და სივრცეა გადაშლილი.

თბილისში უკვე ვგრძნობდი სულიერი ძალების გამოცლას: თითქოსდა ვიშლებოდი და ცნობიერება მეფანტებოდა. ფიზიკურადაც რაღაცნაირად მოვწყდი. მონასტერმა კი რამდენიმე დღეში ჩამაყენა მწყობრში, თუმცა თავიდან ეს მტკივნეული პროცესი იყო. ახლა ვაკვირდები საკუთარ თავს და ვხედავ, თუ როგორ ვმთლიანდები; თუ როგორ განიცდის რეინტეგრაციას ჩემი დაფანტული ფსიქიკა. კვლავ ვგრძნობ ძალის, ენერგიის და ნებელობის თანმიმდევრულ მოზღვავებას. აქ, მართლაცდა, უშრეტი წყაროა თვითაღდგინების!

ჩემი ყოველდღიური ლოცვა უმეტესწილად ჩვეულებრივ ხასიათს ატარებს და ე.ი. არ გამოირჩევა განსაკუთრებული ზებუნებრივი შთაგონებით. მაგრამ არის რაღაც მომენტები უცნაური გაელვებების სახით, როდესაც მთელ სულსა და ტანში ჟრუანტელივით დამივლის და გამმსჭვალავს ყოფიერების უჩვეულო განცდა: ჩემში ლოცვა იწყებს მდინარებას ექსისტენციალურ-ონტოლოგიური მედიტაციების ფონზე, რომლებიც სპონტანურად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე წამოიშლებიან ჩემ ცნობიერებაში. მე ვგრძნობ ერთიან **არის-ს**, რომელიც უკიდეგანოა და თანაც მდუმარე. ის არის ხდომილება არარას უფსკრულიდან და ეს ხდომილებაა ისტორია და კოსმოსი. ჩემი ყოფნა აქ და ამჟამად ანუ აი, ამ კონკრეტულ მოცემულ სიტუაციაში — ესეც მისი ხდომილებაა. ყოფიერება, რომლის შუქშიც განფენილია სამყაროს უსასრულობა და ყოფიერება, რომელიც იმავდროულად ცენტრირებულია ჩემ „მე ვარ"-ში, ჩამოსულია ჩემამდე, თითქოსდა შევიწროებულია ჩემში, როგორც ერთგვარ ძაბრში — აი, რა მაოცებს! ყოფიერება ნახტომს აკეთებს კოსმოსის და ისტორიის უსასრულობიდან „აქ და ამჟამად მყოფ მე ვარ"-ში; ასეთივე ნახტომია „სხვა"... და მეც უნდა გადავხტე მასში, რათა შთავიგრძნო იგი, როგორც საკუთრივ „სხვა—მე" თავისი წარსულსა და მომავალში განფენილი სიცოცხლით. მე უბრალოდ მოხვედრილი ვარ ამ უშველებელ ხდომილებაში, რასაც ყოფიერება ჰქვია: რატომ? რისთვის? ამის ახსნა ალოგიკურია, ვინაიდან მიზეზი, საფუძველი ზემოხსენებულს არ გააჩნია! მე ვკითხულობ: სად არის სიტყვა, ლოგოსი ამ მდუმარებაში? სად ხარ შენ ღმერთო? თუ შენ თავად ხარ ეს უკიდეგანო **არის-ი** და თან ხარ სიტყვა მასში ჩამალული, რომელიც ძალმიძს მოვისმინო, თუ კი ამისთვის მზად აღმოვჩნდები?! მე მჭირდება დიდი შრომა, ძალა, მონდომება და რწმენა, რათა მოვისმინო იგი და თავისუფლად წარმოვთქვა: შენ ხარ!

მონასტერში ყოფნა საკმაოდ ნაყოფიერი იყო ფილოსოფიური შემეცნების თვალსაზრისით. აქაურობამ სპონტანურად გააღვიძა და აამოძრავა ჩემ ცნობიერებაში მედიტაციები გარკვეულ თემაზე და აი, ახლა აზრებით ვტრიალებ ჰაიდეგერის ნაშრომის — „შემობრუნების“ — ირგვლივ. ნამდვილად, უცნაური სიღრმე და სიღმისეული ნათება აქვს მას. ძალზედ დიდი აღმოჩნდა მისი ზეგავლენა ჩემზე: პერიოდულად ხელახლა დაკვირვებით ვკითხულობ და ყოველთვის ცინცხალ სიამოვნებას განვიცდი. ეს არის ტექნიკის არსის და მასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფუნდამენტური ცვლილების არაორდინარული ექსპლიკაცია. თანამედროვე ტექნიკა თავად ყოფიერების ბედის განხორციელებაა — გვეუბნება ექსისტენციის ფილოსოფიის ავტორი. ისტორიის „ბედისმომტანი“ ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვაგზავნის ამა თუ იმ ისტორიული მისიის გზაზე. მივყვებით რა ამ „გაგზავნას“, ვეძლევით რა იმ მომხმობ პერსპექტივას, ჩვენ წინაშე იხსნება რაღაც ახალი შესაძლებლობა, მაგრამ შორეთში გველოდება სხვა, ჯერ კიდევ დაფარული და გაუხსნელი მისია. ამიტომაც ყოველივე „ბედისმომტანი“ მიისწრაფვის „განკითხვის ჟამისაკენ“, რომელმაც იგი უნდა გაიყვანოს სხვა პერსპექტივისა და მისიის მიმართულებით, სადაც ის უკვალოდ კი არ წაიშლება, არამედ ტრანსფორმირდება ანუ შემობრუნდება ახალი სახით. თანამედროვე ტექნიკა ყოფიერების ხდომილებაა. ამიტომაც ცვლილება მის არსში თავად ყოფიერებაში მომხდარი ძვრა იქნება. ეს უკანასკნელი, ავტორის თანახმად, არ მოიტანს ტექნიკის უარყოფას, ნგრევას თუ რღვევას, არამედ მისი არსების ძირეულ გარდაქმნას. ტექნიკა, როგორც ყოფიერების ხდომილება და არა უბრალოდ ადამიანის ფანტაზიის თუ ინიციატივის ნაყოფი, არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დავეუფლოთ და გავბატონდეთ მასზე მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ნებელობითი ძალისხმევით. შესაბამისად, შეუძლებელია მისი დაძლევა ცარიელა ადამიანური აქტივობით, არჩევანით თუ გარჯით, ვინაიდან ადამიანი ვერ გახდება ყოფიერების მბრძანებელი — ასე მსჯელობს ჰაიდეგერი.

დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური რეალიები თავის თავში ატარებენ ხიფათს. სად არის იგი? როგორია მისი ადგილმდებარეობა? — სვამს კითხვას გერმანელი ფილოსოფოსი. მისი პასუხი შემდეგია: ხიფათი არის თავად ყოფიერება და ამიტომაც ის ყველგანაა და თანაც არსად. ხიფათი არის ყოფიერების ეპოქა ანუ ჩვენი ეპოქა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური ცივილიზაციის სახით

წარმოგვიდგება. გვსურს აღვნიშნოთ, რომ მართალია, ამ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ ისტორიაში ბევრი რამ შეიცვალა და სახელდობრ, ამჟამად ხომ ვცხოვრობთ ნოვატორული სტრუქტურებით, ტენდენციებით და ღირებულებებით აღბეჭდილ სასიცოცხლო სამყაროში, რომელიც არსებითად განსხვავდება ინდუსტრიული ხანისაგან, მიუხედავად ამისა, ტექნიციზმი მაინც რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მახასიათებლად დღევანდელი ეპოქისთვისაც. შესაბამისად, ჰაიდეგერის საოცარი ფრაზა — „ხიფათი არის ყოფიერების ეპოქა" — თანამედროვეობასაც შეესატყვისება.

ხიფათი მდგომარეობს ნივთის გაუფასურებაში, მის უპატრონოდ ყოფნაში. ნივთი, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური სერიული წარმოების პროდუქტი; როგორც მრავალჯერ გამეორებადი და მოხმარებადი; როგორც დაცლილი ყოველგვარი იდუმალებისა და ყოფიერების ცოცხალი პულსაციისაგან — ჩვენ ვცოცხლობთ ამგვარ ნივთობრივ რეალობაში. უპატრონო ნივთებით გაჯერებულ, გადაჭედილ სივრცეში ვეღარ ვგრძნობთ თავად სამყაროს სიახლოვეს: ჩვენ გვესმის და ვხედავთ იმას, რასაც ვისმენთ რადიოთი და ვუყურებთ ტელევიზორში, სამყარო კი უჩინარდება ჩვენი თვალსაწიერიდან. ხიფათი არის სამყაროს გაუჩინარება ტექნიკით გადატვირთული რეალობის გუგუნში — წერს ჰაიდეგერი. მაგრამ სადაც საფრთხეა, იქ ამოიზრდება ის, რაც გვიხსნის („Wo aber Gefahr ist, Wächst das Rettende auch") — ჰოლდერლინის ეს ფრაზა ზუსტად გამოხატავს ავტორის სათქმელს: როდესაც ხიფათი გამოდის დღის შუქზე და მას სრულფასოვნად ვაცნობიერებთ, მაშინ უეცრად გამოჩნდება შესაძლებლობა დიდი შემობრუნების. გაცხადებული ხიფათი თავად არის ხსნა. თანამედროვე ტექნიკა, ჰაიდეგერის თანახმად, გვავიწყებს ყოფიერებას და ჩვენგან ფარავს სამყაროს სიახლოვეს, მაგრამ იგი გვავიწყებს თავად ამ დავიწყებასაც და დაფარვასაც: მაშასდამე, ჩვენ იმასაც კი ვერ ვგრძნობთ, რომ რაღაც არ გვახსოვს და რაღაცისგან შორს ვართ. მაგრამ ხსნა მდგომარეობს სწორედ ამ დავიწყების გამომჟღავნებაში. ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ რაღაცა თურმე „ამოგვვარდნია მეხსიერებიდან" და აი, მაშინ გამოანათებს დიდი შემობრუნების პერსპექტივა. რას გულისხმობს ეს უკანასკნელი? ცხადია, თვისობრივად განსხვავებულ გაგებას მეცნიერულ-ტექნიკური დამოკიდებულებისა ბუნებასთან და ადამიანთან. კოზლოვსკი წერს, რომ ტექნიკური პროგრესის დაქვემდებარება კულტურის მიზნებისადმი იქცა ერთ-ერთ ძირითად

ამოცანად გასული საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკაში, ფილოსოფიასა და ხელოვნებაში. თუმცა ეს ჯერჯერობით ტრანსფორმაციის ერთგვარი ჩანასახი და პროექტია. თუ კი მოდერნის ეპოქის სციენტისტურ-ტექნიცისტური აზროვნება ტექნიკას განიხილავდა, როგორც საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს ანუ აქ საქმე გვქონდა ე.წ. კულტურის ტექნოლოგიური დეტერმინირებულობის იდეასთან, პოსტმოდერნის ცნობიერება იწყებს ამ აზროვნების ძირეულ გადაფასებას. კოზლოვსკი შეგვახსენებს, რომ კულტურა თავისი ლათინური ფესვის — cultura — მიხედვით, ნიშნავს მოვლას (რაღაცის), ზრუნვას (რაღაცაზე). საწყისობრივად ეს ცნება დაკავშირებულია აგრიკულტურასთან, მიწათმოქმედებასთან. კულტურა არის ზრუნვა რაღაცაზე, რაც მის გარეშეც არსებობს. ტექნიკა კი წარმოადგენს იმის წარმოებას, რასაც ადამიანის გარეშე ადგილი არ აქვს. მოვლის, აღზრდის კულტურამ, ავტორის თანახმად, ხელი უნდა შეუწყოს საგნის სრულ გამოვლინებასა და გახსნას, რომელიც თავისთავად ნამდვილია და გარკვეული სახის თუ ფორმის მქონეა. ამიტომ ტექნიკის საპირისპიროდ კულტურა ორიენტირებულია კონტექსტუალობასა და უნივერსალობაზე. კონტექსტუალობა გულისხმობს საგნის შემეცნებას მის მრავალმხრივ მიმართებებში. ამიტომ მაკულტურებელი დისპოზიცია სინამდვილისადმი, გვეუბნება კოზლოვსკი, კარდინალურად განსხვავდება ტექნიკურისაგან, რადგან იგი, ჯერ-ერთი ყურადღებას ამახვილებს თავისი ქცევის ირიბ (გვერიდთ) ზემოქმედებებსა და საპასუხო რეაქციებზე და მეორეც, რადგან იგი აღიარებს ნივთების საკუთარ უფლებებს ანუ მათ იმანენტურ ტელეოლოგიას. დიახ, ეს დისპოზიცია, საპირისპიროდ ტექნიკურისა, მხედველობაში იღებს არა მხოლოდ სუბიექტის მოთხოვნილებებს, არამედ ობიექტის მიზნებსაც. ყოველივე აქედან გამომდინარე, კოზლოვსკი ავითარებს ე.წ. კულტურული ტექნიკის იდეას, რომლის სრულფასოვანი რეალიზაცია მომავლის საქმეა, თუმცა ავტორის აზრით, მისი წანამძღვრები უკვე პოსტმოდერნის ეპოქამ მოიტანა. მაშასადამე, ტექნიკის თვისობრივად სხვანაირი სახეობა, კერძოდ, რომელიც თავის თავს არ უპირსპირებს ბუნებას ისახება აწყმო მომენტის განვითარებაში — წერს იგი (გვ.10). ეს არის საკუთრივ „კულტურული" ცნობიერებით განპირობებული მეცნიერულ-ტექნიკური მიმართება სამყაროსადმი: ტექნიკური პროგრესი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია ჩემი მოვლითი, ზრუნვითი ინტენციით ბუნებისადმი, სხვე-

ბისადმი და საკუთარი თავისადმი. ზემოთ თქმულის მაგალითად, კოზოლოვსკის მოჰყავს თანამედროვე ტექნიკის უპირატესი ორიენტირებულობა ინფორმაციის გადამუშავებასა და გარემოს მიმართ ირიბ ზემოქმედებათა გათვალისწინებაზე. ინფორმაციული ნედლეული დღეს არანაკლე მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მატერიალური ენერგიის და ნედლეულის. მოხმარება. ძველი ტიპის სამრეწველო შრომას, რომელიც ბუნებრივი რესურსების უმოწყალო ათვისებაზე იყო აგებული, ცვლიან პოსტინდუსტრიული შრომის ახალი ფორმები — აღნიშნავს ავტორი.

აქვე გვსურს გავიხსენოთ ელვინ ტოფლერიც: იგი ხომ აგრეთვე წინასწარმეტყველებს რაღაც დიდ „მუტაციას" თანამედროვე სამყაროში, კერძოდ ე.წ. „მესამე ტალღის" მოსვლის გარდაუვლობას, რომელიც ისევე წალეკავს ინდუსტრიალიზმის ერას (ანუ მეორე ტალღას), როგორც ამ უკანასკნელმა დაასამარა კაცობრიობის ევოლუციის ყველაზე ხანგრძლივი, მონოტონური და საწყისი სტადია თავისი სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წესით. ამერიკელი მოაზროვნის თქმით, მიმდინარეობს ზებრძოლა არსებულ ცივილიზაციასა და მესამე ტალღას შორის, შესაბამისად, ძველისა და ახლის აპოლოგეტებს შორის. ახალი ცივილიზაცია ისახება ჩვენ სიცოცხლეთა მსვლელობაში, რომლის ჩახშობასაც ცდილობენ ისინი, ვისაც არ ძალუძთ დაინახონ ეს ფაქტი. მას მოაქვს ახალი ოჯახური ურთიერთობები; მუშაობის, სიყვარულის და ცხოვრების სხვა წესები; განსხვავებული ეკონომიკა, პოლიტიკა და რაც მთავარია, შეცვლილი ცნობიერება — ასე ფიქრობს ტოფლერი. იგი მიუთითებს, რომ ყოველ ცივილიზაციას აქვს თავისი ფარული კოდი ანუ იმ პრინციპთა სისტემა, რომელიც გამსჭვალავს მისი მოქმედება-ფუნქციონირების ყველა სფეროს. მეორე ტალღის ანუ ინდუსტრიული სტადიის ასეთი ძირეული პრინციპებია: ა) სტანდარტიზაცია; ბ) სპეციალიზაცია; გ) სინქრონიზაცია, დ) კონცენტრაცია, ე) მაქსიმიზაცია, ვ) ცენტრალიზაცია. განმარტებისათვის ვიტყვით, რომ პირველი პრინციპი გულისხმობს მილიონობით ერთნაირი (სტანდარტული) პროდუქტის წარმოებას, იქნება ეს კოკა-კოლას ბოთლი, ასანთის კოლოფი თუ ელექტრონათურა; ფულის და ფასების, ზომის და წონის ერთეულების, განათლების პროგრამების და სისტემის, შრომის ორგანიზაციის, ანგარიშის, წარმოების პროცესის, ადმინისტრირების სტანდარტიზაციას და ა. შ. დ) პრინციპი ნათლად არის გამოხატული იმ ვითარებაში, რომ ინდუსტრიული საზოგადოებები თავიდან

ბოლომდე დამოკიდებულნი არიან მაღალი ხარისხის კონცენტრირებულ ენერგორესურსებზე. ამას გარდა ადგილი აქვს მოსახლეობის მასშტაბურ თავმოყრას ურბანიზებულ ცენტრებში -და ა. შ. რაც შეეხება მაქსიმიზაციას, შეიძლება მიუვუთითოთ, რომ მეორე ტალღას სჭირს „მაკროფილიის" აკვიატებული ავადმყოფობა: ავტორის სიტყვებით, ქალაქები და ხალხები ჩვეულებრივ ამაყობდნენ ყველაზე მაღალი ცათამბჯენებით თუ გიგანტური კაშხალებით.

საპირისპიროდ ზემოთ აღნიშნულისა ტოფლერი გველაპარაკება „მესამე ტალღის" რადიკალურად ახალ არსებით ტენდენციებზე. რაში გამოიხატება ეს უკანასკნელნი? მაგალითად, მისი აზრით, იცვლება თავად წარმოების ხასიათი, ვინაიდან წინა პლანზე ანუ ავანგარდში თანმიმდევრულად გამოდიან არამასობრივი ტიპის წარმოებანი. ეს ტრადიციული მოგუგუნე ქარხნები თუ ფაბრიკები როდია, სადაც ათასობით მუშა-მოსამსახურე ერთად ფუსფუსებს და უთვალავი ოდენობის პროდუქციას უშვებს: ასხამენ ტონობით ფოლადს, აწყობენ ასეულობით ავტომობილებს, კერავენ მილიონობით ტანისამოსს და ა.შ. არა, ამ ტიპის წარმოება დაკავშირებულია უკიდურესად მაღალტექნოლოგიურ უზრუნველყოფასთან და შესაბამისად, მისი პროდუქტიც არ არის მასიურად სერიული. ამიტომ აქ სოციოფსიქოლოგიური სიტუაციაც გამოკვეთილად სხვა ხასიათს ატარებს. მოდის ეპოქა, ტოფლერის მიხედვით, რომელშიც დომინანტურ ადგილს არამასობრივი წარმოება (ანუ წარმოება დაკვეთის მიხედვით) დაიკავებს. ამ ტიპის პროცესში ორგანულად ჩართული აღმოჩნდება თავად დამკვეთი ანუ მომხმარებელი, რის გამოც იგი აღარ იქნება გაუცხოებული წარმოებისა და მწარმოებლისაგან. გაუცხოება ხომ სწორედ ინდუსტრიული ერას მთავარ პრობლემად წარმოგვიდგება, მაშინ, როდესაც „მესამე ტალღა" ჩამოაყალიბებს „თავისთვის მწარმოებლის" ინოვაციურ ფენომენს.

თვისობრივად ახალი რეალიები ჩნდება და მოწინავე ადგილს იკავებს ტექნოსფეროში. უახლესი ტექნოლოგიები, იქნება ეს კოსმოსურ წარმოებასთან, გენურ ინდუსტრიასთან, ენერგორესურსების ალტენატიულ წყაროებთან თუ კომპიუტერიზაციასთან დაკავშირებული, არსებითად განსხვავდებიან ტრადიციული ,,მეორე ტალღის" ტექნოლოგიებისაგან. ეს უკანასკნელნი მოწოდებულნი იყვნენ ამოწურვადი ენერგეტიკული რესურსების (გაზის, ნავთობის) მასიური დაუნდობელი მოპოვებისკენ ; უნიფიცირებული, სტანდარტული პროდუქციის წარმოებისკენ, თანაც გარემოზე მავნე

ზემოქმედებათა გათვალისწინების გარეშე. უახლესი ტექნოლოგიები კი, ტოფლერის აზრით, ნაბიჯია ძალზედ დახვეწილი, ინდივიდუალიზირებული, ეკონომიური შრომის იარაღებისაკენ. კომპიუტერი ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. დიახ, ეს უკანასკნელი ისეთივე ახალი ორგანული ირაღია „მესამე ტალღისა", როგორც დენის გენერატორი თუ წყალსაქაჩი ტურბინა ინდუსტ-ეპოქის. მოკლედ, ახალი ისტორიული ეტაპის მთავარი სიმპტომია ინდუვიდუალიზაციის, დემასიფიკაციის, სპეციფიკაციის ტენდენციები, რომლებიც ვლინდებიან მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში, ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურაში. დიახ, პოსტ-ინდუსტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ცვლილებები და ინოვაციები მოასწავებენ სრულიად სხვა ერას მოსვლას — ასეთია ამერიკელი ფუტუროლოგის თვალსაზრისით. იგი ამბობს: ახალი ცივილიზაციის დაბადება არის ჩვენი დროის ერთადერთი და უდიდესი ფეთქებადი ძალის მქონე ფაქტი. ესაა ცენტრალური ხდომილება ანუ დროის გაგების გასაღები!

ძალზედ საინტერესოა აგრეთვე ფრენსის ფუკუიამას მოსაზრებებიც ამ პრობლემატიკის ირგვლივ. ის სვამს კითხვას: შესაძლებელია თუ არა კაცობრიობამ მთლიანობაში უარყოს ან დაკარგოს მეცნიერული მეთოდი და ამ გზით ისტორიული მიზანმიმართულობა შეაბრუნოს? ანუ არსებობს თუ არა ე.წ. ტექნოლოგიური ცივილიზაციის რადიკალური დაძლევის პერსპექტივა? უპირველეს ყოვლისა, იგი მიუთითებს, რომ ყველა ანტიტექნოლოგიური მოძღვრება საერთო სათავეს იღებს ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიური ნააზრევიდან, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ისტორიული „პროგრესის" სიკეთე. ფრანგი მოზაროვნის თანახმად თანამედროვე ტექნოლოგიისაგან და მის მიერ შექმნილი სურვილების უსასრულო ციკლის მარწუხებიდან თავის დაღწევაშია სწორედ ადამიანის გაბედნიერების ერთადერთი გზა. ეს არის დაბრუნება ბუნებრივი ადამიანისკენ. ფუკუიამა აღნიშნავს, რომ რუსოს თავდასხმამ ცივილიზებულ ადამიანზე საფუძვლიანი ეჭვები დაბადა ბუნების შემდგომი დაპყრობის პერსპექტივებთან დაკავშირებით და რომ მის მიერ „ეკონომიკური ადამიანის" კრიტიკა დღემდე რჩება ინტელექტუალურ ბაზისად როგორც უსასრულო ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგეთათვის, ასევე თანამედროვე გარემოს დამცველთა უმრაველესობისათვის. მაგრამ თავად იგი სრულიად არარეალურად მიიჩნევს იმის შესაძლებლობას, რომ არსებულმა თანამედროვე

საზოგადოებებმა ოდესმე უარი თქვან ტექნოლოგიურ მიღწევებზე, მათ მიერ განპირობებულ ეკონომიკურ ზრდაზე და შესაბამის რაციონალურ სოციალურ ორგანიზაციაზე. მართლაცდა, წარმოუდგენელია, რომ ევროპაში, ამერიკაში თუ იაპონიაში (და იგივე ითქმის განვითარებად თუ დაბალგანვითარებულ ქვეყნებზეც) ადამიანებმა მასიურად უკუაგდონ ცხოვრების ჩვეული წესი: ვთქვათ, დატოვონ სამსახური, ქონება, ბინა და დასახლდნენ ბუნების წიაღში — ტბასთან, ტყეში თუ მთაში. ძალზე საეჭვოა, რომ ისინი მსგავს ბედნიერებას დასჯერდებიან, თუ კი მათ იციან გემო ტექნოლოგიური საზოგადოების სამომხმარებლო სიკეთეებისა — წერს ფუკუიამა. მისი აზრით, ასევე არარეალისტურია ტექნოლოგიაზე შერჩევით უარის თქმის ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური განვითარების რაღაც დონეზე დაკონსერვების მცდელობას ან კიდევ ტექნოლოგიური განახლების პროცესის მხოლოდ მკაცრი სელექციით და კონტროლით წარმართვას. ამ ალტერნატივასთან დაკავშირებით იგი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „გაუგებარია რატომ უნდა მოეჩვენოს კაცს ტექნოლოგიების თვითნებური შერჩევის პირობებში ცხოვრება განსაკუთრებულად მომხიბვლელად, როცა ვერც დინამიური და მზარდი ეკონომიკის ბრწყინვალე პერსპექტივას ხედავს და რეალურად ვერც „დედაბუნებას“ უბრუნდება“ (გვ. 97).

როგორც ვხედავთ ,,შემობრუნება"-ზე რეფლექსიამ თვითდინებით წაგვიყვანა უფრო თანამედროვე ფილოსოფიური შეხედულებების გახსენებისაკენ. დიახ, ის მოსალოდნელი ხდომილება, რომელზედაც ჰაიდეგერი გველაპარაკება, ალბათ, გულისხმობს თავის თავში კოზლოვსკის და ტოფლერის მიერ უაღრესად ობიექტურად გამოკვეთილ ახალ ტენდეციებს, მაგრამ განა ამით ამოიწურება? ვფიქრობ, რომ არა! შემობრუნების ფენომენი, ექსისტენციის ფილოსოფიის ავტორის გააზრებაში, როგორც ჩანს, გაცილებით მეტს ნიშნავს თავისი შინაარსის და მნიშვნელობის მიხედვით, ვიდრე თუნდაც გრანდიოზული ინოვაციები უფრო ინტელექტუალური, ეკოლოგიურად რელევანტური, ან კიდევ ინდუვიდუალიზებული თუ ეკონომიური ტექნოლოგიების განვითარებისკენ. შემობრუნების გაგების გასაღები მხოლოდ ამ და ამდაგვარ ტენდეციებში არ უნდა ვეძებოთ, თუმცა, შესაძლებელია, ისინი მის მნიშვნელოვან და აუცილებელ მომენტებს შეადგენენ. ჰაიდეგერი, სამწუხაროდ, აღარ აკონკრეტებს თუ რაში და როგორ ხედავს ამ ფენომენის არსს და ეს საკითხი ერთგვარი იდუმალების ბინდ-ბუნდში რჩება.

დღეს ყველას კარგად ესმის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჰიპერ-აქტიური და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენ ცხოვრებაში. ეს ჭეშმარიტება ტრივიალურ ხასიათს ატარებს და იგი ერთნაირად ცხადია მეცნიერისთვისაც, გლეხისთვისაც და პოეტისთვისაც. მაგრამ სწორედ აღნიშნული ტრივიალურობა ხშირად არ გვაძლევს საშუალებას, მართლაცდა, სიღრმისეულად და სისავსით გავაცნობიეროთ ამ ფენომენის ზემოქმედების მასშტაბები და უნიკალურობა. იგი უაღრესად მძაფრად არის გამოხატული მას-მედიის როლში და ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა სწორედ აქეთკენ წარგვემართა ჩვენი შემეცნებითი მზერა!

რას ნიშნავს მას-მედია დღეს ჩვენთვის?! რაოდენ განსაკუთრებულია, არაორდინალურია მისი ფუნქცია ჩვენი სასიცოცხლო სამყაროსათვის?! — ამას ნათლად გვიჩვენებს თუნდაც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება. დიახ, ჩვენ მომსწრენი ვართ უცნაური ხდომილების: კერძოდ, თუ როგორ აწარმოებს მასმედია ირგვლივ თავისი რეალობის, ე.წ. ვირტუალური რეალობის კონსტიტუირებას, რომელიც გაცილებით უფრო აქტუალური, ახლობელი და მნიშვნელოვანი ხდება ჩემთვის, შენთვის და ა.შ., ვიდრე ე.წ. ნამდვილი რეალობა. უფრო სწორედ კი მეტად ძნელია უკვე ზღვარი გაავლო ვირტუალურსა და ნამდვილს შორის: ეს უაღრესად პირობითი, ამორფული და რელატიურია. ფაქტია, რომ ამჟამად ვცხოვრობთ იმ კვაზი-სამყაროში, აღვიქვამთ მას და განსაზღვრული ვართ მისით, რომელიც შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიური ცივილიზაციის ამ ავანგარდული ინსტრუმენტით. თანამედროვე ტექნიკის სახიფათო ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე? ეს უკვე არ არის რიტორიკული, ბრტყელ-ბრტყელი ფილოსოფიური ფრაზა! ამას ჩვენ მთელი სიმძაფრით აღვიქვამთ, როდესაც ყოველდღიურად განვიცდით ე.წ. „ცნობიერების მასირებულ საინფორმაციო დაბომბვას". პრესით, ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით, სატელიტური საკომუნიკაციო სისტემებით მოედინება უწყვეტი ნაკადი „ნიუსების": ჩვენ ფსიქიკაზე მიმდინარეობს შეუნელებელი თავდასხმა, ისე, რომ მცირეოდენი პაუზის, სულის მოთქმის საშუალებაც აღარ გვაქვს. ამ პერმანენტული შტურმისაგან იგი პათოლოგიურ გადაგვარებას განიცდის და როგორც ნარკოტიკს ისე ეჩვევა და ეტანება ინფორმაციულ „მედიკამენტს". აი, როგორია ჩვეული სიტუაცია დღეს თბილისის მრავალ ოჯახში: გვეჩქარება, რომ შევხედოთ „ახალ ამბებს", ამიტომ სასწრაფოდ ვრთავთ ტელევიზორს ერთ-ერთ არხზე;

შემდეგ პრინციპში იგივე ინფორმაციებს, ოღონდ განსხვავებული შეფერილობებით, აქცენტებით, ინტერპრეტაციებით ვიღებთ ორ-სამ სხვა არხზე ყოველი ნახევარი თუ ერთი საათის ინტერვალით. დღის ინფორმაციებს მოჰყვება საღამოს ინფორმაციები, ღამის ინფორმაციები და ასე განუწყვეტლივ. ჩვენი მოქმედება ხშირად სრულ ავტომატიზმამდეა დასული. ვჯდებით ავტომანქანაში და იქაც რადიოს ვრთავთ, რათა მოვუსმინოთ ნაცნობ თუ ჯერაც უცნობ „ახალ ამბებს". ამ თავდასხმისაგან ფსიქიკა საოცარ ზომბირებას განიცდის: ჩვენ ნამდვილად ტოტალურად დაავადებულნი ვართ ე.წ. საინფორმაციო ნევროზით, რომელიც თანამედროვე ეპოქის საშინელი ეპიდემიური ავადმყოფობაა.

დიახ, ტექნიკის განვითარებამ და მისმა უმნიშვნელოვანესმა წარმონაქმნა — ინფორმაციის გავრცელებამ — უკიდურესად გააღრმავა პიროვნების დეზინტეგრაციის პროცესი: „საინფორმაციო ნევროზის" შედეგად ჩამოყალიბდა არა უბრალოდ გაორებული ან დანაწევრებული, არამედ ნამდვილად **მოზაიკური** ფსიქიკა.

2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. მისი შედეგებით უკმაყოფილო პოლიტიკური ძალები, მათი მხარდამჭერების და მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილის თანადგომით იწყებენ ფართო საპროტესტო აქციებს: მიტინგებს, დემონსტრაციებს. მწიფდება პოლიტიკური მღელვარების სერიოზული ტალღა, რომელიც შემდგომ ე.წ. „ვარდების რევოლუციაში" გადაიზარდა. სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში შეკრებილნი არიან: მინისტრები, სახელისუფლებო ბლოკის წევრები, სხვა ოფიციალური პირები და მათ შორის მე. ყველა მიჩერებულია ტელევიზორს, სადაც მიდის პირდაპირი რეპორტაჟი მერიის შენობის წინ გამართული ხალხმრავალი მიტინგისა. ცხადია, ოთახში არ სუფევს მშვიდი ვითარება, პირიქით ერთობ დამუხტული და ხმაურიანი ატმოსფეროა: ვიღაცის აღგზნებული რეპლიკა, ვიღაცის დინჯი მსჯელობა, შემოსვლები-გასვლები, გვერდზე გაყვანა და ჩურჩული, შეყვირება, გინება, ნერვიული სიცილი... მაგრამ აღნიშნული სიტუაცია მაინც ცენტრირებულია ერთი რამის — ტელევიზორის — ირგვლივ. ასე გრძელდებოდა გვიანობამდე, შემდეგ მეორე დღესაც, შეიძლება (თუ კარგად გახსოვს) მესამე დღესაც: ყოველ შემთხვევაში ძალიან ხშირად... ეს წარსული ფაქტი კარგად, თუმცა გროტესკულად გამოხატავს საქართველოს სინამდვილეში დღევანდელი ცნობიერების არსებით თავისებურებას: ჩვენ უპირატესად აღვიქვამთ იმ პოლი-

ტიკურ რეალობას, რომელიც მას-მედიის მიერ არის კონსტრუირებული; ვრეაგირებთ მასზე, გვჯერა ან ნაკლებად გვჯერა მისი; ჩართული ვართ მასში, როგორც დინამიურ პროცესში; რაღაცას ველით და რაღაცას არა... მაშასადამე, მას-მედიის მიერ წარმოებული ვირტუალური რეალობა ჩვენთვის უკვე ფაქტების ანუ ნამდვილი მოვლენების ასახვა თუ გაშუქება კი აღარ არის; იგი მათი აღქმის რაღაც დამხმარე საშუალებად (ანუ საკუთრივ მედია-დ) კი აღარ გვევლინება, არამედ პირიქით, სწორედ, რომ პირველ პლანზე მყოფ, თვითკმარ და აქტუალურ რეალობად, რომლის დამხმარე საშუალებას, დანამატს და ატრიბუტს წარმოადგენს ცოცხალი სინამდვილე. აი, ასეა ამოყირავებული ყველაფერი თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში.

მას-მედიის ასეთ ჰიპერტროფიულ მნიშვნელობაზე აგრეთვე მეტყველებს მისი დიდწილად განმსაზღვრელი, ე.ი. მადერტერმინირებელი როლი სოციო-პოლიტიკურ პროცესებისადმი. დიახ, შეიძლება ითქვას, რომ „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი მთავარი ავტორი აღმოჩნდა ტელეკომპანია რუსთავი-2. ეს უკანასკნელი რომ არ ყოფილიყო, რევოლუციის ბედი არათუ საეჭვო გახდებოდა, არამედ იგი საერთოდ ვერც განხორციელდებოდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ვითარება ცხადზე უცხადესია არა მხოლოდ საქმეში ჩახედული ექსპერტებისათვის, არამედ ნებისმიერი რიგითი მოქალაქისათვისაც ჩვენ ქვეყანაში.

და ბოლოს საჭიროა ხაზი გავუსვათ ერთ ყურადსაღებ მომენტს: დღევანდელი პოლიტიკოსის ფსიქიკა, რომელიც მოქცეულია მასმედიის სარკისებურ, ტრანსპარენტულ ველში და მუდმივად მხედველობაში ჰყავს იგი თავის დისკურსში, ქმედებასა თუ განზრახვებში, უწყვეტად განიცდის რა მის ზემოქმედებას, აღბეჭდილია და უფრო ზუსტად, დაავადებულია ნარცისიზმის მძლავრი და მზარდი კომპლექსით. შეხედეთ ამ ქართველი პოლიტიკური ლიდერის სატელევიზიო გამოსვლას: იგი გველაპარაკება ცენტრსა და რეგიონს შორის უკიდურესად გამწვავებულ ვითარებაზე. მაგრამ გველაპარაკება კი იგი ნამდვილად ჩვენ ანუ ცოცხალ საზოგადოებას? საითკენ არის უპირატესად მიმართული მისი ცნობიერება, რომელიც მოქმედებს და გამოხატულია ამ მეტყველებაში, მზერაში, ჟესტიკულაციებსა თუ მიმიკაში? ჩვეულებრივ, გვგონია, რომ თითქოსდა ტელევიზია მოცემულ შემთხვევაში ასრულებს მხოლოდ ერთგვარი სარკმელის ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც

ორატორის ცნობიერების სხივი გარე სამყაროში იჭრება, რათა რეალურ აუდიტორიას მისწვდეს. მაგრამ ფაქტობრივად, სიტუაცია სულ სხვაგვარადაა კონსტრუირებული: ეს ადამიანი ჩვენ კი არ გვიყურებს, არამედ იყურება ტელე-მედიის მიერ შექმნილ თვითკმარ, სარკისებურ სივრცეში: მისი ცნობიერება მიიმართება რა მასში, ირეკლება და უკან ბრუნდება. იგი რეფლექტურად ბრუნავს და ცირკულირებს ამ მოჯადოებულ, დახშულ ველში და გარეთ ვერ გადის. რეალური კონტაქტი საზოგადოებასთან გამქრალია: ტელეკამერის წინ მყოფი Homo politicus-ი ვერ ჰგულობს თავის ჭეშმარიტ ადრესატს ანუ ცოცხალ ადამიანს, ვისაც მან უნდა მიმართოს, რაღაც შეატყობინოს და ვინც რაღაცაში უნდა დაარწმუნოს. იგი მოქცეულია მას-მედიის შეკრულ, აბსტრაქტულ მიკროსამყაროში, აღიქვამს მას და შესაბამისად, საკუთარი თავის ანარეკლს. დიახ, ჩვენი პოლიტიკა აღმოჩნდა მედიური ნარცისიზმის ტყვეობაში. გვსურს ამისაგან განთავისუფლება? დროა პოლიტიკურმა ცნობიერებამ იზრუნოს მისთვის საკუთრივი და გენერალური ინტენციის აღდგენაზე: ესაა მიმართულება **სხვაზე** — პერსონაზე, საზოგადოებაზე, ერზე, კაცობრიობაზე... დიახ, საჭიროა მან კარდინალურად შეცვალოს ჩვეული „პოზიცია“: მოტრიალდეს სარკისაგან და გაიხედოს **სხვისკენ**, რომელიც მისი „Ego“-ს საზღვრებს იქით ძევს. იგი უნდა გამოვიდეს მედიის მიერ ინდუცირებული ჯადოსნური, ირეალური ველიდან, შეხედოს ცოცხალ რეალობას, როგორც ის არის თავისთვის და თავისთავად და ამ გზით ხელახლა მოიპოვოს საკუთარი საწყისობრივი დანიშნულება: სხვისთვის — ყოფიერება ანუ რაღაცისთვის **თვით-მიძღვნა,** ვინაიდან სწორედ **სხვა** თავისი უფლებებით, პრეტენზიებით და მოთხოვნილებებით უპირატესი ღირებულებაა ამ დანიშნულების მქონე ცნობიერებისათვის. მას-მედიას კი იგი უნდა აღიქვამდეს ჭეშმარიტად მხოლოდ, როგორც მედიას და არა, როგორც თვითმიზნურ, თვითკმარ რეალობას. ის უნდა იყოს საშუალება სხვასთან კონტაქტის, სხვაზე გასვლის და მისი შეუბრალებელი რეაქციის მიღების.

ეს ფილოსოფიური განაზრებები, რომლებიც შიო მღვიმის მონასტერში ყოფნის ჟამს „ამეკვიატა“, კიდევ უფრო მიძლიერებენ ინტუიციას, რწმენას იმის თაობაზე, რომ **შემობრუნება** (რაზედაც ჰაიდეგერი გველაპარაკებოდა) გარდაუვალია. როდის მოხდება იგი, როგორ და რა სახით — ამაზე პასუხი ნამდვილად არ მომეპოვება. მეტიც, ჩემი მხრიდან ასეთი კონკრეტული წინასწარმეტყველებების

მცდელობა არასერიოზულადაც კი მეჩვენება. ვფიქრობ, რომ საერთოდ დღევანდელი ცნობიერება ვერც გააკეთებს ნათელ და დასახსრულ პროგნოზს, თუ როგორი პროცესებით აღმოჩნდება აღბეჭდილი ეს დიდი შემობრუნება ჩვენ ტექნოლოგიურ საზოგადოებაში; თუ რანაირ სტრუქტურულ ცვლილებებს და რა ახალ რეალობებს მოიტანს იგი. მაგრამ ზოგადად ერთი რამ ჩემთვის უეჭველია: ტრანსფორმაცია უთუოდ მოხდება ჩვენი სასიცოცხლო სამყაროს სტრუქტურაში, რომელიც დღეს სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური დეტერმინირებულობით ხასიათდება და ეს შესაბამის გამოხატულებას ჰპოვებს, როგორც პიროვნებისა და სოციუმის ფსიქიკაში, ასევე გარემომცველ ნივთობრივ რეალობაში. ალბათ, მეცნიერულ-ტექნიკური „ფეტიშის" დესტრუქცია მოგვევლინება, როგორც ცნობიერების მორიგი განთავისუფლება მაგიური ხიბლისაგან; როგორც მორიგი ჯადოს ახსნა სასიცოცხლო სამყაროსგან, რაც არაერთხელ კიდევაც განხორციელებულა ისტორიაში სხვადასხვა ეტაპებზე და სხვადასხვა ფორმით. დიახ, ჩვენ ვხედავთ ე.წ. ემანსიპაციის სხვადასხვა „ტალღებს": გარკვეულ ეპოქაში ცნობიერება სძლევდა ხოლმე რომელიღაც „იდოლას" მომნუსხველ ზემოქმედებას და ეს ახალი ინტენციების და ენერგიების გამონთავისუფლების საწინდარი იყო.

და მაინც რას შეიძლება ნიშნავდეს არსებითად და ზოგადად ტრანსფორმაცია, რომელზედაც აქ ვლაპარაკობდით? ცხადია, რომ იგი არ იქნება თანამედროვე საზოგადოებების მიერ ტექნოლოგიური მიღწევების უკუგდება თუ დაკონსერვება. ასეთ პრიმიტიულ მსჯელობებს ნამდვილად ვერ დავუშვებთ, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები ფუკუიამას. სისულელეა ვიფიქროთ, რომ ადამიანები უარს იტყვიან კომფორტული ავტომობილებით თუ თვითმფრინავებით სარგებლობაზე; ან კიდევ წაშლიან და დაანგრევენ ფაბრიკა-ქარხნებს; მიატოვებენ დიდ ქალაქებს და სოფლებში გადასახლდებიან; სანაგვეზე გადაყრიან კომპიუტერებს და ტელევიზორებს... ან თუნდაც აკრძალავენ თუ შეზღუდავენ ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ გამოგონებებს... განა შეიძლება ასე გავიგოთ ტრანსფორმაციის არსი? ბუნებრივია, ჰაიდეგერიც ამ ფენომენში სულ სხვა სერიოზულობის შინაარსს განჭვრეტდა! ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ, რომ იგი ალბათ გულისხმობს იმ ახალი ტიპის ტექნოლოგიების პრიმატსაც, რომლებიც „მესამე ტალღის" თუ პოსტმოდერნის პირმშონი არიან, მაგრამ მხოლოდ ეს არ შეადგენს მის საზრისს. ეს არაა მთავარი ამ ფენომენში! რატომ ვფიქრობთ ასე?

ვინაიდან აშკარად ვხედავთ, რომ ჰაიდეგერის მიერ აღწერილი შემობრუნება, რომელსაც აქ და ამჟამად ინტენსიურად განვიცდი და ვიაზრებ, რაღაც **მეტს** მაუწყებს. ეს „რაღაც მეტი" თითქოსდა ჩამარხულია ამ ფენომენში და ჩვენ უნდა ვეცადოთ მის ამოკითხვას თუნდაც ძნელად და თანდათანობით. იგი შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდეს დიდ ძვრას, რომელიც მოხდება ჩვენი ცნობიერების ინტენციონალურ დამოკიდებულებაში ნივთობრივი რეალობისადმი. დღეს მე მიჯაჭვული ვარ ტელევიზორს. იგი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრალური საგანია. ხვალ ცნობიერება განთავისუფლდება ამ მიჯაჭვულობისაგან და მისი ინტენცია სხვა ცენტრზე გადაინაცვლებს, რაც გარდაუვალია. ნივთები, რა თქმა უნდა, დარჩებიან თავის ადგილზე — ტელეფონი კვლავაც დარეკავს, ავტომობილი ისევ ჩვენ განკარგულებაში იქნება — მაგრამ ისინი დაკარგავენ მასულდგმულებელ მნიშვნელობას. ეს ფუნდამენტური ცვლილება თავის ასახვას ჰპოვებს მიკრო და მაკრო დონეებზე: ყოველდღიურ ყოფაში, კულტურაში, პოლიტიკაში... ცნობიერების წინაშე დადგინდება ახალი საყრდენი წერტილები ანუ ცენტრები და შესაბამისად, მათზე დამყარებული ტრანსფორმირებული სტრუქტურა სასიცოცხლო სამყაროსი.

ვიცი, რომ ჯერ-ჯერობით ეს მსჯელობები უაღრესად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მათში ფეთქავს ძალზედ კონკრეტული, რეალური განცდა. მონასტერში ყოფნამ და უცნაურმა გარემომ ალბათ თავისებურად ხელი შეუწყო და პროვოცირება გაუკეთა მის გაღვივებას. დიახ, აქ უფრო კანით შეიგრძნობ და გაითავისებ იმ შემობრუნების გარდაუვალობას, რომელზედაც მიგვანიშნებდა ყოფიერების ფილოსოფოსი და რომლის მოლოდინშიც ვართ მე, შენ... შეიძლება ყველა!

ჟურნალი „ეპოქა"
№4, 2004

1. Хайдеггер „Поворот"(„Новая технократическая волна на Западе". Мосва. Прогресс. 1986).
2. ფრენსის ფუკუიამა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი". თბილისი. 1999.
3. Петер Козловски „Культура постмодерна". Москва, издательство „Республика". 1997.
4. Элвин Тоффлер „Третья волна". Москва. АСТ. 1999.

პირველსაწყისის შემოტევა

„ახალი და ძველი ღმერთები უკვე
აღელვებენ მომავლის ოკეანეს“
მ. ფუკო, „სიტყვები და საგნები“

ჩვენ ვილაპარაკებთ თანამედროვე კატაკლიზმების ფენომენოლოგიაზე. ვფიქრობთ, რომ ეს უაღრესად საინტერესო და აქტუალური სფეროა ფილოსოფიური კვლევების. საქმე ეხება იმ გლობალურად შექმნილი სპეციფიკური სიტუაციის ანალიზს, რომელიც გარკვეულწილად საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი დღევანდელი ყოფიერებისათვის. ტერორიზმი, სტიქიური კატასტროფები, პანეპიდემიები — აი, უახლესი ეპოქის დიდი ისტორიული ხდომილება და ამჟამად გვაინტერესებს, თუ როგორ კონსტიტუირდება იგი, ანუ გვაინტერესებს, თუ ობიექტურად როგორ განიცდის და რა საზრისს დებს ამ ხდომილებაში თანამედროვე ცნობიერება. მაშასადამე, მოცემულ კვლევებს არც აპოკალიპტურ-მეტაფიზიკური და არც ფსიქოლოგიური ხასიათი არ აქვთ, ვინაიდან ისინი არ სცილდებიან ფენომენოლოგიური მეთოდით ნაკარნახევ საზღვრებს. სწორედ ამ მეთოდით გაწვრთნილი სუფთა მზერით უნდა განვიხილოთ ფენომენი, რომელიც ამჟამად საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. მაგრამ რამდენად მართებულია ასეთი საუბარი? რამდენად, მართლაცდა, გამოკვეთილია წინა პლანზე ეს ფენომენი?

ჩემს კომპიუტერში რეგულარულად ვინახავ ხოლმე ინფორმაციებს მსოფლიოს მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ამასწინ გადავწყვიტე ერთიანად გადამეთვალიერებინა ეს საკმაოდ გრძელი სია და ჩემთვის ერთბაშად თვალშისაცემი შეიქნა შემდეგი რამ: ამ ჭრელ მოზაიკაში იკვეთებოდა ერთი მთავარი ფიგურა, ხოლო დანარჩენი უფრო მეტად ფონს შეადგენდა. სახელდობრ, ეს იყო ფიგურა, რომელსაც შემოხაზავდნენ ინფორმაციები ტერორიზმის, სტიქიური უბედურებებისა და პანეპიდემიების შესახებ. მსურს რა ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ, კიდევ ერთხელ თქვენთან ერთად მიმოვიხილავ მათ მცირედ ნაწილს: 2001 წლის 11 სექტემბერი — იგი,

ალბათ, მალე შეფასდება, როგორც ახალი ათვლის წერტილი ისტორიის მსვლელობაში.

— 2002 წლის აპრილი: ცნობილ კურორტზე ინდონეზიაში, კერძოდ კუნძულ ბალიზე მოხდა საშინელი აფეთქება, რომელმაც იმსხვერპლა 187 ადამიანი.

— 2004 წლის მარტში ათი აფეთქება განხორციელდა მატარებლებზე მადრიდში, რის შედეგადაც დაიღუპა 190 ადამიანი, დაშავდა ათასორასი.

— 2004 წლის ივნისში ჩრდილოეთკავკასიელმა ბოევიკებმა ფართომასშტაბიანი თავდასხმა მოაწყვეს ინგუშეთზე.

— 2004 წლის ივლისი: ოცდასამი ადამიანი დაიღუპა ფილიპინებზე ტაიფუნის შედეგად.

— წყალდიდობები სამხრეთ აზიაში (ინდოეთი, ნეპალი, ბანგლადეში): დაზარალდნენ მილიონები, დაიღუპა ასორმოცდაათი ადამიანი.

— მძლავრმა აფეთქებამ ერაყის ქალაქ ბააკუბაში იმსხვერპლა სამოცდარვა ადამიანი.

— 2004 წლის აგვისტო: ერაყში ტერორისტებმა სიკვდილით დასაჯეს კიდევ ორი თურქი მძევალი.

— ქალაქ ბესლანში ბოევიკებმა ასობით მძევალი აიყვანეს ერთ-ერთი საშუალო სკოლის შენობაში.

— ჯაკარტაში ავსტრალიის საელჩოსთან აფეთქდა დანალმული ავტომანქანა: დაიღუპა ცხრა, დაშავდა ასოთხმოცდაცხრა.

— აღმოსავლეთ ჩინეთში ტაიფუნ „რანანის" მსხვერპლი გახდა ასთხუთმეტი მოქალაქე.

— გრიგალი „ივანე" თავს დაატყდა ამერიკის შეერთებული შტატების შტატ ალაბამას. კარიბის აუზში უკვე დაიღუპა სამოცი ადამიანი, ფლორიდასა და ლუიზიანაში — თორმეტი. ორ მილიონ მოსახლეზე მეტი ევაკუირებულია.

— გრიგალი ჰაიტიზე: მსხვერპლის რაოდენობამ ორიათასს მიაღწია.

— 2004 წლის ოქტომბერი: ეგვიპტეში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ ოცდაექვსს მიაღწია.

— პაკისტანის ცენტრალურ რეგიონში, ქალაქ მულტანში მოხდა ღამით მძლავრი აფეთქება, რის შედეგადაც დაიღუპა ოცდაათი ადამიანი და მრავალი დაშავდა.

— 2004 წლის დეკემბერი: გრანდიოზული ცუნამი ინდოეთის ოკეანეში, რომელმაც გამოიწვია უზარმაზარი მსხვერპლი (დაახლოე-

ბით ორასიათასამდე ადამიანი) და ნგრევა ინდონეზიაში, ინდოეთში, შრი-ლანკაში, ტაილანდში.

— 2005 წლის თებერვალი: აფეთქების შედეგად გარდაიცვალა ლიბანის ექს-პრემიერი რაფიკ-ჰარირი.

— 2005 წლის მარტი: წყალდიდობებმა ავღანეთში იმსხვერპლა ორასი ადამიანი და დაანგრია ათასობით სახლი.

— რვანახევარ ბალიანი მიწისძვრა ინდონეზიაში, რის შედეგადაც დაიღუპა ორიათასი ადამიანი, დაშავდა მრავალი და მასიურად დაინგრა შენობები.

— 2005 წლის აპრილი: დიდი წყალდიდობები საქართველოში.

— აფეთქებათა სერია ბაღდადში, რომლის შედეგად დაიღუპა ოცდასამი ადამიანი.

— ერაყის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ერბილში დაიღუპა სულ მცირე ორმოცდაათი ადამიანი და დაშავდა ასორმოცდაათი აფეთქების გამო, რომელიც მოაწყო თვითმკვლელმა ტერორისტმა.

— 2005 წლის ივნისი: ბაღდადში უკანასკნელი თორმეტი საათის განმავლობაში განხორციელდა ტერაქტების სერია: დაიღუპა ორმოცი, დაიჭრა — დაახლოებით ასამდე.

— 2005 წლის ივლისი: მძლავრ აფეთქებათა სერია ლონდონში. ბომბები ამუშავდნენ ქალაქის მეტროპოლიტენის სამ საკვანძო სადგურსა და ავტობუსში. დაიღუპა ორმოცდათექვსმეტი ადამიანი.

— აფეთქებები განხორციელდა ღამით ეგვიპტის ცნობილ კურორტზე შარმ-ელ-შეიხ-ზე, რომელიც მდებარეობს სინაის ნახევარკუნძულზე: გარდაიცვალა ორმოცდარვა ადამიანი, დაიჭრა ორასზე მეტი.

— ბაღდადში კვირას სულ მცირე ოცდახუთი კაცი დაიღუპა და ოცდაათი დაიჭრა პოლიციის განყოფილებასთან სატვირთო მანქანის აფეთქების შედეგად.

— უზარმაზარი წყალდიდობები ინდოეთში.

— 2005 წლის აგვისტო: დიდი წყალდიდობები ევროპაში (გერმანია, შვეიცარია, რუმინეთი...).

— 2005 წლის სექტემბერი: ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს თავს დაატყდა არნახული სიძლიერის გრიგალი — „კატრინა". ახალ ორლეანში ასი ათასობით მაცხოვრებელი საჩქაროდ ტოვებს თავის სახლ-კარს. მსხვერპლის რაოდენობამ ექვსასოთხმოცდათორმეტს მიაღწია.

— ხოცვა-ჟლეტა ბაღდადში: აფეთქდა ცხრა დანაღმული ავტომანქანა — დაიღუპა ასორმოცდაათი ადამიანი, დაახლოებით ორასი დაშავდა.

— 2005 წლის ოქტომბერი: აფეთქებები დელიში, რომლის დროსაც დაიღუპა სამოცდაორი ადამიანი.

— პაკისტანში მოხდა 7,6 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა (ეპიცენტრი მდებარეობდა ქვეყნის ჩრდილოეთში). მსხვერპლის რაოდენობამ უკვე ოციათასს გადააჭარბა.

— სულ მცირე ორასორმოცდაათი ადამიანი დაიღუპა ცენტრალურ ამერიკასა და მექსიკაში წყალდიდობებისა და ტალახის ნაკადების გამო. მხოლოდ გვატემალაში ექვსასი კაცი ითვლება დაკარგულად, ხოლო ასსამოცდაათის სიკვდილი უკვე დადასტურებულია.

— ოთხმოცი ქვეყნისა და რვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ვაშინგტონში მოლაპარაკებებზე დახურულ კარს მიღმა, რათა განიხილონ ფრინველის გრიპის მსოფლიო პანდემიის თავიდან აცილების სტრატეგია. ჯერჯერობით ამ შტამისაგან (51) დაიღუპა სამოცი ადამიანი.

— რუმინეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დუნაის დელტაში აღმოჩენილი ფრინველის გრიპის შტამი არის მომაკვდინებელი 51. ეს დაავადება გამოჩნდა აზიაში და იმსხვერპლა სამოცი ადამიანი. იგი უკვე გავრცელდა თურქეთშიც.

— 2005 წლის ნოემბერი: ამერიკის შეერთებული შტატების კენტუკისა და ინდიანას შტატებს თავს დაატყდა ტორნადო, რომლის შედეგად დაიღუპა ოცდაერთი ადამიანი, დაზარალდა არანაკლებ ორასისა. ტორნადომ კვალის სახით დატოვა ოცდათორმეტი კილომეტრის სიგრძისა და ერთნახევარი კილომეტრის სიგანის ნანგრევების ზოლი.

— 2006 წლის აპრილი: დიდი წყალდიდობები ევროპაში (ჩეხეთი, უნგრეთი, გერმანია). დაიტბორა სერბეთის დედაქალაქი — ბელგრადი.

— ერაყის ქალაქ ბაკუბაში მოხდა აფეთქება შიიტურ მეჩეთში. დაიღუპა ოცდახუთი ადამიანი.

— სულ მცირე ოცდასამი კაცი დაიღუპა და ათობით დაშავდა სამი აფეთქების შედეგად, რომელიც განხორციელდა წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგვიპტის კურორტ დაჰაბში.

აი, ჩვენს წინაშეა დღევანდელი კატაკლიზმების, მართლაცდა, მღელვარე ოკეანე! როგორ აღვიქვამთ მას? განა, მხოლოდ, როგორც შიშველ ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც თავის თავში არავითარ სხვა საზრისს არ ატარებენ?! თუ პირიქით, ისინი რაღაცას გვამცნობენ, გვატყობინებენ? რა

არის ის, რაზედაც ისინი „ფრთხილად“ მიგვანიშნებენ? და როგორია არსებითად თანამედროვე ცნობიერება ამ კატაკლიზმებისა, რომლებიც ამგვარი ფარული საზრისის მქონე მოვლენების სახით გვეცხადებიან?

ჩემს წინაშეა ბოდრიარის ეგზოტიკურ-ფილოსოფიური ესსე — „ბოროტების გამჭვირვალეობა“, რომელიც ეძღვნება სწორედ, რომ ე.წ. ექსტრემალურ მოვლენებს. თუკი მას კარგად ჩავუღრმავდებით, უთუოდ დავინახავთ შემდეგს: იგი რეფლექტურ დონეზე გამოხატავს იმ ინტენციონალობას (ანუ მიმართულობას), რითაც ხასიათდება საერთოდ თანამედროვე ცნობიერება აღნიშნულ მოვლენათა მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს რეფლექსიები თავისებური ეგზემპლარია, რომელშიც კარგად გამოსჭვივის ამ კატაკლიზმების ეპოქალური აღქმის არსი. ამიტომაც ჩვენი მოკლე ანალიზი ეყრდნობა ბოდრიარის აზრის არაორდინარულ მოძრაობას და შევეცდებით წარმოვაჩინოთ მისი ცალკეული მნიშვნელოვანი შტრიხები.

„შიდსი, კრახი, კომპიუტერული ვირუსები, ტერორიზმი (და ამას ემატება სტიქიური კატასტროფები — ი. ბ.)... ისინი დაკავშირებულნი არიან ნათესაური კავშირებით“.* „არცერთს ამ მოვლენათაგან არა აქვს პრივილეგია სხვათა წინაშე — ისინი წარმოქმნიან ერთიან თანავარსკვლავედს“. დიახ, ბოდრიარის მიხედვით ეს განსხვავებული სახეობის ექსტრემალური მოვლენები, რითაც აღბეჭდილია თანამედროვე სამყარო, საერთო ძირიდან მოდიან. რამ განაპირობა მათი ექსპანსია? არის თუ არა იგი „პასუხი“, „რეაქცია“ რაღაც პროცესზე, რომელიც პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში მიმდინარეობს? რა არის ეს პროცესი? ბოდრიარი მასთან დაკავშირებით სარგებლობს უცნაური ტერმინით: „ოპერაციული სითეთრე“. „ჩვენს საზოგადოებას დაეუფლა სისხლის გათეთრების რაღაცნაირი სახესხვაობა...“ გლობალურად მკვიდრდება ჰომოგენური და გამჭვირვალე სასიცოცხლო გარემო ანუ ის უნივერსალური სივრცე, სადაც გაფანტულია, განზავებულია რადიკალური განსხვავებები, წინააღმდეგობები. აქ ჭარბობს შუქი და ძალზედ მცირდება ჩრდილი. „ჩვენ თითქოსდა ყოველი მხრიდან განათებული ვართ ტექნიკით, ხატებით, ინფორმაციებით...“ და ეს იმ გრანდიოზული ქირურგიული ოპერაციის შედეგია, რომელიც ტარდება ბუნებაზე, კულტურებზე, ფსიქიკაზე და რომელიც დღესდღეობით გადამწყვეტ ფაზაში შედის. „ყველაფერი უნდა მიეძღვნას ნივთთა ამ ოპერაციულ გადაგვარებას“.

* თარგმანი — ი.ბ.

აღნიშნული დიდი ექსპერიმენტის გამოისობით ჩვენ აღმოვჩნდით მოქცეული ზეინტეგრირებულ სისტემებში — პოლიტიკურად, ტექნოლოგიურად, ეკონომიკურად ზეინტეგრირებულ სისტემებში, სადაც თითქოსდა თავს მაქსიმალურად საიმედოდ და დაზღვეულად უნდა ვგრძნობდეთ. მაგრამ სწორედ აქ დაგვეუფლა იმუნური დეფიციტი, რაც სავსებით გასაგებია. „თუკი იმუნური სისტემა სუსტდება, ეს ხდება, რადგანაც ხშირად პროგრესად წოდებულ შეუქცევად ტენდენციას მივყავართ იმისკენ, რომ ადამიანურ სხეულს და გონებას დააკარგვინოს მისი დამცავი თვისებები, რათა გადაიტანოს ისინი ხელოვნური არსებობის ტექნიკურ სფეროში". „ყველა ინტეგრირებული და ზეინტეგრირებული სისტემა, ტექნიკური სისტემები, სოციალური სისტემა, თავად აზროვნება ხელოვნურ გონებაში და მის წარმოებულებში მიისწრაფვის იმუნური დეფიციტის ამ ზღვრისაკენ". და აი, მაშინ ასეთ სისტემებში იწყება ვირუსული გავრცელება სხვადასხვა ანომალიური დაავადებების — ტერორიზმის, ავადმყოფობების, სტიქიური კატასტროფების... „ექსტრემალური მოვლენების მოსპობის სურვილი აბსოლუტურად ილუზორულია. ისინი გახდებიან სულ უფრო და უფრო ექსტრემალურები ჩვენი სისტემის ფალსიფიკაციის დონის ზრდის შესაბამისად". ეს ახალი, ე.ი. არატრადიციული საფრთხეები ადამიანის მხრიდან მიდგომას, „მოხელთებას" ანუ მართვას არ ექვემდებარებიან, არა იმიტომ, რომ ჯერჯერობით ამის ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსები არ გაგვაჩნია, არამედ არსებითად — თითქოსდა გაიხსნა „პანდორას ყუთი" რაღაცის წიაღში! და ამიტომ, ადამიანი ცოცხლობს დღევანდელ სამყაროში პერმანენტული და ტოტალური მუქარის ცნობიერებით — ნათელი თუ ლატენტური ცნობიერებით. იგი მუდმივი მოლოდინია ამ მუქარისა. ეს უკანასკნელი პრინციპულად დაუძლეველია, ვინაიდან მოდის ჩვენთვის სრულიად არათანაზომიერი საწყისიდან; დიახ, იქიდან, რასაც უცხოს ანუ იდუმალს ვუწოდებთ.

„ჩვენ ეკლექტიკურ კულტურაში, რომელიც შეესაბამება სხვა კულტურების დაშლასა და შექუჩებას, არაფერია მიუღებელი". დიახ, ვშთანთქეთ და ავითვისეთ რა ყოველივე, ახლა ამ „ნაყროვანებისა" და „ინტოქსიკაციისაგან" დაგვეწყო მწვავე ალერგია: გვინდა ყველაფერი ამოვიღოთ, უკუვაგდოთ. „მიუღებლობა, უკუგდება, ალერგია — ენერგიის განსაკუთრებული სახეა". და სწორედ მას განეკუთვნება ჩვენი დროის უცნაური მოვლენები: ვირუსული პათო-

ლოგიები, ტერორიზმი და ა.შ. „თავად ბუნებრივი კატასტროფები გვეჩვენებიან ალერგიის რაღაც სახესხვაობად, ბუნების მიერ უკუგდებად ოპერაციული ზემოქმედებისა ადამიანური მოდგმის მხრიდან".

უნივერსალიზაციის „დასავლური" ექსპერიმენტი კრახს განიცდის: „ჩვენ კი მოვსპეთ ყველაფერი, რაც გარედან მოდის" — მოვინდომეთ ყოველივეს აბსორბაცია ერთიან, გლობალურ ვესტერნულ სისტემაში და შედეგად მივიღეთ ტოტალური ვირუსული უკუეფექტი. დიახ, „ჰუმანიტარული უნივერსუმი, განსხვავების უნივერსუმი (ე.ი. რომელიც პოლიფონიურად თავის თავში მოიცავს განსხვავებათა მთელ სპექტრს — ი.ბ.) ყველგან სრულ ჩიხში ექცევა..."

აშკარად ვწვდებით, რომ ბოდრიარის ამ აზრთა მსვლელობაში მეტყველებს საერთოდ თანამედროვე ცნობიერების არსი და ამიტომ, ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ როგორ ეცხადებიან ეს ექსტრემალური ხდომილებები ამ ცნობიერებას და რა საზრისს იძენენ ისინი. სახელდობრ, მათ ჩვენ არ ვისაზრისებთ, როგორც რაღაც ღვთის სასჯელს ან როგორც მხოლოდ კონკრეტული მიზეზების და პირობების შედეგებს: დღეს ჩვენ მიერ ამ კატაკლიზმების გაგება არ ატარებს არც აპოკალიპტურ-რელიგიურ და არც სციენტისტურ ხასიათს. ცხადია, აღნიშნულ ხდომილებებს თავისი კონკრეტული მიზეზები აქვთ. ვთქვათ, ტერორიზმს — ცივილიზაციური, სოციალურ-პოლიტიკური, ფსიქოლოგიური... მიწისძვრებს — გეოფიზიკური... კომპიუტერული ვირუსების გავრცელება ხომ გარკვეული ადამიანური მოტივაციითა და ტექნიკური შესაძლებლობებითაა განპირობებული და ა.შ. და რა თქმა უნდა ყოველივე ეს მეცნიერული კვლევის საგანს შეადგენს. მაგრამ ჩვენ გაგებაში „ვირუსული შემოტევა" არსებითად განპირობებულია უფრო ღრმა და საყოველთაო საფუძველით, რომელიც საერთოდ შესაძლებელს ხდის მათ პროვოცირებას ამა თუ იმ კონკრეტული მიზეზებით. „ის აწყობს აი, ამ აფეთქებას და ეს მორიგი ფაქტი ტერაქტთა უსასრულო ჯაჭვში წარმოადგენს შედეგს მისი მოტივების, გარეშე ფაქტორების, ხელშემწყობი პირობების და ა.შ. მაგრამ ის ამას აკეთებს არა უბრალოდ ზემოთ ჩამოთვლილი ვითარებების გამო, არამედ, რადგანაც „რაღაცა" აკეთებინებს და ე.ი. რადგანაც იგი ჩართულია ტერორიზმის გლობალური გავრცელების ფატალურობაში. მისი ქმედება არის ერთ-ერთი გამოვლინება ამ ფატალურობისა; ის არის გამოვლინება პირველსაწყისის ანუ ყოფიერების „რეაქციისა" ჩვენი

ცივილიზაციის ზეინტეგრაციული პროცესის მიმართ" — მაშასადამე, თანამედროვე ცნობიერება ამ კატაკლიზმებს ისაზრისებს, როგორც სწორედ ყოფიერების „რეაქციას": ჩვენ მოვინდომეთ ყოველივეს აბსორბაცია — „უცხოს" დაძლევა და მონელება კულტურებში, ბუნებაში, ფსიქიკაში და სამყაროს ეს ათვისება საოცარი უკუეფექტით შემოგვიბრუნდა. როდესაც ვირწმუნეთ, რომ სამყარო პრინციპულად ხელმისაწვდომი და ხელთმყოფია ჩვენთვის; რომ ჩვენ ყველგან თავდაჯერებულად შინ-ყოფნა შეგვიძლია; რომ ირგვლივ ყოველივე თანმიმდევრულად ექვემდებარება უნივერსალურ ტრანსპარენტულ სისტემაში მოქცევას და რომ არაფერი გაუმჭვირვალე და იდუმალი ბუნებაში არ შეიძლება დარჩეს ამ ტრანსპარენტულობის მიღმა, აი, სწორედ მაშინ იფეთქა **უცხომ** და **იდუმალმა** არსებითად უმართავი გლობალური კატაკლიზმების სახით და ამ ბედისწერამ უცებ დაგვაყენა ჩვენთვის სრულიად არათანაზომიერი საწყისის პირისპირ — ყოფიერების პირისპირ...

გრანდიოზული ექსპერიმენტი ბუნებაზე დასასრულს უახლოვდება... იგი დაიწყო ინდუსტრიულ ეპოქაში და პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში უკვე სულ სხვა მასშტაბი და ფორმა შეიძინა. მისი გამოისობით ჩვენ აღმოვჩნდით „სასიკვდილო დისტანციაზე" ყოფიერებისგან: ეს არის ზღვარი, უკიდურესი ზღვარი... რასაც დავშორდით, იგი თავად მოგვაწვა მთელი ძალით! ჩავიკეტეთ რა თითქოსდა საიმედოდ ჰერმეტიზირებულ ხელოვნურ სისტემაში, მან შემოგვიტია და დაგვბომბა „ვირუსების" გრიგალით... დიახ, ჩვენ წინაშე თამაშდება დიდი ონტოლოგიური ხდომილება: სახეზეა პირველსაწყისის შემოტევა!

ჟურნ. „ჩვენი მწერლობა"
27 ოქტომბერი, 2006 წ.

ისტორიის დასასრული თუ ცივილიზაციათა შეჯახება?!

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ამერიკელი ფილოსოფოსის ფრენსის ფუკუიამას შესანიშნავი ნაწარმოები „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", სადაც იგი გველაპარაკება ისტორიული პროცესის ფინალის შესახებ. ასევე 90-იან წლებში, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, დღის შუქზე გამოვიდა სამუელ ჰანტინგტონის უაღრესად საინტერესო წიგნი „ცივილიზაციათა შეჯახება", სადაც საუბარია დიდი და ახალი ისტორიული პროცესის დასაწყისის თაობაზე. სერიოზული მკითხველი უთუოდ დაინახავს, რომ ერთიც და მეორეც თავის თეორიას აგებს საკმაოდ მყარი ლოგიკისა და მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე; ერთმაც და მეორემაც რაღაც ნაღდ, უტყუარ ფენომენს ჩაავლო ხელი; ერთიც და მეორეც, უთუოდ, სიმართლეს გვეუბნება. უცებ შეიძლება მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი დგას დილემის წინაშე: კი, მაგრამ, სად არის ჭეშმარიტება? ეს ორი თეორია ხომ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო რაიმეს ამტკიცებს! ისინი ხომ ერთმანეთს გამორიცხავენ... რისი მომსწრენი ვართ: ისტორიის დასასრულის თუ ცივილიზაციათა შეჯახების? რათა გავერკვეთ, თუ რამდენად ადეკვატურია ასეთი შეცბუნება, მოდით, გავიხსენოთ და მოკლედ განვიხილოთ თითოეული ზემოთ ხსენებული ნაწარმოების არსებითი ასპექტები.

ფრენსის ფუკუიამას თეორია წარმოადგენს პასუხს კითხვაზე: „არის კი ისტორია მიზანმიმართული მოვლენა და არსებობს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ უნივერსალური განვითარება მართლაც ლიბერალური დემოკრატიისკენ აიღებს გეზს?" („ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", თბილისი 1999). ავტორის მიზანია აჩვენოს, რომ ისტორია, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლა (და არა უბრალოდ ხდომილებათა რიგი) სავსებით სასრული რამაა და რომ „ლიბერალური დემოკრატია, როგორც მართვის სის-

ტემა, მართალია, მხოლოდ ბოლო ხანს იქნა აღიარებული მმართველობის ფორმად — მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა მისი უპირატესობა ისეთი იდეოლოგიების წინაშე, როგორიცაა: დინასტიური მონარქია, ფაშიზმი თუ, ვთქვათ, კომუნიზმი; მაგრამ თავად ლიბერალური დემოკრატიის ინსტიტუტი შესაძლოა ადამიანთა მოდგმის იდეოლოგიური ევოლუციის ბოლო საფეხური აღმოჩნდეს...“ და ამით ისტორია დასრულდეს კიდევაც. „ეს, რაღა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავდა, რომ გაჩენის, ცხოვრებისა და კვდომის ბუნებისმიერი ციკლი შეწყდებოდა, არ მოხდებოდა აღარავითარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა ან გაზეთები შეწყვეტდა გამოსვლას...“ არა, ეს უბრალოდ ნიშნავს ისტორიის არსებითი პროცესის დამთავრებას!

ფუკუიამა მიგვითითებს, რომ მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში გამოაშკარავდა ძალისმიერ სახელმწიფოთა სისუსტე, სახელდობრ, როგორც მემარჯვენე სამხედრო-ავტორიტარული, ასევე მემარცხენე კომუნისტურ-ტოტალიტარული სახელმწიფოების. სამოცდაათიან წლებში დასრულდა კაეტანოს ავტორიტარული რეჟიმი პორტუგალიაში, შავი პოლკოვნიკების მმართველობის ხანა საბერძნეთში, ფრანკოს რეჟიმი ესპანეთში. სამხრეთ ევროპის ქვეყნებმა, მართლაცდა, საოცარი ტრანსფორმაცია განიცადეს საერთო-ევროპული დემოკრატიის მიმართულებით. ოთხმოციან წლებში ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი ლათინურ ამერიკაში: პერუში ნერტილი დაესვა თორმეტწლიან სამხედრო მმართველობას, არგენტინაში დაემხო სამხედრო ხუნტა; ასევე ურუგვაიში, ბრაზილიაში, მოგვიანებით პარაგვაიში და ჩილეში ბოლო მოეღო სამხედრო დიქტატურებს. მსგავსი ტრანსფორმაციები ხდებოდა შორეულ აღმოსავლეთშიც. ხოლო 1990 წლიდან დაიწყო აპარტეიდული რეჟიმის დემონტაჟი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

1989-91 წლებში მოხდა ისტორიის, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა და კერძოდ, ვარშავის კომუნისტური ბლოკისა და საბჭოთა იმპერიის დაშლა. მანამდე ტოტალიტარიზმი დამარცხდა ჩინეთშიც: დენ სიაოპინის რეფორმების შედეგად ეს ქვეყანა ეკონომიკური ლიბერალიზაციის გზას დაადგა, თუმცა შეინარჩუნა ერთპარტიული კომუნისტური მმართველობა. სწორედ ამ ცვლილებებმა განაპირობეს ახალგაზრდების საპროტესტო აქციები ტიანინმენის მოედანზე, რომელთაც აღარ აკმაყოფილებდათ

მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლებანი სრული პოლიტიკური შეზღუდვების პირობებში. ეს გამოსვლები სასტიკად იქნა ჩახშობილი ჩინეთის ხელისუფლების მიერ და ეს ქვეყანა ჯერჯერობით რჩება აზიურ ავტორიტარულ სახელმწიფოდ. აფრიკის მარქსისტულ ქვეყნებშიც ერთპარტიულმა რეჟიმებმა სრული კრახი განიცადეს და ბევრგან ნორმალური დემოკრატიული წყობა დამყარდა. „დემოკრატიულმა იდეებმა ძირი კი გამოუთხარა კომუნისტური რეჟიმების ლეგიტიმურობას მთელ მსოფლიოში, მაგრამ თავად დემოკრატიასაც ურთულესი პრობლემები შეხვდა თვითდამკვიდრების გზაზე“: ეს იყო საკმაოდ ეკლიანი გზა! მაგრამ მიუხედავად ამ დიდი სიძნელეებისა ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფი აშკარა შეიქნა გლობალური მასშტაბით, რის შედეგადაც იგი დარჩა პოტენციურად საყოველთაო მნიშვნელობის იდეოლოგიად. ვერც მონარქიზმს, ვერც ფაშიზმს, ვერც ტრადიციულ ავტორიტარიზმს, ვერც კომუნიზმს და ვერც ნებისმიერ სხვა იდეოლოგიას აწი ვეღარ ექნება უნივერსალობის ის პრეტენზია, რითაც მეტოქეობას გაუწევდა ლიბერალურ დემოკრატიას. მაშასადამე, როგორც ფუკუიამა აღნიშნავს, ჩვენ მომსწრენი აღმოვჩნდით მსოფლიო ლიბერალური რევოლუციის საყოველთაო და შეუქცევადი პროცესისა.

არსებობს თუ არა რაღაც მექანიზმი, რომელიც ისტორიის მიზანმიმართულ მსვლელობას განაპირობებს? ავტორის აზრით, ასეთ მექანიზმად გვევლინება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება. პროგრესი ამ სფეროში უეჭველი ჭეშმარიტებაა, რასაც ვერ ვიტყვით პოეზიაზე, მუსიკაზე თუ არქიტექტურაზე. როგორც ფუკუიამა წერს, ვერავის მოუტრიალდება ენა, მიქელანჯელოზე უკეთეს მხატვრად რაუშენბერგი, ხოლო ბახზე უკეთეს კომპოზიტორად შონბერგი დაასახელოს მხოლოდ იმის გამო, რომ ერთნი უფრო ადრე ცხოვრობდნენ, ხოლო მეორენი კი — გვიან. თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების წინსვლამ, რომელიც დასაბამს იღებს XVI-XVII საუკუნის ევროპაში, ორი მიზეზის გამო იქონია გლობალური ზეგავლენა დასავლეთის თუ აღმოსავლეთის საზოგადოებებზე: ჯერ ერთი, იგი ამა თუ იმ ქვეყანას აძლევს სამხედრო ძლიერების მოპოვების შესაძლებლობას მოწინავე ტექნოლოგიების ათვისების გზით. ეს მართლაცდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საყოველთაო ზეგავლენისა, ვინაიდან მსოფლიოში მუდმივად სახეზეა ომისა და კონფლიქტის წყარო და შესაბამისად, მუდმივად სახეზეა თავდა-

ცვისა და აგრესიის მოთხოვნილებები. სამხედრო ინტერესები უბიძგებენ სახელმწიფოებს ახალი ტექნოლოგიების ათვისებასთან ერთად საკუთარი სოციალური სისტემების რეორგანიზაციისკენაც, რამდენადაც ეს ორი რამ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია. ფუკუიამას მოჰყავს მეიძის პერიოდის იაპონიის ძირეული ტრანსფორმაციის მაგალითი, რაც უმთავრესად განპირობებული იყო სამხედრო-პოლიტიკური ამბიციებით: „მოწოდებით — „მდიდარი ქვეყანა, ძლიერი არმია" — იაპონიის ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალა ძველი სატაძრო სკოლები სავალდებულო საგანმანათლებლო სისტემით სახელმწიფოს ხარჯზე, სამურაების ნაცვლად ჯარში ძირითადად გლეხობა გაიწვია და შემოიღო სახელმწიფო საგადასახადო, საბანკო და სავალუტო სისტემები. მეორე მხრივ, თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გლობალური ზეგავლენის მოტივს წარმოადგენს მატერიალური დოვლათის მზარდი დაგროვების პერსპექტივა და ე.ი. ჩვენი სურვილების დაკმაყოფილების მიზნით ბუნების თანმიმდევრული დაპყრობის ტენდენცია. სწორედ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ წარმოების პროცესში და შრომის რაციონალურმა ორგანიზაციამ მოიტანეს ინდუსტრიული ეპოქა, რაც აუცილებლად გულისხმობდა ფუნდამენტურ ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურაშიც. დიახ, ეს პროცესი უზრუნველყოფს სხვადასხვა საზოგადოებების და ცივილიზაციების უნიფიკაციას: „ეკონომიკური მოდერნიზაციის გზაზე დამდგარი ყველა ქვეყანა თანდათანობით უფრო და უფრო უნდა დაემსგავსოს ერთმანეთს: ისინი ცენტრალიზებული სახელმწიფოს საფუძველზე უნდა გაერთიანდნენ, განიცადონ ურბანიზაცია", შექმნან უფრო მობილური საზოგადოება, საყოველთაო განათლების სისტემა, მასობრივი კულტურა და ა.შ.

საზოგადოების ინდუსტრიალიზაცია და შემდგომ უკვე პოსტინდუსტრიალიზაცია აუცილებლობით მოითხოვს, საბოლოო ჯამში, ისეთ ადეკვატურ სისტემას, როგორიცაა საბაზრო ეკონომიკა. თუკი საბჭოური ცენტრალიზებული ეკონომიკა ჯერ კიდევ გამოდგებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, იგი აბსოლუტურად შეუფერებელი აღმოჩნდა უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქისათვის. დიახ, ფუკუიამა სავსებით დამაჯერებლად გვისაბუთებს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების მექანიზმი გვკარნახობს უნივერსალურ ევოლუციას კაპიტალიზმის მიმართულებით. მაგრამ იგი სვამს კითხვას: მივყავართ კი ამ მექანიზმს ასევე

ერთმნიშვნელოვნად ლიბერალური დემოკრატიისაკენ? რა თქმა უნდა, არსებობს მჭიდრო ემპირიული კავშირი ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და ახალი დემოკრატიების წარმოშობას შორის. ამის მაგალითია ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და მრავალი სხვა ქვეყანა. ეკონომიკური მოდერნიზაცია საჭიროებს საყოველთაო განათლების დონის ზრდას, რაც, თავის მხრივ, ძლიერი საშუალო ფენის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ხოლო ასეთ საზოგადოებას კი უფრო მეტად უღვივდება პრეტენზია საკუთარ უფლებათა თანასწორობასა და პოლიტიკურ მმართველობაში თანამონაწილეობაზე. „... განათლებული ადამიანები ბრმად არ მორჩილებენ ავტორიტეტებს, ისინი დამოუკიდებლად აზროვნებას სწავლობენ". მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი კავშირი ეკონომიკის მოდერნიზაციასა და ლიბერალური დემოკრატიის ფორმირებას შორის. ფაქტია, რომ ავტორიტარულ რეჟიმებს უწინ და ახლაც საკმაოდ ეფექტურად შეეძლოთ და შეუძლიათ ეკონომიკური რეფორმების გატარება და შთამბეჭდავი შედეგების მიღწევაც: ავტორი იხსენებს ბისმარკის გერმანიას, მეიძის იაპონიას, ვიტეს და სტოლიპინის რუსეთს; ხოლო რაც შეეხება თანამედროვეობას, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი. დიახ, ერთი მხრივ, ტექნოლოგიურად განვითარებული კაპიტალიზმი შეიძლება არსებობდეს ავტორიტარული მმართველობის პირობებში; მეორე მხრივ, კი, „მყარი დემოკრატია ზოგჯერ პრეინდუსტრიულ საზოგადოებაშიც წარმოქმნილა, როგორც, ვთქვათ, შეერთებულ შტატებში 1776 წელს". მაშასადამე, არასწორია ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაციას აუცილებლობით მოაქვს თანამედროვე დემოკრატია. იგი ამ უკანასკნელის ფორმირების და დამკვიდრების უაღრესად ხელშემწყობი და აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა — საკმარისი. და ე.ი. მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროგრესის მექანიზმით ვერ ავხსნით ისტორიის უნივერსალურ ევოლუციას ლიბერალური დემოკრატიისაკენ. არსებობს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი! რა არის იგი? ამ პრობლემის ანალიზისას ფუკუიამა თავიდან ბოლომდე ეყრდნობა ჰეგელისა და მისი ცნობილი ინტერპრეტატორის ალექსანდრ კოჟევის ნააზრევს. კერძოდ, მას განხილვის ველში შემოაქვს აღიარების სურვილი, როგორც ისტორიული ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. დიახ, ადამიანი მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვ-

ნილებებით არ ამოიწურება. რა თქმა უნდა, მას სურს საკვები, სექსი, თავშესაფარი... რა თქმა უნდა, თვითგადარჩენა მისი უძლიერესი ინსტინქტია. მაგრამ ცხოველისაგან ის არსებითად განსხვავდება იმით, რომ მოითხოვს საკუთარი ფასეულობის აღიარებას ანდა იმ ობიექტებისა, რასაც თავად მიანიჭა ფასეულობა. „ჰეგელის თვალსაზრისით ისტორიის გარიჟრაჟზევე, სწორედ, ღირსეულად აღიარების სურვილი უბიძგებდა ადამიანს სისხლიანი ბრძოლისაკენ პრესტიჟის (სახელის) მოსახვეჭად". ამ ბრძოლის შედეგი იყო საზოგადოების დაყოფა ბატონებად და მონებად. სწორედ აღიარებისათვის შეუძლია ადამიანს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს. მას შეუძლია თავგანწირვა და ე.ი. თვითგადარჩენის უძლიერესი ინსტინქტის საპირისპიროდ წასვლა. „მე ვიბრძვი იმისათვის, რათა მეორე ადამიანი მიხვდეს — არ მაშინებს სიკვდილის საფრთხე, ამდენად, ვარ თავისუფალი, ვარ ჭეშმარიტად ადამიანი". აღიარების სურვილი არის ის თიმოსი, რაზედაც ჯერ კიდევ პლატონი გველაპარაკებოდა. „თიმოსი ჰგავს ადამიანის თანდაყოლილ სამართლიანობის გრძნობას: ადამიანს სჯერა, რომ აქვს გარკვეული ღირებულება, და როცა სხვები ამას ვერ ამჩნევენ, როცა არ აღიარებენ ამ ღირებულებას, არ აფასებენ ჭეშმარიტი საფასურით — მაშინ ადამიანს სიბრაზე იპყრობს". აღიარების სურვილი აღმოჩნდა ისტორიის ძრავი, რომელმაც ჯერ განაპირობა საზოგადოების მრავალგვარი დიფერენციაცია გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად, ფენებად და შემდგომ კი — ჩაგრულთა ემანსიპაციის ის თანმიმდევრული პროცესი, რომელიც 1776 წლის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციითა და 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციით დაგვირგვინდა. „ბატონებისა და მონების მანამდე ჩვეული არათანასწორი აღიარება შეცვალა საყოველთაო და თანაზიარმა აღიარებამ, როცა ყოველი ცალკეული მოქალაქე ნებისმიერი სხვა მოქალაქის ადამიანურ ღირსებას აღიარებს და როცა ამ ღირსებას, თავის მხრივ, სახელმწიფოც აღიარებს — საკუთარი მოქალაქეების უფლებების მინიჭებით". ისტორიული ფორმაციების ცვლა და თანმიმდევრული ევოლუცია ლიბერალური დემოკრატიისაკენ ამ აღიარების მექანიზმით იყო ნაკარნახევი. მაგრამ ეს მექანიზმი, ავტორის აზრით, გასაგებს ხდის თვით საერთაშორისო პოლიტიკის არსსაც. დაპყრობითი ომები, იმპერიების შექმნა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, შეთანხმებები და გარიგებები — ერებს შორის ურთიერთობათა მთელი ეს სპექტრი ხომ ასევე

აღიარებისთვის ჭიდილის ასპარეზია. მსოფლიო ლიბერალურმა რევოლუციამ კარდინალური ცვლილება მოახდინა საერთაშორისო პოლიტიკაშიც, კერძოდ, წინააღმდეგობების, კონფლიქტების უკეთ რეგულირების თვალსაზრისით. რატომ? იმიტომ, რომ მან დაამკვიდრა ერთა თანასწორობის პრინციპიც ადამიანთა თანასწორობასთან ერთად. დიახ, ერთა თანასწორი აღიარება გახდა საფუძველი ისეთი საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა, როგორიცაა გაერო, ეუთო და ა.შ. და რომლებიც დღეს შედარებითი სტაბილურობის გარანტები არიან მსოფლიოში. ასეთი გლობალური გარანტები ისტორიაში მანამდე არ არსებობდა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ლიბერალური რევოლუციის მიერ აღიარების საკითხის გადაჭრამ მოიტანა.

მოდით ახლა გავაკეთოთ დასკვნები. მაშასადამე, ფუკუიამა გველაპარაკება ისტორიის ორი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორის შესახებ, რომლებსაც იგი ცალსახად მიჰყავთ გარკვეული მიზნისაკენ. სახელდობრ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროგრესი და აღიარებისთვის ბრძოლა განაპირობებს გარდაუვალ ევოლუციას თანამედროვე დემოკრატიისაკენ. პირველს გარდაუვლად მოაქვს ეკონომიკური მოდერნიზაცია და საბოლოო ჯამში, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება; მეორეს გარდაუვლად მოაქვს დისკრიმინირებული ფენების ემანსიპაცია და ადამიანთა თანასწორ აღიარებაზე დაფუძნებული მმართველობის ფორმა. დიახ, ლიბერალური დემოკრატია თავისი საბაზრო ეკონომიკით არის ისტორიული აუცილებლობის ერთმნიშვნელოვანი შედეგი. ამ ფორმაციაში არსებითად დაძლეულია ის კოლიზიები, რომლებიც კაცობრიობის ცხოვრების მანძილზე დაკავშირებული იყო აღიარებისათვის ბრძოლასთან. მასში სრულადაა მიღწეული ის ეკონომიკური თავისუფლება, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლა მოითხოვს. იგი თავის თავში არ ატარებს რაიმე ისეთ ფუნდამენტურ წინააღმდეგობებს ამ თვალსაზრისით, რამაც შეიძლება მისი „აფეთქება“ და ახალი ფორმით შეცვლა გამოიწვიოს. „ეჭვი არაა, თანამედროვე დემოკრატიები უამრავი სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან — დაწყებული ნარკოტიკებით, უსახლკარობით, დანაშაულით, გარემოს დაბინძურებით და მომხმარებლობის ქარაფშუტობით დამთავრებული. მაგრამ ეს პრობლემები ძირითადი ლიბერალური პრინციპების შუქზე არც აშკარად გადაუჭრელი ჩანს და არც იმდენად მომაკვდინებელი, შედეგად საზოგადოების ისეთი მსხვრევა რომ მოჰყვეს,

რაც კომუნიზმმა განიცადა ოთხმოციან წლებში". დიახ, ლიბერალური დემოკრატია არის ისტორიული ევოლუციის ბოლო აკორდი. მის იქით არაფერი ჩანს და ვერც ვერაფერი ვერ გამოჩნდება. იგი ისტორიის დასასრულია — აი, ასეთია ფუკუიამას დასკვნა.

მოდით, ახლა თვალი გადავავლოთ იმ არსებით მომენტებს, რაზეც გველაპარაკება მეორე დიდი ამერიკელი მოაზროვნე — სამუელ ჰანტინგტონი და შემდეგ უკვე გავაკეთოთ სათანადო დასკვნები. იგი აღნიშნავს, რომ „ცივი ომის" დასრულების ეიფორიამ თავიდან წარმოშვა საერთაშორისო ჰარმონიის, ერთიანი მსოფლიო წესრიგისა და გლობალური კონფლიქტების დამთავრების ილუზია. მაგრამ ძალიან მალევე ცხადი შეიქნა, რომ ეს სწორედ, რომ ილუზია იყო და მეტი არაფერი. პირიქით, ავტორის აზრით, ჩვენ ამჟამად მომსწრენი ვართ სრულიად ახალი ისტორიული რეალობის ფორმირებისა; სახელდობრ, გლობალური პოლიტიკა პირველად იძენს მრავალპოლუსიან და პოლიციივილიზაციურ ხასიათს: ამ ახალ მსოფლიოში ყველაზე უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი კონფლიქტები ხდება და მოხდება განსხვავებული კულტურული იდენტიფიკაციის მქონე ხალხებს შორის. ჰანტინგტონი აკეთებს რვა თანამედროვე ცივილიზაციის ჩამონათვალსა და მათ მოკლე დახასიათებას. ესენია: სინის ცივილიზაცია (რომელშიც შედის ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჩინური თანამეგობრობა), იაპონური ცივილიზაცია, ინდუისტური ცივილიზაცია, ისლამური ცივილიზაცია, მართლმადიდებლური ცივილიზაცია, დასავლური ცივილიზაცია, ლათინო-ამერიკული ცივილიზაცია და ალბათ, აფრიკული ცივილიზაცია (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, იგი, სწორედ რომ ჯერჯერობით ვარაუდს გამოთქვამს). მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო ევროპული სამყაროს საოცარი აღორძინება, რაც დაკავშირებული იყო მისი საზოგადოებების დინამიკურ განვითარებასთან და სოციალურ პლურალიზმთან, აგრეთვე ტექნოლოგიურ მიღწევებთან და ვაჭრობის ქსელის გაფართოებასთან. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში დასავლეთმა თავისი გავლენა გააკრცელა თითქმის მთელ აფრიკაზე, გააძლიერა კონტროლი ინდოსტანსა და აზიაზე; ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის მთელი ახლო აღმოსავლეთი თურქეთის გარდა აღმოჩნდა მისი კონტროლის ქვეშ. 1914 წლისათვის ევროპელები და ამერიკელები განაგებდნენ მსოფლიო ხმელეთის 84"-ს. მოგვიანებით კი, ოტომანთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ეს პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა. მაგრამ

ავტორი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთმა დაიპყრო მსოფლიო არა თავისი იდეების და ფასეულობების, არამედ ტექნოლოგიური უპირატესობის გამო. ხოლო თავად ეს ფასეულობები და პრინციპები ანუ ის სპეციფიკური მახასიათებლები, რითაც დასავლური ცივილიზაცია გამოირჩევა სხვებისგან და რაც მის უნიკალობას განსაზღვრავს ისტორიულად ყალიბდებოდნენ ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8-9 საუკუნეებში. ჰანტინგტონი იძლევა მათ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვან აღწერას და ანალიზს. ეს მახასიათებლებია: ანტიკური მემკვიდრეობა, კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი, ევროპული ენების სიმრავლე, სახელმწიფოს და ეკლესიის დუალიზმი, კანონის ბატონობა, სოციალური პლურალიზმი, წარმომადგენლობითი ორგანოები, ინდივიდუალიზმი. შემდგომში ვნახავთ, თუ რატომ არის ჩვენთვის საყურადღებო აღნიშნული მომენტები.

დიახ, მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო დასავლეთის დიდი აღმავლობა და ექსპანსია, მაგრამ, ავტორის აზრით, მე-20 საუკუნის მიწურულს მისი ჰეგემონიის ერა უკვე დასასრულს უახლოვდება. 1919 წელს ვუდრო ვილსონი, ლოიდ ჯორჯი და ჟორჟ კლემანსო ფაქტობრივად მართავდნენ მსოფლიოს. ოცდამეერთე საუკუნეში კი მხოლოდ ისეთი პოლიტიკური ჯგუფი შეიძლება განაგებდეს პლანეტის ბედს, რომელიც სხვადასხვა ცივილიზაციათა წარმომადგენლებისგან შედგება — წერს ჰანტინგტონი. დღესდღეობით, მართლაცდა, ასეა. მის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ნათლად გვიჩვენებს იმ დინამიკას, თუ როგორ შემცირდა თითქმის საუკუნის განმავლობაში დასავლეთის კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიები; როგორ კლებულობს მისი მოსახლეობა და მისი წილი მსოფლიო ერთობლივ პროდუქტში. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო ლიდერობა გლობალურ ასპარეზზე ჯერჯერობით მაინც სახეზეა. მაგრამ სახეზეა ის ფუნდამენტური პროცესებიც, რომლებიც სერიოზულად ცვლიან ძალთა ბალანსს ცივილიზაციათა შორის და რომელთა გამოისობითაც, ავტორის სიტყვით, დასავლეთის ძლიერება სხვებთან შედარებით კვლავაც შემცირდება. რა პროცესებს გულისხმობს იგი? უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მომსწრენი ვართ აზიური გრანდიოზული ეკონომიკური ბუმისა. ეს უკანასკნელი განაპირობებს უდიდეს რწმენას საკუთარ თავში, რაც ამ სამყაროს ხალხებს უყალიბდებათ, ვინაიდან ჰანტინგტონის თქმით, სიმდიდრე, ისევე, როგორც ძალაუფლება, ითვლება საბუთად კულტურული და მორა-

ლური უპირატესობისა. სერიოზული პროგნოზების თანახმად 21-ე საუკუნის ოციანი წლებისათვის მსოფლიო ეკონომიკური პროდუქტის ორმოცი პროცენტი მოვა სწორედ აზიურ ქვეყნებზე. აქ განსაკუთრებით თვალში საცემია ჩინეთის გასაოცარი ეკონომიკური ზრდა, რომელიც მის დიდ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან ერთად უბიძგებს პეკინს იქითკენ, რათა დაიკავოს ჰეგემონისტური პოზიციები აღმოსავლეთ აზიაში და ეს უკანასკნელიც თავისი ეკონომიკით სულ უფრო და უფრო ორიენტირებული ხდება ამ ქვეყანაზე. ანალიტიკოსები ჩინეთის ასეთ აღმავლობას ადარებენ კაიზერის გერმანიის გაძლიერებას მე-19 საუკუნის ბოლოს. ჰანტინგტონს მოჰყავს ცნობილი აზიელი მოღვაწის, ლი კვან იუს სიტყვები ჩინეთთან დაკავშირებით: თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოსდა ეს არის კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე. ეს არის ყველაზე მსხვილი მოთამაშე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. ჩინური ჰეგემონია დააწესებს გარკვეულ პირობებს, რომლებიც აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა მხედველობაში უნდა მიიღონ. ესაა: ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა; სამხრეთ-ჩინეთის ზღვაზე და მონღოლეთზე მისი სუვერენიტეტის დე-ფაქტო აღიარება; რეგიონში მის სამხედრო დომინანტობასთან შეგუება; მისი ლიდერობის გათვალისწინება რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტის დროს; საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩინელების უფლებების პატივისცემა; პეკინის მხარდაჭერა დასავლეთთან კონფლიქტში და ა.შ.

რამდენადაც ჩინეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს განიხილავს მთავარ მოწინააღმდეგედ, ამდენად ვაშინგტონიც სავსებით ლოგიკურად გამოდის აზია-წყნარი ოკეანის ავანსცენაზე, როგორც მთავარი დაპირისპირებული ძალა ჩინურ მზარდ ამბიციებთან. ამ ვითარებაში კი ბევრი აზიური სახელმწიფო, ხედავს რა რეგიონში სერიოზულ ცვლილებას ძალთა ბალანსში, გაურბის პეკინთან კონფლიქტს აშშ-ს პოლიტიკის მხარდაჭერის გამო. პირიქით, ისინი ცდილობენ ფეხი აუწყონ ახალ რეალობას და თავისებურად „მოერგონ“ ჩინეთის ჰეგემონიას. თუმცა ეს ყველას არ ეხება. იაპონია, ინდონეზია, ვიეტნამი რჩებიან იმ ქვეყნებად, რომლებიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებიან აზიური გიგანტის გავლენის ზრდას. ჰანტინგტონი წერს, რომ ჩინეთის აღმავლობა დაკავშირებულია მისი კონფუციანური კულტურის დიდ გამოღვიძებასთან; იმ კულტურისა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავტორიტეტს, წესრიგს, იერარქიას და პიროვნებაზე კოლექტივის უპირატესობას. იგი

თავისი ძირითადი პარამეტრებით და მაკონსტიტუირებელი პრინციპებით არსებითად განსხვავდება დასავლური ცივილიზაციისაგან. თუკი მე-20 საუკუნის დასაწყისში აზიელი ინტელექტუალები კონფუციანელობას მიიჩნევდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ჩამორჩენილობის მიზეზად, საუკუნის მიწურულს უკვე ჩინეთის, სინგაპურის, ტაივანის და სხვათა სახელმწიფო მოღვაწეები და მოაზროვნეები სწორედ მასში ხედავდნენ საკუთარი ქვეყნის პროგრესის წყაროს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ რეგიონში კვლავაც უმნიშვნელოვანეს ფიგურად რჩება იაპონია, რომელიც უთუოდ მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერია და სადაც „ნიხონდზინრონი" ანუ „თეორია იაპონიისა და იაპონელთა შესახებ", უთუოდ აღორძინებას განიცდის. დაბოლოს, აზიაში და კერძოდ, სამხრეთ აზიაში გამოჩნდა კიდევ ერთი უმსხვილესი მოთამაშე: ესაა ინდოეთი თავისი გასაოცრად მზარდი ეკონომიკით, სამხედრო პოტენციალით და უკვე მილიარდზე მეტი მოსახლეობით. ამ ქვეყნის გაძლიერებაც გამსჭვალულია ცივილიზაციურ—იდენტობის ცნობიერებით, სახელდობრ, ინდუიზმის აღმავლობით. როგორც ავტორი აღნიშნავს, გასული საუკუნის 90-იან წლებში მისი მებაირახტრეები იყვნენ არა ჩამორჩენილი სოციალური ფენის, არამედ განათლებული საშუალო კლასის წარმომადგენლები, რომელთა შორის მრავლად ნახავდით უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს, ინტელექტუალებს, ჟურნალისტებს და ა.შ. ინდოეთის ასეთი თვალშისაცემი გამოსვლა გლობალურ არენაზე, ცხადია, ასევე ცვლის ძალთა ბალანსს ცივილიზაციათა შორის.

თანამედროვე მსოფლიოში სახეზეა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი — ისლამური აღორძინება. ამასთან დაკავშირებით სამუელ ჰანტინგტონი აღნიშნავს შემდეგს: შეიძლება მავანს გაუკვირდეს, თუ რატომ ვიწყებ „ისლამურ აღორძინებას" დიდი ასოთი. მიზეზი ისაა, რომ ეს ტერმინები გამოხატავენ განსაკუთრებულ ისტორიულ ფენომენს, რომელიც თავისი მნიშვნელობით არ ჩამორჩება ამერიკულ რევოლუციას, საფრანგეთის რევოლუციას, რუსულ რევოლუციას და გარკვეულწილად ჰგავს პროტესტანტულ რეფორმაციას დასავლურ საზოგადოებაში. დიახ, ლაპარაკია მთელი მუსლიმანური სამყაროს მასშტაბით გავრცელებულ ინტელექტუალურ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობაზე და არა უბრალოდ, ისლამურ ფუნდამენტალიზმზე. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, ამ ფართო და საყოველთაო მოძრაობის მხოლოდ ერთ-

ერთი შემადგენელი ნაწილია. ისლამური აღორძინება პრაქტიკულად შეეხო ყველა მუსლიმანურ ქვეყანას. გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ეს პროცესი, როგორც წესი, იწყებოდა ჯერ ისლამური საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებით: ისლამური სკოლების, ისლამური საავადმყოფოების და ა.შ. მალე მან სრული მხარდაჭერა მიიღო თავად სახელმწიფო დონეზე: მაროკოში, ტუნისში, იორდანიაში, ერაყში, თურქეთში, ბანგლადეშში, ინდონეზიაში თუ ცენტრალური აზიის ქვეყნებში ხელისუფალნი ერთმნიშვნელოვნად გამოხატავდნენ თავიანთ ერთგულებას ისლამური ტრადიციებისადმი. აღარაფერს ვლაპარაკობთ ირანზე, სადაც ხომეინის რევოლუციის შედეგად პირდაპირ ისლამური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. ნავთობით და გაზით მდიდარი სახელმწიფოების მუსლიმანი ლიდერები იყენებდნენ თავიანთ რესურსებს და ფინანსებს, რათა ყველანაირად უზრუნველეყოთ რელიგიური აღმავლობის პროცესი. მეორე მხრივ კი, ამ უკანასკნელს დიდად შეუწყო ხელი ისლამური სამყაროს შთამბეჭდავმა დემოგრაფიულმა ზრდამ. საბოლოო ჯამში, სადღეისოდ მივიღეთ აღორძინებული ისლამური ცივილიზაციის მძლავრი ფენომენი. რომელმაც კარდინალურად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკის მიმართულებები, ორიენტირები და ტენდენციები და რომელმაც ასევე კარდინალური ცვლილება შეიტანა ცივილიზაციათა ძალთა ბალანსში.

ჩვენ მომსწრენი ვართ აგრეთვე (ჰანტინგტონის ტერმინოლოგიით, რომ ვთქვათ) მართლმადიდებლური ცივილიზაციის ისეთი ღერძული სახელმწიფოს აღმასვლისა, როგორიცაა რუსეთი. დიახ, იგი დღითიდღე ძლიერდება. ესაა ფაქტი. მისი გაძლიერების მიზეზი აღმოჩნდა ნავთობის გაძვირებით მიღებული უზარმაზარი შემოსავლები, გაზის ბერკეტების მძლავრი ამოქმედება, მზარდი ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაში, სახელმწიფო სტრუქტურების განმტკიცება და სამხედრო პოტენციალის მაღალი დონის უზრუნველყოფა. რუსეთმა თანდათანობით დაიბრუნა გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცის დიდ ნაწილში. ეფექტურად მანიპულირებს რა ირანის, ჩრდილოეთ კორეის და სხვა მტკივნეული თემებით და მოხერხებულად ლავირებს რა ჩინეთთან, ევროპასთან და აშშ-სთან ურთიერთობებში, იგი კვლავაც მოგვევლინა გლობალური პოლიტიკური საჭადრაკო დაფის ერთ-ერთ წამყვან ფიგურად. ამასთან ერთად თავის პოლიტიკურ და კულტურულ ხელახალ თვითდამკვიდრებაში რუსეთი ცდილობს წარმოდგეს არა საბჭოთა კავშირის,

არამედ მართლმადიდებლური იმპერიის ტრადიციების მემკვიდრედ. ცხადია, ყოველივე ზემოთ თქმული ასევე ასახავს სერიოზულ ცვლილებებს ცივილიზაციურ ძალთა ბალანსში.

რა თქმა უნდა, კიდევ სხვა პროცესებითაც ხასიათდება პოლიციცივილიზაციური მსოფლიოს ფორმირება, რომლებზედაც გველაპარაკება სამუელ ჰანტინგტონი და რომლებმაც ნაწილობრივ მისი პუბლიკაციის შემდგომაც იჩინეს თავი. ახლა ჩვენ ამოცანას არ შეადგენს მათი ამომწურავი ანალიზი. ჩვენ გვსურდა მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი და არსებითი სურათი შეგვექმნა მათ შესახებ. დიახ, ამ პროცესებმა მოიტანეს ახალი ტიპის მსოფლიო ახალი კონფლიქტებით: წავიდა დრო იდეოლოგიური დაპირისპირებებისა და მოვიდა დრო ცივილიზაციათა შორის შეჯახებებისა. და განა ეს უტყუარი რეალობა არ არის? ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა ხარისხის კონფლიქტების მთელ სპექტრს: სახეზეა უმწვავესი დაპირისპირება დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის, რომელზეც ნათლად მეტყველებენ ომები ერაყსა და ავღანეთში, საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ქსელის ვირუსული შეტევები, უკიდურესი კონფრონტაცია აშშ-სა და ირანს შორის... სახეზეა ჩინეთისა და აშშ-ს გადამწყვეტი გეოსტრატეგიული ურთიერთჭიდილი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ჰეგემონიისათვის; სახეზეა შეუნელებელი კონფლიქტი ინდუიზმსა და ისლამს შორის, რასაც მუდმივად გვახსენებენ ქაშმირის სისხლიანი შეტაკებები თუ უმძიმესი ტერორისტული აქტები ინდოეთში; სახეზეა მეტოქეობის და დაძაბულობის ზრდა რუსეთსა და აშშ-ს შორის მიუხედავად მათი სტრატეგიული „მეგობრობისა": მიდის ბრძოლა დიპლომატიური, ეკონომიკური თუ ფარული მეთოდებით გავლენის სფეროებისათვის, ენერგომატარებლების მარშრუტებისათვის და ა.შ. კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრებიდან, რომელიც ცხადყოფს ცივილიზაციური კონფლიქტების წარმმართველ როლს დღევანდელ მსოფლიოში. საჭიროა ყოველივე ეს კარგად გავიაზროთ, რათა ჩვენთვის ნათელი შეიქნას შემდეგი ვითარება: მართლაცდა, დაიმსხვრა მითი გლობალური ახალი წესრიგის შესახებ; ჰარმონიული ერთპოლუსიანი სამყაროს ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ცივილიზაციათა შორის შეჯახებების მღელვარე ოკეანეს, სადაც ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რა იქნება და რა გველოდება...

ჩვენ ძალზე ზოგადად განვიხილეთ ფუკუიამას და ჰანტინგტონის თეორიები. ორივე საკმაოდ არგუმენტირებულია. მაგრამ ერთი გვე-

ლაპარაკება ისტორიის დასასრულზე, მეორე კი — დიდი ისტორიული პროცესის დასაწყისზე. არსებობს კი წინააღმდეგობა მათ შორის? თუ პირიქით, ისინი ერთმანეთთან სავსებით თავსებადნი არიან. დიახ, წინააღმდეგობა მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითია და სინამდვილეში ეს თეორიები ერთი მედლის (ანუ ერთი ჭეშმარიტი ვითარების) ორ მხარეს წარმოადგენენ. ფრენსის ფუკუიამა, უთუოდ, ზუსტი და უტყუარია თავის ანალიზში: ისტორია დასრულდა, როგორც უნივერსალური მიზანმიმართული პროცესი; როგორც საყოველთაო საკაცობრიო მიზნისაკენ მსვლელობა; როგორც უფრო სრულყოფილი ფორმაციის ძიება; როგორც პროგრესი. იგი აბსოლუტურად ლოგიკურად გვისაბუთებს, რომ შეუძლებელია დავუშვათ უფრო სრულყოფილი მმართველობის ფორმა, ვიდრე ესაა ლიბერალური დემოკრატია, რომელიც შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახით — კონსტიტუციური მონარქიის ან რესპუბლიკის. ლიბერალური დემოკრატიის იქით ანუ მის წინ ნამდვილად არაფერი არ ჩანს და ვერც ვერაფერი ვერ გამოჩნდება, ხოლო მის უკან მთელი წყვდიადია თავისი დესპოტიზმებით, აბსოლუტიზმებით, ავტორიტარიზმებით, ტოტალიტარიზმებით, ფუნდამენტალიზმებით... დასასრული სახეზეა! მაგრამ დაიწყო ახალი ისტორია, როგორც ცივილიზაციათა ხელახლა დისპერსია; როგორც მათი კონფლიქტები და ალბათ, როგორც მათი დიალოგის მცდელობაც ერთმანეთთან. რატომ? იმიტომ, რომ იქ, სადაც დაუძლეველი კონფლიქტია, სახეზეა აგრეთვე მისი გადალახვის ანუ დიალოგის ღია თუ ფარული ტენდენცია. მაშასადამე, ლიბერალური დემოკრატიის, ე.ი. დასავლური ცივილიზაციის პრინციპების ტრიუმფმა ანუ მათ მიერ პლანეტაზე დომინანტური პოზიციების დაკავებამ გვამცნო ერთიანი ისტორიული ევოლუციის ფინალი. მაგრამ მათი შემდგომი გლობალური გავრცელება ყველგან და ყველა მიმართულებით უკვე ილუზია აღმოჩნდა. პირიქით, ამ ტრიუმფალური ფინალით სათავე დაედო სხვადასხვა ცივილიზაციათა აღორძინების, ხელახალი თვითდამკვიდრების, ურთიერთგამიჯვნის და ურთიერთშეჯახების გრანდიოზულ პროცესს. თითქოსდა დაიხურა ერთი დიდი ტომი ისტორიისა და გადაიშალა ახალი — სხვა სათაურით და შინაარსით. როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნული თეორიები არათუ ურთიერთწინააღმდეგობრივია, არამედ ლოგიკურად არიან ურთიერთდაკავშირებულნი.

ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს დასავლეთის სტრატეგია მრავალპოლუსიან სამყაროში? სამუელ ჰანტინგტონი იძლევა პასუხს

ამ კითხვაზე თავისი წიგნის დასკვნით ნაწილში: დასავლეთმა უარი უნდა თქვას უნივერსალიზმზე ანუ თავისი პრინციპების გლობალური დამკვიდრების ტენდენციაზე. ეს უნივერსალიზმი საშიშია არა მხოლოდ მსოფლიოსთვის, ვინაიდან იგი ძალზე სერიოზულ კონ-ფლიქტებს განაპირობებს, არამედ საშიშია, უპირველეს ყოვლისა, თავად დასავლეთისათვის, ვინაიდან მან შეიძლება ამ კონფლიქტებში უმძიმესი მარცხი იწვნიოს. დასავლური ცივილიზაცია ესოდენ აღმატებული და ფასეულია თავისი პრინციპების, ღირებულებების, ინსტიტუტების უნიკალურობის და არა უნივერსალურობის გამო. შესაბამისად, დასავლეთის ლიდერების მთავარი პასუხისმგებლობა მდგომარეობს არა სხვა ცივილიზაციების გარდაქმნაში საკუთარ ყაიდაზე, არამედ საკუთარი ცივილიზაციის უნიკალური თვისებების შენარჩუნებაში, განმტკიცებაში, დაცვაში და განახლებაში. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პასუხი და დასკვნა ძალზედ ღრმააზროვანი და ადეკვატურია.

ჩვენთვის, ქართველებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასავლეთის ბედი ცივილიზაციათა შეჯახების ამ ერაში. რატომ? იმიტომ, რომ საქართველო გარკვეულწილად უკვე მიეკუთვნება დასავლურ ცივილიზაციას და ჩვენში ფეთქავს საკმაოდ მძლავრი ტენდენცია ამ სამყაროში უფრო მჭიდრო ინტეგრირებისა. ეს არის ფაქტი! დიახ, მეტად თავისებური და არაერთმნიშვნელოვანია ჩვენი ცივილიზაციური იდენტურობა. ცხადია, ისტორიულადაც და აწმყო ყოფიერებაშიც ქართველი ერის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს მართლმადიდებლობა შეადგენს. ჩვენთვის ეროვნული თვითგადარ-ჩენა და თვითდამკვიდრება, ფაქტობრივად, მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვასთან იყო გაიგივებული. მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის აღორძინება განუყოფელი აღმოჩნდა მართლმადიდებლური ეკლესი-ის აღზევების პროცესისაგან. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი გაძლიერების პერსპექტივებიც უშუალო-დაა დაკავშირებული ჩვენი ეკლესიის როლის შემდგომ ზრდასთან. ასე იყო და ასე იქნება. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენ წარმოვადგენთ მართლმადიდებლური ცივილიზაციის ორგანულ ნაწ-ილს. მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე ბუნებრივია საქართველოს სწრაფ-ვა დასავლური სამყაროსადმი: ჩვენთვის სრულიად ორგანულია ბევრი რამ, რაზეც ისტორიულად დგას დასავლური ცივილიზაცია: ანტიკური მემკვიდრეობა, სოციალური პლურალიზმი (ამას ადას-

ტურებს, თუნდაც ფეოდალიზმის სრულფასოვანი ტრადიციები საქართველოში), და განსაკუთრებით ინდივიდუალიზმი. სწორედ ქართულ ინდივიდუალიზმშია დასავლეთთან ჩვენი ნათესაობის და სიახლოვის „გენეტიკური" საფუძველი. ჩვენთვის ბუნებრივია შინაგანი სილაღე, აზროვნების თავისუფლება, იმპროვიზაცია და უცხოა ყოველგვარი ფანატიზმი და შეზღუდულობა — იდეოლოგიური თუ რელიგიური. ჩვენ ვართ ტოლერანტები. საქართველო ვერ გაითავისებს ავტორიტარიზმს ან ტოტალიტარიზმს, ვინაიდან ქართველი ადამიანის ფსიქიკისათვის ყველაზე მეტად ადეკვატურია ლიბერალური დემოკრატია, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ცხოველმოქმედების დიდ მონაპოვარს წარმოადგენს. აი, ასეთი უცნაური აღმოჩნდა საქართველოს ხვედრი: ჩვენ მივეკუთვნებით ორ დიდ ცივილიზაციას და ეს ყოველთვის და ყველგან უნდა გაითვალისწინონ იმ ლიდერებმა, რომლებსაც გარკვეულწილად ქვეყნის ბედი აბარიათ. დიახ, ჩვენ ვართ მართლმადიდებლები და სწორედ ამაშია ქართველი ერის უდიდესი სასიცოცხლო ძალა და რესურსი! დიახ, ჩვენ ვართ თავისუფალი ინდივიდუალობები და სწორედ ამიტომ შეგვიძლია ლაღად ვისუნთქოთ მხოლოდ იმ ატმოსფეროში, სადაც ლიბერალიზმი და დემოკრატია სუფევს! ვფიქრობ, რომ ეს უცნაური შერწყმა ორი ცივილიზაციისა არის საწინდარი ჩვენი უნიკალური კულტურის და სახელმწიფოებრივი ტრადიციულობის აღორძინებისა.

ჟურნ. „ჩვენი მწერლობა"
22 ივნისი 2007 წ.

ისტორიული მემკვიდრეობა და მომავლის კონტურები

1314 წელს საფრანგეთში კოცონზე დაწვეს ტამპლიერთა ორდენის დიდი მაგისტრი — ჟაკ დე მოლე. ორი წლით ადრე კი პაპმა თავისი დეკრეტით გააუქმა ეს ორდენი. ტამპლიერთა წინააღმდეგ დევნის გაშმაგებული ინიციატორი იყო საფრანგეთის მეფე — ფილიპე IV (იგი ისტორიაში ცნობილია ფილიპე ლამაზის სახელით). მან თავის დროზე მოახერხა უზენაესი პონტიფიკოსის ტახტზე საკუთარი მარიონეტის — პაპი კლიმენტი V-ის დასმა, რომელმაც აქტიურად მხარი დაუჭირა ამ რეპრესიებს. ამიტომ ფილიპე ლამაზის მიერ დაწყებული სასამართლო პროცესები აიტაცა ინკვიზიციამ და შესაბამისად, ორდენის წევრთა დევნა გავრცელდა მთელი ევროპის მასშტაბით. თუმცა განსაკუთრებით მკაცრი ხასიათი მას სწორედ საფრანგეთში ჰქონდა. ფილიპე IV-ის ეს აგრესია განპირობებული იყო სხვადასხვა მოტივებით: იგი აღიქვამდა მძლავრი სამხედრო ორგანიზაციის არსებობას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც რეალურ საფრთხეს მისი ხელისუფლებისათვის; მას მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი ორდენის უზარმაზარი სიმდიდრის შესახებ; და ბოლოს ფილიპეს ჰქონდა პიროვნული მძაფრი სიძულვილიც ტამპლიერთა მიმართ. აღსანიშნავია, რომ ორდენის წევრთა დაკითხვები მიმდინარეობდა საშინელი ზეწოლისა და წამების პირობებში. მათ ბრალს სდებდნენ ერესში, ბავშვთა მკვლელობებში, ჰომოსექსუალიზმში და ა.შ. ამ აუტანელი წამების შედეგად ბევრი მათგანისგან მოახერხეს აღიარების მიღება. ისმის კითხვა: ვინ იყვნენ ტამპლიერები და რატომ არიან ისინი დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესონი?

ტაძრელ რაინდთა ორდენი (სწორედ ამას ნიშნავს ტერმინი „ტამპლიერი") შეიქმნა 1118 წელს. მათ ოფიციალურ მიზანს შეადგენდა იერუსალიმის სამეფოს დაცვა და პილიგრიმების უსაფრთხოების უზრუნველყოფა „წმინდა მიწაზე". თავიდანვე ორდენის წევრები იყვნენ საკმაოდ დიდგვაროვანი პერსონები: გრაფი ჰუგო შამპანელი, მისი

ვასალი — ჰუგო დე პეიენი, წმინდა ბერნარის ბიძა — ანდრე დე მონბარი, ანჟუის ჰერცოგი — ფულკ ნერა და ა.შ. სწორედ ჰუგო დე პეიენი გახდა პირველი დიდი მაგისტრი. საეკლესიო კრებაზე ტრუაში ორდენმა მიიღო წესდება, რომლის მიხედვითაც ქრისტიანულ ისტორიაში სრულიად ახალი ფენომენი გამოჩნდა: მეომარი-ბერი ანუ ბერი-მეომარი. ორდენი სწრაფად ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა: იზრდებოდა მისი წევრების რაოდენობა, შემოსდიოდა მას დიდი ფულადი და ნატურალური შემოწირულობები. სულ მალე ტამპლიერები მრავალ ტერიტორიას ფლობდნენ საფრანგეთში, ინგლისში, შოტლანდიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიასა და კონსტანტინოპოლში. დიდი მაგისტრი თავის პროვინციებში ნიშნავდა მაგისტრებს და ქმნიდა ფილიალებს, ე.წ. პრეცეპტორიებს. ორდენის ქსელი ფართოვდებოდა მთელი ევროპის მასშტაბით. თუმცა ტაძრელ რაინდებს აქაურ მონარქებთან არაერთმნიშვნელოვანი ურთიერთობები ჰქონდათ. ამ მხრივ გამოირჩეოდა მათი მჭიდრო თანამშრომლობა და მეგობრობა ინგლისის მეფეებთან, მაგალითად, რიჩარდ ლომგულთან, რომელსაც ხშირად საპატიო ტამპლიერადაც კი მიიჩნევდნენ. ხოლო მისი ძმის ჯონის (ხანმოკლე პერიოდში ასევე ქვეყნის მეფის) უახლოესი მრჩეველი იყო ინგლისის დიდი მაგისტრი — აიმერიკ დე სენ მარი, სწორედ, რომლის უშუალო შეგონებითაც მან ხელი მოაწერა თავისუფლებათა დიდ ქარტიას 1215 წელს.

ტაძრელ რაინდთა ორდენის სიძლიერე განპირობებული აღმოჩნდა რამდენიმე ფაქტორით: ა) მათი ბრწყინვალე სამხედრო მომზადებითა და ორგანიზაციით, ბ) პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტივობით, გ) უდიდესი ეკონომიკურ-ფინანსური პოტენციალით. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მათ უზარმაზარი შემოსავლები შემოსდიოდათ არა მხოლოდ თავისი მიწებიდან, არამედ აგრეთვე წმინდა ფინანსური და კომერციული საქმიანობიდან. კომპეტენტური სპეციალისტების აზრით, სწორედ, რომ ტამპლიერები აღმოჩნდნენ იტალიური სავაჭრო სახლებისა და თანამედროვე საბანკო საქმის წინამორბედნი. დიახ, ისინი აქტიურად იყვნენ დაკავებულნი, როგორც ვაჭრობით (მაგალითად, შალის ექსპორტით), ასევე პროცენტიანი სესხების ანუ კრედიტების გაცემით. ამგვარად, ყოველივე ერთად აღებული განაპირობებდა ორდენის უზარმაზარ გავლენას და მტკიცე პოზიციებს ევროპულ სამყაროში. ტაძრელ რაინდთა ტრანსნაციონალურმა მოღვაწეობამ, ალბათ, განსაზღვრა მათი ის ინტერნაციონალისტური სულისკვეთება, რაზედაც ხშირად საუბრობენ ხოლმე

ისტორიკოსები; ხოლო მათმა სიახლოვემ აღმოსავლურ კულტურებთან, შესაძლებელია, ხელი შეუწყო იმ თავისუფალი (არადოგმატური) რელიგიური მრწამსისა და შეხედულებების განვითარებას (მათ შორის, ქრისტიანობის, იუდაიზმის და ისლამის ურთიერთშერიგების იმპულსებს), რაშიც მათ ინკვიზიცია ბრალს სდებდა. 1291 წელს დაეცა ჯვაროსნების უკანასკნელი ბასტიონი წმინდა მიწაზე — ქალაქი აკრა, რის შედეგადაც დასრულდა იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს არსებობა. ფაქტობრივად, ტაძრელ რაინდთა ორდენი დარჩა ბაზირების ადგილისა და ფუნქციის გარეშე. თუკი სხვა ორდენები ამ დროისათვის ინარჩუნებდნენ თავიანთ სამოქმედო ასპარეზს (მაგალითად, ჰოსპიტალიერები — მალტაზე, ტევტონელები — ბალტიკაში), ტამპლიერები, როგორც უძლიერესნი და გამორჩეულნი მათ შორის, სრულიად ხელმოცარულნი აღმოჩნდნენ. დაიწყო ორდენის დაისი. სწორედ ამ ვითარებით ისარგებლა ფილიპე ლამაზმა, როდესაც შეუდგა ტამპლიერების მასობრივ რეპრესიებს. საბოლოოდ კი, 1312 წელს ბერ-რაინდების ორგანიზაციამ ოფიციალურად არსებობა შეწყვიტა რომის პაპის გადაწყვეტილებით.

ტამპლიერების თემა იმიტომაა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო, რამდენადაც ავტორიტეტული მეცნიერული ვერსიების თანახმად, სწორედ ისინი გვევლინებიან მასონობის წინაპრებად. ამ ფენომენის გენეზისში არაერთმა ფაქტორმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი და მათ შორის ტაძრელ რაინდთა ორდენმაც. ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსების — მაიკლ ბეიჯენტის და რიჩარდ ლის — კვლევები ცხადყოფენ, რომ მასონობის წარმოშობა დაკავშირებული იყო დევნილი ტამპლიერების ემიგრაციასა და დამკვიდრებასთან შოტლანდიაში, სადაც მათი ტრადიციები გარკვეულწილად მემკვიდრეობითად შემონახულ იქნა ქვისმთლელთა და მშენებელთა გილდიების მიერ. ერთი შეხედვით, შეიძლება გაგვიკვირდეს, თუ რა შუაშია უბრალო ქვისმთლელები და მშენებლები ამ პროცესებთან! მაგრამ ფაქტია, რომ ეს გილდიები განსაკუთრებული პატივით და ყურადღებით სარგებლობდნენ შოტლანდიაში (შემდგომ კი მთელ ბრიტანეთში) და მათ უფროსს (ანუ სიტყვასიტყვით „სამუშაოთა მმართველს") მეფე ნიშნავდა მე-15 საუკუნიდან მოყოლებული. სწორედ 1441 წელს პირველი სამუშაოთა მმართველი გახდა დიდგვაროვანი სერ უილიამ სინკლერი შოტლანდიის მეფის იაკობ II-ის ხელდასხმით. გილდიების ქსელი სწრაფად ვრცელდებოდა და იქმნებოდა მისი ლოჟები სხვადასხვა ქალაქებში. მათი განსაკუთრებული

მნიშვნელობა და შარავანდედი განპირობებული იყო იმ ეზოთერული დატვირთვით, რასაც ისინი, თუნდაც მხოლოდ რიტუალურ დონეზე თავის თავში ატარებდნენ და რაც მათ თავიდან შეთვისებული ჰქონდათ სწორედ რომ მიგრანტი ტაძრელებისგან. ეს ეზოთერიკა კიდევ უფრო მძლავრად შემოვიდა შოტლანდიასა და ინგლისში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ: იქიდან დაძრულ ლტოლვილთა ნაკადთან ერთად დასავლეთ ევროპას მოაწყდა ჰერმეტიკოსების, ნეოპლატონიკოსების, გნოსტიკოსების, კაბალას ტექსტები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა თავად რენესანსის აღმოცენებაზე. კონტინენტიდან კი, ცხადია, ყოველივე ამან კუნძულზეც შემოაღწია. ამასთან ერთად 1492 წელს ესპანეთში ფერდინანდის და იზაბელას მიერ წამოწყებულ სასტიკ ომს ისლამისა და იუდაიზმის წინააღმდეგ შედეგად მოჰყვა ლტოლვილ მუსლიმანთა და ებრაელთა ტალღა აღმოსავლეთისკენ და ჩრდილოეთისკენ, რომლებიც იქ ასევე თავისი ეზოთერული „კაპიტალით" მიდიოდნენ. ხოლო ლოტარინგიის საჰერცოგო კარმა შეასრულა იმ პირდაპირი ხიდის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ეს ახალი იდეები შევიდა შოტლანდიაში, ვინაიდან სწორედ დე-გიზები აღმოჩნდნენ მეთექვსმეტე საუკუნეში ევროპული ეზოთერიკის გულანთებული მფარველები. მარია დე-გიზი გახდა შოტლანდიის მეფის იაკობ V-ის მეუღლე, რამაც განაპირობა ლოტარინგიასა და შოტლანდიას შორის მჭიდრო ახლობლობა. დიახ, მოგვიანებით აღმოცენებული მასონობის მსოფლმხედველობა დაეფუძნება აი, იმ ახალ „დაფარულ" ცოდნას, რომელიც ქრისტიანული, იუდაური, ისლამური და ბერძნული ფილოსოფიის თავისებურ ნაზავს წარმოადგენდა და რომლის ქვაკუთხედიც იყო იდეა ღმერთის, როგორც არქიტექტორისა და ღვთაებრივი გეომეტრიით აგებული სამყაროს შესახებ.

და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მასონობის გენეზისისა გერმანული როზენკროიცერიანელობაა, რომელიც მე-17 საუკუნეში ენერგიულად შემოიჭრა ბრიტანეთში (სადაც ინგლისი და შოტლანდია უკვე გაერთიანებული იყვნენ ერთი მეფის — იაკობ I-ის ხელისუფლების ქვეშ) და აქ იგი ძალზედ ნაყოფიერად შეერწყა ქვისმთლელთა ლოჟების სისტემას. მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ მასონობა აღმოცენდა იმ მდიდარ ნიადაგზე, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა „ინგრედიენტებისგან" და სახელდობრ, წარმოადგენდა ტამპლიერთა ტრადიციების, შოტლანდიელ ქვისმთლელთა გილდიების, ეზოთერული ცოდნისა და როზენკროიცერიანელობის უცნაურ სინთეზს.

საკუთრივ პირველი მასონური ორგანიზაციები გაჩნდნენ მე-17 საუკუნეში. სახელდობრ, ყველაზე ძველი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც 1641 წლით თარიღდება, სერ რობერტ მორეი მიღებულ იქნა ედინბურგის ძველი ლოჟის წევრად. იგი იყო ინგლისის მეფეების ჩარლზ პირველის და ჩარლზ მეორის დაახლოებული დიდგვაროვანი და საკმაოდ მაღალი თანამდებობაც ეკავა. მორეის აგრეთვე იცნობდნენ, როგორც ქიმიკოსს, ბრწყინვალე მათემატიკოსს და როზენკროიცერიანელთა მგზნებარე დამცველს. ამავე პერიოდში მოღვაწეობდა კიდევ ერთი ცნობილი ინგლისელი მასონი — ელიას აშმოლი, რომლის ხელდასხმაც ასევე დოკუმენტურად არის დამოწმებული. ის აქტიურად ეწეოდა მეცნიერულ, ფილოსოფიურ, ისტორიულ კვლევებს და სერიოზული ავტორიტეტითაც სარგებლობდა. სწორედ რობერტ მორეი და ელიას აშმოლი არიან ინგლისის სამეფო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელნი.

1717 წელს შეიქმნა ინგლისის დიდი ლოჟა, რაც იყო შედეგი მიმოფანტული მასონური ლოჟების ცენტრალიზაციის ტენდენციისა. მისი იურისდიქციის ქვეშ მოქცეულია სამი ხარისხი: მოწაფე, შეგირდი და ოსტატი. თუმცა არსებობს დამატებითი უფრო მაღალი „გრადუსებიც", რომლებსაც თავიდან ტრადიციულად სხვა ლოჟები განკარგავდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, სამეფო თაღის დიდი კაპიტული და ა.შ. რაც შეეხება საფრანგეთს, აქ მასონობამ შემოაღწია ემიგრირებულ იაკობიტებთან ერთად (ლაპარაკია ინგლისის დამარცხებული და განდევნილი კათოლიკე მეფის — იაკობ II-ის მომხრეებზე). მასონური ორგანიზაციების ქსელმა ამ ქვეყანაშიც სწრაფად დაიწყო გავრცელება და საბოლოო ჯამში, მე-18 საუკუნის ოციან წლებში ჩამოყალიბდა ცენტრალური ლოჟა — დიდი აღმოსავლეთი.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ამ ისტორიულ ექსკურსს, ვინაიდან მოცემული სტატიის ამოცანას არ შეადგენს მასონობის ფენომენის ფართო და დეტალური განხილვა. ეს ზოგადი, მაგრამ ობიექტური მიმოხილვა მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული სწორი დასკვნებისა და შეფასებების გაკეთებას. თუკი გავაგრძელებთ საუბრის თემას, აღვნიშნავთ შემდეგს: რაღაც ისტორიულ ეტაპზე მასონობა, მართლაცდა, ჩამოყალიბდა იმ დიდ, ქმედით და ორგანიზებულ ძალად, რომელმაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესები მსოფლიო არენაზე. ინგლისში მან ძალზედ შეუწყო ხელი ლიბერალური პოლიტიკური გარემოსა და სოციალურად მობილური საზოგადოების ჩამოყალიბე-

ბას; სერიოზული გავლენა იქონია საფრანგეთში აბსოლუტიზმის საწინააღმდეგო და განმანათლებლობის იდეების გავრცელებაზე (თუმცა, სამწუხაროდ, ყოველივე ეს რევოლუციის ტრაგიკულ შედეგებში გადაიზარდა); უზარმაზარი როლი ითამაშა იტალიის გაერთიანებაში; საკმაო წვლილი შეიტანა ისეთ დიდ მოვლენაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების დამკვიდრება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და კიდევ მრავალ სხვა პროცესზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მასონები იყვნენ ვოლტერი, მონტესკიე, ლაფაიეტი, დანტონი, ტალეირანი, ნელსონი, ველინგტონი, ვალტერ სკოტი, კიპლინგი, გოეთე, ბლიუხერი, კუტუზოვი, პუშკინი, ბოლივარი, ხუარესი, ვაშინგტონი, რუზველტი და სხვა ბუმბერაზი პიროვნებები. მასონები ქადაგებდნენ ადამიანის უფლებებს, თანასწორობას, ერთა შორის დაახლოებას, რელიგიურ შემწყნარებლობას და რაც მთავარია, მათი აქტივობის შედეგად ამ იდეებმა მოიპოვეს უდიდესი ეფექტი და ზეგავლენა. დიახ, ჩვენთვის შეიძლება მიუღებელი იყოს მათი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები მართლმადიდებლური სარწმუნოების თვალსაზრისიდან, მაგრამ ამჟამად ეს არ შეადგენს ჩვენი შეფასების საგანს. საუბარია მასონების როლზე გარკვეულ ისტორიულ პროცესებში და ამ მხრივ ისინი, უთუოდ, მნიშვნელოვან პროგრესს ემსახურებოდნენ დასავლეთის კათოლიკურ-პროტესტანტულ სამყაროში. დიახ, როდესაც ევროპაში ბატონობდა პოლიტიკური ტირანია, ინკვიზიცია, კონფესიათა შორის სასტიკი ანგარიშსწორება და მრავალწლიანი გამაჩანაგებელი ომები, აი, სწორედ მაშინ მასონები ამკვიდრებდნენ ლიბერალიზმის, ტოლერანტობის და ერთაშორის ძმობის იდეებს. ცხადია, ეს პროგრესული მოვლენა იყო იმ პერიოდში და ჩვენ გვმართებს შეფასებები გავაკეთოთ ყოველგვარი ემოციებისა და წინასწარი განწყობის გარეშე. მაგრამ ფაქტია, რომ ისტორია ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. ისტორია სიცოცხლის სფეროა და ამიტომ იგი (ბერგსონისეული ტერმინოლოგიით) მუდმივ შემოქმედებით ევოლუციას საჭიროებს. მას სჭირდება ახალი მამოძრავებელი იდეები. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ის ფუნდამენტი, რომელიც უკვე მოვიპოვეთ ლიბერალური დემოკრატიის სახით და მისი დაკარგვა ყოვლად დაუშვებელია. მისი მოშლა და დაკარგვა დასავლური ცივილიზაციის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ ვდგავართ რა ამ ფუნდამენტზე, ჩვენ ისევ წინ ვიხედებით. რა შეიძლება იყოს ეს ახალი მამოძრავებელი იდეები? რამ შეიძლება

დიდი განახლების სული შთაბეროს ევროპულ სამყაროს? კითხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც, ე.ი. ქართველებისთვის, ვინაიდან საკუთარ ქვეყანას ამ სამყაროს ნაწილად აღვიქვამთ. ცხადია, ჯერჯერობით მასზე ზუსტი პასუხის გაცემა არარეალურია. ჩვენ მხოლოდ ბურუსში დავლანდავთ მომავლის ტრანსფორმაციებს და შესაბამისად, პასუხიც მხოლოდ ვარაუდის ხასიათს შეიძლება ატარებდეს. თანაც ამ საკითხის ანალიზი მოცემული სტატიის ამოცანებში არ შედის. ჩვენ უბრალოდ გვსურს გავაკეთოთ ზოგადი მინიშნებები და აღვნიშნოთ შემდეგი: ალბათ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის „ახალი", მაგრამ „ძველი" იდეები, რომლებიც მთელი მეოცე საუკუნის გენიალურ მოაზროვნეებს ასაზრდოვებდა: სახელდობრ, იდეა რელიგიის როლის გაძლიერების შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაზეც ლაპარაკობს შესანიშნავი პოსტმოდერნისტი გერმანელი ფილოსოფოსი პეტერ კოზლოვსკი. ანუ ეს გულისხმობს ევროპელი ერებისათვის ისტორიულად პრიორიტეტული რელიგიური ინსტიტუტების მნიშვნელობის და ფუნქციის ზრდას. და განა ჩვენც არ ვგრძნობთ უტყუარი ინტუიციით, რომ დიდი ცვლილებები ქართველი ერის ცხოვრებაში დაკავშირებული იქნება, სწორედ, მართლმადიდებლური ეკლესიის როლის აღორძინებასთან?! ალბათ, მხედველობაში უნდა გვქონდეს აგრეთვე უაღრესად აქტუალური იდეა ეროვნული სასიცოცხლო პოტენციალის (რაც მის დემოგრაფიაშიაც ვლინდება), ფასეულობების და ცნობიერების აღზევებაში, რის შესახებაც საოცარი დრამატიზმით გველაპარაკება ამერიკელი ფილოსოფოსი პატრიკ ბიუკენენი; და კიდევ სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის იდეები ტრიალებენ ჩვენს დამუხტულ ატმოსფეროში. საქმე ისაა, შეიძენენ თუ არა ისინი ქმედით ძალას, როგორც ეს მასონურმა იდეებმა შეიძინეს! შეძლებენ თუ არა ისინი გარდაუვალი პროცესების და გარდატეხების ინიცირებას? დაიწყება თუ არა დიდი განახლება ევროპული ცივილიზაციის? დიახ, ყველაფერი ჯერ მაინც კითხვების დონეზე რჩება, მაგრამ ჩვენ მაინც თითქოსდა ვხედავთ მომავალი ტრანსფორმაციების ბუნდოვან კონტურებს. ვნახოთ, დრო გვაჩვენებს, თუ საით მივდივართ და რა გველოდება!

ჟურნ. „ჩვენი მწერლობა"
2 მარტი 2007 წ.

დაუსწრებელი ფილოსოფიური დიალოგები

კ. — ირაკლი, ამდენი ხანია სამარტოო სკანში ხარ. თავს როგორ გრძნობ?

ი. — რა თქმა უნდა, იოლი არ არის, აბსოლუტურ იზოლაციაში ყოფნა: არა ტელევიზორი, არა რადიო, არა კონტაქტი ადამიანებთან; თვით ერთსაათიანი სეირნობის დროსაც კი სრულიად იზოლირებული ვარ. დიახ, ეს საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლაა ჩემზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, სულიერ მხნეობას და სიმტკიცეს მყარად ვინარჩუნებ. ჯანმრთელობასაც ჯერჯერობით არ ვუჩივი. აქ ჩემი ცხოვრების რეჟიმი მაქვს: ფიზიკური ვარჯიშები, ტრეინინგები ინგლისურში, სხვადასხვა სახის ლიტერატურის კითხვა, წერა და რაც მთავარია, ბევრი ლოცვა. საღამოობით სასეირნოდ გავყავართ. მეტნაკლები სიხშირით ვხვდები ჩემ ადვოკატებს და საქმესთან დაკავშირებით ვმსჯელობთ, ხოლო კვირაობით ზოგჯერ მოდის ჩემი მოძღვარი და მაზიარებს.

კ. — უცებ რადიკალურად სხვა რეალობაში აღმოჩნდი, თანაც სრულ სიმარტოვეში... რაიმე ცვლილებებს ხომ არ ამჩნევ საკუთარ თავში?

ი. — კი... ნამდვილად ვგრძნობ რაღაც შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესს. თუმცა ჯერ-ჯერობით მიჭირს მისი ხარისხის და მასშტაბის განსაზღვრა. იგი, ალბათ, უფრო დასაწყის სტადიაზეა. ეს რწმენაში გაძლიერების საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესია. როგორც ჩემმა მოძღვარმა მითხრა, **ღმერთმა თავისთან ჩამკეტა.** ამ პატარა საკანში უფალმა დამიმარტოხელა თავისთან, რათა მთელი ჩემი ცნობიერი და არაცნობიერი არსებით წარვიმართო მისკენ. პირველსაწყისი მიხმობს თავისკენ...

კ. — მე მგონი პატიმრობაში ყოფნას შენ თავისებურ გამოცდად აღიქვამ... თითქოსდა რაღაც შინაგანი მზაობის და პასუხისმგებლობის გრძნობით ხარ გამსჭვალული...

ი. — ინტუიცია არ გღალატობს! ჰო, მოცემულ მდგომარეობას ცხადად განვიცდი და ვისაზრისებ, როგორც ღვთის მიერ მოვლინებულ **გამოცდას**. ნამდვილად ვერ ავხსნი და დავასაბუთებ ამ განცდის მართებულობას — იგი უბრალოდ სახეზეა. სხვათა შორის ახლა ხელახლა ვკითხულობ თომას მანის რომანს „იოსები და მისი ძმები". გახსოვს, მასში რა გენიალურად არის წარმოჩენილი სწორედ, რომ ღვთაებრივი გამოცდის ფენომენი? თავისი ცხოვრების მანძილზე იოსები ორჯერ ჩავარდება დიდ განსაცდელში: პირველად, როდესაც საკუთარი ძმები ეჭვიანობის და შურის გამო ძველ, ამომშრალ ჭაში ჩააგდებენ, სადაც მას უეჭველი სიკვდილი ელოდება შიმშილისა და წყურვილისაგან; მეორედ, როდესაც ეგვიპტეში დააპატიმრებენ დიდგვაროვნის მეუღლის სასიყვარულო ინტრიგის გამო და ციხეში გამოამწყვდევენ. ორივე შემთხვევაში იგი დიდ სასოწარკვეთილებას და ტანჯვას განიცდის, მაგრამ იმავდროულად გამსჭვალულია ერთი რამის ცნობიერებით: იცის, რომ ეს არის ღვთაებრივი **განგების** მიერ დაწესებული გამოცდა, რომელიც მან უნდა მოთმინებით მიიღოს და გადაიტანოს და რომ ამ გზით უფალს იგი მიჰყავს რაღაც განახლებისაკენ. ალბათ, იდუმალი, მარადიული საწყისი ყველა ადამიანს უწესებს თავის წილ გამოცდას, მაგრამ ზოგი მას აცნობიერებს და ზოგი — ვერა. აი, ამ საკანში ყოფნა ის ხდომილებაა, რომელიც თავს დამატყდა განგებისაგან. ეტყობა ასეც უნდა მომხდარიყო... ეს ჩემი გამოცდაა და მე იგი უნდა გავიარო...

კ. — შენებმა მითხრეს ისევ ჰუსერლის ფენომენოლოგიას მიუბრუნდაო...

ი. — ჰო, ხომ იცი, ეს ჩემი მუდმივი ინტერესის სფეროა. სხვათა შორის ჩემებს ვთხოვე და ზურაბ კაკაბაძის შესანიშნავი წიგნი შემომიგზავნეს — „ექსისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია". ბრწყინვალე ანალიზია! ნათელი, ზუსტი და ლაღი! ფენომენოლოგიის გახსენებამ უაღრესად საინტერესო თემა შემოიტანა ჩემს თვალსაწიერში: გლობალიზაციის ტრანსცენდენტალური საფუძვლები. აი, ახლა ამით ვარ დაკავებული...

კ. — მართლაცდა, საინტერესოა, მაგრამ ჩემთვის ჯერ-ჯერობით ბუნდოვანი. თუმცა, თუკი მივიჩნევთ, რომ ყველა მოვლენას (ფიზიკურს, ქიმიურს, ბიოლოგიურს, ეკონომიკურს თუ პოლიტიკურს და ა.შ.) თავისი ტრანსცენდენტალური საფუძველი აქვს და შესაბამისად, ფენომენოლოგიურ ანალიზს ექვემდებარება, მაშინ

საკვირველი აღარაფერია. უბრალოდ, ამ საკითხზე ნამდვილად არასდროს არ მიფიქრია. გლობალიზაცია ყოველთვის სხვა კუთხით მაინტერესებდა. ისე, მე არც კი ვიცი შენი წმინდა ადამიანური დამოკიდებულება გლობალიზაციის ფენომენისადმი!

ი. — წმინდა ადამიანურადაც არც ცალსახად უარყოფითი და არც ცალსახად დადებითი დამოკიდებულება არ გამაჩნია. სწორედ, რომ ჩემი ფენომენოლოგიური „წრთობა" მიკრძალავს ვიყო მიკერძოებული. მსურს ამ ფენომენს მართლაცდა, მიუკერძოებელი მზერით შევხედო. თუ არ გეზარება, შემიძლია ზოგადად საქმის კურსში ჩაგაყენო ჩემი ფილოსოფიური ძიებების თაობაზე?!

კ. — მე დროში შეზღუდული ნამდვილად არ ვარ...

ი. — კარგი, მაშასადამე, საკითხი ასე დგას: რა საფუძველი აქვს გლობალიზაციის ისტორიულ გენეზისს ჩვენი წმინდა ცნობიერების სტრუქტურაში? რა ტრანსფორმაცია მოხდა ევროპულ კაცობრიობის წმინდა ცნობიერებაში, რამაც განსაზღვრა აღნიშნული გენეზისი? ამიტომ, მოდი ძალზედ მოკლედ განვიხილოთ ჰუსერლის ინტენციონალური ანალიზის გარკვეული ასპექტები. მოვიყვან ციტატას ზ. კაკაბაძის ნაშრომიდან: „სახელდობრ, რას ნიშნავს ცნობიერების ინტენციური ხასიათი? ცნობიერება ყოველთვის რაიმეს ცნობიერებაა, არის რაიმეს განცდა, რაიმეს მხედველობაში ქონება... ჰუსერლი ხაზს უსვამს იმას, რომ ცნობიერების ინტენციური დამოკიდებულება საგანთან არ უნდა ავურიოთ რომელიმე სხვა მიმართებაში. ეს სრულიად თავისებური დამოკიდებულებაა და იგი არ შეიძლება გავიგოთ ნივთებს შორის არსებული მიმართების მსგავსად. ინტენციური დამოკიდებულების დასახასიათებლად ჰუსერლი იყენებს სახოვან გამოთქმებს: „დამიზნებულობა" („Abzielung"), „მიმართულობა" („Gerichtetsein"). ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა რაიმეზე დამიზნებულობა და მიმართულობა". (ზ. კაკაბაძე „ექსისტენციური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია", გამომც. „მეცნიერება", თბილისი, 1985, გვ. 94-95).

რა თქმა უნდა, ჩემს ცნობიერებას ახასიათებს მიმართულობა გარეგან გრძნობად რეალობაზე: ვუყურებ ამომავალ მზეს, ვსვამ ვისკის, ვჯდები კომპიუტერთან, ვიცმევ ფეხსაცმელს, ვუსმენ მუსიკას, ვესაუბრები მეუღლეს, ვგრძნობ ზამთრის სუსხს... როდესაც მიმართული ვარ რაღაც გარეგან საგანზე და მხედველობაში „ვფლობ" მას, ყოველთვის მხედველობაში მაქვს იმაზე მეტი, ვიდრე რაც აქტუალურადაა მოცემული. მაგალითად, ჩემს წინაშეა აი, ეს

ლურჯი ჭიქა: მე მას აღვიქვამ გარკვეული რაკურსით და შესაბამისად, აქტუალურად მეძლევა მისი გარკვეული მხარეები, ფრაგმენტები, ხოლო სხვები — არა. ვთქვათ, ვხედავ მის ამ მხარეს, ყურს, მაგრამ ვერ ვხედავ უკანა მხარეს ძირს, ფსკერს და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ ვუყურებ ჭიქას, როგორც მთლიან ნივთს, ე.ი. ჩემს აღქმაში იგულისხმება ისიც, რაც არააქტუალურადაა მოცემული. მაშასადამე, გულმოდგინე თვითდაკვირვების პირობებში ცხადია, რომ აქტუალური ცდის მონაცემებს ყოველთვის თან ახლავს მხოლოდღა ნაგულისხმევი (იმპლიციტური) შინაარსები, რომლებიც ასევე **შეიძლება** დავინახოთ, მოვისმინოთ, გავსინჯოთ და ა.შ. ანუ აქტუალურად განვიცადოთ ისინი. ამ თვალსაზრისით ჰუსერლი მათ პოტენციალობებს უწოდებს. ჩვენი ცდის ველი ყოველთვის გარშემოწერილია ასეთ ნაგულისხმევ შინაარსთა **ჰორიზონტით.** აი, ასე შემოდის ფენომენოლოგიაში ჰორიზონტის უმნიშვნელოვანესი ცნება, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩემს მიერ დასმული საკითხის გაშუქებაში.

ნაგულისხმევი (იმპლიციტური) შინაარსები შეიძლება მეტად გარკვეულნი იყვნენ ჩვენთვის, შეიძლება ნაკლებად ან ძალზედ ნაკლებად, მაგრამ არასოდეს არ არიან აბსოლუტურად გაურკვეველნი. დიახ, კარგად ვიცი ამ ჭიქის ფსკერიც, შიგთავსიც, უკანა მხარეც, ძირიც, რადგან ისინი არაერთხელ აღმიქვია. მას ხშირად ვხმარობ და ხელში ვიღებ, რათა წყალი დავლიო, ჩაი დამისხან და ე.ი. მისი „შეხებითი" თვისებებიც ჩემთვის ცნობილია. მაგრამ შეიძლება სხვა საგნის რაღაც „ასპექტები" ჩემთვის ჯერაც უცნობი იყოს, როდესაც იგი ამა თუ იმ პოზიციიდან მაქვს მხედველობაში. მიუხედავად ამისა, აბსოლუტურად გაურკვეველნი ეს იმპლიციტური „ასპექტები" ვერ იქნებიან და ისინი თუნდაც სქემატურად, ე.ი. ზოგად მონახაზებში გარკვეულია ჩემთვის. მაგალითად, ფანჯრიდან პირველად დავინახე ამ აყვავებული ნუშის ხის ტოტები, თეთრი ყვავილები... მისი სხვა ნაწილები კი ჯერაც არ აღმიქვია, მაგრამ სავსებით ნათლად ვაცნობიერებ, რომ ვხედავ სწორედ, რომ **ხის** ფრაგმენტს და შესაბამისად, მას აქვს რაღაცნაირი ღერო, ფესვები და მთელი რიგი სხვა „ასპექტები". მაშასადამე, ნაგულისხმევი შინაარსები ყოველთვის წინასწარ დასახულია ჩემი აქტუალური მხედველობის ველში, თუნდაც უაღრესად სქემატურ დონეზე. ჰუსერლი წერს, რომ წინასწარი დასახვა თუმცა ყოველთვის არასრულყოფილია, მაგრამ თავის გაურკვევლობაში ის მაინც ხასიათდება გარკვეულობის სტრუქტუ-

რით. ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ აქტუალური ცდის დროს ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ იმ არააქტუალურ შინაარსებს, რომლებიც თანადროულად არსებობენ, არამედ ასევე წარსულ და მომავალ შინაარსებსაც. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი ჭიქის აღქმის შემთხვევაში, ნაგულისხმევი „ფრაგმენტები" არსებობენ თანადროულად იმისა, რასაც აქტუალურად აღვიქვამ. მაგრამ როდესაც ჩვენი ცდის ველში საქმე გვაქვს, ვთქვათ, რაღაც პროცესთან, ორგანიზმის სიცოცხლესთან ან ადამიანის ყოფიერებასთან, მაშინ, ცხადია ნაგულისხმევი შინაარსების გარკვეული კომპლექსი დროშია განფენილი. ვესაუბრები რა ადამიანს და ჩემი აქტუალური ცდის ველში წარმოჩენილია რა იგი თავისი ტანის, ხმის თუ სახის გარკვეული „ასპექტებით", მე ამასთან ერთად ვგულისხმობ, რომ საქმე მაქვს არა უბრალოდ ამ „ასპექტებთან", არამედ **ადამიანთან** თავისი მთლიანი სხეულით, მაგრამ აგრეთვე თავისი წარსული ბიოგრაფიით: იგი დაიბადა და იზრდებოდა ამა თუ იმ გარემოში; რაღაცას განიცდიდა, აკეთებდა, გეგმავდა... რაღაც მომავალიც წინ ელოდება და უეჭველი სიკვდილიც... ეს ნაგულისხმევი შინაარსები მეტნაკლები გარკვეულობით წინასწარ დასახულია ჩემს აქტუალურ კონტაქტში ამ ადამიანთან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ნაცნობი თუ უცნობია იგი ჩემთვის. სრულიად უცნობის აღქმისას ის მაინცაა ნაგულისხმევი, რომ იგი ზოგადად რაღაც წარსული ცხოვრების და რაღაც მომავალი „ბედის" მატარებელია.

ამგვარად ჩვენი აქტუალური ცდის ველს გარს აკრავს როგორც თანადროული, ასევე წარსულისა და მომავლისადმი განკუთვნილი ნაგულისხმევი შინაარსების ჰორიზონტი. რაში მდგომარეობს ჰუსერლის ინტენციონალური ანალიზის დიადი იდეა? „აქტუალური ცდა ყოველთვის შეიცავს ზოგიერთ „მითითებას" (Verweisungen) იმაზე, თუ რა და როგორ უნდა ვეძებოთ, რა და როგორ უნდა აღმოვაჩინოთ „ჰორიზონტზე". აქტუალური ცდის მონაცემებზე დაკვირვებისას ჩვენ მათ გარკვეულ საგნობრივ მნიშვნელობებს მივაწერთ. აღვწერთ და ვაანალიზებთ რა ამ მნიშვნელობებს, რომლებიც ცნობიერების შესაბამისად აქტებთან ერთად აქტუალური ცდის მონაცემებს ნიშნავენ, ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ მათში იმის გარკვეულ თანააღნიშვნებს (ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით), რაც არ იყო აქტუალურად აღქმული და ვამჟღავნებთ ამ თანააღნიშვნების შესაბამისი ცნობიერების აქტებს" (იქვ. გვ. 85). მოკლედ, რომ ვთქვათ ინტენციონალური ანალიზი სხვა არაფერია,

თუ არა ოდენ იმ **დაფარულის** (ანუ იმ იმპლიციტური საგნობრივი მნიშვნელობების და მათი განმცდელი განცდითი აქტების) გამომჟღავნება, რომელთა შესახებაც მინიშნებებს მეტნაკლებად შეიცავს ჩვენი აქტუალური თვალსაწიერი.

კ. — ცოტა ხნით შეგაწყვეტინებ... მინდა ერთი საკითხი დავაზუსტო. მართალი გითხრა, ჰუსერლის კარგი მცოდნე ნამდვილად არ ვარ, თუმცა მისი ფილოსოფიის რაღაც-რაღაცეებში მაინც ვერკვევი: ასე, რომ ბევრი რამ შენი მსჯელობიდან ჩემთვის არაა აბსოლუტურად უცხო და გაუგებარი. თანაც საკმაოდ ნათლად გადმოსცემ! ჰო, აი, რა მაინტერესებს: მოდი უფრო დამიკონკრეტე და დამიზუსტე „ჰორიზონტის" ცნების შინაარსი! ვეჭვობ, თუ რამდენად სწორად მახსოვს იგი...

ი. — ჰორიზონტი! რა არის იგი? ესაა ჩვენი აქტუალური ცდის, ე.ი. თვალსაწიერის ის პირობითი საზღვარი, რითაც იგი გარშემოწერილია. საზღვარი პირობითია, ვინაიდან იგი მუდმივად იქით და იქით ინაცვლებს, როდესაც ვაფართოებთ საკუთარ შემეცნებას ანუ ახალი და ახალი შინაარსები შემოგვაქვს ცდის ველში. ჰორიზონტი უსასრულოდ „გაგვირბის" შორეთში და ჩვენ მას ვერასოდეს ვერ მივაღწევთ... აქტუალური ცდის ველის გაფართოება ყოველთვის ნიშნავს თავისებურ „ძვრას" ცნობიერების სტრუქტურაში; კერძოდ, იგი გულისხმობს ჩვენი ცნობიერების მიმართულების (ე.ი. ინტენციის) და ყურადღების გადანაცვლებას აქტუალურად მოცემული ვითარებებიდან ჰორიზონტისაკენ. ჩვენ თითქოსდა მზერას „გადავისვრით", „გავსტყორცნით" ჰორიზონტისკენ და ვიწყებთ ახალი რაღაცეების ძებნას და გამოვლენას.

ამგვარად ჩვენ შეგვიძლია უსასრულო წინსვლა, გაფართოება საკუთარი გამოცდილების ველის, მაგრამ **სამყაროს, როგორც მთლიანობას,** ხომ ვერასოდეს ვერ მოვიცავთ და ვერ მივაღწევთ?! სამყარო, როგორც მთლიანობა, მუდამ ჩვენი თვალსაწიერის ჰორიზონტზეა! იგი მარადიული ჰორიზონტია...

აი, ახლა ჩემი აქტუალური ცდის ველი შემოიფარგლება ციხის ამ საკნით, სადაც გამოკეტილი ვარ და კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის თეთრი კედლის ფრაგმენტით, რომელიც მოსჩანს გისოსებიანი ფანჯრიდან... აგრეთვე სხვადასხვა ფიქრებით, მოუსვენრად, რომ ციმციმებენ ჩემს გონებაში... ცხადია, რომ ეს აქტუალური ველი თავის თავში ფარულად გულისხმობს რაღაცრაღაცეებს, რომლებიც მის „საზღვრებს" მიღმაა (ანუ ჰორი-

ზონტზეა), მაგრამ რომელთა განცდა პრინციპულად შეიძლება ან შეიძლებოდა. სახელდობრ, უახლოესი სახით იგი გულისხმობს, რომ შესაძლებელია თანმიმდევრულ აქტებში აღვიქვა 7-ე საპყრობილის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთლიანი კორპუსები; შემდეგ — მთელი ქალაქი თბილისიც, სადაც ეს შენობები განთავსებულნი არიან... კიდევ უფრო შორს თუ „წავალთ", თავად ჩვენი პლანეტა, მზის სისტემა, გალაქტიკა... ცხადია, აქ იგულისხმება ყოველივე ამის აღქმის თეორიული (ე.ი. არსებითი) შესაძლებლობა და არა პრაქტიკული.

ვუყურებ რა ახლა პომიდვრებს, ვგულისხმობ, რომ ისინი გუშინ ამანათის სახით ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ შემომიგზავნა და შესაბამისად, იგი კვლავ გარეთ იცდიდა რიგში; ვგულისხმობ, რომ გუშინ ასევე ომის ვეტერანებმა აქცია გამართეს პარლამენტის შენობასთან, რის შესახებაც შემოგზავნილი პრესიდან შევიტყვე და კიდევ უსასრულოდ ბევრ „მინიშნებას" ვიპოვი გუშინდელ მოვლენებთან დაკავშირებით, რასაც სამყაროში ადგილი ჰქონდათ და რისი განცდაც შეიძლებოდა. ასევე ვგულისხმობ, რომ გუშინ ერთ-ერთ მოწოდებულ გაზეთში წავიკითხე საინტერესო სტატია ბერლინ-ის დაცემის ეპიზოდების თემაზე და ე.ი. სახეზეა „მინიშნება" მეორე მსოფლიო ომის შესახებ — რუდოლფ ჰესის საიდუმლო გაფრენა, საკონცენტრაციო ბანაკები, კურსკის ბრძოლა, თეირანის კონფერენ-ცია, ნიურბერგის პროცესი... თურმე ესეც ლატენტურად ნაგ-ულისხმევი ყოფილა ჩემს ამჟამინდელ აქტუალურ თვალსაწიერში, რომელიც ციხის კედლებს ვერ სცილდება! აი, ასე გავდივართ ინტენ-ციონალური ანალიზით წარსულის. იმპლიციტურ უსასრულო სიღრმეებში! მაგრამ ამ თვალსაწიერის ჰორიზონტს გარშემოწერენ ასევე ის იმპლიციტური ფენომენები, რომლებიც მომავალს განეკუთვნებიან: განა ახლა ჩემს მიერ არ იგულისხმება, რომ ალბათ, მალე სასამართლო გაიმართება?! რომ სასამართლოს დარბაზებში ჩემი ცოლ-შვილი დამხვდება... რომ იმ დროს ვიღაცეები ჩემი პროცე-სის შესახებ შეიტყობენ ტელევიზიით... რომ იმავდროულად მსოფლიოში უამრავ სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას ექნება ადგილი... რომ ეს პროცესი, ალბათ, ამა და ამ თვეში გაიმართება... და რას გულისხმობს თვე? განა ის არ გულისხმობს დედამიწის გარკვეულ მდებარეობას მზის მიმართ?! ეს კი თავის მხრივ მიგვანიშნებს იმ დროისთვის პლანეტათა გარკვეულ განლაგე-ბაზე მზის სისტემაში და ა.შ. გასაგებად ვლაპარაკობ?

კ. — სავსებით! მაგრამ მოდი ახლა ცოტა შეისვენე და ამ ფენომენოლოგიურ აზრთა მსვლელობას მე გავაგრძელებ... უფრო სწორედ, შევეცდები, რომ საბოლოო დასკვნა თავად გავაკეთო მთელი შენი მსჯელობებიდან. უმალ ცხადი შეიქმნება, თუ რამდენად სწორად გავიგე ყველაფერი.

ი. — კარგი აზრია! გისმენ ყურადღებით.

კ. — მაშასადამე, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩემი აქტუალური ცდის ველი გარშემორტყმულია იმ ნაგულისხმევ ფენომენთა ჰორიზონტით, რომლებიც აწმყოს, წარსულს და მომავალს განეკუთვნებიან. ინტენციონალური ანალიზი სწორედ რომ მათი ექსპლიკაცია ანუ გამომჟღავნებაა. აქტუალურ ცდაში ყოველთვის მოცემულია სამყაროს რაღაც **ფრაგმენტი**, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია უწყვეტი წინსვლა, ჰორიზონტის გადაწევა და თვალსაწიერში ახალ-ახალი შინაარსების შემოტანა, თუმცა ისინიც ისევ და ისევ ფრაგმენტებს წარმოადგენენ. სამყარო, როგორც **მთელი**, მარად მიუღწეველი რჩება. ჩვენ მას ვერასოდეს ვერ მოვიცავთ საკუთარი გამოცდილების (თუნდაც თეორიულად) უსასრულო ექსპანსიაში. იგი მარად **ჰორიზონტზეა**.

ი. — აბსოლუტურად სწორად მსჯელობ! ახლა სულ ერთი ნაბიჯიღა რჩება, რათა ყოველივე დავაკავშიროთ საწყის თემასთან.

კ. — აი, ეს კი ჩემთვის ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული... მოგიწევს ისევ გაგრძელება!

ი. — ახლა მისმინე! მე ვლაპარაკობ ძალზედ მნიშვნელოვანი ცვლილების შესაძლებლობის შესახებ წმინდა ცნობიერების ამ სტრუქტურაში. კერძოდ, მასში შეიძლება **დომინანტური** გახდეს მიმართულობა (ინტენცია) ამ მარადიული ჰორიზონტისაკენ ანუ სამყაროს მთლიანობისაკენ. როდესაც ცნობიერება **მუდმივად** დაუკმაყოფილებელია ლოკალური გარემომცველი რეალობით და ხატოვნად, რომ ვთქვათ, **მუდმივად** თავის მზერას მიმართავს, „გასტყორცნის" უსასრულო შორეთისაკენ, შორეული ჰორიზონტისკენ, აი, ეს ნიშნავს, რომ მის შიგნით ადგილი აქვს სერიოზულ ტრანსფორმაციას; ეს ნიშნავს, რომ მასში მძლავრობს ტენდენცია უსასრულო ექსპანსიისა და უნივერსალიზაციისაკენ: ეს ნიშნავს, რომ იგი გამსჭვალულია უნივერსალისტური ინტენციით.

კ. — ახლა უკვე სავსებით ნათელია და თანაც დამაჯერებელი შენი მსჯელობის ლოგიკა. შენ გინდა თქვა, რომ ევროპული კაცობრიობის ცნობიერებამ რაღაც ეტაპზე სწორედ ეს ცვლილება განიცადა?

ი. — და თანაც ეს იყო სერიოზული ტრანსფორმაცია. შეგვიძლია ამას მუტაციაც ვუწოდოთ ცნობიერების სტრუქტურაში... მეხთუთმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო ევროპული სამყაროს დიდი აღმავლობა, რაც დაკავშირებული იყო მათი საზოგადოებების დინამიკურ განვითარებასთან, სოციალურ პლურალიზმთან, აგრეთვე ტექნოლოგიურ მიღწევებსა და ვაჭრობის ქსელის გაფართოებასთან. ვითარდება ნავიგაცია: ატლანტის ოკეანის გადალახვისა და დასავლეთ ნახევარსფეროს აღმოჩენის შემდეგ იწყება მისი თანამიმდევრული ათვისება, კოლონიზაცია. მაგელანი წრეს არტყავს დედამიწას. საფრანგეთის რევოლუცია დიდ გასაქანს აძლევს ერთაშორის დაახლოების, ერთიანი კაცობრიობის და ინტერნაციონალიზმის უნივერსალისტურ იდეებს. ხოლო კაპიტალიზმის განვითარება უბიძგებს დასავლეთის ქვეყნებს ახალ-ახალი გასაღების ბაზრებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების მოპოვებისაკენ. მე-19-ე საუკუნის ბოლოში ისინი თავის გავლენას ავრცელებენ თითქმის მთელ აფრიკაზე, აძლიერებენ კონტროლს ინდოსტანზე და აზიაზე. მე-20-ე საუკუნის დასაწყისისთვის მთელი ახლო აღმოსავლეთი თურქეთის გარდა ექცევა მათი კონტროლის ქვეშ. 1914 წლისთვის ევროპელები და ამერიკელები განაგებდნენ მსოფლიო ხმელეთის 84%-ს. მოგვიანებით კი ოტომანთა იმპერიის დაშლის შემდეგ ეს პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა. დასავლურ სამყაროში იბადება უდიდესი ტექნოლოგიური ნოვაციები ტრანსპორტის და კომუნიკაციის სფეროში: ორთქლმავალი, ავტომობილი, რადიო, ტელეგრაფი, ტელეფონი, თვითმფრინავი... და ეს ნოვაციები მიმართულია დისტანციის, სივრცული ბარიერების გადალახვისკენ, ე.ი. მსოფლიოს თანდათანობითი „შემჭიდროვებისკენ". საოცარი მიღწევები შეიარაღების სფეროში ემსახურებიან ამ სამყაროს ძალაუფლების გავრცელებას და პლანეტარული მასშტაბით მისი დომინანტური პოზიციების დამკვიდრებას. მაგრამ ყოფიერების წესი, რომელიც წარმოშვა დასავლური ცივილიზაციის აღნიშნულმა ტენდენციამ უნივერსალიზაციისაკენ და კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საბაზრო ეკონომიკა, საერთაშორისო კონტაქტების არეალის არნახული გაფართოება, დიახ, ეს წესი მიმზიდველი აღმოჩნდა თითქმის ყველა სხვა ცივილიზაციისათვის და იგი თანდათანობით მოედო მთელ დედამიწას. შესაბამისად, დასავლეთის ეს საკუთარი ტენდენცია უნივერსალურიზაციისაკენ გადაიქცა საყოველთაო-საკაცობრიო ტენდენციად, რომელიც დღეს მეტ-

ნაკლებად ყველა ერს გამსჭვალავს და წარმართავს საერთო დინების მიმართულებით. ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, იმეილი, ფაქსი, ფიჭური კავშირი, სატელიტური კომუნიკაცია; საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო მიმოსვლის უახლესი საშუალებანი; კინოფილმების, სიმღერების თუ ბესტსელერების ელვისებური გავრცელება დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში: კაპიტალის, საქონლის, მუშახელის უწყვეტი მიმოქცევა და პოლიტიკური პროცესების ურთიერთგადაჯაჭვულობა მსოფლიო მასშტაბით და ა.შ. — აი, ამ საერთო დინებაშია ჩართული დღეს ყველა: ჩინელიც, რუსიც, არაბიც, აფრიკელიც და არა მხოლოდ ევროპელი ან ამერიკელი. ესაა უკვე გლობალიზაციის საყოველთაო ტენდენცია.

კ. — აქ მეც ჩავერთვები ერთი წუთით. გაერო, დიდი რვიანი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, დავოსის ფორუმი და ა.შ. — განა ეს გლობალიზაციის უალრესად თვალნათლივი მაგალითები არაა?! ფაქტია, რომ ჯერ კიდევ მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკა სულ უფრო და უფრო გლობალიზებული ხდება: ორმა ომმა მსოფლიო ომების ხასიათი მიიღო; ატომური ბომბის შექმნამ ყველა ერი და ადამიანი საერთო პლანეტარული საფრთხის წინაშე დააყენა და ამით კაცობრიობა ერთ ბედ ქვეშ მოაქცია. ეს ხომ ფაქტია?! ხოლო თანამედროვე პოლიტიკა კი უკვე აბსოლუტურად გლობალიზებულია: დღეს, მართლაცდა, მსოფლიო მასშტაბით ხდება სახელმწიფოთა ინტერესების ურთიერთგადაკვეთა, ურთიერთშეხება თუ ურთიერთშეჯახება. ავიღოთ, თუნდაც, კოსოვოს სიტუაცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის, რუსეთის, ისლამური სამყაროს, საკუთრივ სერბეთის, ალბანეთის და კიდევ სხვათა ინტერესების მოქმედების ველშია! სხვათა შორის, ამ საკითხებზე მეტ-ნაკლები ნამუშევარი და ნაფიქრი მაქვს და ეს საკმაოდ მდიდარი მასალაა ფილოსოფიური ანალიზისთვის. ოღონდ იგი უფრო სიღრმისეულ, სკურპულოზურ კვლევას საჭიროებს. ჩვენ ხომ ახლა მხოლოდ ზოგად დონეზე მიმოვიხილავთ, უფრო სწორედ ზედაპირულად თვალს გადავავლებთ გლობალიზაციისთვის დამახასიათებელ ასპექტებს. რატომ ჩაფიქრდი? ხომ არ გეწყინა, რომ ლაპარაკი შეგაწყვეტინე? ეს, რა თქმა უნდა ხუმრობით... ისე, ჩვენ დიალოგი გვაქვს და არა მონოლოგი!

ი. — რა თქმა უნდა! რაზეა ლაპარაკი! უბრალოდ შენ ერთი უმნიშვნელოვანესი მაგალითი გამოგრჩა: კოსმოსში გასვლა. ამ

ფაქტმა კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩინა თანამედროვე ცნობიერების მიმართულობა სამყაროსეული მთლიანობისაკენ.

კ. — აბსოლუტურად გეთანხმები... და ახლა კვლავ ყურადღებით გისმენ. ვგონებ, შენი აზრთა მსვლელობა ლოგიკურ ფინალამდე მიდის?

ი. — სწორედ რომ, მინდა შევაჯამო ყოველივე აქ თქმული. მაშასადამე, მე შევეცადე ზოგადად მიმენიშნებინა გლობალიზაციის ტრანსცენდენტალური საფუძველი. სახელდობრ, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მოხდა ფუნდამენტური ცვლილება ანუ „მუტაცია" ევროპული კაცობრიობის (ჰუსერლის ეს ტერმინი იდენტურია დასავლური ცივილიზაციის ცნებისა) წმინდა ცნობიერებაში, რომელიც ნიშნავდა ე.წ. **უნივერსალისტური ინტენციის** აღმოცენებას და სწორედ ამ მუტაციამ განაპირობა ჯერ დასავლეთის დიდი ექსპანსია და სწრაფვა უნივერსალიზაციისაკენ და შემდგომ, ამის საფუძველზე, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული გლობალიზებული მსოფლიოს ფორმირება. როდესაც ისტორიულ ეტაპზე მივუთითებ (კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულზე და ასევე მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისზე), უპირველეს ყოვლისა, სამუელ ჰანტინგტონის და სხვა სერიოზულ მკვლევარების ანალიზს ვეყრდნობი. დასავლური ცივილიზაციის აღმავლობის ამ პერიოდში იმავდროულად სახეზეა ბერძნულ-მართლმადიდებლური სამყაროს საშინელი კოლაპსი: კონსტანტინეპოლი უკვე დაცემულია! დიდი ტრაგედია კაცობრიობის ისტორიაში უკვე მოხდა! დიახ, იმავდროულად ეს ის პერიოდია, როდესაც საზარელ დეგრადაციას განიცდის ჩვენი ქართული ცნობიერება და ქვეყანაში გამეფებულია დაქსაქსულობა, შინაომები, ეკონომიკური სიდუხჭირე, ზნეობრივი და კულტურული განძარცვულობა... ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ პრიმიტიულ, ქაოტურ მდგომარეობაშია სახელმწიფოებრივი და კულტურულ თვალსაზრისით.

დასავლური ცნობიერების ამ უნივერსალისტულ მიმართულობას (ანუ ინტენციას) სხვაგვარად შეიძლება ვუწოდოთ **„ლტოლვაც" სამყაროსეული მთლიანობისკენ.** ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ ეს „ლტოლვა" უდიდესი რელიგიური დატვირთვის მქონე ფენომენია. იგი, ხომ, საბოლოო ჯამში, გულისხმობს ღვთაებრივი პირველსაწყისის ძიებას და ამ ძიებაში ადამიანური ყოფიერების ჰორიზონტების უსასრულო გაფართოებას. დიახ, აღმოჩნდა, რომ გლობალიზაციის

ტრანსცენდენტალური საფუძველი უაღრესად რელიგიური საზრისით აღბეჭდილი ინტენციაა და სწორედ მის რეალიზაციას სხვადასხვა ისტორიულ საფეხურებზე ემსახურებოდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საოცარი მიღწევებიც, დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციებიც და ა.შ. ყოველივე ეს იყო მხოლოდღა საშუალება და მეთოდი **საწყისი ინტენციის** თანმიმდევრული თვითგანხორციელებისა. მაგრამ... აი, სწორედ ამ „მაგრამ"-შია საქმე! კერძოდ, დასავლური ცივილიზაციის წინსვლის პროცესში თავად ეს საშუალებები და მეთოდები იქცნენ თვითმიზნად, ხოლო „ლტოლვა" უნივერსუმისაკენ კი მივიწყებული იქნა, და ამაში გასაკვირი არაფერია. ეს ისტორიის ჩვეული, ბუნებრივი ლოგიკაა (დიახ, ისტორიულად ჩვეულია ის, რომ რაღაცის განხორციელების პროცესში ვივიწყებთ თავად ამ ამოსავალ ვითარებას და ვახდენთ იმის აბსოლუტიზაციას, „ფეტიშიზაციას", რაც მხოლოდ საშუალება და მეთოდია მიზნის მიღწევისას). რაც შეეხება ტექნიკის ფოიერვერკებით, ინფორმაციის ნიაღვარით, საერთაშორისო პოლიტიკით გაჯერებულ და დახვავებულ დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოს, აქ, მართლაცდა, ძალზე ძნელია დავინახოთ უკვე ღრმად ჩამარხული და დავიწყების ბნელ უკუნეთში მთვლემარე **საწყისი ინტენცია**. და ახლა ჩვენ ისევ ჰუსერლს უნდა მივუბრუნდეთ! განა ამ პრობლემატიკას არ უკავშირდება მისი მოძღვრება წარსულის რეაქტივაციის შესახებ? სხვათა შორის ზურაბ კაკაბაძე მეტად საფუძვლიანად აანალიზებს და თან ნათლად გადმოსცემს ამ მოძღვრების არსებით ასპექტებს. მოდი წაგიკითხავ ერთ მოზრდილ ფრაგმენტს მისი წერილიდან: „იმის გამო, რომ ძირითადი „ინტენციის", მიზნის განხორციელებისაკენ სწრაფვისას, სიცოცხლე ისწრაფვის, რომ შეიმუშაოს შესაბამისი საშუალებები და „მეთოდები", ეს უკანასკნელნი იქცევიან სწრაფვის საგნებად, ე.ი. თუმცა დაქვემდებარებულ და რელატიურ, მაგრამ მაინც რაღაც „ინტენციებად", მიზნებად. გარკვეული საშუალებების შემუშავებისას და ამით მის რელატიურ მიზნად გარდაქმნისას, ცნობიერება აბსტრაქციას აკეთებს პირველადი მიზნისაგან. პირველადი მიზანი ხშირად დავიწყებას ეძლევა და საშუალება, როგორც პირობით-რელატიური მიზანი, აბსოლუტიზირდება და გადაიქცევა თვითმიზნად. აბსოლუტიზირებული საშუალებები ჩამოფარავენ პირველად მიზანს, აღარ უხამებენ თავის განვითარებას ამ უკანასკნელს და ხელს უშლიან მის რეალიზაციას. სიცოცხლის პირველადი „ინტენცია", პირველადი მიზანი მსხვერპლად ეწირება საშუალებებს.

სიცოცხლის დინება იღებს თავისი საკუთარი არსების საწინააღმდეგო მიმართულებას და ადამიანები ხვდებიან გაუცხოების სიტუაციებში. ასეთი სიტუაციის გადასალახავად ცნობიერების სიცოცხლემ მზერა უნდა მიაპყროს განვლილ ისტორიას და „რეაქტივაცია" უყოს პირველად „ინტენციას". ამით ის შეზღუდავს არაკანონიერად აბსოლუტიზირებულ საშუალებებს და იპოვის **ახალ საშუალებებს** (ხაზგასმა ჩემი — ი.ბ.) თავისი პირველადი „ინტენციის" შემდგომი განხორციელებისთვის" (იქვ. გვ. 112-113). დიახ, ადამიანური ევოლუციის ახალი შესაძლებლობების გახსნა მოითხოვს წარსულის „რეაქტივაციას". გლობალიზაციის ისტორიულ პროცესში თვითმიზნად იქცა ის, რაც იყო მხოლოდ საშუალება და მეთოდი საწყისი ინტენციის უსასრულო რეალიზაციისა: ჩვენ აღმოვჩნდით მონუსხული ტექნიკით, ინფორმაციებით, პოლიტიკურ და ბიზნეს-რეალიებით. ამაზე გავჩერდით, ამაზე ჩავიხვიეთ და ვეღარ ვხედავთ განვითარების კიდევ სხვა შესაძლებლობებს. ჩვენ გვჭირდება საწყისი ინტენციის „გამოღვიძება" და ნათლად გაცნობიერება, რათა დავსახოთ ახალი საშუალებები, მეთოდები მისი შემდგომი განხორციელებისა ანუ გამოვავლინოთ ევოლუციის ახალი შესაძლებლობები. ეს მივიწყებული ინტენცია ანუ „ლტოლვა" უნივერსუმისაკენ არის ტრანსცენდენტალური საფუძველი გლობალიზაციის პროცესისა, რომელიც დიდი მიღწევებითაა აღბეჭდილი. წარმოუდგენელია არ დავინახოთ ის სიკეთეები, რაც მან მოგვიტანა: ჩვენი ყოფიერების მასშტაბების, დინამიკის და მრავალფეროვნების არნახული ზრდა! მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოუდგენელია არ დავინახოთ ის კრიზისიც, რომელიც სახეზეა: ადამიანური გაუცხოების ექსტრემალური სიტუაცია, ეროვნული თვითმყოფადობის თანდათანობითი დესტრუქცია და თანამედროვე კატაკლიზმების — ტერორიზმის, პანეპიდემიების, სტიქიური უბედურებების — მზარდი შემოტევა. კრიზისი დღითიდღე ღრმავდება!

კ. — ალტერნატივა? რა შეიძლება იყოს ყოველივე ამის ალტერნატივა? თუ გიფიქრიათ ამაზე?

ი. — რა თქმა უნდა, ეს უაღრესად რთულია და სათუთი საკითხია. ფარღალალა პროგნოზების გაკეთება სათანადო, საფუძვლიანი ანალიზის გარეშე სრული უაზრობა იქნება. ფაქტია, რომ დღესდღეობით გლობალიზაციის ოპოზიციად გვევლინებიან ისეთი სუბიექტები, რომლებიც რამენაირ ალტერნატივაზე ფიქრის სურვილსაც კი გაგიქრობენ. შეხედე, რა ძალები უპირისპირდებიან ღიად და აქტიუ-

რად თანამედროვე მსოფლიო „წესრიგს“ — ავტორიტარიზმი, ფუნდამენტალიზმი, საერთაშორისო ტერორიზმი, ექსტრემიზმი... ეს ხომ უბედურებაა! სხვათა შორის მათი ანტიამერიკანიზმი ამ დაპირისპირების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. ავანსცენაზე გამოსულები არიან ირანი, ვენესუელა, კუბა, ეკვადორი, ბოლივია, ნიკარაგუა, ბელორუსი, ჩრდილოეთ კორეა... „ალ-ქაიდა“, „ჰამასი“, „ჰეზბოლა“ თალიბები... ანტიგლობალისტები... რა თქმა უნდა, ამის შემხედვარე უმალ იტყვი: არა, არა! სჯობს დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის! დიახ, ეს ალტერნატივა კი არა, ნამდვილი ატავიზმი და ავადმყოფობაა, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიულმა სამყარომ უნდა დაძლიოს, გაანეიტრალოს საერთო ძალისხმევით.

კ. — ამაში აბსოლუტურად გეთანხმები! რაც შეეხება ნამდვილ ალტერნატივას, მისი ძიების პროცესი კარგა ხანია დაწყებულია და იგი, ალბათ, თანდათანობით იკვეთება თუნდაც აზროვნების სფეროში.

ი. — უთუოდ!

კ. — მე მხედველობაში მაქვს, რომ დღეს თავად ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერება სულ უფრო მძაფრად განიცდის რელიგიურობის და ეროვნულობის შიმშილს... ეს შიმშილი და მოთხოვნილება კიდევ გაძლიერდება. ისტორიის ახალი შესაძლებლობების გახსნაც, ამ განზომილებაში უნდა ვეძებოთ, არა?

ი. — მეც სწორედ მანდ ვარ! დემოკრატიული სამყაროს შემდგომი ევოლუციის საწინდარი რელიგიის და ეროვნული ცნობიერების აღორძინებაშია! მოდი, შორს ნუ წავალთ და მეტი კონკრეტულობისათვის, დავაკვირდეთ ჩვენ მშობლიურ რეალობას. რა ხდება საქართველოში; რა სარგებლობს უდიდესი ნდობით ჩვენ ხალხში? განა რომელიმე პოლიტიკოსი, პარტია თუ საზოგადო მოღვაწე? ცხადია, მხოლოდ ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიაა აღჭურვილი უზარმაზარი ნდობით და თანაც იგი დღითიდღე იზრდება. ჩვენ ვეძებთ ქართულ სულს და ვპოულობთ მას ეკლესიაში. მისი როლი სულ უფრო და უფრო იკვეთება, ძლიერდება ერის ყოფიერებაში და ეს, ერთი მხრივ, თავად ეკლესიის და მისი წინამძღოლის — კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის — დიდი დამსახურებაა და მეორე მხრივ, კი ჩვენი მზარდი რელიგიური მოთხოვნილებების შედეგი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ კულტურას მომავალში ელოდება საოცარი ენერგეტიკული „აფეთქებები“ და ეს დაკავშირებული იქნება, სწორედ რომ რელიგიურობის და ეროვნული სულის-

კვეთების აღმავლობასთან... თუმცა... ახლა, უნდა შევწყვიტოთ ჩვენი დისკუსია! კარგია, ჩემო მეგობარო, ამ თემებზე შენთან ერთად საუბარი, მაგრამ რას იზამ...

კ. — მესმის! შენ ხომ ამჟამად მთლად საკუთარ თავს არ ეკუთვნის...

ი. — არა, უბრალოდ, ლოცვის დრო მოვიდა: ფსალმუნნი უნდა წავიკითხო... ლოცვით მიდგია სული...

კ. — ჰო, მართლა... ერთი ზუსტად გამიმეორე რა, შენთვის წაყენებული ბრალდების ფორმულირება! ზოგჯერ უცხოელი კოლეგები მეკითხებიან და ზუსტი ფორმულირება მჭირდება.

ი. — მე ბრალს მდებენ ხელისუფლების დამხობის მიზნით ამბოხების ინტელექტუალურ დახმარებაში და ასევე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობაში. ხომ გასაოცარია? სხვათა შორის ფილოსოფიური თვალსაზრისით ყოველთვის მაინტერესებდა აბსურდის ფენომენიც და აი, რეალურად აღმოვჩნდი კიდევაც მის წინაშე.

კ. — კარგი, აბა დროებით... იმედია, მალე გავაგრძელებთ ჩვენს ეპისტოლურ ფილოსოფიურ დიალოგებს!

ი. — აუცილებლად!

22.02.2007
№7 საპყრობილე
(ყურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №3, 3/2008)

ფილოსოფიური ეპისტოლე №7 საპყროგილიდან

მარიამ!

ჩემო ძვირფასო, ძალიან გთხოვ დამშვიდდე და ნერვებს გაუფრთხილდე. ბავშვიც დაამშვიდე. ახლა ჩემი მთავარი საფიქრალი ესაა! ჩვენი სამარცხვინო მართლმსაჯულებისაგან რაიმე გმირობას არც მოველოდი. ჩემი პროცესი თავისი განაჩენით ხომ სასამართლოს იდეის სრული დასამარება იყო დღევანდელ საქართველოში. მოსამართლემ კი უმძიმესი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე, როდესაც ეს ბინძური პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც მოსამართლეთა მთელ წყებას მოუწევს უმკაცრესი მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა.

მინდა გითხრა ერთი უცნაურობის შესახებ: ხომ იცი, ამ სასამართლო პროცესის მოლოდინში და მისი მსვლელობისას აბსოლუტურად დავკარგე სურვილი და უნარი ფილოსოფიურ თემებზე აზროვნებისა. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ, ახლა, ამ ცინიკურად შემზარავი განაჩენის შემდეგ, ერთბაშად კვლავ გაიღვიძა ჩემში ფილოსოფიურმა ცნობიერებამ. ჯერ კიდევ შიმშილობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან დავიწყე ფიქრი ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, შემდეგ წერასაც შევუდექი... მიუხედავად თანმიმდევრული ფიზიკური დასუსტებისა, სულიერად მაინც მხნედ ვიყავი, ვინაიდან ლოცვები მაძლიერებდა. საერთოდ, ვგრძნობ, რომ ჩემი ლოცვები სულ უფრო დიდ ძალასა და ენერგიას იკრებს... საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსვლამ ხომ არნახული შთაგონება მომცა. მას შემდეგ, რაც მისი თხოვნით შიმშილობა შევწყვიტე და ფიზიკური ძალების აღდგენა დავიწყე, ჩემი ანალიტიკური მუშაობაც გაცილებით გააქტიურდა. გადავწყვიტე წერილში მოკლედ გადმოგცე აღნიშნული ფილოსოფიური განაზრებების ზოგადი მონახაზი. ამ მხრივ ეს ეპისტოლე მეტად არაორდინალურია. დარწმუნებული ვარ, შენ ეს დაგაინტერესებს და თანაც შემდგომ საკუთარ აზრებსაც გამიზიარებ. მაშ, ყურადღებით მომისმინე!

გახსოვს, რას ეუბნება ნიცშეს გმირი ზარატუშტრა ბაზრის მოედანზე შეკრებილ ხალხს? მოდის დრო, როდესაც ადამიანი აღარ დაბადებს ვარსკვლავს. ვაი, რომ მოდის დრო ყველაზე უფრო საძულველი ადამიანისა, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია საკუთარი თავის შეძულება. შეხედეთ! მე თქვენ გიჩვენებთ უკანასკნელ ადამიანს. „რა არის სიყვარული? რა არის ქმნა? მისწრაფება? რა არის ვარსკვლავი?" — კითხულობს უკანასკნელი ადამიანი და თვალებს ახამხამებს. დედამიწა გახდა პატარა და მასზე დახტის უკანასკნელი ადამიანი, რომელიც ყველაფერს აპატარავებს. მისი მოდგმა მოუსპობელია, როგორც მიწის რწყილისა. იგი ცხოვრობს ყველაზე დიდხანს. „ჩვენ ვიპოვეთ ბედნიერება" — ამბობენ უკანასკნელი ადამიანები და თვალებს ახამხამებენ. — აი, ასე ლაპარაკობს ზარატუშტრა Homo sapiens-ის ამ „განსაკუთრებული ჯიშის" შესახებ. ვინ არის, უფრო კონკრეტულად, ეს უკანასკნელი ადამიანი? ვის გულისხმობდა ნიცშე? და უფრო სწორად, ვის წინასწარმეტყველებდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს? რა თქმა უნდა, ესაა თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებული და გავრცელებული ტიპი ადამიანის. სამწუხაროდ, მშობლიური გარემოც ამის მკაფიო მაგალითს წარმოგვიდგენს. მიმოვიხედოთ ირგვლივ და კარგად შევათვალიეროთ ეს „ტიპები", რომლებიც დღეს „უკვეთავენ მუსიკას" საქართველოში, განსაზღვრავენ ცხოვრების წესს, სტილს, სულისკვეთებას... მათთვის მთავარია კომფორტი, საკუთარი უსაფრთხოება და რაც შეიძლება მეტის მოხვეჭა-დაგროვება: „სჯობს ახლა მოვასწროთ, იმიტომ, რომ ხვალ რა იქნება, კაცმა არ იცის..." — ფიქრობენ ისინი. მათ ეცინებათ პატრიოტულ შემართებაზე, სიწმინდეების და ტრადიციების წინაშე კრძალვაზე, მოქალაქეობრივ გმირობაზე — ყოველივე ამას სიგიჟედ და წარსულის გადმონაშთად აღიქვამენ. მათთვის უცხოა თანაგანცდა... მათ არ შეუძლიათ განსხვავებული აზრის მოსმენა, რადგან აბსოლუტურად თვითკმაყოფილნი არიან. ზოგჯერ უკანასკნელი ადამიანის „შემოქმედებითი პროცესი" მისი ექსკრემენტების აქეთ-იქით სროლაა, საკუთარი სიბინძურის ამორწყევაა და ამ სიბინძურით ყველაფრის გასვრაა. ეს კი თურმე ძალიან „თანამედროვე", „ორიგინალური" და მისასალმებელია. ამიტომ „პროგრესულად" მოაზროვნე პუბლიკამ მას ტაში უნდა დაუკრას, რათა გოიმის სახელი არ დაიმსახუროს. აბა, წაიკითხე ეს პატარა ფრაგმენტი ერთ-ერთი „მოწინავე" და „ახალი თაობის" ქართველი მწერლის შემოქმედებიდან და შენ მიხვდები, თუ რაზე ვლაპარაკობ: „თუმცა შევე...ი

ყველას და ყველაფერს შევე...ი (ჩემ მიერ შემოკლებული სიტყვების მნიშვნელობა, ვგონებ, გასაგებია — ი.ბ.) ყველა ყლ...ქალას ჩემი თამადობით და ყველა ყინულს და ფინალს და ყველა წამწამს, რომელიც ზაზამ შეჭამა და ყველა პირველ კამერას და კლეჩატ მუ...ელს... და ოფლიან მორისკის და **გაბრიელ ბერის სასწაულმოქმედ ზეთს** (ხაზგასმა ჩემია — ი.ბ.) და ექიმებს საზღვარგარეთ... და გოგოს ბოტასებში მოცეკვავე მესხს და წითელ ჯვარს და **ილი ილი ლამა საბაქთამი** (ეს ჯვარცმული იესოს სიტყვებია — ი.ბ.)... და ბასკერვილების ძაღლს და პიდარასტებს ჩემი ჩათვლით და პიდარმონკებს და გეი-ქალებს და აშარაშკებს და **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძ...ძუს** და 4000 ჩუჩას და სამ კაკალს კონკიასთვის..." (ზაზა ბურჭულაძე „სახარება ვირისა"). ასე ისვრის უკანასკნელი ადამიანი აქეთ-იქით თავის ექსკრემენტებს, აბინძურებს ყველას და ყველაფერს და უაღრესად თვითკმაყოფილია. „ახლა ჩვენი დროა!" — ამბობს იგი და თვალებს ახამხამებს.

მინდა გითხრა, რომ ჩემი განაზრებები აღნიშნულ თემაზე დიდწილად განაპირობა ისევ და ისევ ფრენსის ფუკუიამას ბრწყინვალე წიგნმა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი". აქ წარმოდგენილი ანალიზი ძალზედ ლოგიკურად გვიჩვენებს, რომ ლიბერალური დემოკრატია სოციალურ-პოლიტიკურ სისტემათა ისტორიული ევოლუციის უმაღლესი, საბოლოო ფორმაა და ეს ჭეშმარიტება ჩემთვისაც უეჭველია. განა დაბრუნება ნებისმიერი სხვა ფორმაციისაკენ — ტოტალიტარიზმისა თუ ავტორიტარიზმისაკენ თუ არაკონსტიტუციური მონარქიისაკენ (აღარ ვლაპარაკობთ მონათმფლობელობასა თუ აზიურ დესპოტიზმზე) — კატასტროფის ტოლფასი არ იქნებოდა კაცობრიობისათვის? განა შეიძლება ფანტაზიაში წარმოვიდგინოთ კიდევ რაღაც ახალი, არსებითად განსხვავებული და ოპტიმალური რაიმე, ვიდრე ეს თანამედროვე დემოკრატიაა? მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ყველაზე უფრო ოპტიმალური სისტემის პირმშო არის სწორედ, რომ უკანასკნელი ადამიანი და მისი გაბატონებული მდგომარეობა — ასეთ დასკვნამდე მიდის, ფაქტობრივად, ფრენსის ფუკუიამა ფრიდრიხ ნიცშეს კვალდაკვალ. იგი წერს „შეუძლებელია ჩემი ამჟამინდელი მსჯელობა დავასრულო, თუკი არ ვახსენებთ არსებას, რომელიც გადმოცემის თანახმად, ისტორიის დასასრულს ჩნდება, კერძოდ — უკანასკნელ ადამიანს". (ფრენსის ფუკუიამა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", თბილისი, 1999, გვ. 308). ეს არის „ფუტურო ადამიანი", რომელმაც უარი თქვა საკუთარი უზენაესი ფასეულობის

ამაყ რწმენაზე კომფორტული თვითგადარჩენის გამო. „დემოკრატიული მმართველობის პირობებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ადამიანებისთვის განსაკუთრებით ძნელი ხდება სერიოზულად მიუდგნენ ჭეშმარიტად ზნეობრივი შინაარსით დატვირთულ საკითხებს. ზნეობრიობა მოითხოვს გამიჯვნას უკეთესსა და უარესს, კარგსა და ცუდ შორის, რაც, ერთი შეხედვით, შემწყნარებლობის დემოკრატიულ პრინციპს ბღალავს. ამ მიზეზის გამოა სწორედ, რომ უკანასკნელი ადამიანი ყველაზე მეტად საკუთარი პირადი ჯანმრთელობითა და უსაფრთხოებითაა დაინტერესებული, როგორც ეჭვშეუტანელი ფასეულობებით. დღეს, ამერიკაში, ჩვენ ოდნავაც არ გვაეჭვებს ჩვენი უფლება, თამბაქოს წევის გამო გავაკრიტიკოთ მავანი პიროვნება, მაშინ, როცა რელიგიური რწმენა თუ ზნეობრივი საქციელი იმ ხელშეუვალ სფეროდ მიგვაჩნია, სადაც არავის აქვს ჩარევის ნება". (იქვ. გვ. 314). ფუკუიამა პათეტიკურად აღნიშნავს: „აი, რატომაა თანამედროვე ადამიანი უკანასკნელი ადამიანი: ის დაქანცა ისტორიის გამოცდილებამ, გაუქრო ფასეულობათა მუდმივობის თუ სიმყარის ილუზია" (იქვ. გვ. 314). და ახლა უკვე მან „გააზრებულად იცის, რომ არავითარი მიზეზით არ უნდა გასწიოს რისკი, ისტორია ასწავლის მას, რამდენი უაზრო სისხლი დაიღვარა იმის გამო, ქრისტიანი ყოფილიყო კაცი, თუ მაჰმადიანი, პროტესტანტი თუ კათოლიკე, გერმანელი თუ ფრანგი. შემდგომმა ისტორიამ დაამტკიცა, რომ ერთგულება, რაც ადამიანებს სიმამაცის და თავგანწირვის სასოწარკვეთილი ნაბიჯებისაკენ უბიძგებდა, თურმე სულელური ცრუმორწმუნეობა ყოფილა". (გვ. 315). ავტორის აზრით, ჰეგელსაც ძალიან კარგად ესმოდა, რომ სწორედ ისტორიის დასასრულს დაემუქრებოდა ადამიანებს მუდმივი საფრთხე მოქალაქეებიდან უბრალო ბურჟუებად დეგრადირებისა. „უკანასკნელი ადამიანის სიცოცხლე ფიზიკურ უსაფრთხოებასა და მატერიალურ კეთილდღეობას ნიშნავს, ანუ სწორედ იმას, რასაც დასავლელი პოლიტიკოსები გულმხურვალედ ჰპირდებიან თავიანთ ამომრჩევლებს. მართლა მხოლოდ „ამაზე იყო" კაცობრიობის ისტორია მომართული ამ ბოლო რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში? ნუთუ უნდა გვეშინოდეს, რომ ჩვენი მდგომარეობით ერთდროულად ბედნიერნი და კმაყოფილნი, უკვე ადამიანები კი არა, homo sapiens-ის გვარის ცხოველებიღა ვიქნებით? თუ არსებობს იმის საფრთხე, ერთ გარკვეულ დონეზე ბედნიერებს, სხვა დონეზე ისევ რომ შეგვაწუხებს საკუთარი მე-თი უკმაყოფილება და ამდენად არაფერი შეგვიშლის ხელს კვლავ უკან, ისტორიაში ისევ მთელი ამ ომების, უსამართლობისა და რევოლუციების ხანაში შევაბრუნოთ სამყარო".

(იქვ. გვ. 320) — აი, ასეთ კარდინალურ კითხვებს სვამს დიდი ამერიკელი ფილოსოფოსი. მაშასადამე, იგი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ლიბერალური დემოკრატიის სტაბილურობას, სიცოცხლისუნარიანობას და შემდგომ განვითარებას უკანასკნელი ადამიანის ჰეგემონიის პირობებში. მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ **თავად დემოკრატიულმა სისტემამ** უნდა მონახოს თავის თავში ის რესურსები და მექანიზმები, რომლებიც დაარეგულირებენ აღნიშნულ პრობლემას და რომ მას სავსებით ხელეწიფება ამისი გაკეთება. სხვა შემთხვევაში, იგი ნამდვილად დგას დეგრადაციის და „აფეთქების" საფრთხის წინაშე, რის შედეგადაც ჩვენ შეიძლება ისევ ისტორიის ბნელ უფსკრულში გადავიჩეხოთ.

ისმის კითხვა: მაინც უფრო კონკრეტულად, რატომაა შეუძლებელი დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა და შემოქმედებითი განვითარება უკანასკნელი ადამიანის ბატონობის პირობებში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლავ მივუბრუნდები ფუკუიამას საფუძვლიან ანალიზს ისტორიული ევოლუციის მექანიზმების შესახებ და ძალზედ მოკლედ განვიხილავ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. სახელდობრ, ეყრდნობა რა ჰეგელისა და მისი ცნობილი ინტერპრეტატორის ალექსანდრ კოჟევის ნააზრევს, ფუკუიამა ლოგიკურად წარმოგვიჩენს ისტორიული ცვლილებების ერთ-ერთ უმთავრეს სუბიექტურ ფაქტორს — **აღიარების სურვილს.** დიახ, ადამიანი მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილებებით არ ამოიწურება. რა თქმა უნდა, მას სურს საკვები, თავშესაფარი, სქესობრივი კავშირი და ა.შ. რა თქმა უნდა თვითგადარჩენა მისი უძლიერესი ინსტინქტია. მაგრამ ცხოველებისგან ის არსებითად განსხვავდება იმით, რომ მოითხოვს საკუთარი ფასეულობის აღიარებას ანდა იმ ობიექტებისა, რასაც თავად მიანიჭა ფასეულობა. „ჰეგელის თვალსაზრისით, ისტორიის გარიჟრაჟზევე, სწორედ ღირსეულად აღიარების სურვილი უბიძგებდა ადამიანს სისხლიანი ბრძოლისაკენ პრესტიჟის (სახელის) მოსახვეჭად" (იქვ. გვ. 11). ამ ბრძოლის შედეგი იყო საზოგადოების დაყოფა ბატონებად და მონებად. სწორედ აღიარებისათვის შეუძლია ადამიანს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს. მას შეუძლია თავგანწირვა და ე.ი. თვითგადარჩენის უძლიერესი ინსტინქტის საპირისპიროდ წასვლა. „მე ვიბრძვი იმისათვის, რათა მეორე ადამიანი მიხვდეს — არ მაშინებს სიკვდილის საფრთხე, ამდენად, ვარ თავისუფალი, ვარ ჭეშმარიტად ადამიანი" (გვ. 162). აღიარების სურვილი არის ის თიმოსი, რაზედაც ჯერ კიდევ პლატონი გველაპარაკებოდა თავის „სახელმწიფოში". „თიმოსი ჰგავს ადამიანის თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნო-

ბას: ადამიანს სჯერა, რომ აქვს გარკვეული ღირებულება, და როცა სხვები ამას ვერ ამჩნევენ, როცა არ აღიარებენ ამ ღირებულებას, არ აფასებენ ჭეშმარიტი საფასურით — მაშინ ადამიანს სიბრაზე იპყრობს" (იქვ. გვ. 177). აღიარების სურვილი აღმოჩნდა ისტორიის სუბიექტური ძრავი, რომელმაც ჯერ განაპირობა საზოგადოების მრავალგვარი დაყოფა გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად და შემდგომ კი, ჩაგრულთა ემანსიპაციის ის თანმიმდევრული პროცესი, რომელიც 1776 წლის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციითა და 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციით დაგვირგვინდა. „ბატონებისა და მონების" მანამდე ჩვეული არათანასწორი აღიარება შეცვალა საყოველთაო და თანაზიარმა აღიარებამ, როცა ყოველი ცალკეული მოქალაქე ნებისმიერი სხვა მოქალაქის ადამიანურ ღირსებას აღიარებს და როცა ამ ღირსებებს, თავის მხრივ, სახელმწიფოც აღიარებს — საკუთარი მოქალაქეების უფლებების მინიჭებით" (გვ. 12). ფორმაციების ცვლა და თანმიმდევრული ევოლუცია ლიბერალური დემოკრატიისაკენ ამ აღიარების მექანიზმითაც იყო ნაკარნახევი. მაგრამ ეს მექანიზმი, ავტორის აზრით, გასაგებს ხდის თვით საერთაშორისო პოლიტიკის არსსაც. დაპყრობითი ომები, იმპერიების შექმნა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, შეთანხმებები და გარიგებები — ერებს შორის ურთიერთობათა მთელი ეს სპექტრში ხომ ასევე აღიარებისთვის ჭიდილის ასპარეზია. მსოფლიო ლიბერალურმა რევოლუციამ კარდინალური ცვლილება მოახდინა საერთაშორისო პოლიტიკაშიც, კერძოდ, წინააღმდეგობების, კონფლიქტების უკეთ რეგულირების თვალსაზრისით. რატომ? იმიტომ, რომ მან დაამკვიდრა ერთა თანასწორობის პრინციპიც ადამიანთა თანასწორობასთან ერთად. დიახ, ერთა თანასწორი აღიარება გახდა საფუძველი ისეთი საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა, როგორიცაა გაერო, ეუთო და ა.შ. და რომლებიც დღეს მეტნაკლებად მსოფლიო სტაბილურობის გარანტები არიან. ასეთი გლობალური გარანტები ისტორიაში მანამდე არ არსებობდა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ლიბერალური რევოლუციის მიერ აღიარების საკითხის გადაჭრამ მოიტანა.

ვფიქრობ, რომ ფუკუიამას მსჯელობები ევოლუციის სუბიექტური მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ მეტად ლოგიკური და ღრმააზროვანია. მაგრამ აღიარების სურვილის გარდა არსებობს კიდევ ერთი დიდი მამოძრავებელი ფაქტორი ისტორიისა. ეს თვითმიძღვნის ღვთაებრივი იმპულსია! მისი მძლავრი ამოქმედება იშვიათ გაელვებებს

წარმოადგენს ეგოიზმით გაჟღენთილ სამყაროში, მაგრამ სწორედ ამ იშვიათ გაელვებებს მოაქვთ გრანდიოზული ენერგეტიკული ეფექტები და ძვრები კაცობრიობის ცხოვრებაში. „ისინი იყვნენ არგვეთის მთავრები. ორი ძმა. გვარად მხეიძენი. უფროსი — დავითი,... უმცროსი — კონსტანტინე... ორივენი — გონიერნი, განათლებულნი, დიდსულოვანნი, გაწაფული სარდლები და მამაცი მეომრები. როგორც კი ძმებმა მესხეთში არაბთა შემოსევის ამბავი შეიტყვეს, არგვეთის მოსახლეობა ფეხზე დააყენეს, ყველანი გაამხნევეს, სასწრაფოდ ლაშქარი შეჰყარეს და მტრის დასახვედრად წარემართნენ. მურვან ყრუ ზეკარზე გადმოდიოდა, მესხეთიდან იმერეთისაკენ“ (ლ. სანიკიძე „უქარქაშო ხმლები“, გამომც. „მერანი“, 1993 წ. I-II, გვ. 191). არაერთი სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ არაბებმა ცოცხლად შეიპყრეს დავითი და კონსტანტინე. ისინი მურვან ყრუს მიჰგვარეს ქუთაისში. მან დავითს „შესთავაზა”: დაუტევე ქრისტეს ჯვარი, იგი ხომ შეშაა... დაუტევე შეშისმსახურება და მიიღე რჩეული სჯული მუჰამედისა! ამ კომპრომისის სანაცვლოდ არაბთა სარდალი ძმებს დიდ პატივსა და თანამდებობებს ჰპირდებოდა. პასუხი ასეთი იყო: „ტყუილად ცდილობ, მძლავრო, ბოროტო, ნათელი დავუტეოთ...“ ათი დღის განმავლობაში ისინი უმოწყალოდ აწამეს. შემდეგ ისევ „შესთავაზეს“ სჯულის შეცვლა. ძმები კვლავ შეუვალი რჩებოდნენ: „...ვერარა ჭირმან, ვერცა დიდებამან ამა საწუთროსმან ვერ გაგვაშოროს ქრისტეს სიყვარულს და სარწმუნოებას“ (იქვ. გვ. 194). მურვან ყრუმ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო: დავითი და კონსტანტინე გაიყვანეს რიონის პირას, ჯერ ხეზე ფეხებით დაკიდეს და მხეცურად სცემეს; „მერე ჩამოხსნეს, ხელები და ფეხები მჭიდროდ შეუკრეს. ქედზე მძიმე ლოდები დააკრეს. ღრმა ტბად შემოჭრილ ყურეში ისროლეს ქვა-ლოდით დამძიმებულნი“ (იქვ. გვ. 194). ასეთი იყო აღსასრული ძმები მხეიძეების... ქართველი მოწამეების... იმ ალაგს, სადაც მათი ცხედრები ასვენია, **მოწამეთა** ჰქვია... „თქვენ ხართ მარილი მიწისა“ (მათეს სახარება). ისინი აღმოჩნდნენ მარილი ქართველი ერის ცხოვრებისა — დავითი და კონსტანტინე, ისევე, როგორც დემეტრე, ქეთევანი, თევდორე... ყველა ის, ვინც მსხვერპლს იღებს თავისი **მსახურებით** ღვთისადმი, ერისადმი, მოყვასისადმი, არის მარილი მიწის. ჩვენ გვყავდა ასეთი პიროვნებები. გვყავს ახლაც... ასეთი პიროვნებაა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომლის ხელშიც დაიწყო ჩვენი ეკლესიის და სულიერების უდიდესი აღორძინება საბჭოური პერიოდის „ნანგრევებიდან“. „უნდა არსებობდეს მსხვერპლშეწირვის სული“ — ამბობს მამა პაისი. დიახ, სწორედ

მსხვერპლის გაღების, მსახურების სულისკვეთებიდან მომდინარეობს უზარმაზარი ენერგია, რომელიც რადიაციასავით ვრცელდება და დიდ ისტორიულ ცვლილებებს განაპირობებს.

თვითმმიძღვნის იმპულსი და აღიარების იმპულსი — ეს ორი ურთიერთსაპირისპირო პოლუსი. პირველის საფუძველია **მეტაფიზიკური თავმდაბლობა და კრძალვა** უფლის წინაშე, მეორის — **მეტაფიზიკური ამპარტავნება.** ორი პოლუსი... პირველზე ადამიანი დგას სახით უფლისკენ, მეორეზე კი — მისგან ზურგშექცეული. მაგრამ ამ ორი რადიკალურად ურთიერთსაპირისპირო იმპულსით გამსჭვალულ სულებს აქვთ ერთი საერთო რამ: თავგანწირვის უნარი! დიახ, აღიარების ჟინით შეპყრობილი ადამიანი ხშირად ისევე მზადაა სიცოცხლე გაიღოს სახელისთვის, როგორც წმინდა მამაა მუდმივ მზადყოფნაში, რათა ღვთისთვის ან მოყვასისთვის თავი გაწიროს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია! ნლების განმავლობაში მღვიმეში განმარტოებულ დიდ ასურელ მამას — შიოს — თავი ჰქონდა გადადებული უფლისათვის, მაგრამ განდიდების ავადმყოფური მანიით გამსჭვალული თემურლენგიც ხშირად არაფრად აგდებდა საკუთარ სიცოცხლეს და სიკვდილს ეთამაშებოდა ურიცხვ ლაშქრობებში... თავგანწირვა მსახურებისათვის და თავგანწირვა აღიარებისთვის: დიახ, ორივე ისტორიის უდიდესი მამოძრავებელი ფაქტორია! მაგრამ მხოლოდ მსახურებისათვის თავგანწირვის უნიკალური აქტები ანიჭებენ ისტორიას მარადიულ საზრისებს; იმ ისტორიას, სადაც ყველაფერი დროებითი, რელატიური და დისპერსიულია; ეს საზრისები ანათებენ, როგორც ჩაუქრობელი ორიენტირები, კაცობრიობის ცხოვრების მრუმე და მშფოთვარე სტიქიაში. ისინი გზას გვიკვლევენ ჩვენ — დაბნეულ და მოხეტიალე ცხოვართ...

უკანასკნელი ადამიანი ანუ დღეს-დღეობით პლანეტაზე გაბატონებული მოდგმა მოკლებულია თავგანწირვის უნარს. შესაბამისად, იგი მოკლებულია ევოლუციის უნარსაც. უფრო სწორედ, თავგანწირვა მისი ფსიქიკისთვის აბსოლუტურად უცხო „ელემენტია". იგი ასეთ „უცნაურობებს" ზოგჯერ უნდობლობით, ზოგჯერ შიშითაც და ზოგჯერ ირონიით უყურებს. მადლობა ღმერთს, მისთვის უცხოა ავადმყოფური თავგანწირვა აღიარებისთვის და, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროგრესული მოვლენაა ისტორიისთვის. მაგრამ მისთვის უცხოა ასევე თავგანწირვა ადამიანებისა, რომლებიც ამაზე ღვთის, ერის და მოყვასის მსახურებისთვის მიდიოდნენ. კი, იგი ქებას და აპლოდისმენტებს არ დაინანებს მათი მისამართით, მაგრამ უკანასკნელი ადამიანის თვალში ისინი მხოლოდ წარსულის სამუზეუმო ექსპონატებია; ისინი ისტორიის

განვლილი ეტაპია და თანამედროვეობაში მათი ადგილი აღარაა... „დიახ, შესანიშნავია კოცონზე ასული იან ჰუსი, შესანიშნავია უდაბნოში განმარტოებული სერაფიმ საროველი, მაგრამ ყოველივე ეს უკვე ისტორიას ჩაბარდა... დღეს ასეთი რადიკალიზმი ანომალიაა... ან საერთოდ რისთვისღაა საჭირო?! მოდი, თავს ნუ ავიტკიებთ სიგიჟეებით...“ — ამბობს უკანასკნელი ადამიანი და „თვალებს ახამხამებს“. (საოცრად მომწონს ნიცშეს ეს ფრაზა!). მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ადაპტაცია სხვადასხვა აქტუალურ სიტუაციებში, უსაფრთხოება და მატერიალური კეთილდღეობა... აზარტიც! ჰო, ცოტა თანაგრძნობაც, ცოტა აგრესიაც, ცოტა წესიერება, ცოტა უწესობა, ცოტა ეს, ცოტა ის... მაგრამ რაღა დროს თავგანწირვის სულისკვეთებაა XXI საუკუნეში?! — გულწრფელად უკვირს მას და „თვალებს ახამხამებს“.

დიახ, იყო დრო, როდესაც ევროპასა თუ აზიაში ამა თუ იმ ერის სულს განსაზღვრავდნენ და განასახიერებდნენ აღიარებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული არისტოკრატები და თავგადადებულ მსახურებაში მყოფი სულიერი რჩეულები. არცთუ იშვიათად დიდი ერისკაცები ორივე როლში გვევლინებოდნენ: მათ ამპარტავნებაც ამოძრავებდათ და უანგარო მსახურების იმპულსიც. ასეთი იყო ჩვენი დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე თუ ესპანელი სიდი თუ ამერიკელი ჯორჯ ვაშინგტონი თუ ბერძენი კონსტანტინე კანარისი. მაგრამ დღეს? თანამედროვე ეპოქის სულს თავგანწირული ბერები და არისტოკრატები აღარ განსაზღვრავენ. თანამედროვე ეპოქის სულს თავიდან ბოლომდე განსაზღვრავს და განასახიერებს სწორედ ეს ჯიში ადამიანის — უკანასკნელი ადამიანი. „ჩვენ ვიპოვეთ ბედნიერება!“ — ამბობს იგი და თვალებს ახამხამებს.

მაგრამ უკანასკნელი ადამიანის ბატონობაზე ისტორია ვერ გაჩერდება. რატომ? იმიტომ, რომ ეს მოასწავებს მის ფინალს. ისტორიული სიცოცხლის არსი კი მუდმივ თვითგანახლებასა და ბერგსონისეულ შემოქმედებით ევოლუციაში მდგომარეობს. მის დინამიკას ვერაფერი შეაჩერებს. ხოლო ამ თვითგანახლებისა და შემოქმედებითი ევოლუციის მამოძრავებელი ძალა ყოველთვის იყო და იქნება ადამიანის მიერ მსხვერპლის გაღების საოცარი უნარი. მაგრამ უკანასკნელი ადამიანი მოკლებულია სწორედ ამ უნარს. ამიტომ მისი ჰეგემონია ძირეულ კონფლიქტში შედის თავად ისტორიული დინამიზმის სულთან. კვლავ აღვნიშნავ შემდეგს: მე სავსებით ვეთანხმები ფუკუიამას დასკვნას იმის თაობაზე, რომ ლიბერალური დემოკრატია სოციალურ-პოლიტიკურ ფორმაციათა ევოლუციის

მწვერვალს წარმოადგენს. იგი ისტორიის უზარმაზარი მონაპოვარია და პრაქტიკულად, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე სისტემა, რომელიც მასზე უფრო ეფექტური, ოპტიმალური იქნება. შეიძლება, იგი, მართლაცდა, ჩვენი ფორმაციული პროგრესის ბოლო საფეხურია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს სიკვდილს. ეს არ ნიშნავს ისტორიული შემოქმედებითი ევოლუციის წერტილს. ახლა თავად ლიბერალურ-დემოკრატიული ფორმაციის წიაღში უნდა განვითარდეს **თვითგანახლების** პროცესები: ახალი ფორმების ძიება, სრულქმნა, წარმოქმნა... მაგრამ ეს შეუძლებელია უკანასკნელი ადამიანის ბატონობის პირობებში, რომელიც თავად ლიბერალურმა დემოკრატიამ მოიტანა. ამიტომ მისი დიდი თვითგანახლება აუცილებლად გულისხმობს ამ ბატონობის დასასრულს. უკანასკნელი ადამიანის ჰეგემონიას ბოლო მოეღება. მას ჩამოიყვანენ ისტორიული ავანსცენიდან და ეს იქნება ტრანსფორმაციის დასაბამი. ვფიქრობ, რომ **ახალი არისტოკრატიის** ფორმირება ლიბერალურ-დემოკრატიული სამყაროს ქვეყანაში გარდაუვალია. სწორედ იგი დაიკავებს „დამხობილი" უკანასკნელი ადამიანის ადგილს და გახდება ერის კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველი სუბიექტი. იგი იქნება იმავდროულად გარანტი დემოკრატიის და ადამიანის უფლებების პრინციპების განუხრელი დაცვის. დიახ, ისტორია დაუბრუნდება თავისი გამოცდილების ყველაზე უფრო აპრობირებულ და ბუნებრივ წესს. ჰეგემონის როლში კვლავ მოგვევლინებიან რჩეულნი ანუ ისინი ვისაც ძალუძთ მსხვერპლი გაიღონ სარწმუნოებისთვის, სამშობლოსთვის, თავისუფლებისა და თანასწორობისთვის. ეს ნიშნავს დაბრუნებას გაბატონებული მას-კულტურიდან საკუთრივ კულტურისაკენ, უსამშობლო იდეებიდან — პატრიოტიზმისაკენ, ათეიზმიდან — რწმენისაკენ. აი, ეს იქნება სწორედ ლიბერალური დემოკრატიის ხელახლა დაბადება და ევროპული ცივილიზაციის აღორძინების დასაწყისიც.

10.07.2007 წ.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო" №34 (3645)
5 ოქტომბერი 2007 წ.

დროის გამოცანა

ჩვენ ვილაპარაკებთ სივრცე-დროის არაჩვეულ გაგებაზე. სახელდობრ ეს უკანასკნელი არ არის ჩვეული რამ ყოველდღიურობაში ჩართული ადამიანისა და აგრეთვე „ტრადიციული“ მეცნიერისათვის. საქმე ეხება სულ სხვა რეფლექტურ ცნობიერებას, ვიდრე ესაა ბიზნესმენის, მიწათმომქმედის თუ ფიზიკოსის მიერ სივრცისა და დროის „აღქმა“. ნუ გვეგონება, თითქოსდა აქ ადგილი აქვს რაღაც თავისუფალ მხატვრულ-ფილოსოფიურ ბელეტრისტიკას. პირიქით, ჩვენი მსჯელობები ემყარებიან უაღრესად მკაცრ მეცნიერულ საფუძველს, ვინაიდან ისინი ამოიზარდნენ ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიისა და მ. ჰაიდეგერის ექსისტენციალური ონტოლოგიის უმნიშვნელოვანესი ასპექტებიდან. მაშასადამე, გარკვეულწილად მოგვიწევს უკვე გაკვალული მარშრუტით სიარული, თუმცა საკუთარი იმპროვიზაციით და ამ გზაზე უთუოდ „შევხვდებით“ და აღმოვაჩენთ რაღაც ახალს.

სივრცე-დროის ეს გაგება თავს გვაუწყებს ისევ და ისევ ყოველდღიურ ცხოვრებაში ცალკეული გაელვებების სახით, თანაც ამა თუ იმ ინტენსივობითა და სიცხადით: ზოგჯერ გამოანათებს და უყურადღებოდ მსწრაფლადვე გაქრება... ზოგჯერ კი გვსურს ერთგვარად ხელი ჩავავლოთ მას, რათა უკეთ გავითვალსაჩინოოთ, მაგრამ ის მაინც გასხლტება ხოლმე... რა არის იგი? როგორ მივუდგეთ მას? მასში უცნაურად გამოსჭვივის თავად ყოფიერების მთლიანობა: დიახ, თითქოს ყოფიერების ფენომენს „გვიმხელს“ სივრცე-დროის ეს უჩვეულო ცნობიერება, თითქოს რაღაც საწყისი იდუმალება გამოკრთება აქ ჩვენ წინაშე და სწორედ, იგი მძლავრად გვიხმობს ფილოსოფიური შემეცნების განხორციელებისაკენ!

მოდით, უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ დროის შინაგანი ცნობიერების შესახებ ჰუსერლისეული გამოკვლევების არსებითი მომენტები. ამისათვის კი, აუცილებელია, ჯერ ჩვენი რეტროსპექტიული მზერა მივმართოთ ფენომენოლოგიის ისეთი საკვანძო თემისაკენ, როგორიცაა მოძღვრება მეთოდის შესახებ და მოკლედ

განვიხილოთ მისი უმნიშვნელოვანესი ასპექტები. რატომ? იმიტომ, რომ ეს მეთოდი არის ერთადერთი „გასაღები" ნებისმიერი ფილოსოფიური პრობლემატიკის და მათ შორის დროის პრობლემატიკის საკუთრივ ფენომენოლოგიური ანალიზისა.

ჰუსერლის ე.წ. რედუქციის მეთოდი არის გზა სრულიად ახალი ცოდნითი ველისაკენ და იგი გულისხმობს ჩვენთვის ჩვეული ნატურალური განწყობის „გამორთვას". რას ნიშნავს ეს? საჭიროა ჯერ აღვწეროთ, თუ როგორ ხედავს სამყაროს და თავის თავს ის ადამიანი, რომელიც აღნიშნული განწყობის მქონეა. ამ აღწერას ნათელი და შეკუმშული სახით ჰუსერლი იძლევა ნატურალური განწყობის გენერალურ თეზისში. იგი შემდეგს გვეუბნება: მე ვპოულობ ჩემ წინ მუდმივად სახეზე მყოფ დროულ-ვრცელ სამყაროს, რომელსაც თავად განვეკუთვნები და რომელსაც განეკუთვნებიან სხვა ადამიანებიც, ისეთივე სახით მიმართულნი სამყაროზე, როგორც მე. ამ სამყაროსეულ სინამდვილეს ვპოულობ, როგორც საღი მე, უწყვეტად მთლიან გამოცდილებაში და ვიღებ მას ისე, როგორც იგი წარმომიდგება ანუ მუნყოფიერ სინამდვილეს.

დიახ, ამ განწყობაზეა დამყარებული ადამიანის საღი ყოველდღიური ცხოვრება და ყველა პოზიტიური მეცნიერება. როდესაც სამსახურში ვმუშაობ, ვჭამ, ფეხბურთის მატჩის შედეგი მიხარია, მოწინააღმდეგეს ცეცხლს ვუშენ თუ გენეტიკური კვლევებით ვარ დაკავებული, მუდმივად ძალაშია ნატურალური განწყობა, რომელიც გამსჭვალავს ჩემ ყველა პრაქტიკულ თუ თეორიულ ცხოველქმედებას. მაგრამ ფენომენოლოგიის საკუთრივ ველში შესვლა იწყება სწორედ ამ განწყობის „გამორთვის" ოპერაციით. რაში მდგომარეობს იგი? ეს არ ნიშნავს გენერალური თეზისის უარყოფას და მაშასადამე, მასში გამოხატული პოზიციის შეცვლას ნეგაციით ან კიდევ ვარაუდით და ა.შ. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გამოვრთავთ მას და ე.ი. მოვაქცევთ რაიმენაირი გამოყენების გარეთ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩვენ ვახდენთ გენერალური თეზისის განლირებულებას და ბრჭყალებში ჩასმას. ამ „მანიპულაციას" ჰუსერლი **ეპოქედ** მონათლავს, ვინაიდან იგი გვევლინება **თავის შეკავებად** იმ ნებისმიერი სახის მსჯელობისაგან, რომელიც რაიმენაირი პოზიციის მქონეა გენერალური თეზისის მიმართ. აღნიშნული ოპერაციის შედეგად ჩვენ წინაშე იხსნება კვლევის სრულიად ახალი და უნიკალური ასპარეზი, სახელდობრ, წმინდა ცნობიერების სფერო. სწორედ მის ფარგლებში ფენომენოლოგი განიხილავს, თუ როგორ წარმოჩინდებიან და კონ-

სტიტუირდებიან ნივთები თავისი საზრისეული სტრუქტურებით ცნობიერების შესაბამის ინტენციონალურ აქტებში. მაშასადამე, მას საქმე აქვს ე.წ. **ფენომენებთან**, ანუ იმასთან, რაც თავის თავს თავისივე თავის მეშვეობით აჩვენებს. რა არის ეს უკანასკნელი? როგორც უკვე ზემოთ მივანიშნეთ, ესაა ნივთისა და ინტენციონალური აქტის მთლიანობა. წმინდა ფენომენოლოგიური და არა ნატურალური განწყობის პირობებში მე არც პრაქტიკულად ვსარგებლობ ნივთებით, არც ექსპერიმენტულად ვსწავლობ ამ უკანასკნელთ, როგორც რაღაც თავისთავად არსებულ ობიექტებს, არც ჩემ სუბიექტურ წარმოდგენებად მივიჩნევ მათ და ა.შ.; მე მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტურად ნეიტრალურად განვიხილავ და ვიკვლევ ნივთების მოცემულობას და კონსტიტუირებას ცნობიერების სათანადო აქტებში.

საჭიროა აქვე მივუთითოთ, რომ ფენომენოლოგია განსხვავებით ფსიქოლოგიის, ფიზიკისა თუ ბიოლოგიისაგან, ეიდეტურ მეცნიერებათა კლასს განეკუთვნება, რაც გულისხმობს შემდეგს: იგი არის არა მეცნიერება ფაქტებსა და რეალობებზე, არამედ არსებებზე (Wesen), და მაშასადამე, მათემატიკის, გეომეტრიის, ლოგიკის მსგავსად მას საქმე აქვს აპოდიქტური სიცხადის მქონე ჭეშმარიტებებთან. ფაქტობრივი ყოფიერი ხომ შემთხვევითია. იგივე ითქმის ბუნების კანონებზეც, რომლებიც ამგვარ შემთხვევითობათა ფაქტიურ წესრიგებს გამოხატავენ: მათი აუცილებლობა და საყოველთაობა ყოველთვის რელატიურია. გამომდინარე აქედან, „ეპოქეს" შედეგად მოპოვებულ სფეროში ფენომენოლოგი განიხილავს არა ფაქტობრივ ფენომენებს, არამედ მათ **არსებებს** (Wesen). რა თქმა უნდა, ფენომენოლოგი ამოდის იქიდან, რაც ფაქტობრივად ეძლევა, კერძოდ აი, ეს ინტენციონალური განცდები და მათში გაცხადებული საგნები. მაგრამ მისი მიზანია, მათი წმინდა არსებისეული სტრუქტურების შემეცნება და არა ფაქტობრივი მახასიათებლებისა. იგი იკვლევს ვთქვათ, არა აი, ამ ფაქტობრივ აღქმაში ფაქტობრივი ნივთის კონსტიტუირებას, არამედ აღნიშნული ფენომენის წმინდა არსებისეულ სტრუქტურას.

„ახლა ვიხედები ფანჯარაში და მზარავს ეს სურათი: შუადღისით ჩამოწოლილი სიბნელე, საშინელი გრიგალი..." — ფენომენოლოგს არ აინტერესებს, არსებობს თუ არა აღნიშნული ვითარება, სახელდობრ, ეს კლიმატური ცვლილება **თავისთავად** ან კიდევ მხოლოდ **სუბიექტური წარმოდგენის** სახით. იგი ვალდებულია თავი შეიკავოს ასეთი

ტიპის მსჯელობებისაგან. მის ამოცანას არ შეადგენს არც ამ ვითარების მეტეოროლოგიური ფაქტორებისა და პარამეტრების დახასიათება და არც თავისი განცდების, როგორც ადამიანური ორგანიზმისათვის კუთვნილი ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესების და რეაქციების ანალიზი. იგი არც გეოფიზიკოსია და არც ფსიქოლოგი თუ ფიზიოლოგი. იგი მხოლოდ და მხოლოდ აღწერს, თუ როგორ წარმოჩინდება და კონსტიტუირდება ამ „საზარელი" ამინდის არსება (Wesen-ი) საკუთარი აღქმის, შეძრწუნების, გაფიქრების და სხვა ინტენციონალური აქტების არსებისეულ მთლიანობაში. თუმცა მას იგივე მეთოდოლოგიური მიდგომით შეუძლია განიხილოს ამ ამინდის მოცემულობა და კონსტიტუირება, როგორც „წმინდა წყლის" გეოფიზიკური მოვლენისა, ე.ი. ემპირიული მეცნიერული შემეცნების ობიექტისა, ისე, რომ თავად არც ამტკიცოს და არც უარყოს მისი რეალობის თავისთავადობა.

როდესაც ვსაუბრობთ ფენომენოლოგიურ მეთოდზე, საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ უმნიშვნელოვანეს ვითარებას, რომ ბრჭყალებში ჩასმის ოპერაციას ანუ რედუქციას ექვემდებარება ე.წ. ფსიქიკური რეალობაც, რომელიც ნატურალურ განწყობაზე დაფუძნებული ჩვენი ყოველდღიური შეხედულებისა და ფსიქოლოგიური მეცნიერების თანახმად ადამიანის ანუ რეალური ანიმალური არსების კუთვნილებას წარმოადგენს; კერძოდ, იმ არსების, ვინც გარკვეული ანატომიური, ფიზიოლოგიური განსაზღვრულობის მქონეა, ემორჩილება ბუნების, ისტორიის კანონზომიერებებს, გარემოს ფაქტორებს და მოკლედ, ჩართულია, როგორც ერთ-ერთი ყოფიერი სხვა მრავალთა შორის, სამყაროს საერთო მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში. ამიტომ ნატურალური განწყობის გამორთვა აუცილებლად გულისხმობს იმასაც, რომ ფენომენოლოგიური შემეცნების მიღმა რჩება აგრეთვე ადამიანურ თუ ცხოველურ ორგანიზმზე „მიმაგრებული" ფსიქიკური შრეც. ამ უკანასკნელს შეიძლება სწავლობდეს სხვადასხვა მეთოდებით ბიჰევიორისტი, განწყობის თეორიის მიმდევარი, ფსიქოანალიტიკოსი თუ კოგნიტივისტი, მაგრამ არა ფენომენოლოგი.

დიახ, ბრჭყალებში ჩასმის ოპერაციას არ ექვემდებარება წმინდა ცნობიერების ანუ ტრანსცენდენტალური სუბიექტურობის რეგიონი, რომლის ინტენციონალურ აქტივობაშიც წარმოჩინდება და დგინდება ნებისმიერი საგნობრიობა სამყაროსეული მთლიანობის ფონზე, და ამიტომ სწორედ იგი და მხოლოდ იგი თავისი წმინდა ეიდეტური შინაარსით განეკუთვნება ფენომენოლოგიური კვლევის საკუთრივ სფეროს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ფენომენოლოგიური მეთოდი გულისხმობს ე.წ. ფიზიკური ანუ კოსმოლოგიური დროის გამორთვასაც, ვინაიდან იგი გენერალურ თეზისში აღწერილი ვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ესაა გაზომვადი დრო, რომლითაც ვოპერირებთ სხვადასხვა მათემატიკური გათვლების გასაკეთებლად: ვთქვათ, სხეულის სიჩქარის თუ აჩქარების, ტალღების გავრცელების კანონზომიერების, რაღაც პროცესის ინტენსივობის და სხვა პარამეტრების დასადგენად. კოსმოლოგიური დროის „ბრჭყალებში ჩასმა" ნიშნავს შემდეგს: მე, როგორც ფენომენოლოგი, ნაივურად აღარ ვამტკიცებ მის რეალურ არსებობას; არც პრაქტიკულად ვიყენებ მას ყოველდღიური ცხოვრებისეული გრაფიკის შესამუშავებლად, რაღაც გეგმების დასაწყობად და ა.შ. ფენომენოლოგიური კვლევის პროცესში მე ხომ ჩვეული, ნატურალური განწყობა გამორთული მაქვს და შესაბამისად, ჩემთვის ამ ტიპის დრო არც თეორიულად, არც პრაქტიკულად აღარ მნიშვნელობს.

მაგრამ ფენომენოლოგიური მეთოდის განხორციელების შედეგად რედუქციის მილმა რჩება დროის სრულიად უნიკალური, არაორდინარული სახეობა და მისი რელევანტური ცნობიერება, რომელსაც ჰუსერლი დროის შინაგან ცნობიერებას უწოდებს. იგი აღნიშნავს, რომ ეს დრო არ იზომება საპირისპიროდ კოსმოსურისა: იგი არ იზომება არავითარი მზის მდგომარეობით, არავითარი საათით, არავითარი ფიზიკური საშუალებით... რა არის იგი? როგორ აღვნერთ და გადმოვცემთ მას?

ტექსტებში დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიისადმი ე. ჰუსერლი დეტალურად აანალიზებს და ნათელს ჰფენს აღნიშნულ საკითხს. იგი სვამს კითხვას: როგორ ხდება შესაძლებელი რაღაც უწყვეტ ცვლილებათა მსვლელობის, მაგალითად, მელოდიის მთლიანობის აღქმა? მელოდია ხომ არ არის ჯამი ცალკეულ თვალსაჩინოებათა, ვინაიდან ბგერათა თანმიმდევრობა, ე.ი. გაშლა-განვითარება თვალსაჩინოდ მოცემულია ერთიან (დროში ხანიერ) აქტში. ცალკეულ ბგერებს და ბგერათწარმოქმნებს, ცხადია, განსაკუთრებული აქტები შეესაბამებათ, მაგრამ არსებობს ერთი აქტიც, რომელიც მოიცავს მთელ ამ შინაარსობრივ ერთიანობას. დიახ, ჩვენ სწორედ, რომ აღვიქვამთ ანუ „ცოცხლად" განვიცდით მთელ მელოდიას და არა მხოლოდ მის ნაწილებს, და მაშასადამე, დროში განფენილ პროცესს უშუალოდ ვწვდებით, როგორც **თავად** მოცემულს და **აწმყოს**.

ჰუსერლი გვიჩვენებს, რომ რაღაც მდინარების აღქმაში იმავდროულად ფიგურირებს წარსულის თვალსაჩინოებაც: „...ხდომილების, ცვლილების, ქმნადობის აღქმის შესახებ ვლაპარაკობთ იქ, სადაც აწმყო ყოფიერებასთან ერთად გარკვეული სახით **განვიცდით** წარსულს და სწორედ ისე, რომ **განცდილს, მოცემულს** მთლიანად მოიცავს თავის თავში საგნობრივი კუთვნილების ერთიანობა..." (3,გვ. 25). როდესაც ვუსმენ მელოდიას, ყოველ მომენტში აღვიქვამთ აწმყოში მოცემულს, ანუ აი, ახლა აღქმულს იმასთან ერთად, რაც აი, ახლახან უკვე წავიდა. მაშასადამე, წარსულის და აწმყოს ამ ერთიანობას მე თავად აწმყოში განვიცდი. ჰუსერლი მკაცრად განასხვავებს წარსულის ამ უშუალო „ცოცხალ" განცდას მისი რეპროდუქციისაგან: მე ვიხსენებ რაღაც ბგერას ანუ კვლავ აღვადგენ მას და ე.ი. საქმე მაქვს მხოლოდ და მხოლოდ მის რეპროდუქციასთან. მაგრამ, მეორე მხრივ, აი, ეს ტონალობა, რომელმაც ახლახან გაიჟღერა და მის ნაცვლად ამჟამად უკვე ახალი ჟღერს, მეძლევა არა, როგორც რეპროდუქცია, არამედ, როგორც **თავად** განცდილი და ეს განცდა უშუალოდ თან-ერთვის ახლა მჟღერი ტონალობის აღქმას — იგი მისი შემადგენელი მომენტია.

და ყოველივე ამასთან ერთად, დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიური ანალიზი ამჟღავნებს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს: ვუსმენ რა მელოდიას და აღვიქვამ რა აი, ამ ბგერათწარმონაქმნს, ჩემი ცნობიერება იმავდროულად მიმართულია „წინ"-აც და ე.ი. თავისი მოლოდინის ინტენციონალობაში უშუალოდ წვდება, უშუალოდ „ეხება" რაღაც გარკვეულ თუ გაურკვეველ ახლახან მომავალს. სახელდობრ, ეს მოლოდინი შეიძლება იყოს გარკვეული და თვალსაჩინო, თუ კი ჩემთვის მელოდია კარგად ნაცნობია და პირიქით, შეიძლება იგი ატარებდეს **ჯერ-კიდევ გაურკვეველი** ახლახან მომავალი ტონალობის განცდის ხასიათს, თუკი, რა თქმა უნდა მელოდია უცნობია. მაშასადამე, ჰუსერლის სიტყვებით, რომ ვთქვათ, დროით ველს აქვს აგრეთვე **მომავალიც**, რომელსაც უბრალოდ კი არ წარმოვისახავთ, არამედ **უშუალოდ ვწვდებით** და ეს აქტიც მიმდინარე აღქმის განუყოფელი მომენტია.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ „აღქმის მოცემულობა აუცილებლად დროითად გაწელილია და არა უბრალოდ დროითად წერტილოვანი" (3,გვ. 12), ხოლო „მელოდიის აღქმა არის დროითად გაფართოებადი, თანდათანობით და უწყვეტად თვითგანშლადი აქტი, რომელიც მუდმივად აღქმაა და ამ აქტს აქვს მუდამ ახალი და ახალი

„ახლა“-ს პუნქტი“ (გვ. 33) და მასში **საგნობრივად** მოცემულია რაღაც ტონალობა, როგორც ახლა-მყღერი, აგრეთვე რაღაც ტონალობა, როგორც ახლახან-ჩავლილი და რაღაც (უცნობი თუ ნაცნობი) ტონალობის შესაძლებლობა, როგორც ახლახან-მომავალი.

დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს: ფენომენოლოგიურ ანალიზს არაფერი ესაქმება ე.წ. ობიექტურ ანუ ფიზიკურ დროსთან. მაგრამ ამის გამო შეცდომაში ნუ შევალთ და ნუ ვიფიქრებთ, თითქოსდა მისი განხილვის საგანს შეადგენს ფიზიკური დროის სუბიექტური განცდის თავისებურებანი, რასაც იკვლევს ფსიქოლოგია და რაც, მაგალითისათვის, გამოხატულია „დროის ემოციონალური დეტერმინაციის“ კარგად ცნობილ კანონში. ფენომენოლოგს საქმე აქვს იმ პირველად, საწყისობრივ ცნობიერებასთან, სადაც დრო გვეძლევა სუფთა სახით ანუ კერძო-მეცნიერული თუ მსოფლმხედველობრივი გადამუშავებისა და „ქიმიური“ მინარევების გარეშე. ნატურალური და მასზე დაშენებული საბუნებისმეტყველო აზროვნებისთვის დრო მხოლოდ და მხოლოდ ახლა-მომენტების თანმიმდევრობაა, მათი „ჯერ-მერე“-ა, რისი ნივთობრივი რეპრეზენტაციაც არის **საათი**. ფენომენოლოგია კი გველაპარაკება ერთგვარ **დროით ველზე**, რომელშიც აწმყო განფენილია თავის უშუალო წარსულთან და მომავალთან ერთად და ეს ევიდენტურად გვეძლევა აღქმაში. ამ ველს შეუძლია სულ უფრო და უფრო გაფართოვდეს (ანუ მის ჰორიზონტს შეუძლია სულ უფრო და უფრო შორს გადაიწიოს, როგორც წარსულის, ასევე მომავლის მიმართულებით) იმისდა შესაბამისად, რაც უფრო „შორს“ გადაიწევს ჩვენი რეპროდუქციულ მეხსიერების და წარმოსახვითი მოლოდინის თვალსაწიერი.

დიახ, ფენომენოლოგია აუქმებს რა დროის ტრადიციულ პარადიგმას, გასაოცარი მეცნიერული სკრუპულოზურობით გზას უკვალავს სრულიად ახალ **გაგებას** და ეს ალბათ, მხოლოდ დიდი პროცესის დასაწყისია. ჰუსერლმა მიაგნო ისეთ რამეს, რაც შეიძლება დიდი შემეცნებითი სივრცეების გახსნის მომასწავებელი აღმოჩნდეს. ამიტომ მისი მონაპოვარი დროის პრობლემატიკაში ჯერ კიდევ ძალზედ ფართო კვლევებს ელის.

თავის მოხსენებაში „დრო და ყოფიერება“, რომელიც ჰაიდეგერმა წაიკითხა 1962 წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტში (რაც არ უნდა აგვერიოს მისი ცნობილი ნაშრომის სათაურთან „ყოფიერება და დრო“), იგი წერს: დრო ჩვენთვის ცნობილია ჩვეული, გავრცელებული წარმოდგენების და შეხედულებების საფუძველზე, მაგრამ როგორც

კი შევეცდებით მისი საკუთრივი არსის ცხადყოფას, ის უმალ უცნობი აღმოჩნდება. კერძოდ, საჭიროა მოვემზადოთ იმ ვითარებისათვის, რომ დროის საკუთრივი არსის განსაზღვრებას ვერ მოვახერხებთ მისი საყოველთაოდ მიღებული და დამკვიდრებული მახასიათებლების მეშვეობით. ჩვენ შევეჩვიეთ, რათა დრო — აწმყოს, წარსულის და მომავლის ერთიანობა — წარმოვიდგინოთ და გავიაზროთ „ახლა"-დან გამომდინარე. აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორი იხსენებს არისტოტელეს, რომელიც დროის ტრადიციული ნატურალური და ფიზიკური გაგების ერთ-ერთი ფუძემდებელია. სტაგირელი მიუთითებდა შემდეგს: ის, რაც ნამდვილად მყოფობს ანუ **არის** დროის მხრიდან, მხოლოდ ყოველი „ახლა-მომენტია", დანარჩენი კი, სახელდობრ, წარსული და მომავალი რაღაც არარსებულია, თუმცა მთლად არარაობასაც მათ ვერ ვუწოდებთ, თითქოსდა მათ აკლიათ არსებობა და ეს უკმარისობა გამოიხატება ტერმინებით: „უკვე არ" და „ჯერ-კიდევ არ". მაშასადამე, არისტოტელეს მიერ დანახული დრო წარმოადგენს „ახლა-მომენტების" თანმიმდევრობას, რომელთაგან ყოველი მათგანი ჩნდება რა, მსწრაფლადვე ქრება „აი, უკვე ახლახან ნამყო"-ში ვინაიდან მის ადგილს იკავებს „აი, სულ ახლა მომსვლელი" მომენტი. „ახლა", რომელიც მოდის, რომელიც სახეზეა და რომელიც ჩაივლის ანუ თანმიმდევრული ტემპორალური მომენტების მწკრივი — ასეთი დრო გვაქვს მხედველობაში, რომელსაც ვზომავთ და გამოვთვლით. ჰაიდეგერის თქმით, ჩვენ უშუალოდ და ხელშესახებად აღვიქვამთ ე.წ. გაზომვად დროს, როდესაც ხელში ავიღებთ, დავხედავთ საათს და ვამბობთ: ახლა 20 საათი და 50 წუთია. მაგრამ სინამდვილეში ვერსად ამ საათში — ვერც მის მექანიზმში, ვერც მის ციფერბლატზე — დროს ვერ ვიპოვით. აგრეთვე ჩვენ ვერ ვიპოვით მას ვერც თანამედროვე ტექნიკურ ქრონომეტრებში.

სად არის დრო? სვამს კითხვას ავტორი. იგი მოგვიწოდებს მეტი წინდახედულებისაკენ, რათა სკრუპულოზურად, მიმოწვლილვით ჩავაკვირდეთ იმას, რაც თავს გვიჩვენებს, როგორც დრო. ესაა, უპირველეს ყოვლისა, აწმყო, ოღონდ არა „ახლა-მომენტის" აზრით, არამედ **თანდასწრებულად-ყოფნისა**. აწმყოა ის, რაც გვესწრება: აი, ეს სიმღერა, რომელიც მესმის; ჩემი შვილი, სამზარეულოში რომ საუზმობს; ნატოს მიმდინარე სამიტი, რის შესახებაც ინფორმაციებს ვიღებ ტელევიზიით, პრესით თუ ინტერნეტით; უამრავი მოვლენა, პროცესი დედამიწაზე, მზის სისტემაში, ჩვენ გალაქტიკაში თუ სხვა გალაქტიკებში, რომელთა ირგვლივაც რაღაცეები ვიცი და უსასრუ-

ლოდ ბევრი რამ კი — არა. ეს ყველაფერი აწმყოშია, ახლაა ანუ თანდასწრებულია. ჰაიდეგერი ამბობს, რომ აწმყო თანდასწრებულად-ყოფნის აზრით არ განისაზღვრება „ახლა-მომენტიდან". პირიქით, ეს უკანასკნელი უნდა განვსაზღვროთ პირველიდან. რას ნიშნავს თანდასწრება? იგი მეხება მე ანუ ადამიანს; იგი შემხვედრად გამოწვდილია ჩემკენ! ადამიანი — შეპყრობილი, დაუფლებული თანდასწრებულად-ყოფნით, ისე, რომ იგი იღებს მას, როგორც ერთგვარ ძღვენს — აღიქვამს არსებულს (ე.ი. ნივთებს), რაც მოცემულია თანდასწრებულად-ყოფნაში. ადამიანი აღმოჩნდებოდა ყოფიერებასთან მისასვლელი ველის გარეთ ანუ აღარ იქნებოდა საკუთრივ ადამიანი, რომ არ ყოფილიყო იგი ძღვენის ასეთი მიმღები — ამ საოცარი და იდუმალი გამოთქმებით აღწერს ჰაიდეგერი აწმყოს, როგორც თანდასწრების ფენომენს.

მაგრამ ასევე მუდმივად ჩვენთან, შეხებაშია არ-ყოფნა ანუ დაუსწრებლობა: რაღაცა თავს გვახსენებს და ჩვენთან იმყოფება, როგორც სწორედ უკვე-არ-მყოფი, უკვე-არ-დამსწრე, ე.ი. იგი თავის დაუსწრებლობაში მაინც თანადამსწრეა! რაღაცა უკვე განხორციელდა და წავიდა და აი, ამ სახით იგი კვლავ შეხებასა და თანყოფნაშია ჩვენთან. წარსული არ არის ის, რაც უბრალოდ ამოვარდა მორიგი „ახლა-მომენტიდან", „გადაგორდა" და გაქრა: უკვე-არ-აწმყო, ე.ი. უკვე განხორციელებული მაინც გვესწრება და იმყოფება ჩვენთან განსაკუთრებული სახით.

და იგივე ვითარებას აქვს ადგილი მომავალთან დაკავშირებით: მომავალი ანუ **ჯერ-კიდევ-არ-აწმყო** გვეხება, გვწვდება თავისი დაუსწრებლობით. რაღაცა ჯერ-კიდევ-არ-არის აწმყოში — იგი გვაკლია, ჯერ არ გვესწრება და სწორედ ამ სახით თანამყოფობს ჩვენთან. მაშასადამე, თუ კარგად ჩავუკვირდებით დაუსწრებლობლობის ფენომენს, იქნება იგი წარსული თუ მომავალი, მასში დავინახავთ დასწრებულად-ყოფნის წესს, ოღონდ რომელიც არ ემთხვევა უშუალო აწმყოსათვის დამახასიათებელ დასწრებულად ყოფნას — წერს ჰაიდეგერი. შესაბამისად, ყოველგვარი დასწრებულად ყოფნა არ არის აწმყო: ჩვენ გვეხება თავისი დასწრებით აწმყოც, წარსულიც და მომავალიც, და ე.ი. სამივე ერთად თანამყოფობს ჩვენთან — აი, ესაა ჰაიდეგერის ამ რთული ფილოსოფიური ანალიზისა და განსჯის სრულიად გასაოცარი, არაორდინარული დასკვნა. ჩვენ-**თან-არის** ანუ გვეწრება ის, რაც აწმყოშია ე.ი. ახლაა, მაგრამ ჩვენ-თან-არის ანუ **გვესწრება** ისიც, რაც გვაკლია, ე.ი. რაც ჯერ-არ-არის და რაც უკვე-აღარ-არის!

დასწრებულად-ყოფნის, ე.ი. თანაყოფნის ეს განფენილობა აწმყოსა, წარსულსა და მომავალში წარმოაჩენს იმას, რასაც ჰაიდეგერი უწოდებს **სივრცე-დროს**. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმ **ღიაობას** ანუ გამონაშუქს, რომელიც გამოსჭვირავს, გაიხსნება დროის ამ სამი განზომილების ურთიერთგანფენაში. სწორედ აღნიშნული ღიაობა მოიცავს თავის თავში ჩვენთვის ჩვეულ სივრცეს, მაგრამ თავად იგი წინარე-სივრცულია. ყოველდღიური ცნობიერებისა და ფიზიკისათვის ცნობილი სივრცის წარმოდგენა და გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ამ საწყისი ღიაობის მოცემულობის საფუძველზე. მაშასადამე, დრო არის სინამდვილეში სივრცე-დრო. იგი, ჰაიდეგერის თქმით, ჩვენ უკვე გვესმის არა, როგორც ახლა-მომენტების თანმიმდევრობა, არამედ ყოფიერების აღნიშნული **განფენილობა**. შესაბამისად, იგი წინარე-ქრონომეტრიულიცაა ანუ მას ადგილი აქვს დროის ყოველგვარ ათვლამდე თუ გაზომვამდე და მისგან დამოუკიდებლად. პირიქით, ე.წ. დროითი სიდიდეებით ოპერირება შესაძლებელია მხოლოდ ამ საწყისობრივი სივრცე-დროის საფუძველზე, რომელიც ყოველდღიურ და მეცნიერულ ცნობიერებას მივიწყებული და იგნორირებული აქვს.

დროს, როგორც განფენილობას, ჰაიდეგერი გამოხატავს შემდეგი სიტყვებით: „მომაახლოვებელი სიახლოვე". რატომ? იმიტომ, რომ იგი აახლოებს მომავალს, წარსულს და აწმყოს ერთმანეთთან და იმავდროულად აშორებს მათ ურთიერთისაგან. მართლაცდა, წერს ავტორი, მას უჭირავს წარსული გახსნილად, მაგრამ უარს ეუბნება აწმყოდ-ყოფნაზე; მას უჭირავს მომავალი ასევე გახსნილად, მაგრამ უარს ეუბნება აწმყოდ-ყოფნაზე. მომაახლოვებელ სიახლოვეს აქვს უარის თქმის, უკუგდების ანუ დაშორების ხასიათი. დიახ, სიახლოვე და სიშორე სწორედ ის უმნიშვნელოვანესი კატეგორიებია, რითაც აღიწერება დროისა და შესაბამისად, ყოფიერების ადამიანისათვის თვითგაცხადება. დროში განფენილი ***არის***-ი უახლოესია ჩემთვის — იგი მოწოლილია ჩემზე და უშუალოდ მეხება; მაგრამ იმავდროულად იგი უსასრულოდ დაშორებულია და ამ შორეთში თითქოსდა ვიკარგები. აღნიშნულთან დაკავშირებით გვახსენდება მაისტერ ეკჰარტის საოცარი მსჯელობები ღმერთის, ე.ი. ყოფიერების სიახლოვისა და სიშორის შესახებ, რაც სრულებითაც არ არის შემთხვევითი, ვინაიდან შუა საუკუნეების ამ დიდი მოაზროვნის შემოქმედებამ ნამდვილად სერიოზული ზეგავლენა მოახდინა ჰაიდეგერის ფილოსოფიაზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ დროის ჰაიდეგერისეული გააზრება უშუალოდ ამოზრდილია მისი მასწავლებლის — ე. ჰუსერლის — შესაბამისი

კვლევებიდან. როგორც წერს გ. მარგველაშვილი, „დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიური გაგება ჰაიდეგერმა რამდენიმე დამატებითი განსაზღვრებით შეავსო და განავრცო იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოფიერების ცნობიერების (Seinsbewußtsein) ეგზისტენციალურ-ონტოლოგიურ ცნებად". (1,გვ. 81)

თუ კი კარგად ჩავუკვირდები იუნგის კვლევა-ძიებებს, აუცილებლად დავინახავთ, რომ აქ მოცემულია კერძო-მეცნიერული წინაპირობები დროის სრულიად ახალი გაგების ფორმირებისათვის, ოლონდ მის თეორიაში სერიოზული კორექტივების შეტანის შემთხვევაში. სახელდობრ, იუნგი მაინც ფსიქოლოგიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა, რამაც განსაზღვრა მისი ზოგიერთი არაადექვატური და უკრიტიკოდ შემუშავებული სქემა და დასკვნა, რასაც ფენომენოლოგიური ობიექტური (ე.ი. სუფთა) ანალიზი პრინციპულად ვერ მიიღებს. მიუხედავად ამისა, დიდი შვეიცარიელი ფსიქოლოგის მეცნიერული მონაპოვარი საოცრად მდიდარი მასალაა სწორედ დროის ფენომენოლოგ-მკვლევარისათვის. მოდით, კონკრეტულად განვიხილოთ ყოველივე ზემოთ თქმული. სად და როგორ ფიგურირებს დროის ფენომენი იუნგის თეორიაში? ავიღოთ მისი ცნობილი ნაშრომი „მიდგომა არაცნობიერებისადმი", სადაც მეორე თავი დასათაურებულია ასე: „წარსული და მომავალი არაცნობიერში". ავტორი გვეუბნება, რომ არაცნობიერი წარსულის სათავსოცაა და მომავალი სიტუაციების და იდეების გენერატორიც. სახელდობრ, ისევე, როგორც წარსულში გაცნობიერებული შინაარსი უჩინარდება ხოლმე არაცნობიერში და იქ ინახება, ასევე ახალი შინაარსიც, რომელიც მანამდე არასდროს არ გაცნობიერებულა, ჩაისახება ხოლმე მასში. შესაბამისად, არაცნობიერიდან შეიძლება ამოტივტივდნენ ადრე გაცნობიერებული შინარსები მოგონებების, პათოლოგიური სიმპტომების თუ სიზმრისეული სიმბოლოების სახით და ამასთან ერთად, მისგან შეიძლება აღმოცენდეს სრულიად ახალი ანუ ჯერ-კიდევ-არ-განხორციელებული ვითარებების გამომხატველი პერცეპციები თუ აზრები —. აი, ამ აღმოჩენამ, იუნგის აზრით განაპირობა მისი ინოვაციური მიდგომა ფსიქოლოგიაში.

მაგრამ მაინც უმთავრესი სიახლე და ქვაკუთხედი აღნიშნული თეორიისა არის მოძღვრება არქეტიპების შესახებ. რაში მდგომარეობს იგი? მოკლედ, რომ ვთქვათ საქმე ეხება ერთგვარ არქაულ ნაშთებს ჩვენ ფსიქიკაში ანუ იმ პრაფორმებს, რომელთა არსებობაც გამომდინარეობს არა ინდივიდის საკუთარი ცხოვრებისეული გამო-

ცდილებიდან, არამედ საერთოდ ადამიანური გონების პირველყოფილი, თანდაყოლილი და ინსტიქტური წყاროებიდან. იუნგი წერს, რომ თუ კი ადამიანური სხეული წარმოადგენს ორგანოთა მთელ მუზეუმს, რომელსაც „ზურგზე მოკიდებული“ აქვს ევოლუციის ხანგრძლივი ისტორია, იგივე ითქმის ჩვენ გონებაზეც. სახელდობრ, იგი თავის თავში ატარებს არქაული ადამიანის კოლექტიური ფსიქიკის მთელ წინარეისტორიულ და არაცნობიერ განვითარებას. „უსაზღვროდ ძველი ფსიქიკური საწყისი წარმოქმნის ჩვენი გონების საფუძველს ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი სხეულის აგებულება განეკუთვნება ძუძუმწოვართა საერთო ანატომიურ სტრუქტურას“ (6,გვ. 64). მაშასადამე, არქეტიპები ის პირველყოფილი კოლექტიური ხატებია, რომლებშიც არქაული ადამიანის ინსტიქტები, იმპულსები თუ მიდრეკილებები ვლინდებოდა სიმბოლოების სახით და მთელ ამ სამუშაოს ფსიქიკა აწარმოებდა მხოლოდ არაცნობიერად. მოცემული მეცნიერული მსჯელობების საილუსტრაციოდ იუნგს მოჰყავს სხვადასხვა შესანიშნავი მაგალითი და ახლა გვსურს გავიხსენოთ ერთ-ერთო მათგანი. კერძოდ, ავტორი აღწერს ელგონის მთის აფრიკული ველური ტომის რელიგიურ რიტუალს: ყოველ დილით გარიჟრაჟზე ისინი გამოდიან თავიანთი ქოხმახებიდან და სუნთქვას უშვებენ ან აფურთხებენ საკუთარ ხელისგულებზე, რომლებსაც შემდგომ იწვდიან ამომავალი მზისაკენ. სწორედ ეს უკანასკნელი არის მათი ღმერთი — მუნგუ. იუნგის კითხვაზე, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული ქმედება და თუ რატომ ასრულებდნენ მას ისინი, ისინი სრულიად დაიბნენ. ერთადერთი, რაც მათ უპასუხეს იყო შემდეგი: „ჩვენ ამას ყოველთვის ვაკეთებდით“. დიდი შვეიცარიელი ფსიქოლოგი თავისი ანალიზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელისგულზე დაფურთხება თუ დასუნთქება და შემდგომ ხელის გაწოდება ამომავალი მზისაკენ იყო სავსებით გარკვეული, ოღონდ ლატენტური საზრისის მატარებელი — ეს ადამიანები თავის სულს სთავაზობდნენ მუნგუს, ვინაიდან სუნთქვა და ფურთხი მათ ქმედებაში „სულიერი ნივთიერების“ (სუბსტრატის) აღმნიშვნელი იყო. მაგრამ ყოველივე ამას, ე.ი. მითითებულ საზრისს ისინი ვერ აცნობიერებდნენ ვერც ახლა და ვერც შორეულ წარსულში. რატომ? იმიტომ, რომ ესაა არქეტიპული შინარსის მქონე საზრისი, რომელიც წარმოადგენდა პროდუქტს ამ აფრიკელთა უძველესი წინაპრების კოლექტიური ფსიქიკის არაცნობიერი მუშაობისა. დიახ, არქაული ადამიანის კოლექტიურმა გონებამ არაცნობიერად აწარმოა ეს სახე-სიმბოლოე-

ბი: სუნთქვა, ფურთხი, როგორც სული; ხელისგაწოდება, როგორც სულის შეთავაზება და შესაბამისად, მთლიანობაში აწარმოა მათგან კონსტრუირებული რიტუალური ქმედება. და დღევანდელი ელგონის მთის აფრიკელიც ისევ აგრძელებს ამ უკანასკნელის შესრულებას და ე.ი. მის ქმედებას განსაზღვრავს წარმოჩენილი არქეტიპული შინაარსები, თუმცა მათ მნიშვნელობას იგი კვლავ ვერ აცნობიერებს.

მაშასადამე არქეტიპები ჩვენი ფსიქიკის სიღრმეში მყოფი „ნალექია". მაგრამ იგი არ უნდა გვეგონოს პირადად ჩემი, ან შენი, ან ვიღაცის საკუთრება ანუ ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად მიღებული და შენახული რამ. ეს არის არქაული ადამიანური გონების ევოლუციის კვალი ჩვენში, თანაც წარუშლელი პროდუქტი, რომელიც ახლა უკვე ცივილიზებულ ადამიანის ფსიქიკის კოლექტიური არაცნობიერის ფენას შეადგენს. ამიტომ არქეტიპები ინდივიდუალურ სულში ჩაბუდებული კოლექტიური გონების ნაშთია და ამდენად იგი ყველა ჩვენთაგანისთვის საერთოა. მათი სახით ჩვენ არაცნობიერად ვატარებთ საკუთარ თავში უძველეს წარსულს და ისინი სიმბოლოების ფორმით ვლინდებიან ადამიანის სიზმრებში, ფსიქიკურ დაავადებებში, წარმოდგენებში, შემოქმედებაში, მითებში, რელიგიურ კულტებში და ა.შ. სიღრმის ფსიქოლოგიის ამოცანა სწორედ ამ სიმბოლოთა მაქსიმალურად ობიექტური გაშიფვრაა. დიახ, უძველესი წარსული თვლემს ჩვენი სულის სიღრმეებში და იგი დრო და დრო ამოხეთქავს და შემოიჭრება ხოლმე აწმყო ცხოვრებაში ისე, რომ ვერც ვხვდებით ამას. ამგვარად, იუნგის თანახმად, ადამიანში მოცემულია, როგორც პიროვნული არაცნობიერი კომპლექსები, რომლების მისი ინდივიდუალური ისტორიის, ე.ი. მისი წარსულის გამომსახველნი არიან და რაც ფროიდის ფსიქოანალიტიკური კვლევის დიდი მიგნებაა, ასევე ე.წ. კოლექტიური (ანუ საზოგადოებრივი) კომპლექსები, რომლებსაც არქეტიპული ხასიათის ისტორია აქვთ. „მაგრამ მაშინ, როდესაც პიროვნული კომპლექსები ახასიათებენ მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის თავისებურებებს, არქეტიპები ქმნიან მითებს, რელიგიებს და ფილოსოფიებს, რითაც ახდენენ ზემოქმედებას მთელ ხალხებზე და ისტორიულ ეპოქებზე..." (6,გვ.73)

და ახლა საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ იმ უკიდურესად მნიშვნელოვან მომენტზე, რომელიც ადრე მივუთითეთ: სახელდობრ, იუნგი აღნიშნავს, რომ არაცნობიერი ფსიქიკური თავის თავში ატარებს არა მხოლოდ წარსულს, არამედ მომავალსაც. სწორედ ამით

აიხსნება, მისი აზრით სიზმრების გარკვეულწილად პროგნოსტიკური, ე.ი. წინასწარმეტყველური ხასიათი. ამასთან დაკავშირებით ავტორი ჰყვება მეტად საინტერესო ფაქტს საკუთარი გამოცდილებიდან: ერთ-ერთ მის კოლეგას შეეყარა სასიკვდილო ანთება — ფლეგმონა. ამ ადამიანის ყოფილმა პაციენტმა, რომელმაც არაფერი იცოდა თავისი ექიმის ავადმყოფობის რაობის შესახებ, იხილა სიზმარი, სადაც ექიმი დაილუპა ძლიერ ცეცხლში. ვიმეორებ, რომ მან არაფერი იცოდა, გარდა იმ ვითარებისა, რომ მისი ექიმი ავად იყო და ჰოსპიტალში იმყოფებოდა. სამი კვირის შემდეგ იუნგის კოლეგა გარდაიცვალა. რით აიხსნება მეცნიერულად ეს მოვლენა? ავტორი იძლევა ამის სიღრმის-ფსიქოლოგიურ ახსნას და ამტკიცებს შემდეგს: როგორც რაციონალური აზროვნება ლოგიკური ანალიზის გზით ამუშავებს თავის საგანს და აკეთებს გარკვეულ დასკვნებს, მათ შორის პროგნოზებს, ასევე არაცნობიერი ფსიქიკური აწარმოებს ფარულ სამუშაოს არქეტიპული ფორმების და არა ცნებების მეშვეობით. პაციენტის წინასწარმეტყველური სიზმარი სწორედ ამაზე მეტყველებს: მისმა არაცნობიერმა ფსიქიკურმა „გადაღეჭა" ის სიტუაცია, რაც დაკავშირებული იყო ექიმის ავადმყოფობასთან, ე.ი. გადაამუშავა იგი არა ანალიტიკურად, არამედ ინსტიქტურად; არა ისეთ ცნებებში, როგორიცაა ვთქვათ „პნევმონია", „ციებ-ცხელება", რომელსაც სპეციალისტი გამოიყენებდა ამ ავადმყოფობის დახასიათებისას, არამედ არქეტიპულ ხატოვან ფორმებში, როგორიცაა „ცეცხლი" და ყოველივე ამის საფუძველზე გააკეთა ინტუიტიური წვდომა რაღაც მომავალი ტრაგიკული ფინალისა. დიახ, მომავალით დაკავებულია ჩვენი არაცნობიერი თავისი სიზმრებით, არანაკლებ ვიდრე ჩვენი საღი გონება თავისი მსჯელობებით, გათვლებით თუ დასკვნებით; ოღონდ სიზმრებში ყოველივე გამოხატულია სიმბოლოების სახით — ასე ფიქრობს იუნგი.

მოდით ეხლა შევაჯამოთ ზემოთ თქმული და გავაკეთოთ სათანადო დასკვნები იმის თაობაზე, თუ რა სახით ფიგურირებს დროის ფენომენი იუნგის თეორიაში და რა არის აქ მისაღები ფენომენოლოგიური თვალთახედვისთვის და რა — მიუღებელი. შვეიცარელი ფსიქოლოგის გენიალური მეცნიერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარსული და მომავალი რეალობები ისევე თან ახლავს ადამიანს, როგორც აწმყო. ოღონდ, მისი აზრით, ისინი თან გვახლავს, რამდენადაც „დავანებულნი" არიან ჩვენი ფსიქიკის ე.წ. „ქვესკნელში". წარსული ჩემთანაა იმიტომ, რომ იგი ჩემშია ანუ ჩემი არაცნობიერი

ფსიქიკის სათავსოშია შენახული: კერძოდ, შედარებით ზედა შრეებში მოთავსებულია ინდივიდის საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მნიშვნელოვანი კომპონენტები, ხოლო ძალზედ ღრმად კი — კოლექტიური არქაულ-ისტორიული ნაშთები. მომავალიც ჩემთანაა იმიტომ, რომ ფსიქიკა ფარულად „ჩანასახივით" ატარებს ხოლმე თავის წიაღში მომავლის „ღირებულ" სიტუაციათა თუ შემთხვევათა ინსტიქტურ განჭვრეტებს. დიახ, იუნგს ჰქონდა ღრმა-მეცნიერული ინტუიცია ადამიანის ფსიქიკის აქტივობაში დროის სამი განზომილების უცნაური ურთიერთგამსჭვალვის თაობაზე, მაგრამ ამ დიადი ინტუციის ექსპლიკაციისთვის მან შეიმუშავა საკმაოდ ბანალური ფსიქოლოგისტური სქემა ფროიდის ტრადიციის შესაბამისად: მან ფსიქიკა წარმოადგინა რაღაც უშველებელი სათავსოს მსგავსად თავისი მიწისზედა და მიწისქვეშა სართულებით. აღნიშნული სქემიდან გამომდინარე წარსული პერსონას გამსჭვალავს, ვინაიდან იგი მისი სულის მიწისქვეშა სართულებზე დევს და ინახება არქეტიპების თუ კომპლექსების სახით; გარკვეულწილად იგივე ითქმის მომავალზე. მაშასადამე ფროიდის და იუნგის საოცარი მიგნება იმის თაობაზე, რომ წარსული სპონტანურად აქტივიზირდება, ე.ი. იღვიძებს ადამიანში ყოველგვარი ცნობიერი ნებელობითი ძალისხმევის გარეშე და თავისით „ამოდის მზის შუქზე" სიზმრებში, ნევროტულ სიმპტომებში თუ მითიურ სახეებში, ანუ იგი შემოდის აწყმო რეალობაში და განსაზღვრავს მას, თეორიულ ახსნას ჰპოულობს ამ ხელოვნურ ფსიქოლოგისტურ სქემაში. ეს უკანასკნელი გვარწმუნებს თითქოსდა წარსული იღვიძებს და ცოცხლდება, ვინაიდან იგი ჩემ არაცნობიერშია შენახული და სწორედ იქიდან ამოტივტივდება ხოლმე ჩემი აწმყო ქცევების თუ განცდების ზედაპირზე. მაშასადამე, იუნგმა მაინც ვერ დაუშვა თავის აზროვნებაში, რომ ადამიანისათვის წარსული და მომავალი შეიძლება აწყმოში თანაარსებობდეს **არა-სუბიექტური** ფორმით. სახელდობრ, მან ვერ დაუშვა შემდეგი: ის, რაც იყო და იქნება შეიძლება **თავად** გააქტიურდეს და შემოიჭრას ჩემ აწმყო ცნოებიერ ცხოვრებაში, სწორედ, რომ თავად და არა იმიტომ, რომ იგი „შეჩურთულია" და დაკონსერვებულია ჩემი სულის რომელიღაც სართულის რომელიღაც თაროზე.

საიდან ამოვდივართ, როდესაც ვაკრიტიკებთ ამ სიღრმის-ფსიქოლოგიური თეორიის გარკვეულ ასპექტებს?

ვმოძრაობთ რა ფენომენოლოგიური კვლევების თანმიმდევრული გზით, სრულიად ვთავისუფლდებით ფსიქიკის ფიზიკალური გაგე-

ბისაგან და კერძოდ, მას ვახასიათებთ არა როგორც რაღაც „მრავალსართულიან შენობას", არამედ, როგორც ცნობიერების ერთ მთლიან სფეროს. ამ უკანასკნელს აქვს თავისი ზედაპირის განათებული, ნაკლებად განათებული და ჩრდილოვანი მხარეები და ამასთან ერთად სრულიად ბნელი „შიგთავსი", რომელსაც არაცნობიერს ვუწოდებთ. მაშასადამე, აბსოლუტურად არაადექვატურია, რომ არაცნობიერი ფსიქიკური გავიაზროთ ინდივიდუალური თუ კოლექტიური კომპლექსების „დიდი სათავსოს" სახით. იუნგის ფსიქოანალიზის მეცნიერული შედეგებიდან გამომდინარე საჭიროა გავაკეთოთ სხვა სახის დასკვნები: არაცნობიერ ფსიქიკურს ახასიათებს ერთგვარი განწყობები (расположенность), დისპოზიციები, მიმართულობები წარსულის უძველესი ბაზისური სიტუაციური სქემებისაკენ. ეს უკანასკნელნი ანუ ე.წ. არქეტიპები ინახებიან თავად ყოფიერების წარსულ განზომილებაში და არა ჩვენი ფსიქიკის არაცნობიერი სარდაფის ერთ-ერთ სართულზე. დიახ, სწორედ, რომ ყოფიერების ერთიან დროით ველშია შემონახული ჩვენი არქაული წარსული თავისი პრაფორმებით. ისინი „იღვიძებენ" და იძვრებიან რა თავად ყოფიერების წიაღიდან, უნებურად შემოიჭრებიან ხოლმე ჩვენში და გამოჟონავენ სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესებში, ქცევებსა თუ ავადმყოფობებში. (თუ როგორ შემოიჭრება წარსული აწმყო სიტუაციაში, ამის ბრწყინვალე ილუსტრაციაა ფრენსის კოპოლას ფილმი „ნათება"). სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ „მიდგომა არაცნობიერისადმი"-ში იუნგი იძლევა არქეტიპის იმდაგვარ განმარტებას, რომელთანაც სრულ თანხვედრაშია ჩვენი მსჯელობები — სახელდობრ, იგი მიუთითებს შემდეგს: არქეტიპი არსებობს არა მზა, დასრულებული ხატ-სიმბოლოს ანუ წარმოდგენის სახით ადამიანის არაცნობიერში, არამედ მხოლოდ, როგორც ამ უკანასკნელის ინსტიქტური ტენდენცია, მიდრეკილება მათი წარმოქმნისაკენ. მაგრამ ეს აბსოლუტურად მართებული განმარტება თითქოსდა ამოვარდნილი, განცალკევებული რჩება იუნგის საერთო ნააზრევში და მთლიანად მისი თეორია კი ეფუძნება ტიპიურ ფროიდისტულ სქემას, რომლის მიხედვითაც არაცნობიერი წარმოდგენილია არქაული კომპლექსების სათავსოს სახით. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება პასუხს არსებით კითხვაზე, — სად ინახება ეს არქაული პრაფორმები, რომელთა გაცოცხლებისკენაც ახასითებთ ჩვენ არაცნობიერ ფსიქიკურს ინსტიქტური დისპოზიციები — სიღრმის ფსიქოლოგიური თეორია ცხადად გულისხმობს, რომ ეს „სად" ისევ და ისევ

ჩვენშია და მისთვის აბსოლუტურად უცნობია წარსულის ის ონტოლოგიური გაგება, საითკენაც გზა ფენომენოლოგიურმა მეთოდმა გაკვალა.

იუნგი იხსენებს საინტერესო შემთხვევას თავისი ცხოვრებიდან: ერთი პროფესორი მივიდა მასთან სრული პანიკის მდგომარეობაში, ვინაიდან მას მოულოდნელი ჰალუცინაციები „ესტუმრნენ" და ამიტომ ჩათვალა, რომ ავად იყო. ექიმმა თაროდან გადმოიღო ოთხასწლიანი სიძველის წიგნი და აჩვენა პაციენტს მისი ჩვენებების გრავირებული გამოსახულება. „ნუ ღელავთ საკუთარი ნორმალურობის თაობაზე, ხომ ხედავთ მათ იცოდნენ თქვენი ჩვენებების შესახებ ჯერ მარტო 400 წლის წინათ!" — დაამშვიდა დიდმა ფსიქოანალიტიკოსმა პროფესორი. როგორ განვმარტოთ ეს შემთხვევა? იგი ნამდვილად მიგვითითებს, რომ რაღაც უძველესმა არქეტიპულმა სახეებმა გაიღვიძეს და გამოჟონეს მე-20-ე საუკუნის ვიღაც პროფესორის ჰალუცინაციებში, ხოლო მანამადე კი ოთხასი წლის წინათ, ვიღაცის მიერ გრავირებულ გამოსახულებებში და უცნობია, თუ კიდევ როდის, რამდენჯერ და როგორ იჩინეს მათ თავი. აღნიშნული შემთხვევის ასეთი სიღრმისეული გაშიფვრა კარგად მეტყველებს იუნგის გენიალობაზე, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელი იქნებოდა მისი შემდგომი ახსნა ფსიქოლოგისტური სქემით: სახელდობრ, შვეიცარიელი ფსიქოლოგისათვის პროფესორის ხილვებში ამოყვინთეს იმ არქიტიპულმა სახეებმა, რომლებიც მისივე ფსიქიკის კოლექტიურ არაცნობიერ შრეში იყვნენ დავანებულნი; ჩვენთვის კი არქეტიპულმა ფორმებმა გაიღვიძეს თავად ყოფიერების ლატენტურ ველში, საიდანაც შემდგომ გამოჟონეს ჰალუცინაციებში, ისევე, როგორც მანამდე 400 წლის წინ თავი იჩინეს გრავიურებში.

* * *

„დრო — რთული რამეა, იგი ყოველთვის თავგზას მიბნევს". — ამბობს ცნობილი საქსოფონისტი ჯონი კორტასარის მოთხრობაში „მდევარი", სადაც, მართლაცდა, გახსნილია დროის შინაგანი, სრულიად „უჩვეულო" ცნობიერების ცალკეული ცოცხალი პლასტები და ალბათ, სწორედ ამიტომაც შემოვიდა იგი ასოციაციურად ჩვენ თვალსაწიერში. აქ ლაპარაკია რაღაც სხვა დროის განცდაზე, ვიდრე ყოველდღიურად ცნობილი ქრონომეტრიული მდინარება, რომელსაც დიდი ჯაზმენი არეულ-დარეულად, ნახევრად ჰალუცინაციური აზრთა ნაკადის სახით ცდილობს, რათა გადმოსცეს და გაუზიაროს

თავის მეგობარს. ჯონი იხსენებს თავის ბავშვობას, როდესაც დრო მისთვის ჯერ კიდევ წუთების, საათების და დღეების ჩვეული თანმიმდევრობა იყო: სახლში ჩემთან რა ხდებოდა ეშმაკმა უწყის, მხოლოდ ვალებზე და ჰიპოთეკებზე ლაპარაკობდნენ... მოხუცი დედა თმებს იგლეჯდა, როგორც კი მამა სიტყვას დაძრავდა ხოლმე ჰიპოთეკაზე და ყველაფერი ჩხუბით მთავრდებოდა: სულ ჩხუბი ერთი მეორეზე... შემდეგ კი ლოცვები. ამიტომ სახლში დრო მიედინებოდა და მიედინებოდა! მუსიკამ კი გამომტაცა ამ დროიდან, უფრო სწორედ კი სულ სხვა დროის ნაკადში გადამისროლა...

რაღაც უცნაური გრძნობა: რაც იქნება, ის უკვე იყო და ახლა არის — აი, რას გულისხმობდა ჯონი, როდესაც ერთხელ ცინცინატში მან უცებ შეწყვიტა რეპეტიცია, გაბრაზებულმა გაარღვია ჰაერი მუშტით და წამოიძახა: „მე ხომ ეს უკვე დავუკარი ხვალ". დიახ, აქ სახეზეა დროის ცნობიერება, რომლისთვისაც წარსული, აწმყო და მომავალი ერთდროულად „არის" ანუ თანამყოფობს ახლა. საუბარი აღარაა მოსაწყენ თანმიმდევრობაზე, სადაც, ჯონის თქმით, ზეგ ეს ხვალის მერეა, ხვალ კი — დღეის მერე და ა.შ. საუბარია დროზე, სადაც ხვალ, დღეს და გუშინ მოცემულია აი, ახლა, როგორც რაღაც, ერთიანი განფენილობა და ეს ყველაფერი მარად „**არის**". სწორედ ამას გამოთქვამს ჯონი ისევ და ისევ აწეწილ-დაწეწილი, ლოგიკურად დაულაგებელი ფრაზებით, როდესაც ჰყვება: ხოლო შემდეგ თავად დავიწყე დაკვრა, თვალები დავხუჭე და გავფრინდი... მე კი თითქოსდა ვიყავი ჩემ გვერდით და ჩემთვის არ არსებობდა არც ნიუ-იორკი, არც, რაც მთავარია, დრო... არ არსებობდა არავითარი „შემდეგ"... რაღაცა წამით იყო მხოლოდ „ყოველთვის". საინტერესოა საღ გონებაზე მყოფი ადამიანის რეაქცია ჯაზმენის ამ „ბოდვებზე". აი, რას გვეუბნება მისი მეგობარი ბრუნო: მე გამოვსახავ სახეზე ღიმილს, ვგრძნობ რა, რომ იგი რაღაცაში მართალია, მაგრამ ყველაფერი ეს უმალ გაქრება უკვალოდ, როგორც კი ქუჩაში აღმოვჩნდები და ჩავყვინთავ ჩემ ყოველდღიურ ყოფაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ადამიანი რაღაცას ხვდება დროის შესახებ — რაღაც სულ სხვა „სუბსტრატს" დალანდავს, რაღაც დროის სხვა ცნობიერება იწყებს მასში პულსაციას, მაგრამ შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება თავის ბუნებრივ განწყობას — ყოველდღიური ცხოვრების რიტმს და მის ადექვატურ ცნობიერებას — და მყისიერად „ორთქლდება" დროის ეს შინაგანი ცნობიერება; უფრო მეტიც იგი უკვე „გამოფხიზლებულმა", საღ აზრზე მოსულმა კაცმა შეიძლება ჰალუცინაციად ჩათვალოს.

ეს თავისუფალი გადახვევა ფენომენოლოგიური მკაცრი ანალიზის გზიდან შემთხვევით არ გავაკეთეთ, ვინაიდან ზოგჯერ მწყობრი ლოგიკური მსჯელობები მაინც ვერ იძლევიან ხოლმე სასურველ ეფექტს, კერძოდ, ამა თუ იმ ფილოსოფიური ფენომენის ჯეროვანი „რელიეფური" ხედვის მოპოვებას, რაც შეიძლება უცებ უკეთ იქნას მიღწეული, რომელიღაც მხატვრული ნაწარმოების ენის მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაშიც კორტასარის „მდევარი" არანაკლებ მძლავრად აღვიძებს ჩვენში დროის სრულიად არაორდინარულ ცნობიერებას, ვიდრე აქ წარმოდგენილი მეცნიერული ანალიზის მეთოდი.

ახლა კი დავუბრუნდეთ ფენომენოლოგიური განხილვების ველს და საბოლოოდ შევაჯამოთ ჩვენი მედიტაციები სივრცე-დროის შინაგანი ცნობიერების თაობაზე. მაშ, რას გვეუბნება ამ უკანასკნელის ობიექტური, დენატურალიზებული აღწერა? მოდით, ამოვიდეთ იქიდან, რაც ფაქტობრივად მეძლევა:

„სახლში ვზივარ და ჩემ ცოლთან ერთად ტელევიზორს ვუყურებ; მიდის პირდაპირი რეპორტაჟი ბესლანში ტერორისტების მიერ სკოლის დაკავებისა და მძევლების აყვანის შესახებ. ეს ხდება **ახლა!**" — ასე განვიცდი ამჟამად მოცემულ სიტუაციას. ჩემთვის ყოველდღიურად ჩვეული დროის გაგება ნიშნავს შემდეგს: ეს არის ახლა ე.ი. ამა და ამ წლის, ამა და ამ თვის, ამა და ამ დღის, ამა და ამ წუთსა და წამზე. კერძოდ, აღნიშნული სიტუაცია მოცემულია დროის რაღაც აღრიცხვად ახლა-მომენტში, რომელიც უწყვეტად მიდის და იცვლება სხვა ახლა-მომენტით: ვთქვათ, „კარებზე ბრახუნი ისმის!", შემდეგ კვლავ იცვლება სხვა ახალით და ა.შ. დრო არის ეს უწყვეტი თანმიმდევრობა — ამბობს ჩემი ნატურალური განწყობის მქონე ცნობიერება. ამ უკანასკნელისთვის, იქნება იგი ბიზნესმენის, ფიზიკოსის თუ მეტაფიზიკოსის ცნობიერება, მყოფობს ის, რაც **ახლა არის**; ხოლო წარსული, რაც **უკვე-აღარ-არის** და მომავალი, რაც **ჯერ-კიდევ-არ-არის**, უბრალოდ არ-არსებული რამაა და ისინი შეიძლება მყოფობდნენ მხოლოდ სუბიექტის ფსიქიკაში, სახელდობრ მის მეხსიერებასა და მოლოდინებში. აი, სწორედ ამ ინსტიქტივით ჩვეულ და მყარ პარადიგმას არღვევს ფენომენოლოგიური მეთოდის შედეგად მოპოვებული „ახალი ცნობიერება": კერძოდ, ამჟამად მოცემულ სიტუაციას მე ვაცნობიერებ, როგორც „ჩართულს" სივრცე-დროის **ერთიან განფენილ ველში**, რომელიც გარშემონერილია სამგვარი ჰორიზონტით: აწმყოსი, წარსულის და მომავლის. ჰორიზონტი ნიშნავს უსასრულოდ გადაწევად საზღვარს, და

მაშასადამე, ეს ველი უსასრულოდ გაფართოებადია ჩემ ინტენციონალურ თვალსაწიერში. ყოველივე ის, რაც **ამჟამად არის**, რაც **უკვე-აღარ-არის** და რაც **ჯერ-კიდევ-არ-არის** თანამყოფობს ამ ველში, სწორედ, რომ **ახლა**, როდესაც სახლში ვზივარ და ტელევიზორს ვუყურებ. დიახ, მასში თანამყოფობს სამყაროს მთელი ყოფიერება, რომელიც ჩემი კონკრეტული პერსონის ყოფნასაც გულისხმობს, და თანამყოფობს თავისი უსასრულო წარსულით, მომავლით და აწმყოში გახსნილი უსასრულო **სივრცით**. ყველაფერი რაც იყო, არის და იქნება ერთიანად **არის ახლა** — აი, ესაა სივრცე-დროის ფენომენოლოგიური ცნობიერება. სწორედ აქედან ამოდის ყოფიერების საწყისობრივი განცდაც: მე განვიცდი **რაღაც სხვას**, ვიდრე ჩემი ნატურალური გონებისათვის ცნობილ არსებებს, რეალობებს თუ იდეალობებს და ე.წ. სამყაროსეულ მთლიანობას...

სამყარო ყოფიერთა ტოტალობაა, ე.ი. ერთობლიობაა ყოველივე იმის, რაც რეალურად **არის**.

ეს **რაღაც სხვა** კი „მელოდიის უცნაური" მთლიანობაა, რომელშიც ერთიანად განფენილი უკვე-აღარ-არსებული, ჯერ-კიდევ-არ-არსებული და ამჟამად-არსებული თანამყოფობენ აწმყოში.

ამ რაღაც სხვასთან შეხება იწყება და მთავრდება კითხვით: რა ხარ შენ ყოფიერებავ? დიახ, სწორედ ამ კითხვით შევდივარ მასთან კონტაქტში და ყოველთვის მხვდება დუმილი. ესაა მისი პასუხი. თითქოსდა უნდა კანით შეიგრძნო ამ დუმილის საოცარი გულგრილობა, რათა პირისპირ დადგე მის წინაშე და თუნდაც მომენტალური გაელვებების სახით გაიცხადო იგი.

და ამ სტატიას დავასრულებ ჰაიდეგერის ცნობილი სიტყვებით: „მოვა კი განჭვრეტა იმის, რაც არის?

აღმოვჩნდებით კი ჩვენ, გაცისკროვნებულნი რა ამ განჭვრეტით, ისე დაუფლებულნი ყოფიერების სინათლის მიერ, რომ უკვე აღარ გამოვიდეთ მისგან?"

ბიბლიოგრაფია

გ. მარგველაშვილი „შემეცნების ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური თეორიის დროითი საფუძვლები". („მაცნე", ფილოსოფიის,ფსიქოლოგიის, ეკონომიკის და სამართლის სერია, 1972, 1).

Husserl E. "Ideen zu einer reinen Phanomenologie und phanomenologischen Philosophie".

(Haag, Martinus Nijhof,1950.).

Husserl E. „Texte zur Phanomenologie des inneren Zeitbewusstseins(1893-1917)". Band X.

Felix Meiner Verlag, Hamburg.

Кортасар Х. „Преследователь" („Выигрыши". Роман, повести и рассказы.

Москва, эксмо-пресс, 2000).

Хайдеггер М. „Время и Бытие". Статьи и выступления. Москва. Издательство

„Республика", 1993.

Юнг К.Г. „Подход к бессознательному" („Архетип и Символ". Москва. Renaissance, 1991).

დაიბეჭდა ინგლისურად
ამერიკულ-ქართულ ფენომენოლოგიურ ჟურნალში:

„Culture and Philosophy"
2008

დახვრეტა

მოახლოებული ნაბიჯების ხმა და გასაღების კარგად ნაცნობი ჩხრიალი... „ჩემთან მოდიან!" — ინსტიქტურად გაიფიქრა. სქელი რკინის კარები მძიმედ გაიღო. „წამოდი ადვოკატი გელოდება!" — მიმართა ტუსაღს შავ სპეცფორმაში გამოწყობილმა. გამოვიდა... სახელდახელო შემოწმების შემდეგ ხელები უკან დაიწყო და დაცვის ორი თანამშრომლის თანხლებით ვიწრო დერეფანს გაუყვა.

— როგორა ხარ დიმიტრი? კარგად კი გამოიყურები, ხომ იცი ?!— გულწრფელი სითბოთი შეეგება ადვოკატი ბ-ნი ლ. პატიმარს და გადაკოცნა.

— ვგრძნობდი, რომ ნაღდად დღეს მოხვიდოდი! ხედავ, ინტუიცია ჯერჯერობით არ მღალატობს!

გარედან კარები საიმედოდ ჩაიკეტა და ისინი დარჩნენ ერთ ციცქნა ოთახში, სადაც ყველაფერი იატაკზე მყარად იყო მიჭედებული: სკამები, მაგიდა. ზევიდან ვიდეოთვალი დაჰყურებდათ.

— დაჯექი ახალი ამბავი უნდა გითხრა: თექვსმეტში პროცესი დანიშნეს. ე.ი. გამოდის , რომ... ხვალ თერთმეტია, ზეგ თორმეტი... ააა... კვირა თოთხმეტი... ჰო, მომავალ სამშაბათს, რა!

— მაშ, თექვსმეტში! — თითქოს დიმიტრიმ რაღაც შვება იგრძნო, როდესაც აღმოხდა ეს სიტყვები — ძალიან კარგი... შენ ხომ ხარ ჯანზე, სრულ მზადყოფნაში?

— ქვას ქვაზე არ დავტოვებთ! მთელ ბრალდებას დავშლი... ამ ერთ კვირასაც გამოვიყენებ რაღაც ასპექტების დასახვეწად.

— ნეტავი თვითონ რას ფიქრობენ? მაგათ ტვინში ჩამახედა ერთი... ხელში არაფერი არ უჭირავთ... როგორ აპირებენ პროცესის მოგებას?!

— ეეჰ, ეგ ჩვენი სასამართლოსთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ უაზრობა მაინც არ არის... ჩემი შეფასებით შანსები 50-50-ზეა. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი პოზიციები გამოჩნდეს ძლიერად.

— ე.ი. იმედიანად ხართ?

— ჩვენ გვაქვს რელური შანსი... ჩვენი პოზიციები საკმაოდ კარგია. — ლ-მ ეს ფრაზა მეტად სერიოზული სახით წარმოთქვა, მაგიდას დააშტერდა და მცირე პაუზის შემდეგ ამოძრავდა:

— ახლა ძალიან ცოტა ხნით შემოგირბინე, ამის სათქმელად. რაღაც საქმეებზე ვარ წასასვლელი. პარასკევს მოვალ დღის მეორე ნახევარში და ყველაფერს საფუძვლიანად გავივლით კიდევ ერთხელ.

— აბა, პარასკევს გელოდები! მეც ვიფიქრებ ჩემ საბოლოო სიტყვაზე, და მომზადებულ ტექსტს წაგაკითხებ.

— აბა, შენ იცი, მაგრა იყავი! — ადვოკატმა პატიმარი კვლავ გადაკოცნა და კარებზე რამდენჯერმე დააკაკუნა — გამიღეთ გავდივარ!

— შეხვედრის შემდეგ განსასჯელი დიმიტრი მ. პირდაპირ სასეირნოდ გაიყვანეს მცირე ზომის (დაახლოებით, თხუთმეტიოდე კვადრატული მეტრის), ეზოში. ბოლთას სცემდა, დროდადრო სკამზე ჩამოჯდებოდა... „ჩვენი პოზიციები საკმაოდ ძლიერია... ზუსტად ასე ამბობს... რეალური შანსები გვაქვს... ბრალდებას დავშლით...“' რამდენიმე სარკმელს გახედა მეორე სართულზე. „უხალისოდ არ გამოიყურებოდა ნაღდად... ჩემი სიტყვა კარგად უნდა მოვამზადო. ხვალიდან შევუდგები!“ შეჩერდა და პირჯვარი გადაიწერა.

— დიმიტრის გაუმარჯოს! მოესმა ხმა პირველი სართულის სარკმლიდან. გისოსებს მიღმა პატიმრის სახემ ამოიწია.

— ვაჰ, შენ გენაცვალე ლევან! როგორ ხარ? — მიაძახა ხმადაბლა დიმიტრიმ.

— ტანკივით! რაიმე ახალი ხომ არ არის შენკენ?

— თექვსმეტში პროცესი დანიშნეს. ბოლოსდაბოლოს რაღაცა გაირკვევა! რა უნდა ამტკიცონ არ ვიცი სრული აბსურდია... ჩემი ადვოკატი ძალიან ძლიერად არის მომზადებული... მე მგონი თვითონაც გაჭედილები არიან და ამას გრძნობენ!

— მაგრა უნდა იყო შენ გენაცვალე! ხომ იცი, ბიჭები ყველა გგულშემატკივრობთ.

დიმიტრი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გამაფრთხილებელმა შეძახილებმა შეაჩერა: „რა ხდება მანდ? რა ამბავია!“ — ზევიდან მათ უკვე ზედამხედველი დაჰყურებდათ უკმაყოფილო სახით.

* * *

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კაბინეტში შეკრებილი არიან გენერალური პროკურორი ბ-ნი ზ., პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნ გ. და თავად მასპინძელი

ბ-ნ კ. ბ-ნი გ სხვებისაგან განსხვავებით ფეხზე დგას და ენერგიული ჟესტიკულაციით ლაპარაკობს.

— ნუ დავკომპლექსდებით! ოპოზიციის ეს წკავწკავი არაფერს ნიშნავს. რეალურად სანაპიროს ოპერაციამაც და ციხის ბუნტის აქციამაც უზარმაზარი ეფექტი მოგვიტანა. ეს ასეა! ყველამ ძალა დაინახა! არც საერთაშორისო ორგანიზაციებს და არც სხვებს გარეთ არ გაუგიჟებიათ თავი ამის გამო. ეს ფაქტია! ეფექტი კი უზარმაზარი მივიღეთ... აი, სწორედ ახლა ესაა ჰაერივით აუცილებელი, რომ ყველაფერი ბოლო კონდიციამდე მივიდეს. ამის შემდეგ უკვე მთლიანად წელში გავსწორდებით. ოღონდ საჭირო იქნება ყველაფრის ძალინ კარგად შეფუთვა, კარგი გაპიარება... ამას როგორმე მოვახერხებთ.

ბ-ნ გ.-ს სიტყვები საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს იქ მსხდომთათვის, მაგრამ

ბ-ნი კ. მაინც ცოტა იშმუშნება:

— გეთანხმები, მაგრამ ხომ ხედავ, ჯერ პირველსაც არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საკითხზე... თანაც ახლა ეს სამიტი და ათასი რაღაცა...

— მაგრამ სწორედ პირველმა დაგვავალა, დროულად ჩამოყალიბდით და შეთანხმებული პოზიცია მომახსენეთო... სხვათა შორის ძალიან დაინტერესებულია! — მრავალმნიშვნელოვნად და აქცენტირებულად გამოთქვავს ამ ბოლო ფრაზას ბ-ნი გ. — ამასწინათ სულ სხვა თემაზე ვსაუბრობდით და შემახსენა: იმ ამბავზე რას შვრებითო?

ამ სიტყვებთან ერთად მზერა ბ-ნი ზ-სკენ გადააქვს. ეს ჩია კაცი სავარძელშია ჩამალული და ოდნავ იქედნური ღიმილით და მრგვალი სათვალეებიდან მომზირალი გველის თვალებით ყურადღებით მისჩერებია ორატორს.

—...კი, მეც მელაპარაკა ამასწინ. — მოკლედ და ხმადაბლა წარმოთქვავს იგი. — ფაქტია, რომ რაღაც უნდა გადავწყვიტოთ. — თავს ხრის და საკუთარ თითებს აშტერდება, შემდეგ განაგრძობს:

— ბრალდების მტკიცებულებები ძალზე სუსტია...

— კი, ნამდვილად! — ერთვება ბ-ნი კ.

— რეალურად არ არის გამორიცხული, რომ ეს კაცი უდანაშაულოც იყოს... მაგრამ ჩვენ მაინც რაღაცას მოვახერხებთ: ბრალმდებელი მაგარი გვყავს შერჩეული, პოზიციებსაც რაიმენაირად გავაძლიერებთ... შეიძლება რაღაც ჩვენებებიც დავითრიოთ, ცოტა კაზუისტიკაც, ერთი-ორი ფოკუსი და ვნახოთ...

— პაირს მაღალ დონეზე მივხედავთ, ამაზე არ იღელვოთ! — თვითკმაყოფილებით და დამჯერებლად ამბობს ბ-ნი გ.

— მაშ, მივდივართ ამაზე? — თითქოს დაბნეული კითხულობს ბ-ნი კ. მცირე ხნის სიჩუმე და... ბ-ნი ზ. ისევ წამოიწევს სავარძელში:

— ახლა ეს, მართლაცდა წამალივით საჭირო. სიკვდილით დასჯის ფაქტი ყველაფერს დაალაგებს საბოლოოდ.

ბ-ნი გ. სავარძელში ჯდება და შვებით ამოისუნთქავს... ბ-ნ კ.-ს მიმართავს:

— ხომ იცი ყოველმხრივ საიმედო მოსამართლე გვჭირდება ახლა!

— ჩვენ ყველა საიმედო გვყავს! მაგრამ შევარჩევთ საუკეთესოს.

* * *

ხალხმრავლობაა სატუმრო მერიოტის საპრესკონფერენციო დარბაზში: არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, პრესა, ტელეკომპანიები, სააგენტოები... აქვე ტრიალებენ განსასჯელის დიმიტრი მ-ს ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები და ადვოკატი. ცოტა ხანში იწყება პრესკონფერენციაც.

— მოგეხსენებათ, რომ 16 მარტს დაინიშნა დიმიტრი მ-ს პროცესი — თავისი ომახიანი, თუმცა აღელვებული ქალური ხმით მიმართავს დამსწრეთ ქ-ნი თ. (ეს ფუმფულა, სიმპატიური, ხალისიანი ქალბატონი და მისი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებები ყველაფერზე მაღლა“ საზოგადოებაში საკმაო პოპულარობით სარგებლობს) — ჩვენ პერიოდულად საქმის კურსში გაყენებდით იმის თაობაზე, თუ რა საშინელი დარღვევებით მიმდინარეობდა გამოძიება. თუ როგორ შეითითხნა მთელი ეს საქმე არარსებული მტკიცებულებების საფუძველზე! ამ საქმეს, რომ გაეცნობით, ეჭვის ნატამალიც კი არ დაგრჩებათ, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო კაცს უმძიმეს დანაშაულს აბრალებენ და თანაც დამამძიმებელი გარემოებებით.საქმის ყველა ამ დეტალის ირგვლივ ჩემს შემდეგ ადვოკატი ბ-ნი ლ. ილაპარაკებს, მაგრამ მანამდე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო მთავარზე... აქ ორატორი ცოტა ხნით სულს მოითქვავს და შემდეგ განაგრძობს:

— მთავარი კი ისაა ჩემო ძვირფასებო, რომ სწორედ საზოგადოების უფრო მეტად დაშინების, დათრგუნვის მიზნით ხელისუფლებას სურს სამაგალითოდ დასაჯოს დიმიტრი მ. იგი მხოლოდ და მხოლოდ განტევების ვაცია ამ შემთხვევაში! ექიმი კაცი, რომელიც ყოველთვის

დაუფარავად ოპოზიციას თანაუგრძნობდა და მიტინგებზეც კი გამოდიოდა... გახსოვთ ალბათ მისი მწარე წერილებიც — აი, ესაა ყოველივეს ნამდვილი მიზეზი! მას დასჯიან სამაგალითოდ და სხვები კი უფრო მეტად დაშინდებიან. ხალხნო, ეს თუ ამათ გაუვიდათ, ჩვენი უდიდესი სირცხვილი იქნება! ეს ჩვენი ღირსების საქმეა!

მღელვარება ქ-ნ თ.-ს ხმაში მკვეთრად მატულობს. ისევ პაუზას აკეთებს: ცხვირსახოცით შუბლზე ოფლს იმშრალებს... მცირე ხნის საუბრის შემდეგ მიკროფონს გადასცემს ბ-ნ ვ.-ს — იგი ცნობილია თავისი უებრო პატიოსნებით და თავად იჯდა უშიშროების კომიტეტის იზოლატორში დისიდენტობისათვის კომუნისტების პერიოდში. პრესკონფერენცია გრძელდება...

* * *

დაახლოებით ღამის სამ საათზე დიმიტრი მ. რაღაცამ შეატოკა. გაიღვიძა... წამოიწია. სულ მთლად გაოფლიანებულიყო. ადგა და წყალი შეისხა ტანზე, სახეზე... სპორტულები ჩაიცვა. გისოსებით დაფარული ფანჯრის რაფაზე, სადაც ხატები იყო დასვენებული, სანთელი აანთო და ფსალმუნის კითხვა დაიწყო: „უფალი შუქი არის და ხსნაა ჩემი: ვის შეუშინდე? უფალი ბურჯია ჩემი სიცოცხლის: ვისგან შევძრწუნდე? თუ დამესხმიან თავს ბოროტნი, რათა შესანსლონ ჩემი სხეული, მჩაგვრელნი ჩემნი და მტერნი ჩემნი, თვითონვე წაბორძიკდებიან და დაეცემიან. თუნდაც ჯარმა რომ დაიბანაკოს ჩემს წინააღმდეგ, არ შეშინდება გული... ერთს ვთხოვდი უფალს, ამას ვევედრები: რომ დავემკვიდრო უფლის სახლში ჩემი სიცოცხლის მანძილზე...“ ლოცვა, რომ დაასრულა ონკანიდან წყალი მოსვა და საწოლზე ჩამოჯდა. პერცეპციათა მთელმა ნაკადმა გაიელვა მის ცნობიერებაში და ბოლოს ისევ: მშობლიური ქუჩა, სახლი, მეუღლე, შვილი, დედა... „ეს ჩემი სიწმინდეა! ამას მართმევენ ეს ნაძირალები!“ სპორტულები გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. „ღმერთო არ მიმატოვო! დაიფარე ჩემი ოჯახი და მშვიდობისა უშფოთველი ძილი მომივლინე. უფალო გმადლობ ყველაფრისათვის!“ პირჯვარი გადაიწერა და თვალები დახუჭა.

* * *

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი კ. თავის კაბინეტში ესაუბრება მოსამართლე რ.-ს

— ვიცი, ვიცი, რომ ძალზე რთულია, მაგრამ...

— ბ-ნო კ. უფრო მეტიც, საქმეს, რომ დეტალურად გავეცანი, აშკარა გახდა, რომ ყველაფერი ბლეფია! მთელი ბრალდება წყალზეა დაწერილი... თანაც, ასე უნიჭოდ, უპასუხისმგებლოდ შეკერილი საქმე ასეთი მძიმე ბრალდებით ჯერ არ მინახავს!

— ვიცი, ვიცი...

— ქე მაინც სერიოზულად წაემუშავთ, რალაცისათვის თავი მოებათ... აი, ასე იციან: ზერელედ, უნიჭოდ შეთითხნიან და ჩვენ მოგვიგდებენ.

— უსინდისოები!

ბ-ნი კ. რალაცას ჩხაპნის და ისე უსმენს. მობილურის ზარი არღვევს მის ყურადღებას: ნომერს დახედავს და თიშავს. შემდეგ მზერას მიაპყრობს თავის ხელქვეითს:

— ახლა კარგად მომისმინე! — და მრავალმნიშვნელოვნად ხელს ადებს ხელზე — ყველაფერი კარგად ვიცი, თუ რა უმძიმეს სიტუაციაში ვართ, მაგრამ ჩათვალე რომ ჩვენ უნდა შევასრულოთ თავად პირველის უმნიშვნელოვანესი დავალება, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკას სჭირდება ახლა. ჰო, სწორედ ახლა, ამ პერიოდში! ჰო, გესმის რა სერიოზულად დგას საკითხი?

— მესმის ბატონო კ., აბსოლუტურად ნათლად ვაცნობიერებ ყველაფერს!

— მე შენ შეგარჩიე... ეს იქნება შენი ყველაზე უფრო სერიოზული ტესტი.

— მე მზად ვარ ყველაფრისათვის ბ-ნო კ.!

ბ-ნი კ. ამოისუნთქავს და სავარძელში უკან გადაიწევს. მაგიდაზე ფოტოს შეხედავს, სადაც ის და პირველი ერთად არიან გამოსახული სააპელაციო სასამართლოს შენობის საზეიმო გახსნაზე. შემდეგ ღიმილით მიმართავს რ.-ს:

— იცოდე, ამ პროცესის შემდეგ დიდი რალაცეები გელოდება. ეს უკვე გადაწყვეტილია.

— ყველაფერი უმაღლეს დონეზე იქნება ბ-ნო კ.! ერთი წამით არ ინერვიულოთ.

* * *

გადაჭედილ სასამართლო დარბაზში ხმაური იდგა. ბევრიც გარეთ დარჩა: ცდილობდნენ შემოღწევას, მაგრამ მანდატურები აღარ უშვებდნენ. ოთხი ტელეკამერა სრულ მზადყოფნაში იყო მოყვანილი. როდესაც დარბაზში განსასჯელი შემოიყვანეს, ხმაურმა მკვეთრად იმატა: „დიმიტრი, მაგრად იყავი ბიჭო!“ „გამაგრდი, შენ გვერდით

ვართ!"... შემართულად შემოაბიჯა, ფართოდ გაიღიმა და მისალმების ნიშნად მარჯვენა ხელი ასწია. „მამი, აქა ვართ!", „როგორ ხარ ჩემო სიცოცხლე!" სახეთა სიმრავლეში თავისი ცოლ-შვილი დალანდა და მზერით მათკენ გადაქანდა... ბადრაგმა პატიმარი გალიაში „შეაბრძანა" და კარები ჩაკეტა. დიმიტრი მ. საკმაოდ კარგად და ცოცხლად გამოიყურებოდა. თვალები ნევროტულად უბრწყინავდა. ძალზედ მოზრდილი ბაცი წაბლისფერი თმით დაფარულ თავს მოუსვენრად აქეთ-იქით ატრიალებდა: ხან თვალს ჩაუკრავდა ვიღაცას, ხან გაუღიმებდა... შემდეგ ისევ თავისიანებს მიაჩერდებოდა... შემდეგ ერთბაშად მზერას მოაცილებდა ყველას და ყველაფერს, თავს დახრიდა და „ჩაიკეტებოდა"...

მოსამართლე დარბაზში სწრაფი ნაბიჯებით შემოვიდა თანაშემწესთან ერთად.

დაჯდომა ვერ მოასწრო, რომ მაგიდაზე მჭახედ დაარტყა ჩაქუჩი:

— შეწყდეს ხმაური! მობილურები გამორთეთ! არავითარი საუბრები და რეპლიკები! წესრიგის დარღვევის შემთხვევაში პირი დაუყოვნებლივ გაძევებული იქნება დარბაზიდან ან დაეკისრება ჯარიმა 500 ლარამდე! — ყოველივე ეს მან წარმოთქვა წინასწარ დაპროგრამებული გაბრაზებული ფიზიონომიით. მცირე ხნის პაუზის შემდეგ სიტყვა ბრალმდებელს გადასცა საბრალდებო დასკვნის წასაკითხად.

პროკურორი საკმაოდ გაწაფული აღმოჩნდა რიტორიკასა და დემაგოგიაში, პათოსით ლაპარაკობდა შემზარავ დანაშაულზე, დაუსჯელობის გრძნობაზე, მოუხმობდა ყველას უდიდესი აღშფოთებისა და განგაშისაკენ, მაგრამ კონკრეტულად არაფერს ამბობდა განსასჯელის ბრალეულობის დამადასტურებელი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ. მოწმის ერთადეთ ჩვენებას ჩააფრინდა, რომელზედაც წინა სხდომაზე ამ მოწმე თ.-მ კატეგორიულად უარი თქვა და საჯაროდ განაცხადა: ეს საშინელი წამების ქვეშ დამაწერინესო! ბოლოს დარბაზს მიმართა სასოწარკვეთილი ხმით: მიშველეთ ხალხო, ახლა, ალბათ კიდევ უფრო უარესი მელოდებაო!

ყოველივე ამასთან დაკავშირებით კი პროკურორი ახლა ცინიკურად აღნიშნავდა, რომ, პირიქით, მოწმე თ.-მ თავდაპირველი ჩვენება გადათქვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან უმძიმესი ზეწოლისა და ვიღაცეებისაგან ანგარიშსწორების შიშის გამოო.

საბრალდებო სიტყვის დასრულებისას ბრალმდებელმა მცირედი პაუზა გააკეთა: თითქოს რაღაცისთვის მოემზადა, ძალები მოიკრიბა, წელში გაიმართა და ცოტა თრთოლვით, მაგრამ თან რიხით წარმოთქვა:

— ამრიგად, ბრალდების მხარეს დადასტურებულად მიაჩნია, რომ დიმიტრი მ.-მ ჩაიდინა (...). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე ვშუამდგომლობ: დიმიტრი მ. ცნობილი იქნას დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის (...)-ე მუხლის მესამე ნაწილით და შეეფარდოს სასჯელი უმაღლესის ზომა — სიკვდილით დასჯა".

წამიერად დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... შემდეგ ერთბაშად ატყდა გრგვინვა და თავსხმა ლანძღვა-გინების : „თქვე უსინდისოებო!, „მხეცებო!", „ფაშისტებო!", „უდანაშაულო კაცს წირავთ?!" მოსამართლე მთელი ძალით ჩაქუჩს ურტყამდა: „დაუყოვნებლივ შეწყდეს ხმაური!" მისი მითითებით მანდატურები მიცვივდნენ გაგულისებულ ბ-ნ ვ.-ს და ჯიკაობით დარბაზიდან გააძევეს. მას კიდევ რამდენიმე მიჰყვა. „სიჩუმე!" — მერამდენედ დაიყვირა მოსამართლემ და დარბაზიც ჩაცხრა...

— განსასჯელ დიმიტრი მ.-ს საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბრალი ედება ... — დაიწყო თავისი დაცვითი სიტყვა ბ-ნმა ლ.-მ. იგი ლაპარაკობდა საკმაოდ დინჯად და თავდაჯერებულად, თუმცა ხმადაბლა. „ცოტა ხმამაღლა!" — გაისმა შეძახილი დარბაზიდან და დამცველმაც ხმას აუწია.

— მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია უკანონო და დაუსაბუთებელია. საბრალდებო სიტყვაში იგნორირებულია ან აშკარად შეგნებულადაა გაყალბებული საქმეში არსებული მტკიცებულებები და ფაქტები, რის გამოც სასამართლოს მიერ ბრალმდებლის პოზიცია არ უნდა იქნას გაზიარებული და დიმიტრი მ.-ს მიმართ გამოტანილი უნდა იქნას გამამართლებელი განაჩენი. ჩვენი პოზიცია დაფუძნებულია შემდეგ გარემოებებზე... — და ბ-ნი ლ. შეუდგა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ძალზედ ლოგიკურ განხილვას. მისი არგუმენტები იყო ცალსახად სარწმუნო, ასპროცენტიანი: ეჭვის ნატამალსაც რომ არ ტოვებდა მსმენელში... მთელი ბრალდება ხუხულოსავით იშლებოდა და პროკურორიც მოუსვენრად ცქმუტავდა. დარბაზში კი დრო და დრო აღშფოთების, გაოგნების რეპლიკები არღვევდნენ სიჩუმეს...

— საქართველოს სსსკ 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. ამგვარი განაჩენი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. ამგ-

ვარი მტკიცებულებები კი მოცემულ საქმეში დიმიტრი მ.-ს მიმართ არ არსებობს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს სსსკ 504-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოვითხოვთ დიმიტრი მ.-ს მიმართ გამოტანილ იქნას გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

დამცველმა სიტყვა დაასრულა, წამით მოსამართლეს ახედა და ნელა დაჯდა. დარბაზში სიჩუმე იდგა. მოსამართლემ საბოლოო სიტყვა მისცა განსასჯელს. მოღუშული, მაგრამ მაინც ვაჟკაცური სახით წამოიმართა დიმიტრი მ. და თავი დარბაზისკენ მიატრიალა:

— რა ხდება ხალხო, გამაგებინეთ! ეს ხომ სრული აბსურდია?! — შემდეგ პროკურორს და მოსამართლეს გახედა — როგორ არ გეშინიათ?!

წამით გაჩერდა და შემდეგ მოჭრილად, ცივად წარმოთქვა:

— მე ბევრი არაფერი არა მაქვს სალაპარაკო... მე ვარ სრულიად უდანაშაულო! — დაჯდა და ერთ წერტილს მიაშტერდა. დარბაზში მსუბუქი ჩოჩქოლი ატყდა. „სიჩუმე!" — დაიძახა მოსამართლემ და გამოაცხადა, რომ ნახევარი საათით გადის განაჩენის გამოსატანად.

ირგვლივ მოლოდინის საშინლად დაძაბული ატმოსფერო სუფევდა, მაგრამ შეძახილების, გადალაპარაკებების, რეპლიკების ტალღა შიგადაშიგ მაინც გადაურბენდა დარბაზს: „ღმერთი არ გაგვწირავს!", „დიმიტრი, გამაგრდი! ყველაფერი კარგად იქნება!"... გავიდა მოლოდინის უმძიმესი ათი წუთი... დიმიტრი ხან ვიღაცეებს გაულიმებდა, ხან ხელს დაუქნევდა, მაგრამ უმეტესწილად მზერით მიჩერებული იყო თავის ცოლშვილზე: თვალებით, სახის ნაკვთების მცირე მოძრაობებით ეალერსებოდნენ ერთმანეთს... გავიდა მოლოდინის უმძიმესი ოცი წუთი... „სულ ერთი წუთით მიმიშვით მამასთან, ხელით რომ შევეხო!", მაგრამ ბადრაგი შეუვალი იყო...

კარი გაიღო და მოსამართლე თანაშემწესთან ერთად შემოვიდა. „ყველა ფეხზე ადგეს!"დარბაზში ერთბაშად სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 495-498-ე , 503-ე, 506-509-ე, 512-ე, 517-ე, 519-ე, 523-ე მუხლებით და დაადგინა: დიმიტრი მ. ცნობილი იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (...)-ე მუხლის მესამე ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს სიკვდილით დასჯა!

* * *

დაახლოებით ერთი თვის თავზე ბ-ნმა ლ.-მ სააპელაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. უკვე თვენახევარში ჩატარდა პროცესი და სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. ექვსი თვის შემდგომ კი უზენაესმა სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი და ცხადია, მანაც განაჩენი ძალაში დატოვა. ამ პერიოდში არაერთი მცირერიცხოვანი აქცია და კონფერენცია მოეწყო სიკვდილმისჯილი დიმიტრი მ.-ს დასაცავად, მაგრამ...

* * *

სანაპიროზე რესტორანი „იმერეთის" მისადგომები გადავსებულია ავტომანქანებით. არ წყდება სტუმრების ნაკადი... ბ-ნი რ. თავის ახლადდაქორწინებულ მეუღლესთან ერთად დგას დარბაზის შუაგულში და გაბადრული სახით ყველას სათითაოდ ესალმება და გულიანად კოცნის.

— არ ვიცი პირდაპირ, რამდენი რაიმე მოგილოცოთ ერთად იბესტიჩ! გაბედნიერება, დაწინაურება... ყველაფერს გილოცავთ იბესტიჩ, ყველაფერს! — და სტუმარი დიდი სიყვარულით კოცნის ბ-ნ რ.-ს, შემდეგ კი მოწიწებით ხელზე ეამბორება თეთრად გამოწყობილ პატარძალს, რომელიც ეფექტური გარეგნობით გამოირჩევა.

— დღეს ბოლომდე უნდა ჩავწვეთ ღვინოში, ბოლომდე ჩემო ძმაო! — და, მართლაცდა, ძმურად გადაეფსკვნება ნეფეს მისი ძველი ტანახოვანი მეგობარი, თან სულ ზურგზე უბრაგუნებს ხელებს...

თანდათანობით ხალხი სუფრასთან ჯდება. მალე თამადაც მიმართავს დამსწრე საზოგადოებას პირველი სადღეგრძელოთი ... მოგვიანებით კი ცოცხალი მუსიკაც იწყებს გუგუნს...

— იბესტიჩ, თავად ბ-ნი გ. გირეკავთ, მოლოცვა უნდა!

— კაი კაცო! ახლავე გამოვალ...

* * *

25 იანვრის ღამის სამ საათზე თბილისის 4 საპყრობილის შავნილბიანმა ზედამხედველებმა გააღეს მეოცე საკნის კარები.

— ადექი, გასასვლელად მოემზადე! — მსწრაფლად მიაძახეს ფხიზლად მწოლიარე პატიმარს. დიმიტრი მ. წამოდგა, ჩაიცვა ლურჯი ჟაკეტი, თბილი სპორტული შარვალი, თავისი უთასმო ფეხსაცმელე-

ბი, ზევიდან კიდევ ქურთუკი მოიცვა... მისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. უაზროდ მიტრიალ-მოტრიალდა, აქეთ-იქით მიმოიხედა: თითქოს რაღაცას ეძებდა ...

— დაუჩქარე! — გაისმა ზედამხედველის ხმა.

— ახლავე, ერთი წუთით მაცალეთ!

დიმიტრი წამით შეყოვნდა, შემდეგ ხატებთან მივიდა, სანთელი აანთო და სათითაოდ ეამბორა სამების ხატს, მაცხოვარის ხატს, ღვთიმშობლის ხატს, წმინდა ნიკოლოზის ხატს, წმინდა გიორგის ხატს და ჯვარს. წიგნიდან ამოიღო მისთვის უძვირფასესი ფოტოსურათი და მზერით ჩაეკონა... შემოწმების შემდეგ პირველ სართულზე ბადრაგს გადააბარეს, ხელბორკილები დაადეს და საპყრობილის გასავლელ ეზოში გაიყვანეს: მაგრად ციოდა... იქვე რაფის მარკის ავტომანქანა იდგა.

გზას დაახლოებით ათი წუთი დასჭირდა. დიმიტრი ხან ერთ წერტილს მისჩერებიდა, ხან თვალებს დახუჭავდა: „ღმერთო შემიწყალე! ღმერთო არ მიმატოვო! ღმერთო დაიფარე ჩემი ოჯახი!" მანქანა შიგადაშიგ შეანჯღრევდა ხოლმე მის სხეულს...

რაფი 10-ე საპყრობილესთან გაჩერდა. ჭიშკარი გაიღო: აქაური ზედამხედველები უკვე გარეთ ელოდებოდნენ „სტუმრებს". დაძაბული შეძახილები, გადალაპარაკებები... ბადრაგმა სწრაფად შეიყვანა შენობაში მსჯავრდებული. შიგნით სოლიდურად გამოწყობილ პერსონათა ჯგუფი დახვდათ: პროკურორი, მისი თანაშემწე, ციხის უფროსი, მისი მოადგილე, ექიმი... ნერვიულად ფუსფუსებდნენ, მოკლე-მოკლე ფრაზებს ისროდნენ. პროკურორმა სიგარეტი ჩააქრო და დაჟინებით შეხედა დიმიტრი მ.-ს. ერთბაშად ყველანი დერეფნისკენ დაიძრნენ: მარჯვნივ გაუხვიეს, შემდეგ მარცხნივ... და ბოლოს რკინის ფართო გისოსებიან კარებს მიადგნენ. კარები გააღეს და მსჯავრდებული ნესტიან ოთახში შეაგდეს. დიმიტრიმ ერთი ღრმად ჩაისუნთქა, თვალები ფართოდ გაახილა და ჩურჩულით წარმოთქვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!"გასროლა, გასროლა, კიდევ გასროლა... მცირე ხნის პაუზის შემდეგ კარები გაიღო: ისევ გასროლა...

2008 წლის 25 იანვრის ღამის სამი საათი და ორმოცდაოთხი წუთი იყო.

24.09.2008 წ.
გაზ. „ჯორჯიან-თაიმსი"
9-16 ოქტომბერი 2008 წ.

ერიხ ფრომი და მაზოხიზმის სინდრომი ქართულ საზოგადოებაში

მეოცე საუკუნის დიდი ევროპელი მოაზროვნე ერიხ ფრომი არის ავტორი გენიალური წიგნისა „გაქცევა თავისუფლებისგან". ვფიქრობ, ეს წიგნი უაღრესად საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთვის, ე.ი. თანამედროვე საქართველოს მოქალაქეებისთვის. მასში გაანალიზებულია ავტორიტარიზმის უმნიშვნელოვანესი ფსიქოსოციალური წანამძღვრები (რასაც ავტორი მოიაზრებს ფართო მნიშვნელობით, კერძოდ, ამ ცნების ქვეშ გულისხმობს საერთოდ ტოტალიტარულ და ავტორიტარულ სისტემებს).

რა არის ის ფსიქოლოგიური ტენდენციები, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებს და ხელს უწყობს ფაშიზმის, კომუნიზმის ან საკუთრივ (ვიწრო აზრით) ავტორიტარული დიქტატურის დამყარებას? ფრომი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ბევრი თავს იმშვიდებდა იმ აზრით, თითქოსდა ავტორიტარული სისტემების გამარჯვება განპირობებულია რამდენიმე ადამიანის სიგიჟით და ამიტომ ყოველივე ეს სიგიჟესთან ერთად მსწრაფლწარმავალია. სხვები თვითკმაყოფილებით ფიქრობდნენ, რომ იტალიელმა და გერმანელმა ხალხებმა ცოტა ხანს იცხოვრესო დემოკრატიის პირობებში და ე.ი. უმწიფრები იყვნენ ამ თვალსაზრისით. კიდევ სხვებს ჰქონდათ ილუზია, რომ ჰიტლერისმაგვარმა ტიპებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ვერაგობით, თაღლითობით და ა.შ.

მაგრამ ფაშისტური რეჟიმის გამარჯვების შემდგომმა წლებმა ცხადად გვიჩვენეს ამგვარ თვალსაზრისთა მცდარობა. ჩვენ მოგვინია იმის აღიარება, რომ გერმანიაში მილიონობით ადამიანმა ისეთივე გულანთებით თქვა უარი თავისუფლებაზე, როგორც თავის დროზე მათი მამები იბრძოდნენ მისთვის. ჩემი მხრივ, იმავეს ვიტყოდი საბჭოთა რეალობაზე, როდესაც მილიონობით ქალი თუ კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი გულწრფელად შეჰხაროდა თავის ბელადს — იოსებ სტალინს და ასევე გულწრფელად მოთქვამდა მისი სიკვდილის გამო. დიახ, როდესაც ვლაპარაკობთ ტოტალიტარულ და ავტორი-

ტარულ სისტემებზე, მიზეზები უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ დიქტატორებში, მანკიერ პოლიტიკურ მიმდინარეობებსა და მათ იდეოლოგიებში თუ ობიექტურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებებში და ა.შ., არამედ აგრეთვე თავად ხალხში, საზოგადოებასა და კერძოდ, მის ფსიქოლოგიაში — ამაში ფრომი უთუოდ მართალია.

ეს დიდი მოაზროვნე განიხილავს თავისუფლებისგან გაქცევის უნიკალურ მექანიზმებს და მათ შორის ისეთს, რომელიც მდგომარეობს ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების დამოუკიდებლობაზე უარის თქმის ტენდენციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ტენდენცია საკუთარი „მე"-ს გარეშე ძალასთან შერწყმისა. უფრო ზუსტად კი, საუბარია იმ ვითარებაზე, როდესაც დათრგუნული, გაჭირვებული ინდივიდი ცდილობს თავი დააღწიოს გაუსაძლის სიტუაციას არა საკუთარი შემოქმედებითი თვითრეალიზაციის, არამედ თავისუფლებისგან გაქცევის გზით. ესაა უბრალოდ გაქცევა და მისი ერთ-ერთი ფორმა არის მაზოხისტური თავითდამორჩილება უცხო ძალისადმი.

ფრომი წერს, რომ მაზოხისტური ტენდენციები ყველაზე ხშირად ვლინდება საკუთარი არასრულფასოვნების, უძლურების, არარაობის გრძნობებში. მაზოხისტი მიდრეკილია თვითდამცირებისკენ და უარს ამბობს სხვადასხვა ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე, რომლებიც მის წინაშე იხსნება. ასეთი ინდივიდები მუდმივად ავლენენ მკვეთრად გამოხატულ დამოკიდებულებას სხვა ადამიანებზე, ორგანიზაციებსა თუ ბუნებაზე. ისინი მიისწრაფვიან არა თვითდამკვიდრებისაკენ, ანუ საკუთარი სურვილების რეალიზაციისაკენ, არამედ **დაქვემდებარებისკენ** გარეშე ბრძანებებისადმი. უფრო მძიმე შემთხვევებში მაზოხიზმი მჟღავნდება **თვითგვემაში**: ადამიანს არაცნობიერად სურს ზიანი, ტკივილი მიაყენოს საკუთარ თავს. თუმცა არსებობს მაზოხისტური გარყვნილებაც, როდესაც ადამიანს სავსებით ცნობიერად სურს იტანჯოს და სიამოვნება მიიღოს ამით: მაგალითად, იგი შეიძლება განიცდიდეს ძლიერ **სექსუალურ აღგზნებას** ვიღაცის მიერ ფიზიკური ტკივილის მიყენების დროს. აქვე ერიხ ფრომი აპელირებს ფროიდისადმი, ვინაიდან სწორედ იგი იყო პირველი, ვინც სადომაზოხიზმის ფენომენის ღრმა თეორიულ ახსნას შეეცადა.

ფროიდი საბოლოო ჯამშო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს განადგურების ბიოლოგიურად თანდაყოლილი ინსტინქტი ანუ ე.წ. **„სიკვდილის ინსტინქტი"** (თანატოსის იმპულსი) და რომ მაზოხიზმი არის შედეგი ამ უკანასკნელისა. კერძოდ, ეს ძირეული იმპულსი,

ერწყმის რა სექსუალურ ინსტინქტს, გვევლინება მაზოხიზმის სახით, როდესაც იგი მიმართულია საკუთარი თავის წინააღმდეგ, და მეორე მხრივ, გვევლინება სადიზმის სახით, როდესაც მიმართულია სხვათა წინააღმდეგ.

ადამიანის მაზოხისტური მისწრაფება გულისხმობს ერთ რამეს: განთავისუფლდეს საკუთარი პერსონისგან, დაკარგოს საკუთარი პერსონა მთელი თავისი შინაგანი კონფლიქტებით, დათრგუნულობით, უძლურებით, შფოთვით ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **განთავისუფლდეს** თავისუფლების ტვირთისგან. „მაზოხიზმის დროს ინდივიდს მოქმედებისკენ უბიძგებს მარტოობისა და არარაობის აუტანელი გრძნობა. იგი ცდილობს გადალახოს ეს გრძნობა საკუთარ „მე"-ზე უარის თქმით (ფსიქოლოგიური აზრით); ამისთვის იგი ამცირებს საკუთარ თავს, იტანჯება, დაჰყავს თავი უკიდურეს არარაობამდე" (Э. Фромм «Бегство от свободы», Москва, «Прогресс», 1990, გვ. 134/ თარგმ — ი.ბ.). მაგრამ მაზოხიზმის მეორე მხარეა (როგორც მედლის მეორე მხარე) **ინდივიდის მისწრაფება, გარდაიქცეს რაღაც დიდი და ძლიერი მთლიანობის განუყოფელ ნაწილად**, განზავდეს გარეშე ძალაში და იქცეს მის **ნაწილაკად**. ეს ძალა შეიძლება იყოს ვიღაც ლიდერი, საზოგადოებრივი ინსტიტუტი, პარტია, სახელმწიფო... „ინდივიდი მთლიანად უარს ამბობს თავის თავზე, უარს ამბობს საკუთარი „მე"-ს ძალასა და სიამაყეზე, საკუთარ თავისუფლებაზე, მაგრამ ამასთან ერთად იძენს ახალ დარწმუნებულობასა და ახალ სიამაყეს თავის თანაზიარებაში იმ ძალასთან, რომელსაც ახლა შეუძლია საკუთარი თავი მიაკუთვნოს" (იხ. გვ. 135) და ამით, თითქოსდა ბოლო ეღება მის ეჭვებს ცხოვრების საზრისთან დაკავშირებით, **მის დეზორიენტირებულობას**. იგი აღარაა პასუხისმგებელი თავის ბედზე: ყველაფერს მის მაგივრად წყვეტს გარეშე ძალა და ამ უკანასკნელშია მისი ცხოვრების საზრისიც, ორიენტირიც და პიროვნული არსიც.

მაზოხისტური კომპლექსი, ისევე, როგორც სადისტური (და ეს ორი რამ მჭიდროდაა ერთმანეთთან დკავშირებული) აკონსტიტუირებს ადამიანის განსაკუთრებულ ტიპს, კერძოდ, ე.წ. ავტორიტარული ხასიათის მქონე ადამიანს. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ერიხ ფრომის მსჯელობები რელიგიური ცნობიერების შესახებ, რომლებსაც იგი ავითარებს მოცემული თემის კონტექსტში. ამ საკითხს ახლა არ ჩავუღრმავდები და მხოლოდ მივუთითებ შემდეგს: სამაგიეროდ, სავსებით სარწმუნოა მისი

მსჯელობები წმინდა სოციალურ-პოლიტიკური რაკურსით. სახელდობრ, უაღრესად დამაჯერებელია ყოველივე ის, რასაც ფრომი გველაპარაკება ავტორიტარული ხასიათის მქონე ინდივიდის მიმართებაზე „ამქვეყნიური“ ძალაუფლების ფაქტორებთან: ხელისუფლებასთან, გაბატონებულ სოციალურ ელიტასთან და ა.შ. მაშასადამე, ლაპარაკია ადამიანზე, რომელიც მუდამ ელოდება, რომ „ვიღაც“ მასზე იზრუნებს, ჭკუას დაარიგებს, ხანდახან დასჯის და უფრო მეტიც იგი ამ „ვიღაცას“ აკისრებს პასუხისმგებლობას საკუთარი ქცევების შედეგებზე. ეს „ვიღაც“ X, ფრომის თქმით, არის **„ჯადოსნური მაშველი“**. მაზოხისტს აქვს მოთხოვნილება, მთლიანად დამოკიდებული იყოს ამ ჯადოსნურ X-ზე და ყველაფერი ცხოვრებაში მისგან მიიღოს და არა საკუთარი ძალისხმევით. ამ მოთხოვნილების რეალიზაცია კი ნიშნავს, რომ მაზოხისტმა შეძლო აღნიშნული ჯადოსნური X-ის **პერსონიფიცირება** გარკვეულ კონკრეტულ ადამიანში: მაგალითად, ჰიტლერში, სტალინში, ფიდელ კასტროში, სადამ ჰუსეინში, სააკაშვილში (თუმცა ამ უკანასკნელისთვის ზედმეტი პატივია ამ მასშტაბის ბოროტმოქმედთა გვერდით მოხსენიება!)... მაგრამ ეს პერსონიფიკაცია ადრე თუ გვიან **მთავრდება იმედგაცრუებით** (რისი მომსწრეც მუდმივად ვართ) და შემდეგ მაზოხისტი ეძებს ახალ პერსონას, **ახალ პატრონს**, ვისკენაც მიპყრობილი იქნება მთელი მისი მოლოდინები და იმედები...

ავტორიტარიზმი დგას ასეთ ტიპზე. იგი მისი აუცილებელი ადამიანური ბაზაა. მხოლოდ მაზოხისტური კომპლექსით დაავადებულ საზოგადოებაში იკიდებს ფეხს და შემდეგ მყარად მკვიდრდება დახურული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ეფუძნება დიქტატს, ძალაუფლების კულტს, ტყუილს და პიროვნების ღირსების უარყოფას.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული დღემდე, ჩვენი ქართული საზოგადოება ამჟღავნებს მაზოხიზმით დაავადების სერიოზულ სიმპტომებს. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ეს იყო სამოცდაათწლიანი კომუნისტური პრესის ქვეშ ყოფნის შედეგი. ხანგრძლივი მონობის შემდეგ თავისუფლების სტიქიაში ერთბაშად შესვლამ მრავალმხრივი ფსიქოლოგიური ძვრები გამოიწვია. მაგრამ, მოდით, ყველაფერს ამ ბნელ წარსულს ნუ დავაბრალებთ და ცოტა საკუთარ თავშიც ჩავიხედოთ: განა იგივე გზა არ განვლეს ბალტიელებმა? განა ისინი დაავადდნენ იმ სენით, რომლითაც ავტორიტარიზმი იკვებება?

1990-91 წლებში, მრგვალი მაგიდის მმართველობისას, ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ სოლიდური ნაწილი შეპყრობილი აღმოჩნდა

კერპთაყვანისმცემლური აღტკინებით ზვიად გამსახურდიას მიმართ, რომელიც, ცხადია, უაღრესად დამსახურებული და უფრო მეტიც, ისტორიული მნიშვნელობის ფიგურაა. ძალზედ დიდია მისი წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ აღნიშნულ პერიოდში დაიწყო მრავალთა და მრავალთა დაავადება ბელადომანიით: „ერთ მუშტად შეკრულ ქართველებს წინ მიგვიძღვება ზვიადი!" ეს ადამიანები აღმოჩნდნენ ერთდროულად უდიდესი თაყვანისცემის და აგრესიის გრძნობით განმსჭვალულნი: ყველაფერს მეტად მტკივნეულად, აგრესიულად აღიქვამდნენ, ვინაიდან იტანჯებოდნენ საკუთარი არასრულფასოვნების განცდით და თან თვითრეალიზაციის განცხრომას ჰპოვებდნენ საკუთარი წინამძღოლის გაღმერთებაში — აი, ტიპიური გამოვლინება მაზოხისტური კომპლექსისა.

ამ ხანმოკლე პერიოდში დამკვიდრებულმა ნაციონალისტურმა ავტორიტარულმა მმართველობამ სერიოზული ზიანი მიაყენა როგორც ქვეყანას, ასევე თავად ზვიად გამსახურდიას. მას, როგორც ჭეშმარიტ ეროვნულ ლიდერს და მძლავრი ინტელექტით დაჯილდოებულ ადამიანს, ალბათ ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა, მაგრამ სამწუხაროდ, თავად გახდა საკუთარი ავტორიტარიზმის მსხვერპლი. **ცხინვალის რეგიონის დიდ ნაწილზე იურისდიქციის დაკარგვა** და უპერსპექტივო სამხედრო კონფლიქტში ჩაბმა; გიორგი ჭანტურიას, გიორგი ხაინდრავას და სხვათა დაპატიმრებები; ეროვნული გვარდიის გაუქმება ГКЧП-ს ზეწოლის შედეგად; **ოპოზიციასთან კონფლიქტის გაღრმავება**, რამაც საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე (თუმცა, ოპოზიციას კიდევ უფრო დიდი ბრალი მიუძღვის ამაში) — აი, მძიმე შედეგი ამ წლების ავტორიტარიზმისა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო ის შედეგებიც, რომლებიც ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩნდა საქართველოსთვის: **1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილის დეკლარაცია დამოუკიდებლობის შესახებ.**

შევარდნაძის მმართველობის ხანა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც **პოსტსაბჭოური ავტორიტარიზმი**. ამ პერიოდში კვლავ იმძლავრა მაზოხისტურმა ტენდენციებმა საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში, ოღონდ განსხვავებული შეფერილობით და ნიუანსებით. საკუთარი უძლურების, დეზორიენტირებულობის გრძნობით დატანჯული ადამიანების მზერა მიპყრობილი იყო „მრავლისშემძლე

გამოცდილი პატრონისადმი". „ჩვენ პატრონი გვჭირდება, თორემ დავიღუპებით!" — ასეთი იყო მათი ცნობიერება და ამ „პატრონის" პერსონიფიცირება მოხდა ედუარდ შევარდნაძეში. დიახ, მრავალთა და მრავალთა აღქმაში სწორედ ეს პიროვნება აღმოჩნდა ის „ჯადოსნური მაშველი", რომელიც ქვეყანას მოუტანდა მატერიალურ კეთილდღეობას, წესრიგსა და მშვიდობას. იმ პერიოდში, როგორც არასდროს, **საზოგადოებაში გავრცელდა უაღრესად სკეპტიკური დამოკიდებულება „ქართველი კაცის" შესაძლებლობებისადმი, ქართული ცნობიერებისადმი, ქართული ფასეულობებისადმი... ადამიანები თვითდამცირების, თვითგაუფასურების გრძნობამ შეიპყრო** და ისინი შინაგანად მთლიანად მიენდნენ, მიებარნენ გამოცდილ „ბაბუ"-ს ანუ „პატრონს"...

შევარდნაძის ავტორიტარული მმართველობის უმძიმესი შედეგებია: **კატასტროფა აფხაზეთში,** ტოტალური კორუფცია და **არჩევნების გაყალბების** საზარელი პრაქტიკის დანერგვა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაშიც საჭიროა მივუთითოთ სერიოზული პოზიტივები: მასმედიის თავისუფლება და დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესი — ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, ნატოსთან დაახლოება.

სანამ შევეხები „ვარდების რევოლუციის" შემდგომ ხანას, ობიექტურობა მავალებს, რომ აღვნიშნო შემდეგი: ნურავინ იფიქრებს, თითქოსდა ამ სტატიის ავტორი მოკლებული იყოს თვითკრიტიკულობის გრძნობას. ეს კრიტიკა გარკვეულწილად მეც მეხება, როგორც ქართული საზოგადოების შვილს და ზემოთ მითითებული პერიოდების პოლიტიკურ პროცესთა მონაწილეს. ახლა კი, რაც შეეხება ჩვენს შემდგომ თემას...

მიხეილ სააკაშვილი „მოევლინა" ხალხს, როგორც „მხსნელი" — ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე, ენერგიული, მიზნდასახული, ინგლისურად კარგად მოლაპარაკე... „ეს გვიშველის, ეს ამოიყვანს ქვეყანას იმ სტაგნაციის წუმპედან, რომელშიც ამდენი ხანი ვიმყოფებით," — ასეთი იყო მოქალაქეთა ოთხმოცდათვრამეტი პროცენტის უმეტესობის განცდა, რომლებმაც იგი 2004 წლის იანვარში პრეზიდენტად აირჩიეს. დაიწყო მაზოხიზმის მორიგი დიდი აქტი. აღნიშნული კატეგორიის ადამიანების თვალში სააკაშვილი იყო ის „ბედნიერი ვარსკვლავი", რომელსაც საკუთარსა და მთლიანად ქვეყნის წარმატებას, წინასვლას უკავშირებდნენ. მასში ხედავდნენ საკუთარი და საქართველოს სასიცოცხლო შანსების სწრაფ რეალ-

იზაციას, და თან არაცნობიერად მოითხოვდნენ მისგან მათრახის გადაჭერასაც. **დიახ, მრავალთათვის ეს აღმოჩნდა ყველაზე უფრო სამარცხვინო „ეპოქა"**: საკუთარ ღირსებაზე უარის თქმის, კურდღლობის, მლიქვნელობის, კრეტინული აღფრთოვანების... არა ერთი მომღერალი, მსახიობი, მხატვარი, მეცნიერი თუ ბიზნესმენი, რომელიც მანამადე სიამაყის გრძნობის მქონე გვეგონა, ერთბაშად გაუწვა ამ ახალგაზრდა „მხსნელს": „ჩემი გმირი გიწოდე... „

მოდით, დავრჩეთ ობიექტურნი და მაინც ხაზი გავუსვათ იმ პოზიტიურს, რაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გაკეთდა: საგრძნობლად გაიზარდა ბიუჯეტი, გაუმჯობესდა ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, უკეთესი გზები დაიგო... მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად დაიწყო მთელი კასკადი სიავეებისა: **დაიწყო რეპრესიები** და მათ შორის პოლიტიკური დაპატიმრებები: ციხეები გაივსო არნახული რაოდენობის პატიმრებით, რომლებიც ყოვლად გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდნენ.

დაიწყო შეტევა მასმედიაზე: ტელეკომპანია „ომეგაში" შევარდნა, „202"-ის დახურვა, „იმედის" დარბევა...

დაიწყო სისხლიანი ტერორი: ზურაბ ჟვანია, გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი, აფრასიძეები... პოლიტიკური ოპონენტების გატაცება, ცემა...

დაიწყო საცხოვრებელი კორპუსების, დახლების ნგრევა...

დაიწყო ბიზნესის დარეკეტება და თავხედური მითვისება...

დაიწყო და შემზარავად დასრულდა შვიდი ნოემბერი...

დაიწყო ომი ცხინვალის რეგიონში და დღე-ნახევარში დამთავრდა კატასტროფული შედეგებით: აფზახეთის და ცხინვალის რეგიონის სრული ანექსიით რუსეთის მიერ — აი, არასრულად ყოველივე ის, რაც მოგვიტანა სააკაშვილის ავტორიტარიზმმა.

მაზოხისტური კომპლექსი ქართულ საზოგადოებაში — ესაა ჩვენი სენი, ჩვენი უბედურება. ესაა ნოყიერი ნიადაგი, რომლიდანაც ამოიზრდება ხოლმე ავტორიტარული მახინჯი ხელისუფლება. ცხადია, რომ სააკაშვილის რეჟიმი უკვე დასასრულს უახლოვდება: მან ამოწურა ყველა რესურსი შიგნით და გარეთ. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ საზოგადოებაში **ისევ აქტიურად ჩნდება მოლოდინი ახალი „მსხნელისა"**. მრავალი დეპრესირებული, დეზორიენტირებული ადამიანი კვლავ ელოდება ხსნას „ახალი ბედნიერი ვარსკვლავის" ამობრწყინებისგან... ჩვენ ილუზიების ტყვეობაში ვრჩებით: კვლავ გავრბივართ თავისუფლებისაგან; კვლავ ავტორიტარული ცნობიერების მანკიერ წრეში ვტრიალებთ...

დღეს საქართველო იმყოფება თავისი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევის წინაშე. მჯერა, რომ შევძლებთ ამ უმძიმესი კრიზისიდან გამოსვლას და საკმარისი ძალების მობილიზებას მატერიალური და სულიერი აღდგინებისთვის. აბსოლუტურად გულწრფელად მჯერა, რომ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება გარდაუვალი პროცესი იქნება არცთუ ძალიან შორეულ მომავალში. მაგრამ ახლა, უპირველეს ყოვლისა, გვჭირდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს განკურნება ავტორიტარიზმის საშინელი სენისგან. ჩვენ გვჭირდება თავისუფალი საზოგადოება, გამართული დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები და საღად მოაზროვნე ლიდერები. კერპთაყვანისმცემლობა და მაზოხიზმი წარსულს უნდა ჩაბარდეს. წინ XXI საუკუნის საქართველოს შენება გველოდება. როდის დაიწყება ეს დიდი შემობრუნება? როდის გადმოგვხედავს უფალი წყალობით? **დიდი ძალისხმევა და დიდი რწმენა** — აი, რა გადაგვარჩენს ახლა. „ისურვე, უფალო ქვეყანა შენი... აგვარიდე მთელი შენი გულისწყრომა, დააცხრე შენი მრისხანება. მოგვაქციე ღმერთო, ჩვენო მსხნელო და გააუქმე შენი გაჯავრება ჩვენზე... მართლაც ახლოა ხსნა მისმიერი მის მოშიშთათვის, რათა **დიდებამ** დაისადგუროს ჩვენ ქეყანაში." (ბიბლია, ფსალმუნი 84(85))

P.S. ამჟამად ბეთანიის მონასტერში ვიმყოფები. სენაკში ვზივარ და ამ სტატიას ვასრულებ. ეს ის სენაკია, რომელშიც წმინდა მამები — არქიმანდრიტი იოანე და არქიმანდრიტი გიორგი — ცხოვრობდნენ. მათ ეს მონასტერი არ მიატოვეს საბჭოური ძნელბედობის საშინელ პერიოდშიც კი. დროდადრო გარეთ გავდივარ და ვსეირნობ. თოვს. ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებულია. ამ სითეთრეში ტაძარი კიდევ უფრო გასაოცარი და მიმზიდველი ჩანს. აქ ყველაფერი ღვთაებრივი სისუფთავით და სიახლით სუნთქავს. ხვალ ქალაქში უნდა დავბრუნდე და ხელახლა გადავეშვა ყოველდღიურობის, ინფორმაციებისა და პოლიტიკის მორევში. მაგრამ ბეთანიის ეს თეთრი ნათება თან მომყვება...

30.12.2008
გაზ. „მთელი კვირა" №004(5876)
12 იანვარი, 2009 წ.

განცხადება ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით

საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტპატიმართა სიას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა — ირაკლი ბათიაშვილი დაუმატა. „სამშობლოს ღალატის" ბრალდებით დააპატიმრეს პიროვნება, რომელიც კომუნისტური დროიდან აქტიურად მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1989 წლის აპრილს რუსეთის ჯარის მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის დროს ირაკლი ბათიაშვილი ცდილობდა ქალებისა და ბავშვების გადარჩენას და თვითონ დაჭრილი, სიკვდილის პირას მყოფი იპოვეს გარდაცვლილთა შორის. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებშიც იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას როგორც პიროვნება, როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების წევრი, 1992-93 წლებში ეკავა უშიშროების მინისტრის პოსტი, რომელიც თავისი გადაწყვეტილებით დატოვა საქართველოს დსთ-ში გაერთიანებისადმი უთანხმოების გამო. ირაკლი ბათიაშვილი, პროფესიით ფილოსოფოსი, არის ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში, ხოლო ამჟამად კი სახელმწიფო უნივერსიტეტში. ირაკლი ბათიაშვილი ყოველთვის გამოირჩევა დამოუკიდებელი აზროვნებით, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით, გაბედულად და ღიად გამოხატავდა თავის შეხედულებებს, კრიტიკულ დამოკიდებულებას ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის უნივერსიტეტის ნგრევის მიმართ.

სწორედ თავისი აზრის, პოზიციის გამოხატვისთვისაა იგი ამჟამად დაპატიმრებული. კერძოდ: კოდორის ხეობაში მომხდარი მოვლენე-

ბის დროს, მან ტელევიზიით რამდენჯერმე გამოთქვა თავისი პოზიცია, რაც გამოიხატებოდა ხელისუფლებისადმი მოწოდებაში მშვიდობიანად, დიალოგის გზით მოეგვარებინათ უყურადღებოდ მიტოვებული კუთხის პრობლემები და არ დაღვრილიყო სისხლი. იგი თვლიდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში იცავდნენ გარეშე ძალისგან სამშობლოს, სახელმწიფოს ასე იოლად არ უნდა გაემეტებინა ტყვიისთვის. გარდა ამისა მის დაპატიმრების საფუძვლად ხელისუფლება მის სატელეფონო საუბარს აცხადებს კოდორის ხეობის ყოფილ რწმუნებულთან ამბოხების ერთ-ერთ მონაწილე ემზარ კვიციანთან. ეს სატელეფონო საუბარი შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ინიციატივით არაერთხელ გადაიცა ტელევიზიით და თუმცა ეს მოხდა აშკარად დამონტაჟებულად, იგი თვით ასეთი დამახინჯებული ფორმითაც კი არ შეიცავდა არავითარ კრიმინალს, კონკრეტულად კი რაიმეს, რაც რამენაირად ამტკიცებს ბათიაშვილის რაიმე მონაწილეობას შეიარაღებულ აქციაში, ან თუნდაც იმას, რომ მან რაიმე იცოდა მიმდინარე გამოსვლის შესახებ წინასწარ. მოკლედ, მოხდა უნიკალური რამ: მოაზროვნე ადამიანი, მეცნიერი, საზოგადოებისთვის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ძველი ნაცნობის ზარზე პასუხის, მისი მოკითხვის და ტელევიზიით საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისათვის დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის, ამბოხებისადმი ინტელექტუალური დახმარების და დანაშაულის დაფარვის ბრალდებით!

ირაკლი ბათიაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი. ჩვენ მივმართავთ მთელი მსოფლიოს უფლებადამცველებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, რათა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება პოლიტპატიმარ ირაკლი ბათიაშვილის განთავისუფლებისათვის.

31.07.06

არასამთავრობო ორგანიზაცია
„ყოფილი პოლიტპატიმრები —
ადამიანის უფლებებისათვის“

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“

(კონფერენციის რეზოლუცია)

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“ კონფერენციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში სისტემატურად ირღვევა გამოხატვის თავისუფლების უფლება.

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კონტროლიდან გამოსულ მედიის რეალურად დამოუკიდებელ საშუალებებს შეუზღუდოს ან საერთოდ მოუსპოს მუშაობის შესაძლებლობა. ამ მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა ფორმები და მეთოდები: რედაქტორებისა და მედიის საშუალებათა მეპატრონეების მიმართ შანტაჟი და მუქარები, მათთვის ფინანსური პრობლემების ხელოვნურად შექმნა და ამ საბაბით მათი დახურვა და ა.შ.

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლება მოიცავს არა მარტო პირის უფლებას გამოხატოს გარკვეული საგნისა და მოვლენის შესახებ თავისი მოსაზრება, არამედ ინფორმაციის მიღების, გავრცელებისა და საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებასაც. კონფერენციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლების გამოყენებისათვის და ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის წესით ასამართლებს იმ აქტივისტებს, რომლებსაც მიიჩნევს საკუთარ ოპონენტებად. ამის მაგალითია სხვადასხვა დროს დარბეული არაერთი მიტინგი და მანიფესტაცია და „გზის გადაკეტვისათვის“ გასამართლებული ათეულობით ადამიანი, თანასწორობის ინსტიტუტის წევრების (ირაკლი კაკაბაძის, ლაშა ჩხარტიშვილის, ზურაბ რთველიაშვილის, ჯაბა ჯიშკარიანის, დავით დალაქიშვილის და სხვათა) მიმართ გამოყენებული ადმინის-

ტრაციული პატიმრობები, ირაკლი ბათიაშვილის და სხვების სამშობლოს მოღალატეებად გამოცხადება და ა.შ.

კონფერენციის მონაწილეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ და გმობენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ქვეყანაში დემოკრატიის შენების ერთ-ერთი ლიდერის, პოლიტიკური ბრძოლის არაძალადობრივი მეთოდების მხარდაჭერის, პაციფისტისა და მეცნიერის, მსოფლიო ფენომენოლოგთა კავშირის წევრის ირაკლი ბათიაშვილის მიმართ ხელისუფლების მხრიდან გამოხატულ სრულიად უსამართლო, უკანონო და არაადამიანური ქმედების ფაქტებს.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს ხელისუფლების მხრიდან კომუნისტურ სტილში წარმოებული პროპაგანდისტული კომპანია, რომლის მიზანია მტრის ხატის შექმნა, საზოგადოებაში შიშის ატმოსფეროს დათესვა და პატრიოტული ლოზუნგების ექსპლუატაციით „მოღალატე აგენტების" გამოვლენის წახალისება. ასეთ ვითარებაში ფეხქვეშ ითელება ის დემოკრატიული ღირებულებები, რომლებსაც ასე ინტენსიურად იყენებდა ჩვენი ხელისუფლება რევოლუციის წინა დღეებში „მტრების გამოვლენის" აგორებული კამპანია იქამდე მივიდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში უკვე სერიოზულად საუბრობენ ისეთი კანონის მიღებაზე, რომელიც სისხლის სამართლებრივ დევნას დააწესებს ისეთი აზრის გამოთქმისათვის, რომელსაც ხელისუფლება მიიჩნევს „ანტისახელმწიფოებრივად", ან „მტრული ძალებისათვის ხელშემწყობად". კონფერენციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მსგავსი ანტიდემოკრატიული ქმედებებით საქართველოს ხელისუფლება ქვეყანას მიაქანებს დიქტატურისა და აქედან გამომდინარე, კატასტროფისაკენ. ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, რომ შეწყვიტოს „კუდიანებზე ნადირობა", ფსევდოპატრიოტული ისტერია და ანტიდემოკრატიული კანონმდებლობის დამკვიდრება. კონფერენციის მონაწილეები შეახსენებენ ხელისუფლებას, რომ დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ რიტორიკა არ არის, რის გამოც ხალხი მისგან მოითხოვს დეკლარირებული ფასეულობების ცხოვრებაში გატარებას.

კონფერენცია მიმართავს საერთაშორისო უფლებადაცვით ორგანიზაციებს, რათა მათ გამოიყენონ საკუთარი გავლენა და ავტორიტეტი იმისათვის, რომ აიძულონ საქართველოს ხელისუფლება, რათა მან შეწყვიტოს გამოხატვის თავისუფლების უხეში ხელყოფა და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სინდისის პატიმარი ირაკლი

ბათიაშვილი და ის სხვა პატიმრები, რომელთა დაპატიმრების რეალური საფუძველი საკუთარი შეხედულებების გამოხატვაა.

25.10.06 წ.

ოთარ იოსელიანი *(რეჟისორი)*, **რეზო ჩხეიძე** *(რეჟისორი)*, **მერაბ კოკოჩაშვილი** *(რეჟისორი)*, **გიგა ბათიაშვილი** *(არქიტექტორი, აკადემიკოსი)*, **გიგა ლორთქიფანიძე** *(რეჟისორი)*, **გია ჭუბაბრია** *(რეჟისორი)*, **ნუკრი ქანთარია** *(რეჟისორი)*, **მედია კუჭუხიძე** *(რეჟისორი)*, **გოგი ქავთარაძე** *(რეჟისორი)*, **ანზორ ერქომაიშვილი** *(„ერისიონის" ხელმძღვანელი)*, **თეიმურაზ ქორიძე** *(ლიტერატორი)*, **ვანო კილურაძე** *(აკადემიკოსი)*, **გურამ თევზაძე** *(აკადემიკოსი)*, **მამუკა დოლიძე** *(ფილოსოფოსი, პროფესორი)*, **მაყვალა გონაშვილი** *(მწერალთა კავშირის თავმჯდომარე)*, **შოთა ნადირაშვილი** *(აკადემიკოსი)*, **თემურ ნანეიშვილი** *(პროფესორი)*, **კახა კაციტაძე** *(პროფესორი)*, **ბაია ამაშუკელი** *(ფილოლოგი)*, **რუსუდან მირცხულავა** *(ფსიქოლოგი)*, **რამაზ საყვარელიძე** *(პოლიტოლოგი)*, **თენგიზ მირზაშვილი** *(მხატვარი)*, **მანანა თავაძე** *(მხატვარი)*, **თემურ გოცაძე** *(მხატვარი)*, **გურანდა გაბუნია** *(მსახიობი)*, **ვაჟა აზარაშვილი** *(კომპოზიტორი)*, **გოგი ხარაძე** *(აკადემიკოსი)*, **მერაბ დონაძე** *(მომღერალი)*, **თენგიზ სანაძე** *(აკადემიკოსი)*, **ნინია კაკაბაძე** *(ჟურნალისტი)*, **გია ბურჯანაძე** *(მსახიობი)*, **იოსებ ბარათაშვილი** *(ადვოკატი)*, **გელა ნიკოლაიშვილი** *(ადვოკატი)*, **გოგი ხუციშვილი** *(უფლებადამცველი)*, **ნინო ციხისთავი** *(უფლებადამცველი)*, **ნანა კაკაბაძე** *(სამართალდამცველი)*, **კობა ბოჭორიშვილი** *(უფლებადამცველი)*, **არნოლდ სტეპანიანი** *(უფლებადამცველი)*, **ალექსი შოშიკელაშვილი** *(უფლებადამცველი)*, **უჩა ნანუაშვილი** *(უფლებადამცველი)*, **ნინო გვენეტაძე** *(უფლებადამცველი)*, **ლაშა ჩხარტიშვილი** *(უფლებადამცველი)*, **ირმა ინაშვილი** *(უფლებადამცველი)*, **მანანა კობახიძე** *(უფლებადამცველი)*, **ანა დოლიძე** *(უფლებადამცველი)*, **ირინა ფუტკარაძე** *(უფლებადამცველი)*, **ლალი პულუზაშვილი** *(უფლებადამცველი)*, **ხათუნა ლაგაზიძე** *(უფლებადამცველი)*, **შალვა ფიჩხაძე** *(საქართველო ნატოში)*.

ჯორჯიან-თაიმსი
9-16 ნოემბერი, 2006 წ.

ირაკლი ბათიაშვილი
სინდისის პატიმარია

(„ქართული აკადემიის“ განცხადება)

უკანონობასა და განუკითხაობას საქართველოში ბოლო არ უჩანს. შეიარაღებული ამბოხების ინტელექტუალური მხარდაჭერის დაუსაბუთებელი ბრალდებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წევრსა და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ირაკლი ბათიაშვილს. ხელისუფლებისა და მისი ნების მორჩილი სასამართლოს გადაწყვეტილების მთელი ცინიზმი და სისასტიკე უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ იმ ადამიანს, რომელსაც სწორედ სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გამო სიკვდილისათვის არაერთხელ ჩაუხედავს თვალებში.

ჩვენ ირაკლი ბათიაშვილს მივიჩნევთ სინდისისა და პოლიტიკურ პატიმრად, კატეგორიულად ვგმობთ ამ სამარცხვინო და აღმაშფოთებელ ფაქტს და დაბეჯითებით ვაცხადებთ: საქართველო სისხლიანი ბოლშევიზმის ეპოქას უბრუნდება და თუ საზოგადოება ხელისუფლებას არ აგრძნობინებს თავის ძალას, სულ მალე ნეობოლშევიზმის რეპრესიული მანქანა მთელ ქვეყანას ძირფესვიანად გაანადგურებს.

ამასთანავე, მოვუწოდებთ დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხმა აიმაღლონ თანამეგობრობის წევრ ქვეყანაში მიმდინარე საკაცობრიო ღირებულებების უარმყოფელი პროცესების წინააღმდეგ, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ზემოქმედების ყველა მექანიზმი, რათა საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საკუთარ ხალხზე განხორციელებული ტერორი და ძალადობა.

გაზ. „მთელი კვირა“
28 მაისი, 2007 წ.

SOS! სინდისის პატიმარი!

გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ სრულიად უპრეცედენტო და საგანგაშო მოვლენას: 21 საუკუნის დასაწყისში, პოსტსაბჭოთა საქართველოში ვარდების რევოლუციის შედეგად დემოკრატიული ლოზუნგებით მოსული ხელისუფლების პირობებში გაჩნდა სინდისის პატიმარი! ანტიკომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი ირაკლი ბათიაშვილი დააპატიმრეს და გაასამართლეს სატელეფონო საუბრებში და სატელევიზიო გამოსვლებში გამოთქმული ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრისათვის! უკვე ათი თვეა იგი იმყოფება სრულ იზოლაციაში, სამარტოო საკანში.

ხელისუფლებამ ირაკლი ბათიაშვილის გაყალბებული და დაჭრილი სატელეფონო საუბრებიდანაც კი ვერ წარმოადგინა ვერც ერთი ფრაზა, ვერც ერთი სიტყვა, რომელიც რაიმე კრიმინალურს შეიცავდა, უფრო მეტიც, ირაკლი ბათიაშვილის სატელეფონო საუბრებში, ისევე როგორც სატელევიზიო გამოსვლებში გამოხატული პოზიცია მიმართული იყო 2006 წლის ივლისში კოდორის ხეობაში შექმნილი პრობლემის მშვიდობიანად, მოლაპარაკებების გზით მოგვარებისკენ, ის სისხლისღვრის თავიდან აცილებისკენ მოუწოდებდა კონფლიქტის ორივე მხარეს, სთავაზობდა ხელისუფლებას მოლაპარაკებებში თავის დახმარებას! მიუხედავად ყველაფრისა, სასამართლომ, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების ბრძანებებს ასრულებს, ყოველგვარი მტკიცებულების და მოწმეების (თუნდაც ცრუ მოწმეების!) გარეშე 7 წლით პატიმრობა მიუსაჯა სრულიად უდანაშაულო ირაკლი ბათიაშვილს! ირაკლი ბათიაშვილის წინააღმდეგ მიმართული საქმის აბსურდულობას ისიც ემატება, რომ იგი გაასამართლეს და დამნაშავედ ცნეს „ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის" სხვა პირთა მიმართ, რომელნიც ჯერ არ არიან სასამართლოს მიერ გასამართლებული და მათი ქმედება კი დანაშაულად ცნობილი!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ასეთი სრულიად შეუზღუდავი უკანონობა, ხელისუფალთა სრული თვითნებობა,

კომუნისტური ხელისუფლების ბოლო ათწლეულებშიც აღარ არსებობდა. კომუნისტებიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ პოსტსაბჭოთა საქართველოს წინა ხელისუფლებებზე, ცდილობდნენ რაღაც ფორმალობები დაეცვათ და რაიმე კრიმინალური ქმედების შემცველი საქმე შეეთხზათ პოლიტპატიმრების წინააღმდეგ. საქართველოს დღევანდელი რეჟიმის წარმომადგენლები კი, პოლიტიკურად სხვაგვარად მოაზროვნის მიმართ ანგარიშსწორებისთვის მის წინააღმდეგ ყალბი მტკიცებულებების და ცრუ მოწმეების წარმოდგენასაც აღარ თვლიან საჭიროდ და პირდაპირ სიტყვისთვის, განსხვავებული აზრისთვის აპატიმრებენ მას! როგორც ჩანს მსგავსი სამართლებრივი ნიჰილიზმის დემონსტრირება ბათიაშვილზე ანგარიშსწორების გარდა, საზოგადოების დათრგუნვა — შეშინების მიზანსაც ემსახურება.

ამგვარად, ირაკლი ბათიაშვილი არის არა მხოლოდ პოლიტპატიმარი, არამედ სინდისის პატიმარი! მივმართავთ ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფალთ, საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებს ადექვატური რეაგირება მოახდინონ საქართველოში სინდისის პატიმრის გაჩენის უკიდურესად საგანგაშო მოვლენის მიმართ, და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება ირაკლი ბათიაშვილის დაუყოვნებელი განთავისუფლებისათვის.

„ირაკლი ბათიაშვილის
განთავისუფლების კომიტეტი“
და ყოფილი პოლიტპატიმრები

ყოფილი პოლიტპატიმრები:

ნანა კაკაბაძე, თამარ ჩხეიძე, ვახტანგ ძაბირაძე, ლუიზა შაკიაშვილი, გელა ნიკოლაიშვილი, მამუკა გიორგაძე, ვალენტინა ფაილოძე, ირაკლი წერეთელი, მარიკა ბაღდავაძე, ლევან ბერძენიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ავთო იმნაძე, ჭაბუა ამირეიბი, ტარიელ ღვინიაშვილი, რომან ფინი.

კომიტეტის სახელით:

გოგა ხაინდრავა

SOS! Узник Совести

Хотим обратить Ваше внимание на абсолютно беспрецендентное и тревожное явление. В начале 21-ого века, в постсоветской Грузии, в условиях правительства, пришедшего к власти демократическими лозунгами, появился узник совести — Иракли Батиашвили. Один из лидеров антикоммунистического движения, бывший член парламента, политик и философ, человек упразднивший в Грузии печально известное КГБ, арестован и осужден за инокомыслие. Вот уже 10 месяцев он находиться в тюрьме, в полной изоляции, в одиночной камере. Авторитарный режим Саакашвили, даже сфальсифицировав и смонтировав запись телефонного разговора и тексты телевиступлений Ираклия Батиашвили не смог предоставить ни одной фразы, которая содержала бы какой.либо криминал. Вся суть телефонных разговоров (общая продолжительность 7 минут) и телевиступления Батиашвили сводилась к недопустимости кровавого развития событии в Кодорском ущелье, и призыву сторон к переговорам.

Нынещняя судебная система Грузии превращена в немого исполнителя политических заказов существующей власти. Без всяких доказательств, не представив ни одного свидетеля, абсолютно невинного И. Батиашвили приговорили к 7 годам лишения свободы по смехотворной статье — за интелектуальную поддержку лиц, которые еще не осуждены.

С полной ответственнтью заявляем, что подобного беззакония и произвола властей не сушествовало даже последние 10 лет коммунистического режима. Большевики в Грузии старались хотя бы формально собюсти правила при инкриминации обвинений. Мы убеждены, что И. Батиашвили не только политзаключенный, но и узник совести. Демонстрация подобного судебного нигилизма является не только политической расправой над свободой волеизъявления, но и служит политикой устрашения гражданского общества.

Обращаемся к международным правозащитным организациям, к правительствам цивилизованных государств, к демократическим

институтам, не мирится с фактом появления узника совести в Грузии. Призываем использовать все существующие демократические методы, для немедленного освобождения И. Батиашвили из тюрьмы.

„Комитет по освобождению
Ираклия Батиашвили“
и бывшие политзаключенные

От имени комитета:

Гиорги Хаиндрава

Бывшие политзаключенные:

Нана Какабадзе, Тамар Чхеидзе, Вахтанг Дзабирадзе, Луиза Шакиашвили, Гела Николаишвили, Мамука Гиоргадзе, Валентина Паилодзе, Иракли Церетели, Марика Багдавадзе, Леван Бердзенишвили, Давид Бердзенишвили, Авто Имнадзе, Чабуа Амиреджиби, Тариел Гвиниашвили

30 мая, 2007

ამ მიმართვას ხელს აწერენ ცნობილი რუსი და ჩეხი დისიდენტები და ყოფილი სინდისის პატიმრები:

1. ალექსანდრე პოდრაბინიკი
2. ვლადიმერ ბუკოვსკი*
3. პეტრუშკა შუსტროვა
4. ნატალია გორბანევსკაია

* თავის დროზე იგი ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით გაიცვალა ჩილეს კომუნისტური პარტიის ლიდერ ლუის კორვალანში და მხოლოდ ამ გზით განთავისუფლდა.

Appeal
To International Organization
and representative of foreign embassies

Irakli Batiashvili was arrested on 29 July 2006, he is charged for support revolt directed to forcible change of Georgian Constitutional System and "not informing authorities about the crime".

Government declares that Irakli Batiashvili was giving advice and information to Emzar Kviciani, one of the Georgian regional ex-governors to help him in overthrowing the present authority. At the same time he tried to mobilize society in support of Kviciani, including his speeches in which he called on people to start armed revolt. Besides that, according to authorities, Irakli Batiashvili kept in secret the information about possible crime.

Accusations are based on telephone conversations taped by the ministry of Internal Affairs on 23-25 July 2006, though Batiashvili's interviews and TV announcements and TV speeches states that Irakli Batiashvili intended to act as an peaceful intermediary. He was definitely against using armed forces and called on both Emzar Kviciani and Georgian authorities to settle the conflict in a peaceful way. Conversations and interviews do not include any information that would prove Batiashvili's support for armed revolt against Government. Our society became convinced in this fact during previous court trials and become even more insured during the substantial discussion which will start in 2007 at the beginning of April.

Batiashvili's unjust imprisonment has already been commented on by different International Organizations. In accordance with this case, "Amnesty International" sent letters to the General Prosecutor and Minister of Justice. In this letters, dated f 14 November, "Amnesty International" demanded that the charges concerning freedom of expression by Article 19 of Civil and Political Pact, as well as by Article 10 of European Convention of Human Rights and Freedom, should be cancelled.

"Amnesty International" called for Georgian authorities to organize the trial which will come in accordance with international standards of justice. They

expressed the worry about possibly violation of Irakli Batiashvili's justified International rights. This worry is based on the statements which were made by some authorities and political leaders. These statements could have violated Irakli Batiashvili's presumption of innocence and could have an influence on his trial. In particular, such statements were made by the Parliament Majority leaders, Chairman of the Defense and Security Committee - Givi Targamadze, vice speaker of Georgian Parliament - Mikhail Machavariani.

Despite this demand from "Amnesty International", one of the face of authorities Giga Bokeria, on the very day of Batiashvili's trial, answered journalist's question - "Do you think Irakli Batiashvili is political prisoner?" and Giga Bokeria said: "support may be planning the campaign. Those who listened to even the part of the conversation, in case he is objective, will be convinced that we are dealing with accomplices".

We call on Georgian and International organizations, representatives of foreign embassies in Georgia, to attend Irakli Batiashvili's trial and conduct monitoring in purpose not to give Georgian Government judge non-objectively and unjustly Irakli Batiashvili - defender of human rights, humanist and a leader of national movement against Soviet Regime.

Merab Kokochashvili *(artist)*, **Giga Lortqipanidze** *(artist)*, **Giga Batiashvili** *(Architect. Acaderminician.)*, **Chabua Amiredjibi** *(Writer)*, **Qetevan Kiknadze** *(artist)*, **Medea Kuchuqidze** *(artist)*, **Kaxa Kacitadze** *(Philosopher Professor.)*, **Temur Naneishvili** *(physiologist Professor.)*, **Erekle Gamkrelidze** *(Geologist. Academician)*, **Vano Kiguradze** *(Mathematician. Academician.)*, **Merab Jibladze** *(Physicist Academician.)*, **Marina Janashia** *(artist)*, **Guram Sagaradze** *(artist)*, **Temur Gocadze** *(Painter Professor.)*, **Gia Burjanadze** *(artist)*, **Shalva Gacerelia** *(Artist Professor.)*, **Davit Karkashadze** *(Physicist. Docent.)*, **Tamaz Marsagishvili** *(Physicist-mathematician, Doctorate)*, **Gia Chubabria** *(Artist Professor.)*, **Aleqsandre Qantaria** *(Artist Professor.)*, **Tamaz Jologua** *(Philolojist Docent.)*, **Aveline Davituliani** *(Physicist Docent.)*, **Tengiz Sanadze** *(Physicist Academinian.)*, **Zaza Mrelashvili** *(Writer. Publicist)*, **Avtandil Arabuli** *(Philolojist Professor.)*, **Shota Nadirashvili** *(Psychologist Academician.)*, **Nineli Chankvetadze** *(artist)*, **Gogi Qavtaradze** *(artist)*, **Kote Jandieri** *(Dramaturge. Writer)*, **Badri Gruzinski** *(Composer)*, **Otar Melqadze** *(Professor)*, **Nunu Gabunia** *(Composer. Vocalist)*, **Gela Dolidze** *(Physicist)*, **Mzia Jafaridze** *(Jurnalist)*, **Makvala Gonashvili** *(Poetess, Chef of Writers Coalition of Georgia)*, **Mamuka Dolidze** *(Writer. Philisipher Professor.)*,

Rusudan Mircxulava *(Psychologist Doctorate.)*, **Rezo Amashukeli** *(Poet)*, **Nana Kakabadze** *(Legal Expert)*, **Irina Futkaradze** *(Legal Expert)*, **Guranda Gabunia** *(artist)*, **Qetevan Dolidze** *(artist)*, **Guram Dochanashvili** *(Writer)*, **Irakli Kakabadze** *(Legal Expert)*, **Irma Inashvili** *(Legal Expert)*, **Gogi Xucishvili** *(Conficlologist)*, **Nino Tsikhistavi** *(Legal Expert)*, **Shalva Picjkadze** *(Chairman of NGO "Georgia for Nato")*, **Baia Amashukeli** *(Jurnalist)*, **Tengiz Mirzashvili** *(Painter)*, **Manana Tavadze** *(Painter)*, **Gia Jorjoliani** *(Professor)*, **Shota Vashakidze** *(Professor)*, **Temur Qoridze** *(Jurnalist)*, **Ani Jabauri** *(Medic Doctotare)*, **Vaxo Kvirkvelia** *(Medic Doctotare)*, **Malxaz Zaalishvili** *(Biologist Academician)*, **Ramaz Sakvarelidze** *(Psycologist Professor.)*, **Gia Chlaidze** *(Designer. Professor)*, **Tarieli Kutateladze** *(Architect. Professor)*, **Goga Jejelava** *(Architect.)*, **Rezo Axraxadze** *(Architect. Professor)*, **Dimitry Xaxutashvili** *(Painter. Professor)*, **Givi Toidze** *(Painter. Professor)*, **Otar Cakvetadze** *(Engineer-Construction. Professor)*, **Radishi Tordia** *(Painter. Professor)*, **Tengizi Gigauri** *(Painter. Professor)*, **Zurabi Samxaradze** *(Painter. Professor)*, **Temali Kiknadze** *(Architect. Professor)*, **Maia Javaxishvili** *(Designer)*, **Tamar Kopadze** *(Medic. Doctorate)*, **Tamar Pircxalava** *(Medic.)*, **Vaja Azmaiparashvili** *(Composer)*, **Rezo Chxeidze** *(artist)*, **Sofiko Chiaureli** *(artist)*.

მიმართვა

ძმებო და დებო! ჩვენ უდიდესი გამოცდის წინაშე ვდგავართ. მიხ-ეილ სააკაშვილის კრიმინალურმა რეჟიმმა მოინდომა ქართველი ხალხ-ის დაბეჩავება და დამონება შიმშილის, ძალადობის და ეროვნული სულის გადაგვარების გზით. ზურაბ ჟვანიას ლიკვიდაცია, ვალერი გელაშვილის მხეცური ცემა, გვირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგა-შვილის და სხვა მრავალის ჩახოცვა ძალოვნების მიერ, ათეულობით პატიმრის ჩაცხრილვა ე.წ. ციხის ბუნტის დროს, აფრასიძეების ოჯახში მოწყობილი სასაკლაო, გურამ შარაძის მკვლელობა, ეკლესიების ნგრევა და სამღვდელოებაზე თვალთვალი, პოლიტიკური რეპრესიები, მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევა და ზუგდიდში ბეჟან გუნავას, ლაშა ჩხარტიშვილის, ბიძინა გუჯაბიძის და მისი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორება; თავისუფალი მას-მედიის დევნა; ყველაფრის გაყიდვა: ტყეების, მდინა-რეების,საძოვრების; დევნილების გასახლება, დღისით-მზისით სახლების, დახლების, მაღაზიების ნგრევა და მტვრევა, ქონების წაგლეჯვა, წილების „ახევა"; ინტელიგენციის „ჩარეცხვა" და მწერ-ლების, კომპოზიტორების და სხვათა შენობების მტაცებლური დაუ-ფლება თუ ბინების ჩამორთმევა; ქვეყნის გადაქცევა ერთ დიდ საკონ-ცენტრაციო ბანაკად — ციხეების და კოლონიების გადავსება პატიმ-რების არნახული რაოდენობით და მათთვის გაუსაძლისი პირობების შექმნა — აი, ყოველივე ამან და კიდევ სხვა მრავალმა უსამართლობამ მოგვიტანა ტოტალური შიში და განუკითხაობა. ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგად კახელმა გლეხმა ვენახის ჩეხვა დაიწყო და მოსახლეობის ოთხმოოცდაათი პროცენტი სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდა. ასეთ რეალობასთან შეგუება ჩვენ სრულ გადაგვარებას ნიშნავს. მაგრამ ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ მისი გადაგვარე-ბის, დაბეჩავების და დამონების ეს ექსპერიმენტი ჩავარდა: შიში გატყ-და! ყინული დაიძრა!

დღეს თითოეული თქვენთაგანის ყოფნა აქ, ამ შეკრების ადგილას გმირობის ტოლფასია. მეც თქვენ გვერდით ვარ, ჩემო დებო და

ძმებო. რკინის კედლებში გამოკეტილი მე თქვენ გვერდით ვდგავარ მთელი სულით და გულით. გვახსოვდეს, რომ სწორედ ახლა სამშობლოს ბედი წყდება: ან მონობა და სილატაკე ან ეროვნული აღორძინება. ღმერთი არის საქართველოს მფარველი! გამარჯვება გარდაუვალია!

ირაკლი ბათიაშვილი

ავჭალის მე-10 კოლონია, 2.11.2007
ეს მიმართვა წაკითხულ იქნა 2007 წლის 2 ნოემბრის მიტინგზე
გაზ. „რეზონანსი“ 2007 წ.

ჩემი გულწრფელი მხარდაჭერა ირაკლი ბათიაშვილს

ბედმა გვარგუნა აგერ 20 წელია სულ დაძაბულ ვითარებაში ცხოვრება. განსაცდელსაც იმისთვის გვიგზავნის უფალი, რომ გავიაროთ ის რთული გზა, რომელსაც ჭეშმარიტებისკენ მივყავართ. ჭეშმარიტება კი ყველაფერზე მაღლა დგას, ოჯახზეც, სამშობლოზეც და სიყვარულზეც მაღლა. რადგან ჭეშმარიტების გარეშე არ არსებობს ამ ქვეყნად არანაირი ღირებულება.

ირაკლი ბათიაშვილი იმ იშვიათი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომელთათვის სიმართლის გზა ყოველთვის მისი სამშობლოს ურთულესი გამოცდის ზღვარზე გადის.

ღმერთმა ისურვა და 9 აპრილს თავგაჩეხილი და თითქმის იმ ქვეყნისკენ მიმავალი გადაარჩინა, რადგან ბევრისგან გამოარჩია და ისევ თავისი ქვეყნის სამსახურში ჩააყენა.

მისთვის 9 აპრილის შემდგომი წლები უფრო რთული აღმოჩნდა. აფხაზეთს წამით არ მოშორებია და იმ გაუსაძლის, ღალატით სავსე ომში, გამწარებული ქართველი ჯარისკაცების გვერდით იდგა. ჯარისკაცებსაც ძნელად თუ უწოდებდი თავისი სამშობლოსთვის თავგანწირულ, გამოუცდელ ბიჭებს.

ირაკლი სწორედ ამ თავგანწირვისთვის დასაჯეს, უზნეოდ დააპატიმრეს და უზნეო სასამართლომ უზნეო განაჩენი გამოუტანა. მაგრამ ამასაც გაუძლო და იმედი მაქვს ახალ პარლამენტში, მისი რეპუტაცია, სიმართლე, გამოცდილება ძალიან წაადგება ჩვენს ქვეყანას. ამიტომ მოგიწოდებთ ხმა მისცეთ ირაკლი ბათიაშვილს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ბოდბის მონასტერში წმინდა ნინოს ვთხოვ გვაპატიოს შეცოდებანი და ილოცოს ჩვენთვის, იმისთვის რომ ჭეშმარიტებამ იზეიმოს და ირაკლისნაირი ადამიანებით დაასახლოს ჩვენი ქვეყანა.

უდიდესი პატივისცემით ყველა ამომრჩევლის წინაშე,

ქეთი დოლიძე

ბოდბის მონასტერი
24 აპრილი 2008 წ.

ფოტოალბომი

1988 წელი, ეროვნული მოძრაობა, მიტინგი

1989 წლის აპრილის დღეები



9 აპრილის ღამეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში



9 აპრილის ღამეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში

1989 წლის აპრილის დღეები

1989 წლის მაისი, ვაკის პარკი

1989 წელი (მერაბ კოსტავას დასაფლავება)

1992 წელი, სოხუმი

2002 წელი

2002 წლის შემოდგომა, სასაზღვრო საგუშაგოზე

2006 წელი, ივლისი, ინტერპარტიული კონფერენცია

2006 წლის ნოემბერი, სასამართლო პროცესზე



სასამართლო პროცესზე, 2006 წლის ივლისი

2007 წელი, პატრიარქის ვიზიტი მეშვიდე საპყრობილეში
მოშიმშილე ირაკლი ბათიაშვილთან

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფიქრები ასი ათას მონამეზე 3

ეროვნული ინტერესები

გასავლელი გზა 6
გზები და მიზნები 16
პიროვნება, ბედისწერა, ძალაუფლება 31
მანკიერი წრე 39
ბრძოლა კავკასიისთვის 67
საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია — მითი თუ რეალობა?! 78
გეოპოლიტიკური გამოცანა საქართველოსათვის 84
საქართველო და NATO 90
მსოფლმხედველობათა შეჯახება საქართველოში 96
გამოვიღვიძოთ ვარდისფერი კოშმარიდან! 102
პრეზიდენტო, ნუ გახდები სამოქალაქო ომის ინსპირატორი! 110
ცხოველების ფერმა №2 114
მედიტაციები №7 საპყრობილეში 118
ვიხსენებ... ვმსჯელობ... 122
დღიურები 130

დისკუსია

ამ გადადგომას გაქცევა ჰქვია? 135
„ჩვენი თანამშრომლობა შეიძლება განვითარდეს მრავალი საერთო მიზნის არსებობის გამო 140
როგორ დაგვანყებინეს აფხაზეთის ომი 142
„ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი!" 150
ეს არ იყო საამაყო ომი... 155
ირაკლი ბათიაშვილი: ჩვენ კი არ უნდა ველოდოთ, უნდა მოვემზადოთ 162
პერსონა 172
„სისულელეა, საქართველოში გამსახურდიას აგენტობის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს!" 175
„ჩვენს პარტიზანს იმისიც ეშინია, რომ შემდეგ სახელმწიფო არ მოუტრიალდეს და არ უთხრას — შენ ტერორისტი იყავი და ამიტომ გიჭერო" 181
სოხუმი ხუთი წლის წინ 185
„...მას ათქმევინებენ, — რადგან საქართველო ჩემს გამო შავ დღეშია, გადავდგებიო..." 194
ქუჩის აქციებს არ ვგმობ 201
საქართველო ძალიან დიდ ხიფათს გადაურჩა 206
ვერავინ დამარწმუნებს, რომ გამსახურდია და კოსტავა გაიქცნენ 211
საქართველოში იარაღით ვაჭრობაში ძალოვნები არიან ჩართულები 214

„ნავთობსადენის პროექტი შეიძლება ჩაიშალოს" 222
თბილისი რუსულ ჯარებს მარწუხებში აქცევს 225
ეს რომ შევარდნაძეს ეთქვა, კოცონზე დანვავდნენ, გამსახურდიას კი აგენტობას დააბრალებდნენ 228
რუსეთმა სამხედრო ბაზებისთვის მილიონები უნდა გადაგვიხადოს 232
იქ პოლიტიკური პრობლემა იყო 235
ვარდებს არ უყვართ ყოჩივარდები 237
ნარჩემაშვილი ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით დააპატიმრა 239
„დაინახავთ, როგორ დაერევიან ერთმანეთს" 245
სააკაშვილი და ბურჯანაძე შევარდნაძის „ტრიუკებს" ხმარობენ 249
„საქართველოში ბეჟუაშვილის, ოქრუაშვილის და მერაბიშვილის კლანები ჩამოყალიბდა" 253
როგორ მიიღეს ტახტის აზნაურობა ირაკლი ბათიაშვილის წინაპრებმა 255
სააკაშვილი მერაბიშვილის ადგილზე ბოკერიას დანიშნავს 261
რას უთვლის ირაკლი ბათიაშვილი ოჯახს ციხიდან 265
სიტყვა ირაკლი ბათიაშვილის დასაცავად! 269
რა ვერ აპატია ხელისუფლებამ ირაკლი ბათიაშვილს? 273
ბათიაშვილი კვლავ უკანონო პატიმარია!.. 278
ირინა ბათიაშვილი: მჯერა, მამა მოღალატე არ არის! 282
კაცები შინ არ არიან 285
მიმართვა ქართველ ხალხს 292
თავისუფლება სინდისის პატიმრებს! 294
ჩემი ოჯახის დევნა-შევიწროება გრძელდება 295
ღია წერილი ბატონ ელდარ შენგელაიას 299
ვისგან ითხოვს ბოდიშის მოხდას ირინა ბათიაშვილი 301
ყოფილი დისიდენტები ირაკლი ბათიაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ 304
პატრიარქმა ბათიაშვილს შიმშილობა შეანყვეტინა 307
ირაკლი ბათიაშვილს ცხოვრების შვიდი წელი წაართვეს 309
განაჩენი ირაკლი ბათიაშვილს 316
„მივმართავ ხელისუფლებას, გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით, დაფიქრდით თქვენსავე ბედზე!" 320
რუს ჯალათებს გვამი ეგონათ და სწორედ ამიტომ გადაურჩა აჩეხვას... 323
ხალხი ჩურჩულებდა, რა სირცხვილია... 327
მოსამართლე თეთრაულს ბათიაშვილის საქმეზე დარღვევები მისხალ-მისხალ დაუთვალეს 330
ირაკლი ბათიაშვილი თავისუფალია 335
რატომ დააგვიანა ბათიაშვილმა საპატრიარქოში მისვლა 339
„მიზანი საერთო გვაქვს — ამ სამარცხვინო რეჟიმის მშვიდობიანად გასტუმრება!" 342
რატომ შევედი რესპუბლიკურ პარტიაში და რატომ დამნიშნა შევარდნაძემ უშიშროების მინისტრად 346

ქვეყანაში ყველა პრობლემა მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას 351
„პარლამენტში შემოცვივდნენ და შიმპანზეებივით დახტოდნენ მაგიდებზე, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს 356
„მთელი ოპოზიციის მობილიზებაა საჭირო, უსაშველო არაფერია" 363
სააკაშვილი და მისი გუნდი ახლო პერიოდში ხელისუფლებიდან აუცილებლად უნდა ნავიდეს! 366
„ახლა დუმილი დანაშაულის ტოლფასია" 371
„ქვეყანას ახალი პატრონი სჭირდება" 378

გუნდური

ტოტალიტარიზმი და ინდივიდუალიზმი 384
თანამედროვე დემოკრატიების კრიზისი და ახალი ათვლის წერტილი 390
ეპოქა და დეპერსონალიზაცია 408
ვირუსები 417
პოსტრევოლუციური განაზრებები 430
პირველსაწყიის შემოტევა 445
ისტორიის დასასრული თუ ცივილიზაციათა შეჯახება?! 453
ისტორიული მემკვიდრეობა და მომავლის კონტურები 469
დაუსწრებელი ფილოსოფიური დიალოგები 476
ფილოსოფიური ეპისტოლე №7 საპყრობილიდან 491
დროის გამოცანა 501
დახვრეტა 522
ერიხ ფრომი და მაზოხიზმის სინდრომი ქართულ საზოგადოებაში 533

დოკუმენტები

განცხადება ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით 541
არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსათვის" 543
ირაკლი ბათიშვილი სინდისის პატიმარია 546
SOS! სინდისის პატიმარი! 547
SOS! Узник Совести 549
Appeal To International Organization and representative of foreign embassies 551
მიმართვა 554
ჩემი გულწრფელი მხარდაჭერა ირაკლი ბათიაშვილს 556

დაიბეჭდა გამომცემლობა
„ეროვნული მწერლობის" სტამბაში.
მხატვრის ქ. №4
ტელ. 31-70-47; 32-73-62

E-mail:
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com